

# ემსახე

თვეური ჟურნალი

წელიწადი მეორე

№ XI

ნოემბერი, 1895

---

ტფილისი

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკის კოლექციის ნაწილია

1895

## შ ი ნ ა ა რ ს ი

	ბი.
I „ღმერთო, რა ღაგიშავი?“—ეტიუდი შ. ანაგვისშირელისა . . . . .	1
II მშვიდობით!—ნაწილა მეორე.—სურათები სამეგრელოს ცხოვრებისა თ—ლისა (დასასრული) . . . . .	8
III მოტყუებულნი.—მოთხრობა რევაზ ფაგლენიშვილისა . . . . .	43
IV ბანთიადი.—მოთხრობა ეჟისა, თარგმანი თ. სახოკისა (გაგრძელება) . . . . .	66
V ომის მსხვერპლი.—ამბავი ქაღბატონ სუტუნერისა, თარგმანი ილესა . . . . .	112
VI საბრალო მამა.—ამბავი წახუნ-მასოხისა, თარგმანი კასკა ერისთავისა . . . . .	121
VII „მეფის-ბყარისა“ ყალბი აღგიღები.—I—III.—აღს—ლისა . . . . .	1
VIII ხალხის ბანათღების შესახებ.—ნაწინებისა . . . . .	21
IX ზნეობის ბანათღება.—სქესებრივი მორალი.—ფ. შატრიშვილისა . . . . .	34
X მთიულეთი 1804 წალსა.—X.—ისტორიული ამბავი აღფრანკელისა . . . . .	65
XI რქა და მისი სხვა-და-სხვა ბგარად ბამოყენება.—V.—კარქა და ერბო.—პროფესორის გ. შეტრიაშვილისა (გაგრძელება) . . . . .	91

8(05)  
280

1896

# „მონაგბე“

## თვიური ჟურნალი

(წელიწადი მესამე)

გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

იმავსე ჰრეგრამიო

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

	1 წლით	6 თვით	3 თვით
რუსეთის და კავკასიის ქალაქებში . . . . .	10 მან.	6 მან.	4 მან.
საზღვარ გარე . . . . .	13 მან.	7 მან.	5 მან.

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე—4 მან., 1 აპრილამდე—3 მან. და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ «მონაგბის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩასზე № 13.

წიგნის მადგაყებს, რომელნიც იკისრებენ ჟურნალ მოამბე“-ზე ხელის-მოწერის მიღებას, შეუძლიანთ აიღონ მთელი წლის შემოსატანიდან კამისიისა და ფულის გამოგზავნის-ვისათა შესურა, ხოლო თუ ფულს ნაწილ-ნაწილ შემოიტანენ, ნაფერი დაეთმობათ.

შენიშვნა: 1) ჟურნალის თავის დროზე მიღებისათვის რედაქცია პაუზას აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფული გამოგზავნილ ან შემოსული იქნება რედაქციის კანტორაში. 2) ქალაქ გარეშე ხელის-მოწერით ფულის მიღების კვიტანცია გაგზავნებათ მხოლოდ იმთ, ვინც ჟურნალის ფასთან ერთად წარმოადგენს 7 კაპ. ფოსტის მარკას ყოველ კვიტანციაზე.

ქალაქ გარეშე მტრეკრებთათვის ადრესი: *Тифлиса, Редакция „Моамбе“*.

რედაქციამ მოსახერხებლად სცნო სოფლის მღვდლებს, ფულის მასწავლებლებს, ხელოსნებს და მოწაფეებს ჟურნალი უთმოს რვა მანეთად წელიწადში. ვისაც 8 მანეთის ერთად მოტანა ეძნელება, შეუძლიან პირველში ოთხი მანეთი შემოსტანოს და ორ-ორი მანეთიც მარტში და აგვისტოში.

ქართულთა ამხანაგობის გამოცემა № 36.

# ღვინის ღაყენება

შედგენილი.

პროფესორის ვ. ბუჭრიაშვილის-მიერ.

ფასი 2 მან. და 50 კაპ.

ისყიდება საკუთარს კიოსკში ლორის-მედიკოვის  
ქუჩაზე.

ქ. შიხიანიძის

# მ მ ა მ ბ ე

თეორიკული

წელიწადი

№ XI

თბილისი, 1895

P-23824



ტფილისი

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 декабря 1895 г.

---

## შ ი ნ ა ა რ ს ი

	ბმ.
„ღმერთო, რა დაგიზავი?“ — ეტიუდი შ. ანაგვისპირე- ლისა . . . . .	1
II მფიღობით! — ნაწილა შეორე. — სურათები სამეგრელოს ცხოვრებისა თ — ღისა (დასასრული) . . . . .	8
III მოტყუებული. — მოთხრობა რეგას ფაგლენიშვილასა . . . . .	43
IV ბანთიადი. — მოთხრობა ეუისა, თარგმანი თ. სანოკიას- სი (გაგრძელება) . . . . .	66
V ომის მსხვერპლი. — ამბავი ქალბატონ სუტუნეისა, თარგ- მანი ილასა . . . . .	112
VI საბრალო მამა. — ამბავი ზახერ-მანოხისა, თარგმანი ჭასკა ერასთავისა . . . . .	121
VII „ვფხის-ტყარისის“ ჟალბი აღბილები“. — I — III. — აღ- ს — ღისა . . . . .	1
VIII ხალხის ბანათლების ფისახე. — ნაცნობისა . . . . .	21
IX ზნეობის ბანვითარება. — სქესებრივი მორალი. — ფ. ჰა- ტრაშვილასა . . . . .	34
X მთიულეთი 1804 წელსა. — X. — ისტორიული ამბავი აღ- ფრანელისა . . . . .	65
XI რქა და მისი სხვა-და-სხვა ბვარად ბამოყენება. — V. — კასაქი და ერბო, — პროფესორის გ. შეტრანაშვილი- სა (გაგრძელება) . . . . .	91

## ქრონიკა:

XII აკოვინციის ცხოვრება, — აზნაუზთი. — ფ. სასოკასია . 114

XIII ზინაური მიმოხილვა. — არეულობა ებრაელთა წინააღმდეგ. — თ. რაფიელ ერისთავის იუბილეი. — უადგილო კინკლაობა. — ჩერნომორსკი ვესტნიკი. — წყალ-დიღობა და მისი ზარალი. — კომიტეტი დახმარებისათვის, — კიდევ ნაფიც მსაჯულთა სამართლის შესახებ ჩვენში. — აზრი «სევერნი ვესტნიკისა». 126

XIV განცხადებაანი.

### დამატება:

XV საქართველოს სიკვლეანი. . . . . 113—128



## „ღმერთო, რა ღაბი შევეი!“

(ეტიუდი)

„...ღმერთო, იესო ტკბილო, შემინდე და შემიწყალე...“ — ჯვარცმულის ხატის წინ მუხლ-მოდრეკილი და ხელებ-აღპყრობილი ლოცულობდა წვერ-ულვაშ ახლად ამოფეთქილი მწირი, რომელიც აგერ ერთი კვირაა, რაც საბეროს გამოეთხოვა და შიო მღვიმელის ერთ მიუვალ კლდის ტახტივით გადმოკიდებულ პატარა კალთაზე დაესახლა. დღე — მზის ამოსვლიდან ჩასვლამდის — განუწყვეტლივ მუშაობდა, ჰქვამდა კლდეს და თავ-შესაფარს იკეთებდა. მარტო სადილობისას და სამხრობისას შესწყვეტდა ხოლმე მუშაობას და ტყეში მიდიოდა საზრდოსათვის. ღამე კი, როდესაც შესწყდებოდა ფრინველთ ქრიაშული და ბუნება მიიძინებდა, ლოცულობდა, მკერდს იბეგვდა, წვერსა და თმას იგლეჯდა, მაგრამ გონება ვერ დაემორჩილებინა და ლოცვის შინაარსით ვერ გაემსკვალა. მარტო ენა ირხეოდა და სიტყვებს გამოსთქვამდა, გონება კი მონაწილეობას არ იღებდა და ხან წარსულს, ხან აწმყოს და მომავალს, ხან მთასა და ველს ეკონებოდა. მწირს სურდა, რომ მთელი იმისი არსება მოცულიყო ლოცვის შინაარსით; უნდოდა — გონება შეებოქნა და უფლისადმი მიემართნა, მაგრამ ამაოდ. გონება არ ემორჩილებოდა. ეს იყო მიზეზი, რომ ამ ერთის კვირის წინად დაღონებული მივიდა წინამძღვართან და ფეხებ-ქვეშ ჩაუვარდა.

— წმიდაო მამაო! — ტირილით შესძახა და თავი მაღლა ვეღარ აიღო, თითქოს შეზღვევისა ეშინიან, ან რცხვენია.

— უფალი იყოს შენი მანუგეშებელი, შვილო!.. რა მოგივიდა? — მამობრივის თანაგრძნობითა და სიყვარულით დაეკითხა წინამძღვარი და თავი მალლა ააღებინა.

წინამძღვრის ამგვარმა კილომ შიში და კრძალვა დაუკარგა მწირს. ლმობიერად შეახედა წინამძღვარს და გულ-ახლით უამბო ყოველივე.

— ილოცე ჩემთვის, წმიდაო მამაო, — დააბოლოვა მწირმა: — რათა შემინდოს მე ცოდვილსა და მიხსნას ამ განსაცდელისაგან, განვიზრახე განდევილობა და მოვედ შენთან ლოცვა-კურთხევის მისაღებად. ეგებ განმარტოვებულმა ცხოვრებამ დამიბრუნოს სულის სიმშვიდე და შევძლო ლოცვა გულ-მოდგინებით.

წინამძღვარი გაჩუმებული ყურს უგდებდა და სახე თანდათან ექმუნებოდა. იმსჯელებოდა მწირის მწუხარებითა და უსიტყვოდ ავედრებდა მწირს უფალსა.

— მამაო, ნუ დამიჭერ შენს ლოცვა-კურთხევას და ნუ მეტყვი უარს?! არ ძალ-მიძს წმიდა ადგილსა ამას დაყოვნება. — ტირილით მიჰპართა მწირმა, რაკი ღუმილმა დიდ ხანს გასტანა, და მუხლებზედ მოეხეია.

— სიკვდილის დამთრგუნველო იესო, შენ მიეც ძალი ყრმასა ამასა, რათა სძლიოს უჩინარი მტერი და აღიღოს სახელი შენი! — აღფრთოვანებულის ღაღადებით წარმოსთქვა წინამძღვარმა და ორივე ხელები დაადო მწირს თავზედა.

მწირი განუსაზღვრელმა სიხარულმა შეიპყრო. აქამდე თუ სულის კვეთების ცრემლი აღრჩობდა და სულს უხუთავდა, ახლა სიხარულის ცრემლმა გადმოჰხეთქა. გიჟსავით ჯმუჯნინდა წინამძღვრის მუხლებს და უზომოდ ჰკოცნიდა.

— კმარა, შვილო, აღზდეგ! — წინამძღვარმა წამოაყენა მწირი და გადაჰკოცნა... სამი დღე ლოცვა-ვედრებაში გაატარეს წინამძღვარმა და მწირმა. მწირი წმიდა საიდუმლოს მისაღებად ემზადებოდა.

მეოთხე დღეს მწირმა მიიღო წმიდა საიდუმლო. ძმათაც შეიტყვეს მწირის განზრახვა და წირვის შემდეგ მუხლ-მოღრე-

კილნი ავედრებდნენ მცირე ძმას. ლოცვის შემდეგ ყველანი გულ-ხელ დაკრეფილნი და თავ-ჩალუნულნი იდგნენ საზოგადო ტრაპეზის გარშემო და ელოდნენ სუფრის კურთხევას.

წინამძღვარმა აკურთხა სუფრა და პური გადატეხა; ყველანი მოწიწებით შეუდგნენ პურის ჭამას.

სჭამდნენ გაჩუმებულები, თავ-ჩალუნვილები და მარტო დრო - გამოშვებით რომელიმე ძმა ღრმად ამოიოხრებდა და წამს ჭამას შესწყვეტდა.

— ძმანო, — კარგა ხნის ჩუმად პურის ჭამის შემდეგ მიჰმართა წინამძღვარმა ძმათა და ღვინით სავსე თიხის ფიალა ხელში აიღო.

ძმათ კი ამ ხმის გაგონებაზედ შესწყვიტეს პურის ჭამა და გულზედ ხელებ-დაკრეფით ააეგები ჩალუნეს.

— ძმანო, — განიშეორა კიდევ წინამძღვარმა და თვალი გადაავლო ტრაპეზის გარს მსხდომთა: — დღეს გეტოვებს ჩვენი უმცროსი ძმა სერაფიონი, ჩვენი საყვარელი სერაფიონი. ყველას გახსოვთ, როგორ მოიყვანეს სულ ბავშვი — ცხრა წლის ყრმა — შობილებმა და დაგვიტოვეს აქ უდაბნოში. მას შემდეგ თერთმეტმა წელიწადმა განვლო და ამ ხნის განმავლობაში შვილივით ვზრდიდით. ყველა ჩვენგანი შვილივით უყურებდა და შევიყვარეთ კიდევცა მამობრივის სიყვარულითა. ვფიქრობდით, ჩვენი აღზრდილი ჩვენთანვე დარჩებაო, მაგრამ განგებამ სხვაფრივ ინება. სერაფიონმა ამოიჩია მეტად ძნელი და ეკლიანი გზა... — წინამძღვარმა ცოტას ხანს შესწყვიტა სიტყვა და სერაფიონ მწირს შეჭებდა; სერაფიონი გულ-ხელ დაკრეფილი იდგა და ისე ისმენდა წინამძღვრის სიტყვას.

— შვილო, ვშიშობ მტერმა არ გძლიოს და ამის გამო მენანები. ჯერ უსუსური ხარ და მეტად ძნელი გზა კი ამოიჩიე... ვაი თუ... — ველარ შესძლო ლაპარაკი წინამძღვარმა, რადგანაც ტირილი ყელში მოებჯინა და სუნთქვა გაუძნელა. ფიალა დასდგა. სერაფიონ მწირი გულში ჩაიკრა და ქვითინის შემდეგ განაგრძო:

— უფალმა გაგაძლიეროს და გაგამხნევოს... ნეტარება შენ, შეილო, თუ გზამ არ შეგაშინა და ძღვევა-მოსილი გამოხედ... რაც ეკლიანია გზა, მით ნაყოფი უტკბესია, მით უფრო ღიდი ნეტარება მოგელის...

სადილს შემდეგ შიო მღვიმელის ხატის წინ პარაკლისი გაღუხადეს, შეავედრეს უფალს და გზა დაულოცეს.

„...ცხოვრების მომნიჭებელი იესო!..“ — ხშირად წარმოუთქვამს ეს სიტყვები სერაფიონს მას შემდეგ, რაც ვანმარტოებული ცხოვრება დაიწყო და ეხლაც ხშირად ამბობს ამავე ღალადებით, მაგრამ იმისი გონება მაინც „ცხოვრების მომნიჭებელს“ არ უერთდებოდა.

გონება თითქოს დასცინოდა სერაფიონ მწირის სურვილს. უეცრივ დაუბრუნდებოდა მის სხეულს, აგრძნობინებდა, რომ კერპსავით უგრძნობლად სდგებარ და უაზროდ გაიძახი სიტყვებსაო, დაპლრეჯაედა, მოჰკუმშაედა და ისევ სწრაფად მიატოვებდა. აგერ ეხლაც ხელები გააწოდებინა ჯვარცმულის ხატისადმი, თვალები ზეცად მიამართინა, დააწყებინა თქმა ლოცვისა და... განჰქრა, წავიდა, სულ სხვა სახე მიიღო...

სერაფიონ მწირი შუაზედ გაიყო, ორ არსებად გადაიქცა. ერთი სდგას მუხლ-მოდრეკილი ჯვარცმულის წინაშე, ხელებ-გაპყრობილი, სახე-დაღმეჭილი და ამბობს უაზროდ ლოცვას, ბუტბუტებს გონება-დაუტანებლივ, ხოლო მეორემ შეიდი-რეა წლის ყმაწვილის სახე მიიღო და თავის ტოლ-ამხანაგებში დარბის, დახტის და თამაშობს; ჰგრძნობს, რომ ბედნიერია!..

კმაყოფილი, ოფლში გაქანებული შინ დაბრუნდა და დედას ეტიტინება, უამბობს ვისთან და როგორ თამაშობდა.

— შეილო, — ალერსიანად სტუქსაეს დედა: — შორს ნურსად მიხვალ, თორემ ოსები თავს დაგესხმიან და დაგატყვევენ ბენ...

— როგორ დამატყვევებენ, დედი, ხანჯალი აქ არა მაქვს?! ისე დაეიფრენ, ისე რომ... — გულ-დაჯერებით წამოიძახა და ხანჯალს გაივლო ხელი.

— შენ კი გენაცვალოს დედა, შვილო!...—სიხარულით ჩაიკრა გულში და დაუმატა:

— ჯერ პატარა ხარ, შვილო!..—ვერას გაჰხდები!.,

— დიად, პატარა... თუ კი მამა-ჩემი და სოლო ომში არიან, მე რაღა ვარ...

— ეჰ!—ამოიოხვრით გააწყვეტინა სიტყვა დედამ, და სახე მოელრუბლა.

— რა იყო, დედი, რად ამოიოხვრე?!—მშობლის ამოიოხვრამ საჩქაროდ შეუტვალა სახის მეტყველება პატარა სერაფიონს.

— არაფრად, შვილო, ისე!—ნაღვლიანად უპასუხა და უფრო ძლიერ მიიკრა გულში სერაფიონი...

მთელი სოფელი გაიხვეტა, საიდანაც სიმღერის ხმა მოისმის. დედაშვილიც საჩქაროდ გაჰქანდნენ იქით. ყველანი სიხარულით გაიძახიან: „გაუმარჯვნიათო“ და ფეხს უფრო უჩქარებენ. აგერ კიდევაც შეჰხვდნენ გამარჯვებულ მეომართ, და შეიქნა ხვევნა-კოცნა და ღვთისადმი მადლობის შეწირვა...

შვილი დედიტურთ ეხვევა მამას და ძმას. მამამ ხელში აიყვანა და გულში ჩაიკრა. სოლო კი ამ დროს აქეთ-იქით იყურება და ვილასაც დაეძებს, დედის ლაპარაკს ყურს არ უგდებს.

— სოლო, ბევრი მტერი მოჰკალი?!—დაეკითხა სერაფიონი თავის ძმა სოლოს, რომელიც თვალებს აცეცებდა აქა-იქ, მაგრამ სოლოს იმის ხმა არ გაუფონია.

— ვის ეძებ?!—ჰკითხა კვლავ სერაფიონმა და დაუწყო წვევა ჩოხის კალთასა.

— რა გინდა?...—ჰკითხა სოლომ ძმას ისე, რომ არც მოუხედნია მისკენ და მსწრაფლ გაექანა იმისკენ, ვისაც დაეძებდა. მეზობლის ახლად გაფუჩქნილი ქალი თამო მოეგება წინ და ათრთოლებული ჩაეკრა სოლოს...

ორად გაყოფილი ისევ ერთ არსებად გარდაიქცა. სერაფიონ მწირს თვალ-წინ წარმოუდგა ზემოხსენებული სურათი და შეიპყრო მთელი იმისი არსება. თუ აქნობამდე ლოცვის

სიტყვებს მაინც ამბობდა, ახლა ამასაც ვეღარ ახერგებდა და იმ სურათს-ღა ჰხედავდა; ახლა ცხადად უყურებს თამოს, მშვენიერ თამოს, სოლოს მკერდზე მისვენებულს, რომელიც მეტის-მეტის სიამოვნებით ოდნავ-ღა სუნთქავს. ამ სურათის მხილველს სერაფიონს გული აუტოკდა, სახსრებში მოდუნდა და თახთახმა აიტანა...

მაშინ, როდესაც მოჰხდა ეს ამბავი, ვერ გაიგო მისი მნიშვნელობა, ვერ მიხვდა, ისე დაბნევით რად მიეგება სოლო დედას და მე, თავისს უნცროსს ძმასაო, და თამოს კი, რომელიც არც და იყო და არც ნათესავი, ისე გატაცებით გადაეხვიაო. მაშინ ვერ მიხვდა და ახლა კი გაიგო, რაც იყო ამის მიზეზი და ამ მიხვედრამ სერაპიონ მწირი ჩაფუფქა, გული აუჩუყა და აგრძნობინა, რა იყო მიზეზი, რომ გულმოდგინედ ლოცვას ვეღარ ახერხებდა. მიჰხვდა ახლა, რომ იმისი ბუნება სხვას თხოულობდა, და ის კი წინააღმდეგ ამისა, ძალას ატანდა თავის თავს და ტყუილ-უბრალოდ სახეს ქმახავდა... იგრძნო სულის ობლობა, განდეგილობა; იგრძნო, რომ იმის გულს არ ათბობს და არცროდის გაუთბია იმ ზენაარ გრძნობას, რომელიც ტანჯვით და ვაგებით მოცულ წუთიერ ცხოვრებას ნეტარებად ჰხდის, აყვარებს თვით ამ წუთიერ ცხოვრების შხამსაც კი და აღფრთოვანებს საკეთილოდ. ჰგრძნობს სერაპიონ მწირი, რაც აკლია მის გულს, ჰგრძნობს ისეთი ძლიერებით, რომ ცეცხლი ეკიდება, ხორცი სტკივა და იწვის...

აქნობამდის თუ ეგონა, ცოდვილი ვარო და ჰალადებდა უფალს: „შემინდე და შემიწყალე მე ცოდვილიო“, ახლა, ტანჯულად, წამებულად მიიჩნია თავისი თავი...

— ღმერთო, რა დაგიშავე?! — საყვედურით მიჰმართა მან უფალს და პირქვე დამხობილმა დაიწყო ქვითინი.

მთვარემ ამდროს ღიმილით გადმოჰხედა უკანასკნელად მომტირალ მწირს და შორს, ცის კიდესთან ამართულ მთის იქით ნაზად ჩაესვენა. აქნობამდის გაცრიაკებულმა ვარსკვლავებმა კაშკაში დაიწყეს და ერთმანეთს გამოელაპარაკნენ; მოდულუნე მტკვრის პირიდან წიავემაც დაიწყო სისინი და ფოთ-

ლები ააშრიალ-ათამაშა; ხის ტოტებზედ ჩამწკრივებული ბელურები გამოალეისა. მოასმენინა მწირის ქვითინი და ზევიდან ჩაწივწივებით ანუგეშებინა; არაგვი ხომ მთის იქიდან დიდი ხანია გადმოსკყივის და ამხნეებს მწირს და ეუბნება, მარტო არა ხარო, მაგრამ მწირს არც ბელურების ნუგეში და არც არავის გამხნეება არ ესმოდა.

მწირი მაინც უფლისადმი საყვედურით აღესილი ქვითინებს და ქვითინებს...

შ. არაგვისპირელი

# მ უ ვ ი დ ო გ ი თ!

ნაწილი მეორე

XIV\*)

დანიშნულს დღეს მოვიდა უტუნას ცოლის-ძმა კერანდუხუ. მეზობლებმაც აღთქმა აღასრულეს და მოეხმარნენ უტუნას სიმინდის მარგვლაში. ბურგუმ ამ დღეს გათენებისას გაიღვიძა. იმ ღამეს თითქმის არ ეძინა. სულ მეორე დღის ნადობის სურათი ეხატებოდა თვალ-წინ. დილით ცხენი ადრე წაიყვანა და დააბა ჩინებულ საბალახოზედ. აიღო თავისი პატარა თოხი და პირველმა დაიწყა მუშაობა. ცოტა ხნის შემდეგ კერანდუხუც მოვიდა ურმით და თან მოიტანა მუშებისთვის საჭირო სასმელ-საჭმელი: ტომრით ფქვილი, გუდებით ღვინო, გასუქებული დაკლოული ბურვაკი, რომელიც გუშინ სალამოს მოამზადა, ქათმები, ინდაურები, ყველი და სხვ. კერანდუხუს თებროც მოჰყვა.

— შენ როგორ გამომეკეცი ამ დილას, შე კიკო შენა? — მივალერსა პატარა ბურგუს ბიძა.

ბურგუმ ჩაიციხა და თოხის ქნევას ცოტ-ცოტათი უკლო. კერანდუხუმ ურემი გააჩერა და კარგა ხანს დაკვირვებით უყურებდა დისწულის მუშაობას. მისმა მზისაგან გაშავებულმა ღამაზმა პირისახემ, რომლიდანაც ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, ააგულჩვილა კერანდუხუ და თვალთაგან ძალა-უნებურად



ცრემლები წამოუვიდა. თითქო სულ გადააფიწყდა თავისი თავი, ერთ ადგილას იდგა და ბურგუს შესჩერებოდა.

— დია, ჯიჯი ხარებმა სულ შექამეს სიმინდი. რანაირ ადგილს გააჩერე ურემი, ფალაგისკენ არ წავიდეთ?—მიძახა თებრომ.

— კერანდუხუ გამოაფხიზლა თებროს სიტყვებმა.

— ახლავე, ახლავე!—იყო პასუხი.—აშიო!—დაუძახა ხარებს და გასწია ფალაგისაკენ.

— დაანებე, შენი ჭირიმე, ბურგუ, მარგვლას თავი,—უთხრა მან დისწულს.—დღეს, ღვთის მადლით, მაგას კი მოერევიან, იმდენი მოვლენ. შენი საქმე დღეს მხოლოდ „წყურ-რგილიდგან“ წყლის მოტანა იქმნება. ჯერ აქ მოდი და ცეცხლის გაჩაღება მიშველე.

წვეული ნადები მოგროვდნენ და დაადგნენ მუშაობას. გაჩაღდა საქმე. თოხის პირების არეული მარჯვე ქნევა, სხაპასხუპით ბალახის კრა და ბელტების დაფხვიერება, თითქო ჰაერსაც უკვიროსო, სიოცკი არსაიდანა სცემდა, ფრინველნი სიმღერ-ჭიკჭიკით აქეზებდნენ მუშაკთა. სათოხნი ახლად მოსულ წვიმის-გამო საქმაოდ მჩატე სამუშაო იყო. მოწმენდილი ცა დაჰყურებდა გიშრის ფერ სიმინდს და გამხიარულებული მზე თითქო ულოცავდა სიმინდს მავნე ბალახისაგან განთავისუფლებას.

— აჰა, აჰა-ჰაა, ბიჭებო!—სძახებდა ხოლმე მუშებს გრძელ თეთრ წვერა მაღალი და მხიარული სახის გლეხი, რომელიც ნადის ერთ კიდზე იდგა, გამწარებით მუშაობდა, მალ-მალ იფურთხებოდა ხელის გულზე და იმარჯვებდა თოხის ტარს. ყველანი ბეჯითად ეკიდებოდნენ თავიანთ საქმეს. მალე ოფლი წამოადგათ შუბლზე და ზოლ-ზოლებად დაიწყო დენა მათს ლოყებზედ. როცა მუშები, ასე თუ ისე, მოიღალნენ, შეტეულს მუშაობას თავი დაანებეს და ნება-ნებად დაიწყო თოხმა ჩერკნა. მუსაიფი ვახშირდა. ზოგმა ცოტას ხნით დაანება თავი თოხს და ყალიონს დაუწყო წევა.

— წვიმა რომ არ მოსულიყო ამ რამოდენიმე დღის წინად, მე შენ გეტყვი, გაფუქდებოდა ჭირნახული,—დინჯად

შეპნიშნა ერთმა შავ-წვერა გლეხმა, რომელსაც ქვეის ღეროს ქული ეხურა ფართე-კალთებიანი.

— მართალია, ძმაო, — მიუგო ერთად რამდენმამე, — ერთი კვირა კიდევ არ მოსულაყო წვიმა, მერე აქ მოსელა არაფრად ეღირებოდა.

— გლეხის შველა მაინც არ არის, თუ გინდ ბევრიც მოგივიდეს მოსავალი. სიმინდს ფასი არა აქვს და გაჭირვება კი აი ამოტელაა აი, — გადაისვა თმაზე ხელი ერთმა ასე ოც და ხუთი წლის პირ-ხმელმა კაცმა.

— რა ვქნათ, ძმაო, — მიუგო, გვერდში მდგომმა პირ-მოპარსულმა, — ალბად ასეთი ყოფილა ჩვენი ბედი. — ერი, ბერი — სულ ყველა ჩვენი საჭიროა და ჩვენი მშველელი კი არავინ არ არის.

— როგორ თუ რა ვქნათ? განა ჩვენ სხვებივით ადამიანები არა ვართ? — შეჰყვირა პირ-ხმელმა.

— ვისი ბრალია, ნეტავი, ამდენი გადასახადის მოგროვება. ეს სულ ხელმწიფის კარის კაცების საქმე უნდა იყოს. ეშმაკობაა, თვითონ ჰამენ და მერე ხალხს ახთევენებენ. — სთქვა დინჯად პირ-მოპარსულმა.

— რაღა შორს მიდინარ, ოთხი წლის ფოშთა ჩვენ მამასახლისს შეუქამია და ახლა ნედლიმკათ უნდა დააწერონ სოფელსაო, ამბობენ, — ჩაურთო სიტყვა იმან, რომელსაც ჩალის ქული ეხურა.

— ყვე! — გაიკვირა ყველამ,

— გაუწყრა ღმერთი, ვინც არის, ჩვენ კი ლამის სული ამოგვაცალოს-და, — სთქვა გულის ტკივილით ერთმა მოხუცმა.

— ჩვენი გაჭირვება სულ ჩვენი ნაჩალიკის ბრალია, — წამოიძახა ჩალა-ჭილობ ქულიანმა, — ქურდობას ვერა კარგავს და იმიტომაა, რაც უბედურება გვჭირს. დაიკარგება რამე, მივრბივართ საძებნელად, ვცდებით შვიდ-რვა დღეს და გლეხისთვის საათის ვაცდენა ხომ ზარალია.

— მაინც როგორ გახშირდა ეს ქურდობა, შენი ჭირიმე! — უკვირდა პირ-მოპარსულსა. — უტუნას რას ერჩოდა ის კაცი?

ამბობენ, კაენა და ბუხუ იყვნენო, ხორგაში სამი ცხენი ისეთი მოუპარავთ, ჩემი სიძის ძმამ მომიტანა ამ წინაკვირას ამბავი, რომ თითო ოც-ოც თუმნად ღირდაო.

— ყულის კარშიაც სახლი გაუტეხიათო, — დაუმატა ერთმა პირ-ტიტველა ახალგაზდამ.

— ვისი, ნეტავი? — შეეკითხნენ აქეთ-იქიდან.

— რა ვიცი ვილაც ახალ-დასახლებული ნავაჭარი კაცი-სააო, ამბობდენ ზუგდიდში. ის კაციც დღეს ნაჩალიკთან არისო, მე კი არ მინახავს, მართალი უნდა მოგახსენოთ.

— ალბათ რამე ძვირფასი საქონელი ექმნებოდა, — ჩაილაპარაკა ზოგმა.

— ქონდაო, ამბობდენ, სულომანი და ბევრი ოქროულ-ლობაო.

— ჰააიტ! მერე არ იციან, ვინ იყვენ? — იკითხა პირ-მღპარსულმა.

— არ ვიცი, სწორედ, თაკილობდენ, ზოგი კაენას ასახელებდა, ზოგიც სხვას.

— სულ სისხლი გამიშრო ამ „უჩიტელის“ და კლასის ამბავმა, — გაბრაზებით გაერია ლაპარაკში ერთი ქალარა-მორეული გლეხი, რომელიც ამ დრომდე გაჩუმებული და ჩაფიქრებული იყო. — თუმანი მივეცი, სამი მანეთი კიდეც უნდა მოგვცეთ, კლასი უნდა შევღებოთო. მეტი არა ვარ, ღმერთმანი! — სთქვა და მარგვლა დროებით შეაჩერა. — ნეტავი მოგება მაინც რამე გამოდიოდეს. ოთხი წელიწადია ჩემი ბიჭი სწავლობს და ჯერ არაფერი არ იცის. მე რა ვიცი ცოდნის, მაგრამ ცხენის მოწმობას ვერ დასწერს, თემესუქს ვერ წაიკითხავს, დაწერას შენც დაანებე თავი; „კვიტანციას“ ვერ დასწერს, მაშ რად მინდა სწავლა. „პრაშტი-პრუშტო“ რალაცას ამბობს. აბა რას ამბობ, ბიჭო-მეთქი? ბავშვები ყინულზე მარხილით სრიალობენო, მითხრა, თავის დღეში არ მინახავს, დამიფარე, ღმერთო, მიწაში კომბოსტო ამოდისო, ესენი რად მინდა, მიწაში ამოვა კომბოსტო, მაშ. ცაში ხომ არ ამოვიდოდა. ცაში ვარსკვლავები ამოდიან. საწყალ კაჭუიას კლასში

არ უსწავლია, მაგრამ ის რომ არ ყოფილიყო, ჩვენ სოფელს შეველა არა ჰქონდა, რამე საწერი რომ გვექმნებოდა, სულ იმასთან მივბოდით, აცხოვნოს ღმერთმა. მაშ რა მასალაა შენი კლასი, ფულები კიდევ იმაზე რომ ვხარჯო უბრალოდ.

— სიმართლეა თამკოჩი შენი სიტყვები, მაგრამ ნამეტანი კი მოგვივიდა მუსაიფით. შეხედეთ, შუა დღეა და ჩვენ სამფრთა ხეირიანად ვერ აგვიტანია. სირცხვილია, ბიჭებო, ჰხედეთ მასპინძელი როგორ ცეცხლში იწვის სადილისთვის, აბა, ბიჭებო ჰა,—დასძახა ჭილობის ქუდიანმა. ელვის უმაღლესად ტრიალდა თოხები და ისევ გაცხარდა მუშაობა.

— არიქა, ბიჭებო, არიქა! ოღოია, ჩემო ძმაო, ოღოია, თორემ ცუდად არის საქმე! — ჩქარა ოღოიაც მოისმა. ასტყდა გრიალი მუშების სიმღერისა ქალაში. მათი შეწყობილი ხმა არემარეს ატკობდა და შორს, შორს, ბორცვების კიდეს მახლობლად წყდებოდა ხმა გუგუუნისა.

— კარგი, ბიჭებო. ახლა რამე ვქამოთ.—მორიდებულად, ჩიბუხით პირში მიითავაზა ნადები კერანდუხუმ, როცა მზემაც კარგა აიწია ჯა მუშების პერანგიც გაირეცხა ალაღის ოფლით.

დიდის მუხის ძირში გრძლად დაგებულ ხის ფოთლიან შტოებს მოუსხდნენ ხელ-დაბანილი ნადები და გემრიელად შეექცნენ ცხელ ღომს და შემწვარ „ბურაკს“. ისე მადიანად ილუკებოდნენ, რომ კაცს ძალა-უნებურად ჭამის მადა გაეხსნებოდა. ნასადილევს ზოგმა დაიძინა, ზოგმა მდინარეში იბანა და მერე ისევ ახალის ძალით შეუდგნენ მუშაობას. ყანა საღამომდე „გამოიყვანეს ღვარძლისაგან“. კერანდუხუმ სტუმრებს ვახშამიც კარგი გაუძარტა. ღვინო უფრო ორჯელ მეტი დააღლევინა. ნავახშმევს შეზარხოშებულები, მხრებზე თოხ-დაწყობილები სიმღერით და მხიარულებით წავიდ-წამოვიდნენ თავთავიანთ სახლებში.

მაიას მეცადინეობით და მეზობლებ-მოყვარე-ნათესავების შემწეობით უტუნა ორის კვირის შემდეგ ფეხზედ წამოღვა, თუმცა ჯერ-ჯერობით ხელს ძველებურად ვერა ჰხმარობდა. მა-

მასიხლისმა დროზე მოახდინა ჯეროვანი განკარგულება, მესამე დღესვე ოქმი შეადგინა, დაწვრილებით ასწერა მომხდარი გარემოება და მაზრის უფროსს გაუგზავნა. ოქმში, სხვათა შორის, მოიხსენია ხევის-თავეების მეუფროსის უთუთიას იმ ღამინდელი ქცევა და აგრედვე პატარა ბიჭის ჩვენებაც შიგ ჩასწერა. მაზრის უფროსი ვითომ-და ბეჯითად მოეკიდა საქმეს. ოქმის მიღებისათნავე მიუწერა ხევის-თავეების მეუფროსეს. დაუყოვნებლივ გამოცხადლი ჩემთანაო. უთუთია არ ეურჩა უფროსის ბრძანებას და გამოცხადდა მაზრის სამმართველოში.

მაზრის უფროსი თავის საკუთარ ოთახში იჯდა მდივანზედ, როცა უთუთია შევიდა. ოთახი შესაფერად იყო მოწყობილი. კედელს ვარაყიანი შპალერი ეკრა. კედლის ერთ კუთხის ზემო ნაწილში ეკიდა მაცხოვრის ხატი. მის ახლო ეკიდა კედლის საათი. უფროსს წინ ედგა მწვანე მაუდ-გადაკრული ღამაზი სტოლი და კუთხეში იდგა ვეებერთელა შკაფი, ცალკარ ნახევრად გაღებული, საიდგანაც წიგნები და ქალაღდები მოსჩანდა. თვითონ უფროსი წვერ-ულვაშ გათეთრებული იყო, მომრგვალო პირისახისა. არც გამხმარი, მაგრამ მსუქანიც არ დაერქმეოდა. ტანთ ეცვა სამხედრო მუნღირი, ხელში ნახევრად მოწეული პაპიროსი ეჭირა. უთუთიამ შესვლისათნავე მძიმედ თავი დაუკრა და გაჩერდა.

— უთუთიას გაუმარჯოს! დაბრძანდი, კაცო, — მიუთითა უფროსმა სელზე.

— ვიყო, ბატონო, სულ ერთია, თქვენთან ფეხზე დგომა თუ გვეღირსება, სხვა რა მინდა.

— არა, კაცო, დაბრძანდეთ, მიჩჩვენია. — უთუთია ფრთხილად დაეშვა სელზე.

— რა ამბავს იწერება, კაცო, თქვენი მიმასახლისი? ბუხუ და კაენა უთუთიას სახლში იყვნენო, უთუთიამ გლენის ცხენის მოპარვა ურჩიაო, ქურდებმა ცხენის წაყვანა რომ ვერ მოახერხეს, პატრონს რევოლვერი ესროლეს და სასიკვდილოდ დასჭრესო, — მდაბიურად მოუყვა უფროსი, ისეთის კილოთი, თითქო არაფერი საიმისო არა მომხდარა-რაო.

— უპ, უპ! ბატონო! მერე როგორ მოიგონებენ ამნაირ საკვირველებას ეგ ოჯახ-დაქცეულები. მე რა ღმერთი მიწყობა, რომ ვერაფერს მოვიგონებ,—მუხლზე ხელის დაკვრით და თავის ქნევით მიუგო უთუთიამ.—მერე, ბატონო, ისიც ჩვენი მამასახლისი, პ! იმისთანა კაცი, არათუ მამასახლისად, მოსამსახურედაც არ ვარგა. ვინ უთხრა ნეტავ ესენი? ჩემი მეძობლის პატარა ჩვიჩვილი მეთხე ბიჭი დაუჭერია და ჩამოკიდებია, უთუთიას სახლში რა ნახეო. ბიჭს, რასაკვირველია, შეშინებია. აბა, რა უნდა ეთქვა. თქვენი წყალობა თითო-ოროლა ცხენი ყოველთენ მყავს. ცხენები ვნახეო, უთქვამს ბიჭს. ისიც მიუქარავს, უთუთია, სოფელში ყვირილის დროს, არ ადგაო. შენ არ მომიკვდე, მაშინათვე ავდექი, შევიტყვე, რაეარც იყო საქმე, და ქურდებს გამოვედევნე, დაქრილის სახლში რომ მივსულიყავი, აბა, რა ექიმი ვიყავი? მართალია, მეორე დღეს ეკლესიაში მოლაპარაკება ჰქონდათ, მერე სასამართლოში მე არ დავსწრებივარ. ბავში უკანასკნელ მდგომარეობაში მყავდა და სენაკში წამლისათვის წავედი.

— რა ვიცი, შენ კი გაბრალებენ-და! თუმცა პატრის-მცემელი კაცი ხარ, მაგრამ საქმე გამოძიებელს უნდა გარდაეცე, —ცალის თვლით შეჰხედა უფროსმა და ფლიდურად ჩაიღიმა უღლაშებში.

— ისე, შენ არ გწყველი-და, ჩემმა ცოლ-შვილმა იხარა, როგორც მართალი მე იქიდან გამოვიდე, მაგრამ გაცდენა და საქმის ყიორი მეზარება. ცოლ-შვილიანი კაცი ვარ. არ მაყენებენ, თორემ შეჩვენებული ვიყო თუ „სულის“ სადგომში თავის დღეში შევსდგა ფეხი...

უფროსი გავიდა მეორე ოთახში. უთუთია გაშეშებული წამოდგა და ფერწასული იყურებოდა აქეთ-იქით. ცოტა ხნის შემდეგ შემოვიდა უფროსის მწერალი, გრძელ-წვერა, ლამაზად თმა-შეკრეპილი. მწერალს ყვითელი შალის ჩოხა ეცვა; მისი ფეხ-საცმელები ძალზედ ქრიჭინებდა. შემოსვლისათანავე მოცინარის სახით მისძახა უთუთიას:

— როგორ იზამ შენ საქმეზე. დღესვე გარდაცვთ გამოძიებელს?—მწერალი, თითქო რაღაცას ელისო, შიგ თვალეში ცურებით შორი-ახლო დაუდგა უთუთიას.

— რა ვქნა, კაცო, მირჩიე რამე, —ხვეწნითა და ვედრებით მიჰმართა უთუთიამ.

მწერალს გაცინა და თავი დააქნია. სახე ათასნაირად დაედრიჯა და თავდაღუნული უღვაშების გრებრთ დადიოდა ოთახში. რამდენისამე საათის შემდეგ უთუთია სიხარულით მიდიოდა შინ. მწერალი და უფროსი რაღაც წითელ ქალღლებს ერთი-ერთმანეთზედ აწყობდნენ.

— საქმის ასე ჰალა-ჰალად აგდებაც არ შეიძლება, —ბრძნულად შენიშნა უფროსმა, როცა ქალღლები შეინახეს. —უნდა დავამტკიცოთ, რომ მამასახლისი მტყუანია.

— დავამტკიცოთ, მერე ვერ დავამტკიცებთ? გაგონილა! ზუთი წლის ბაღანის ნათქვამი კაცმა საბუთად მიიღო. თვითონ უთუთიას შემოგატანინოთ საჩივარი, რომ მამასახლისმა უბრალოდ გალანძლა კეთილ-შობილი კაცი: ქურდობა და ავკაცების მასპინძლობა დააბრალო.

მართლაც ასე მოიქცნენ და, ერთის კვირის შემდეგ, მამასახლისი უჯაჭვოდ და უთუთია მხიარულად მიდიოდნენ შინ. „დამეხარჯა კია, მაგრამ, —გულს იკეთებდა უთუთია, —კაი მაგარ საქმეს ავცდი. გამომძიებელთან რომ გარდასულიყო, ტყავს გამაძრობდნენ და ვინ იცის, რას არ მიზამდნენ კიდევ.

რა არზები არ აწერინა უტუნამ, ვის არ სთხოვა სამართალი, მაგრამ ამაოდ ჩაიარა ყოველმა მისმა ცდამ.

— რა გიყოთ, შე დაქცეულო, —შეუტია ერთხელ უფროსის მწერალმა, როცა უტუნა არ ეშვებოდა და გულ-საწვავის სიტყვებით თავის თავ-გადასავალს უხატავდა, —კარგი, კაენა და ზუხუ იყენენ, თუ გინდა; წადი შენ დაიჭირე და ჩვენ ქირას მოგცემთ. რაც შეეხება უთუთიას, მან კანონის ძალით გაიმართლა თავი და ახლა როგორ ვქნათ. „ჩორთოზნაი“, ამისთანა არეულ საქმეებს!



— მე რისთვის უნდა დავიჭირო? — გულ-მაგრად მიუგო უტუნამ. — მე რომ ავაზაკების დაჭერა შემძლებოდა, „ნაჩალიკი“ ვიქმნებოდი. ნაჩალიკს იმიტომ აყენებენ, რომ იმან უნდა გვეწყეს-სოს ავკაცობისაგან.

— შენ, მგონია, ბიძია, ლაპარაკის მადაზე ხარ დღეს.

— მაშ რა ვქნა, რომ არ ვილაპარაკო, ჩემი გაჭირვება მალაპარაკებს.

— გადი აქედან-მეთქი, თორემ სალდათებს დაუფიქნებ, ეხ-ლავე! — შეჰყვირა მწერალმა.

აბა რას იზამდა საწყალი გაუსამართლებელი გლეხი, რომელიც ძლივს სუნთქავდა ავად-მყოფობის გამო? გამობრუნდა და შინ წამოვიდა, უსქდებოდა გული უბედურს, მაგრამ ვის რას შესჩივლებდა. უფრო ის ჰკლავდა, რომ ზოგიერთმა მე-ზობელმაც საყვედური დაუწყო.

— რა ცხენი გაგიჩნდა, შე კაცო, შენც აიშალე იმის გამოისობით. მამასახლისიც გააუბედურე, აგერ უთუთია, ხომ იცი, რა უბედური კაცია, უბრალოდ გადაიმტერე. „ახლა მე ვიციო, უთქვამს, — ჩემს გალანძღვას დაუჯდენ სოფელს ფასა-დაო. ხომ იცი, რა გავლენიანი კაცია! — ეუბნებოდნენ უიმისო-დაც გულ-დაწყვეტილ უტუნას მეზობლები.

გაიარა სამმა-ოთხმა თვემ ამის შემდეგ და ახალი ამბავი მოეფინა მრთელ მაზრას. ეს იყო გამოცვლა მაზრის უფროსისა. წარსულით დახარალებული, მომავალში მოელის შევლას და სიამოვნებით ეგებება მომავალს და კალთა-გაშფერილი შეჰყურებს: „ეგებ რამე მოწყალება მოიღოსო“. წარსულით მოგებული კი ექვშია, ვაი თუ მომავალმა მიმტყუნოს და ხიდი უდროვოდ და ულაგოდ ჩამიტყდესო.

ახალ მაზრის უფროსის დანიშვნას ზოგი აღტაცებით მოელოდა, ზოგს კი არ ექაშნიკა ეს ახალი ამბავი. „ვინ იცის, რა კაცია! — გაკვირვებით ამბობდა მეორე დასი. — „რუსიაო“, ამბობენ, ეგებ უბედური ვინმე გამოდგეს და ნემსის „ყუნწში“ გაგვაძვრინოს, მაგრამ, ვინ იცის, შეიძლება ტყუილიც იყოს, ხმები დადის, თორემ ნამდვილად მოწერილობა ხომ არავის მო-



სვლია ჯერე, — ინუგეშებდა თავს იგივე დასი. — ღმერთო! მოგვხედე, გვიშველეო! — ლოცულობდა მომავლის იმედით მეორე დასი.

ხმა ტყუილი არ გამოდგა. მაზრის უფროსი ერთ დღეს აიბარგა, ყოველივე საქმე თანაშემწეს ჩააბარა და მოშორდა ზუგდიდს. არ გასულა ერთი კვირა, ახალი უფროსი მოვიდა. მისის მობრძანების მეორე დღესვე სხვა-და-სხვა ჯურის ხალხი შემოეხვია მის სადგომს: ვაჭრები, მოხელეები, თავად-აზნაურობა, დაბალი ჩინოვნიკობა და გლეხები ერთმანეთს ეჯარებოდნენ მაზრის უფროსის პატარა ეზოში. აი გამოვიდა კიდევ დერეფანზე უფროსი და წარსდგა საზოგადოების წინაშე. ყველანი ახლო მივიდნენ. თავადიშვილები და გამოჩენილი კაცები აივანზედ ავიდნენ და თითო თითოდ გააცნეს თავი. უფროსმა ყველას სიამოვნებით ხელი ჩამოართვა. იგი იყო დაბალის ტანის კაცი, ქერა წვერ-ულვაშიანი. მისი პატარა, მაგრამ გამჭირიანი მოთეთრო თვალები ნევისივით ებნეოდა. შემჩნეულ საგანს. უფროსი ყველას თამამად მიესალმა და მოკლედ, მაგრამ მტკიცედ განმარტა თავისი მოვალეობა იმ თანამდებობაზედ, რომელიც უმაღლესმა მთაერობამ ჩააბარა. გაახსენა აგრეთვე საზოგადოებას, რა ტვირთია მაზრის უფროსის ტვირთი და როგორ უნდა იქცეოდეს მისი ხელქვეითი საზოგადოება, რომ მშვიდობიანი ცხოვრება დაიმკვიდროსო. „თქვენი ქვეყანაო, — დასძინა უფროსმა, — როგორც მცენარეულობა ამტკიცებს, სასამოთხე უნდა იყოს. ხალხსაც, რაც შეგეხებათ გარეგნობით, სწორედ ღირსია ედემის ცხოვრება ჰქონდესო, მაგრამ, საუბედუროდ, განათლების მხრივ ძალიან უკან ყოფილხართ ჯერე; მიზეზი ის სამარცხვინო ზნეა, რომელიც შეგპარვიათ და ქურობაში გამოცხადებულაო. ამიტომ თავს არ დაეზოგავ, რომ, რამდენაც შეიძლება, ეს ცუდი ჩვეულება მოვსპო თქვენ შორის და მით დავიცვა თქვენის ქვეყნის მყუდროობა, ხელი შევეწყო მრეწველობას და ზნეობის ამაღლებასო. უფროსის სიტყვებმა ზოგი ცას დასწია სიხარულით: „აი გვეშველა, ეს რაღაც სხვა ამბავიაო“, იფიქრეს ალაღ-მართლებმა. ზოგი კი მღა-

წყინა, მაგრამ ჯერ კიდევ მომავალს მიანდეს თვისი ბედი და უბედობა.

რა გავრცელდა სოფლებში ხმა ახალის უფროსის დანიშვნისა, მოაწყდა ხალხი ზუგდიდს, თითქმის ყველანი ქურდობისაგან იყვნენ დაზარალებულნი და უფროსსა სთხოვდნენ ამ უბედურებისაგან დაგვიფარეო. ახალი უფროსი, ტომით უცხოელი, სლავიანთა მოდგმისა მოსვლისათანავე და არზების განხილვისათანავე ბეჯითად შეუდგა საქმეს. არ გასულა სამი დღე, რომ მის კანცელარიაში შეიდასამდე არზა მოგროვდა. ამ არზების განხილვამ დაარწმუნა უფროსი, რომ მათი დაკმაყოფილება ზუგდიდში ჯდომით შეუძლებელი იყო. საჭირო იყო, ყველა სოფლები დაეარა და პირად შეეტყო ხალხის გაჭირვება, გამოეკვლია ყოველივე თავ-თავის ადგილას და მერე შეძლებისადაგვარად ღონისძიება აღმოეჩინა დაზარალებულთათვის ქვეყნის შემაწუხებელთ მოშორებით. არზებში სულ ბუხუსა და კაჟნას სახელი იხსენიებოდა. „ეს რა უბედურებაა,— დაეკითხა თავის საქმის-მწარმოებელს,—სულ კაჟნა და ბუხუზეა საჩივარი, ვინ არიან ეს კაჟნა და ბუხუ?“

— უჰ! გავარდნილი ყაჩაღები არიან,—წარბების აწევით მიუგო საქმის-მწარმოებელმა,—მათი დაჭერა ბატალიონსაც არ შეუძლიან.

— როგორ თუ ბატალიონსაც არ შეუძლიან. კარგად ვერ მოგიკიდიათ ხელი საქმისათვის, თორემ ორი კაცი რა გახდა ისეთი, რომ ვერ დაიჭირეთ და ქვეყანას აწიოკებინებთ?

— რას ბრძანებ, ბატონო? რამდენჯერ დაედევნა ბოქაული. სად გზა არ შეუკრა, სად არ დახედა ყაზახებით, მაგრამ მათი დაჭერა არ იქმნა. ტყვიის იმდენი ეშინიათ, რამდენიც ფოთლისა, თავს სასიკვდილოდ არა ჰზოგამენ და რა გახდება კაცი?!

— როგორ დავიჯერო, რომ მათი მორჯულება ვერ შესძლო აქაურმა მართებლობამ, თუ კი მოიქცა ისე, როგორც რიგი და წესი იყო. მათი ამგვარად გათამამება თქვენს დაუდევნელობას უნდა მივაწერო. მერე თავადისშვილებიც არიან-

და!—გაოცებით გადაჰხედა უფროსმა არზებს და მხარ აწევით წარმოსტკვა:—უჰ! უჰ! მეცხრამეტე საუკუნეა ვითომ აქაცა?!

როცა უფროსმა გადაათვალიერა არზები, მოეშადა სოფლებში სამოგზაუროდ. სხვათა შორის, იმ სოფელშიაც მივიდა, სადაც უტუნა და უთუთია მოსახლეობდნენ.

მამასახლისის თანაშემწემ წინა დღითვე შეატყობინა საზოგადოებას ახალის მაზრის უფროსის მობრძანება და დაავალა, რომ ყველანი საგლებო სამმართველოში მოგროვილიყვნენ. დანიშნულ დღეს იწყო ხალხმა გროვება სასამართლოს წინ. ყველას თვალები საზუგდიდე გზისაკენ ექირა, საიდგანაც უნდა მოსულიყო უფროსი. აი გამოჩნდნენ კიდევ შორიდან ცხენოსნები. ხალხი აირია. ცხენოსნები სასამართლოს შენობის ახლო ჩამოხდნენ; მათ ხალხი მიეგება ცხენის ჩამოსართმევად. უფროსი მოაჯირზე ავიდა, ხალხი ძირს შემოეხვია იქაურობას. ერთი-ერთმანეთს თავს ატეხდნენ. ვინც უკან მოხვდა, ფეხის თითებზე ღებოდა, რომ სახე მაინც დაენახა ახალის უფროსისა. უფროსს მოჰყავდა, ან უკეთ ვსოქვათ, ახლდნენ თარჯიმანი, გადამწერთაგანი, და რამდენიმე შეიარაღებული ყაზახი. სოფლის მამასახლისი (უთუთიასაგან დაყენებული) მოკრძალებით დადგა შორი-ახლოს. უფროსი მიუბრუნდა საზოგადოებას და სთხოვა გაჩუმებულიყვნენ. მერე თითო-თითოდ იკითხა საზოგადოების გაქირვება. გლებთაგან სულ ის ისმოდა, რომ ქურდობისაგან დაგვიფართო. ახალ მირთმეულ არზებშიაც ქურდობის მეტი არა იყო-რა. აქაც კაენა და ბუზუს სახელი ისმოდა. უფროსი რამდენსაჲე ხანს შეჩერდა და თავი გააქნია აქეთ-იქით. ამ დროს მოისმა რალაც არეულობის ხმა. ვილაც კაცი მოიწვედა ჯგუფად მდგომარე ხალხში და ჰყვიროდა:—გამიშვით, გამიშვითო.

—რა უნდა, გამოუშვით?—დაიძახა უფროსმა. ყველამ გზა დაუთმო და წარმოდგა უფროსის წინ ჯოხზე დაბჯენილი უტუნა. ერთ გვერდით უდგა ჩასქელებული მხარ-ბეჭიანი ბიჭი; ეს იყო ნამამასახლისსარი, მეორე მხრივ დადგა წაბლის ფერის წვერ-ულვაშიანი ვაჟკაცი, ეს იყო კერანდუბუ. ამათ წინ-წა-

მოდგომისათანავე მოისმა ხმა მოაჯირის კიბესთან: „ამათ კიდევ რა უნდათ ნეტავი, რას ეჩხირებიანო“; ეს იყო უაუთია.

— რა გნებავთ?—აღერსიანად დაეკითხა უფროსი უტუნას და თვალიერება დაუწყო, როცა წინ წამდგრებმა მძიმედ დაუკრეს თავი და ყაბალახ-მოხდილები უფროსის წინ გაჩერდნენ.

— მე ბატონო,—დაიწყო უტუნამ,—ერთი მუშა, ცოლ-შვილის პატრონი კაცი ვარ. რაც გავჩენილვარ, მას აქეთ არაფერი ცუდი საქმე არ ჩამიდენია. შეიძლება თავს გაბეზრებდე ამ ჩემი უზრდელი ლაპარაკით, მაგრამ იმედია თქვენი მფარველი თავი ყოვლისფერს მომიტყევებს.

— ნუ გეშინია, სთქვი, რაც გინდოდეს!—დაკვირვებით და ოდნავ მოცინარის სახით მიუგო უფროსმა. თარჯიმანს უბრძანა, რომ ყოველი მისი ნათქვამი სიტყვა-სიტყვით და სწორედ გადაეთარგმნა მისთვის. საზოგადოება სმენად გადაიქცა.

— მოგახსენებთ, ბატონო. როგორც მე, ისე მამა-ჩემიც ცუდი კაცი არ იყო. რაც ბატონ-ყმობა გავიდა და განთავისუფლდა (დოღმახორუ იყო საწყალი), მაშინათვე ცალკე დაესახლა. მას შემდეგ სასახლეში ფეხი არ შეუღვამს. მუშაობდა საქმი დღეებში, დადიოდა ეკლესიაში უქმ დღეებში. არავის არაფერს ართმევდა, უკანასკნელ ბუხსაც არ აწუნებდა. შვილები ბევრი გაუჩნდნენ, მაგრამ ღმერთმა არ ინება მათი სიცოცხლე: ჩემ გარდა ყველამ თქვენი ჭირი წაიღეს. სანამ ცოცხალი იყო, სულ სიმართლით და პატიოსნებით ცხოვრებას მისახელებდა. თავისი შრომა ღვაწლით გვარიანი ოჯახი დამიტოვა. ცოლი მაშინ ახალი შერთული მყავდა. ერთ ქარიან დღეს გამიწყრა ღმერთი, მოეკიდა ჩემ ოჯახს ცეცხლი და მტვრად იქცა. ასე გასინჯეთ, უკანასკნელი ქათამიც არ გადარჩენილა. ვიშრომეთ მე და ჩემმა საწყალმა ცოლმა და, როგორც იყო, ღვთის და კეთილის მეზობლების წყალობით, ისევ სული მოვიდგით. გარდასახადი ფულების „ნედლომკა“ ერთი გროში არ მემართა, გზის გასაკეთებლად ყველაზე ადრე მივდიოდი, ჩემი ერთი ბეწო ცუდი გული არავის ახსოვდა. რა

ნახეს ჩემთან შესაშურებელი? ერთ ღამეს დამეცენ ავაზაკები და, აი ბატონო, რა მიყვეს—გაიწოდა უტუნამ დაარტყნებულნი მკლავი—უმარგლავი ყანა პირ-აღმა დამირჩინეს. ჩემი წვრილი ცოლშვილი მაინც არ ენაღვლებოდა დაქცეულს? ცხენი მომეცია! ერთი ჩალა ცხენი პატარაობიდან გაზდილი მყავს, აბა, შენი ჭირიმე, რატომ მივცემდი? ვისი რა მემართა? მესროლეს ლივერი და, ა, ბატონო.—უტუნამ თავი ველარ შეიმაგრა და ცრემლები გადმოაფრქვია თვალებიდან. მერე ისევ შეიმაგრა თავი, თვალები მოიწმინდა და აღმური მოეკიდა პირისახეზე.—რა ვქნა, ბატონო, ქვეყანაზე სამართალი ვერ მოვძებნე. ზღაპარისა არ იყო: რომ ესთქვა, მამა მომიკვდებოდა, არა ესთქვა—დედა მომიკვდებოდა! ვთქვი რამე—უარესი დამემართა, გავჩუმდი—შემქამეს. ახლა კი არავისი არ მეშინია, რაც დამემართება, დამემართოს, მომკლა ამდენმა შიშმა. აი, შეხედეთ, ბატონო,—მიუთითა უთუთიაზე,—ის არის ჩემი დამლუბველი, ჩემი კი არა, მრთელი სოფლისა. იმან შემიჩინა ავაზაკები, თვითონ მის სახლში დადიან ისინი. ვის არ ვთხოვე, ვებვეწე; მახრის უფროსს ბუზი არ დაუფყენე კარზე, მაგრამ ყურადღება არავინ მომაქცია. ჩემი გულისათვის... აი ეს ბიჭი მამასახლისი იყო, „როგორ გაბედე, „ლაპორტი“ წარუდგინე „ნაჩალიკსაო“, გადააყენებია და ისეთივე ქურდი დააყენეს, როგორიც თვითონ არის. მუ სულ სიმართლეს გეუბნებით, ბატონო, და ჩემ სიტყვას, ვისაც გულ-ღვიძლი აქვს, ყველა გაიმეორებს, რადგან ყველასთან მიუძღვის ამას ცუდკაცობა.

უთუთიას მიწის ფერი დაედო. ტუჩები ძალა-უნებურად ზაზროდ აუბუტბუტდა. წვერებზე ხელი მოისვა, თვალები გააქყიტა და აქეთ-იქით მორცხვად და გაბრაზებით დაიწყა ყურება. უნდოდა ეთქვა რაღაცა, როცა უფროსმა მისკენ მიიხედა, მაგრამ ენა არ დაემორჩილა.

— შენ მამასახლისად იყავი?—ჰკითხა უფროსმა უტუნას გვერდით მდგომ ნამამასახლისარს.

— დიად, ბატონო, გთხოვთ, ერთი ორი სიტყვა მათქმე-ჯბნოთ.

— სთქვი.

— ჩვენ გაუნათლებელ ქვეყანას, სხვა უბედურებასთან ერთი უბედურებაც დაემართა. ეს ის გახლავთ, რომ თვალ-წინ ვხედავთ, რაც არის ჩვენი მავნებელი, შეგვიძლია მოვიშოროთ და ვერ მოგვიშორებია, რალაც შიშისა გამო. ნეტა ვისი გვე-შინია? ისევ ჩვენი თავისა. ჩვენში, მოგეხსენებათ, ქურდობაა. მისგან დასაფარებლად საზოგადოება ხევის-თავებს ირჩევს და მათ მეუფროსეს. თუ უნდათ იმათ დაიფარონ საზოგადოება ქურდობისაგან, თვითონ მართალი და პატიოსანი ხალხი უნდა იყვნენ. ნამდვილად კი ასე არ არის. ეს მაინც საზოგადოების სრული ნებაა, და ქურდობისაგან მფარველობის მაგივრად ხევის-თავებად და მათ უფროსებად ისევ ქურდებს ირჩევენ. მაგალითად, აი ის აზნაურიშვილი, რომელიც ახლა ამან დაასახელა, სულ ყველამ იცის, როგორც დღევანდელი დღე, რომ მართალი კაცი არ არის და მაინც იმას აყენებენ ხევის-თავების უფროსად და ხევის-თავებად იმის შეგირდებს. რასაკვირველია, საითაც ის ხელს დაუქნევს, ყველანი იქითკენ მიდიან, ამით არა თუ არ ისპობა ეს საძაგელი ჩვეულება, თან და თან მატულობს კიდევ. ლამის ქვეყანა გალატაკდეს. ამის სახლს რომ დაეცენ ის ავაზაკები, ცხადად შევიტყვეთ, რომ უთუთიას სახლში იყვნენ. მე, რასაკვირველია, ოქმი შევადგინე და მაზრის უფროსს გავუგზავნე. ეს რომ გაეგო, წასულიყო, თავი გაემართლებინა ქრთამით, მე დავებეზლებინე; მამასახლისობა ჩამომართვეს, ან კი ვცხუნდოდა?! ახლა კიდევ ყველგან იქადის, „დამაკათ ჯერე, მე თქვენ გიჩვენებთო“.

ხალხში გრიალი გაისმა, უმეტესობა მამასახლისის სიტყვებს ამოწმებდა.

— კარგი, ახლა თქვენ ჩუმად იყავით, — უთხრა უფროსმა უტუნას და ნამამასახლისიარს, რომელსაც გუსარიას ეძახდნენ. — მობრძანდით ახლა თქვენ, — მიუბრუნდა უფროსი უთუთიას. უთუთია წარსდგა უფროსის წინაშე და რალაცას თქმა დააპირა.

— არა, მომითმინე, — დაიძახა აჭარხლებულმა უფროსმა: — ამ კაცის სახე ამტკიცებს მის სიპართლეს და თქვენი სახე თქვენს

სიმტყუნეს. აი საზოგადოებაც. თქვენგან არავითარს თავის გამართლებას არ მივიღებ. მე სხვა-და-სხვა არა ვარ, თუ სხვასთან გითამაშნია, ის გეყოფა, და ჩემთან თამაშობისა რა მოგახსენო. მოკლედ გეუბნები და მტკიცედ: „თუ ამ ორის კვირის განმავლობაში, იმ ორ ავაზაკს, რომელთაც მრთელი ქვეყანა შეუწუხებიათ, არ მომიყვან, იცოდე, როგორც პატიოსანი კაცი, ისე გეუბნები, სამშობლოს საუკუნოდ გამოგასალმებ.“

— მომითმინეთ, ბატონო!—ხვეწნით და გულზე ხელის დადებით შეევედრა უთუთია.

— აპაპა, სუ! რაც ვსთქვი ვსთქვი, ან შენვე გაასწორე შენი შეცდომა, ან მიბძანდი, სადაც შენისთანების ადგილია. აბა, თუ სინილისი შეგზრჩენია, შეპხედე ამ ფერ-მიხდილ და ხელაკრულ კაცს. ამას ჭამა არ უნდა? ცხოვრება არ უნდა? ცოლ-შვილის რჩენა არ უნდა? შენ ხომ გესიამოვნება უღარდელი ცხოვრება? განა ისიც შენისთანა კაცი არ არის? შენისთანა გული და სული არა აქვს?

— შენ კი,—მიუბრუნდა უფროსი უტუნას:—ამის შემდეგ თუ ვინმემ შეგაწუხოს, პირდაპირ ჩემთან მოდი. არზა არავის დააწერინო, როგორც დღეს, ისე პირად მელაპარაკე, რაც გინდოდღეს.

— ახლა შენ მოდი აქა,—მიუბრუნდა უფროსი გუსარიას:—გსურთ ეს ისევ მამასახლისად?—დაეკითხა ხალხს. საზოგადოებამ ერთბაშად თანხმობა გამოუცხადა. უფროსმა ჯაჭვი თავის ხელით გადაჰკიდა გუსარიას. მერე მიუბრუნდა საზოგადოებას, ბევრი უქადაგა, განსაკუთრებით ქურდობის წინააღმდეგ, განიხილა სხვა საქმეებიც და დაბრუნდა უკან.

## XV

ცოცხალ-მკვდარი დაბრუნდა უთუთია შინ. ცოლი შეეკითხა:—რა მიზეზია, რომ აგრე აღშფოთებული ხარო. იმას ეგონა, დღეს უფროსი მობრძანდება, ჩემი ქმარი ხვეის-თავების მეუფროსეა, ქებას მიიღებს და გახარებული დამიბრუნდებაო.



უთუთიამ პასუხის მაგივრად დაღრეჯით დაუქნია ხელი. მაშინაღვე ცხენი გამოიყვანა, მოადგა უნაგირი და უნძრახად გავიდა ეზოდან. რა ნაირ არ ეხვეწა ცოლი, ხმა ამოიღეო, მაგრამ უთუთიამ ყურადღება არ მიაქცია.

დაღამდა კიდეც. უთუთია მიდიოდა უგზო-უკვლოდ. „ვაი დასწყევლა ღმერთმა, — ფიქრობდა, — როგორ გვიმტყუნა ბედმა. როცა შევიტყვე ამ ძაღლის დანიშვნის ამბავი, მაშინათვე ეკალივით მეცა გულში. ტანმა მიგრძნო, რაც იქმნებოდა. მისგან, იმნაირად მითხრა, ტყუილი და პირის გამტყუნება არ იქმნება, არც სხვა რამე ხერხი გამიევა. ნამდვილად გამომასალმებს აქაურ არე-მარცხს, თუ არ ავასრულებ, რაც მითხრა. ეს მუდრეგი ვინმე იქმნება გადმოვარდნილი. სხვა გზა არ არის, უნდა ვუღალატო ბიჭებს. ძნელი კია. მერე ვის? აღმასხანის შვილს. ვაი უბედურებავ, დაიღუპა ჩვენი ქვეყანა. დაგვეკარგა პატივის-ცემა. თავად-აზნაური გლეხს გაუსწორეს. უტუნა „ნადოღმანორუ“ ამას მიშობა, სხვა რას მიზამს. ჯანი გავარდეს, მეც კაენა და ბუხუს შევეუერთდები და წავალ სათათრეთში, მაგრამ ცოლ-შვილი? რა ცუდ-მდგომარეობაში ვარ! ქე მინც მერე არაფერს მიზამდეს ოჯახ-დაქცეული!

ამნაირი ფიქრები ესეოდა უთუთიას გონებას. დრო გამოშვებით, როცა გონს მოვიდოდა, ჯავრს ალაღ-მართალ ცხენზედ ჰყრილობდა მწარე მათრახის ცეით. უგზო-უკვლოდ ტყეში სიარულით ცხენი ქაფში გასურდა. უთუთიამ თითქო გამოიღვიძა. ცხენიდან ჩამოხტა, დააბა და თვითონ ხის ძირში ჩამოჯდა. დაღალული ცხენი მწარედ ეჯიჯგნებოდა ხის ტოტებს. უთუთიამ ჰაპიროსს მოუყიდა, თავი ხეზედ მისდვა და მიეძინა. როცა თვალები გააჭყიტა, გათენებულიყო კიდეცა. ხის ფოთლები ანკარა ნამს გადაერეცხა. ნისლი ალაგ-ალაგ სქლად მოგროვებულიყო. ცხენს აღვირისთვის მოეშვა და შორი-ანლო გვიმრას სქამდა ხარბად. უთუთიამ საჩქაროდ თვალეები მოიწმინდა, თავზე ხელი გადაისვა და ცხენისკენ გაექანა. დაადგა გზას. ცოტა თავის ტკივილიც იგრძნო. თავის ტკივილმა თან-და-თან უმატა. „ალბათ წუხელ გავცივდი და ეს



არის მიზეზი თავის ტკივილისაო“, — ფიქრობდა უთუთია გზა-და-გზა, — მაგრამ სად მივდივარ ახლა. თუ გინდა გამიფუჭებია სინილისი და მილალატნია ბიჭებისათვის, როგორ უნდა მოვახერხო საქმე, განა ისინი თავიანთ ნებით წამომყვებიან „ნაჩალიკთან“? ბევრი იფიქრა უთუთიამ და ბოლოს შემდეგი დაასკვნა: „ჯობია ისევ უფროსთან მივიდე და ვთხოვო, რომ ბოქაული მაინც დამიმარაგოს ჩუმად, რომელიმე ღელეს პირად, რომ ისინი იქ გავიყვანო და ხელში მივცე“. მცირე სადილობას რომ იტყვიან, სწორედ ის დრო იქნებოდა, როცა უთუთია ზუგდიდს მიუახლოვდა. პარასკევი დღე იყო. ამიტომ მრავალი ქალი და კაცი მოდიოდა ზუგდიდში სავაჭროდ. ზოგს სხვა-და-სხვა ხელ-ნაქსოვი შალისა და აბრეშუმისა მოჰქონდა გასაყიდად, ზოგს სხვა-და-სხვა სანოვაგე, ზოგს ხილი და სხვ. ზოგი ამაყად ცხენზედ შემჯდარიყო და თავ-მომწონედ მოათობარიკებდა. უთუთია შევიდა შუა ბაზარში, ანუ როგორც ეძახიან „საბერალოში“. საბერალო ხალხით იყო სავსე. ფოთლებით დაბურული, მწკრივად დარგული ქანდრის და აკაციის ხეები და მათი მოლიანდაგე მოჩანჩქარე ანკარა წყარო და იქვე მოვაჭრე ქალ-ვაჟების გროვა, მოწმენდილ ცასთან შეერთებით, მშვენიერ სურათს წარმოადგენდა. ფხკ, ფხკ, ფხკ, გაჰქონდა ფხაკუნის თიხის ჭურჭელს, რომელსაც მეჭურჭლე წკნელს სცემდა, რომ ჭურჭლის სიმაგრე ეჩვენებინა მეშტრისათვის. „რა ღირს, დია, შენი ყველი“? — ეკითხებოდნენ სხვა-და-სხვანი ლამაზად ჩაცმულ გოგოებს, რომლებიც ბამბასავით თეთრ-სულიგუნებს, წმიდა ხელსახოცზე დაწყობილს, გვერდით უხსდნენ.

— აბაზი, ბატონო!

— ო! ძვირია.

— ბიჭო, მსხალი და კიტრი რომ მოგიტანია, ქინაქინა მოგაქვს თუ არა? — ეხუმრებოდნენ დაბელი ბიჭები სოფელელ ბიჭებს.

— აბა, ბატკანი, ბატკანი იაფათ! გაიყიდა, აღარ დარჩა! — გაისმოდა ერთ მხრივ.

— სიმინდი აქეთ, ძმობილო, მოყვარევ, გამზრდელი, ძმაო! ძმაო, აქეთ სიმინდი, მართალი სასწორი მაქვს! — უძახდა მეორე სიმინდით დატვირთულ ცხენიან გლეხს.

— არა, გატყუებს, მაზანდა ჩემთან მეტია ორი კაპეკით.

— არა, ძმობილო, არ დაუჯერო. მაგრამ გლეხი არც ერთს არ აქცევდა ყურადღებას, იმისი ფიქრი მხოლოდ ის იყო, რომ ცხენი დაფთხა ხალხის დანახვით და სიარულს უკლო, გლეხი აღვირს ძალად ეზიდებოდა და ცხენს უჯავრდებოდა. რაც შეეხება სიმინდის გაყიდვას, მან იქაური ამბავი კარგად იცოდა. აღრევე იყო გარიგებული ნაცნობ მესიმინდესთან, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ არ მოატყუებდა. „შლიაპატურნურებსაც“ არ იყო მოკლებული ეს ბედნიერი დღე. გრილ საამო შუქიან „ბულვარზე“ ჭრელ-ჭრელ ახალ-მოდის ქოლგებით მოსჩანდნენ განათლებულ კაცების შვილები? იქვე ჰნახავდით „სერთუკიან კაელოებს“, გახამებულ პერანგებით და ლამაზის ჯოხებით ხელში.

მედუქნების, განსაკუთრებით მეფართლეების ბენეფისი იყო იმ დღეს. ისეთ მეფართლეს ვერ ჰნახავდი, რომ რამდენიმე მოვაჭრე ქალი არ გაგერჩია მის დუქანში.

— ღმერთი, რჯული! ნაკლებად არ მოვა, მოსკოვიდან მოგეიტანია! — კბილის ღრეკით და თავის დახრით ეფიცებოდნენ კოხტა ჩოხებში გამოჭიმული დახლიდრები ახალგაზდა მუშტრებს. — გახუნება როგორ შეიძლება, განა ურიები ვართ, რომ ხუნი საქონელი ვყიდოთ? სხვაგან ნაკლებათ ვერ იშონით, პატროსნებას გეფიცებით. თქვენი ხათრი, ჰა, ორი შაურიც დამიკლია. ეს მოგიკვდეს, თუ ნაკლებად გავყიდო, აქ რომ დაღპეს მაინც. დადა! მობრძანდით. შვიდი სახარება გამიწყრეს, თუ შვიდ შაურად აქეთ არ იყოს ნაყიდი! — მოვაჭრე ქალები ამდენ დახლიდრის ჩიჩინით გაოგნებულები, მხოლოდ ხანდისხან ტუჩებს ჰკუმეიდნენ. ეტყობოდა, გამოცდილნი და მიჩეულნი იყვნენ ვაჭრების ფიცს. თუ ბევრი ვაი-ვუის შემდეგ დაეთანხმებოდნენ ერთმანეთს, თვალეზ-გაბრწყინებული დახლიდრები აიღებდნენ ხელში არშინს, „მშვიდობაში“ ბედნიერე-

ბაში“-ო დასძახებდნენ და სწრაფად გაჰზომავდნენ რამდენსამე არშინს. „ჰა, ესეც მომიმატებია“. გადახვეის დროს პირს ათას-ნაირად დაღრეჯდნენ, თითქო ძლიერ მგარია და გაგვიქირდა გადახვეაო.

უთუთია ისე შევიდა ბაზარში, რომ არაფერს ჰხედავდა და არც არაფერი ესმოდა. მხოლოდ უფროსი და იმისი კანცელარია ელანდებოდა თვალ-წინ. მხოლოდ უფროსის სახელი ეხატებოდა. უთუთია უფროსის ეზოში შესვლისათანავე ცხენიდან ჩამოხდა, ეზოს მესერზე გადაუგდო აღვირი და შიგ შევიდა. ბელზე, შესვლისათანავე უფროსი შეხვდა. უფროსმა იცნო უთუთია და თავის დაკვრის უმალ შეეკითხა:—რა ჰქენიო. უთუთია მოწიწებით დადგა უფროსის წინაშე და მოახსენა:—ბატონო, თქვენი ნების აღმსრულებელი ვარ, მაგრამ თქვენც უნდა მომცეთ რამე შემწეობა, ბოქაული უნდა გამომაყოლოთ.

უფროსს პირისახეზე ღიმიე გადაჰკრა, თვალეზი გაუბრწყინდა.—მე ნურაფერს მკითხავ მაგ საქმეში. მხოლოდ ორის კვირის განმავლობაში, სწორედ ორის კვირის განმავლობაში ორივე ავაზაკი ხელში უნდა მყავდეს. წადი, თუ გინდა, ბოქაულთან და, როგორც გინდათ, ისე მოიქეცით.

უთუთიამ მოწიწებით თავი დაუკრა უფროსს და გასწია ბოქაულისაკენ. ბოქაულს გაეხარდა, ავაზაკების დაქერას მე მომაწერენ და ჯილდოს მომცემენო. უთუთიამა და ბოქაულმა ბევრი ითათბირეს და ბოლოს გადასწყვიტეს, რომ ბოქაული ერთ ტყიან ღელეს პირად დამარაგებულებოდა ყაზახებით. უთუთია გამოატარებდა ამ გზით ავაზაკებს. თვითონ მე წინ წამოვალ და განიშნებ მით, რომ ცხენს მათარახს შემოვკრავო. მისთვის ხელი არ უნდა ეხლოთ, ვითომ გაგვექეცითო და ორი დანარჩენი კი უნდა გაეთოკნათ.

კაჟნამ და ბუხუმ ცხენები კარგ ფასად გაჰყიდეს. ორი რჩეული ცხენი კი თითონ დანარჩუნეს. მერე ნათესავეების და ნაცნობების ნახვას მიჰყვეს ხელი. არავის უცხადებდნენ თავიანთ სურვილს. იმდენად მიეჩვივნენ ნათესავეებთან ღებინ-ქეიფს,

რომ თავიანთი მოაზრება თითქო გადაავიწყდათო. ასე გასტანა დრომ ახალ უფროსის მოსვლამდე. რა შეიტყეს ახალი უფროსის მოსვლა და ჯერ კიდევ ვითომ ჭორები მისის სასტიკობის შესახებ, ორივენი საჩქაროდ შეუდგნენ მზადებას. საუბედუროდ, ნაშოვარი ფული დაჰხარჯოდათ. საჭირო იყო მაგიერის მოპოება. მაგრამ როგორ? ჯერ იმ უწინდელის შოვნაზე რამდენი უბედურება გამოიარეს და ახლა ფული არაგვისთან ეგულებოდათ. სესხადაც აიღებდნენ, თუ ვინმე მისცემდა, მაგრამ აფხაზეთში, სადაც „ურიობას“ სუსტადა აქვს ფესვი გამდგარი, ფულს ვინ მისცემდა? საჭირო იყო ჩვეულებრივი ხერხი, მაგრამ იმდენი დრო არა ჰქონდათ. ახლის უფროსის ეშინოდათ. უთუთიას ბედზე მისი ამბავი არ იყო ჯერ მათ ყურამდის მისული. დიდს გაჭირვებაში კი იყვნენ იმ ხანად. ყოველ საათს, ყოველ წუთს ანგარიშობდნენ, თათბირობდნენ, რომ როგორმე გაეხწიათ საზღვარ გარედ. ამ ჯავრით ჩანთქმულნი მიდიოდნენ ისინი უგზო-უკვლოდ და მოულოდნელად უთუთიას კი შეხვდნენ. ძნელი წარმოსადგენია ის სიხარული, რომელიც იგრძნეს მის დანახვაზე. ბუხუს თავისი მამა რომ ენახა, ისე არ გაუხარდებოდა. უთუთიას კი მათს დანახვაზე და მათს ალერსზე სისხლი გაუშრა, გულმა ცემა დაუწყაო. ყოველ მათს მიალერსებაზედ თავში დაჰკრაედა ზარს და ფეხებამდე გავიდოდა. თუმცა პირით იცინოდა, ძველებურად სიამოვნებით ხუმრობდა, მაგრამ მაინც ამ ძალა-უნებურად დაშულულ პირმოთნეობაში ყოველივე ნათლად სჩანდა, თუ კაცი დააკვირდებოდა უთუთიას პირისახეს და მისის თვალების მეტყველებას. კაქნა და ბუხუ უთუთიას ნახვით გახარებულები ვერაფერს არჩევდნენ მის პირისახეზე, გარდა სიხარულისა და მეგობრობისა, რადგან თვითონ ამ ნაირის გრძნობით იყვნენ გამსჭვალულნი.

კაქნამ და ბუხუმ ყოველივე უამბეს უთუთიას.

— შევცდით, უთუთია, რომ მაშინათვე არ წავედით სათათრეთში. ვერ მოვშორდით ნათესავებსა და მეგობრებს. შენმა ნახვამ კი ახლა გული ცოტად შეგვიმაგრა. უნდა მოგვეხმარო

რამე. შევიტყვეთ, რომ უანგარიშო არზებია ჩვენზე მისული. უფროსიც მეტი სასტიკიაო. ვინც გინდა იყოს, ადვილად თავს არ დაეანებებთ, მაგრამ ლალატის გვეშინია, ხომ იცი ქვეყანაზე ნდობა არ არის.

ამის გაგონებაზე უთუთიას ერთ წუთს თვალები დაუბნელდა, სახე გაულურჯდა. კაენამ შეამჩნია ამ ნაირი ცვლილება და ეცა ცხენიდან უკვე ჩამოსავარდნად გადმოშვებულ უთუთიას.

— რაა, შენი ჭირიმე, უთუ? რა დაგემართა, შე კაცო! — ბუბუმ საჩქაროდ წყალი მოარბენინა მათართ და შეასხა პირისახეზე. ბევრს ეცადნენ ორივენი და, როგორც იყო, მოაბრუნეს. უთუთიამ თვალები გაახილა, თავი შეიმავრა და ზეზე წამოდგა.

— უჰ! რა დამემართა, ეს რჯულ-ძალი!

— რა იყო, შე კაცო? — შეეკითხნენ ორივენი.

— კაცო, წუბელ მინდორში მეძინა, ცხენს ვწყემსიდი და იქ ალბად ვავცივდი. დღეს დილით საშინელი თავის ტკივილი ამყვა. ახლა თითქო ტყვია მომხვდაო, უცბად გული წამივიდა.

— აი, შეხედე, გაციებულხარ! რამდენჯერ მითქვამს, — მივალერსა შიშისაგან სიხარულში შესული კაენა: — კაცო, ღვითთ არაფერი გიშავს. მოჯამაგირე გყავს და რა ჯინია შენ შენი ხელით არ გააკეთო ყოველისფერი.

უთუთია სრულებით მოსულიერდა, მზე ჩასულიყო კიდევ.

— სუბუმში უნდა წავსულიყავი, — უთხრა უთუთიამ, — მაგრამ თქვენმა მდგომარეობამ შემაცვლევინა აზრი. აქეთ, ანაკლიის ახლო, ერთი ბერძენი სიმინდს ჰყიდის. ფული სწორედ იქნება და არა უშავს-რა თუ იდროვებთ. მერე სათურქოში წასვლა გაგიადვილდებათ. ახალი უფროსი, რომ ამბობენ, იმდენი არაფერია, მაგრამ მაინც ჯობია თქვენთვის, თუ დროებით თავს დაანებებთ ამათ. მერე როცა დაავიწყდება ყველას თქვენი ამბავი, როცა გული ცოტად თუ ბევრად მოურბილდებათ, შეგიძლიათ დაბრუნდეთ, ცოლი შეირთოთ და იცხოვროთ. სულ მარტო-

ხელობა ხომ არ იქმნება... იმ ბერძნის სახლში ამაღამ არ გირჩევთ წასვლას. ამაღამ ვერ მივალთ, შინ არის, ხვალ დილით, როგორც შევიტყვე, სტამბოლში წასვლას აპირობს და შინ საშიშს არავის ტოვებს. თქვენ ამაღამ საღამე აქ ღამე გაათენეთ, და მე ხვალ ამავე დროს, აი იმ მუხასთან მოვალ, თან უფრო კარგად შევიტყობ საქმეს.

კაქნა და ბუხუ მხიარულად შევიდნენ ტყეში, უფრო საიდუმლო ადგილას და იქ დააპირეს ღამის გათენება. ვახშმად კაქნამ ერთი მოზვერი მოიყვანა მინდვრიდან და მისი მსუქანი სუკები, რამდენისამე ხნის შემდეგ ღამაზად შიშხინებდა გაჩაღებულ ცეცხლზე.

უთუთია ცოცხალ ტყუილებს ამბობდა და გულში დაუშრეტელი ცეცხლი უგურგურებდა. ბოლოს, დაფიქრდა, შუბლზე ხელი გადაისვა, ერთი სამიოდეჯერ გადააფურთხა, თავი დაიქნია და სთქვა: „მაღლობა ღმერთს, ჩემი ბედი ასეთი ყოფილა“ და გაუდგა გზას. იმ ღამესვე მოვლაპარაკა ბოქაულის და მეორე ღამეს შინ არ წასულა, ისე წამოვიდა დანიშნულ მუხისაკენ.

დაღამდა. გობის ტოლა მთვარემ ზღაზნით ამოჰყო თავი და ნელ-ნელ გაჰვანტა მოცინარი სახით თავისი მკრთალი სხივები. ვარსკვლავები თავიანთ მღვდელ-მთავარს საგარეო ტანი-სამოსით მიესალმნენ და თავ-თავის საქმეს დაადგნენ. აქა-იქ გაფანტულ ღრუბლებს თითქო შერცხვათ ცის ბრწყინვალეობისაო, მიიმალ-მოიმალნენ, მხოლოდ ცოტაოდენი თხელი ჯინიანი ღრუბელი უბოდიშოდ დაეცა ბრწყინვალე მთვარეს და რამდენსამე წამს სრული სინათლე დაუკარგა. დარბაისელი მთვარე არ გაფიცდა ლირფის ღრუბელის შეურაცხ-ყოფითა. ნელ-ნელა მოიშორა ღრუბელი და ბოლოს მისი კვალიც გააქრო. აიწია მთვარემ ზევით, განათლდა მინდვრები. სამაგიეროდ, ტყისა და მთების ცალი გვერდი ჯოჯოხეთივით დაბნელდა. სოფლებში ივახშმეს კიდევ და დღისით მუშაობისაგან დაღლილები მოსვენებას მიეცნენ. მხოლოდ ოჯახის ერთგულ ყარაულ ძაღლებს არ შეუწყვეტიათ მოუსვენარი ყეფა. საწყალი ძაღ-

ლები, უბრალო ფოთლის დაშრიალებზედაც ერთ ვაი-უის ასტეხენ ხოლმე და ყვირილით მირბიან. უგზო-უკვლოდ. ადამიანისთვის თავს არა ჰზოკავენ. სოფლელები კი ორიოდ ნაცრიან ლუკმას გადაუგდებენ ნასადილ-ნაფახშმევს და „შაბაშ“! ასე უმასპინძლდებიან სოფლელები ერთგულ დარაჯებს. ქალაქელები კი ორგულ, ზანტ და მუქთა-ხორა ძაღლებს საპნით ბანენ და ხავერდის ბალიშებზე აწვენენ. ორივენი სცდებიან, როგორც სოფლელები, ისე ქალაქელები. პირველები გამრჯელს უპატიურად ეკიდებიან, მეორენი უქმ-მკონარეებს პატივსა სცემენ. ეს ასეა, მაგრამ სოფლელები ძაღლები მაინც არ იტეხენ გულს, სულგრძელობენ. მათი სულგრძელობა ხანდისხან სულგრძელობის მოღალადეთა სულ-გრძელობას სჭარბობს. აი ამ მთვარიან ღამესაც ერთი უშველელებელი გრიალი გაისმის ძაღლებისა. ძაღლების ყეფას მოჩანჩქარე ღელე ზილს ეუბნება, რომ მიძინებულ ბუნებას ტკბილი ნანა უმღეროს. მიდის დრო ამნაირად. უეცრად მოისმა არეული ფენის ხმა ცხენებისა, ჩუმი ლაპარაკი და ნელი მათრახის ტკაცუნა. ეს გახლდათ ბოქაული ყაზახებოთ.

— აქ სწორედ მოხერხებული ადგილია! — მოისმა ბოქაულის ხმა. — აქედან სოფელიც ახლოა. უყურეთ, ძაღლების ყეფა რარიგად მოისმის. ვინიცობაა, გაგვექცენ, სოფელსაც მოვიშველიებთ. კარგია კიდეც ეს ადგილი იმით, რომ აქ ღელეს პირად ხშირი ბზის ჩირვებისა გამო ბნელა. მინდორში კი აქედან ნემსსაც იპოვნი. როცა ისინი მინდვრის თავში გაჩნდებიან, აქედან მაშინაღვე დავინახავთ, თითქმის სახესაც გავარჩევთ.

— სულ მართალია თქვენი ბრძანება, თქვენო მაღალკეთილშობილებაე. — მიუგეს ყაზახებმა. ყაზახების პასუხი მორიდებითა და მორჩილებით იყო საესე, მაგრამ ბოქაულს მაინც არ ესიამოვნა ასეთი პასუხი. „როგორ თუ მაღალკეთილშობილებას მიბედავენ! თუმცა ჩინით ტიტულიარნი ვარ, მაგრამ ჩამომავლობა სთქვი-და! — ჰფიქრობდა ბოქაული. — პაპა-ჩემი დედინანის პირველი ვეზირი ყოფილა და ესენი კი მაღალკეთილშობილებას გაიძახიან“.



— Ну, смирно! — დაიყვირა ცოტა გაჯავრებით ბოქაულმა.

— Какъ прикажете, ваше высоко-благородіе, — საფეთქელთან ხელის მიდებით დაილაპარაკეს ყახახებმა. ბოქაულმა ცხენებიდან ჩამოხდობა ბრძანა. ყველანი ჩამოხდნენ და ცხენები მოშორებით დააბეს ბზის ბუჩქებში. თვითონ კი ყველანი ღელეს გაღმა-გამოღმა ჩასაფრდნენ თოფებით ხელში.

შუა ღამეა. მინდვრის თავზე მართლაც გამოჩნდნენ სამი ცხენოსანი. ბოქაულმა მართალი სთქვა. აქედან მათი გარჩევა ადვილი იყო. ისინი კი ჩასაფრებულთ სიბნელისა გამო ვერა ჰხედავდნენ. როცა უთუთია მიუახლოვდა დანიშნულ ღელეს და შემოჰკრა ცხენს მათრახი, კაენა და ბუხუმაც მათრახები გაჰკრეს თავიანთ ცხენებსა. უთუთიამ უსწრო წინ რამდენისამე ნაბიჯით და ღელეში შხაპუნით გადაადგო ცხენი. ამ ღროს გავარდა თოფი. თოფი გაისროლა თვით ბოქაულმა შესაშინებლად. უთუთია თვალის გახამხამებაში გავარდა გაღმა და გაუღდა გზას. კაენა და ბუხუ ერთ წუთს თითქო გონს ვერ მოვიდნენ. მერე ამათაც ჰკრეს ცხენს ქუსლი და ჩაადგეს ღელეში. მოისმა რამდენისამე თოფის ხმა.

— აჰა-ჰაიტ, უთუთია! სადა ხარ? ვიცი ახლა ყოვლისფერი! — მიაყვირა კაენამ, იძრო დამბაჩა, შეაყენა ფეხზე და გაისროლა იქითკენ, საიდანაც თოფების ხმა ისმოდა.

— უ, უ... — მოისმა ხმა წუხილისა და ისევ მისწყდა სიბნელეში: ბუხუსაც უნდოდა დამბაჩა დაეცალა, მაგრამ კაენამ დაუშალა.

— მაშ როგორ ვქნათ, ბიჭო? — დაეკითხა ბუხუ.

— რას იზამ? ვცადოთ გაქცევა, — ჩუმად ჩაილაპარაკა კაენამ.

ამ ღროს ისევ იგრიალა თოფმა. მოუქნიეს მათრახები ორთავემ ცხენებს, ბუხუ ღელეში გავიდა, მაგრამ კაენას ცხენმა ადგილიდან ფეხი არ დასძრა.

— რამ გავაჩერა, ბიჭო? — მოსძახა ბუხუმ.

— ცხენი წინ ნაბიჯს არ შობა. — ამის თქმაზედ ჩაწვა კიდევ ცხენი ღელეში.



— წაიქცა კიდევ ეს ყორნის თია. უთუ, შენ ქენი ესა!  
ა! — ბუხუ ისევ მობრუნდა. კაენაც სწრაფად გადახტა წაქცეულ  
ცხენიდან და მიეგება. ის-იყო კაენა ბუხუს ცხენზე შეჯდო-  
მას აპირობდა, ახტა კიდევ, რომ რამდენმამე ხელმა ძირს ჩა-  
მოაგდო. კაენამ იშიშვლა ხმალი. იელვა რკინამ ბნელ ღამეში.  
ხელები მოაშორეს.

— გამაგრდი, ბიჭო! — მიაძახა ბუხუმ და ჩამოხტა ცხენი-  
დან. ამანაც ამოიწოდა ხმალი და გვერდში ამოუდგა ამხანაგს.

— აბა მობრძანდით! რას დგებართ? — მიაძახა ბუხუმ. — გი-  
ცნობთ, ვინცა ბრძანდები! ბევრი ხანია ჩვენს დაქერას ნდო-  
მობ. ვითომ დაგიქერია ჩვენი თავი. აშენდები, ჩინს მოგცემენ.  
რა უჭირს, ვისაც შენსავით ცოლის ყიდვა შეუძლია.

— Ну, вперед! — მოისმა ხმა. — მე ვახლავართ მაშ!

გაიმართა ბრძოლა. მებრძოლნი დაერივნენ ერთმანეთს:  
კაენა და ბუხუ დაუღალავად იფარავდნენ თავს და თან იმის  
ფიქრში იყვნენ, როგორმე ბუჩქნარებში თავი მიემალათ; ამი-  
ტომ სულ უკან უკან იწევდნენ. გაცხარებულ ყაზახებს სრუ-  
ლებით არ შეუშინევიათ ეს ხერხი. ავაზაკები გაჰქრნენ, დაი-  
წყყეს ძებნა ბუჩქებში. უცბად შეკრეს გზები, ფეხზედ დააყენეს  
სოფელი, მაგრამ ვერაფერი იპოვეს.

კაენა და ბუხუ, რაკი ერთხელ დაიმაღლნენ ხშირს ბუჩქნა-  
რში, სული განაბეს და ჩუმ-ჩუმად, ჩოქით დაიწყეს ცოცვა.  
ბედზედ, ერთი ისეთი ვეებერთელა ბზის ბუჩქნარი შეხვდათ,  
რომ იქ თავისუფლად დაიმაღლნენ. ყაზახები თან-და-თან გან-  
შორდნენ ამ ბუჩქნარს და ღანძლე-გინებით და ერთმანეთის  
ბრალდადებით შორს ეძებდნენ მიმალულებს. ავაზაკებმა იდ-  
როვეს და გაუდგნენ გზას. როცა ღელეში გავიდნენ, დაიწყეს  
სირბილი ტყისაკენ. მალე ტყეში დაიმაღლნენ. სირბილის გან-  
გრძობა უნდოდათ, მაგრამ მეტად დაიღალნენ. ამოიჩინეს ერ-  
თი მყუდრო ადგილი და იქ დაეყარნენ მკვდრებივით. გამო-  
უთქმელი ნეტარება იგრძნეს, როცა მწვანე დანამულ მდელი-  
ზე გაიშხლართნენ. დაღალულნი იყვნენ, მალე მიეძინათ. საში-  
ნელმა ტკივილმა ორივე გამოაღვიძა. გათენება მოახლოვე-

ბული იყო, როცა თვალები აჭყიტეს. მდელი გარშემო წითლად იყო შეღებული სისხლითა. მონდომეს ადგომა, მაგრამ ნუ გაგიწყრეს ღმერთი! ვერც კი შეინძრნენ. გათენდა კიდეც. მოისმა ხმაურობა. სისხლზედ მოაგნეს ყაზახებმა და შეიპყრეს. ყაზახებს უნდოდათ თოფის კონდახით უიმისოდაც დაეყილ ბექებზედ ეცემათ დაჭრილთათვის, მაგრამ ბოქაულმა დაუშალა.

— მეტი სინილისი არც კი გაქვს! — როგორც იყო დამტვრეულის რუსულით უთხრა ბუხუმ ერთ ყაზახს, რომელიც ლანძღვა-გინებით მზად იყო მათ საცემრად. — კაცმა რომ მიგიშვას, არაფერს დაზოგავ ჩვენთვის. ასეთი მამაცი თუ იყავი, წუხელ რა დაგემართათ, ოცმა კაცმა ორი რომ ვერ დაგვიჭირეთ!

იმ ღამეს კაენასა და ბუხუს ემსხვერპლათ ორიოდე ყაზახი. კაენას დამბაჩა ერთს შუბლში მოჰხვედროდა და იქვე სული გაეფრთხო. რამდენიმე კიდეც ხმლით მძიმედ დაეშავებინათ. შეიპყრეს თუ არა, იარაღი აპყარეს. მოიტანეს ურემი, რადგან ფეხით სიარული ვერ შეეძლოთ, დააწვინეს ზედ და ზუგდილში წაიყვანეს. აქ ექიმმა ჭრილობა გასინჯა, მაგრამ მაინც და მაინც საშიში არ აღმოჩნდა. ექიმმა წყლული მოჰბანა ორივეს, წამალი დაადო, მაგრად შეუხვია და შეპყრობილნი საპატომროში გაჰზავნეს. უფროსი თითქმის მრთელს საათს დაკვირვებით ათვალიერებდა. იმათ ახოვან მოყვანილობას და მეტყველ სახეს.

— აფსუსი არ არის! — უხრა ვილაც ერთ სათვალეზიანს, რომელიც უფროსს გვერდით ედგა. — ამისთანა ვაჟკაცი გაუნათლებლობის წყალობით ამნაირ სამარცხვინო საქმეს მისდევდნენ და ბოლოს ასეთ ყოფაში სცვივოდნენ!

## XVI

გავარდა თუ არა ხმა კაენასა და ბუხუს დაჭერისა, ერთი ორად იმატა მათ შესახებმა არხებმა და საჩივრებმა. უფროსმა

საქმეები გამომძიებელს გარდასცა მთელი დაბა აალაპარაკა მათის დაქერის ამბავმა. დიდიდან პატარამდე ყველას ენაზე კაჟენა და ბუხუ ეკერა.

— ჰაიტ, დაუქერიათ! კოჩალი ყოფილა ის „პრისთავი“. „აი უბედურები, როგორ ვერ გაექცენ“, იტყოდა ხოლმე ერთი. „აბა, როგორ გაიქცეოდნენ, თუ დასჭრეს“, მიუგებდა მეორე. „ულალატაო უთუთიამა, თორემ მათი დაქერა ძნელი იყო“, — დაუმატებდა მესამე და სხე. ზოგან ლექსებიც გამოსთქვეს მათის დაქერისა. ზოგს უხაროდა ეს ამბავი, ზოგს სწყინდა, ზოგი ცნობის-მოყვარეობით გატაცებული, მათის დაქერის საუბარს სიამოვნებით ყურს უგდებდა.

ბუხუსა და კაჟენას დაქერა უხაროდა რა, საკვირველია, ყველა მისგან დაზარალებულს. ცოტაოდნად საწყენად ჰქონდათ მელუქნეებს, და იმათ, ვისთვისაც ყაჩაღებს ცუდი არაფერი დაუშავებიათ. გულს უკლავდა და სულს უბუთავდა ბუხუს დაქერა მის საბრალო ძიძას. ავ-კაცობის დაწყების შემდეგ ბუხუ ძიძის სახლში აღარ დადიოდა. ბუხუს „მორღუ“ და მისი ძმები, როგორც ვიცით, ალალ-მართალი ხალხი იყო. ჯერ ბევრს ეხვეწნენ ბუხუს, რომ ამისთანა შეუსაბამო საქმისათვის თავი დაენებებინა. მაგრამ, როცა ვერაფერს გახდნენ, სთხოვეს, რომ ჩვენს სახლს მაინც მოშორდით. ეს თუმცა ძნელი იყო საწყალის ძიძისათვის, მაგრამ რა ექმნა. ბევრი მღუღარე ცრემლი დაჰღვარა უბედურმა, ბევრი იტირ-იგლოვა, მაგრამ ვინ იყო მშველელი. თვითონაც ჰხედავდა სიკვდილამდე დაუვიწყარის გაზრდილის სიარული მის სახლში ექვს დაჰბადავდა მეზობლებში და უმანკო ოჯახს შეუფერებელ ჭუჭყს მოსცხებდა. სანამ ბუხუ თავისუფალი იყო, ძიძას კიდევ იმედი ჰქონდა: ექმნება მორჯულდეს და მოიტეხინოსო. დღე და ღამ ლოცვა-ვედრებაში იყო და ღმერთს იმას ეხვეწებოდა, გადამირჩინე ხიფათს ჩემი ბუხუო. როცა გავარდა ხმა ბუხუს დაქერისა, საბრალო ძიძას შავი დღე გაუთენდა. ტირილსა და ვაებას ნულარ ვიტყვით, ყოველ ნაირ ოჯახის საქმეზე ხელი აიღო. თითქმის თავის პატარა აკვნის ბავშვსაც მიანება თავი.

შეუჩნდა ქმარს და დღე და ღამე მოსვენება არ მისცა, წავიდეთ ზუგდიდში და ტუსალი ვნახოთო.

აი, მოამზადა სხვა-და-სხვა გემრიელი საჭმელები, იახლა ქმარი და გაემგზავრა ზუგდიდისკენ. მაშინ კაენა და ბუხუ ორის კვირის დაჭერილები იქნებოდნენ. სატუსალოს ზედამხედველმა საჭმელები, ბეჯითად გასინჯვის შემდეგ, შეუგზავნა ტუსალებს. მათს ჩვენებაზე კი უფროსის ნება-დაურთველად უარი უთხრა. უტამ, რასაკვირველია, უფროსთან მისვლა ვერ გაჰბედა, ვაი თუ მეც ავი რამ საქმე დამმართოს, რაკი შეიტყობს, რომ ასე გუ-ლი მტკივა პატიმრებისათვისო.

პირველი დღე ბუხუმა და კაენამ, ვითომც აქ არაფერი იყო, ისე გაატარეს. მეორ-მესამესა და მეოთხე დღეს კი შეეტყოთ შეწუხება. იმდენად შეწუხდნენ, რომ არშინიანს ქვიტკირის კედელს ხელით დაუწყეს მტვრევა. დარაჯმა შეჰნიშნა ესა და მოახსენა, ვისიც ჯერ იყო. ამას ის მოჰყვა, რომ მანამდე თავისუფლებს, ახლა ვეებერთელა ბოლქომი დაადევს ხელებზე. ამან უფრო აადიდვა პატიმარნი. ერთი წუთი მათთვის საუკუნე იყო. კაენა, როგორც უფრო ხნიერი და უფრო გამოცდილი, კიდევ სძლევდა, ასე თუ ისე, მაგრამ ანაღვანა ბუხუ კი მოთმინებიდან გამოდიოდა. ხანდისხან გამწარებული თავის მკლავს დაუწყებდა ხოლმე კბილებით კბენას. ძიძის მოსვლამა და მის უნახაობამ კიდევ უფრო ააშფოთა. ყველაზედ მეტად უფრო ის აწუხებდა, რომ გარედ არ უშვებდნენ, ყოველ მათს განძრევას დაკვირებით ათვალეირებდა მორიგი ყარაული, რომელიც მუდამ ოთახის კარებთან იდგა დი პატარა ფანჯრიდან იყურებოდა. ერთად-ერთი ნუგეში ამ ორის პატიმარისა ის იყო, რომ ერთმანერთს არ მოაშორეს.

— კიდევ კარგი რომ ერთად ვართ, თორემ, რომ გავკავშორდნო, მაშინ ხომ თავს მოვიკლავ. — შესჩივლებდა ბუხუ კაენას. — თავის მოსაკლავიც არაფერი გვაქვს, რომ მოინდომოს კაცმა, — მწუხარებითვე დაუმატებდა ახალგაზდავე პატიმარი.

— ოჰ, ძმაო, — ამოოხვრით ეტყოდა კაენა: — ნაღვლიანობა არაფერს გვიკეთებს. მოდი დამიწყე რამე. ერთი გულის გა-

სართობად დაკვივნოთ. ბუხუც არ ეურჩებოდა და ორივენი ნაღვლიანის სიმღერით გულს იქარვებდნენ. ზოგი სიმღერა და ლექსი თვითონ გამოსთქვეს. ამ ლექსებსა და სიმღერაში თავიანთ გაჭირვებასა და ბედს მოსთქვამდნენ.

სატუსალო ოთახი სავსე იყო ახალისა და ძველის ტუსა-ღებით. აქ ნახავდით ქალარა-შერთულსა, რომელიც წამდაუწყუმ თავის ალაღმართლობასა ჰფიცავდა და სწყევლიდა იმ უღმერთო მტრებს, რომელთაც ჩამადგეს ამ უბედურებაშიო, თანაც საშინელ მწარე თამბაქოს სწევდა და სწამლავდა სატუსალოს უემისოდაც მძიმე ჰაერს. ჰნახავდით აგრედვე ჩასქელებულ სიცოცხლით სავსე ჰაბუკთ, რომელნიც უფრო მხიარულობდნენ, მღეროდნენ, ვიდრე ნაღვლობდნენ, თუმცა სახეზე ეტყობოდათ, რომ მათი სიმღერა სიხარულისა კი არა უფრო მწუხარებისა იყო. ბუხუსა და კაენას შეპყრობამ ძირიანად შესცვალა ტუსაღების მდგომარეობა. მათ დანახავზედ ყველანი მიჩუმდნენ. ბუხუ და კაენაც რამდენსამე დღეს ჩუმად იყვნენ, მერე სიმღერა დაიწყეს. მათ სიმღერებში ჩარევას ვერავინ ჰბედავდა. ბოლოს, დრომ თავისი გაიტანა. ტუსაღნი მიეჩვივნენ ერთმანერთს. ჯერ იმღერეს ერთად, თუმცა ცოტა მორცხვად. მერე გამოელაპარაკნენ ერთმანეთს და შემდეგ მასხრობა და ხუმრობაც დაიწყეს ურთიერთ შორის.

ტუსაღებში ერთი უცნაური კაციც ერია, რომელიც ხმას არავისა სცემდა, იყო თავისათვის და რაღაც გაქონილ წიგნებში იცქირებოდა მუდამ. იმისი ვინაობა არავინ იცოდა. პირხმელი იყო და შავი წვერ-ულვაში ჰქონდა. კაენა და ბუხუ გამოელაპარაკნენ ერთბელ, როგორც იყო. იმანაც დაუწყო მუსაიფი, წაუკითხა წიგნი და ბევრი რამ უამბო ორივეს, ზოგი წიგნებში წაკითხული და ზოგი გაგონილი. საზოგადოდ, საპატიმროში რიგიანი და ალაღ-მართალი კაცი, რისამე მცოდნე და გაგებული იშვიათად არის ხოლმე; ეს კაცი სწორედ ასეთი იყო. იმისმა ლაპარაკმა სულ გამოსცვალა ჩვენი ნაცნობი ყაჩაღები და შენანია კიდევ თავიანთი ურიგო საქციელი. კაენამა და ბუხუმ სიხარულით აღარ იცოდნენ, რა ექმნათ.

ღმერთო, ეს რა მადლიანი კაცი მოგვევლინაო. ამისთანა რამ, რასაც ეს გვეუბნება, წინად რომ გაგვეგონა, ხომ თავის დღეში იმ სამარცხინო საქმეებს აღარ მოვიქმედებდით, რაც ჩვენ მოვიქმედეთო. მაგრამ ის მადლიანი კაცი მალე წაიყვანეს საპატიმროდან და კაენასა და ბუხუს ოდნავ გაშუქებული გული ისევ დაბნელდა; მისმა მუსაიდმა და ლაპარაკმა მხოლოდ ცოტას ხანს გაათბო ამ ორის ყაჩაღის გული.

## XVII

გაეიდა დრო და ჟამი. კაენასა და ბუხუს დაპატიმრებას და მათ მომავალ გაქირვებას მათმა ნათესავებმა გულგრილად არ შეჰხედეს. ცალკე აღმასხანის თვისმა და ტომმა, ცალკე მაკას ნათესაობამ თავი გადასდეს გაქირვებულების საშველად. ამისათვის წავიდნენ ქუთაისში და იქ დაიქირავეს ნაფიცი ვექილი, რომელსაც ყოველივე უამბეს, როგორც მოძღვარს. ვექილმა თავზე ხელი გადაისვა, პაწია ოქროს საათი უამოიღო და დაჰხედა. მერე გაიარ-გამოიარა და რაღაც წაიტუტუნა. თავადები გაქვავებულები ისხდნენ სელებზედ და ისე შეჰყურებდნენ ვექილს, თითქო მის ხელშია მათი დაღუპვა და დარჩენაო. ბოლოს, ვექილი გაურვიდა შრომის ფასშია და აღუთქვა შეძლებისამებრ ეშველა პატიმრებისათვის.

შვიდი თვე შესრულდა ბუხუსა და კაენას დაპატიმრების შემდეგ. ოლქის სასამართლოს დღე-დღეზე ელოდნენ ზუგდიდში და ამიტომ დიდს მზადებასა და გამოწყობაში იყო ზუგდიდის სამაზრო მომრიგებელი სასამართლო.

აი დანიშნეს ბუხუსა და კაენას საქმის გარჩევაცა. სხდომა დაიწყო საღამოს ექვს საათზე. დიდძალი ხალხი მოაწყდა დარბაზს. მოვიდა ნაფიცი ვექილიც, მაღალი წამოსადეგი კაცი, დამცველი ავაზაკებისა. კაენა და ბუხუც მოიყვანეს დიდის სიფრთხილით ბორკილებ-დადებულები. თან ყარაულები მოსდევდნენ. წაიკითხეს ოქმი და დაუწყეს მოწმეებს ჩვენების ჩამორთმევა. უტუნამ თხუთმეტამდე ღრმად მოხუცებული მოი-

ყვანა, რომელნიც ფიც ქვეშ ცხადად ამტყუნებდნენ კაენასა და ბუხუს. აგრედვე ჯამლეთმა, რომელსაც სახლი გაუტეხეს. თაღამ ოც და ხუთი კაცით დაამტკიცა, რომ კაენამა და ალმასხანმა მოიპარეს მისი ცხენი, რომ ნამდვილად იმავე ღამეს სასიკვდილოდ დასჭრა ყარაულმა ენგურის პირად ალმასხანი, რომ კაენამ მისი გვამი ჩუმად გააპარა, მერე უფროსი მოისყიდეს და საქმე მიაჩუმეს. აგრედვე სხვებმაც მრავალი მოწმენი მოიყვანეს. მოწმენი არა თუ აჩვენებდნენ, რომ ესა და ეს დანაშაული მოიქმედეს ბრალდებულთაო, უმატებდნენ კიდევ, ექნება სამართალი მოგვეცეს და ამოდენა მშვიდობიან შრომის მოყვარე ხალხისათვის მოეშორებინათ ეს რამოდენიმე მოუსვენარი ადამიანი, რომელთაც შეაძრწუნეს მთელი მაზრა, და არა თუ მაზრა, მრთელი „დუნია“.

კაენა და ბუხუ გაჩუმებულები იდგნენ. პირისახე ათასნაირად ეცვლებოდათ. კარგად რომ დაჰკვირებოდით, თითქო ამას ამოიკითხავდით მათ სახეზედ: „ტყუილად გვლუბავთ, ახლა ჩვენ ისეთები არა ვართ, სრულებით გადავინათლეთო“. როცა მსაჯულებმა დაუწყეს გამოკითხვა, იმათ მოკლედ და თამამად მისცეს პასუხი. ვეჭილმა ბევრი ილაპარაკა. რა ნაირად არ ატრიალა სიტყვები. კანონები სულ ბეირივით დააყარა. მისი მკვერმეტყველება წყალივით მომდინარეობდა. მსაჯულებმა მოისმინეს ყოველივე და მოსალაპარაკებლად და სათათბიროდ მეორე ოთახში შევიდნენ. ერთის საათის შემდეგ გამოვიდნენ და გამოაცხადეს, რომ „ორსავე ბრალდებულს ღირსება აეხადოს და ათ-ათის წლით „კატორგაში“ გაიგზავნონო. ათის წლის შემდეგ ნება აქვთ დასახლებისა, ამიერ კავკასიის გარდა, სადაც ისურვებნო“.

მაისის დილაა. ნისლი ცოტ-ცოტად გაიფანტა, გაათავისუფლა ტყე-მინდორი თავისის ბატონობისაგან და ჩადგა მდინარე ღელეების ნაპირებად. მზემაც ამოაშუქა ისარივით თავისი სხივები. ჩიტებმაც მორთეს ჟივილ-ხივილი და ამ მხიარულებას ადამიანის ხმაურობა და პირუტყვთა ბლავილიც ზედ



მიემატა. ზუგდიდში მქედლებმა გაიღვიძეს და მწარედ აათამაშეს ჩაქუჩები. საშინელი ხმაურობაა... დუქნები ზოგან გაულიათ, ზოგან ალებენ თვალების ფშენეტით მედუქნის ბიჭები. სოფლებიდან გასაყიდად სანოვაგის შემოტანაც იწყეს. ბაზრის თავში საპატიმროსთან ხალხი მოჯკუფდა, ორიოდე ურემიც სდგას „ხაბაკ-ხუბაკით“ დატვირთული. შეჯგუფულ ხალხის შუაგულ ოცამდე შუბიანის თოფებით დაიარაღებულნი სდგანან და მათ შორის ათი-თორმეტი ტუსალია. ესენი ქუთაისში არიან წასაყვანი. კაენა და ბუხუც მათ შორის არიან. სრულებით არ ეტყობათ აღშფოთება. სჩანს უკვე გამოიგლოვეს საპატიმროს ქუჩყიან კედლებ-შორის თავიანთი თავი. დანარჩენი პატიმრებიც ბევრს არ ნაღვლობენ, მხოლოდ გაკვირვებულებივით შეჰყურებდნენ არე-მარეს. ხალხს პოლიცია უჯავრდება: შორს დადგქითო, ახლო ნუ მიეკარებით ტუსალებსაო. ხალხი მიინც თავისას არ იშლის და უფრო და უფრო წინ იწყეს.

დაიძრნენ. მხედრები. გაისმა შემადრწუნებელი ელარუნის ჯაჭვებისა. მრთელი დაბა სმენად და ყურებად გადაიქცა. მქედლების ჩაქუჩთა კაკუნის ხმა შესწყდა. ტუსალების ჯაჭვებს დაუთმეს რიგი.

— მშვიდობით, ძმებო!—გაისმა ხმა ტუსალებისა. ეს იყო ბუხუ.—მშვიდობით, ძმებო. შეიძლება ბევრი თქვენგანი შემეწუხებიოს, მაგრამ ყოველისფერი უმეცრებით მომდიოდა, ახლა კი გთხოვთ მპატიოთ და შემინდოთ ჩემი დიდი შეცოდება. საპატიმრომ გონს მომიყვანა, იცოდეთ, რომ ჩვენი უბედურება უმეცრების ბრალია. არ გეგონოთ, დამის ყარაულებმა, ხევისთავებმა და ანგარების მოყვარე ბოქაულებმა მოსპონ ჩვენში ავკაცობა. ეცადეთ, თქვენი შვილები დაზარდეთ სკოლაში და მაშინ ყოველი ავკაცობა „უპრისთავ“ უხვევისთაოდ თავისით მოიხსობა. მე თუ გინდ დავიკარგო, დეე, თქვენი ჭირი წამიღია. მხოლოდ ღმერთსა ვსთხოვ, რომ სხვები მაინც არ ჩავარდეთ ამ ნაირ განსაცდელში.

— აბა, რა დროს ეგ ლაპარაკია!—იდაყვ-წაკვრით ჩაეულაპარაკა ერთი ტუსალი,—არ სჯობია რამე დამიწყო, რომ ამ

ქუჩუებს მოწყენილი პირი არ ვაჩვენოთ?—ბუხუმ ხართი არ გაუტეხა და დაიწყო სიმღერა. სხეებმა მიაცოლეს და გრიალ-გრიალით გაიარეს „ბულვარი“. — „ნეტავ რა გემღერებათო“! — ისმოდა ხმა. ზოგან დედაკაცები მწარედ ქვითინებდნენ.

გასცილდნენ ქალაქს და დაადგენ გზა ტკეცილს. გაიარეს რამდენიმე ვერსი. კაჟა თაფალ-უნული მიდიოდა, სახეზე ეტყობოდა, რომ რაღაც გამოუთქმელი მწუხარება აწვა გულზე. უცებ წაჰკრა ბუხუს ხელი და წასჩურჩულა: — „რას შობი, დაგავიწყდა?“ — ბუხუ თითქო გამოაღვიძესო. სახე ერთობ შეუთამაშდა, თვალები ცქვიტად გაახილა და შეხედა: — „არც კი მახსოვდა. ვითომ?“

ორივეს ათას ნაირად ეცვალოთ ფერი, ერთს წუთს ათას-მა ფიქრმა გაიზინა მათს გონებაში. დატრიალდნენ უცხად ორივენი და თვალის დახამხამებაში გაუსხლტნენ ხელიდან მხედრებს. ხელ-ფეხი ჯაჭვით ჰქონდათ დაბორკილი და წელზე შემორტყმული გრძელი ბაწრები, რომლის თავები უკან მხედრებს ეჭირათ ხელში. მხედრებმა მაშინ იგრძნეს ბაწრის მოშორება ხელის გულისაგან, როცა ორივენი ეკლით დაბურულ ტყეში შესცვივდნენ. მხედრები საშინელს მღგომარეობაში იყვნენ. გაქცეულთ რომ გამოდევნებოდნენ დანარჩენებასა ეშინოდათ. თავი დაენებებინათ—ეგ კიდევ უარესი. სხვა რომ ვერა მოახერხეს-რა, დაუშინეს თოფები. ზუგდიდს ბევრი არ იყვნენ მოშორებულნი და თოფის ხმა იქამდეც მივიდა. უფროსმა საჩქაროდ ბოქაული დაადგენა ცხენოსანის ყაზახებით: შორს-მჭვრეტელი უფროსი აღრვეე ყოფილიყო მზად. ბოქაულმა გადაუხვია ტყეში, გავიდა დიდ მინდორზე და იქ, მინდვრის ბოლოს, მოჰკრა თვალი ორივეს. ჯაჭვები გაეტეხათ და, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, მიზობდნენ. პატიმრობით დასუსტებულთ ჩქარა შეეტყოთ დაღალვა და თან-თან უკლეს სირბილს. ბოქაულმა უმატა დევნას. აი დაუახლოვდა კიდევ ასიოდესა-ქენზე. გაციმბირებულებმა მოიხედეს უკან. ჰნახეს, რომ საქმე ცუდად არის. იმათ ბედზე, იქვე მინდვრად, ბალახობდნენ ცხენები, მიუახლოვდნენ, მაგრამ დახეთ იმათს უბედურებას! ცხე-

ნები თოკით იყვნენ დაბმულები. სცადეს თოკის გახსნა, მაგრამ ნამისაგამო უღმრთოდ მიჰკროდა ერთმანერთს ნასკვენი. აი მოახლოვდა ბოქაული ამალით. გაქცეულებმა კვლავ ფეხის სიმარდეს მიჰმართეს. აგერ მიუახლოვდნენ კიდევ ტყეს.

— СТРѢЛЯТЬ? — დაიძახეს ყაზახებმა.

— НѢТЬ. ბიჭებო, დამნებდით, სჯობია.

— ცოცხალის თავით არ დაგნებდებით. — ორივემ დაავლეს ხელი თითო-თითო პრტყელ ქვეს და ესროლეს პირდაპირ ბოქაულს. ბოქაულმა აიცდინა; ერთი ქვა მოხვდა ერთ ყაზახს საფეთქელში და ფიცხლად ჩამოეშვა ცხენიდან. კაენამა და ბუხუმ თითქო ფრთები შეისხეს, უმატეს სირბილს. ცოტა-ლა უკლდათ უდაბურ ტყემლის.

— СТРѢЛЯТЬ! — დაიყვირა გაბრაზებით ბოქაულმა. გაისმა თოფების გრიალი, ერთხელ, მეორედ, მესამედ. დაეცა ბუხუ: ტყვია მოხვდა მარცხენა კანკში, მაგრამ ისევ უცბად წამოხტა და განაგრძო სირბილი. დაეცა ეხლა კაენა: ტყვია მოხვდა მკერდში.

— აჰა, ჰა, ჰაიტ! მომკლეს ურჯულოებმა. — გაჩერდა ბუხუ. მოინდომა ამხანაგის ზურგზე წამოკიდება, მაგრამ თვითონაც ღონე-მიხდილი დაეცა.

— ტყუილად წვალობ, ბუხუ, — თავ-აწვევით სთქვა კაენამ და თვალები დახუჭა. დაიგრიალა თოფმა. კაენამ რეტიანივით გაახილი თვალეები, მოიკრიბა ძალა და ცოტათი წამოიწია. „მშვიდობით, ბუხუ,“ — მიჰმართა ამხანაგს, მაგრამ ის უკვე გათავებულყო. მეორე ტყვია შიგ გულში მოხვედროდა. კაენამ ისევ მიღწა თავი და განუტევა იმანაც სული.

# მოსხუპეული

მოთხრობა

კენიან მელანია ყლანიაშვილისამ, არ არის დიდი ხანი, რაც გამოიტირა ქმარი და სუთი შვილი. იქნებოდა ესე ორმოცის წლისა; ძალადი, ძალზე გამხდარი და ფერ-მკრთალი ადამიანი იყო, ამასთან საშინელი მხნე, გამრჯელი და პატროსანი. ეტყობოდა, თავის დროზე ლამაზი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ახლა კი სახე დასტკენობოდა, რადგან ქმრისა და შვილების შემდეგ ბუკრი მწუსარება, ვაი-ვაგლასი გადასდა და ტანჯულს ცხოვრებას თავისი კვალი დაენიანა...

არც საკვირველია, რადგან სუძრობა არ არის სუთი შვილისა და ქმრის დამარხვა... ახრებულს ოჯახს მოკლას უნდოდა, პატრონობა და, მელანიას საჭეობრად უნდა მოგასსენოთ, რომ ჩინებულადაც გაუძღვა დანემულს ოჯახს. არ მოშალა სენა და თესვა; პირიქით, დაიჭირა რიგიანი ბიჭები, შეიძინა კარგი საქონელი და ქრმისკან დაწეობულს სარისტას, მხნეობას უფრო უმატა...

იმისი ნუგეში იყო ახლა ერთად-ერთი ასული თამარი.

— ენაცალოს დედა ჩემს თამარს! ოჯახს რათ მოუშლი?! — იტყოდა სოლმე მელანია.

მართლაც, მელანიას თავისი ერთად-ერთი ქალი გაგიყვებით უყვარდა. მზე და მთვარე იმაზედ ამოსდიოდა... არა მგონია, რომ ასე გაგიყვებით რომელსამე დედას შვილი ჭეკარბოდაეს!.. მცირედი ავადმყოფობა, უგუნებოდ ყოფნა თამარისა ჯოჯოხეთი იყო მის-  
ვის.

თამარი იყო თხუთმეტი-თექვსმეტის წლისა, სოფლის ფერი, მადლ-მადლი, ჯანითა და ელფერით სავსე. უზრუნველი, მუდმი მსიარული, ცუქი, ცქრიანობა, გიჟიყვი; ერთის სიტყვით, ყოველის-ფერით შემკული, უზადო, სინცოცხლით სავსე ახალ-გაზდა გოგონა! მისი ცხვირის ფერი დიდრონი თვალები მეტად მძლავრს სხივებს ისროდა ყმაწვილ კაცების გარსაგინად. მათი მეტყველება ამტკიცებდა, რომ იმ გურთხეულ ქართულ ქალთა გუნდს ეკუთვნოდა, რომელთაც ერთხელ იცინათ თავიანთ სინცოცხლეში სიყვარული სრულის თავის არსებით, სულით, გულით, თავ-დავაწევებამდე. რაც უფრო იზრდებოდა, მით უფრო მშვენიერდებოდა და დედის მოსიყვარულე გულს სიამოვნებით, სისიარულით და მომავლის სიტუბოებით სარებდა!.. თამარი იყო მთელის სოფლის ყმაწვილ ქალებისა და პატარაძულების გამამსიარულებელი, დროს გამტარებელი და ღსინის მოთავე. ამიტომ ყველას — დებს და პატარას — სიამილად უყვარდით და სელის-სელ სავგომანებლად ჰყავდათ. ზოგოერთბესავით არ უგადრისობდა არავის, თანახმად ექცეოდა ყველას, რა წოდებისაც უნდა ყოფილიყო. მართალია, თამარს არა ჰქონდა სწავლა მიღებული და მხოლოდ სოფლის მკვდლისგან შეისწავლა წერა-კითხვა, მაგრამ, სამაგაერთად, იცოდა მშვენიერი ჭრა-კერვა, ქარგვა-ქსოვა, დაინამუშავის დაკვრა და ლეკუხის თამაშობა. ამისთანებში თამარს ბადალი არა ჰყავდა, არამედ თუ სოფელს მწ... , არამედ ახლო-მსლოც კი. ამიტომ სოფლის პატარა გოგონები ჰყავდა აზრებული და ასწავლდა ყველაფერს, რაც კი თვითონ იცოდა. თამარს გაუარდა ხმა სილამისისა და ქუბისა. ბუერი მთხოვნელებიც მოსდიოდა მელანის თამარსა, მაგრამ დედა არა ჩქარობდა მის განსოკებას.

— რა მესქარება, რომ თხუთმეტი წლის ბავშვი სიტანჯულში არ ჩავიდო?! მე რა სერი დამეყარა, რომ ადრე გამათხოვეს ჩემი პატარაბავშვი?!.. დეე ჯერ იცუქოს, მოიკლას საყმაწვილის ყინი! ენაცვალოს მელანია, მთხოვნელები არ მოაკლდება — დედის-ერთა და ღამაზი! — იტყოდა სოფლე მელანია, როდესაც შუამავლად მივიდოდა კინძე.

მისიან მშვენიერი დეე იყო. იქნებოდა ნაშუადღევის ოთხი საათი, რომ სოფელ მწ....-ის კარ-მიდამოები და ბანები სავსე იყო

საღსითა, რადგან კვირა იყო და ერთის კვირის სამუშაოა საღსა გამოსულიყო და წამოსწოლოდა მშვენიერ ამინდს, ასკენებდა ნაჟარ-უარ ვანს!... ერთს ადგილს მშვენიერ მწვანესე მოყვარათ თავი მთლად სოფლის საღ-გაზდა ქალ-რძალთა, უკრავდნენ დაირა-მუ-ზიგას და თამაშობდნენ რიგ-რიგით ორჯონი. ამათ შორის იყო თამარ ელავიაშვილის ასულიც, რომელსაც შევბრუნდა მშვენიერი ლოყები. ცქრილა ქალი ხან უკრავდა დაირა-მუზიგას და ხან ჩამო-უკლიდა ლეკურს ისეთის მოხდენითა და ლაზათით, რომ მნასკე-ლი თვალს ვერ მოაშორებდა და უეჭველად ინატრებდა: «ნეტა თვა-ლი მამცა და ამის ყურებით გამძღოლო».

ისე იყვნენ ეძაწვილი ქალები გართულნი ცეკვა-თამაშში, რომ კერა გაიგეს-რა, სიდან და როგორ მოადგათ სრალით და კვინუ-ბის უღარა-ულურით ეტლა. რადესაც მოატანა მეეტლემ ქალთა ჯგუფს, სადაც ბუჩუბივით ირეოდნენ პატარა გოგო-ბიჭები და მეეტლემ და-ძახა: «ეე, ე გზასე რას ირევით?!»-ო, მასინ მააზურეს ყუნი; შეაჩე-რეს დაირა-მუზიგის დაკვრა, თამაშობა. დაუწყეს ყურება ცნობის-მოყვარობით ეტლს, რომელშიაც აჟდა: საღად გინგლ-აშლილი, მ-ლალი, შავკრემანი, ცოტა ფერ-მკრთალი, მაგრამ ძრვილ მოხდენი-ლი, შტყვრილა კოლეტუბიანი ეძაწვილი აფიცარი.

— რას მიბრძანებთ, ბატონო?! — ჰკითხა რუსულად მეეტლემ აფიცარს.

— ღმერთმანი, არ ვიცი, სადა დგანან ჩვენები. ჰკითხე ვისძე! — უპასუსა აფიცარმა მეეტლეს მოხდენილას ღმივით რუსულად-ვე. გადგდო მარდად გვერდსე სმალი, გაიწოდა უკან მუნდირის ჯი-ბისაკენ სელი, ამოიღო გვერდის სავაპაროზე, ჩაიღო შირში გრძე-ლი პავირი, გაჭკრა წვირა, მოუვიდა ცეცხლი ჯერ სავაპაროზე-ზე დაკიდებულს ვეითედს: გრეხილს, მერე ექდან პავირის, დაე-წავა მადანად და ორივე ცხვირის ნესტოებიდან გამოჭსეთქა ბოლ-მა. ბოლი კოწიაწით წავიდა მღლა ჰაერში. აფიცარმა დასწია გრე-ხილს, რომელმაც ჩსაკანი მოიღო და ჩაიღო ისევე მშვენიერად გა-წყობილს მუნდირის ჯიბეში სავაპაროზე. ისე მარდად და მოხდე-ნით მოაჭმედა ესე ყოველივე კოსტა აფიცარმა, რომ მყოფებელთ ალანანირი სიამოვნება იგრძნეს და ტანში ურუანტელმა დაურბინათ.

— დობილო, რომელია კნაზ იოთამის სასლი?! — ჭკითხა მე-  
ეტლემ ერთს ქალს, რომელიც ვეკლასე წინ იდგა. ქალმა უხეკნა სე-  
ლით ორმოც ნაბიჯზე კარგა მოსრდილი ორ-საერთულიანი ქვეთ-  
კირის სასლები. მეეტლემ გააქანა ცხენები. კიდრე ეტლი გასწედა  
რისინ-რისინით, ემაწვილი ავიცერი გაბრწყინებულის თვალბით და  
მოსდენილის დიმილით საცხად ათვალეებდა ქალთა კრებას. თა-  
მარის მოკლვარე თვალები და ემაწვილისა შესკდა ერთმანეთს. თა-  
მარს თითქო მოსკდა რუმეო, გული შეუფთხრა და და თვისდა  
უნებურად თავი დაჭსარა.

კარგა ხანი იყენენ ჩვენი მოლსინე ქალები გაშტერებულნი ამ  
უცების მოჩვენებით. იდგენენ უმოძრაოდ, თითქო უსულო არსებანი  
არინაო და ხმის გეგარ იღებდნენ. ბეგრის გულმა ინატრა ემაწვილის  
მდგომარეობა, მისი დობა და მასლობლობა.

— რა ლამაზია?! რა კარგია?! ვინ არის ჩეტა?! — დაიწყო ერთ-  
მა კარგა ხნის სიხუმის შემდეგ.

— შენი საქმროა! — გაესუმრა მეორე და დაიწყო სიცილი.

— ემაგისთანა ემაწვილი მოგისდება აი!? — უთხრა ერთმა გო-  
გომ თამარს და მეგობრულად დაჭკრა სელი მხარზე დიმილით.

ამ სიტყვებსე თამარი შეწითლდა, შეირყა, გულმა ფანტქალი  
დაუწყო და შეანათა სსიერისანი თვალები გოგოს: «ნეტავი აგრეო!»  
სთქვა თითქო იმისმა თვალბმა. მაგრამ არა შემამჩნიონ-რათ, დაჭ-  
კრა ისე დაიარსა, იქნება ამით ჩაკაფურჩქიო გულის მდეღარებაო  
და დაუმტა: — დაიწყოთ, რადროს გათხოვებას! მე არა ვთხოვდება...

— ეგ უთუოდ ჩვენი ბატონიშვილი გიორგია!.. — სთქვა ერთმა  
ხანში შესულმა მანდილოსანმა და დაუმტა: — გუმიან იქ ვიყავი, საქ-  
მე მქონდა. მოკლანო, ბიჭებმა სთქვეს.

მანდილოსნის სიტყვებმა მადწიეს თამარის ყურებამდე და გუ-  
ლი ატეინა რაღაცნაირად. უცბე შეახერა დაირის დაკკრა. ამ დროს  
თამარის მშეენიერმა სასემ მიიღო ორი ერთ-ერთის საწინააღმდე-  
გო მეტყველება. ეს მეტყველება იყო: სინანულისადა და სიხარული-  
საც. ამ მდგომარეობამ დიდ ხანს არ გასტანა, უცბე გაბრწყინდა თა-  
მარის სახე, გასარებულმა მიაწოდა დაირა თავის გვერდზე მდგომს  
ქალს და აღტაცებულმა დასძინა: — ქა, მართლა, გიორგია?! რამ გა-



მოგაშტერა?! დიხი, ქალა დარა, უნდა წავიდე, დედას კასარო იმის მოსკლა.— და გაქანდა შინისკენ.

— დედა, დედა! გიორგი მოვიდა, ჩვენებისთ გიორგი!— ეუბნებოდა მელანისა, რომდესაც შევიდა შინ თამარი, რომელიც ძლივს იბრუნებდა სულს დაღლილობისა და მღელვარებისაგან გაჭარხლებული. მარგალიტებივით ეყარა შირსე და მალა სპეტაკს შუბლზე თფლი.— იცი დედა, რა კარგი ბიჭი ყოფილა?! გამოტომულიყო აპლანტებით ფაიტონში კოსტად. რა უმწველი ყოფილა?!..— ამბობდა სისარულით.

მართალია, თამარი არ იცნობდა თავის ნათესავს გიორგის, მაგრამ ბეერი ქება გაეკონა მისი დედისა, სახლი-კაცებისა, მეზობლებისა და თვით გიორგის მოსუტუბულის დედ-მამისაგანაც. იცოდა კიდეც, რომ უნდა მოსულიყო, მოელოდა, გულით უნდოდა მალე ენასა და გაეცნო, მაგრამ ისე იყო გართული ტყვე-თამაშში, რომ სრულიად ფიქრად არ მოსკლია, რომ ის კოსტა, ახალ-გაზრდა და ღამაში აფიცური მისი ნათესავი გიორგი იქნებოდა. ამიტომ იმ გოგოს სიტყვები: «მამისთანა უმწველი მოგისდებაო...» ამა და მანდილოსანის სიტყვები კი თითქმის ეწეინა, რადგან ოდნავ ადრული ტკბილი იმედი გაუტრუნდა.

— ჩაიცი, შვილო, ტანისამოსი და წავიდეთ ენასოთ,— უთხრა დედამ განარბულს ქალს.

თამარი ისე იყო არეული ამ ამბით, რომ შირკელში დასთანხმდა დედას, კიდეც გავიდა თავის ოთახში ტანისამოსის გამოსაცვლელად, მაგრამ ისევ გამობრუნდა მალე და უთხრა მელანისა:— რა დროს ნახვას, დედა-ჩემო, უმწველი ეს არის ესა მოვიდა, ჯერ არის დაღალული იქნება, მერყა-და, არ არის მიღებული. ის არის შირკელად მოკალე გენასოს.

— მართალია, შვილო, მაგრამ ეგ წესები უცხოებშია და არა ჩვენში. ბიძაშვილია.

— რა უფოთ, რა ბიძაშვილია?! ჯერ მანც უცხოა ჩვენთვის.— უმასუსა მტყიცად თამარმა, მაგრამ გულით კი უნდოდა მალე გაეცნო ახალ-გაზრდა ბრჭყვილა ებოლუტებისნი ბიძაშვილი.

— შენი ნებაა, შეილო, მას ჯერ იმანა გენახოს და მერე ჩვე-  
სა.— დაეთანხმა დედა შეილის ჭკვიანურს ახსს.

თამარს თვალწინ ედგა მოსდენილის უმაწვილი-კაცის სასე და  
გული სიამით უძგერდა.

## II

გიორგი ერთადერთი შვილი იყო კარგად შეძლებულის თა-  
ვად იოთამ ულაზიასშვილასა. იქნებოდა თორმეტის წლისა, რომ  
დედ-მამამ გაისტუმრეს რუსეთს კოჩუხში სასწავლებლად. თუმცა  
ძლიერ ეძიებოდათ მოსტეცებულს მშობლებს გიორგის მოშორება,  
მაგრამ ამათმა ნათესაგმა, რომელიც სცხვრობდა რუსეთს და სა-  
პატიო ადგილიც ეჭირა, უჩნია გამატანეთ, მე მოგუგლა, აღერხდი  
ბიგინადაო. ასლა სამხედრო სამსახურს აღარა სჯობიან-რაო. გარ-  
და ღირსებასა, ჩინისა, მთავრობის ყურადღებისა და კარგის ვაძა-  
გიბისა, ბოლოს ჰქნისიასაც დაიმსახურებსო!.. ამგვარად ნათესავის  
ჩვევა-დაბრებით მოღბნენ მოსტეცებულები და გიორგი გაატანეს.  
აი ასლა, ცამეტ-თოთხმეტის წლის შემდეგ, ოც და ექვსის წლის  
ასლად წვერ-ულვას ამწვანებულა, დაბრუნდა შინ უმაწვილი კაცი შო-  
რუბიის ჩინით დედ-მამისა და თავის ჭკეუნის სანახავად. მოსტეცე-  
ბულების სისარულს სამხელარი არა ჭქონდა, ასე დაწინაურებულს  
შვილს ფარუანასაებ ევლებოდნენ თავს. მესამე დღეს, როგორც მი-  
ლებულაა, მოსტეცებულებმა დაატარეს «ვიზიტად» გიორგი სასლის-  
კაცებსა და ნათესავებს. სხვათა შორის ეწვავნენ მეღანასაც, რომ-  
ელიმაც უყავოდ და უსადილოდ აღარ გაუშვა.

გიორგი რუსეთშიც შეძლებულს ოჯახში იზრდებოდა თავის  
ნებით, თავისუფლად. შეიქნა თუ არა იხუთმეტის წლისა, დაიწყო  
ოჯახებში სიარული. სადაც, როგორც საქართველოს შეძლებულს  
თავადიშვილს, მოსდენილს უმაწვილ-კაცს, დიდს პატივსა სცემდნენ,  
განსაკუთრებით ქალები. გიორგი ბუნებითვე თავის-თავის მთარში-  
ვე, ძლიერ კოხტობდა, დიდრჯობდა, რადგან გარდა მშობლებისა,  
რომელნიც უგზავნიდნენ ბლომად ფულს, უშვილო ნათესავიც ცაღ-  
ვე ამღებდა საკმაოდ. ყოველივე ესე უწევდა სელს, ისე მოქცეუ-

ლიყო, რომ ყოველისთვის მიმსიდეკელი და თვალ-საზინო ყოფი-  
ლიყო. ამიტომ შეიქმნა იქაური ქალების სელის-სელ საგოგმანბე-  
ლი. ბერი კი ქალის გული ააფორიაქა, ბერს დასკა თავისი და-  
ლი, ბერს დაუბნელა მზე. წათამბებულს ამგვარად შეუყვარდა თა-  
ვის ქება, მედიდურობა, პრანჭკა-გრესა, სიბრუე, ბაქიაობა!.. ამას-  
თან შეისწავლა ისეთის მოხერხებია და ცოდნით ღაზანაგი, რომ  
რაც უნდა მტყნარი სისულელე და სიბრუე წამოეროშა, ისეე ად-  
კილად გამოიკარგებდა თავს. თავის მოხერხებულის ღაზანაგით  
და არშეობით იზიდავდა იქაურს ქალებს. თხუთმეტის წლიდანვე  
დაიწყო ტურკა ენებათა ღელვაში. გიორგი დაემგზავსა იმ ბავშვს,  
რომელსაც მიუტანენ სათამაშოს და ამის გამო მისს სისარულსა  
და აღტაცებას პირველ-სანში სამზღვარი არა აქვს. დედამაც, რომ-  
ელიც უყვარს სრულის ბავშურის გრძნობით, რომ სთხოვს სა-  
თამაშო :ს ხელი წატანოს, ტირილით გასკდება. დაწება ღოგინ-  
ში, თან ჩაიყოლებს, ადგება—თან აიყოლებს. ორის დღის შემდეგ  
კი, რაკი სურვილს მოიკლავს, მობეზრდება სათამაშო და გადავ-  
დება. მისთვის სულ ერთია: წაიღებს ენიმე, წახდება თუ გაკეთ-  
დება. სწორედ ასე იქცეოდა გიორგიც ქალებში. რაკი დაინახავდა  
პირველად, გადირეოდა. ამ დროს სწორედ კი სანახავი იყო გი-  
ორგი: ტბილი მესაუბრე, თბიქო მოქარგულია ამისი ენა. მზად  
იყო გავარკარებულს ტრესლში ჩაკარდნილიყო, გავიყებულ წყლისა-  
თვის მიერს თავი. მთელს ქვეყანას გაუშვლავებოდა. არ დაირცხნი-  
და, რომ მთელი დღე დანაქილიყო ქალის წინ და ეტირნა. ერთის  
სიტყვით, გიორგი ამ დროს იყო: ტბილი, ჩხვილი, ღმობიერი,  
უმანკო, მორწილი, მონა და მოსამსახურე. რაკი მიიბირებდა ქალს,  
დასტებებოდა იმის უხვით, მერე გადაქცეოდა ქვად, კლდედ, ყინუ-  
ლად, უსულ-უგულო არსებად. ამასთან უყვარდა საშინლად თავის  
გამოქენა და პირველობა—ყოველგან და ყოველისთვის. თუნდა სხით  
ბერს თავის ამხანაგებზე პატარა იყო, მაგრამ პირველობასა ჩემობდა.  
ვინც არ აწყებოდა, ან არ გაუგონებდა, მეორეს დღესვე შეუდგებოდა  
შურის-ძიებას და, ასე თუ ისე, გადაუხდიდა სამაგეროს.

გიორგი, აღტაცებული თამარის მშენიერებით, გადაინია და  
გატაცებით მოუთხრობდა რუსეთის ამბებს ისეთის მკვერ-მეტვე-

ლებით, მოსურსებით და ცოდნით, რომ გეგონებოდათ, მართლაც უკვლავ ამ ამბავში მსურველად მონაწილეობა მიუღიაო. თუ მსდგველთაში კიჭანბრით რუსეთის ქალთა ცნობებს, მათს სილამაზეს, მათს ბუნებას, რასაკვირველია, თამარიც სსკანანირ არსებულ კიჭანბრებად გიორგის. გასაკვირველი არ არის, რომ უადრესად გიორგი, შეიქმნა სწორი სიტუაციის შექმნის და ერთი-ათად და ასად უმეტეს თავის მსგავს-მეტყველს ღვაწლავს. ყმაწვილი კაცი აიტაცა თავისუფალმა გულის-თქმამ. უკეთესად თამარს ათას გვარს გრძნობის ამდებრელს წიგნებს, რომანებს, ან თავისუფლად უთარგმნადა წაკითხულს.

თამარი, როგორც ესთქვით, ახალგაზდა, ცოცხალი, გამოუცდელი, გულ-უბრკველი, გიორგის ტკბილის ღვაწლავით მოხილული, აღტაცებაში მოდიოდა, რადგან პირველად ჰქუდავდა ამისთანა ყმაწვილ-გაცს. პირველად ესმოდა ასეთი ღვაწლავი და ფიქრობდა თავის გულში: «რას ჰკვირებ, რას კარგავ!»-ო. სიამოვნებით, სიტკბოებით უფეთქდა ნორჩი გული. ამკვარად ისე მიიზიდა გიორგიმ თამარის უმანკო გული, რომ აღარ უნდოდა თითქმის წუთითაც კი მოშორება. მუდამ, მძინარეს თუ მღვიმარეს, თვალ-წინ ედგა მოხილული, ახალგაზდა, ზღვირიალ ეზოლტებისნი, კოსტად მუნდირ-გაწობილი გიორგი, რომელიც უკეთესად წიგნებს, უამბობდა რუსეთის უცნაურს ამბებს და, როდესაც მარტონი დარჩებოდნენ, დაუტყრდა ხელს, გადუსვამდა თავისას, აკოცებდა, სან ღოებზე შემოუსვამდა ხელს, სან ღამის თავზე. ამასთან ისე ტკბილად, გრძნობით დასძინდა ხოლმე: «თამარ, რას მშვენიერი ხარ?! არა გეკნარ რუსეთის კერხოსა ქალებსა!»-ო, რომ გულ-უზად თამარს თავებრუნს სხვედა და რადანანირ გამოუგვეველს სიტკბოების ბურანში შეჭვავდა. ამიტომ მომეტებულ ნაწილად ან თითონ-ღიო გიორგისთან, ან გიორგი მასთან. თამარი უგვირბდა გიორგის ყოველგვარ ხელ-საქმეს, უკვრავდა სკვრავს და ჰხრუნავდა მისთვის. ჯერ ერთი იმიტომ, რომ გიორგის მოხუცებულს დედას მარამის აღარც თვალთ უჭრიდა და აღარც ჟანი შესწევდა ამბებისათვის. მეორე იმიტომ რომ გიორგი შეიქმნა თამარისთვის აუცილებელი საჭიროება, უერთმანეთად კვლავ სძლებდნენ. თითქო დაბადებიდანვე უერთ-ერთს არ მოშორებოდნენ და იმავე ჰატარობიდანვე და-მეორედ შესრდი-

ლიყენ და შესთვისებიყენ ერთმანეთს. თამარი ისე გაართო გიორგიმ, რომ სრულად დაავიწყდა შატაშა გოგოები, რომლებსაც დღემდის ასწავლიდა მშვენიერად და გულდასმით ჭრა-კერვას, ქარგა-ქსოვას და წერა-კითხვას. გოგოები კიდევ მოდიოდნენ თამართან, მაგრამ ქალს იმათი გული აღარა ჰქონდა და დაითხოვა. გიორგი და თამარი ერთად დადიოდნენ ბაღებში, კვანახებში, ტყის პირებში და მრავალ სხვა ამგვარ სასიამოვნო ადგილებში. საფხულმა განსვლო შეუმჩნეველად, დადგა წამთარი. ამ დროს განმავლობაში გიორგი და თამარი უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს, უფრო შეეთვისნენ, უფრო გაუტებათ ერთ-ერთი. უფრო სწიწნად ეუბნებოდა გიორგი: «ოჰ, თამარ, რა ლამაზი ხარ, რა კარგი რამა ხარ?! წამო, წაგიყვან რუსეთში, რომ თვალები დაუბრმავდეთ იქაურს ქალებს!..» როდესაც დასსდებოდნენ სადმე სიარულით დალაღულნი, გიორგი ჩაუდებდა თამარს კალთაში თავს, დაუჭერდა ხელს, სრესდა, ჰკოცნიდა, ხან ჰკოცნიდა მუხლზე, გულზე. გიორგის ამგვარი ქცევა თამარს ათრობდა, გულს ნეტარებით უჩივებდა, ატებობდა და, მადლობის ნიშნად, მომდიმარი თამარი შეაშუქებდა თავის ტუცსლ-მიფრქვევს თვალებს, რომელიც ეუბნებოდა ლამაზსა და ტკბილს გიორგის: «გმადლობ, გმადლობ, გიორგიოჲნი: მაგრამ შენ უფრო კარგი, ლამაზი და ჭკვიანი ხარ!».

ეს შეხედვა გიორგის თავბრუს ასკვება და გულის თქმას, სურვილს და ჟინს უარსკვებდა. მრავალ-ნაირად სცადა გიორგიმ, რომ მიესკედრებინა გულ-უბრყვილო თამარი თავის წადილს, მაგრამ თამარი ისე უუფრებდა გიორგის, როგორც ქმას. მართალია, გიორგი უყვარდა საშინლად, ანგარიშ-მიუცემლად, მაგრამ არ დაჰკვირვებდა თავის გულს. თამარმა იცოდა, რომ გიორგი მისი ბიძაშვილი-შვილია, ნათესავია, ძმას; ეს იყო და ეს. სხვა ფიქრი, სხვა გრძნობა, სხვა აზრი აღარ მოსვლია მას შემდეგ, რაც შიშველად არ მოვიდა გიორგი ეტლით და ამხანაგმა გოგომ არ უთხრა: «ემავისთანა ვმზავილი მოგისდებო!» როდესაც გაიგო, რომ გიორგი ხემა ნათესავიაო, იმ გადავიძებულმა გრძნობამ მიიძინა და ისე უუფრებდა ახლა ახალგაზდა კაცს, როგორც თავის საკუთარს. ჰგრძნობდა მსოფლოდ, რომ გიორგი ჭკვიანია, მოხდენილი, ღირსეული, სასწავლი, განათ-

ლებული, ტკბილი, კარგი და სუფითა და გულთ სარობდა, რომ ამ თვისების ზატრონი ჩემი ნათესავია, ჩემთან არის სმირად, მე მესაუბრება. ამგვარად თამარი სრულიად კერ ამხნევად გიორგის: კერც აეს განძნასკას, კერც ლელვას, კერც ორ ახროვან მოძრაობას და კერც ლაზარას. ამიტომ გიორგის მოსდიოდა გული, უორკერდებოდა გულის-თქმა და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

ერთს დიდ-მარხვას დღეს, როცა იოთამი და მარამი წავიდნენ წირვასე სარიარებლად, თამარი ამათსა იყო, იყდა სავარძელში, ჩაედუნა თავი მოსდენით და განჩარებული ჭკერავდა საკერავს. გიორგი კი წამოწოლილიყო თავის სწოლზე და კითხულობდა რადან ფრანგულს რომანს და უთარგმნიდა ქართულად. თუძგა უჭირდებოდა, მაგრამ მანინ თავისებურად უამბობდა წაკითხულს. უამბოკრთი ადგილი, სადაც ყმაწვილი კაცი. მეტის-მეტის აღმტაცის გრძობით ეფიცებოდა ყმაწვილ ქალს სიყვარულს. ბოლოს კი უდალტა, როდესაც ქალი მიიბირა და შეაყდინა...

— უჭ, რა სასიზღარი რამ არის ეგ კიდეც უორყო ოლიკერია?!  
 რა რიგად მთატყუას სწყალი ქალი?!— წარმოსთქვა ოაკ-ჩადუნულმა თამარმა ზიზღით.

გიორგიმ კითხვას თავი დანება და დაუწყო თამარს ყურება. რადგან თამარის ზიზღით წარმოთქმული ჭკვიანური და მისვედრილი სიტყვა გულს მოსკდა და შესეფოთა. გიორგი ტდილობდა, ისეთი რამ წაკითხა, რომელიც თამარს გრძობას გაუღვიძებდა. ასეთი იყო სწორედ, რასაც კითხულობდა, მაგრამ დაავიწყდა იქ შეუწყვიტს კითხვას, სადაც საჭირო იყო და არ გამოკავდა რადგან ყმაწვილი კაცის სიფლიდე. რომანისტის ჭყავდა დასურბებული ერთი გაქნილი და ხნე-დაცემული კაცი. თამარის სიტყვებმა გამოაფისიზა გიორგი და აგრძობინა, რომ ძრეულ შორს წაკედო, კაცი თუ მეტ ადარ მენდოს თამარი და იქედი გამიცრუედესო; დაფიქრდა, რომ გამოკეთებინა როგორმე წამსდარი სექმე. კარგა ხანი უყურა თამარს, რომელიც შუბლ-შეჭმესკნილი, ლოყებ-შებრწული განჩარებული ჭკერავდა საკერავს. გიორგი შესეფოთა თამარის სიტყურთე და დასძინა:

— რად გავიწყდება, ჩემო კარგო ოამარი, რომ ქალმა თავისი ნივთიერი შეძლება, სიტყურთე ძალ-ღოსე, ყმაწვილ-ქალობა შეაღია

სსვას და, როდესაც ყოველივე შეგნება დაჭკარება, დაუბრუნდა იმას, კისაც ნამდვილის გულით უყვარდა?!.. რა შეიტყო ეძაწვილმა ყოველივე ესე, ეძწივება, მოუვიდა გული და თავი დასწება...

— ეგენი არ წაგვიკითხამს, არ გამიკონია და რა ვიცი, — უშასუსტა თამარმა.

— როგორ არა, შენ საკერაპო იყავ გართული და ვერა გაიგე-რ. მე რა ვისე მომეჭტეს ქალი, თავს ვი არ დავანებებ, მოგვალამ. ყოჩაყი სუსტი კაცი ყოფილას!.. შენ, ჩემო მშვენიერო თამარ, ვერ გამოუცდელი ხარ, ბუნების შეილი, არა გესმის-რა. ბუნებით ჭკვიანი ხარ, მაგრამ გაელა სწავლა-ცოდნა. დედა-შენს რომ შენთვის სწავლა მოეცა, სამაგალითო ქალი იქნებოდი, ყველას ადვილად მისვდებოდი, ყოჩაყს არ გაამტყუნებდი. იმასაც ვი მისვდებოდი, რა შემარტება მე!?!..

თამარმა, თითქო მარტლას არც გაუგონია გიორგის უკანასკნელი სიტყვაო, ჭკითხა: — რატო ქართველებს არა გააჭკს გიორგი მაგისტანს წიგნები?!.. და მიანათა თავისი ცოცხალი თვალები, რომლის სწიებმაც ანთო გიორგის ყინიანს გულში ალგონებული ციცხლი! იკლარ შეუძლო, ატოკდა, ალელდა და გულის თქმა გაუოჩკეცდა. დაავიწვდა ნათესაობაც, თავიც, ქალის შემარცხვეული გარემოებაც და ისიც, რომ თამარი ნათესაეურად უყურებდა. «ჭა, ვცადო!» დაიფრდა და მერე გაიკლო გულში: «ამაზე კარგს დროს როდისღა ვიპოვნი!» მაგრამ ისევე დაიფრდა და პატარა ხასს შემდეგ დაიწყო:

— ქართველებს რატო არა გააჭკს ამისთანა წიგნები?! — გაიმეორა გიორგიმ თამარის სიტყვები და დასძინა: — განა ჩვენს საღსნი ვართ?! სადა გუყავს ჩვენ პოეტები?! ქართველები გაუნათლებულნი არიან, «დეკარები» და იმიტომ.

გიორგი ყველა ქართველს «დეკარს» ეძასდა. რომ გუკითხნათ: «რადო?!» ვერას გიძასუსებდათ ამის მეტს: «მთელი რუსეთი ესრე ეძასის ჩვენ ქართველებს და იმიტომ!».. გიორგი ისეთს საღსშა გაიხარდა, რომელმაც ჩვენს არა იცის-რა და არც უნდა — აცოადეს...



თამარს თუმცა გაეგონა მღვდლისაგან, რომ გვეჯანს მწერლები, გვაჭკს ყურნალ-გაზეთები, და უნდა ეზას-უხსა კიდეც, მაგრამ გიორგის სიტყვა უცილობელ ჭეშმარიტებად მიახნდა, განუმებული ყურს უგდებდა და თავის გულში ამბობდა: «რა ნასწავლია?!.. ამ სიტყვებთან ერთად სასე უბრწყინდებოდა და ერთი-ასად მშვენდებოდა. თამარის შეუმჩნეველად გიორგი დაშტერებული სახობად შესტკეოდა. ჭილაკდა და სასის მტყუელებს უმტკიცებდა, რომ რაღაცა ებრძვის, რაღაც სწადიან. აი გაუბრწყინდა სასე. თვალებმა და გულმა სწრაფი მოძრაობა შეტყნა. უცებ მთელმა მისმა სსეულმა ცასცასი დაიწყო. წამოკარდა ზეზე, თითქო მოაგონდა რამეო, მიკარდა გონება-არეული თამარს, წაჭვლიკვა სელიდან საკერავი, გადაგდო იქით და აღუკუბ-ბულმა უთხრა:—ნეტავი შენ, თამარ, არა გწყინდება მაგდონი კერვა. მოდი, ქალაღდი ვითამაშოთ.

ქალი ჰირკელში შეკრთა გიორგის აღანძულ სასეზე, მაგრამ მალე გაუხრა შეკრთომამა და უზას-უხსა:—ქალის საქმე საკერავია, მაშ, რა გავაკუთო?! ჰერანგი გასათავებელი მაჭკს, რადროს ქალაღდის თამაშობაა?!

— საკერავის მტე არა არის-რა ქალის საქმე?!

— სსეა რა შეუძლიან ქალის?!.. გარდა ჭრა-კერვისა და კარგის დისასლისობისა?!

— ბეკრი რამ.

— რა?!

— უკელაფერი, რასაც კი მოინდომებს. ქალს შეუძლიან იუკეს კარგი ზოტე, «უჩიტელი», «საწიიკა», კარგი მეგობარი, კარგი ცოლი, კარგი...—კიდევ რაღაც უნდა ეთქვას, მაგრამ უცებ შესწევიტა სიტყვა, ქალაღდს დაუწყო რევა და დაშტერებით დასტკეოდა თამარს..

— კარგი რაღაი?!

გიორგიმ რაღაც უბრწყინულა ყურში.

— იჭ, რეებს ამბობ?!—გაწითლდა თამარი, განქარებოთ. დაიწყო კერვა და დაუმატა:—დასრებს ჰერანგი გასათავებელი.

— არა უშამსრა, მერე გაათავე. დაიღლები, ჩემო «დიკარვა»!..

— «დიკარვა» რა არის?! სულ კერე მქმსი?!

გიორგიმ სიცილი დაიწყო თამარის კითხვასე. კარგა ხნის სიცილს შემდეგ ჰკითხს:— ჰა, დაპირგოა?!

— რაზე უნდა ვითამაშოთ?!— ჰკითხს თამარმა.

— თუ მოგიგო, რაღა გთხოვო, ამისრულე!..

— რა ვიცი, რასა მთხოვ?!.

— ისეთი რა იქნება, რომ არ შეგეძლოს?!.

— მანცა?!. მითხარ ბარე!..

— ვერ ვითამაშოთ, და თუ მოგიგო, მომეცი ზატოლასანი სიტყვა, რომ ამისრულე, რაც უნდა გთხოვო.

— ბატონი სარ,— უზასუხს თამარმა გულწრფელად და ჰკითხს:— მე რომ მოგიგოა?!

— რასაცა მთხოვ, შეგისრულე. რომ მთხოვო: წყალში ჩაყარდიო, მზათა ვარ, ცეცხლში—ცეცხლში ჩაყარდები, კისერი მოიჭერო,— მოვიჭრი. შედნალება კარგ ქმარსაც გიშოვნი, თამარი გიორგის უკანასკნელს სიტყვებსე გაწითლდა, უნდოდა ეთქვა: «არა გთხოვდებიო», მაგრამ აღარა უთხრა-რა. დაიწყო თამაშობა. თამარი ფიქრობდა: «რა უნდა გთხოვო, რომ მოვიგო და რასა მთხოვს, ნეტა, რომ მომიგოსო?! ისე იყო ამ ფიქრებში გართული გულ-უბრყვილო თამარი, რომ სრულად ვერ ამჩნევდა, როგორ ჰზანავდა ქალადს გიორგი და უბამდა თვალებს. გიორგიმ მოიგო. მის სიხარულს სამსლვარი არა ჰქონდა. ამრანანებდა სუმრობით და ალერსით თამარს. ქალს კიდევ გაეხარდა თითქმის, რომ გიორგიმ მოიგო, რადგან, რომ მოეგო კიდევ, არ იცოდა, რა ეთხოვდა და ისიც უნდოდა გაეგო, რასა სთხოვდა გიორგი.

— აბა, მითხარ, გიორგი, რასა მთხოვ?!— ჰკითხს მოუთმენულად თამარმა და მიანათა თავისი წყლიანი თვალები.

— რასა?!. — გაიღიმა გიორგიმ. გაიარ-გამოიარა თუთუნის წვეთ წინ და უკან ოთახში. მერე უცებ მოტრიალდა კოსტად განწყობილის ჩქმით და შესდგა თამარის წინ ისე. მარჯად და მოხდენით, რომ გიორგისთანა ეზოლეტებიანი თუ მოასერებს ამას, თორემ სხვებისთვის მიუწლომელი სსქება. გიორგიმ დაუწყო უურება გამოძვდელის თვალებით, თითქო უნდა ამოიკითხოს ქალის სახიდან, გულში რა აქვსო. ამ დროს ასლ-განდათა თვალები შე-

სკდნენ ერთმანეთს. თამარმა თავისდა უნებურად თავი დასარა. რად მოუვიდა ესა, ანგარიშს კერ მოგცემდათ. გიორგი კი უფრო ააღელვა, დასწვა ამ გარემოებაში. ქალმა გაუქმორა კითხვა თავ-დასწრითა.

— რასა?!. — გაიმორა კიდევ გიორგიმ. მოტრიალდა, გაიარგამოიარა და შატარა სახს შემდეგ ისევე წინანდებურად გამოეჭიმა და უთხრა: — ჯერ შატარასანი სიტყვა მომეცია, რომ ამისრულებ.

— ავი გითხარო.

— მამ, არ გამიჯავრდები?!.

— რასე უნდა გაგიჯავრდე?!.

— რაც უნდა გთხოვო.

— თუ განაჯავრებელს არასა მთხოვ?!.

— არა, მაგრამ შენ უცოდინარო, უსწავლელი, სოფლელი «დიკარკა» სარ და იქნება საწყენად მიიღო ჩემი თხოვნა?!

— არა. — უმასუსა გულ-გობრვილოდ თამარმა და გული ძალსე უცემდა მოუთმენლობისაგან, რადგან უნდოდა დროსე შეეტოლო, რასა სთხოვდა გიორგი.

გიორგიმ შეიტადა კარგა სახს, რომ უფრო ცნობის-მოყვარეობაში შეეყვანა ქალი და მერე უთხრა: — სიყვარულს!..

— სიყვარულს?!. — ჭკითსა გულ-უსადო თამარმა და მიახერო მანათობელი თვალები, რომელიც თითქო ამას ეუბნეკოდა: «ნუ. თუ ამასე-ღა ძლიერ შეიმლება სიყვარული?!»-ო.

— ჭო, — იყო გიორგის პასუსი.

თამარმა სიტყვი დაიწყო.

— რას იცინი? მე მართლა გეუბნევი.

— დედა არ მამიკვდება, მიუვარსარ!.. — უთხრა თამარმა ისე გულ-წრფელად, ნაობით და უსადოდ, რომ ყოველი მართებული ადამიანი, რაც უნდა ბორბტი განზრასკა ჭქანოდა თამარის შესასებ, შეიწესკენდა, თავის ბორბტ განზრასკასე სელს აიღებდა, მაგრამ გიორგის კი გული მოსდიოდა, ბრზდებოდა თამარის მიუსკედრელობასე: „Ты у ты, что за дикарка?!“ ამბობდა გულში არსულად.

— ნუ თუ არ იცი, რა სიყვარულსა გთხოვ, თამარ?!. —

— რაში მატყობ, რომ არ მიყვარსარ?!. ან რა სათსოკარია?!. რა ანა მთსოკო, არ უნდა მიყვარდე?!. დედა არ მამიკვდება, ნამ-  
დვილი ძმაც რა მყოლადა, მგონი, ასე არა მყვარებოდა.

თამარის ბავშვებმა გულ-უბრყვილობამ ცოტა არ იყო შეარ-  
ცსკინა გიორგი. გველ-ნაკბენივით გატრიალდა და დაიწყო დაფი-  
ქრებულმა სიარული. კარგა ხანს იარა. მეტე თითქო გაასსენდა რა-  
მეო, თვალები გაუბრწყინდა, მიუახლოვდა თამარს ისე, რომ ურთ-  
კრთის სუნთქვა ესმოდათ.

— თუ გიყვარვარ, მაკოცე.— უთხრა გიორგიმ და მიუშვირა  
ტუჩები თამარს, რომელიც იფდა სკარმელში და შეჭყურებდა გიორ-  
გის. მისმა თსოკნამ თამარი შეაკრთო თავისდა უნებურად; ქალი  
ტაწითლდა, გულმა ძალზე უწყო ტემა და არეულმა უზასუსა ღიმი-  
ლით:— რაო?! ჟერ არ გვინასამს კრთმანეთი?! წელიწადია კრთათა  
კართ!?!..

— ეჭ, გეტყობა არა გყვარებივარ!— უზასუსა კითხვდა წყე-  
ნით გიორგიმ და დაიწყო მოღრუბლულმა სიარული, რადგან კარ-  
კად იტოლდა, გამოეფედელს ქალს ეს მკაცრი სიტყვები და ქნევა გულს  
ატეენდა. ამითი გიორგის უნდოდა სრავი ეკლო, საფანგში გაება  
გულ-უბრყვილო თამარი და თავის წადილი აღესრულებინა.

— დედა არ მამიკვდება, მიყვარსარ, გიორგი!.. შესისას ცრემლ-  
მოკრულმა თამარმა, რავი ჭნასა, რომ გიორგის არა სვეროდა მისი  
ფიცი. თან გუჭყურებდა მადლიანად, და ისედაც ღამაზს თამარს ან-  
გელოზებრივ სასეს სდებდა და გიორგის აზვირთებულის გულის  
თქმის აზვირთებულს ტაღლებს უმეტესის ძალით აბობოქრებდა.

— მაშ, დამიმტკიცე.— გამოეკემა კიდეე გიორგი თითქო სი-  
კონტაგით, სიმაღლით და ღაზათიანად გაწყობილის სამსედრო ტანი-  
სამხსით უნდა მოსიბლეს ქალიო.

— რავქნა, ავი გეფიცები?!

— ეკ არა მჯერა, არა მწამს! მაკოცე და მაშინ დავრწმუნდები,  
რომ მართლა გიყვარვარ.— უთხრა გიორგიმ და მიადგა სკამი, დაჯ-  
და ისე ახლო, რომ მუხლები თითქმის კალთაში ჩაუწყო ქალს და  
მიუშვირა ტუჩები საკონტაგად.

თამარი, თითქო მომართული მანქანაო, გულ-უბრყვილოდ მიეწოდა და ასალ-გასდართა ტუჩები მიეწებსენ ურთ-ურთსა. სწორედ ეს უნდოდა ჩვენს ჰარუნიკსაც. მოჭსკვია ქალს თავისი მძლავრი ძვლავები, მიიკრა გულზედ და დაუწყო აღტაცებით კოცნა. ამგვარმა აღერსმამ თამარი თავ-დავიწყებამდის მიაყვანა, ინსტიქტურად ემოწინილებოდა სრულიად უგრძობლად კაცს და დაუწყო თვითონაც მსურვალედ კოცნა. აღფრთოვანებულმა გიორგიმ, რაკი ქალი ამ მდგომარეობაში ჩაავდო, გაიგლო გულში: «გეწოე ჩემს სწადაელსა!»-ო. ბავშვივით აიყვანა და დააწვინა თავის სწაღზედ. ეს ისე უცბო მოიქმედა, რომ თამარი გონს ვერ მოვიდა. მასწინ მოიკრიბა გონება, როდესაც გულზე იგრძნო გიორგის სელი.

— უიჰ!.. რას შერები, გიორგი?!.. — შეჭკვიულა გონს-მოსულმა თამარმა სასოწარკვეთილებით და წამოკარდა სეყედ.

— თამარ, ჩემო მშვენებო, შენ გენაცვალე!.. — ეუბნებოდა გიორგი ისეთის კედრებით, აღერსით და ტკბილად, რომ ქვასაც კი აგრძნობინებდა ნეტარებას.

თამარი შეკრთა, შეირყა, ყელში სული მოეკვინა, თითქო აღერხობს ვინძეო. დაიბნა და აღარ იცოდა, რა ეპასუხენა, მხოლოდ ესღა მოასერსა დაბნეულმა: — გამიშე, არა გრცხვენინა?! ჩვენ სომხეთსაკები ვართ?!.. — ჭკრა სელი გამსეცებულს ჰარუნიკს და გამოცდას სელადან.

— ჩემო ღვთაება, განა სიყვარული ან ცოლქმრობა სირცხვილია?!.. მინდა ცოლად შევიერთო, თამარ! — თან წაატანა სელი და მიიხიდა ქალი.

— გამიშე! — შეუტია შუბლ-შეკრულმა თამარმა, რომელიც ისე იყო არეული ამ ამბით, რომ ძლიეს-ღა იბრუნებდა სულს მეტის მღელვარებისაგან.

— დუშინკა, თამარ!.. ნუ ფრთხი ტუის ნადირივით. განა სიყვარულმა ნათესაობა იცის?!.. — და მივარდა კეფხივით, მოჭსკვია მძლავრი ძვლავები და ისე მავრა ჩაბოჭა, რომ სამძაობა აღარ მისცა. თან უკონიდა ტუჩებს.

თამარმა რამდენჯერმე დახშირა დაევირება, მაგრამ გიორგი, შეამჩნევდა თუ არა, მაშინვე მიაგებებდა თავის ტუჩებს, დასწებებდა და თამარის სმას აღარ ისმოდა.

— გამიშვი, გიორგი, ნუ მარტყობ, ნათესავები კართ!..

გიორგი თავს არ ახებებდა. არც კი ეუფრებოდა თამარის სმას, ისე იყო ადელეკბული და გატაცებული თამარის აღწერით.

თამარმა რა ნახა, რომ საქმე ცუდად იყო, მიჰმართა სვეწინა-მუდარას:—გიორგი, შენი ჭირიძე, გენაცვას, ესაა გამიშვი, თუ გიჟარკარ, თუ გწამს დმერთი.—მაგრამ გიორგის არა გაუგონია-რა. უფრო თავ-დავიწყებული ივრავდა ქალს გულში და უღელმთიანე სანსეს. თამარმა მოიკრიბა ძალ-ღონე, გაბრძოლა და, როგორც იყო, გაუსხლტა ხელიდან და თმა გაწვეწვილი, გაფითრებული, გაკარდა გარე. ველარც კი მოასწრო სიჩქარით, რომ ან თმა გაესწორებინა, ან შლიაპა დაესერა, ისე გასწია შინისკენ. მთელი სხეული უკანკალებდა, უთრთოდა მუხლები და კინაღამ წაიჭტა. დადევნა გიორგი და ესწავებოდა: «თამარ, აქ მო, შე სულელო, გასუმრები!» ეუბნებოდა ამას და იღრმეებოდა უსიერტყვილოდ.

III

— ქა, შვილო. თამარ! რა ფერი გაძვეს, დედა გენაცვალს?!..

—ჭკითსა შეშინებულმა მელანამ, როდესაც შევიდა ძალზე ფერმერთადი და გაწვეწვილი თამარი შინა. თამარი მიკარდა დედას სმას ამოუღებელივ, ჩაკვრა გულში და დაიწყო ჭკითინი.

— რა იყო, შვილო?!—ეკითხებოდა აღშფოთებული დედა. თამარი სმას არ იღებდა, მსოლოდ ჩაჭკითინებდა გულში.—შვილო, რა დაგემართა, რატომ არ მტყუვი, თავს შემოგველე. ავად ხო არა ხარ?!...

— ჭო, დედა, რადაც ნაირად ვარ და თავიცა მტყუვი.—უზსუხს ბოლოს სლოკინით ქალმა, რაკი დარწმუნდა, რომ დედა ვერ მიუხვდა, რაზედაც სტიროდა. ასე ეკონა, შეკალ თუ არა, დედა-ჩემი მამკლავსო. დარწმუნებული იყო, დედა გაიგებს, რაც დამეხართებაო.

— შედი, შვილო, დაწევი ლოგინში, ოფელი მოიღინე და კარ-გად გასდები, გაცივდებოდი, ეგრე როგორ შეტაშინა აკადემოფობამ, შე ლანარო?!.. — გაესუძრა მელანია და დასძინის მზრუნველობით: — რა არის, შვილო, ერთთავად იჭა სარ?! სულ გინდა გიორგისთან იყუე... ალარა გასსოვს-რა იმის მეტი. აქამდის საქმობდი, ბავშვებს აწავლიდი, საქმიანი აღმიანი იყავი და ასლა ალარა გასსოვს-რა. როგორ იჭნება, დედა გენატვალს, დღეს თუ სვალე ოჯახის პატრონი უნდა გასდე?!

— საცვლები აქვს შესაკერი და კინ შეუკვრამს, მაშა?! — უპასუხს თავის გასამართლებლად თამარმა.

— იმასაც არ გამოელის საკვარი?! თვალის ჩინი ალარა გაქვს. თუ არა, აქ მოგიტანონ და ჰკერე, შვილო. მაგრამ შენც გინდა იქ იყუე, იმასთან. რა წავიდეს, მაშინ რაღა გეშუელებს?!

თამარი მელანიას უკანასკნელმა სიტყვებმა შეაგრთო. ქალი ათრთოლდა, თითქო გაცნიაო, მაგრამ არ უთსრა-რა დედას. მელანიამ კი განატრო: — იმანდარა რა უოფაში სარ?!.. აგოცა, სოსოვა გასუღიეო თავის ოთახში, დაწოლილიეო და თვითონ გავიდა კარეთ, რომ ბიჭისთვის შეშა ებანებინა.

თამარი გავიდა თავის ოთახში, განსადა ტანთ, ცოტათი დამშვიდებული რომ დეამ აზოიერი იცის-რაო და დაწვა. მთელი დღე მოშლილი იყო. ანც არა უტამა-რა და არცარა უსვამს-რა. თუშინა დედა ბეჭს ესეკვა, რაც გინდა, გაგიკეთებო... იწვა პირ-აღმა გეტრუნებული და ფიქრობდა ნაკრმნობს. ფიქრებმა თამარი სულიერად და სორციელად შეაწყია. რაღაც სიმძიმე დააწვა ლოდივით გულზე. ნაბრძოლმა სსუელმა, რა იკრძნო თბილი, სუფთა ლოგინი, მოეშვა და გაასვია ქალი ბურხანში, რომელსაც მოეჩვენა დილანდელი სტენა. გიორგისგან ამკვანს რასე არ მოელოდა. შეეჩინდა, სახე და შუბლი მოიდუშა, უფრო გაივითრდა: «ფეე, შეგიტვსვა ნამუხსი!» — წამოიძისა ქაღმა და გააფურთხა ზინელია. «ჩვენ სომ ერთმანეთს არ ვერტვით, და რას ფიქრობდა?! რა უნდოდა?!» ამბობდა თავის გულში და მწარედ ქვითინებდა... კარგა სნის ტირილმა თამარი სრულიად მოსწვიტა, მოღალა, მისუსტა და უფრო წაიღო ფიქრებმა; ამდენმა ფიქრმა სულ არია ქალის გონება. ასლა მოეკვანა სულ სსვა სანასავი. ეს



სხანსაკი იყო: მშენიერი, ეპოლეტებით შემკვლი ახალ-გაზდა, კონსტანტინე, რომელიც ეუბნებოდა ტკბილის ხმით: «თამარ, ჩემო დედასა, მიუგარსარ, მინდა ცოლად შევიერთო. ჩემს, მართალია, ნათესავები ვართ, მაგრამ შორეულნი, ასე რომ განიხილეთ მოგვცემს ჯერის წერისას!» ამას რად დაერთო: მხურვალე ალერსი, კონსტანტინე გიორგისა და თამარი დატყბა!.. «ჰა, რა შემართება?» დაკითხა შემინებელი თრთოლით თამარი თავის თავს. წაუკვლო ეური გულს, თითქო იქიდან უნდა მიიღოს გადაჭრილი ჰასუსი იმისი, რისაც გადაწვევტა გონებას ვერ მოუხერხებიაო!... «იქვე ნათესავობა?!... ხალხი?!... სირცხვილი?!... რას იტყვიან?!...» არეკით კითხებოდა თამარი თავის თავს და გულს, როდესაც იგრძნო, რომ გული იდუმალებით ეუბნებოდა: «სტუფი, შენც გიყვარს გიორგი, ტყუილად იტანჯები, უიმიხოდ სულთქმაც აღარ შეგიძლიან...».

მსელი იყო და საშინელი მიძიმე თამარის ტანჯვა, რადგან შედგარი მებრძოლნი აღმოჩნდნენ გული და გონება... ორივენი მიღვარდა წაქვიდნენ ერთ-ერთს. ქალი კი ამით შუა იტყვიტყოდა, იტყვიტყოდა. ეს ბრძოლა თამარს არ აშორებდა გიორგის: უფრო ალერსიანს, მოსდენილს და მოსიყვარულეს. მაგრამ ძალას ატანდა თავის თავს, მოეშორებინა როგორმე თავიდან ასეთი ფიქრები. «არა, არა! აღარ გაგალ იმითა და აღარც კანსამ!»-ო. ამბობდა გულში თამარი, მაგრამ რადღაც იდუმალი ხმა ჩასჩურჩულებდა ყურში: «სტუფი, გიყვარს, გიყვარს გიორგი!»-ო.

საბრალოა ადამიანი, ეს მშენიერი არსება, როდესაც კვლავ აღმოჩნდება თავის თავს, გულს, გონებას და გრძობას. მთელი დამე ტანჯვითა და საშინელის ბრძოლით გაათქნა თამარმა, რომელიც სულითა და სხრტით შეარყია მისმა თავ-გადასავლამ: თვალუბი მოეწვლვა, გახდა, კაფითრდა და მისცა სიცხე და დაწყების ბოლო. შედინას თავ-ზარი დასცა თამარის ამგვარმა მდგომარეობამ. აფრინა ბიჭი ექიმთან მასლობელ დაბაში. შეატყობინა აგრედე გიორგისაც, რადგან იფიქრა, თამარს იამება მისი ნახვარ. გიორგი პირველში შეაფიქრინა თამარის ავად-მყოფობამ, მაგრამ მალე გადაიყარა გულიდან დარდი და კაილია საიმოკნებით. „ЗНАТЬ ЖЕ Я НАТУРУ ЖЕНСКУЮ!.. Зовутъ, чтобы изъяснить свое согласие!

Это привычка слабого пола, послѣ "...—აღარ დაამთავრა სიტუაცია გიორგიმ და გასწია.

— შეიღო თამარ! ახა, გაასილე თვალი, გენატყალოს დედა, ვინ მოვიდა?! გიორგია შენს სანახავად. — ჩასისხა მელანია მადმუროფს ქალს, რომდესაც გიორგი შევიდა ამითსა.

თამარი გიორგის სსენებაზე ათრთოლდა, ოდნავ თვალი გასილა, მაგრამ ისევე მალე მოხუჭა, სინდისისგან აღანძული სახე გაუყვითლდა, ტუჩები გაულურჯდა, თითქო მომაკვდავიაო. «არ მინდა, არა!.. საჭირო არ არის, ნუ მოვა, ნუ!» წაიღულღულა ძლივს თამარი.

— შეიღო, ჩუენი გიორგია, თავს შემოკეკლე! ავი გიყვარს, შეიღო, გიორგი?! — ჩასისხოდა მელანია და ის კი არ იცოდა, რა გიორგად სტანჯავდა და უორკეცებდა თამარს კაებას მისი დანახვა.

— არ მინდა! — წამოიხსა ძალ-დატანებით და გულმა ძალზე უწყო ბაგა-ბუგი, თითქო გადმოკარდნას აპირობსო. საბრალო მელანიას სმა ჩაუწყდა, გაიძრა, გაწამდა, თითქო თავში ჩაჭკრეს და სმა ჩაწყვითინესო. წასქდა ნიაღვარივით ცრემლი: «რატუნა, რა ღვთის რისხვა მომეკლენა?!. ნეტა რა დანახული მიმიძღვის ღმერთთან, რომ ასე მათხსნიან?!.» ფიქრობდა სასოწარკვეთილი დედა.

გიორგი, რომელიც აქვე იდგა, თამარის სიტყვებმა მოჭკვლა, გააშრო, ღანკარივით მოხვდა გულში მისი სმა უარობისა, დაიბნა და გაშტერებული კარგა ხანს იდგა ერთს ადგილს უძრავად, თითქო ქანდაკებაო. უკვირდა საშინლად თამარის ქცევა, რადგან პირველად ჭსედავდა და ესმოდა ასეთი მგაცრი უარ-ყოფა თავისი. დაჩვეული არ იყო ამგარებს. იქ, რუსეთში უფრო პატივის სცემდნენ უფრო აღერსით კვირობოდნენ. აქ კი რამდენი ეცადა, რამდენი ეწვალა, კერას მიახვედრა თამარი, მაინც კერას გასდა. ესლაც არ იკარებენ, არც კი უნდათ მისი ნახვა. თავ-მოყვარე გიორგის საშინლად ეწინა. უცებ მოტრიალდა მოღრუბლული, სმა-ამოუღებელი და წაიდა. მელანიას ისე იყო მწუსარებით მოცული, რომ არცკი შეუძინებია, რატვარ ყოფაში იყო გამწვლი კაცი.

ერთს დღეს მისცა საშინელი სიცხე თამარს და მოჭყვია ნაწივ-ნაწივ ბოღვას: «არა... ჩვენ... გამიშვი... ჩვენ... ნათესავები... არ...

გამიშვი... გიორგი!» მელანია, რომელიც ფეხ-უცვლელად ჩასტკეპროდა აკადემიკოს ქალს, ესმოდა ესეები, მაგრამ მწუხარებისგან ისე იყო დახნიული, რომ ვერა გაეგო-რას, რას ნიშნავდა მისა ბოღვა. ერთის კვირის შემდეგ თამარი მობრუნდა, მაგრამ თითქო დაჭკარგვია რამეო, ათვლიერებდა რაღასაც. ცოტაც და თამარი სრულიად კარგად გახდა, მაგრამ აჭამდის მსიარული, ცქრიანლა, ელფერით საგსე, შეიქნა ფერ-მკრთალი, დაღვრემილი და დაფიქრებული.

გიორგის ახრი გაუცრუვდა, მაგრამ იმედს მინც არა ჰქარგავდა. დარწმუნებული იყო, თავის გაკლენას იტონიებდა ის, რაც მოიქმედა. ახლა ელოდა თამარის მოჩინას, რადგან იმედი ჰქონდა, მოჩინება თუ არა, რაკი მიმისვდა ახრს, ისე შეეს მინდიდული, რომ ახლა თვითონ ის დამიწებს დეკნასაო. გავიდა ერთი კვირა; ესმოდა, რომ თამარი კარგად აჩისო და, რაკი არც იხარებდნენ, არც თამარი გამოდიოდა ამთსა, ცოტა არ იყოს გულზე ჰქებდა ეს ამბაკი და შოფოთავდა. ბოლოს გადსწევითა თითონ გასულიყო და ენახა. «მოდო გავალ, ერთი კვირებო!» იფიქრა და გასწია იმთკენ.

თამარი, ბუკრის ბრძოლისა და ტანჯვის შემდეგ, დარწმუნდა, რომ გიორგისადმი სიყვარულს ღრმად გაუდგაკს ფესვები მის გულში და იტანჯებოდა მისის უნახავობით. გულის სისწრაფით ელოდა მის ნახვას. სწეუროდა საშინლად გიორგის დანახვა, მაგრამ ძლას ატანდა თავის თავს. უნდოდა როგორმე მოეშორებინა თავიდან გიორგი, მაგრამ კელარ შესძლო, დაიძლია, აკესო მოთმინების საწეო და ის-ის იყო ახირობდა ბიჭის გაგზავნას, რომ გიორგი შევიდა ამთსა. მელანია ოთხსში არ იყო იმ დროს.

— უიჭი! — შეჭკვივლა თამარმა, გიორგი რომ დანახა და გული გადუტრიალდა, მეკრდმა ძალზე უწეო ფეთქა, დაიხნა, დაღუნა თავი და, თითქო დაკრულია ადგილსეო, გაბეტებული დარჩა...

— თამარ!.. — წარმოსთქვა გიორგიმ ისე ტკბილად და აღერსით, რომ თამარს თბილმა ყრუანტელმა დაუბინა თავში, გიორგიმ კი განაგრძო: — მაღლობა ღმერთს, კარგათა ხარ, სამჯერ-ოთხჯერ მოკვდი შენს სახსავად და არც ერთსელ არ მინახული, — იცრეა გიორგიმ და უსაყვადურა.

— ესლად რაღად მოსკვლი?! — ჰკითხა თამარმა ხმის განკალით.

— შენს სანასაკად, ჩემო ღვთაებაჲ!..

— მე აჲად არა გარ!... მომშორდი!..— უზასუსა ქალმა აღელ-  
კებითა და არეკითა.

— თამარ!.. ჩემო მშვენიერო, ნუ მტანჯავ!... შენ გამოუცდე-  
ლი ხარ და ტყუილადა შიშობ. სცდები, ჩემო სოფელელა.— მიუ-  
ასლოკდა დაუნოქა და თან დასძინა მოკვდინებით:— ამაზე მეტის  
მოთმენა აღარ შემიძლიან, გვეკვდრები!...

ეს-ღა აკლდა თამარის ცეცხლს! ქალი სრულიად აირია, მიკარ-  
და გიორგის თაგ-დავიწეებულად, ანგარში მიუცემილად, მოკვდისა გისურ-  
ზე და ჩასძახოდა: «გიორგი, გიორგი!» მეტს კვლანას ასურსებდა,  
მაგრამ ეს იყო გატაცება წუთისა. თითქო მოაგონდა რამეო, უცებ  
შეკრთა, ხელი ჭერა აღტაცებულს გიორგის, თვითონაც უკან დაი-  
წია შეშინებულად, და ხელების ქნეკა დაიწყო:— იქით, ნუ მომე-  
კვრები, ნათესავები ვართ!...

გიორგი შეიღვრა, ზატარა ხანს დაფიქრდა და მერე უთხრა:

— გარგი, თამარ! რასან არ გინდა გამბედნიერო ჩემის სიყვარ-  
ულით და ცოლობით, შენი ნებას, მადან არ დაგატან და წაკალ  
შენგან მოკლული, უბედური, რუსეთს მარტოდ-მარტო. ამას კი გე-  
ტყვი, რომ დიდად შემცდარი ხარ!.. განონი ჩვენ ნებას მოკვცემს  
ჯვრის წერისას!.. აჲ გიორგიმ გაუბა ლაშარაკი და უმტვიტებდა, რომ  
თამარის აზრი უსაფუძვლოა. რამდენიმე მაგალითი უამბო, რომ მ-  
ღისას სლო ნათესავებსაც დაუწერიათ რუსეთში ჯვარი დაუბრკო-  
ლებლადა და თავისი გრძელი სიტყვა დახბოლოვა შემდეგით:— ზა-  
ვის ჩემის მამისა, ზაზაშენი ბიძაშვილი ეოფილა და ეს რა ნათე-  
სობაჲ! გარდა ამისა, კვლავაც მითქვამს, სიყვარულმა ნათესაობა  
არ იცის. შენ ვერ ბავშვი ხარ, ჩემო მშვენიერო თამარ, ამისთანე-  
ბისა არა გაგებება-რა და არა გესმის-რა არც სიყვარულისა და არც  
მადლის, წმინდა გრძობისა!.. ავი გითხარ ქართველები უკან ჩა-  
მოარჩენილები არიან ევლადფერში-მეთქი?!.. ემანდა რა სისულელეებს  
მისდევთ?!.. განათლებულს ქვეყნებში სამ თაობამდე ითვლება ნათე-  
სობა, მერე კი ევლას ირთვენ. მე და შენ, ჩემო ღვთაებაჲ, მესამე  
ნათესავები ვი არა, მეტხუთმეტენიც ვართ. ეგრე რა გავეყეთ, სულ  
ერთმანეთის ნათესავები გამოვალთ, რაც დედამისის ზურგზე სალ-

სი ვცხადობთ, რადგან ყველანი ჯდამ და ევას შეილება ვართ. გუ-  
 დანაწაკები, განათლებულს ქვეყნებში უფრო მსაღობელს სათესაგებს  
 ირთავენ!.. ესე რა არ იქნის, შირტუევი ხომ არა ვარ, ან მსეტეა?!..  
 შენ რა, ცოტადენიც არის, ქვეყნის ამბები იცოდე, ეგრე არ მოუ-  
 ვერობდი ჩემს გრძნობას და წმიდა სიყვარულს!... ბნელითა ხარ,  
 თამარ, გარემოცული, ბნელით, რომლისათვისაც დიდათა ვწუხვარ!...  
 მეფიცებოდი, მიყვარხარ და შენი ნახვის სებად აღარ მამეციე!...  
 რა გქნა, შენ კარგათ იყავ და მშვიდობით!—მაბრუნდა მძაძუდ და  
 დაწყო განგებ ქეთინის, რადგან კარგად იცოდა, რომ ამით გე-  
 მოუცდელს თამარს თავბრუს დასსავდა. მართლაც ასე მოხდა:  
 გიორგის გრძნობით წარმოთქმულმა სიტყუებმა, მეტადრე ქეთინისა,  
 თამარი სულ გადაჩია და იმ დროს, როდესაც მიტრიალდა გიორ-  
 გი, გადასდგა ორი ნაბიჯი, ვითომდა კახში გასსვლელად, თამარმა  
 შეჭყვარა წარდგომულივით, მივარდა გიორგის, შემოაჭდო ვისურ-  
 ლედ მთროლოლვარე შელაკები და დაუწყო აღტაცებულმა კოცნა. თან  
 გრძნობით ეუბნებოდა:

— გენაცვა, გიორგი, მამატიე, მე არა ვიცი-რა, არა მესმის-  
 რა! შენი ვარ, შენი, მიყვარხარ!..—ამგვარად ჩაკეცნენ ასალ-განდ-  
 ნი ურთ-ერთისა და ეფიცებოდნენ ერთმანეთს საუკუნო სიყვარულს!..  
 გიორგიმ თავდებათ მისცა პატიოსანი სიტყვა, რომ უმცველად, რა-  
 დაც უნდა დამიჯდეს, ცოლად შევიერთავ მალე და წაგიყვან ჩემთან  
 რუსეთში.

რევანს ფავლენიშვილი

(დასასრული იქნება)



# გ ა ნ თ ი ა ლ ი

მოთხრობა ევისა

XX \*)

„აეაზაკნი“ — „მსხვერპლნი!“ — სიანს, ვერ იყო კარგად ოსმა-  
ლეთის საქმე მაშინ, თუ კი იმ ქვეყნის მცხოვრებნი ასეთის  
წინააღმდეგის აზრისანი იყვნენ ერთისა და იმავე საგნის შესა-  
ხებ. რაც ერთნი სიკეთეს უწოდებდნენ, მეორეებს ავაზაკობად  
მიაჩნდათ. ცხადია, ნიადაგი, რომელზედაც ოსმალეთის წეს-  
წყობილება იყო დამყარებული, მეტად შერყეულიყო.

ამ სამის ბოლგარელის ჩამოხრჩობამ, რუშიუკში ბოლგა-  
რელთა შესაშინებლად მომხდარმა, ვერაფერს შეაშინა, ხოლო  
ხალხი კი გააბრაზა, ოსმალებისადმი სიძულვილი გააძლიერა.  
ოსმალებმა ქრისტიანებს და ქრისტიანებმა — ოსმალთ უფრო მე-  
ტის მტრობით დაეწყეს ერთმანერთს ყურება. ადვილად კი  
შეიძლებოდა ეს სიძულვილი აეცილებინათ თავიდან. ამისათვის  
საკმაო იყო სტანკო განეთავისუფლებინათ და ნება მიეცათ  
ბავშვებისათვის ისევ ძველებურად ესწავლებინა. მაგრამ ოსმა-  
ლებს საჭიროდ მიაჩნდათ „დაშინება“: ეს აუცილებელი შედე-  
გი იყო ოსმალთა მართვა-გამგეობის წესისა; სხვაფრივ მოქცე-  
ვა ოსმალთათვის არ შეიძლებოდა. — ახლა ყველას ეშინიან  
ჩვენი, — ამბობდნენ ისინი: — შეჰხედეთ, როგორ დამშვიდდეს  
ახლა რაიაო!

მართალია, ყოველივე დამშვიდდა, მაგრამ ეს ის დამშვი-  
დება იყო, რომელიც ყოველთვის მოსდევს დიდს მწუხარებას,

როცა ეს მწუხარება სასიკვდილო კი არ არის, არამედ გამო-  
 ბრუებელია ადამიანისა. დაშინდნენ განსაკუთრებით ისინი, ვის-  
 თვისაც ეს ხელსაყრელი იყო; დაფრთხნენ ისინი, ვინც მზად  
 იყვნენ ყოველსავე წეს-წყობილებას შეპრიგებოდნენ და მისი  
 შემუსვრა არ მოენდომებინათ. ამ უკანასკნელთა შორის იყო  
 ილენკას მამაც. სინიდისი, ცოტა არ იყო, ამხელდა სტანკოს  
 სიკვდილისათვის. მაგრამ ცდილობდა თავისი თავი მართალი  
 გამოეყვანა და ყოველივე ბრალი თავზე მოეხვია იმ მოძრაო-  
 ბისათვის, რომელიც მის თვალ-წინ იყო ამტყდარი. სტანკო  
 აუცილებელი მსხვერპლი იყო ამ მოძრაობისა. ჰაჯი ქრისტოს  
 ამ საქმეში თავისი თავი ყველაზე გამოცდილ კაცად მიაჩნდა,  
 რადგან თვითონაც დაისაჯა მისის მეოხებით. აკი ისიც საპა-  
 ტიმროში იჯდა! აკი იმასაც ხუნდები გაუყარეს! თქვენ ისა  
 ბრძანეთ, ფული რამდენი დახარჯა! მეჯლიშის კრების დრო  
 ახლოვდებოდა, იმასაც უნდა მიეღო მონაწილეობა. მცხოვ-  
 რებნი სარწმუნოების მიხედვით იყვნენ დაყოფილნი და თითო-  
 ეულის სარწმუნოებისანი თავ-თავიანთ წარმომადგენელთ ირ-  
 ჩევდნენ კრებაზედ დასასაწრებლად; ხოლო მათ გარდა კრე-  
 ბაზე აუჩრევლად ესწრებოდნენ ოსმალთა მუფტი, მღვდელ-მთავა-  
 რი და მისი მოადგილე—ქრისტიანეთა და რაბინი—ებრაელთა.  
 გათიგუმაჟუმში, რომელიც ამ ადგილობრივ დაწესებულებათა  
 საძირკვლად ითვლებოდა, გამოცხადებული იყო,—ყველა ეს  
 შემოხსენებული წევრები საბჭოსი თანასწორ უფლებით უნდა  
 იყვნენ მოსილნიო, მაგრამ ნამდვილად კი სულ სხვა იყო. ქრის-  
 ტიანები და ურიები, თუმცა მოსლემინებზე ბევრნი იყვნენ,  
 ამ უკანასკნელთ მაინც ყოველთვის უთმობდნენ ყველაფერს ან  
 ხმა-ამოუღებლივ ეთანხმებოდნენ გადაწყვეტილებას, რომელსაც  
 რომელიმე ოსმალთა, ან მთავრობის წარმომადგენელი ურჩევდა  
 საბჭოს. ამ სახით, ოსმალების წარმომადგენელნი არჩევდნენ და  
 სწყვეტდნენ ამა თუ იმ საგანსა, ხოლო დანარჩენი პატივცე-  
 მულნი მცხოვრებნი ფიქრობდნენ?—ჩვენც ვიღებთ საქმის გა-  
 დაწყვეტაში მონაწილეობასაო ნამდვილად კი მხოლოდ მოწმე-  
 ნი იყვნენ.



ამისთანა კრებაზედ დასასწრებლად ემზადებოდა ჰაჯი ქრისტოცა. კრება ოთხშაბათს უნდა დაწყებულიყო. წარსულ კვირას, როცა ხალხი ეკლესიიდან გამოდიოდა, ჰაჯი ქრისტო კარებში გაჩერდა და, მოკრა და ანკა რომ დაინახა, მივიდა და სალაში მისცა. იმათაც სამაგიერო სალაში მისცეს.

— შემოვიდოდი შენსას, მოკრა, დარწმუნებული რომ ვიყვე—კარგად მიმიღებდი,—უთხრა ჰაჯი ქრისტომ.

— ჩემი პურაძვირობა როდის გავიგონია განა?—უპასუხა მოკრამ,—ოღონდ შენ მოდი და დანარჩენი ჩემს კისერზედ იყოს...

— პეტრეს ნახვაც მინდა.

— მგონი, შინ დაგიხვდება.

ორნივე ერთად წავიდნენ. მოკრამ სტუმარი მუსაფირლიქში შეიყვანა; დაბრძანდით—სთქვა. და თვითონ კი გავიდა. რამდენსამე წუთს შემდეგ პეტრეც მოვიდა. როგორც სახლის უფროსს, სტუმარი იმას უნდა გაერთო. თავდაპირველად, ჩვეულებრივ, უნდა მისალმებოდა. მერე ანკამ დასაწვევი შემოიტანა. ჯერ მურაბა და წყალი, მერე შავი ყავა, შემდეგ ყალიონები და, როცა ფოთურათი, მოკლე ჯუბითა და ფესით გამოწყობილმა, განიერ ქამარ შემორტყმულმა დაბრძანებულმა ბოლგარელმა და ევროპიულად ჩაცმულმა ახალგაზდა კაცმა—ცისფერი ბოლი გამოუშვეს პირიდან,—მხოლოდ მაშინ დაიწყო ჰაჯი ქრისტომ ლაპარაკი:

— ერთი რამ უნდა გთხოვო...

— ბრძანე!—უთხრა პეტრემ.

— ჩემი თხოვნა, შეიძლება, საწყენადაც დაგჩხეს, მაგრამ იმედია, ჩემს ნათქვამს მოისმენ, ამიტომ რომ, თუმცა სამზღვარგარედაც სწავლობდი, მაინც პატრისაცემი, მშვიდობიანი კაცი გამოხველ... ამას ყველა ჰხედავს და ყველანი შესაფერად გაფასებენ კიდევ. ძმების საქციელმა საქმეში ჩაგახედა, და ზურგი შეაქციე ჩვენს ყმაწვილ-კაცობაში მოდებულს სენსა.

— ჰმ...—წაიბუტბუტა პეტრემ.—რა უნდა ბრძანოთ მაგითი, ჰაჯი ქრისტო?

— რა და, უნდა დამიწერო... შენსავე შე ვერ დავწერ, ვერცარავინ სხვა დასწერს.

— რა უნდა დავიწერო?

— აი რა... საბჭოს, საცაა, კრება ექნება და მინდა ორიოდ სიტყვა ვსთქვა ამ შეჩვენებულ ჩვენებურს განათლებაზე, — აი ღმერთმა ნუ იცის მისის მომგონის თავი და ტანი! — დროა, ამ ჩვენის ახალგაზდობის დამღუპველს კირს ბოლო მოვუღოთ.

— თუ კი შენ თვითონ ილაპარაკებ, ჩემი დაწერა რაღად გინდა?

— ამასაც გეტყვი, რაღა. ჯერ პირველი, ყოველივე ესე მასწავლებლის (საჩივრის) სახით უნდა წარვადგინოთ, და მეორედ, საჭიროა ჩვენი საჩივარი ფაშას ან თვით ხონთქარს მივართვათ, როგორც უქვეშევრდომესი თხოვნა. რა თქმა უნდა, შენზე უკეთესად ვერავინ დასწერს... უნდა ვთხოვოთ, — საბოლოოდ თავიდან მოგვაშორონ ეს წყეული განათლება... აღკრძალონ, — საზღვარ-გარედ არავის შეეძლოს შეიღის გაგზავნა... სკოლებისა და წიგნთ-საცავების შესახებ რამე წეს-რიგი შევიშუშავონ.

— გააუქმონ თუ? — ჩამოართვა სიტყვა პეტრემ.

— მაშ... ყოველივე ბოროტება მანდედან იწყება. სკოლებში ერთი ფარაც არავის უშოვნია, და მათის გულისათვის, ვინ იცის, რამდენი კაცი დაიღუპა! — შაჯი ქრისტომ მწარედ ამოიხრა და განაგრძო.

— საწყალ სტანკოსთვის კინაღამ ვიტირე... ახლა, არ იკითხავ, სტოიანი რამდენი ზარალი მომცა? სტანკო რამ დაღუპა? — სკოლამა. სტოიანი რამ აიძულა ვაქრობისათვის თავი დაენებებინა და რაღაც სისულელეს გადაჰკიდებოდა? — რა თქმა უნდა, სკოლამ. ვინც საზღვარ-გარედ სწავლობდნენ, იმათში მხოლოდ შენ გადარჩი, ამიტომ ეს თხოვნაც შენ უნდა დასწერო; და, ფაშა რომ გაიგებს, ეს თხოვნა პეტრეს დაწერილია — უეჭველია, დაუსაჩუქრებელს არ დაგტოვებს.

პეტრე საგონებელს ჩავარდა. ცდილობდა უარი ეთქვა ქრისტოსათვის და იმავე დროს საქმე ისე მოეხერხებინა, რომ შაჯი

ქრისტოსათვისაც არა ეწყენინებინა-რა. არ უნდოდა, ჰაჯი ქრისტოს მეგობრობა მოჰშლოდა, რადგან მისის მეგობრობით მტრებს ოსტატურად თვალს უხვევდა. სანამ პეტრე ფიქრში იყო, ჰაჯი-ქრისტომ თავისი სიტყვა ასე განაგრძო:

— ხონთქარმა რომ ჩვენი თხოვნა შეიწყნაროს, მაშინ ჩვენს სამშობლოში ისევ უწინდებური მშვიდობიანობა ჩამოვარდება, და ეს მშვიდობიანობა მე და შენ ყველაზე მეტად გვესაქიროვება: მე—იმიტომ რომ ბებერი ვარ, შენ კიდევ—იმიტომ რომ ყმაწვილი ხარ. ასე გამოდის. მე საკმაო ქონების პატრონი ვარ, და ამ ქონებას, რა თქმა უნდა, საფლავში თან არ ჩავიტან. მინდა ის ქონება ქალს გავაყოლო მზითვევში და თანაც დარწმუნებული ვიყვე, რომ, რაც სიმდიდრე ღმერთმა მიწყალობა, ჩემს შემდეგ რიგიან კაცის ხელში გადავა... აი ამისათვის არის მშვიდობიანობა საჭირო.

ადვილი მისახვედრი იყო, რის თქმაცა სწაღდა ქრისტოს. პეტრეს შეეძლო ეფიქრნა:—ამ კაცს ჩემი სიძედ მოკიდება მოუნდომებიაო, მით უფრო, რომ სთქვა—მოხუცისათვის მოსვენებაა საჭიროვო, თუმცა ის კი აღარა სთქვა, იგივე მოსვენება ახალგაზდა კაცისთვისაც დიდი სანუკარი იყო, თუ არა. ამ საგანს ჰაჯი ქრისტო არ შეეხო და ფარად თავისი ქალი მოიშველია. პეტრე ადვილად მიხვდა ყველაფერს, მაგრამ ისევ დაფიქრებული იჯდა. ჰაჯი ქრისტო კი არა სცხრებოდა:—რომ მეცა და შენც მოსვენებით ვიყვეთ, აგრედვე ვაქრები, გლებნი და საზოგადოდ მთელი ჩვენი სამშობლო მოსვენებითა სტკებოდეს, ყველაფერი ესე, რაც შეიძლება, კარგად დასწერე.

პეტრემ მოუსმინა ლაპარაკი, თავი დააქნია და უპასუხა:

— მაგას ვერ მოვახერხებ.

— ხუმრობ თუ!—გაიკვირვა ჰაჯი ქრისტომ.

— ვერ მოვახერხებ-მეთქი.

— რა დროს ეგაა, შენს ღებნას!

— შენ არა გჯერა და მე კი კიდევ ვიტყვი, რომ ეგ საქმე არ მოხერხდება.

— კაცო, წერა ხომ იცი!

— ვიცი: ბოლგარულად, რუსულად, გერმანულად, ფრანგულად და ოსმალურად კი არ ვიცი.

— ხარაჩ იოხ! — დაიძახა ჰაჯი ქრისტომ: — შენ ფრანგულად დასწერე; ფაშაც გაიგებს და ხონთქარიცა.

— კარგი-და, თხოვნა საკუთრად შენგან იქნება?

— არა, მთელის საბჭოს სახელით უნდა მივართვა.

— მერე, საბჭოში ფრანგულად დაწერილს თხოვნას ვინ გაუკვებს.

ამ გარემოებამ ჰაჯი ქრისტო ცოტათი შეაფიქრიანა; მაგრამ მაშინათვე უპასუხა: — ეს სულ ერთია, გაიგებენ თუ არა. შინაარსს შევატყობინებ და დარწმუნებული ვარ, თხოვნაზე ყველანი მოაწერენ ხელს.

— თხოვნის წერა მე მაინც არ ვიცი.

— როგორ? — ხელახლა გაიოცა ჰაჯი ქრისტომ, — თხოვნებს აი ასე სწერენ, — და თითოთ ხელის გული უჩვენა.

— მაგ ნაირად თხოვნის წერა ყველას როდი შეუძლიან! დერცის წაღები შეაკერინე და მეწადეს — შარვალი: მოახერხებენ? თხოვნების წერა რომ არ მისწავლია, საიდან მეცოდინება!

უკანასკნელმა საბუთმა ჰაჯი ქრისტო დააჯერა. თავი დაიქნია, შუბლზე ხელი მოისვა და ჰკითხა: — მაშ როგორ მოვიქცე?

— როცა საბჭოს კრება ექმნება, რაც გინდა, სიტყვიერად და სთქვი; იქ ქმათიბჩი (მწერალი) არის, და ის ოსმალურად დასწერს, როგორც რიგია; მისი დაწერილი ჩემს დაწერილს თხოვნას ემჯობინება.

— მართალი ხარ, — დაეთანხმა ჰაჯი ქრისტო, მერე მძიმედ ამოიოხრა და ხელახლა დაიწყო — ეგ საჭირო არისო. საბუთად მოჰყავდა სერბიაში ატეხილი ომი, რუსეთის განზრახვათა შესახებ დაყრილი ხმები, და, ბოლოს, სტანკოს დასჯაცა; ყოველივე ეს თვისის აზრისა და შეხედულებების საბუთად მიაჩნდა.

— გავიგე, — შეჰნიშნა პეტრემ, — სტანკოს არ ჩამოახრჩობდნენ, რაღაც კრების ამბავი რომ არ გაეგოთო.

— მაშ., ჩემს ბაღში რომ მოჰხდა, ეგ ის კრება იყო?

— მერე როგორ გაიკვს?

— მე ვსთქვი ყველაფერი... იმ კრებაზე სტანკო, სტოიანი და ერთი ვიღაც ახალგაზდა კაცი დაესწრო.

— სვინილისმა მაინც როგორ მოგცა ნება, ჰაჯი ქრისტო! — შეჰნიშნა პეტრემ საყვედურის კილოთი.

— სვინილისმა როგორ მომცა ნება?.. თუ კი იმათ შეეძლოთ ჩემს ბაღში შეკრებილიყვნენ, მე მათის გაცემის უფლება რათ არ უნდა მქონოდა? მე თვითონ მამტყუნებდნენ — სტოიანს შენს სახლში რაღა ჰმალავდიო; იმათა სახელები რომ არ მეოქვა, დამნაშავედ მე გამომიყვანდნენ და აკრას აქედ გზა აღარ მექნებოდა.

პეტრემ ეს ვულუბრყვილო თავის-გამართლება მოისმინა და წინააღმდეგი არა უთქვამს-რა. ჰაჯი ქრისტომ ცოტა ხანს კიდევ ილაპარაკა და, ბოლოს, წავიდა. მამის შემდეგ ქალი მოვიდა. ილენკა მოკრასას ხშირად დადიოდა; ხანდისხან დღეში რამდენჯერმე შემოირბენდა, ეგებ იმათი ამბავი გავიგო რამეო. **ასანი**, — ესე იგი: სტოიანი და ნიკოლა. ჯერ ბუნდი ამბები ისმოდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ნამდვილი ცნობა მოვიდა, — სამშვიდობოს უხედაოდ გავიდნენო.

პეტრე ბუქარესტში უნდა წასულიყო, მაგრამ არა ჩქარობდა. ჯერ უნდოდა საქმე ისეთნაირად მოეწყო, რომ მთავრობას ექვი არა აეღო-რა. აი ამ მგზავრობის შესახებ ელაპარაკებოდა ახლა ილენკას.

— როდის მიდისარ? — ჰკითხა ქალმა.

— მარჯვე დროს ვუცდი.

— აგერ ორი კვირაა, სულ ეგ პასუხი მესმის.

— ქალო, ხომ არ გინდა, რომ ოსმალებმა დაბრუნებისათნავე ხელი წამაელონ?

— ოჰ, ღმერთმა დაგუფაროს! — უთხრა ილენკამ.

— ცოტა მოთმინება იქონიე, — გულს უკეთებდა პეტრე.

— რა გეწყობა, ვეცდები მოთმინება მოვიკრიბო.

სანამ ილენკა მოთმინებასა ცდილობდა, მამა მისი საბჭოში ლაპარაკობდა. ოსმალებს ძალიან ეუცხოვათ, როცა ჰაჯი ქრის-

ტომ ლაპარაკის ნება ითხოვა. ერთმანეთს გადაჰხედეს, მხრები შეიშმუშნეს, და ერთმა კიდეცა სთქვა ხმამალლა:

— რა კი რაჟამაც ლაპარაკი მოინდომა, ამას შემდეგ აღარც კი ჰღიროს საბჭოში შემოსვლა.

თავმჯდომარემ ჰაჯი ქრისტოს ლაპარაკის ნება მიიწვდინა.

— აბა, რას გვეტყვი?—ჰკითხა თავმჯდომარემ.

— მე ის მინდა მოგახსენოთ, რომ ამ უკანასკნელს დროს თავზე რაც რამ უბედურება გვატყუდება, ყველაფრის მიზეზი განათლებაა...

— მერე რა გინდა?—ჰკითხა თავმჯდომარემ.

— რა საჭიროა ჩვენთვის სკოლები, სამკითხველოები, წიგნები და გაზეთები?

— მაშალლაჰ! მაშალლაჰ!—მოუწონეს ოსმალებმა.

— ფრანგულად ჩაცმული ხალხი ჩვენ არ გვინდა.

— მართალია, ეგ ჰკვიანური სიტყვაა!

— მივწეროთ ფადიშაჰს, — ლმერაჟმა მისცეს დიდი დღე! — და ქალაქი მივართვათ, რომ ჩვენ, უქვეშევრდომლენი მონანი მისნი, მღაბლად სალამს ვაძღვეთ და ესთხოვთ, შემდეგის ბრძანების გაცემა ინებოს: გაუქმდეს ყველა სკოლები და წიგნთ-საცავები, დაიწვას ყველა წიგნები და გაზეთები და არავის შეეძლოს სამზღვარ-გარედ შევილის გაგზავნა. ამ გვარად, დაგვიბრუნდება ის მშვიდობიანობა, რომლითაც ვსტკბებოდით წინად, სანამ განათლება არ შემოსულიყო... ეს სენი გადაგვედო თუ არა, ჩვენი განიორწყლებაც დაიწყო. ქათბიზიმ ყველაფერი ეს დასწეროს თხოვნაში, ზედ ჩვენი ბეჭდები დავაკრათ და ფაშას წავუღლოთ. იმან კიდევ ფადიშაჰს გაუგზავნოს. უბედნიერესმა, უბრძენესმა, უგანათლებულესმა, უდიდსულოვანესმა ფადიშაჰმა შეგვიბრალოს ჩვენ, უბედური რაჟები, და დაგვიხსნას განათლებისაგან, როგორც კრუხი თავის წიწილებს ქორისაგან იხსნის ხოლმე!

— მაშალლაჰ! მაშალლაჰ! — უწონებდნენ ოსმალები.

— ჩინებულად, სწორედ ამბობს, — ბანს აძლევდნენ ურიე-  
ბიცა და ქრისტიანებიცა.

რაკი ესეთი პროექტი ერთხმად მოიწონეს, საჭირო იყო.  
ქათიბჩის აღრესი დაეწერა, — ამის წინააღმდეგ არავინ არას  
ამბობდა. მხოლოდ ერთმა განაცხადა უკმაყოფილება, რომ ასე-  
თი კარგი აზრი ქრისტიანებმ წარმოსთქვა და არა ოსმალომთა,  
ამიტომ კრებასა სთხოვა, რაჟებს კარგის აზრის გამოცხადების  
ნებას ნუ მივსცემთო. მაგრამ თავმჯდომარემ ჰაჯი ქრისტოს  
მხარე დაიჭირა.

— იმისი რა ბრალია, — ამბობდა თავმჯდომარე, — თუ კარ-  
გი რამ მოიგონა? — მაგრამ ოსმალო მაინც თავისას გაიძახოდა.

— სანამ საჯაროდ იტყოდა, თავისი აზრი ჩემთვის რომ  
გაეცხადებინა, მე ჩემის მხრით ცოტა რასმე დავსძენდი და  
უკეთესი გამოვიდოდა.

— სახელდობრ რასა?

— მე დავსძენდი, ფაღიშაჰისათვის გვეთხოვა, რომ ბრძა-  
ნება გაეცა — ყველა რაჟასათვის, ვინც ოსმალურს გარდა სხვა  
ენაზე ილაპარაკებდა, ენები დაეკრათ. რაჟები რომ ოსმალუ-  
რად ლაპარაკობდნენ, მაშინ სკოლებიც საჭირო არ იქნებოდა,  
წიგნებსაც აღარ იკითხავდნენ და სამზღვარ-გარედაც არ წა-  
ვიდოდნენ. აი კიდევ რას დავსძენდი, — დაუშაბა ორატორმა  
ცოტა მოფიქრების შემდეგ: — ყველა რაჟებს ენებს დავაჭრიდი;  
უენოდ კაცს შეუძლია იცოცხლოს, იმუშაოს და ბეგარა იხა-  
ლოს. მაშინ სრული მყურდობა ჩამოვარდებოდა, ბავშვები  
ოსმალურს ენაზედ ისწავლიდნენ წერა-კითხვას, ისე რომ, რო-  
ცა ეხლანდელი თაობა გადაშენდებოდა, მთელს ოსმალეთში  
ოსმალურ ენაზედლა ილაპარაკებდნენ.

— ჰმ... ეს ურიგო არ იქნებოდა, — შენიშნა თავმჯდომარემ.

— ურიგო არ იქნებოდა, — კვერი დაჰკრა ერთმა ოსმალ-  
თაგანმა, რომელსაც მეორეც დაეთანხმა, მეორეს მესამე, მეო-  
თხე; უცბად ვიღამაც წამოიძახა:

— ენების დაჭრა როგორ იქნება? ძნელია.



— ძნელი სრულებით არ არის, — გაიძახოდა წინადადების ავტორი. — თითოეულ სანჯაყში თითო რაზმი ჯარი უნდა გაიგზავნოს: ჯარის-კაცნი სოფლით-სოფელში ივლიან, ხალხს ენებს დასკრიან და ძაღლებს გადაუგდებენ.

ლაპარაკი გაცხარდა; ქრისტიანები და ურიები ხმას არ იღებდნენ. ამ საგნის გადაწყვეტაში ველარ შეთანხმდნენ ოს-ძალნი და ისევ თავი დაანებეს. ამასობაში ქათიბჩიმ აღრესი დასწერა, საბჭოს წევრებმა ყველამ ბეჭდები დაასვეს და თავჯდომარეს გადასცეს ფაშას მისართმევედ.

ეს კრება ყველასათვის სამახსოვრო შეიქმნა იმიტომ, რომ რაჟამ გაჰბედა და თავისი წინადადება წარუდგინა საბჭოს.

ჰაჯი ქრისტო ძალიან კმაყოფილი იყო თავის თავისა, — სამშობლოს სამსახური ვაუწყებო. მე ჩემი მოციქმედე, დანარჩენი ჩემზედ არ არის დამოკიდებულიო.

რამდენისამე დღის შემდეგ პეტრეს ფაშასაგან მოწვევის წერილი მოუვიდა. ფაშამ ძალიან აღერსით მიიღო და მაშინათვე უჩვენა ბეჭდებით გადაჭრელებული ქაღალდი.

— მე არაფერში ვურევივარ, თქვენო აღმატებულებავ.

— შინაარსი ხომ იცი?

— ვიცი. ამისმა ავტორმა პატივი მცა და მთხოვს ეს აღრესი მე დამეწერა.

— შენც, რა თქმა უნდა, უარი უთხარი?

— ვუთხარი.

— სწორედ ძალიან დამავალეხდი, რომ გერჩია და უარი გეთქმევინებინა.

— ვწუხვარ, რომ ვერ მივხვდი მაგასა.

— მაშ, სულ არა გითქვამს-რა.

— ფიქრადაც არ მომსვლია.

— უეჭველია, არ გესიამოვნებოდა, რომ შენმა ერთმა დარბაისელმა თანამემამულეთაგანმა ასეთი საქმე მიჰქარა.

— სრულებითაც არა, — დარბაისლებს სისულელეს მეტი ხელიდან არა გამოუვიათ-რა.

— ვხედავ, ჩემო კარკო დოქტორო, რომ მეტად გესლიანი ენა გაქვს, — შეჰნიშნა ფაშმა. — შენმა გესლიანობამ დიდს ხათაბალას გადამკიდა.

— როგორ?

— საქმე ის არის, რომ ჰაჯი ქრისტის სისულელე წამოუროშავს და სხვებიც აჰყოლიან; აქაურს დიდკაცობას ყველას სახელი გაუტყდა. ამ საერთო სისულელეში მეც გამხვრეს, ამიტომ რომ ქალაქის დამალვა არ შეიძლება, უნდა სტამბოლში გავგზავნო და იქ იტყვიან, ქალაქის საბჭოში მარტო ტუტუცები ყოფილან ამორჩეულნიო. ყველანი, ვისაც კი ხელი უწერია, აქაური დიდკაცობაა; თუ კაცმა ნებაზე მიუშვა, ერთ სისულელეს მეორესაც ზედ მოაყოლებენ. ენების შესახებ ხომ გაოგონე, დოქტორო, რაც ულაპარაკნიათ?

— არაფერი გამიგონია, თქვენო აღმატებულებაე, — უპასუხა პეტრემ.

— ის პროექტი საბჭოს უარუყვია, მაგრამ ცხადია, მალე სხვა სახით იჩენს თავსა.., მოსლემინები ქრისტიანებზე ძრიელ გადაკიდებულები არიან, ასე რომ ენების დაქრის მაგივრად, აღზად, სხვა ნაკლებ მკაცრს, მაგრამ მაინც საშინელს რასმე მოიგონებენ.

— ცუდათაა საქმე... — შეჰნიშნა პეტრემ.

— ზი, რა გითხრა, ჩემო დოქტორო, — გააწყვეტინა სიტყვა ფაშან, — იმიტომ მოგიხმე, რომ ერთი რამ უნდა დაგავალლო.

— დიდის სიამოვნებით, თქვენო აღმატებულებაე,

— ბუქარესტში ვერ გამეგზავნები?

— ადვილი სამსახურია.

— იქ კომიტეტის წევრები უნდა ჰნახო.

— როგორ?

— კომიტეტის წევრებთან შენ ხომ კარგადა ხარ?

— არც მაგდენად.

— მინდა შენის პირით ერთი რამ შევეუთვალა... ხომ თანახმა ხარ?

— თანახმა ვარ, თუ კი ამ დასაქმების ასრულება ჩემთვის შესაძლებელი იქნება.

— კომიტეტს ჩემი სიტყვები უკლებლივ უნდა გადაეცეს, ამისთვის ყოველად სანდო კაცია საჭირო...

— მაგის ასრულება კი შემიძლიან.

— მითხრეს, კომიტეტმა ხალხი უნდა ააჯანყოსო... ჩემ მაგივრად ასე უთხარ: ურჩევნიათ მაგ განზრახვაზე ხელი აღიღონ... თუ უნდათ, სერბიაში შეადგინონ ბოლგარეთა ლეგიონები; მანიფესტაციები და მოწოდებანი, რამდენიც უნდათ, იმდენი ჰბეჭდონ; პოლიტიკის მოღვაწეებთან კავშირი დაიჭირონ, მაგრამ ბოლგარეთში აჯანყების მოხდენა არ გაპბედონ; წინააღმდეგს შემთხვევაში, — თუ შამ სახე მოიღრუბლა და თითოეულ სიტყვას მკაფიოდ და ხმის ამაღლებით ამბობდა, — მთავრობა იძულებული იქნება სასტიკი ღონისძიება იხმაროს... ყველგან, სადაც კი აჯანყების ნიშნებს შევამჩნევთ, მაშინათვე ბაშინბუზუყებსა და ჩერქეზებს ვაფრენთ და ნებას მივსცემთ სისხლის მორევში იცურავენ.

როცა თუშა უკანასკნელ სიტყვებს ამბობდა, თვალებს მხეცსავით აბრიალებდა. ამ დროს ვეფხესა ჰგავდა სწორედ, თუმცა გარეგნობა განათლებულის კაცისა ჰქონდა.

— მაშ თხოვნას ამისრულებ?

— დიდის სიამოვნებით, თქვენო აღმატებულებავე.

— მე იმას კი არა ვთხოვ, მათთან მოლაპარაკება დაიწყო; მხოლოდ ის მინდა შეასმინო იმ ვაჟბატონებს, რომ რასაც ვიტყვი, ვიტყვი, და ჩემს ნათქვამს სისრულეშიაც ჩქარა მოვიყვან. ამიტომ, შეიბრალონ საწყალი ხალხი, თუ კი იმის თქმასა ჰბედავენ, — რომ ჩვენ ხალხის მოსარჩლეები ვართო... დეე, თავიანთი ღონე სერბიაში ავარჯიშონ; თავისი ლეგიონები იქ გაიჩინონ, — ეგ ჭკვიანური საქმეც იქნება და სულგრძელიცა... ჩემო კარგო დოქტორო, ყველაფერი ესე უთხარი შენის მხრით კი არა, — ჩემის მხრით. მკონი, შეუძლებელს არასა ვთხოვლობ?

— რა თქმა უნდა. — უპასუხა პეტრემ.

— აი, ეს მინდა, მეტი არაფერი. როცა დაბრუნდები, თუ ჩემს ნახვასაც ისურვებ, ძალიან გამეხარდება, მაგრამ ამას არც კი გკითხავ—ჩემი მინდობილება როგორ აასრულე-მეთქი. არ მინდა გაფიქრებინო, ვითომც მინდოდეს კომიტეტის შესახებ რაიმე ცნობები დაგტყუო. იმ ვაჟბატონების ამხანაგებისაგან უმაგისოდაც გავიგებ ხოლმე დაწვრილებით ყველაფერს.

ფაშის უკანასკნელმა სიტყვებმა პეტრეს გული ჩაუფუფქა. ფაშა ცხადად ამბობდა, კომიტეტის წევრებ-შორის ჯაშუშები ურევინაო და მთავრობას რევოლუციონერების ყოველს მოქმედებასა და განზრახულებას ატყობინებენო. საუკეთესო პატრიოტებს და კომიტეტის წევრებს პეტრე კარგად იცნობდა: ფაშასაგან რო ბრუნდებოდა, ყველა სათითაოდ ჩამოსთვალა და თვითოეულზე ამას ამბობდა: „ეს არ იქმნება, არა, ეგ შეუძლებელია!“

მაგრამ ეჭვი მაინც არ ეშვებოდა და მოსვენებას არ აძლევდა.

— რა ამბავია?—ჰკითხა დედამ, როცა პეტრე კონაკიდან დაბრუნდა.

— ცუდათაა, დედი, საქმე, ცუდად!—უპასუხა პეტრემ და ყველაფერი უამბო ფაშას ნალაპარაკევი.

— ჰმ... ჰმ...—ბუტბუტებდა დედაბერი.

— თუ ჩვენს შორის მოღალატეები გამოგვერივენ, ისე-ცა სჯობს ღვთის ანაბარად დავრჩეთ და ამ მოქმედებაზე ხელი ავიდეთ.

— მაგას ნუ იტყვი, შვილო!—უთხრა დედაბერმა.

— საქმე ისაა, რა გამოვა აქედან?

— იცი, —ჰკითხა დედამ, —ბუქარესტში რისთვის გგზავნის?

— უნდა გააფრთხილოს.

— არა!... ფაშამ ძალიან კარგად იცის, რომ მისი გაფრთხილება ვერას გასჭრის: ისინი ოსმალებს კარგად იცნობენ, იციან, რა შვილები ბრძანდებიან... ფაშას ახალი არა უთქვამს-რა... ბაშიბუზუყებისა და ჩერკეზების საშუალებით საწყალი ხალხი ოსმალებს არა ერთხელ დაურბევიათ.

— კარგი და, მაშ რა უნდა, რომ არ ვიცი?

— ჩემო შვილო, ოსმალებს შენ ჯერ არ იცნობ... ფაშა იმიტომა გგზავნის, რომ მისი უკანასკნელი სიტყვები განიმეორრო... იმას მათი გაფრთხილება ფიქრადაც არა ჰქონია; უნდა, რომ მისი უკანასკნელი სიტყვები კომიტეტის წევრებმა გაიგონ და შინაურობაში განხეთქილება აუტყდეთ... ფაშის სიტყვები რომ გაიგონონ, თითოეული მეორეზე ასე იფიქრებს: „ეს ჯაშუშსა ჰგავსო“... გაიგე?

— შეიძლება... — შეჰნიშნა პეტრემ.

— ოსმალებს ჯერ არ იცნობ... მათთან დიდს ხანს მიცხოვრია და ბევრი ვაივავლახიც გადამხდა მათის წყალობით... იმათ მასწავლეს გალიმება მაშინ, როცა გული დარდისაგან გასკდომას ჰლამის. ახლა არ იყო, რომ სთქვი: „ღმერთს მივენდვენეთო“... წინად შენ თვითონ ამბობდი, რომ ჩვენი წინაპარნი ხუთასი წელიწადი სულ იმას გაიძახოდნენ, ღმერთი არ გაგვწირავსო, და ვერაფერს კი მოესწრნენ... ახლა კი, როცა სერბია... მაგრამ ერთი კაცმა მკითხოს, რა ჩემი საქმეა ამისთანების ლაპარაკი!... ორი შვილი უკვე დავმარხე, მხოლოდ შენღა დამრჩი... მაინც არ მინდა ფაშამ ხაფანგში გავაბას. იმას კომიტეტის გაფრთხილება უნდა, მე კიდევ — შენ გაფრთხილება... ფაშამ ყველა ეს მხოლოდ იმიტომ მოიგონა, რომ ვითომ უსაბედად წამოსცდა ის, რაც ყველაზე საჭიროდ მიაჩნია.

პეტრე დაფიქრდა...

ახლა თამამად შეეძლო ბუქარესტში წასვლის განზრახვა არ დაეთარა. ქალებმაც მალე გაიგეს, — პეტრე ბუქარესტში მიდისო.

— მიდინხარ? — ჰკითხა ილენკამა.

— მივდივარ, — უპასუხა პეტრემ.

— როდის?

— ერთს საათს შემდეგ.

— ვაიმე! — წამოიკივლა ქალმა და წასვლა დააპირა: — ჩქარა წავიდე, ეგებ, მოგისწრო!

— არ გამომეთხოვები, ისე მიდინხარ?

— როცა დავბრუნდები, მაშინ გამოგეტხოვებ, — უბასუხა ილენკამ.

— ნეტავი, რა დამართა? — ჰკითხა ძმამ ანკასა.

ანკამ პასუხის მანგივრად მხრები შეიშმუშნა.

პეტრე ბარგის ჩალაგებას შეუდგა. ჩააწყო ტანისამოსი, ცოტაოდენი საცვალი, სატუალეტო რაგინდარა, და, ის იყო, ჩემოდანი უნდა დაეკეტნა, რომ ილენკა შემოიქრა. პეტრე რომ დაინახა, შესძახა: — მადლობა ღმერთს! — და რაღაც, ქალაღმში გამოხვეული, გადასცა. პაკეტის საჩქაროზე გამორთმევა და გაშლა ერთი იყო. პეტრე გაოცდა. ვანცვიფრებით შეჰხედა ილენკას; ესეც წამოწითლდა და თვალები ძირს დაჰხარა.

— ეს რაღაა?

— ეს... ეს... — ბუტბუტებდა ქალი.

— საყურეები, ძეწკვები, ბეჭდები, დუკატები, მარგალიტი, — იძახდა პეტრე, როცა ძვირფას პაკეტს შინჯვა დაუწყო. ილენკა ხმას არ იღებდა.

— რა ვუყო ამებებსა?

— გადაეცი, — უბასუხა ქალმა.

— ვის?

ქალი უფრო გაწითლდა. თვალებ-დახრილი თავის აღებას ვერა ჰბედავდა, ვერა ჰბედავდა აგრეთვე ეთქვა რამე; ბოლოს, როგორც იყო, ამოიოხრა და ჩურჩულითა სთქვა: „იმას“.

— ვის? — კიდეცა ჰკითხა პეტრემ.

— იმათ, — ცოტა ხმა-მალლა უბასუხა ქალმა.

— იმათ? კომიტეტს განა?

ილენკამ პეტრეს წყენით შეხედა; პეტრე კი ძვირფას ნივთებსა ჰსინჯავდა და გაიძახოდა:

— ოქროცაა, ალმასიცაა, მარგალიტიცა; ეს საკმაო შემატება იქნება მათის კასისათვის, რომელშიაც ყოველს წვერს თავთავისი წელილი შეაქვს და რომელსაც გარეშენბც უგზავნიან ხოლმე შესაწირავსა. კარგი და, კომიტეტს რა პირობით გადავსცე: როგორც კერძო შემოწირულება, თუ ვისიმე პირადად მოსახმარად?

— პირადად მოსახმარად, — უპასუხა ილენკამ.

— სახელდობრ ვისთვის?

ერთი კი ადვილად სთქვა ილენკამ, ხოლო მეორეზე შე-  
ყოყმანდა.

— სტოიანს მივსცე? — მიეშველა პეტრე.

— არა.

— სტოიანს არა? — განმეორებით ჰკითხა პეტრემ: — მაშ  
ნიკოლას, ჰო?

— ჰო, — უპასუხა ქალმა.

— ნიკოლას, — განიმეორა პეტრემ. — კარგი, ჩაბარების  
დროს მოწმეებსაც დავისწრობ.

პეტრეს გაუყვირდა, რომ ნიკოლას ძვირფას ნივთებს უგზავ-  
ნიდნენ. ნიკოლა პათოსან ყმაწვილ-კაცად მიაჩნდა, მაგრამ  
დარწმუნებული იყო, ოქროსი, აღმასისა და მარგალიტის ფასი  
არ იცისო; ეს აზრი ილენკასაც გაუზიარა, მაგრამ ამ უკანასკ-  
ნელმა მხოლოდ ამოიოხრა.

ანკამაც ილენკას მიჰბაძა, გავიდა და იმანაც პაკეტი შემოი-  
ტანა.

— ბიჭოს! — წამოიძახა პეტრემ: — შენცა?

— ეს გადაეცი.

— ვის?

— სტოიანს.

— ჰო, ეს კი მესმის. თქვენს საჩუქრებს ორსავე ერთად  
გადავსცემ. სტოიანმა იცის ყადრი ამ ნივთებისა. შეიძლება, ამ  
დროს ამანათმა ორივე შეარიგოს კიდეცა.

## XXI

ამ უკანასკნელმა სიტყვებმა, თქმულმა პეტრეს-მიერ სწო-  
რედ სახლიდან გამოსვლის წინად, ახალგაზდა ქალები ძალიან  
გააოცრდნენ, შეიძლება, ამ ამანათმა ორივე შეარიგოს კიდეცა“...  
მაშ, ეტყობა, სტოიანი და ნიკოლა წაჩხუბებულან.



— განა ერთმანერთზე გაჯავრებულები არიან?—ჰკითხა ანკას ილენკამ.

— არაფერი ვიცი და დღემდე არც არა გამიგონია-რა.

— როცა ერთად იყვნენ, ხომ ჰნახავდი ხოლმე.

— ვნახავდი ხოლმე; მთელი დღე ორივემ ერთად გაატარეს, სალამოზე ბაღში გამოვიდნენ სასეირნოდ, და დამალვითაც ორივე ერთად დაიმაღნენ.

— ხომ არ წაჩხუბებულან?

— წაჩხუბებულან კი არა, ძალიან კარგად იყვნენ.

— ნეტა, რა უნდა იყოს მათის უსიამოვნობის მიზეზი? ესვე შეეძლო ეკითხნა ანკას თავისთავისთვისაც.

მაინც მოუვიდა ფიქრად ეს აზრი, თუმცა თავის თვალითა ჰნახა, როცა ილენკა და ნიკოლა ერთმანერთს შეჰხვდნენ, და დარწმუნებულიც იყო, ორსავე ერთმანეთი უყვართო. მაგრამ, როცა ეს შეხვედრა დაწვრილებით მოიგონა, დაასკვნა, რომ მხოლოდ ილენკა ჰგავდა შეყვარებულსა, ნიკოლა კი უფრო გაოცებული იყო, ვიდრე შეყვარებულიო. გარდა ამისა, მოიგონა ისიცა, რომ ოქმში ილენკას სტოიანისადმი სიყვარული იყო ნახსენები. ყოველსავე ამას თავი ერთად რომ მოუყარა და ერთმანეთს შეეწონა, თავში იტემა გაურბინა, ამ იტვის გამოთქმა თავის წინაშეც ვერ გაებდნა. ანკას იტვი იმითი გამოიხატა, რომ იფიქრა: „ვინ იცის, ეგებ, ილენკას ერთსა და იმავე დროს ორივე უყვარსო? ორსავე ხომ არ ეარშიყებიაო?“ ანკა სცდილობდა ეს იტვი ხან თავიდან მოეშორებინა, ხან ისე უბრუნდებოდა, და ვერას გზით ვერ მიმხვდარიყო, ილენკა ისე დიდს ხანს რაღად ყოყმანობდა, როცა პეტრემა ჰკითხა, საჩუქარი ვის მიუტანოვო?

„მე... რაღადა ვსთქვი საჩქაროზედ:—სტოიანს-მეთქი?“

ილენკა ცოტა სხვანაირად ჰფიქრობდა. ანკაზე არაფრის იტვი არა ჰქონდა აღებული; მაგრამ, როცა ყველა წვლილი და კნინი მოიგონა, ჰკვირობდა—ანკა რატომ ნებას არ მაძლევდა ახალგაზნა კაცებისათვის მეც მემსახურნა, როცა საიდუმლო ოთახში ისხდნენო? ასე რად იტყეოდაო?

სიყვარული ეჭვიანია, ძალზე ეჭვიანი. სიყვარულის გულისათვის ერთმანეთ შორის უსიამოვნება მოსდით ძმებსა, დებსა, მეგობარ ვაჟთა თუ ქალთა. ილენკა და ანკა ჯერ კიდევ არ წაჩხუბებულან. მაგრამ თვითოეული მათ შორის სტოიანისა და ნიკოლას წაკიდების გამო ჰფიქრობდა, და ამ გარემოებამ ორსავე მეგობარ ქალს ერთმანეთისადმი, ცოტა არ იყოს, გული აუცრუა, და ეს გულის აყრაც იმითი გამოიხატა, რომ ილენკა ანკას სანახავად პეტრეს წასვლის შემდეგ მხოლოდ მესამე დღეს მივიდა.

— პეტრე ხომ არ დაბრუნებულა?

— ჯერ არა.

— როდის უნდა დაბრუნდეს?

— არ ვიცი.

ამ სიტყვა-პასუხებში მძიმედ გამოსჭვირდა ის გულ-გრილობა, რომელიც ცხელ ზაფხულს შემდეგ ზამთრის სიცივის წინამორბედი ხოლმე. ანკამა ჰკითხა—დედა შენი როგორ არისო?

— გუშინ უქეიფოდ იყო,—უპასუხა ილენკამა.

— დღეს?

— დღეს, მადლობა ღმერთს, უკეთაა.

— რა დაჰმართნია?

— გვერდი სტკივოდა.

— მართალია, რომ ჰაჯი ქრისტო ძალიან მხიარულად არისო?

— ოჰ!—ამოიოხრა ილენკამ.—ადრესი უკვე სტამბოლშია გაგზავნილი. პეტრე რაღას ამბობს მაგ ადრესისას, თუ იცი?

— არაფერი უთქვამს. დედა კი ამას ამბობს, გინდ ხონთქარს ელაპარაკოს კაცი და გინდ ხესაო.

— შეიძლება უყურადღებოდ დასტოვონ.

— ვინ იცის. მე კი მგონია, ხონთქარი უფრო მუსტაფაბეს თხოვნას შეიწყნარებს.

— ენების შესახებ, არა?—ჰკითხა ილენკამ.

— შენ მაშინ უყურე, რა ამბავი იქნება! ამბობენ, გათხოვილს თუ გასათხოვარ ქალებს ყველას ენები უნდა დააქრანო.

— ყველას არა. იმასაც ამბობენ, ვინც ჰარამხანაში შევა, არ მოსჭირანო.

— კარგი და, რომელი ჩვენგანი დასთანხმდება, რომ ჰარამ-ხანაში შევიდეს?

მუსტაფა-ბეგს პროექტის შესახებ ლაპარაკობდნენ მაშინ არამც თუ მთელს ქალაქში, არამედ დაბა-სოფლებშიაც. ამიტომ ჩვენმა ქალებმაც ამ საგანზე გააბეს ბაასი და კარგა დიდ ხანსაც იმუხაიფეს; შემდეგ სხვა საგანს შეეხნენ და ეს საგანი ორ გადახვეწილს სრულიად არ ეხებოდა. ძალიან ცხარე ლაპარაკი შეექმნათ; ცხადი იყო, მუსტაფა-ბეგს პროექტის ასრულება ძალიან სამწუხარო იქმნებოდა; მათი ლაპარაკი ამ საგნის გარჩევას არ გასცილებია. მთელის ერთის საათის განმავლობაში არც ერთს ქალს არ უხსენებია არც სტოიანი და არც ნიკოლა. წინად კი იმათი სალაპარაკო ეს ყმაწვილები იყვნენ.

ილენკა მოკრას სახლში ხელახლა მივიდა მხოლოდ მეოთხე დღესა. წინად დღეში სამჯერ მიდიოდა, —ახლა კი მთელის კვირის განმავლობაში მხოლოდ მეორედ მიდიოდა; და ისიც იმიტომ, რომ პეტრეს დაბრუნების ამბავი გაიგონა. იმ დღეს ჰაჯი ქრისტომ ბიჭი გაჰზახენა გემიდან რაღაც ამანათის მოსატანად. ბიჭი დაბრუნდა და სთქვა, ნავთსადგურზე პეტრე დაინახეო. ილენკა მაშინვე გამოეწყო და საჩქაროდ გაექანა მოკრასთან. მოპირდაპირე მხრიდან ჭიშკარში შევიდა, და პეტრეც დაინახა, —ცალ ხელში ქოლგა ეჭირა, მეორეში —საგზაო პატარა ბოლჩა. ორნივე ჭიშკართან შეიყარნენ და ეზოში ერთად შევიდნენ, მერე ერთადვე ავიდნენ კიბეზე. შემდეგ, გაიარეს მუსაფირლიქა და იქიდან ერთს ოთახში შევიდნენ. აქ ანკა დაუხვდათ. ილენკამ სიარულში რამდენჯერმე დააპირა გაჩერება, მაგრამ პეტრე გაჩერების ნებას არ აძლევდა. ანკას დანახვაზედ ორნივე შეჩერდნენ. პეტრემ ბოლჩა კედელთან დასდო, ქოლგა მიაყუდა, მოიხადა ქუდი და, მიუბრუნდა რა ქალებს, სთქვა:

— ქალებო, დიდი მოკითხვა დამაბარეს თქვენთან. ვნახე სტოიანი, ვნახე ნიკოლაცა. ერთს შენი საჩუქარი გადავეცი, მეორეს—შენი. —ჯერ ილენკასკენ გაიწოდა ხელი, მერე ანკასკენ.

— ჩემი სტოიანს გადაეცი?—ჰკითხა ანკამ.

— სტოიანსო? არა, ნიკოლას.

ანკამ არაფერი სთქვა, სახეზე კი ეტყობოდა, რომ ეს ამბავი არაფრად ესიამოვნა; ილენკასაც აგრედვე. პეტრემ ორსავე შეჰხედა და უთხრა:

— მაგრამ ეს სულ ერთია. სტოიანმა ყველაფერი საერთო კასაში გადასცა, ნიკოლამაც იგივე ჰქმნა. ასე რომ ეხლა თქვენი ალმასი, მარგალიტი და ბეჭდები თოფებად და პატრონებად გადიქცევა.

ქალებმა ამოიოხრეს. ორსავე ეტყობოდათ, რომ ძალიან აწუხებდათ მდგომარეობა ყმაწვილის კაცებისა, რომელთაც გაანდვეს თავიანთი გული. პეტრე ვერაფერს მიხვდა, როცა საჩუქრები გადასცეს: ილენკამ—ნიკოლასათვის, და ანკამ—სტოიანისათვის. მაშინ როგორღაც დაბნეული იყო, და ამის მიზეზი ილენკას იქ ყოფნა უნდა ყოფილიყო. ამ კაცს იქვე ჰქონდა, უთუოდ ილენკას გულის-საყვარელი ჰყავსო და მაინც ისე შესცქეროდა, რომ ადვილი მისახვედრი იყო, თავ-გზა-დაბნეულობით რად გამოიყურებოდა. ძალიან კი ცდილობდა თავი შეემარებინა; არც რომანტიკი იყო და არც ლოველასი. ილენკა ძალიან მოსწონდა სახითაც და ხასიათებითაც. მაინც კიდევ ცდაში იყო და არც იმას დაიზარებდა—გასცლოდა ქალს და არც იმას, რომ ხელი გაეწოდებინა, იმისდა მიხედვით, თუ ფვით ქალი როგორ გადასწყვეტდა იმ ამოცანას, რომელსაც ქალწულის სიყვარულს ეძახიან. ბევრ სხვა ამოცანათა შორის ეს ამოცანა ყველაზე ძნელი გამოსაცნობია: ყმაწვილის ქალის სიყვარული ხან ბროლივით ადვილი გასატეხ დასაფხვნელია, ხან კლდესავით მტკიცეა და შეუშუსვრელი. თვითონ ვაჟს როგორ უნდა გადაეწყვიტა ეს საგანი? ვაჟმა მხოლოდ ის იცოდა, რომ ილენკამ თავისის პატრიოტულის ჯიუტობით, რომელიც, რა

თქმა უნდა, არც მამისაგან შეუთვისებია და არც დედისაგან, ისიც იხსნა სიკვდილისაგან და მასთან კიდევ ოთხი სხვა კაციცა. ამიტომ ამ ქალს ძვირად აფასებდა. აფასებდა და პატივსაცემდა. და თუ გნებავთ, უყვარდა კიდევცა, მაგრამ იმ სიყვარულით, რომელიც პატივისცემით არის გამოწვეული.

ქალები, რაკი შეიტყვეს მათის საჩუქრების თავ-გადასავალი, გაჩუმდნენ. სახეზე ორსავე დალონება და პეტრესადმი საყვედური ეხატებოდათ,—დანაბარები რატომ დაბეჯითებით არ აგვისრულო. მაგრამ უკმაყოფილების გამოცხადებას ვერც-ერთი ვერა ჰბედავდა. ყველანი ჩუმად იყვნენ.

— იმას კი აღარ მკითხავთ,—დაიწყო პეტრემ:—როგორ არიან ან სტოიანი და ან ნიკოლა?

ორმავე გაკვირვებით შეჰხედეს.

— ერთი უკვე წავიდა, მეორეც, სადაც არი, გაეძგზავრება.

— როდის?—ჰკითხეს ორმავე ერთად.

— სტოიანი სერბიაში წავიდა... იქ ბოლგართა ლეგიონებს აღგენენ... ისიც ომში უნდა ჩაერიოს.

— ნიკოლა?—ჰკითხა ანკამ, რომელსაც უნდოდა ამ ამბის გაგონებით გამოწვეული თვისი მღელვარება დაემალა.

— ნიკოლა ჯერ არ წასულა.

— რა მიზეზია?..—წაიბუტბუტა ინკამ.

— ჯარი განა არ გინახავს?

— ოსმალების ასკერებსა ჰგვანან.

— ჰო... მაგრამ ბულგარელ ჯარს სხენაირი ტანისამოსი აცვია.

პეტრემ აუხსნა, როგორი მუნდირები აცვიათ და ან როგორ არიან შეიარაღებულებო; აუწერა ბოლგარელ ქალების მიერ მოქარგული დროშა, და სხვა რამეები, რაც ქალებისთვის საგრძნობელი იყო. ილენკა ყურს უგდებდა დი ბოლოსა ჰკითხნა:

— ნიკოლაც იომებს?

— მაშ, —უპასუხა პეტრემ.

— რად დაუგვიანია სერბიაში წასვლა?—ჰკითხა ილენკამ.

— შენ ხომ არა ყოფილხარ იქა?—გააწყვეტინა სიტყვა ანკამ.

— ვიყავი და დავრჩებოდი კიდევცა, სხვა საქმეები რომ არა მქონოდა... ვინ იცის, ეგებ ჩემი რაგიც მოვიდეს.

— მე რიგს არ ვუცდი, —სთქვა ანკამ, —მე...მე... ვაჟი რო ვიყვე... ღმერთო! რატომ ილიამ, ან დრაგანმა ამ დრომდე ვერ მოაღწიეს! რატომ ვაჟი არა ვარ!

— ქალიც გამოსადეგია!

— რაში?

— ძველ-ძველი სუფთა ფალასები იშოვე და კორპია, ბინტები, შესახვევები მოამზადე.

— როგორ-ღა მივაწოდოთ?

— კლადოვაში გავგზავნით.

— სად არის ეგ კლადოვა?

— სერბიაში, —უპასუხა პეტრემ.

— სადა?—ჰკითხა ილენკამ, რომელიც უფრო ყურს უგდებდა, ვიდრე ლაპარაკობდა.

— დუნაის ზევით.

— სისტოვოს გაღმა?

— ჰო, ჰო, —უპასუხა პეტრემ, —დუნაით სანამ კლადოვამდე მივიდოდეს კაცი, ჯერ უნდა სისტოვო, როგოვა, ლომპალანკა და რადუევაცი გაიაროს.

— განა მაგრე შორსაა?

— ორის დღის სავალია ხომალდით, შავრამ, შეიძლება, კაცმა გზა შეიმოკლოს, თუ რკინის გზით წავა, რუმინიის მხრით.

— ისინი რომლის გზით წავიდნენ?—ჰკითხა ანკამ.

— რკინის გზით.

— ეჩქარებოდათ განა?

— არა, საქმე სიჩქარე არ იყო. ეშინოდათ—დუნაიაზე ოსმალებმა არ დავვიჭირონო.

— განა ოსმალები რას უზამდნენ? იმათთვის რაღა უნდა დაეკლოთ!

პეტრემ აუხსნა დას, რითი განსხვავდება გაწვრთნილი და რიცხვ-მრავალი ჯარი ბოლგარელთა სახელდახელოდ შედგენილ

რაზმებისაგან. განუმარტა, რა არის ჯარის ძალ-ღონე და ასე დააბოლოვა: „იმათშიაც ბევრია მკვდრები და დაჭრილებიც“.

ამ სიტყვებმა გააოცა და შეაშინა ახალგაზდა ქალები. აღბად ეგონათ, რომ ბოლგარელ მეთაურზე არც ხმალი გასჭრის, არც ტყვიასა აქვს ძალა, არც ქისტენსო, და თურმე სცდებოდნენ კი. ამ ამბავმა ორნივე შეაშინა, მაგრამ, ამასთანავე, ცნობის-მოყვარეობაც გაუღვიძა. ვინ იცის, რა არა ჰკითხეს პეტრეს. ასე რომ ბაასი გაჭიანურდა, და, რა თქმა უნდა, უფრო დიდს ხანსაც გასტანდა, რომ არ ეთქვათ,—მუსაფირ-ლიქში სტუმარი იცდისო.

— ვინ არის?—ჰკითხა პეტრემ.

— არისტარხი-ბეე.

პეტრემ წარბი შეიჭმუხნა, მაინც გავიდა და მტერს ალერსით მიეგება.

როცა ყავა და ყალიონები მოიტანეს, ბემ დაცინვითა ჰკითხა:

— როგორ არი საქმე?... ბოლგარეთის რესპუბლიკას მალე ველირსებით?

— რა მოგახსენოთ,—უპასუხა პეტრემ.

— ხომ ჰნახე ის ვაჟბატონები, პოლონელების „ჟონდსა“ რომა ჰბაძავენ და იმავე დროს რუსეთის იმედი აქვს?

— დიახ, ყველასა ვხედავდი.

— როგორ მიდის მათი საქმე?

— რა მხრით?

— მე მინდოდა მეთქვა: მიიღეს თუ არა ის ჩვიდმეტი გირვანქა ოქრო, რომელიც წაუღო...

პეტრე პასუხს არ აძლევდა.

— რომელიც წაუღო...—განიმეორა ბემ, თითქო გვარის მოგონება უნდაო.

— რალსაც მოვკარე მაგისტანას ყური, მაგრამ ეგები საინტერესოდ არ მიმარნდა... ფაშამ დამავალა გამეფრთხილებინა, მეც გავაფრთხილე,—და აი ახლა იქიდან მოვდივარ...



— ჰმ...—წაიბუტბუტა ბემ წვერ-უღვაშის სწორებით.—  
ლეგიონებს აარსებენ და ასი კაცი მაინც თუ ჰყავთ?..

— ათასიც გვეყოლებაო,—იმედოვნებენ.

— ტკბილი იმედია. მით უფრო მწარე იქნება ნაყოფი...  
ბრბოსაც აგროვებენ.

— რა ბრბოსა?

— ტოტია, ჰაჯი ღუმიტრა, სტეფანე ყარაჯა რომ აგრო-  
ვებდნენ, იმ სახით.

— მაგისი არა გამიგონია-რა, და ყურიც არ მიგდია. შე-  
იძლება...

ცხადი იყო, არისტარხი-ბეა იმ იმედით მოვიდა—ეგებ პე-  
ტრესგან შევიტყო რამეო. კიდევ ჩამოუგდო ლაპარაკი ლეგი-  
ონებზე და სიტყვა გადაუკრა ჩვიდმეტ გირვანქა ოქროზე...  
მაგრამ პეტრეს ძალიან ფრთხილად ეჭირა თავი და არაფერი  
წამოსცდენია. მხოლოდ ის ამბავი უთხრა, რომლის გასაგე-  
ბად, ალბად, არისტარხი-ბეა მოვიდა. პეტრეს ნათქვამი მხოლოდ  
გარეგნობით იყო მართალი, შინაარსით კი სულ სხვა გამო-  
დიოდა.

— დავობენ უთხრა პეტრემ.

დავობნო რო თქვა, ამ სიტყვით გულისხმობდა შეუწყვე-  
ტელ დავას და მოლაპარაკებას, რომელიც აუცილებელია დედა-  
სამმართველოში, რადგან ეს სამმართველო საჩქაროდ მოგრო-  
ვილ წვერთაგან იყო შემდგარი. ეს წვერნი ცნობებს სხვა-და-  
სხვა წყაროებიდან ჰკრებდნენ და იძულებულნი შეიქმნენ გას-  
ძლოლოდნენ მთელ საიდუმლო სამუშაოს, დაწყებულს ოსმა-  
ლების მართველობის დაუკითხავად და მისისავე სურვილის  
წინააღმდეგ.

— ერთმანერთის იქვი აქვსთ, განა?—შესძახა ბემი.

— მგონია... ალბად.

— კარგი-და, რაში იქვენეულობენ?

— კარგად არ გამომიკითხავს.

ამით გათავდა ანგარიში, რომელიც მართველობას მისცა  
პეტრემ. ნამდვილი და უნაკლებო ანგარიში პეტრემ დედას

მისცა. დედის წინაშე არაფერი დაუმალოვს. სტოიანსა და ნიკოლას შორის ჩამოვარდნილ უსიამოვნების გარემოებაც უამბობო. მოკრამ პირველად უსიამოვნებით ჰკითხა შეიღს.

— რაზედ წაჩხუბებულან, შეიღო?

— როდი ამხელენ... არ ვიცი და ვერც მივმხვდარვარ... საჩუქრები რომ გადავეცი, შევნიშნე, ნიკოლამ ისე შეუბღვირა სტოიანს, ვიფიქრე—ეს ეს არი, უნდა ეცეს-მეთქი.

— რა თქმა უნდა, დღეს თუ ხვალ წაჩხუბებიან.

— არა, ერთმანეთს გაშორდნენ კიდევცა. სტოიანი სერბიაში წავიდა, ნიკოლა კი ბალკანებში გასწევს.

— ჩეტებად წაველენ, არა?

— არა, შენიშნული აქვსთ, რომ რუმინიდან მოსულ ჩეტებს ხალხი არ უერთდება,—უცდის, რომელი გაიმარჯვებსო. და ყოველივე ესე იმით გათავდება, რომ ჩეტებს გაჟლეტენ, და ხალხი მაინც ხელ-გაუძრეველად დარჩება. ამიტომ ახლა სერბიაში მყოფმა კომიტეტმა გადასწყვიტა, ხალხი უჩეტოდ ააჯანყონ.

— მთელს ბოლგარეთში?

— რა თქმა უნდა, ეს კარგი იქნებოდა, მაგრამ არ შეიძლება. რამდენიმე კაცი იყო იქით-აქეთ დაგზავნილი და მათ მიერ შეკრებულ ცნობებიდან კომიტეტმა ის დაასკვნა, რომ თუ სადმე ააჯანყეს როგორმე ხალხი, მთელი ბოლგარეთი ფეხზე დადგებაო. საჭიროა ჯერ ერთს ალაგას გააჩინონ ცეცხლი, და, როცა კარგად გაღვივდება, ალი ყველგან მოედება. გადასწყვიტეს ამ გზას დასდგომოდნენ.

— რომ ვერას გახდნენ?

— მაშინ ის მოხდება, რაც ფაშამა მთხოვა მეთქვა მათთვის.

— მაგისტანა შემთხვევაში ოსმალებს ხუმრობა არ უყვართ.

— მეტი ჯანი არ არის!... უნდა პირის-პირ შევებათ, თორემ ვერაფერს გავხდებით. სცადეს ბერძნებმა, სცადა ჩერნოგორიამ, სცადა სერბიამ, ახლა ჰერცოგოვინელები ცდილობენ;

ნუ თუ მარტო ჩვენ უნდა ვუცადოთ! რითი ვართ ბერძნებზე, სერბებზე, ჩეროგორელებზე ან ჰერცოგოვინელებზე ნაკლები? თუ გავხდით რასმე, ხომ რა კარგი, თუ არა და ბოლოვარეთი ისეთს წვალელებს გამოვიღოს, რომ მთელი ქვეყანა შიშის ზარმა აიტანოს. და თუ არავენ მოგვეშველა, იმ წვალელებს შემდეგს თაობას ვუანდერძებთ,—ის მაინც მოვა გონსა. საშინელი შევიწროებაა საჭირო, რომ ხალხმა ხუთის საუკუნის ძილისაგან გამოიღვიძოს!

— მართალია, შეილო, მართალი, — უბასუხა დედამ. — თუ ვიძინებთ, მთელი სიცოხლე ძილში ვიქმნებით; გამოღვიძებაა საჭირო... ჩემს სიცოცხლეში ბევრი რამ გამოიცვალა; ჰაჯი ქრისტო არ ემაღლიერება ამ სხვა-და-სხვა ცვლილებას, მაგრამ ეს, ალბად, იმიტომ მოსდის, რომ რომ ვაყები არა ჰყავდა, ოსმალთაგან მოკლული. შენი ძმები დაიხოცნენ, და მე ლოცვა-კურთხევით ვიხსენიებ მათს სახელებს. უნდა გავიღვიძოთ! უნდა!... აჯანყებას სად დაიწყებენ?

— ბალკანის იქითა მხარეს.

— რატომ რუშჩუკში, ან ჩვენის მხრიდან არ იწყებენ?

— რუშჩუკში ოსმალთს ჯარი ძალიან ბევრია. აქ ოსმალთები ძლიერნი არიან, და ჩვენ კი ერთი მუქანი ვართ. გარდა ამისა, აქ ბარია და ყოველგან ოსმალებისა და ჩერქეზების სოფლებია. აქ ხალხიც მძინარაა, ვიდრე იქ; აქ რამ საქმის დაწყების შნო არა აქვსთ, იქ, მთებში კი, იმედი მაქვს, ჰაიდუკებიც მხარს მოგვცემენ. ვინც ბალკანს იქით იყვნენ გაგზავნილები, ყველამ სანუგეშო ცნობანი მოგვიტანა; და სტოიანმა, ნიკოლამ და სხვებმა, რომლებიც ღუნაიაზე დადიოდნენ, ბევრი ვერაფერი გააკეთეს. აი, დედაჯან, ჩვენის საქმის ვითარება.

— ჯაშუშებისა რაღა ისმის? — ჰკითხა დედამ.

— იმალი შიში კი არა გვაქვს; თუმცა ბევრნი არიან, მაგრამ მაშინათვე იცნობენ ხოლმე. ჯაშუშები მხოლოდ იმას იგებენ, რაც უკვე ყველამ იცის. ლეგიონების ამბავი ახლა გაუგიათ. ლეგიონებათ ჩაწერის მსურველები აღარ იმალებიან და მიდიან რკინის გზებით.

მოკრამ სიტყვა „ლეგიონები“ ვერ გაიგო. პეტრემ აუხსნა.

— მაშ რად ამზადებენ ხალხს ასაჯანყებლად, და ამავე დროს ლეგიონებს რალად არდგენენ?

— ლეგიონები აჯანყების ფარია.

— მაშ ჩვენი რიგიც მოვა?

— დიად.

— კარგი და, ამისთანა დროს გულებელდაკრებილები როგორ უნდა ვისხდეთ?

— რაც იმათ დამავალეს, იმის ნახევარიც რომ ავასრულო, მაშინაც არ მექნება დრო მოსვენებისათვის.

— რა დაგავალეს?

— მთხოვენ დაუყოვნებლივ შევატყობინო ხოლმე ყველა განკარგულებანი, რომელიც სტამბოლიდან კონაკში მოდის და რომელიც კონაკიდან სტამბოლში იგზავნება, და ყოველივე, რასაც აქა ჰმოქმედობენ.

— მაგებს მე გაგიგებ ხოლმე.

— არისტარხი-ბემსაგან თუ?

— არა, არისტარხი-ბემ ამგების გამოკითხვას დამიწყებს; კონაკში სხვებიც ბევრი არიან, რომელთა მოსყიდვა ადვილად შეიძლება; გარდა ამისა, დუქანში მასტიკაცა მაქვს, რომლის შემწეობით ბევრი რამ შემიძლია შევიტყო. ეს საქმე მე მომანდვე; რაც კი მოხდება, ყველაფერს შევიტყო. მხოლოდ ეს მითხარი, განსაკუთრებით რის გაკეთებაა უფრო საჭირო?

— ჯაშუშების ამბავი უნდა გავიგოთ.

— კარგი. იმათს ამბავს ქაათიზისა და ჩუბუხჩისაგან გავიგებ; ეგ ჩემი საქმეა: კიდევ რა?

— კრივენელ მექმანჯი პეტოს ნახვა მინდოდა, — შეილის მოკითხვა უნდა გადავსცე და, ამასთან, კომიტეტის დანაბარებიც მეთქვა. საქმე ისაა, რომ რუმინიდან ბალკანში კაცები უნდა გავაპაროთ. პეტოს მექმანე ისეთს ადგილასა დგას, სადაც დუნაიში გასვლა ადვილად მოსახერხებელია; თვითონ პეტომაც უკანასკნელ ამბის დროს დამტიკაცა, როს ოსმალებთან ძალიან ოსტატურად შეუძლიან თავის დაჭერა.

— პეტო! — დედაბერი დაფიქრდა. — სჯობს აქ მოვლავარაკოს კაცი. მაგრამ ეს არის, მეტად მძიმე კაცია. მეტი ჯანი არ არის, მე თვითონ მივალ და ენახავ.

— სტოიანმა მითხრა — ჩემი დაჲ სანდო არისო, თვითონაც ბევრის გაკეთება შეუძლიან დაჲ მამას წააქეზებსო.

— ენახოთ! მაგრამ ქალს მაინც როგორღაც ვერ ვენდობი.

— ილენკა? — უცბად შეჰნიშნა პეტრემ.

— ილენკა... ოო!... ეგ სულ სხვაა! მაგისთანა ილენკებს კაცი იშვიათად შეჰხედება. აი, რაცა ყველაფერი დაწყნარდება, — დედაბერმა თვალეზი მალლა ალაპყრო, — მაშინ ღმერთს მხოლოდ იმასა ვთხოვ, ორსავე ჯვარი გადაგწეროთ.

— ეჰ, დედი! — წამოიძახა პეტრემ: — მგონი, იმისი გული უკვე სხვას ეკუთვნის.

— ქალის გული მალე იცვლება, შვილო: დღეს კარგი უყვარს, ხვალ, გაიხედავ — უკეთესი შეჰყვარება. სანამ ქალს ცოლის სახელი არ დაერქმის, მანამდე თავისუფალია — ვინც უნდა, იმას ამოირჩევს. არჩევის საქმე რომ შენზედა და სტოიანზედ რომ მოადგეს?...

— მე არ ვინდომებდი.

— რატომ?

— სტოიანს უნდა შევეცილო? ეს ჩემის მხრით დიდი უსვინიდისობა იქნებოდა, მით უფრო რომ სტოიანი აქ არ არის. რას ამბობ! ის სხვაგანაა, სასიკვდილოდ თავს იმეტებს, ბოლგარეთისათვის სისხლსა ჰღვრის, და ამისთანა დროს უნდა წაფართვა ის ქალი, რომელსაც მისთვის შეუწირავს თავისი გული!?...

— სტოიანმა ქალის გული უშენოდ დაატყვევა, შენ კიდევ — უიმისოდ დაატყვევე; მაგრამ ეგ ხომ არც იმაზეა დამოკიდებული და არც იმაზე. ჰაჯი ქრისტო ილენკას სტოიანს არ მიათხოვებს, თუნდაც ყელამდი ოქროში ჩასვას, და თუნდაც ილენკამ თავიც მოიკლას; ამიტომ, თუ შენ ილენკას შერთვაზე უარი სთქვი, უეჭველია, ორნივე ხელცარიელები დარჩე-

ბით: ვინ იცის, ისეთს ვისმე მიაჯხოვონ, რომ არც სტოიანი, არც შენ და არც ილენკა კმაყოფილნი არ იყვნეთ.

პეტრემ ვერაფერი სთქვა ამის პასუხად. დედის ლაპარაკმა მაინც ვერ დაიმორჩილა. ილენკას ისევე უყურებდა, როგორც წინად; მეგობრად მიაჩნდა და წინანდებურ პატივსაც სცემდა. და ეს იყო და ეს. როცა, ესთქვათ, ილენკა ყურადღებას არ მიაქცევდა, პეტრე დაუწყებდა ყურებას და მისი თვალები ამხელდა, რომ რაღაც უფრო სხვა გრძნობა ელვდიებოდა, ვიდრე გრძნობა ჩვეულებრივის მეგობრობისა. მაგრამ თავის თავს ნებას არ აძლევდა, — არც ერთის სიტყვით, არც ერთის ქცევით მეგობრობის გარეშე სხვა რამ შეემჩნევიდა. თავისი გრძნობა არც ერთხელ არ გაუმჟღავნებია არც მისთვის, არც სხვისათვის. მხოლოდ დედას არ უმაღავდა არაფერს. მაგრამ მოკრა პოლიტიკისა და ვაჭრობის საქმეებში იყო გართული და შვილის მაგივრად სამოქმედოდ აღარა სცალოდა. ამას ისიც დავუმატოთ, რომ ილენკა მოკრასთან ძალიან იშვიათად მოდიოდა, და უფრო ხშირად მაშინ მოდიოდა, როცა სახლში არც მოკრა იყო და არც პეტრე.

მოკრამ ვაჭრობის საქმეები მოიმიზეზა და სისტემაში წავიდა; როცა უკან დაბრუნდა, კრივენის მექაანეში ჩამოხტა.

მექაანეში და მის ახლო-მახლო არაფითარი ცვლილება არ მომხდარიყო. სწორედ ისე, როგორც მილიაზიმის მოსვლის დროს, ოსმალოს ამ ერთგულ აფიცრისას, რომელიც სამსახურის ასრულების ჟამს სიცოცხლეს გამოესალმა, ახლაც კერაზე ნახშირი ჰღვივოდა, ბუხარზე ჭურჭელი ელაგა და ყავახანაში პეტო თვლემდა. მოკრას შემოსვლა არ გაჰკვირვებია, თუმცა ასეთი ქცევა ჩვეულების დარღვევა იყო, რადგან ქალები ყავახანაში არ შედიან. მაგრამ რადგან აქ პატრონის მეტი არავინ იყო, ისიც არხვინად მიესალმა შემოსულ სტუმარს.

— დიდი ხანია, რაც ერთმანერთი არ გვინახავს, — დაიწყო მოკრამ.

— მე ისიც აღარ მახსოვს, ერთმანერთი როდისა ვნახეთ, — უპასუხა პეტომ და თან კი აქეთ-იქით იყურებოდა.

— აბა შემომხედე, თუ არა?

პეტომ შეჰხედა და უთხრა:— დიალ, მართალია, დიდი ხანია ერთმანერთი არ გვინახავს.

— შეიღმა მოკითხვა შემოგთავალა.

მექაანჯის თვალები გაუბრწყინდა. — სტოიანმა?

— სერბიაში წავიდა, ლეგიონში შესულა, უნდა იომოს.

— ეგ ყველაფერი კარგი, ოღონდ ცოცხალი იყოს და თავის სიცოცხლეს გროშად არ აგდებს. რა შემოძლიან, რახან მაგისთანა ესნაფი აირჩია, აგრეც უნდა მოიქცეს.

— შენთან სიტყვა მაქვს.

— ჩემთან? — ჰკითხა მექაანჯიმ.

— კომიტაჯები (პეტომ ამ სიტყვის გაგონებაზე წარბები შეიკრა) ამ გზით ბალკანს უნდა გადავიდნენ; შენ დახმარება უნდა აღმოუჩინო.

— ჰა?... განა უეჭველად საჭიროა?

— ჰო. საჭიროა, — უპასუხა მოკრამმა.

— არ შეიძლება, სხვა გზით წავიდნენ?

— ზოგნი სხვა გზითაც წავლენ, მაგრამ ზოგმა კი ამ გზაზე უნდა გაიაროს.

— რამდენნი იქმნებოან?

— ჯერ საცდელად დღეს თუ ხვალ ერთი გამოვა და ლელიანებში დამალება. ლოდინი დღეს უნდა დაუწყო, თუ დღეს არა, ხვალ მოვა, თუ არა და ზეგ ღამ.

— კარგი და, ლელიანებში ყანჩივით უნდა ვიდგე?

— სტოიანს უთქვამს... შენი ქალი...

— მართლა! — წამოიძახა პეტომ და კარებში შესძახა: — მარიკა!

შემოვიდა ჩვენი ნაცნობი ქალი და სკამზე მჯდომარე მოკრას გვერდით გაჩერდა.

— ყური დაუგდე, რასაც მოკრა გეტყვის, — უთხრა პეტომ: — ნაპირზე კომიტაჯების გამოსვლას უნდა უყარაულო. — ქალმა მოკრას შეჰხედა და მამის უკანასკნელი სიტყვები რომ გააგონა, თვალები გაუბრწყინდა. მოკრამ უამბო, როგორც



იყო საქმე: უნდა თვალ-ყური უგდო კომიტეტის აგენტის მოსვლასაო. იმის მოსვლას წინაღვე მოგონილ ნიშნებით გაიგებ, იმავე ნიშნებით უნდა მოელაპარაკო და, ბოლოს, ლელიანებიდან გამოიყვანოვო. ყოველივე ეს დიდის სიფრთხილით უნდა მოიქმედო, რადგან სამზღვარზე მდგომი დარაჯები თავიანთ საქმეს მეტად თავგამოდებით ეკიდებიან და დრო-გამოშვებით პატრულებიც აივლ-ჩაივლიან ხოლმეო. ნიშნებად ბაყაყის ყიყინი და ბუჟს ძახილი გექნებათო,—უთხრა მოკრამა. როცა მოკრამ ლაპარაკი გაათავა, პეტომ თითი მალლა აიღო, მარიიკას მიუბრუნდა და ბრძანების კილოთი უთხრა:

— ჰა, ვაი შენი ბრალი, თუ კარგად არ გისწავლია ბაყაყის ყიყინი და ბუჟსავით ძახილი. გაიგე?

ქალმა, თანხმობის ნიშნად, თავი დააქნია.

— ახლა კი,—უთხრა პეტომ მოკრას:—მეორე ოთახში გადი, დაისვენე, დანაყრდი და ჩემიანებს სტოიანისა, რაც იცი, ყველაფერი უამბე.

მოკრა ბუხართან ჩამოჯდა, დიდედას, დედას და დას სტოიანის ამბავი უთხრა, მერე დედაბერს დაუწყო ლაპარაკი, რომ მელსაც ვერაფერი გაეგო,—სტოიანმა, ჩამომავლობით ცინცარმა, ვაჭრობას თავი რისთვის დაანება. და იმის მაგივრად, რომ ფულების მოგებას გამოსდგომოდა, ცოლი შეერთო და მოსვენებით ეცხოვრა, ბოლგარელების საქმეში ეჩხირება და, სადაც არა მგონია, დაეხეტებაო. ყველაზე უფრო ის აბრაზებდა, რა რჯიდა, რომ მილიაზიმსა ჰკლავდაო.

— მილიაზიმი რისთვის დაახრჩო? ვინა ჰკითხავდა? მილიაზიმი „ბულკას“\*) ეხვევოდა!—დედაბერმა მხრები შეიშმუშნა.—მაშ „ბულკები“ რისთვის არიან გაჩენილები? დასაბამითვე აგრე ყოფილა და ერთბაშად სტოიანს უნდოდა ყველაფრის გამოცვლა! გაგონილა!—დედაბერმა ამოიოხრა.

\*) ბულკა—ქალი.

## X X I I

ილენკა ახლა მოკრასას იშვიათად დადიოდა, და ისიც მაშინ, როცა, პეტრე და მისი დედა შინ არ იყვნენ ხოლმე. ერთხელ ისეთს დროს მოვიდა, რომ პეტრე შინ იყო, მაგრამ არ ეჩვენა. ილენკამ ანკას დაუწყო ლაპარაკი და თან წამ-და-უწყუმ კარებისაკენ იხედებოდა; ბოლოსა ჰკითხა:

— პეტრე შინ არის?

— სახლშია, — უპასუხა ანკამ.

— სად არის მერე?

— თავისს! ოთახშია. ამ დროს, ჩვეულებრივ, თავისს ოთახში ხოლმე.

— რას აკეთებს?

— სწერს, ჰკითხულობს. აუარებელი წიგნები აქვს! ერთ კედლის გასწვრივ სულ წიგნებია გაწყობილი.

ილენკას მეტი არაფერი უკითხავს, ცოტა ხანს კიდევ იჯდა, წამოდგა და ოთახიდან გავიდა, მაგრამ არც იაშმაკი მოუხვევია და არც ფარაჯა გადაუცვამს, მაშასადამე, ქუჩაში არ გასულა. მთელს სახლს კარგად იცნობდა, ამიტომ მისი ერთ ოთახიდან მეორე ოთახში გასვლა ანკას სრულებით არ გაჰკვირვებია. ილენკამ მეორე ოთახი გაიარა, მერე მესამე, ბოლოს აივანზე გავიდა და აქ პეტრეს ოთახის კარი შეაღო.

ეს ოთახი სხვა ოთახებს არა ჰგავდა. მართალია, მდიდრულად არ იყო მოწყობილი, მაგრამ მაინც ევროპულს გემოვნებაზედ იყო გამართული, მაშინ როცა მთლად სახლი აღმოსავლეთის გემოვნებაზე იყო მორთული. შიგ იდგა დივანი, სკამები, სელები, მრგვალი მაგიდა, ზედ ჟურნალები, გაზეთები და ალბომები ეყუო, შიგ იდგა აგრედვე წიგნებით სავსე განჯინა, ერთი დიდი სამეცადინო მაგიდა, იმნაირად დადგმული, რომ ვინც მოუჯდებოდა, სინათლე მარცხენა მხარედან მოსდიო-

და; კედლებზე დაკიდებული იყო—სურათები, რუქები, გეგმები, დივანის თავზე—სარკე ეკიდა.

პეტრე მაგიდას უჯდა. ოთახის კარის შემოდება რო გაიგონა, უკან მოიხედა, წამოდგა და მრგვალ მაგიდასთან ილენკა დანახა. ქალმა ოთახს თვალი მიმოავლო და სახტად დარჩა.

ამ გვარად მორთულ ოთახს პირველად ჰხედავდა და ძალიანაც მოეწონა, ხმას არ იღებდა. მეტად კარგი სანახავი რამ იყო ამ თავდავიწყებაში. პეტრემ თავის თავს დიდხანს არ მისცა ნება ამ ლამაზის ქალის ყურებით დამტკბარიყო და ლაპარაკი დაიწყო.

— გამარჯობა ილენკა! გმადლობ, რომ მნახე.

ქალი შეხტა და ცოტათი შეკრთა.

— სათქმელი გექნება რამე ჩემთანა, ჰო?—განაგრძო პეტრემ.

— უნდა მოგელაპარაკო, —ჩურჩულით უთხრა ილენკამ და თვალები ძირს დაჰხარა.

— ჯერ დაჯექი... აბა, დაუსხდეთ, —იწვევდა პეტრე და დივანს მიუახლოვდა.

ილენკამ თვითონაც არ იცოდა, რა ექმნა: ახალგაზდა კაცის თხოვნა ავასრულო და ამ საოცარ დივანზე დავჯდე თუ არაო?

— დაჯე, გენაცვა, —აღერსით უთხრა პეტრემ.

ქალი მოტრიალდა, რამდენიმე ნაბიჯი წადგა, ერთბაშად წამოჭარხლდა, მივიდა აჩქარებით დივანთან და სულ ბოლოზე ჩამოჯდა. წამოწითლდა იმიტომ, რომ სარკეში თავისი თავი წიგნებსა, სურათებსა და გეოგრაფიულ რუქებს შორის დანახა. ილენკა ფეხებ-მოკეციტ ჯდომას იყო დაჩვეული, ახლა სულ ბოლოზე ჩამოჯდა და მეტად უხერხულად ჰგრძნობდა თავსა; გამოწვეას და ცოტა აქეთ დაჯდომას ვერა ჰხედავდა;—მავთულებიც ადვილად ადიოდ-ჩადიოდა და ვერ ენდო.

— რა გინდა მითხრა?—ჰკითხა პეტრემ.

— „წითელის ჯვარის“ ამბავი... —უპასუხა ქალმა.

— „წითელის ჯვარისა?“

— დიად, — უთხრა ილენკამ და ისრებივით წამწამები ძირს დაჰხარა.

— შენ ეგებ გინდა „წითელის ჯვრის“ საზოგადოებისა მკითხო რამე?

— რა ვიცი.

— მაშ რა გინდა გაიგო?

პეტრეს ლმობიერის ქცევით გათამამებულმა ილენკამ უპასუხა:

— მინდა იმ „წითელის ჯვრის“ ამბავი გავიგო, ქალები რომ დაჭრილებს უვლიან. რაღასაც კი მოვკარი ყური მაგისთანას, მაგრამ დანამდვილებით არა ვიცი-რა.

— მაშ ძლიერ გინდა ავიხსნა ეგ საგანი?

— ძალიად დაგიმადლებ.

— კარგი, დიდის სიამოვნებით ავიხსნი...

პეტრე საწერ მაგიდასთან მივიდა, მონახა იქ ერთი წიგნაკი, სურათები და უკანვე გამობრუნდა.

სანამ პეტრე წიგნაკს იპოვიდა, ილენკა უფრო მოხერხებით ჩამოჯდა დივანზედ. ჯერ ხელით გაშინჯა მათეულები, და, როცა დარწმუნდა — არ ჩატყდებოდა, ცოტა იქით გაიწია. პეტრე წიგნში იხედებოდა და თანაც უამბობდა თან-სატარებელ ქსენონის ამბავს, უჩვენებდა ომისათვის დაარსებულ კაცთ-მოყვარულ საზოგადოების ურმების, საკაცების და ყოველგვარ ამ საქმეში გამოსადეგ ავეჯის სურათებს. დედა-აზრი ამ საზოგადოების არსებობისა ის არისო, რომ ომი სრულებით არ უნდა იყოს ხოლმეო. ილენკა ყურს უგდებდა, აცქერდებოდა, ყოველივე ესე ძალიან საინტერესოდ მიაჩნდა. მართალია, მოისმინა, დაჭრილები ერთ ადგილიდან მეორეში როგორ უნდა გადაიყვანონო, მაგრამ ის მაინც ვერ გაიგო, „წითელის ჯვრის“ საზოგადოებაში საქალო საქმე რა იყო, და ამიტომ ჰკითხა:

— ქალები რაღას აკეთებენ?

— ეგეც გინდა გაიგო, თან-სატარებელ<sup>1</sup> ქსენონში ქალები რას აკეთებენ?

— ძრიელ მინდა მაგის გაგება, — უბასუხა ილენკამ.

— უფლიან ავადმყოფებს. დაჭრილები, საზოგადოდ, დიდხანს არიან ხოლმე ავადა, და ამ დაჭრილებს უფლიან დანი მოწყალებისანი.

— დანი მოწყალებისანი როგორები არიან?

— მონაზონებსა ჰგავან.

— მონაზონებსა! — გაიკვირვა ქალმა.

— ჰო, მონაზონებსა, მხოლოდ აღთქმას არა სდებენ მონაზონობისას და მარტო ომის დროს უფლიან ავადმყოფებს...

— შემდეგ?

— შემდეგ ისევ წინანდელს ხელობას უბრუნდებიან. დანი მოწყალებისანი მონაზონებად არ შედიან და როცა ამ საზოგადოების სამსახურს იწყებენ, არც კი არავენ ეკითხება, რა სარწმუნოებისანი ხართო: იქ იღებენ მართლ-მადიდებელთაც, კათოლიკეთაც, პროტესტანტებთაც, ებრაელთაც, ოსმალებსაც კი.

— მერე რომელი ოსმალოს ქალი შევა მაგისთანა სამსახურში? — შეჰნიშნა ილენკამ.

— ეს სხვა საქმეა, წავა თუ არა. თუ ითხოვა სამსახური, „წითელის ჯვრის“ საზოგადოების წესდება ოსმალოს ქალების წინააღმდეგი არ არის.

— რა კარგია! მაშ, მაგალითად, მეც...

— რა? — ჰკითხა პეტრემ, როცა ილენკა გაჩუმდა.

— მეც ხომ შემიძლიან „წითელ ჯვრის“ საზოგადოებაში შევიდე?

— რატომ.

— მაშ, მო... — და მწარედ ამოიოხრა: — მომიხერხე, მიმილონ.

პეტრემ გაოცებით შეჰხედა.

— მომიხერხე, — განიმეორა ილენკამ და მერე ჰკრთხა: — ჩვენები კლადოვაში არიან?

— კლადოვაში არიან, — გონება-დაბნევით უპასუხა პეტრემ.

— მოდი, კლადოვაში გამგზავნე.

— ძნელი მოსახერხებელია.

— თუ კი სტოიანი გაპგზავნე და...

თითქო სხვის სახელი დაავიწყდაო, ისე გაუწყდა სიტყვა და ამიტომ პეტრემ მოაგონა: — ნიკოლა.

— ჰო-და, ისინი ხომ შენ გაპგზავნე? მეც იმათსავით გამისტუმრე. რუმინიაში კი რკინის გზის ბილეთს მე თვითონ ავიღებ და კლადოვაში წავალ. მინდა სასარგებლო ვიყო რითიმე.

— შენ ისიც გეყოფა, რომ შეიდი კაცი დაიხსენი, ყოველივე შენი სამკაული გაცი, მაშასადამე, სხვებზე მეტი სარგებლობა მოუტანე კიდეც ქვეყანასა.

— მართალია... მაგრამ კლადოვაშიაც მინდა გადავიდე.

— ძნელი მოსახერხებელია, ძალიან ძნელი.

— შენ მხოლოდ ცდას ნუ დააკლებ.

— არა, ძალიან ძნელია-მეთქი. თუ სარგებლობის მოტანა გინდა, აქაც შეგიძლია.

— იცი, — დაიწყო ქალმა აკანკალებულის ხმით. — რისთვის მინდა კლადოვაში წასვლა?

პეტრემ იფიქრა, ალბად მეტყვის, სტოიანი მიყვარსო.

— კლადოვაში იმიტომ მინდა წავიდე, — განაგრძო ილენკამ და თავის ხელებს დააცქერდა: — იმიტომ, რომ... სახლში დარჩენა მეძნელება... დედაც მიყვარს, მამაცა, მაგრამ... მაინც მინდა, სანამ ყოველივე ეს ამბები გათავდება, ორსავე მოვშორდე. იმაზე უკეთესი, როგორც „წითელ ჯვარში“ სამსახურია, სხვა არა ვიცი-რა. წინად მხოლოდ გაგონილი მქონდა, ახლაც კი შენ თვითონ მითხარი, ქალებსაც იღებენო. გთხოვ — გამგზავნე.

— არც კლადოვაში და არც სადმე სერბიაშია „წითელი ჯვარი“, — უპასუხა პეტრემ.

ილენკამ გაკვირვებით შეჰხედა.

— არ არის.—განიმეორა პეტრემ.—მაგვარი დაწესებულება მხოლოდ კონვენციის ძალით არსებობს, ე. ი. პირობის ძალით, რომელსაც სახელმწიფონი მორიგებით სდებენ. სერბია კი არავის მოპრიგებია და ამიტომ იქ „წითელი ჯვარიც“ არ არის.

— დაეჯერო, მართალია?—ჰკითხა ქალმა, რომელსაც ჯერ კიდევ არა სჯეროდა სიმართლე პეტრეს ნათქვამისა.

— არ გატყუებ.

— მაშ რაღა მეშველება?—წამოიძახა ილენკამ და პეტრეს შეჰხედა. ქალ-ვაჟის თვალები ერთმანეთს მოჰხვდა. ხანდისხან თვალების შეხვედრას დიდი მნიშვნელობა აქვს. ილენკამ თვალები ძირს დახარა და სთქვა:

— სამწუხაროა.

— სამწუხაროა,—განიმეორა ქალმა, ადგა და წასვლა დააპირა.

პეტრეს არ უნდოდა გაეშვა ქალი, როგორც სიბნელეში მყოფს არ უნდა განშორდეს ოთახში შემთხვევით შემოჭრილ სინათლის სხივსა.—მოიცა!—უთხრა ვაჟმა,

ქალი გაჩერდა.

— ეს არ გინახავს?—ჰკითხა პეტრემ, გადაშალა-რა პირინის სურათების ალბომი.

ილენკას ძალიან მოეწონა სურათები. მაგიდას გვერდთ იდგა და დაჰყურებდა. პეტრემ სკამი შესთავაზა. ქალიც დაჯდა და ალბომის შინჯვა განაგრძო; ეკითხებოდა, ხან რასა და ხან რას. პეტრეც მოუყვა ლეგენდებს, რომელიც იცოდა ალბომში მოთავსებულ ზოგიერთ სურათის შესახებ.

— რა კარგია! რა მშვენიერება რამაა...

— ასეთი მშვენიერი ადგილები ჩვენცა გვაქვს, ბალკანეთში, ჩვენის მდინარეების ნაპირად, და ჩვენებური ლეგენდებიც ამ ადგილების შესახებ ნაკლებ მშვენიერები არ არის, მაგრამ ჩვენის ქონების დაფასება რომ არ ვიცით!

— რატომ?—ჰკითხა ილენკამა.



— მონება გვაბრძანებს და გონებას გვიხშობს. მოვა დრო, ახლა დაწყებული საქმე გათავდება და მაშინ ჩვენც მოვიწონებთ თავს ამ გვარებითა!—და ალბომზე მიუთითა.

— ეგ დრო დაიწყო...—განიმეორა ილენკამ ოდნავ გასაგონის ხმით.

— დიად, დაიწყო...—უპასუხა პეტრემ ამოოხვრით.

— რატომ შენ არ მიდიხარ საომრად?—ჰკითხა ილენკამა.

— სიამოვნებით წავიდლოდი, მაგრამ იცი, რა გითხრა,—კაცმა, შეიძლება, სამშობლოს უიარალოდაც გაუწიოს სამსახური. მე,—დაუმატა დაღონებულის კილოთი,—უომრად სარგებლობის მოტანა მხვდა წილადა.

ქალი არაფერს ეუბნებოდა. პირველ ალბომის გასინჯვა რომ გაათავა, მეორე ალბომს დასწვდა, რომელშიაც გამოჩენილ მხატვართა, მწეწალთა და მეცნიერთა სურათები იყო მოთავსებული. პეტრე მოკლედ უამბობდა თვითოეულის მოქმედებასა და ღვაწლს, და ამ აღწერილობის წყალობით ილენკას თვალწინ ეშლებოდა სხვა-და-სხვა მოგონება, რომელმაც ისეთი ღიღი სამსახური გაუწია კაცობრიობას. ილენკა დიდის ინტერესით აკვირდებოდა ევროპიელ გამოჩენილ კაცთა სურათებს, რომელიც ეროვნობის მიხედვით იყო დაწყობილი. გადაათვალიერა ფრანგები, გერმანელები, ინგლისელები, იტალიელები, და როცა უკანასკნელი გვერდი გადააბრუნა, პეტრემ უთხრა: ახლა სლავიანების სურათები იწყებაო.

ილენკამ შეხედა ხშირ და გრძელ თმიან კაცის ლაზათს მოკლებულ სახეს და ქვეშ-მოწერილი წაიკითხა: „ა. მიცკევიჩი“.

— სლავიანთა პოეტია,—აუხსნა პეტრემ.

— სერბიელია?

— არა, პოლონელია.

— ინჟინერი იქმნება?

— არა, პოეტია.

გვარის დაბოლოებამ აპრია ილენკა და იმიტომ ვერ მიჰხვდა, რა ეროვნებისა უნდა ყოფილიყო ის კაცი; ხოლო ინ-

ქენერი მიცკევიჩი იმიტომ ეგონა, რომ იმდროს პოლონელი რომ შექაჟანდასა (ინჟენერი)—არა ყოფილიყო, ეს იშვიათი შემთხვევა იქმნებოდა ოსმალეთში.

— ვერც კი მოვიფიქრებდი, თუ ეს კაცი პოეტი იქმნებოდა, — შეჰნიშნა ქალმა და სლავიანების სხვა შესანიშნავ კაცთა სურათებს დაუწყო სინჯვა.

ამასობაში დრო ჩქარა გარბოდა; ილენკამ ვერც კი გაიგო, რომ უკვე ერთმა საათმა განვლო. ეს ვერც პეტრემ შეჰნიშნა, და ორმავე ვერც კი გაიგეს, ანკა როგორ შემოვიდა. ქალი კარებში გაჩერდა და გაოცებით დაუწყო ცქერა ახალგაზღვებს, ალბომის სინჯვაში გართულებსა. მშვენიერი სანახავი იყო იმათი ერთად ყოფნა. ილენკა სკამზედ იჯდა და მაგიდაზე ოდნავ დახრილიყო; პეტრე მის გვერდით იდგა და სკამის ზურგზე დაედო ცალი ხელი; მეორე ხელის იდაყვით მაგიდას დაყრდნობოდა; მისი გული ახალგაზდა ქალის მხრებს ოდნავ ეკარებოდა, ხოლო ამ უკანასკნელის პირისახე ყმაწვილ კაცის პირისახეზე ისე ახლოს იყო, რომ, თუ ოდნავ მოატრიალებდა თავს, შეეძლო ეკოცნა ქალისთვის. აღმოსავლეთში ასეთი დაახლოვება ორის აღამიანის პირისახისა, რომელთა წლოვანება ერთად ორმოცზე ცოტათი მეტია, საეჭვო საქმედ ითვლება. ანკა ერთს ხანს ხმა-ამოუღებლივ იდგა, და, თუმცა საეჭვო არცარა უნახავს-რა და არცარა გაუგონია-რა, მაინც წამოიძახა: — რა ამბავში ხართ?

ილენკა შეკრთა, და მერე თითქო გაქვავდაო. იმ ზომამდე შეეშინდა, რომ ზეზე ადგომა ველარ მოახერხა. პეტრე მობრუნდა და დასა ჰკითხა:

— ანკა, რა დაგმართნია?

— შენ...

— ამასაც იმას ვაშინჯვინებ და ვუხსნი, რაც შენ გაჩვენე.

— კი... მაგრამ... — ამოოდ ცდილობდა ისეთი რამ სიტყვა მოეგონებინა, რომ ასეთი tété-ი-tété საძრახის საქმედ დაესახა.

— მოდი, ჩვენთან დაჯე, — უთხრა პეტრემ: — ესეები შენც გაგართობს.

ანკამ მხრები შეიშმუშნა: ძმის ალბომებში საინტერესო თავის-დღეში არაფერი უნახაეს. სურათები დაფერადებული არ იყო, ხოლო პორტრეტებში წმიდანების სახეები არ ერია. ეტყობოდა, მონასტერში ცხოვრებისადმი უფრო ჰქონდა მიდრეკილება. ძმასთან საქმისათვის შემოვიდა, კარში გაიხმო და უთხრა: — ვილაც გკითხულობს.

— ვინ არის?

— ვილაც გლენის დედაკაცია. დაბლა ოთახში შევიყვანე.

— შენ აქ დარჩი, ილენკასთან.

— მე იმასთან არ დავრჩები, — უპასუხა ანკამ.

პეტრე მიხვდა, რა ამბავიც იყო, და არ აუხირდა, მხოლოდ უთხრა: — ახლავე წავალ.

პეტრე მალე დაბრუნდა და ილენკასათვის უნდა ეთქვა, — სხვაგან უნდა წავიდეო, — მაგრამ ქალი კარებში შეხვდა: პირველი ის გამოემშვიდობა ღიმილითა და აღერსიანის ლაპარაკით და მერე ანკასთან წავიდა. ანკა თავისს ოთახში იჯდა დივანზე, ილენკას ზედაც არ შეჰხვდა. და არც პასუხი აღირსა, როცა მეგობარი ქალი გამოემშვიდობა. ეს პირდაპირ იმასა ჰნიშნავდა: „ჩემთან მეტად ნუ მოხვალო.“ ანკას ეგონა, რომ ილენკა, თუ სულ დაღუპული არა, ძალზე უღირსი ქალია ახლო; თუმცა არც ის ავიწყებოდა, რომ ამანაც აკოცა სხვას, რომლის მოგონებაზე ნეტარების ჟრუანტელი დაუფლიდა ხოლმე მთელს ტანში. „ეს ცოლვად არ უნდა ჩამეთვალოს, — ამბობდა თავის გულში, და საბუთად აი რა მოჰყავდა:

„მე მხოლოდ ერთს ვაკოცე და ისიც ერთხელ, იმან კი. ალბად, სამს აკოცა და, ვინ იცის, რამდენჯერ: სტოიანს... ნიკოლას, ახლა კიდევ პეტრეს... საშინელებაა!“

ამასობაში პეტრე ძირის ოთახში ჩავიდა და იქ უცნობი გლენის ქალი დახვდა.

— შენ ვინა ხარ?

— კრივენდიან გამომგზავნა პეტომ.

— მექანედან?

— დიად, მექანედან.

— სტოიანის დად ხომ არა ხარ?

— სწორედ, სტოიანის დად და მექანჯის—ქალი.

— კარგს რას იტყვი?

— ერთი კომიტაჯი მშვიდობით გადავიდა, მეორე კი ამა-  
ლამ უნდა მოვიდეს.

— მერე?—ჰკითხა პეტრემ.

— რომელიც გალმა გამოვიდა, იმანა სთქვა შენზედ, ის  
მეორე უნდა ჰნახოსო. კრივენაში უნდა წამოხვიდე; თუ არა,  
ის მოვა რუშჩუკში შენს სანახავად.

— ღამე გამოვა?

— ჰო, ღამე.

— კარგი. ისე მოვახერხებ, რომ ღამე იქ ვიყვე. შენ კი  
ამალამ ჩვენთან დარჩი.

— არა, უნდა გავბრუნდე; თუ მე იქ არა ვარ, იმას ვე-  
რაფინ გამოიყვანს.

— ისაუზმე მაინცა.

— ვერა, ვერა. მამამ მიბრძანა, მოელაპარაკე და მაშინვე  
უკან დაბრუნდიო.

სახეზე და კაპარაკში ქალს ისეთი მორჩილება ეტყობო-  
და მამის ბრძანებისა, რომ პეტრეს მეტი არა უთქვამს-რა; მხო-  
ლოდ ის განუმეორა—კრივენაში საღამოზედ მოვალო და კა-  
რებამდე გააცილა.

პოლიცია ყველაფერს ყურებ-დაცქვეტილი ადევნებდა  
თვალს, ასე რომ კრივენაში წასვლა პეტრესათვის არც მაგრე  
ადვილი საქმე იყო. უნდა რამ მიზეზი მოეგონებინა. ამ აზრით  
დუქანში გასწია დედასთან მოსალაპარაკებლად. მიზეზი თავის-  
თავად გამოტყვრა. წინ ეტლი შემოხვდა, შიგ, მეეტლეს გარ-  
და, კიდევ სამი კაცი და სამი ძაღლი იჯდა. ეს სამი კაცი ინ-  
გლისისა და იტალიის საელჩოების მოხელენი იყვნენ, ძაღლე-  
ბი—მეძებრები, ხოლო მეეტლედ ერთ-ერთ საელჩოს კავასი  
იჯდა. ყველას სათითაოდ თითო თოფი ეჭირა, მხარზე სანადირო.

ჩანთა ჰქონდათ გადაგდებული; ეტყობოდათ, სანადიროდ წამოსულიყვნენ და, ყოველ შემთხვევისათვის, ორი თოფი და სამი სანადირო ჩანთა მეტი წამოეღოთ.

— გააჩერე!—დაუყვირა ერთმა მათგანმა კავასს, პეტრეს დანახვაზე. მიუბრუნდა ახალგაზდა კაცს და უთხრა:—ჩაჯექი!

— სად მიდიხართ?

— იანტრის შესართავთან.

— დამიცადეთ, ტანისამოსს გამოვიცვლი.

— ერთს წუთსაც არ დაგიცდით.

— ასე როგორ წამოვიდე?..

— ლაპარაკის ნებას არ გაძლევთ... აი ორი თოფი და სამი სანადირო ჩანთა! აირჩიე, რომელი გინდა!.. დაჯექი! უნდა მოგიტაცოთ.

ამისთანა მარჯვე შემთხვევის ხელიდან გაშვება აღარ შეიძლებოდა, და პეტრეც აღარ გაჯიუტდა. უნდოდა დედისათვის ეთქვა მაინც—მიედივარო, მაგრამ ამ ბატონებს ისე მოეწონათ „მოტაცება“, რომ თავისს სურვილზე ხელი უნდა აეღო. ჩაჯდა; ცხენები დაიძრნენ; იტალიელმა სანადირო სიმღერა დაიწყო, ინგლისელმა—თოფი დასცალა. ყველას ესაუბმნათ და ცოტა შეზარხოშებულიყვნენ. რუშჩუკი მალე გაირბინეს; ალაყაფის კარებზე ყარაულებმა სამხედრო წესის საღამო მისცეს. პეტრე ლოთი-ფოთებში ჩაეარდა და მხოლოდ გზაში გაიგო, რომ ისინი სამის კვირით იყვნენ წამოსულნი.

„ღედა რას იფიქრებს?“—სწუხდა ახალგაზდა კაცი. მაგრამ რაღას იზამდა. ცხენები მარდად მიდიოდნენ, მგზავრები მღეროდნენ, ძაღლები ჰყეფდნენ. გამვლელ-გამომვლელი, ქვევითი თუ ცხენოსანი, აჩერდებოდნენ და უყურებდნენ ევროპის წარმომადგენელთა ოინებს.

„გამოფხიზლდებიან“,—გაიფრაქრა პეტრემ.

მაგრამ იმედი გაუტრუედა. რა თქმა უნდა, ევროპის წარმომადგენელნი უნდა გამოფხიზლებულიყვნენ, მაგრამ თითოეულ მათგანს თითო ბოთლი fine de champagne-ს კონიაკი წამოეღო. თითონაცა სვამდნენ და პეტრესაც აძალებდნენ, ასე

რომ იძულებული იყო ეეშმაკნა და არ დამთვრალიყო. ბოთლს მოიკულებდა, მაგრამ სმით არა სვამდა.

პეტრეს საქმე ამ დღეს ჩინებულად მოეწყო: ამ ვაჟბატონების სიმთვრალემაც სამსახური გაუწია. ჯერ პირდაპირ სისტოვოში უნდოდათ წასულიყვნენ და ღამე იქ გაეთიათ, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს. იტალიისა და ინგლისის საელჩოს მდივანი, როგორც იქმნებოდა, შესძლებდნენ, მაგრამ ინგლისელის წაყვანა შეუძლებელი შეიქმნა. ეტლიდან ორჯელ გადმოვარდა, საკმაოდაც დაშავდა; ასე რომ, მეტი გზა არ იყო, ნაბიჯით უნდა ეტარებინათ ცხენები; გარდა ამისა, მალ-მალე შეჩერდებოდნენ ხოლმე, რომ საჯდომი ბალიში გაესწორებინათ. გაჩერდებოდნენ თუ არა, ინგლისელი თავის ძვირფას ბოთლს დაეძაბრებოდა. ამიტომ მგზავრებმა კრივენამდეც ძლივს ჩააღწიეს. ცოტა-ღა უკლდათ ჩასვლამდე, რომ ისე ურემი წამოეწიათ, რომელშიაც სოფლის დედაკაცები ისხდნენ; მათ შორის მარიკაც იყო. პეტრემ ოდნავ თავი დაუკრა, მაგრამ ქალს ხმა არ გაუცია.

კრივენაში ელჩის კავსმა მამასახლისი მოიხმო, რომელმაც სტუმრებს საუკეთესო ბინა აუჩინა. ეტლიდან ჩამოსვლა თვითონ არ შეეძლოთ, უნდა სხვები დაჰხმარებოდნენ და ისე გადმოესვათ, იტალიელი ხრინწიანის ბასით ისევა მღეროდა, სანამ არ დაეძინა; ერთი ინგლისელი საეროვნო საგალობელს გაიძახოდა, სანამ იმასაც ძილი არ მოერია; მეორე ინგლისელი ერთავად რაღასაც ბუტბუტებდა და მერე იმასაც დაეძინა. მხოლოდ პეტრეს არ გაუხდია ტანთა. სანამ ყველაფერი მიწყნარდებოდა, წამოწოლილი იყო, მერე ადგა და მექანესთან წავიდა. მექანეში ბნელოდა და კარი დაკეტილი დაუხვდა. პეტრემ დააკაკუნა. მოისმა ფეხის ხმა და კარებიდან მამაკაცმა გამოესძახა: — ვინა ხარ?

— რუშჩუკიდან მოსული.

— ვინ მოსული?

— პეტომ რომ მოიხმო.

პეტომ კარი გააღო და გამოვიდა.

— მარიკა დაბრუნდა?

— დაბრუნდა... — პეტომ ხმა-მალლა ჩაახველა.

მაშინათვე ორი აღამიანი გამოვიდა: ქალი და კაცი. კაცი პეტრესთან მივიდა, განზე გაიხმო და ჩუმად დაუწყო ლაპარაკი; ბოლოს პეტრემა ჰკითხა:

— ნიკოლამ რაღა ჰქმნა?

— ჩემთან უნდოდა გამოსვლა, მაგრამ დარჩა. დღეს კი უეჭველად გამოვა და მაშინათვე გზას გავეუდგებით.

მარიკამ მოსაუბრეებს გვერდთ გაუარა და ლამის სიბნელეში მიიმალა. პეტრემ იქითკენ მიიხედა, საითკენაც მარიკა წავიდა; ამხანაგმაც იგივე ჰქმნა. პეტო კაკლის ხის ქვეშ დადგა. სამშავე მოულაპარაკებლად ლოდინი და ყურის გდება დაუწყეს. ყური, მაგრამ ბნელი ღამე ძალიან ჰშველოდათ, რომ ერთი ბეწვა შრიალიც არ გამოჰპარებოდათ. დასავლეთით მოგროვილი ღრუბლები მალლა-მალლა აღიოდა და წვიმას აპირებდა; ქარიშხლის ამოვარდნაც მოსალოდნელი იყო. ჯერ კი სრული დუმილი სუფევდა ბუნებაში — ქარიშხლის ჩვეულებრივი წინამორბედი; დუნაის ნაპირად ბაყაყის ყიყინი მოისმოდა, და პეტრე, რომელსაც სიგნალი გაგებულნი ჰქონდა, თავის თავს ეკითხებოდა — როგორ უნდა გავარჩიო ის ყიყინი, რომლის შემწეობითაც უნდა მოველაპარაკო გამოპარულსაო? თითქმის ნახევარმა საათმა გაიარა.

— ეი! — დაიძახა პეტომ.

— რა იყო? — ჰკითხა პეტრემ; როცა პეტოსთან მივიდა.

— როცა გამოვიდეს, ყავახანაში შედით, სანათი კი არ დაანთოთ. თქვენ, რამდენიც გინდათ, იმდენი ილაპარაკეთ; მე და მარიკა კი აქ დავდგებით ყარაულად.

სწორედ ამდროს ბუჟს ძახილი გაისმა; ძახილი განმეორდა და როგორღაც ბაყაყის ყიყინად იქცა. ამ ნაირი შეხამება ხმისა კიდევ და კიდევ განმეორდა. რამდენმამე წუთმა გაიარა. დასავლეთიდან ქუხილი გაისმა და იმავე დროს ორი კაცი გამოჩნდა, ორივე გაჩქარებით მომავალი.

— პეტრე? — ჰკითხა ერთმა.



— ნიკოლა? — უპასუხა პეტრემ.

სამივე შეთქმულები ყავახანაში შევიდნენ; პეტო და მარი-  
იკა კი სადარაჯოდ დარჩნენ. კომიტაჯებმა ყავახანაში ნახევარ  
საათამდე დაჰყვეს; როცა მექაანედან გამოვიდნენ, პეტომ აჰკითხა:

— აბა, რას აპირობთ?

— მივდივართ, — უპასუხა პირველად-მოსულმა.

— გამარჯვებით იყავით, — უთხრა პეტომ. მერე ქალს  
მიუბრუნდა და უთხრა: — საჭმელი და არაყი მოიტანე, არავი-  
ნა სთქვას, რომ ვითომ საგზალი არ გამეტანებინოს.

მარიიკამ წინდაწინვე მომზადებული პარკი, სურსათით სავ-  
სე, გამოიტანა და გზის მაჩვენებლად წინ გაუძღვა.

— ცოტა გამოგეცდილე, — უთხრა ნიკოლამ პეტრეს: — მინ-  
და ცოტა-რამ ჩემის მხრითაც გითხრა.

როცა ცოტა უკან ჩამორჩნენ, ნიკოლამ აჰკითხა:

— გინდა გითხრა, სტოიანს რაზე...

— ძალიან გულით მინდა, — გააწყვეტინა პეტრემ. — რის-  
თვის აწყენინე ამხანაგს, რომელთანაც ერთად უნდა იმოქმე-  
დო? შენის მხრით ასეთი საქციელი დიდ დანაშაულად მიმაჩ-  
ნია.

— მეც აგრე ვფიქრობ, — უპასუხა ნიკოლამ.

— კარგი და, როდემდის უნდა იყვეთ აგრე? რატომ აქა-  
მდე არ შეურიგდი?

— იმიტომ, რომ ჩვენს შორის...

— რა?

— „რა“ კი არა, „ვინა“ — თქო...

— მაშ ვინაა?

— ილენკა. ისა სდგას ჩვენს შორის, ისა! როგორ მო-  
ჰხნდა — არ ვიცი. ის რომ ჩემსა და მის შუა დადგა, სტოიანზე  
ისე გაებრაზდი, იმ ზომამდე შემძულდა ის კაცი, რომ მოვიწ-  
დომე იქავე, მიწის-ქვეშეთშივე, დამეხრჩო სწორედ იმ სახით,  
როგორც იმან დაახრჩო მილიაზიმი. დიად!.. — ნიკოლამ მწარედ  
ამოიოხრა.

— ეგებ, ქალს ის კაცი უყვარს? — შეჰნიშნა პეტრემ ცო-  
ტა ხნის შემდეგ.

— არ ვიცი... მეც ის მაწუხებს, რომ არ ვიცი... მე მე-  
გონა, მე ვუყვარვარ-მეთქი. ამ გვარის ფიქრით ჩავეშვი ჭაში,  
და მხოლოდ მიწის-ქვეშეთში გამიელვა აზრმა, — ეგებ ვცდები-  
მეთქი. არ ვიცი... თუ უყვარს... თუ ილენკას ის უყვარს (ნი-  
კოლას ხმა უკანკალებდა), — მოვკლავ და მხოლოდ მკვდარს და-  
ვუთმობ... არა... არ შეუძლიან... სტოიანი არ უნდა შეიყვა-  
როს.

თ. სახოკია

(დასასრული იქნება)



## ოქის მსხვერპლი

(ამბავი ქალბატონ სუტნერისა)

სასტუმრო ოთახში სინეჟე ჩამოკარდა. ბეკრი ლაჰარაკისა და ბასის შემდეგ ყველამ დალილობა იგრძნო და რადგან დროც კარგა გადასული იყო სტუმრები სათითაოდ გამოგკეთსოვნენ და გასწიეს შინ. ბოლოს ჩვენი კარგი ნაცნობი და მეგობარი X-ც წამოდგა და გამოთხოვება დააპირა, მაგრამ მე და ჩემმა ქმარმა შეეჩერეთ. როდესაც ყველანი წავიდ-წამოვიდნენ, X-ს მივმართე:

— გვიამბეთ რამე თქვენი წარსულიდან, ხომ დაგვიბრდით. აი ესლა მარტონი დავრჩით და შეგიძლიანთ აასრულოთ თქვენი დანაპირი.

— დაგვიბრდით და აღვასრულებ კიდევ.— მომიგო იმან. მსოფლოდ ის, რაც ესლა მსურს გვიამბოთ, ჩემს სიცოცხლეში არავისთვის განმიზიარება და შეგიძლიანთ ნაამბობით ისარგებლოთ.

— ხომ შემძლება დაგასახლოთ?

— ეგ კი არ შესაძლებელია და იმედი მაქვს ჩემს წყენას არ მოისურვებთ.

— თუ აგრეა, დარწმუნებული იყავით, არასდროს არ გავცემთ. აბა დაიწყეთ.

X-სი წელში გაიმართა, სევარძლის ზურგს მიეყრდნო და, ოდნავ თვალებ-დასუტულმა, დაიწყო: ეს ამბავი მოსდა ორლენის მასლობლად. მთელი დღე ომი არ შეწყვეტილა: გისურდა უკანასკნელად დავრწმუნებულიყავით გამარჯვება ვის მხარეს იყო. ბოლოს ჩვენი რაზმი განაჯალკვეს და იქვე, ორლენის მასლობლად, სოფელში გაგვისტუმრეს, რათა მტრის მოქმედებისთვის თვალ-ყური გვედევნებინა და თუ საჭირო იქნებოდა, შევბოდიოთ კიდევც.

მთელის დღის ბრძოლისაგან სსშინელი დაღლიანი ვიყავით. შიმშილმა სომ უგანასენელი ძალა გამოგვაცალა; ამას ზედ დაერთო წვიმა, რომელიც ორი დღე და ღამე თავსა და ტანზე დაგვიდოდა და, თუ ეს სამი გასაჭირი—შიმშილი, დაღლილობა და წვიმა—კაცს ერთსა და იმავე დროს მიადგა, ყოველი ხალისი ომისა, თვით მამაცობაც კარგება. ჩვენც ასე მოგვივიდა: სსშინელი უმად-ყოფილნი ვიყავით, როგორც ჩვენი, ზერედეე ვეკლას იმათი, გინც ეს ამოდენა აურ-ზაური ასტესა და კითხვები «რად? რისთვის?» ჩვენდა უნებურად, თავში გვიბანდებოდა.

მანც უგანასენელი ძალა მოვიკრიბეთ და გზას შეგუდექით. სიფრთხილე დიდი გვიმართებდა, რადგან, შესაძლებელი იყო, მტერი ყოველ წუთს ფარულად თავს დაგვისმოდდა. მართლაც, მოწინააღმდეგეთა მწეობრივ რაზმი წინ წავიდა, მასსადაც, ამ მხრივ არავითარი შიში არ მოგველოდა, მაგრამ ძაგარი და ჩვენი შემაწესებელი უფრო სსსკ იყო. მართლაც და როგორ არ შეწესდებია, როგორ ბრანსზე არ მოხვალ და წვეკა-კრულვით არ შეამკობ იმათ, გინც ფარულად, ქურდულად მოგეპარება და, როდესაც არსეინად ხარ, ერთ ვაი-ვაი-ლასს დაგატყუებს. სწორედ ასე გვემტეოდნენ ის ერთი მუჭა თავისუფალნი მეომარნი, რომელთათვისაც მამულას სიყვარულს ხელში იარაღი აუღებინებია და რომელნიც ყოველ ჯიბვეს, სეს, თსრიდის ამოჭყვარებოდნენ და მოულოდნელად ჩვენს ჯავრს იყრიდნენ სოლმე.

ძალზე გაფრთხილებულნი, ყურ-მასვილნი მივარბეკინებდით ცხენებს. რამდენჯერმე თოფის სმა შემოგვეკისმა და ორი, სამი ჩვენი ამხანაგი იქვე უძრავად დაეცა,—მაგრამ ეს არაფერი.

საღამო ხანს, როგორც იყო, სსშვიდობოს მივასწიეთ. ერთი მოსასვევიც და ჩვენ წინ მშეკნიერი სურათი გადიმალა. ესლაც თვალწინ მიდგა ლურჯად აბიბინებული, ფერად-ფერადის ყვავილებით აჭრელებული მინდორი, რომლის შუაგულ ამპარტანულად ამართულიყო პატარა, მაგრამ კოსტა ეკლესია, გარს სასლებით და ახასნაირის ბალებით შემოზღუდული.

დაფიქსირების სმამ და საყვირის კივილმა აცნობეს სოფელს ჩვენი მიასლოკობა. შესვლისათვისავე მოკლანსუ დატკეპდნენ მამასხლისი და მღვდელი — ეს ორი წარმომადგენელი სოფლისა.

ჩვენ ჩვეულებრივ კითხვა დაეუწყეთ: წაიდა თუ არა მოწინააღმდეგე? რომელმა რამებმა გაიარეს? დასვედრა თუ არა სოფელმა თავისუფალი მდროშენი? ამ უამად ჭყავს თუ არა ამისთანა მომარნი? და ბოლოს დიდის ამბით მოკლანსუთ სიკვდილით დასჯა მიკრესჯეთ.

ამასაც რომ მოკრით, დარჯნი თავ-თავის ადგილს მიკრინეთ, ჯარი მოსახლეებს ჩვეულებით და მე, ორას ჩემის ამსანაგით, მღვდელთან დაკბინაგდი. ერთ საათს შემდეგ ჩვენ ოთხნი — მღვდელიც შემოკრითდა ჩვენს კრებულს — რგვალს სტოლს შემოკრესუდით და მშენიერ ვასშამს შეკეცკოფით.

ჩვენი მასშინძელი საშინელი მსიარული, გულ-კეთილი რამ გამოდგა! ისე კეკეცკოფა, თითქოს, მტრნი კი არა, ნამდვილი იმის შეილება ვეოფილოფიკით. ასაღვანდობა ჭეიდელებერკში გაეტარებინა და ესლა მკითხაგდა ამ ქალაქის ამბებს. მეც ბეკრი რამ კუამბე ჭეიდელებერკის შესახებ და, უნდა გენახათ, რა სისარულს კილეოდა! იმის სასესი ნათელი ეფინებოდა!..

სახე, ოჯ, იმისი სახე მთელ ჩემს სიტრცხლეში არ დამავიწყდება! გძელი, თოკლიკით თეთრი, როგორც სამოც და ათი წლის მოხუცს შემკინის, წვერი მკედრე სცემდა. ცისფერი, სიტრცხლით სასესე თვალბი მუდამ მსიარულად გამოიყურებოდა. იმისს კილოს, ლაშარაკს ერთი ბეწო ფარისეკლობა, ცბიერება არ ეტუობოდა. «ჩემო შეილება», «ჩემო მკირფასო ბაღლებო», აი ის სიტყვები, რომლითაც ის იწვებდა და ათავებდა ლაშარაკს. ბორბტება, სიმძულვარე შოჩს იყო იმისაგან.

მთელი თავისი სიტრცხლე მოკალეობის მტკიცედ და შეურყევლად აღსრულებასი გაეტარებინა. მოკალეობის აღსრულება უპირველესს საგნად მიანდა ცხოვრებაში.

ბეკრი რამ გვიამბო მოხუცმა იმ საღამოს! თავისი დარდი, კარამი, სისარული თუ ნეტარება დაუმალავად ჩვენს წინაშე წამოშალა.

გვიამბო ამბავი შეგიძლება, რომელიც ერთად-ერთ იმისს რუკასს შეადგენენ, წიგნებისა, რომლებშიც ნუგეშს და თავის გათვლების საგანს ეძებდა.

იმ საღამოს მოხუცმა ჩემი გული მთლად მოინადირა. მიუხედავად იმისა, რომ სულ სხვა ტომს ეკუთვნოდა, სასუფლობრ ამისა, რომელსაც იმ უამად სისხლს ვალეკდით და რომელმაც ბუკის ქაჩ-ტენსლში გამოგატარა, მიუხედავად ამისა, ეამბობ, ამ მოხუცბულისადმი ჩემს გულში უსომო სიყვარული აღნთო. არ ვარსკედი, ზრანგი იყო თუ გერმანელი: ჩემ წინ იდგა მსოფლოდ უცოდველი, უსომოდ მოსიყვარულე გულის პატრონი და წმინდა მოკალეობის მტკიცედ აღმასრულებელი მოხუცი.

რადესაჩ კაცს სწუროიან, ერთი წკეთი წყალი იმის სსეულს უსომო ნეტარებით ავსებს, აგრედვე ბუკის ომისა და წკალეობის შემდეგ დაღლილ-დაქანცულ კაცს უბრლო თავსიანობა და გულ-კეთილი მასპინძლობა ჭსიბლავს და უსიამოვნო წარსულს ავიწყობს. სწორედ ასეთივე გრძნობა გამოგტადეთ იმ საღამოს: მღკდლის ტკბილმა ლაპარაკმა, უსომო თავსიანობამ ჩვენი წინანდელი დაღლილობა გააქარწყლად და თითქმის ძილიც კი დაგვაგვიწყა. მსოფლოდ 11 საათზე გამოკეთსოკეთ მოხუცს და დასაძინებლად გაგვიეთ.

მოხუცმა თავისი კაბინეტი დაგვითმო. მთელი იმისი სიმიდრე, ავლა-დიდება იქ ელაგა. იქ იყო იმისი წიგნთ-სადავი. იქ ეწყო აგრედვე მოხუცის საყვარელი კოლექციები. ოთასის მორთულობას ერთი ტყუა-გადაგრული დივანი, რამდენიმე სკარმელი და დიდი საწერი სტოლი შეადგენდა. სტოლზე იდო კვარტმა და მოხუცის სურათი. იქვე ივანჯარასთან გლია ეკიდა.

— ეს მამაკეია, — მიგვითითა მოხუცმა სურათზე და თანაც სანთლით გააშუქა, რომ უფრო კარგად გაგვეშინჯა. — ისიც თქვენსაკით ჭარის კაცი, მეომარი იყო, მსოფლოდ ნაპოლეონის დროს... მაშინ სულ სხვა იყო... გამარჯვებულნი მაშინ ჩვენ ეივაკით... დედამიწასე ყველაფერი ცვალეზადა... ლკთისგან არის ეოკული მოკლენა... აი ჩემი პატარა შეილები! — სიცილით გვიჩვენა გლიასე — ეოკულ დილით მოფრინებთან და ჩემს ხელის გულზე საყრდეს მი-

ირთმევენ ხოლმე... სხალ თქვენი თვალითა ჭნასავთ, ესლას გი, მგონი, თავი მოგაბეზრეთ, საყვარელო შეილებო, ღამე მშვიდობისა! — და ჩემს ამხანაგებს სელი ჩამოართვა; როდესაც ჩემთან მოვიდა, თავი კედარ შევიკავე — ან გი რა იყო სამარცხვინო! ის 70 წლის მოხუცი და მე სულ ასაღვაზდა გაცი — დავისარე და იმის სელს ვემთხვიე. მოხუცმა სელი ტანთავისუფლად, თავზე დამადლო და მითხრა: ღამე მშვიდობისა, შეილო!

ჩვენ დაგწიქით. ლეიტენანტი ფ. დივანზე წამოწვა; მე სკამისკამს მივადგი და მშენიერი საწოლი გავიმარეთე; მესამე ჩვენი ამხანაგი ლეიტენანტი დე — რი მორიგე იყო იმ საღამოთი. დე — რი მრამდენიმე სიგარა, ერთი ბოთლი მაგარი ბორდოსის ღვინო იღვინაში ამოიხარა და გასწია ზემო ოთახში, საიდანაც დარაჯთავის და, აგრედვე, თუ სადმე მტერი გამოჩნდებოდა, თავლეურობუნდა ეღვენიბინა.

უკვე რამდენისამე საათის ჩამინებულ ივიყვი, როდესაც თოფის ხმა შემომესმა. ჯერ სიზმარი მეგონა, მაგრამ როდესაც პირველს მეორე და მესამე მოჭყვა ნამძინარევი ფეხზე წამოვიტერ, სელად ტანი-სამოსი გადავიცვი და გაკვარდი გარედ.

თოფის სროლა უფრო გასშირდა, აქა-იქ ფანჯრებიდან ტეტსლის ალი მოჩანდა. ათ წუთში — იქნებოდა ორის ნახევარი — ეველასნი ეზოში შევიკრიბენით. თოფებს ჩვენ გვესროდნენ. ორ სასლს, საიდანაც თოფის გრიალი მოისმოდა, ტეტსლი ეკიდებოდა. სუთი ჟარის კაცი და ლეიტენანტი დე — რი არსად სჩანდნენ. მე ზემო ოთახში გავეშურე და ჩემს განცვიფრებას სამსლკარი არა ჭქონდა, როდესაც კიბის საფეხურზე უსულო გვამს ფეხსა წაკვარი და ზედ წავაწედი. სელად ასანთს გაკვარი და სინათლის შუქზე აშკარად გაკარნიე ლეიტენანტის კაცი, რომელიც თავ-გაპობილი და გულში დაკოდილი სისსლის მორეეში სტურავდა. იმას თავი მიკანებე და ოთახში შეკვარდი, იქ პირში სელსასოც-დაცობილი ლეიტენანტი დე — რის გვამი დამხვდა.

ოთხი ჩვენი ჟარის კაციც სოფელში მოეკლათ. სუთ საათზე გამოძიება უკვე გავათავეთ. გამოძიებას დაესწრნენ მღვდელი, მამასახ-



ღისი და რამდენიმე მოსასლე. საქმე ასე იყო თერმე: მღვდლის დისწული, ტუის დარაჯი, სხვა რამდენსამე ასალგაზდა, მარჯვე ემაწვილ კაცთან ერთად, დილით ადრე, სოფელს გარედ გასულიყო. შუადაშეწე დაბრუნებულან და ჩვენს ჯარის-კაცთ თავს დასსმინან. მაგრამ აი რა იყო ამ საქმეში საყურადღებო: გამოძიების დროს სოფლის მწვემსი წინ წამოდგა და განაცხადა: «მე განხე წუხელ მღვდელი, თვისს ძმის-წულს კარებს რომ უღებდა».

ამ სიტყვების გაგონებაზე ისეთმა ტუცსლმა, ისეთმა ყრუნტელმა დამიარა ტანში, თითქო დამნაშავე მე ვუოფილიყავ და სამართლის წინაშე მე უნდა მეგო ვასუსი.

— მართალია, თუ არა, რასაც ეს მწვემსი აზრობს? — შეკვივირე მე.

— მართალია — მომიგო იმან. მაგრამ კარები გავაღე მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი დისწული გალაკან გარედ სიცივით არ მომკვდარიყო. მერწმუნეთ, მხედველობაში სხვა არავითარი აზრი არ მქონია, რადგან მე მკათი განზრახვა სრულიადც არ ვიცოდი.

მე ვერწმუნე, დავიჯერე მღვდლის სიტყვები, მაგრამ განა ეს საკმარისი იყო? წინაღუე ვიცოდი, რა შედეგი მოჰქვებოდა მღვდლის გულ-წრფელ აღსარებას...

გამოძიების შემდეგ ჯარის უფროსს კაცობით საქმის ვითარება, რომლისგანაც საღამოს ცხრა საათზე შემდეგი ბრძანება მოგვივიდა: «სოფელს სასჯელის ნიშნად ტუცსლი წაუგადეთ, მღვდელი კიდე თავისს საკუთარ სასლის წინ ჩამოასრჩეთ, რადგან მოისურვას მტრის და იმის მიერ ჩვენ საწინააღმდეგოდ განზრახულ საქმის სელის შეწყობა».

«ჩამოასრჩეთ»-ის გაგონებაზე ტუცსლმა და ყრუნტელმა სელასლა დამიარა ტანში.

— ნუ თუ შესარულეთ ბრძანება და ჩამოასრჩეთ მოხუცებული 70 წლის მღვდელი? — დადონებულის კილოთი კვითხე მე.

— რასაკვირველია, ჩამოასრჩეთ! — განაგრძო ისევ. — მხოლოდ ჯერ ჯარის უფროსთან კაცი ვაფრინე და ჩემის მსრით ვსთხოვდი, რათა მოხუცისთვის სასჯელი ემატიკებინა და, თუ ეს შეუძლებელი იყო, შეემსუბუქებინა მაინც.

სახქაროდ მივიღე შენდები ზასუნის: «შემსუბუქება, მით უმეტეს ზატება, ყოვლად შეუძლებელია».

გუფიტებით ჩემს სასოწარკვეთილებას, ჩემს ზიზღს ქვეყნისადმი, კაცობრიობისადმი საზღვარი არ ჰქონდა! გვრძობდი, ვიცოდი, სუფითა და გუფით დარწმუნებული ვიყავ, რომ მღვდელი უდანაშაულო იყო; გარდა კაცთ-მოყვარეობისა აჩვიითარი აზრი არ ჰქონდა, კარებს რომ აღებდა. დიად! უნდა დასჯილიყო ის კაცი, რომელსაც თავის სიტყვასლეში ცოდვა არ ჩაუდენია, რომელსაც მთელი თავისი დღენი მოძმეთ სიყვარულსა და დასმარებაში გაეტარებინა! აი ამისთანა ღვთის-კაცი უნდა სამარცხვინოდ, საქვეყნოდ თოკით ჩამოგვეხრჩო და ეს გარემოება გუფს მიწუდავდა, სისხლს მიმღვრევდა და სიკვდილის გზაზე მიწვევდა. დავაპირე ვიდრე ჩემის თავის მოკვლა, მხოლოდ ნათესაეების მოკონება შემაჩერა!..

ოჰ, ღმერთო! «განათლება, მოკვლეობა, უმაღლესი მისწრაფება!» ასეთის გაცვეთილის სიტყვებით სურთ ჩააფუჩონ ის აუარებელი სისხლი, ვაება, მართალთა და ოფლის მღვრელ მუშაკთა აწიოკება, რაიცა პირდაპირი შედეგია ომისა!!! ნება მიბოძეთ აქ გაკათავო ჩემი ამზავი!.. ბოლოს ძალზე აღეგებულმა X-ნმა წამოიძინა:

— არა, არ შეიძლება, მე მსურს ბოლო შეეტიყო—თითქმის კვდრებით შევევირე მე,—აასრულეთ განაჩენი?

— რასაკვირველია, ავასრულეთ. ომში გულ-ჩვილობა არ შეიძლება. მე მივეცი ჯარის კაცთ ბრძანება, თვით მე წავუგეთ მონურს განაჩენი, დაუშალე მხოლოდ ის, თუ რა კვარის სიკვდილით დაგსჯიდი იმ საწყაღს.

— მე კვლოდი მაგას და მზადაც ვარ,—წყნარად და მორბილებით წარმოითქვა იმან.

მაგრამ, როდესაც სოფლის დაწვის ბრძანება მივეცი, მონურსმა სასარლად შეჭვივდა. «როგორ, დასწვან უკვლა ის, რაც ჩემთვის სათაყვასებელია, წმიდა-წმიდათა? განადგურონ ჩემი საყვარელი მრეული, ეკლესია, საკვადყოფო, სადაც, ვინ იცის, რამდენი აკადმუფისთვის მიღვლიაგინა, რამდენი მოძირჩენია!» ენა ჩაუკარდა. ვინ

იცის, იქნება საწყლას ამ დროს თავისი საეკარელი, ამიერიდან უზატრონოდ დატოვებული ჩიტუნიები მოაგონდა და ამ უკანასკნელმა ვარამმა ჩაწვეუტინს სიტყვა! არ ვიცი; მხოლოდ იმის კვილმა, მრავალ-მეტყველმა სასკმ მეტ გული დამიკოდა და აზრი განმიფანტა.

«თოკი»-ს გაგონებაზე—ესლაც თვალ-წინ მიდგა—მოსუცმა ჩემს წინაშე მუსლი ჩაიკვცა და სელებ-აზერობილი წმინდანის სასით, ანგელურებრივის კილოთი, შემომეკედრა: «ნუ, ნუ, თქვენი ჭირიმეთ, ნუ მიზამთ მაგისტანსა საქმეს! გეკედრებით, გესვეწებით. ოღონდ კი «თოკს», სამარცხვანო «თოკს» ნუ დამნასკებთ და ტყვიით რაც გინდა ის მიყავით: დამხვრიტეთ, ლუკმა-ლუკმა მაქციეთ!» მაგრამ ბედი მწარედ დასცინოდა.

ესლაც ნათლად ვხედავ, როგორც გადაცკეს თოკი კისერზე და ბოძთან მიათრიეს. აქ შეკრებულმა ცრემლებმა თვალთ დამიბნულეს და, მადლობა ღმერთს, რომ უკანასკნელის საზარელის სურათის მოწამე მანისც არ გავხდი.

ცოტა ხანს შემდეგ გულმა არ მომიტოინა და მოსუცის გვამს ისევე შეესხა. იმისი ჩაქინდრული თავი, შავი, გბელი ანაფორა მოჩვენებას მოგაგონებდათ. თითქოს რაღაც ჩამწყდა, ისე მეწყინა ამ მოჩვენების დანასკა და, ვინ იცის, იქნება მეტის ადელეკებისაგან გული წამსკლოდა, რომ სხვა დიდს საცლოდაობს არ გამოკერკვიე. სოფელი ცუცსლისაგან წითლად შეიღება... ცუცსლი საკვირკულის სისწრაფით ანადგურებდა სარჩოს, სიმდიდრეს, საეკარელს საგნებს უბედურ მოსასლეათა, რომელთაც თავიანთ სიცოცხლეში მტრობა არავისთვის გაუწკვიათ... წივილი, კივილი, ბაღღების ჩხვილი, დიდების მოთქმა-გოდება არე-მარეს საცლოდაობით ავსებდა. რამდენიმე საათიც და გუშინ სიცოცხლით სავსე, ადუკავებული სოფელი, დღეს ნაცრად იქცა...

წამოკედით იქიდან, თავშორდით იმ არე-მარეს, მაგრამ მღვდლის საცლოდავი, აცრემლებული თვალები, ჩემს თვალებს დღესაც არა შორდება და მცხოვრებთა ტანჯულ გულიდან აღმოჩანსეთქი გმინვა-გოდება დღესაც უჩრებში მიდგია...

უკლაფერს დაივიწყებს კაცი, მაგრამ უკანასკნელს უსხედვას  
იმ კაცისას, რომელსაც შენ სიტყვსლე მოუსზე და წივილ-გივილს  
იმათსას, ვისაც, სრულიად უდანაშაულოდ, წართვი ვიქვას, რაც  
ჭკუუნაზე გახნიათ—არასოდეს!...

იღო

# ს ბ რ ა ლ მ მ მ მ

ამბავი

## ზახერ-მაზოხისა

საშინელი ღამე იყო. შუა გზაში ვიყავით გაჩერებული თავსხმა წვიმაში და არ ვიცოდით რა რიგათ გვეშველა თავისთვის. წამის-წამ ელავდა და ქუხილი გრიალებდა. ცხენები აღარ იძვროდნენ, თუმცა მეეტლე მეტად ერეკებოდა.

ჩემს სოფლამდის კიდევ დიდი გზა იყო და ამისთანა ღამეში იქამდის მიხწევა არას გზით არ შეიძლებოდა. ერთი საშვალემა-ღა დაგვჩა: უნდა შეგვეხვია მახლობელს ფირლიეკაში, რომელიც გზიდან მცირე მანძილზე მდებარეობს.

ფირლიეკაში ბინის შოვნა საძნელო იყო. იქ არის სასახლე ზემბრატოვიჩისა, რომელიც ცნობილია მთელს იმ მხარეში, როგორც შემლილი, მუდამ-ყამს შემწყვედელი თავის დარბაზში ორის იმისავით მოხუცებულის მსახურით. ზემბრატოვიჩი სცხოვრებს განმარტოვებით და არავის, სრულებით არავის არ იღებს თავის დარბაზში. მაგრამ—ამისთანა ღამეში!—ვინ ეტყვის უარს შევრდომისას დაღლილს მგზავრებს, ამ საშინელს დროს!

ჩვენ გადავუხვიეთ გზას და მალე მივადექით მაღალს ქვის გალავანს, რომელსაც დაფანჯრული ჭიშკრები ჰქონდა. ჩემმა მეეტლემ დაურაკუნა. არავითარი პასუხი არ მოგვეცეს. მაშინ განწირულების ხმით მოჰყვა ყვირილს: „გვიშველეთ, გვიშველეთ“.

გავიდა ცოტა ხანი და გამოჩნდა მაღალი, გაქადარავებული მოხუცი.

— ვინ იძახის? — იკითხა მან.

მეტლემ აუხსნა ყოველივე გარემოება.

— გვიშველეთ — დასძინა მან, — გაგვათევინეთ ღამე.

— ეგ შეუძლებელია!

— მხოლოდ გათენებამდის, გათენებისას წავალთ.

— ბატონი არ გვაძლევს ნებას.

— მაშ გარდაეცით ჩვენი თხოვნა. ასეთს ღამეში ადვილად დაიღუპება კაცი, — და მაშინ თქვენ იქნებით დამნაშავენი.

— დამიცადეთ, — წაიღუღლულა მოხუცმა და გაგვშორდა.

წვიმამ ცოტათი იკლო; მაგრამ ქუხილი მაინც გრიალებდა და ქარიც საზარლად დაზუზუნობდა ასს წლოვან მუხის ფოთლებში.

გავიდა კიდევ მცირე ხანი და წინანდელი მოხუცი ხელახლად გამოჩნდა ჭიშკრებთან. ერთი სიტყვაც არ უთქვამს, ჭიშკრები გააღო და შეგვიშეა. ჩემი ეტლი ეზოში შესრიალდა და ზედ კარებთან გაჩერდით.

მოხუცი მსახური, რომელსაც ვერცხლის შანდალი ეჭირა ხელში, გამიძღვა მაღალს კიბეზედ. ტალანი გავიარეთ, რომელიც მორთული იყო სურათებით და ჩემთვის დამზადებულს ოთახში შემიყვანა. მე მხოლოდ იქ შევაჩინე მოხუცს, რომ რაღაც თავისებური. ლივრეა ეცვა და ყელზე თეთრი ყელ-სახვევი ჰქონდა გაკეთებული. მან წყნარად დამიგო ქვეშაგები და გამშორდა. მე მარტოდ დავრჩი.

მაგრამ ტანთ გახდა და ფანჯრის გაღებაც ვერ მოვასწარი, — ოთახში მეტად ცხელოდა, — რომ კარებზე წყნარად მომირაკუნეს. წინანდელი მსახური შემოვიდა, კარებთან გაჩერდა და ღიმილით მითხრა:

— ბატონი გთხოვთ მობძანდეთ და მასთან ერთად ვახშამი მიირთვათ.

— ეგ ძალიან კეთილი, — შევნიშნე მე, — მაგრამ სრულებით არა მსურს კი რომ შევაფიწროვო შენი ბატონი.

— თუ თვითონ გეპატიჟებათ, იმ შემთხვევაში თამამად შეგიძლიათ ეწვიოთ, — მიპასუხა მოხუცმა; — მხოლოდ... — ფრთხი-

ლად მიმოიხედა და წყნარის ხმით განაგრძო:—ნუ გაიკვირვებთ, რაც მინახოთ და არც რამე ჰკითხოთ.

— კარგია, რომ ეგენი წინ და წინვე გამაგებინე.

— ეგ ჩემი მოვალეობაა; მაინცა და მაინც ჩემი ბატონი ძალიან კეთილია და ადვილად მიუხედედებით ხასიათებს.

ჩვენ ძირს ჩავედით, მრავალი მშვენივრად მორთული ოთახი გავიარეთ; წინ მსახური მიდიოდა სანათით და მე იმას მივსდევდი. ბოლოს ერთ აბრეშუმის ფარდასთან შეჩერდა; გადახსნა და გამიშვა მე წინ.

ოთახი, რომელშიაც მე შეველ; ოთხ-კუთხიანი იყო. შუაზე ნოხი ეგო და ზედ სამწერლო სტოლი იდგა, რომელზედაც ბლომად ელაგა წიგნები, რუქები, ქალაღებნი. ერთად-ერთს სამკაულს სტოლისას წარმოადგენდა მაღალი ჯვარცმა—ქრისტე სპილოს ძვლისა შავის ხის ჯვარზე იყო გაკრული. სამწერლო სტოლის წინ იდგა ტყავის სავარძელი, რომელშიაც იჯდა მოხუცი ჩემკენ ზურგ-შემოქცევი; დახრილი იყო და რაღაცას სწერდა.

ოთახში რალაც დიადი სიჩუვე სუფევდა. მე თითქოს ვერ გამებედნა უეცრად დამერღვია ეს მყუდროება; ერთ ალაგს გავჩერდი და ოთახს ვათვალიერებდი. მთელს კედლებს ფარავდა განჯინები, სულ ავსებული წიგნებით და მრავალ ბუზებ-პეპელების კოლექციებით; განჯინების ზემოთ შემოწყობილი იყო სხვა-და-სხვა მხეცთა და ფრინველთა საფთხობელები. ფანჯარაზე ჭოგრიტი იდგა. ჩემს პირდაპირ ეკიდა ორი დიდრონი სურათი: ახალგაზდა ქალისა და მშვენიერის ბავშვისა; განსაკუთრებით მშვენიერი იყო ეს უკანასკნელი; თითქოს ცოცხალიაო, სურათის ჩარჩოებიდან გამოხტომას აგერ-აგერ აპირებდა.

რამდენსამე ხანს დავრჩი ასრე უძრავად. უეცრივ მოხუცმა კალამი გააგდო და მოიხედა.

— უკაცრავად, მგონი დაგიწაღეთ,—დავიწყე მე.

— ო, სრულებითაც არა!—მომიგო მან; წამოდგა და მომესალმა,—კეთილი იყოს თქვენი მობრძანება.

ხელი მომაწოდა და დაჯდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა მე დავჯექი სელის სავარძელზე სამწერლო სტოლთან.

ბატონი ზემბრატოვიჩი ძალიან საინტერესო აღამიანი იყო. მაღალს, ცოტათი სიბერით მოხრილს ტანზე გათეთრებული თავი მეტად შვენოდა, თითქოს მოვერცხლილიაო. მეტყველ სახის ნაქვთებს მოყვითანო ფერი ედვა და ეგერ აგერ დანაოკება ეტყობოდა. შიშხიდველ-სასიამოვნო სახეზედ რაღაც იღუმალი სევდა ეხატებოდა და ღრმად ჩამჯდარი შავი თვალები ხან აღინთებოდა დაფარულის ვნებით და ხან სასიამოვნოდ ბრწყინავდა, აღვსებული ჭეშმარიტის სიკეთით. მაღალი, ლამაზი შუბლი ამტკიცებდა აზრების ცოცხალ, თავისებურს მოძრაობას. გრძელი, გათეთრებული უღვაშები შნოს ჰმატებდა სახის მოყვანილობას. მთელი ფიგურა ბ-ნ ზემბრატოვიჩისა კი რაღაც ახირებულ შეწუხების განხორცილება იყო. მისი ლამაზი ხელები მუდამ შეუსვენებელი იყო, თითქოს საქმეს დაეძებნო, ხან ქაღალდს და კალამს ეთამაშებოდა და ხან სავარძელის თუთფრის ღილებსა შინჯავდა.

— როგორ გაჰბედეთ ასეთს საშინელს ტაროსში მგზავრობა, — მითხრა მან: — დილიდანვე ხომ საოცრად მოღრუბლული იყო ცა. რაღაც საშინელება იყო, — მე ასეთის სეტყვის მომსწრე არა ვარ, თუმცა გვარიან დიდი ხანია რაც აქა ვსცხოვრობ. მაგრამ მაღლობა ღმერთს: მგონი იღარებს, — ხვალ საუცხოვო დღე უნდა გამოვიდეს.

მან გაღებულს ფანჯარაში გაიხედა. ქუხილი სადღაც შორს, მიყრუებით ზუზუნებდა; წვიმის წვეთები აქა-იქ კიდევ ვარღებოდა, მაგრამ ცაზე რამდენიმე ვარსკვლავი უკვე გამოჩნდა. ოთახში სასიამოვნო სუნის შემოიქრა.

— დიად, მე თქვენ მეტად დამაეალეთ — ვუთხარი მე — ფირლიევკა ჩვენთვის სწორედ ის იყო, რაც მეზღვაურთათვის ნავთსადგური გრიგალის დროს.

— არა ღირს მაღლობად! მით უმეტეს, რომ სხვა ბინას ვერ იშოვიდით ამ მხარეში. ეს ადგილი მეტად გავერანებულია და მგზავრი იშვიათად მოხვდება ხოლმე. ჩვენ აქ მეუღლებნოვესავეთ ვსცხოვრებთ.

— თქვენ კი არა გრძნობთ თავს ამ უღაბნოში განმარტოვებულად?



— სრულებითაც არა! ჩვენ გვესაჭიროება კაცი მხოლოდ მაშინ, როდესაც თავში აზროვნობის ძალა აღარ გვექნება, ან როცა გულში სიცარიელესა და უკმაყოფილებას ვგრძნობთ. ამ შემთხვევაში აღამიანი გართობას ცდილობს, რომ დავიწყებას მიეცეს. მაგრამ თუ კი ჩვენთან ახლობელი არსება არის, თუ ჩვენ ერთმანეთს თანავეუგრძნობთ, მაშინ ჩვენთვის სამოთხის კარი ღიაა და ყველაზედ უფრო ბედნიერად ჩვენ ორნი ვიცხოვრებთ.

— მე კი მეგონა, რომ თქვენ აქ სულ მარტოდ სცხოვრებდით.

— მარტოდ?...

მოხუცმა გაკვირვებულის თვალებით შემომხედა, თითქოს აზრების მოკრება სურსო. — მართალია, მე ცოლი დავკარგე ძალიან ადრე, მაგრამ ამის ატანა შევიძელე. განსაცდელი ღონეს გემატებს. მე დამრჩა მხოლოდ ვაჟი, ჩემი გერმოგენი, — მე მეტი არაფერი მსურს. აი მისი სურათი.

— მშვენიერი ბავშია.

— და თან კეთილიც. რა რიგად ვუყვარვარ! სწორედ ვერ გამიგია, თუ რითი დავიმსახურე ასეთი სიყვარული. სამაგიეროდ, მეც მეტად მიყვარს. იცით, როცა მე ჩემს ქოგრიტს ვუზივარ, ის ყოველთვის ჩემ გვერდით არის; იქ, იმ სტოლის მახლობლად, თავისთვის ზის და სწერს ან კითხულობს ხოლმე რომელსამე თხზულებას; ხან ხმაღს შემოირტყამს, მუზარადს დაიხურავს და ხმაღს ჰაერში აფრიალებს; ხან კი აი, იმ გორაკაზე თამაშობს, — მაგრამ ყველა ამებს საოცარის სიწყნარით და ჩუმის მხიარულებით აჰყვება ხოლმე... ვერ გაიგონებთ ხმაურობას, გინდ იჯდეს და გინდ ჩემთან მოდიოდეს, რომ თვისი ჰაწაწინა ხელები ყელზე მომხვიოს. — ხანდისხან გასაკვირველს რასმე მკითხავს ხოლმე! სწორედ პასუხიც კი გამიჭირდება ზოგჯერ, გარწმუნებთ. ის განძი, რომელიც მის გულში არის, ყოველს კაცს დაამშვენებდა: გულ-კეთილობა და ქვეშაირტებისადმი მოსწრაფება! მაგრამ არ იფიქროთ კი, რომ ის ავადმყოფ სუსტ-ბავშვთაგანი იყოს — არა. — ღვთით, მაგარი და მრთელი ბავშია. ხანდისხან საოცარის მხიარულებით

და გულით იცინის ხოლმე... ჩვენ ხშირად ერთად ცხენებით ვსეირნობთ და სანადიროთაც დაყვები, რამდენიც შემიძლია; თავისი პატარა ბალიცა აქვს, სადაც მუშაობს. ზამთრობით კი მე და ის ბუხრის წინ ვზივართ და ამბებს ვეუბნები;—იმ ამბებით, რომელიც იმას მეტად უყვარს, ვცდილობ გავაძრიელო მისი გულ-კეთილობა და სიყვარული ყოველის კარგისადმი; ამავს ისრე ვახერხებ, რომ ის მიმხედარიც არ არის... ო, თქვენც შეიყვარებთ, ღარწმუნებულნი ვარ!...

უეცრივ ფარდა გადისხნა და მსახური შემოვიდა (ისევე ის, რომელმაც მე აქ მომაცილა) და მოახსენა, რომ ვახშამი მზად არისო. ჩვენ ერთ მომცრო ოთახში შევედით, რომლის კედლები მორთული იყო სხვა-და-სხვა ხილვეულობის და პირუტყვების სურათებით. მასპინძლის პირდაპირ დაეჯექი და მხოლოდ ეხლა შევამჩნიე, რომ სუფრა სამის კაცისთვის იყო გამზადებული.

— მოახსენე ახალგაზდა ბატონს, რომ ჩვენ სუფრაზე დავსხედით?—ჰკითხა ზემბრატოვიჩმა.

— დიად, ბატონო,—უპასუხა მსახურმა,—მაღე გაახლებათ.

ზემბრატოვიჩმა თვალეზე ხელი მიიფარა. მე გაფაციცებით კარებს მივჩერებოდი, მაგრამ არავინ ჩნდა. უეცრივ ზემბრატოვიჩმა ამოიოხრა, გაიშართა წელში და წყნარის ხმით სთქვა: „შენ კიდევ მოხვედი“—და ხელსახოცი აიღო.

პასუხი არავინ არ გასცა.

— დღითი დღე მაკლდება თვალთა,—სთქვა მან, თითქოს თავის-თავს ელაპარაკებოდა;—ჩემს ცხოვრებაში ერთობ ბევრი მიკითხავს და თვალეზემაც ამიტომ მისუსტა.

— ახალგაზდა ბატონი უკვე აქ არის,—მოახსენა მსახურმა და ცარიელ სკამზე მიუთითა.

მე, ცოტა არ იყოს, შიშმა ამიტანა.

— მაშ, ეს არის ჩემი გერმოგენი,—სთქვა მან.— ამ ბატონმა ჩვენთან გამოიარა ცუდის ტაროსის მიზეზით. სატახტო ქალაქიდან მოდის და შეუძლია ბევრი ამბები გითხრას. მაშ მიეცი ხელი.

რას ნიშნავს ეს? მართლა გიყია ეს მოხუცი? მისი მსახური? ნუ თუ ასეთს მონაწილეობას იღებს ბატონის უბედურებაში? თუ ისიც შეშლილია?

ზემბრატოვიჩმა მიაწოდა და დაუსხა თავის შვილს ნახევარ-სტაქანი ღვინო. ჭამის დროს ხან იმას ემუსაიფებოდა, ხან მე! ხანდისხან მოხუცი მსახურიც გამოეოლაპარაკებოდა ხოლმე უჩინარს ბავშვსა.

როდესაც ჩვენ ვახშმის შემდეგ კაბინეტში დავბრუნდით, მოხუცმა იქ მოიხმო თავისი ვაჟი. ზემბრატოვიჩი ბუხართან დაჯდა და მსახურმა სკამი მიუახლოვა.

— მოდი, შვილო, ჩემთან დაჯექი, — ჩურჩულებდა მოხუცი და აღერსით შეჰყურებდა შვილს, რომელიც არ არსებობდა.

— თქვენ ნუ კი იფიქრებთ, რომ მე მაგას შეტად ვანეზივრებდე, — სთქვა მან სიცილით, როდესაც მე მსახურმა სიგარები მომაწოდა და იმას დატენილი ჩიბუხი, — სრულებითაც არა! კიდევაც მკაცრი ვარ, როცა საჭიროა! მაგრამ ეს იშვიათი შემთხვევაა: ეგ ხომ საუცხოვო რამ არის!

მოხუცი მსახური გავიდა. ერთ ხანს სრული სიჩუმე სუფევდა ლამაზად მორთულს ოთახში.

— იმედი მაქვს, რომ არ გამიჯავრდებით, — დაიწყო ისევ მოხუცმა და მე მომმართა, — მაგრამ ეს ასრეა დაჩვეული, რომ დანებებამდის უთუოდ რამე უნდა ვუამბო ხოლმე. დიდ ხანს არ დაგჭირდებათ ლოდინი.

— დიდად კმაყოფილი ვიქმნები, თუ ჩემის აქ ყოფნით თქვენ არ შევიწროვდებით.

— მაშ ყური დამიგდე, შვილო...

მოხუცმა თავი უკან გადიწია, თვალები ცარიელ სივრცეს მიაპყრო და მოჰყვა.

„სცხოვრობდა ქვეყანაზე ერთი ძლიერი მეფე. მისი სამეფო ვრცელი იყო, ურიცხვი ხალხი ჰყავდა და კეთილი ცოლი, მაგრამ თავს მაინც ბედნიერად არ სთვლიდა. ამის მიზეზი უძეობა იყო. მისი კაემანი დღითი-დღე იზრდებოდა და სამეფო საქმეების მართვაში ხელს უშლიდა. ბევრს გამოცდილს კაცსა

და ქალს ჰკითხავდა დედოფალი და მეფე რჩევასა, მაგრამ ამა-  
ოდ; ვერაფერს შევლოდნენ. ერთხელ მეფე ნადირობის დროს  
ერთ პატარა ეკლესიას მიაღგა, რომლის მახლობლად ვილაც  
განდგილს ქოხი აეშენებინა.—შედი ეკლესიაში, —უთხრა წმი-  
ნდა კაცმა, —და შეევედრე უფალს; ყველას, ვინც კი ილოცავს  
ამ საყდარში, შეუსრულდება გულის წადილი, მაგრამ მხო-  
ლოდ ერთხელ მთელს სიცოცხლეში. ამისთვის მოიფიქრე, რაც  
უფრო გჭირია.

მეფე დაფიქრდა, საყდარში შევიდა, პირქვე დაემხო და  
ლოცვას მოჰყვა:

„ყოვლის შემძლებელო! — ასე ლოცულობდა, — ისმინე  
ვედრება ჩემი და მომეც მე ვაჟი; თუ გინდ დროებით, ცოტა  
ხნით. როცა ისურვებ, შენვე წაიყვანე, ოღონდ ეხლა კი მო-  
მეცი შეილი, ყოვლად მოწყალეო“.

მაშინ ღმერთმა გაგზავნა ერთი თავისი ანგელოზთაგანი და  
დედოფალს აკვანში ჩაუწვინა. სასახლეში დიდი დღესასწაული  
იყო და ხალხში მხიარულება, რადგანაც მეფეს მემკვიდრე მიეცა.

ბავშვი მშვენიერი იყო, ვით ღვთის ანგელოზი, —კეთილი  
და ჭკვიანი; გაიზარდა და ყოველის კაცის საყვარელი შეი-  
ქნა. ეხლა მეფე სრული ბედნიერი იყო და თან მთელი სამე-  
ფოც და ხალხიცა.

მაგრამ, როდესაც გავიდა ათი წელი, ანგელოზმა თავისი  
ბრწყინვალე ფრთები გაშალა და ცაში გაფრინდა, საიდანაც ჩა-  
მოსულიყო ამ ქვეყნად.

მეფე ჩავარდა ღრმა მწუხარებაში. ხალხსაც კი მწარედ  
დაეტყო მეფის მდგომარეობა. მაშინ ერთ ღამეს მეფესთან მო-  
ფრინდა მემკვიდრე მისი, გახეყული ციურს სხივებში და უთხრა:  
„ნუ სტირი, მამილო, მე ყოველთვის შენთან ვიქნები: დღეც,  
ღამეც, მუდამ ჟამს, თუმცა შენ კი ვერ დამინახავ ჩვეულებრივის  
აღამიანის თვალებით“... შემდეგ ამისა მეფის გულმა სიმშვიდე  
ჰპოვა და განისვენა. სადაც უნდა ყოფილიყო, ყოველთვის  
ჰგრძნობდა სიახლოვეს თავის შეილისას, —და ასრე ამგვარად,  
ბრძნულად, მშვიდად და წყნარად ჰმართავდა სამეფოს სიკვდილის  
დღემდე“.

მოხუცმა ფანჯრისკენ გაიხედა; თვალეში ცრემლი უბრწყინავდა. გარედ ბუნება დაწყნარებულიყო და ცას მოეწმინდა; ურიცხვი ვარსკვლავები კაშკაშებდა; ფანჯრიდან ნიავს შემოჰქონდა ზაფხულის ღამის მშვენიერი სურნელება.

მოხუცს თითქოს დაავიწყდაო ჩემი იქ ყოფნა, ნაზად დასწვდა ყმაწვილს, რომელსაც მახლობლად ჰგონებდა და სიყვარულისა და აღერსის სიტყვებს ჩასჩურჩულებდა; შემდეგ ღამე მშვიდობისა უსურვა, აღტაცებით დაუკრა თავი და თვალეში მახლობელ ოთახის კარებამდის გააყოლა. უეცრად, თითქოს გამოეღვიძაო, მე შემამჩნია და ბოდიშს მოჰყვა. „კიდევ ერთი წამით ნება მომეცით, რომ მოგშორდეთ,—დაუმატა მან,—და შემდეგ სულ მზა ვიქნები თქვენ და სამსახურისათვის“.

მან ფრთხილად აიღო სტოლიდან სანთელი და ნელის ნაბიჯით გავიდა მახლობელს ოთახში, სადაც ორი ლოგინი ეგო. თავის საწოლთან, მრგვალს სტოლზე, რომელზედაც წიგნები ელაგა, შანდალი დადგა, თითონ ჩუმად მეორე პაწაწა ლოგინს მიუახლოვდა და ფარდა გადახსნა.

— ღამე მღვიდობისა, ჩემო შვილო, — ჩურჩულებდა ის, — ძილი ნებისა!..

როდესაც კაბინეთში დაბრუნდა, მშვიდის მხიარულებით თავი დამიქნია.

— სძინავს... მითხრა მან. უთუოდ ესიზმრება ეხლა ის პატარა კატები, რომელსაც მე შევპირდი, გიშოვნი-მეთქი. მალე მისი დაბადების დღე იქნება და ვცდილობდი ყოველი მისი იღუმალი სურვილი შემეტყუო; თვითონ ხომ მეტად მორცხვია... თავის დღეში ჩემთვის არაფერი არ უთხოვინია, თითქოს ეს ერთად ერთ ჩემს სიამოვნებას და ბედნიერებას არ შეადგენდეს, რომ მისი ესა თუ ის მცირე სურვილი შევასრულო. საშობაოდ აი ეს განჯინა ვაჩუქე, წიგნებით სავსე და ეხლა კი საათს მიიღებს. მე იმის მეტი ბედნიერება არ ვიცი.. თუ რასმე სასიამოვნოს წავიკითხავ, უთუოდ იმასაც უნდა გავუზიარე; მხოლოდ მაშინ ვგრძნობ სრულს სიამოვნებას; სეირნობის დროს, თუ სადმე ლამაზს, მომხიბვლელ ადგილს შევამჩნევ, ან ჩიტების ჭიკჭიკს

გავიგონებ... — ჩემთვის ამაზედ მეტი ნეტარება არ არსებობს, როდესაც იმას ყოველს ჩემს ნაგრძნობს გავაგებინებ. ოჰ, რა ბედნიერი ვარ! არავის არ შეუძლია იმის წარმოდგენა, რა უდიდესად ბედნიერი ვარ! რაა შექმნილი და მოპოვებული კაცის ჭკუით, რაა სახელი, დიდება, რაა ყოველი სიამოვნება ამ ქვეყნიური ბავშვის ერთ გაღვიძებასთან შედარებით!... ვრძნობ განა მე ჩემს თავს მარტოდ? ან საჭიროა ჩემთვის ხალხი? მე ის მეკუთვნის და მე — იმას, — სხვა ბედნიერება ჩვენ არა გვინდა-რა!...

მოხუცს მივსჩერებოდი და სიტყვის თქმაც ვერ მოვახერხებ. გული საზარლად დამიღონდა და ფანჯრისკენ მივიხედე, რომ ცრემლები დამემალა.

რა უწყალოა ბუნება!.. უწყალო! იმან მოსტაცა ყველაფერი, რაც კი გააჩნდა, მაგრამ მანვე ყველაფერი დაუბრუნა... სიზმრად, ტკბილ, საუცხოვო ღვთიურ სიზმრად!

შეგვიძლია უბედურ კაცად ჩავსთვალოთ?

— გვარიანი ხანი კი გასულა, მომიახლოვდა და მითხრა ზემბრატოვიჩმა. — თქვენ უთუოდ დაქანცული იქნებით დიდის მგზავრობით და სტიქიონთან ბრძოლით. დროა მოისვენოთ. ღამე მშვიდობისა.

— ღამე მშვიდობისა...

ახირებული და მძიმე ფიქრები ირეოდა ჩემს თავში, როდესაც ჩემს ოთახში შეველ. დიდხანს ვერ შევიძელი დაძინება.

მეორე დღეს ჩემს სტუმართ-მოყვარე მასპინძელს გამოვეთხოვე და წავედი.

— რა ნაირ ვნანობ, — მითხრა მან გამოთხოვების დროს, — რომ ჩემი გერმოგენი ვერ გეთხოვება. ისრე ტკბილად და სძინავს, რომ მისი გაღვიძება არ შეიძლება.

საბრალო მამა!...

კასკა ერასთავი

1895 წ.

## „ვეფხისტყაოსნის“ ხალხი ადგილები

მკითხველს ესსომება ამ თოთხმეტის წლის წინადა ბ-ნ იონა მეუნარეას თაოსნობით შემდგარი კომისია, «ვეფხისტყაოსნის» ტექსტის აღსადგენად და შესასწორებლად. საქართველოს თითქმის ყველა ცნობილმა მწერალმა და ქართულ ენას მრავალმა მცოდნემ მონაწილეობა მიიღო მასშინ კომისიის შრომაში, რომელიც დირსეულად დაგვირგვინდა ზემოხსენებულის წიგნის მდიდარულ გამოცემით, ბ-ნ გიორგი ქართველიშვილს სიფასითა.

კომისიის ხანგრძლივი და მიძიმე შრომა გამოცემილს «უქანასი იტყუაობაშია» ასეა აღნიშნული მოკლედ: «კომისიამ სხვა-და-სხვა ხელნაწერების ერთმანეთთან შედარებით რამდენიმე ბნული აზრი გამოარკვია, ძველებური მართლ-წერა შემლებისამებრ აღადგინა და ზოგიერთი ხანა, რომელიც ძველ ვარიანტებში არ იყო და აზრის მიმდინარეობას უშლიდა, ტექსტს გამოავლია». — დიდაც დიდი ღვაწლი მიუძღვას კომისიას ქართველ საზოგადოების წინაშე! მისი რუდაქნა ზირველი ცდა იყო ჩვენის საერო ნიჭიერების განმის კრიტიკის თვალთ განსიფვისა. მანამდე ყოველი სიტყვა ზოემისა ორსთველის სიტყვად გიწამდა, თუმცა სშირად შეცვლილი და შერყენილი იყო განმწერლებისგან უნებლიედ და ნებსით. ზოეტის სასსოვარისათვის უარესი შეგინება — მისი სიტყვის შეცვლა და აზრის დამხინჯება; ამიტომ ჩვენი საზოგადოება თავის უდიდესის ზოეტის თაყვანისცემას უკედ ვერ გამოაცხადებდა ვინემ მისგან აბბულის წმიდა ტაძრის გასუთავებთა. კომისიამ მოგვცა შეცდომებისგან დაწმენდილი და ნათელი ტექსტი «ვეფხისტყაოსნისა», და ამითი დაიმსახურა ჩვენი სამართადისა მადლობა.

სოლო რაც შეეხება ჩამატებულ ხანების გამოკლებას, კომისიამ, ჩემის აზრით, ვერ მიაღწია სრულიად თავის სურვილს, იმიტომ რომ არ გამოაკლო ჰოემის ტექსტს ბევრი სხვა ხანა კიდევ, რომელიც «აზრის მიმდინარეობას უშლის», და დასტოვა, — საფიქრებელია, — მხოლოდ იმიტომ რომ ძველ სელსაწერებში მოიპოვება.

რომ შეუდაროთ ერთმანეთს სურათებისა «გეგისის-ტუოასანი» და დავით ჩუბინაშვილის გამოცემა, რომელიც აქამდინ სამკალოთა გამოცემად ირიცხებოდა, აღმოსნდება, რომ კომისიამ ჰოემის ტექსტს გამოაკლო სულ თერამეტი ხანა, ჩუბინაშვილის გამოცემაში აღნიშნული შენიღბის ნუმერაციით: 190, 192, 221, 252, 258, 301, 302, 320, 336, 339, 377, 649, 765, 829, 962, 1036, 1269 და 1296; და ჩუბინაშვილის ხანა, რომელიც ჩუბინაშვილის გამოცემას აკლდა მე-1507 და მე-1508 ხანებს შუა. ამ თერამეტის ხანის ტექსტიდან გამოსაკლებად კომისიამ, — როგორც გამოცემული გვაჩვენებს, — ისმარა ორგვარი ღონისძიება, რომელიც ერთმანეთს ესმარება და ემარება: თუ რომელიმე ხანა «ძველ კარანტებში არ იყო და აზრის მიმდინარეობას უშლიდა», — შემდეგ-ღროინდელ ხანატებად ცნობილ-იყო და ტექსტიდან განდევნილია. ცხადია, ამისთანა ხანა რუსთაველს ვერ მაქვსებოდა.

ძველის ტექსტის აღსადგენად ეს დაიღაც უცლილები ღონისძიება, თუ სხვა გარემოებისა შეგვიწევს; და რომ კომისიამ მართლაც გზას დაადგა, ამას მისგან გამოკლებული ხანები გვიმარებენ: ერთი გადაკითხვაც კმარა, რომ შემოსსენებულის თერამეტის ხანის სიყალბე გამოცხადდეს. ვისაც რუსთაველის ჰოემისა გავება აქვს და გვიმარება, მაგისთანა უმსგავსო და სულელურ ლექსებს რუსთაველს ვერ მიაჩნებენ. მაგრამ კომისიისაგან სმარებული ღონისძიება, ცოტა არ იყოს, მექანიკური და სავმარისი არ არის ჰოემის ტექსტიდან შემდეგ-ღროინდელ ხანატების გამოსარჩევად. პირველი და უადრესი მნიშვნელობა ამ საქმეში კარანტების სიძველეს აქვს და მათს დედანთან სიასლოვეს. გამოცემის სიტუაციით, უძველესი სელსაწერი, რომელიც კომისიამ მოიპოვა, გადაწერილია 1646 წ. ამ ხანის კარანტი ძალიან ძველად ვერ ჩაითვლება, თუ მოვიგონებთ, რომ რუსთაველის დროდან მის გადაწერამდე თითქ-



მის სურათსა წელიწადმა განგლო. სოლო თუ ამ ვარაზის დედანთან სიასლოვის და თანსმობისა ჩვენ ანაჲთარი სახუთი არა გვაქვს, ვინდა შესილებს დაბუჯითებითა სთქვას, ვითომც იგი თაჲიდან ბოლომდის რუსთაველის დაწერილი იყოს და ანც ერთი სისკისი ჩამატებული სხანა არ მოიპოვებოდეს? თუ 1646 წლის სელსაწერის შემდეგ, ორს საუგუნის განმავლობაში, ზოემის ტექსტს თვრამეტი ფაღბი სხანა შემოკრია, სად არის სახუთი, რომ მის წინ, სურათს წელიწადში, გადაშერთ უფრო არ შეწყენეს ტექსტი სსკადანსკა ჩამატებითა?

თუმცა რუსთაველის დიდმა სასულმა და მისის ქმნილების გონიერობამ დაიცვა „ვეფხისტყაოსნის“ დაღუპვისაგან და შეიღის საუგუნის ბარბაროსობას გადაარჩინა ჩვენ დრომდე, მაგრამ ამ ბედმა ცუდი სამისხურით გაუწია. ზოემის გავრცელება ხელში და სსკილიშვილოდ გადაცემა უწინ, უსტამბობის დროს, სელსაწერების სიმრავლით თუ მოსურსდებოდა, სოლო ბუკრის გადაწერისაგან აუცილებელი იყო, რომ ტექსტს მრავალი შეცდომა არ შემოჰპაროდა. — თუთ სსკვლითა წერილი ბუკრულ შერგინალა გადაწერისაგან, და საერო ზოემის მკვასთანა სკედრი რად უნდა გვიკვირდეს? გარდა უნებლიეთის შეცდომისა, — რომელიც ესას ადუსტირებს და ახრს ხსენებებს სოლომე, — ზოემს არ იყო დაცული შეკისებისაგან რომელიც სამე ბედითის მოლექსისას ან მწიგნობრისას. ზოემის გადაკითხვის და გადაწერის დროს ეს მოლექსე ან მწიგნობარი, რასაკვირველია, გაცრებული იქნებოდა მის ზოეტურ სურათებითა, მაგრამ, გემოვნებას მოკლებული, სოგოერთი გამოსსკვა სკვამოდ ძლიერი არ ესკვნებოდა, სოგო სიტყვა მის უგრძობელ გულისათვის «გასაკმირალი» არ იქმნებოდა. და, აჲ, სამდგიელ მშენიერების ვერ-მისკვდრილმა, აილო კალამი და ზოეტის სიტყვა შესტყალა: ნახად გამოსატყული ნაჲთი მსკილად მოსასა და სადაც მჭრთალი ფურადი იყო გავრული, თვალ-სახითაროდ ააჭრელა.

სოგო მწიგნობარი ამასაც არ ემარბს. რომელიმე მცირე გარემოება აშბავის, სსკათა შორის მოსსენებული; რომელიმე ნაჲთი სრდილში განკებ მიტოვებული, სურათას პერსპექტივის დასტკვლად, მწიგნობარს თვალში არ მოსდის, ესში შედას და სავანგე-

ბო უურადლების ღირსი ჭკონია,—გამოჭკრევის, რაც უმნიშვნელაა, გასწავიადებს, გაბურჯის, მოიყვრავს ტყედა-ტყუტს სიტყვაბათა, შეთხზავს ესრედ მთელ ხანას და ტექსტში ჩაურთობს. რას დასდევს, თუ ახვარა წყარო მოთხრობისა აიძღვრა, თუ უკანა პლანი სურათისა წინა პლანზედ მოექცა და ჭარბონია დაირღვა.—მანინც იტყვის, ჩემი სჯობსო! სად იყო კრიტიკა, რომ ასეთი ყალბობა ემსილებინა? სად იყო აკადემია, მუყუემი, წიგნთსატყვი ან რაიმე დაწესებულება, რომ რელიგიურის მოწიწებით დაეცვა პოემის დედანი, ან ვის ხელთ იყო ეგ დედანი, რომ შესაძლო ყოფილიყო შირვანდელ ტექსტის აღდგენა? მოწიგნობართაგან შეტყვილი სიტყვა და ჩამატებული ხანა სხვა ხელნაწერებში დაუბრკოლებლიე გადაწერებოდა და რუსთაველის სასულით შეიძებს თაობას გადაეცემოდა, რომელიც კვლავ არხვედა ნამდვილ ტექსტში აზოკრიფიულ ჩამატებას. ესრედ შეირყვნა,—საფიქრებელია,—«ვეფხისტყაოსნის» ენა და აიძღვრამის ახვარა აზრის მიმდინარეობა, შეიღის საუკუნის განმჯგობრებაში, ოცის თაობის გარდაცემით.

მე მინდა გეტაღო და გამოკარჩიო როგორი მაგკვარი ყალბო ხანა, რომელიც,—როგორც რომედა ვსთქვი,—«ვეფხისტყაოსნის» ახალ გამოცემასაც შერჩა, და მათი სიყალბის დასამტყვიტებლად მკითხველს საბუთიც წარუდგინო.

პოემის ტექსტიდან ყალბი ხანების გამოჩნება შეუძლებელი არ არის და როგორც აღვიღიცაა. ამისათვის, შირველ, უნდა თვით პოემა გვქანდეს შეთვისებული: მისი აზრი და აზრება შეგნებული, და მისი ენა და სტილი შესწავლული. მერე, რა გონებაში ჩასახული გვექნება პოემის იდეა და მესხიერებაში—მისი სტილი, ჩავიკითხოთ რიგზე თათო ხანა და შირუთხელად და წინდასკდვით შევადაროთ ჩვენს გულში შთაბეჭდილ რუსთაველისეულს აზრსა და გამოთქმას, და ვსცნათ, ეთანხმება თუ არა წაკითხული ხანა პოეტის იდეას, უშლის თუ არა მის აზრის მიმდინარეობას, და ჭკავს თუ არა მის კილოსა?

«ვეფხისტყაოსნის» სრული და ერთიანი, დამთავრებული და შემოქმადებული თხზულებაა, ერთის ავტორისაგან შექმნილი. პოემას ასულიერებს ერთი დედა-აზრი და მისი ნაწილები ამ იდეას ექვე-

მდებარება და ერთმანეთს ჭარბონიულად აქვს შეწონილ-შეკედლინი. ამისთანა თხსულებასში რისამე ჩამატება უეჭველად ნამეტანა იქნება და მის ჭარბონის დაარღვევს, ისევე, როგორც, ვსთქვათ, ძველ-ბერძნულ სტილისამებრ აგებულ ტაძრის ჭარბონის დაუშლის გოტიურის გოშის მიკერება. გარეგანს განსხვავებას გარდა, აზოკრიფული ჩამატება ზოეტურის ღირსებითაც სამორჩება დედანს, იმიტომ რომ ყაღბის-მქნელი ყოველთვის ნაკლები ნიჭიერებისაა, ვიდრე ზოეტი, რომელსაცა ჭბამავს. თუ ყაღბის-მქნელი ნიჭიერებით ზოეტის ტოლი ყოფილიყო, ბარემ თვითონ დასწერდა თავის თხსულებას და ქურდულად სსვის სსხელით არ შემოგვეპარებოდა. რასაკვირველია, რუსთაველის ლექსს ყოველთვის ერთნაირი ზოეტური ღირსება არ აქვს, ბუკი სსან მობზობება, მეტადრე ზოემის ბოლოში, სუსტი და თხელი, — შეუძლებელია, რომ «მარგალიტი წყობილი» ერთის სიმსოსის და ერთის ფსისის იყოს, — ამიტომაც ყაღბი სსანების გამოჩნებაში ჩვენ დიდი სიფრთხილე გვიმართებს; მაგრამ ყველა რუსთაველის სსანს, სუსტი იყოს თუ ძლიერი, მჭიდრო გაკშინი აქვს სსვას ჩანებთან და მათგან რომელსამე გამოკლება, ტექსტის დაურღვევლად, არ შეიძლება; ყაღბი სსანის გამოკლებით კი ტექსტს არა თუ არ აკლდება-რა, არამედ სინათლე და ერთობა ემატება.

ერთი თვისებაცა სჭირს «გეფხის-ტყაოსნის» აზოკრიფს: მისი შინაარსი იშვიათად შეიცავს მადალს აზრს, დიდებულს ზოეტურ სურათსა, — უფრო სშირად რომელსამე მცირე სსვანს გამოკედება სოლიუ. — მცირე ჭკუას მცირე სსვანი გააკვირვებს და, რადგან ყაღბის-მქნელი მოლექსე დიდის ჭკუის პატრონი ვერ არი, «დიდსა ვერ მოკვლავს, — სულად აქვს სოცვა ნადირთა მცირეთა». მისი ჩამატება ერთობ არაფერს სსანს არ გააუწყებს, არამედ იძორებს, რაც ზოეტს უკვე ნათქვამი აქვს და, თუ სთქვას რამე თავისებური, — უთუოდ უგემური, უგანო და გადსწარბეული გამოვა. მის მოთხრობას ერთობ მოძრაობა აკლავს და, რადგან სათქმელი ბუერი რამ არა აქვს, ერთს ადგილსედ ტოკავს და ტორტმანობს; ერთს სსცოდავს აზრს რამდენჯერმე გადსთქვამს და გადმოსთქვამს. როგორც აზოკრიფი აშკარა სისუფელია, ლოდივის წესიერებას მოკლებულია და ეწინააღმდეგება ამბავს, რომელშიაც ჩამატებულია.

თავისის სტილით აზოკრიფი უფრო ადვილად გაიხსნება რუსთველის ხაწერისაგან. რუსთველისეული სტილი ბროლსაგით მჭიდრო და ნათელია; მისი მოთხრობა ახვარა წყაროსაგით მორბის, არსად არ სდგება და არა ჭკუბდება. თვით პოეტმა ცხადად გამოხატა თავისი აზრი სტილის შესახებ: «გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის. — შაირა ამაღ კარგი» (მე-19 ხანა), და «ხეივანი მათი ცა გვიამბობს, რაცა ოდენ სთქვან ნათელად» (მე-24 ხანა). ვალტერმა სთქვა: «რაც ნათელი არ არის, — არც ფრანგულია». რუსთაველს რომ ეკ სიტყვა გაეგონა, — «ქართულად დაცეკრება», შესძახებდა.

მიდროება და სინათლე — აი რუსთაველის სტილის განხილვა. დაწმუქებით ითქმის, რომ, — სხვა განსხვავების გარდა, — თუ «ვეფხისტყაოსანში» რომელიმე ხანა მეტად გაშტრეულეული და გაფრთხილებული, მადდატანებული და სერსიანი, დუნე და მქრთალი შეგვსვდა, რუსთაველის კალამს არ ეკუთნის. თვით მასთანაც, რადესაც რომელიმე ხანა თავისის აზრით და პოეტურის ღირსებით მადლა სდგას, ხოლო სტილი სხენებულ განხილვას არ ეთანხმება, მიუხედავად შეგვიძინა ვსთქვან, რომ ეკ ხანა აზოკრიფულია: ყაღბის-მქნელი მოლექსე სტილის სიმარტივეს და ზომიერებას ერთდება, იმიტომ რომ ეკ სიტყვის სიღარბი და პოეზიის სისურტი ჭკონია. მას «არ მალ-უმს სრულ-ქმნა სიტყვათა გულისა გასაგმირეთა», და თავისის აზრის სიმტკიცე «ჩაგლის სიტყვაობით უნდა დაჭყაროს; ჭკუას მადლს ატანს, რომ ღრმა და ძვირად სმარებული სიტყვები მოგონოს და პოეტური შედარებათა გადასტაროს; თავისის ცრუ-სწავლულობით და ამაო-ბრძნობით თავი მოაქვს და ფილოსოფოსებს ტუფილად და უადგილოდ იხსენიებს; მხელი რიფთა, — მეტადრე თუ ვიმაღ გამოდის, — მისი შეება-ლხენა, და ამისთანა ღრხისძიებით ცდილობს თავისის აზრისა და პოეზიის სიგლასავე შეაკოს. მაგრამ ყაღბის-მქნელს ზოგჯერ ეკ ღრხისძიებაც გერა ჭკუელის, სშირად მის ნიჭიერებას იმდენი მადლაც არა აქვს, რომ ბოლო გაატანოს ერთს ხანაში და, რა ეკლარა ჭკვდება ქართულსა, უწუებს ლექსი «ვირობას», მიაკერებს მეოთხე ლექსს, ერთს რასმე უგვანსა და უშინოს, რომელიც არაფერში არ შეესაბამება მისსავე ნათქვამსა.

ასლად, რა გაცნობე მკითხველს, რა ღრხისძიებითაც მინდა გამოვარჩიო «ვეფხისტყაოსნის» ტექსტიდან ზოგჯერთი ხამატებული ყაღბი ხანა, შეუდგეთ მათს დაწვრილებულს განხილვას.

I

უკანასკნელ დროს გამოითქვა აზრი, ვითომც «ვეფხისტყაოსნის» წინასიტყვაობა რუსთაველის დაწერილი არ იყოს, მაგრამ ეს წინადადება ჯერ ანაკითარ ისტორიულ მოწმობაზედ არ არის დამყარებული. არც ჩვენი მატიახე, არც სხვა რომელიმე ისტორიული ნაშთი არ გააძლეეს ცნობას რუსთაველის ცნობები-სას, ან მის შოკის დასაბამისას. ასე რომ შოკის ბიოგრაფიის და «ვეფხისტყაოსნის» ვინაობის და სადაობის გამოსკველვად იძულებული ვართ ერთად-ერთს წყაროს, თვითონ «ვეფხისტყაოსნის» მიმდართოთ და ჯერ-ჯერობით მისი მოწმობა ვიკვიროთ. რა-გვარი ჭიპოტყის ანუ სჯეგებია აზრიც უნდა მოვიგონოთ შოკისა და მის ავტორზე, ჩვენის მოსაზრების მასალად ისევე «ვეფხისტყაოსნიდან» ამოკეთებული ცნობანი იქნება და ჩვენი დასკვნა—მხოლოდ ტკუით მისკდომა.

რაც შეეხება ზემოხსენებულ ჭიპოტყის, მის დასამტკიცებლად ერთი საბუთია მხოლოდ წარმოდგენილი: «წინასიტყვაობის» ენისა და თვით შოკის ენის განსხვავება. ხოლო ამ წინადადების გამომტკივლთ ჯერ არ უჩვენებიათ, რაში მდგომარეობს ეგ ენის განსხვავება, რომელი გრამატიკული ან სინტაქსიური ფორმა «წინასიტყვაობისა» არ ეთანხმება შოკის ტექსტში ნასმარებ ფორმებს; რომელი შოკური შედარება ან აზრი არა ჭკავს რუსთაველისეულს. რასაკვირველია, «წინასიტყვაობის» და შოკის ენას შუა არის განსხვავება, მაგრამ მათის ენის სხვა-და-სხვაობა იმისაგან არ წარმოდგება, რომ «წინასიტყვაობის» დამწერი ერთი იყოს და შოკისა—სხვა, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ მათი საგანი ერთმანეთს არა ჭკავს,—აიდან, სამეტაფიზიკო მოსაზრების ენა მოთხრობის ენას ვერ დაემსგავსება. ამის მეტი განსხვავება «წინასიტყვაობის» და შოკის ენას შორის არა სჩანს-რა; და მინამ მათის გრამატიკის, შოკურ გამოსავისა და აზრის განსხვავებას ფაქტებითა და მაგალითებით არ დაგვიმტკიცებენ, ვგონებ საბაბიც არა გვაქვს შევ-ცვალოთ ჩვენი აზრი რუსთაველის ავტორობაზედ.

«წინასიტყვაობის» რუსთაველის ავტორობასკად შედილება შეიძლება კიდევ ერთს შემთხვევაში, თუ სსკვ კინზე პოეტი გზულოდა ნიჭიერებით რუსთაველის ტოლი, რომელსაც «წინასიტყვაობის» შესწავლა მიეწერება; ან კიდევ რომელიმე «პოეტური სკოლა» ან «დასი რუსთაველის მოწაფეთა» ყოფილიყო, რომელსაც განზრახს დაეპირეს პოემის შექმნა და მისის აზრის ასსინა და ამისთვის შეეთხარა წინასიტყვაობა. მაგრამ რომელ ისტორიულ ფაქტს ან ლიტერატურულ მოწმობასკად დაგამყაროთ ეს წინადადება? განა იყო სსკვრთველოში კინზე პოეტი ნიჭიერებით რუსთაველის ტოლი; ან დაინა მის შემდეგ «მოწაფეთა დასი»? თუ ეს არ დამტკიცდა, რა საბაბი გვექმნება რუსთაველის «წინასიტყვაობის» ავტორობა ჩამოკარგოთ? მართლაც, რუსთაველის ბერი ძამბაძე უნდა ჰყოლოდა, რომელსაც უხვად ხაუროთეს პოემის ტექსტს თავისი იხვლანნი, მაგრამ, — როგორც უკვე მოკახსენე შეითხველს და პირდაპირ დაგამტკიცოთ კიდევ, — ეგ ყალბის-მქმნილი იმდენად დარბინი იყვნენ პოეტურის ნიჭით, რომ არამც თუ «წინასიტყვაობის» შესწავლა პირ შემლოთ, არამედ ერთის სხვის დასრულებაც კმნელა ბოდათ სოკვერ.

განგებ ვსთქვი რამდენჯერმე «წინასიტყვაობის» შესწავლა-მოთქი, იმიტომ რომ «გეფხის-ტყალის წინასიტყვაობა» ერთის პოეტის თსუფლებად მიმანია და არა მრავალ მწერალთა აზრების კრებულად. მას ატყვია ერთობა, პლანი და აზრის ლოგიკური მიმდინარეობა. მართლაც, ეგ ერთობა დარღვეულია მრავალ ნამატებთან; პლანი შემოიღია სოგიერთ სხვას უდაგილობათა და აზრის მიმდინარეობა — ამდგრეულია და დაბნელებული გადამწერლების უმცრებით, მაგრამ ამ დრეულობაში პოეტის აზრი მანერ გამოსტკიცის.

«გეფხის-ტყალის წინასიტყვაობა» პოეტური აღსარებაა. — ცხადად სხას, რომ რუსთაველს სწადა ამ წინასიტყვაობით გამოეთქვა პოემის დასაბამი და დედა-აზრი; თვისის სულის ვითარება და მდგომარეობა პოემის შესწავლის ყამის; თვისი შესდრეულობა და ურთიერთობა პოემის ვმირებთან; სწადა გამოხატა თავისი იდეალი, რომელიც ყოველს პოეტს ასულებდემულებს და მის უმცირესსკ განმს შეადგენს, — მიჯნურობა და პოესია. «წინასიტყვაობა»

არა თუ სსკის მიკერებული აზოკრიფი არ არის, არამედ ჰოემის მოუწვეველი ნაწილია, მისი აღსანა და კლიტე-გასადები; მათ შორის იგივე უსილავი ერთობა და კავშირია, რაც მსატკობის იდეას და მისი დასატულ სუროთს შორის დეკს. ამიტომ მე მტონია, რომ იმ საგნის გამოკვლევაში, — ერთის ავტორისაა «ვეფხისტყაოსნი» და მისი «წინასიტყვაობა», თუ სსკა-და-სსკა მედეკსეთაგან არის დაწერილი, — მათს სუდეორს კავშირს და მონათესაობას უადრესი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, ვინეიტ მათის ენის გრამატიკულ განსხვავებას ან მსგავსებას.

«წინასიტყვაობის» პირვანდედ ტექსტის აღდგენა ასლანდედ მის არეულ რედაქციაში დიდაც მსელი საქმეა. როგორც ვსთქვით, შიგ ზოგიერთი ყაღბი სანა ურეკია და ბეკრი საეჭვო, რომელიც მის ერთობას და გაწვობილებას ჰქვლის, და ამ ერთობის და გაწვობილების დასაცავად იქნება სსკობო იუოს, «წინასიტყვაობის» ტექსტის გამოკვლეოთ ცამეტი სანა, სსკელდობრ: 5, 9, 10, 14, 18, 21, 22, 26, 27, 28, 29, 30 და 31. მაგრამ მე საეჭვო სსკობის გამოკვლევას არ გამოკვიდები, რადგან ევ ჩემი საგანი არ არის და პირდაპირ ყაღბის სსკობის გაწვობას შეუდგები.

მათ შორის პირველი: «წინასიტყვაობის» მე-5 სსკა\*) თამარ მეფის ქებას ჰოეტი ესრედ გამოსთქვამს (გვ. 2):

4. თამარს ვაქებდეთ, მეფესა, სისხლისა ცრემლ-დათხეული,  
ვსთქვენით ქებანი ვისნიმე, არ ავად გამორჩეული,  
მელნად ვისმარე ვიშრის ტბა და კალმად მინა რხეული;  
ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული.

5. მიბრძანეს მათდა საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა,  
ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა,

\*) ბ-ნ გ. ქართველიშვილს „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემას, მრავალ გვარ სიტყვებსა და სიმშვენიერესთან, ერთი პატარა ნაკლი სჭირს: პოემის ხანებს სუმერაცია არა აქვს, და ამის გამო ციტატის მოყვანა კაცს ვერ ემარჯვება. საზოგადოებაში ათამდე სსკა-და-სსკა გამოცემა ტრიალებს პოემისა და ყველას სურათობიანი ვეფხისტყაოსანი“ ხელთ არა აქვს და ხანების მოძებნა გვერდის აღნიშვნით გაწვლდებოდა; ამიტომ ხანების დასანიშნავად ვნაობა სუმერაციას ჩუბინაშვილის გამოცემისას და ბრჩილებში — გ. ქართველიშვილის გამოცემის გვერდსა. ტექსტის მართლწერა იმავე ქართველიშვილის გამოცემისა არის დაცული.



ბროლ-ბადანშისა თლილისა, მით მიჯრით მიწყობილისა,—  
გატეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ღბილისა.

6. აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვნება;  
ძალი მომეც და შეწეუნა შენგნით მაქვს—მივცე გონება;  
მით შევეწივნეთ ტარიელს, ტურფადცა უნდა ხსენება,—  
მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირთ ერთმანერთის მონება.

«მიბრძანეს მათდა საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისაო»...  
ვინ უბრძანას ჰოეტს? სუ თუ თვით თამარ მეფე უბრძანებდა რუს-  
თაველს სუმი ღოუები და კბილები შეაქეო!? დიდა თავსედობა იქ-  
ნებოდა მაგისტანს ბრძანება დედოფლის მხრით და არც შეჭეუერის  
მის სსიათს, მოარცხსას და წყნარს, როგორც ისტორიის და სსკა  
მის თანმედროე ჰოეტების სიტუეით ვიცით. ეგრეც რომ ყოფილი-  
ყო, რუსთაველი, ჰოეტურის თავმოყვარეობით და სიამყით, რო-  
დი გამოაცხადებდა საქეეზად, რომ მისი ქება ნაბრძანები და იმუ-  
ლებულია და არა ნება-ყოფლობითი. გარდა ამისა რომ ეს «მი-  
ბრძანეს» არაგის არ მიეხეება და ამის გამო არა სრული არ  
არის, ეგ სიტუეა ეწინააღმდეგება ჰოეტის თვით-ნებითს აღტაცებას  
და სულის კეეტებას—«თამარს გაქებდეთ»!.. და ღოდივის წესისა-  
მებრ უადგლოა, რადგანაც სმა «თამარს გაქებდეთ», რომელიც «მი-  
ბრძანეს მისდა საქებრად»-ის შემდეგ უნდა ყოფილიყო, მას წინ  
მიუძღვის; ასე რომ ბრძანების აღსრულება (შედეგი) თვით ბრძანე-  
ბას (მიზეზს) მისდევს, არამედ ბრძანება მის აღსრულებისაგან წა-  
რმოსდება.

მესუთუ სანა არის მიმდინარეობას უშლის, რომელიც უმი-  
სოდ მეოთხე და მეექვსე სსნებში ცხადად ისატება: ჰოეტს სსგნად  
უმს თამარის ქება, მას სელთ-აქვს ამისი ღონის-ძიება (ეგოშრის  
ტბა და მინა რსუელი) და წინააღვე ჰსნეაგს, რა მოქმედება ექნება  
ამგვარ ქებას მსმენელის გულისე («ლასკარი გულისა სუელი»). ცხა-  
დაა, რომ ამ დიდის ეუეეტის მისაღწევად ჰოეტი ისატრის «ენას,  
გულისა და ხელოვნებას» და დმერთსა სთხოვს ძალას და შეწეუნას,  
რომ მისცეს ქებას გონება. რისთვისადა ეჩრება ამ ნათელს და ჰო-  
ეტურ არაში წარბ-წამწამის და ბეე-ებილის ქება, ან რა შეაშია



აქ ქვა და გრდემლი? კაცმა ცა და დედა-მიწა შესძრას—და «ბრალ-  
ზადანშის» საქებრად?! ეგ სომ უკიდურესი უგუნურობა იქნება და  
ყრმათა «ბედითი ძღერა».

სტილი მე-ნ ხანისა სუსტია. მშრალი და დაწყვილებითი ჩა-  
მოთვლა პირისხის ნაწილებისა თავს აბეზრებს კაცს და «მსმელ-  
ნისა ყურნიც დაკლდებიან». უკანასკნელი ლექსი, — საუბედუროდ, ბე-  
ერთაგან მოწონებულად, — «გასტყეს ჭვასაცა მაცარისა გრდემლი ტყეი-  
ისა ღბილასა», რომელიც კითხილ თამარის მეფის ბრძანების და  
ზოგის თქმით მის სილამაზის ძლიერებას უნდა ჭნიშნავდეს, მე-  
ტად უშნო და მოუხერხებელი სურათითა: ჯერ ერთი, რომ «გრდე-  
მლი ტყეიისა ღბილასა» ახსნად ნახულა და, თუ არ შმაგსა, საგან-  
გებოდან აჩაიის ჩამოუდნობას; და მეორე ისიც, რომ ქვის გასატე-  
ხად გრდემლი არ იხმარება. როგორც პოეტური შედარება, ეგ ლე-  
ქსი მოსწრებულად კერ არის: თუ ტყეიის გრდემლი თამარ მეფის  
ბრძანებას ან მისი მშენიერებას, მას ქვა პოეტის გულად უნდა გიგუ-  
ლისხმობთ... და რომელი პოეტი დაიხეებს გულ-ჭვამბას!?

მაგრამ ყველა ეტერ რომ არ იყო, მეხუთე ხანის სიყალბე  
იმიტირ დაძვინდება, რომ მისი აზრი და განზრდასკა არც «წინა-  
სიტყვაობაში» და არც თვით პოემაში არა მართლდება, რადგან არ-  
სად არ მოიპოვებს თამარის პირისხის ქებას. დიალექტ ეტერ უნდა  
ყოფილიყო, რადგან რუსთაველს თამარ მეფის ქება სსკა რიგად  
უნდა ესმოდას.

თამარ მეფის სსიკ-მოსილი სსსე შეუდარებელს და სსგანგე-  
ბო მოკლენას წარმადგენდა ჩვენს ისტორიაში. განგების ნებით  
ურწყინებადეს ეპოქა ჩვენის წარსულის ცხოვრებისა, სსსეღმწიფოს  
ძლიერებისა, სსურო თვით-გომნობის გამოფინიზებისა და პოეტის  
აღყვარებისა შესვდა მეფობას დედოფლისა, რომელმაც განსორ-  
ციელდა ყოველგვარი გულის-წამება თვისება და სსსითი ქალისა  
და გმირისა. თვით მეფობა თამარისა პოეტისა: შედგო სსსეღმწიფო-  
ვისა და სსსიტეის ბრძოლისა ცხოვრებისათვის და შეუწვეტელ  
ღმინობისა და მკაცრთა მეფე-მსეღმწიფობისა, წყნარის თ-  
მარის მეფობას მოჭყვადრო მშვიდობიანობისა, დიდებისა და მო-  
რტმისა, ბედნიერებისა და სიუხვისა. სსსსი ისტორიის მოკლენა-

თა საურთიერთო დამოკიდებულების გაჩვენებაში არ შედის და მან თამარ მეფის დრო-ჟამის კეთილდღეობა მსოფლოდ მის გენიოსობას, სიბრძნეს და სიწმინდეს მიაწერა და არა მოკლენათა ბედნიერს მსკლავლობას; ამიტომ საკვირველი არ არის, რომ სალსმა თავისი სიყვარული და თავგანის-ცემა, ქება და დიდება თამარს მიაპყრა. თამარის სასული სალსას სსრუნაში სამეფადმოდ ჩაიბეჭდა, მისი წმინდა სასუ ანლან წინ უდგას სალსსა ქალისა და მმართველის იდეალად და მისი მეფობა ჩვენის ცსრუნების ბედნიერ დროებად დასრს.

რლა თქმა უნდა, რომ რუსთაველის მგრძობარე გულში თამარის სიყვარული და თავგანის-ცემა უფრო ღრმად იყო ჩასახული, ვინემც იმ სალსის გულში, რომელმც ეც თავგანის-ცემა საშკალი-შეილოდ გადმოგვიჩა, და დედოფლის ნათელი სასუ მის გარების თვალის წინ უფრო დიდებულად წარმოსდგებოდა. თამარის საქებად პოეტი რუსთაველისეულის ნიჭიერებისა არ იხმარებდა მდსბიო და პირფერობითს შესსმას მის პირის სილამაზისას, — «წარბ-წამწამთა» ქება შაკთლებასა და ჩასრუნსებების სულბას. თავის თავგანის-ცემის გამოსათქმელად რუსთაველმა სასუ ღონე იხმარა: თამარ მეფის სადიდებლად და სასასულად მან ააგო სულთუქმნელი და უსრწნელი ძეგლი, — შექმნა «გეფსას-ტყაროსანი». დიდმა დანტემ ასის წლის შემდგე იგივე ღონე იხმარა თვისის ბეატრიქს საქებად, რომელიც მისმა სულაერმა ნათესაემა შოთამ ჭპოვა თამარის სადიდებლად. რუსთაველის ქება ისევე ჭგავს ჩასრუნსებების შესსმას, რგორც რანდის გმირობა მიუნერის სასასულად — რომელისმე ტრუბადურის სასამიეო ჭიკჭიკსა. ერთი მსმენელს ლასკარსავით გულს დაესვის და მეორე ჭგავს მშეილდსა ბედითსა ემსწილთა მოსადირთა..

ასლა გვიქმის დიდებული და გულწრფელი სმა რუსთაველისა: «თამარს ვაქებადეთ, მეფესა, სისლლისა ცრემლ-დათსეული!» და ცსადია სიცრუეე ბრძანებისა თამარ მეფის ბეატრიქსის საქებად. ნუთუ მართლსა თამარ მეფე ფატმან-სათუნსავით ქარინი გველუცი იყო და თავის თაკში გარდა წარბ-წამწამისა და ბროლ-ბადასშისა სსვა ქების ღირსი ვერა ჭნსა, რომ მათი შესსმა პოეტისათვის ებრძა-

ნების? ნუ თუ, რუსთველის აზრით, თანაზ მეფეს, «ვის ჭმორნი-  
ლებს ჯარი სზათა» და «ვის ჭშენის, ლამია, სმარება შუბისა, ფარ-  
შიმშერისა მეფისა», სსვა უკეთესა ქება არ შუევერებოდა? ან ნუ  
თუ რუსთველს თავისი მაღალი ნიჭი მესტვირულ ქებაში უნდა და-  
კლას და თავისი თავგანის-ტემა და მიჯნურობა მაგითი გამოეთქვას?!

## II

მერეკ სანადან მეთათსმეტემდე რუსთაველი მოგვითსრობს  
სრულ მიჯნურის ზნობას და გვიხატავს მიჯნურობას, რომელიც  
ქალ-ვაჟთა სიყვარულის იდეალად ხაითვლება.

სიყვარული მტად საინტერესო საგანია და ყველა ადამის ტო-  
მისას შუესება, და რადგან ეს ჭირი ყოველ სიულდემულს თავის  
სიტატსლეში ერთსელ მინტ სწეკება, ყველას თავისა თავი სიყვა-  
რულის ტნობაში გამოტდილი და გასივითარებული ჭტონია. ამიტომ  
მოსალოდნელიც იყუა, რომ ზოეტის მიჯნურობის აღწერით ვისმე  
მწიგნობარს ენა აჭქეებოდა და მოყწადინა სუებაზში თავისი კვირი  
ხაკრა.

ზოემის სიტყვით (გვ. 2):

8. მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს, მართ ვითა მზეობა,  
სიბრძნე, სიმდიდრე, სიუზვე, სიყმე და მოცალეობა,  
ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა,—  
ვისცა ეს სრულად არა სკირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა.

9. მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი;  
მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი:  
იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი მზღვარი;  
ნურგინ გარეთ ერთმანერთსა, გესმასთ ზემი ნაუბარი.

10. ჰნამს მიჯნური ხანიერი, არ მეძავი, ბილწი-მრუმი,  
რა მოჭზორდეს მოყვარესა, გამრავლოს სულ-თქმა, უში,  
გული ერთსა დაჯეროს, კუშტი მიჭზდეს, თუნდა ქუში;—  
მძულს უგულოდ სიყვარული, ზვევანა, კოცნა, მტლაშა-მტლუში.

ერთი თვალის გადაკლება კმარა შესამხნეკლად, რომ ამ აღწე-  
რასში რაღაც არეულობას: მე-8 სანასი დაწეებული აღწესსვა ამიჯ-

ნურთ წინაშისა, მე-9-ში უცრად სწედება და სიტყვა თვით მიჯნურობაზე გადადის, ხოლო მე-10 ხანაში ისევე «მიჯნურთ წინაშისა» უბრუნდება. ცხადია, რომ მე-9 ხანა აქ თავის ადგილზე არ არის და აზრის მიმდინარეობას უშლის. მის უადგილობის გამო მისი წინამდვილედ საუჭუო ჰქნდება, მით უფრო რომ რუსთაველი, რა დასწრელებს მე-10 ხანაში მიჯნურის თვისების აღწერას, მე-11 და მე-12 ხანაში თვით მიჯნურობას გვიხსნის. მაგრამ უადგილობის გარდა მე-9 ხანა თავის შინაგან ღირსებითაც მეტად სუსტი და ფუჭია. მის დაშვებს მიჯნურობის განმარტება მოუწადინებია, მაგრამ მიუმხდარობისა და უსერიობის გამო, მისი ცდა ამაოდ დარჩება. მისი უსერიობა მისვე ნაწერის სიტყვა-სიტყვითი გარჩევიდან უკედ გამოჩნდება:

«მიჯნურობა არის ტურიზა, საცოდნელად ძნელი გვარი», გვაწყვლავს: ვინმე მწიგნობარი. ამ ლექსიდან მიჯნურობის თვისებას ვერ ვერა გაცნობთ, რადგან მისის უცნობის ტრეობითა, საცოდნელად ძნელის გვართია, თვით უცნობი საგანი, მიჯნურობა, რომელსაც ეს განმარტება შეეხება, აუსისნელი რჩება. და აჭა, მოკვლით მწიგნობრის ბრძენ სიტყვას. — «მიჯნურობა სსვა რამეა, არ სიძვისა დასადარი», ამბობს მეორე ლექსი. ვსთქვით, სიძვის დასადარი არ არის, მაგრამ მიჯნურობა ამითი მანინ ვერ იცნობება, რადგან რისამე შეუმიტაცებლობით გამოსაცნობის საგნის რაობა ვერ აიღსნება. მაგალითად, თქვენ რომ სირაქლეძის უნასავი იყოთ და მის საცნობლად ჰქითსოთ ვისმე, ეგ რა ცნობელიაო, და მან აგისხნას: «სირაქლეძა სსვა რამეა, არ ისვისა დასადარიო», — მისკდებით სირაქლეძა რა არის? რასაკვირველია, მაგკარ განმარტებას ვერ ვივისრებთ და ვიდეკ ვივითსავით: მანინ რა არის ეგ «სსვა რამე», რომელიც სიძვას არა ჰგავს? მიჯნურობის და სიძვის განსსვავებას მწიგნობარი ესე განმარტებს მესამე ლექსში: «იგი სსვაა, სიძვა სსვაა, შეა ურის დიდი მზღვარო». — ეგ სომ ისევე ის გამოდის, ეგ სომ გამოვრება! — დამსხობთ თქვენ; ისიც ცხადია, რომ სადაც სსვადა-სსვაობაა, იქ მზღვარიც იქნება, — მაგას რაღა იქმა უნდა. მანინ, მიჯნურობა რა არის და რითი ვაიჩნება სიძვისაგან? — დაიყინებთ თქვენა. ამის ჰასუსს მწიგნობარი მეოთხე ლექსში გამოვლევს. უფრო

დაუგდეთ: «ნურგინ. გარკვეთ ერთმანეთსა, გკისმსთ ჩემი ნაუბარნი!» ამისთანა ჭკუის-გოტრობა ვის არ მოუყვანს გუფს? ვაგნს ჭკონდეს მთელი სანა, —ოთხი თექვსმეტ-მარტყელისნი ლექსნი! — აზრის გამოსათქმელად და მაგოდენა რასა-რუსი იმისთვის. გამოიყენოს, რომ სიჭკუას: დამიჯერეთ, მიჯნურობა სსკა რამეა და სიძვა სსკა რამეა!?

იქნება, მართლაც, მიჯნურობა ძნელი საცოდნელია და, თუ არ ესრედ, სსკა რიგად ვერ აისსნება. ჰოეტის ვკითხვით, რას იტყვის (კე. 3):

12. არს პირველი მიჯნურობა არ დარჩენა, ჰირთა მალვა,  
თავის წინა იგონებდეს, ნიადამცა ჰქონდეს ხალვა,  
შორით ბნელა, შორით კდრმა, შორით დავვა, შორით ალვა,  
დასთმოს წყრომა მეფეთაგან, მისი ჰქონდეს შიში-კრძალვა.

შეადრეთ გარჩეული სანა ამ მე-12-ეს, და მისი სიყალბე თავისთავად გამოხსნდება: იქ ერთი საცოდნელია აზრი რამდენჯერმე გადაზრუნებულ-გადამოზრუნებულად და მანაც უსაყოფო და ფუჭი რჩება; მწიგნობარნი თავის საგანს გარშემო უკლის, ერთს ადგილზედ სტოკავს, მრავალი იტყვობს, მაგრამ მის საგანს მანაც ვერ ვკაცნობებს და ვერ ვეისინის; აზრის უძღურებისა დაგვარად, მე-9 სანს სტილი მკრთალი და უფერულია, დუნე და ჩლუნგი. აქ კი — გასაოცარი აზრების სიმრავლე, ერთს სანაში მჭიდროდ ჩასხმული; სურათების სიუსკე, ერთის კალმის გასმით გამოსატყლი; აზრი ძლიერ ეტეკა ლექსში და თითო აზრი ათასს ნაჭკოს აღძრავს ჩვენს გუნებაში; სტილი ბროლსაკით ნათელი და გამჭვირვალე, და ბროლსაკითვე მჭიდრო და შეუდრეკელი. ჰოეტის არ ეძნელება თავის იდეის გამოსახვა, იმიტომ რომ თავისი საგანი ზედ-მიწევით იცის, მიჯნურობა მისს გულში მუდამ ღვივის და ეს «ტურთა» მისთვის საცოდნელად ძნელის გვარისა როდია; მიჯნურობის ასახსნელად მან მხოლოდ ერთი სერსი ისმარა — თავისი გრძობა გამოხატა.

მაშნულად ვკითხვით მწიგნობარს — მიჯნურობა რა არის, რადგან მის დამტყნარ გულისთვის ეკ გრძობა საცოდნელად ძნელი გვარია; და ნურც მოკითხვით რომლისამე იდეის განმარტვას, რა-

დგან დემოკრატის მისთვის არ მიუნიჭებია «დექსთა გრძელთა თქმა და სეკა». — თუ აღმაფრენას გვინდა გნახოთ, ქათამს ნუ მოკვთხოვთ, არწივს შეესდგათ.

### III

რა დასასრულებს «მიჯნურთ ზნეობის» და მიჯნურობის ვითარების აღწერას, რუსთაველი განმარტებებს თამარ მეფის სიუვეარულში (გვ. 4):

15. მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი,  
ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი;  
დაფუძლურდი, მიჯნურთათვის კვლავ წამალი არსით არი:  
ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი.

16. ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,  
ვით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საკოვანები,  
ვოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საკოვანები,  
ჩემმან ხელ-მქნელმან დამმართოს, ლაღმა და ლამაზმა, ნები.

17. თვალთა მისგან უნათლოთა ენატრამცა ახლად ჩენა,  
აჰა, გული გამაჯუნურდა, მიჰხდომია ველთა რბენა!  
მიაჯეთ ვინ! ხორცთა დაწვა კმარის, მისცეს სულთა ღებენა!  
სამთა ფერთა საქებელთა ჰლამის. ლექსთა უნდა ლევენა.

თუ მე-15 სხანს შემდეგ მე-16 გამოუშვებთ და პირდაპირ მე-17-ეს ჩაიკითხავთ, უეჭველია მათ შორის ლოგიკურ კავშირს და შედგომადებს შეამჩნევთ, და მე-16 სხანს მეტი ირობა თავისთავად თვალში გეცხვათ. მე-15 სხანსი დაწვებული აზრი მე-17-ში კრტლდება: რასაკვირველია, თუ ან «განკურნების» და ან «სამარის» გარდა სსკა ილაჯი არ დაჩხენია, ისეკ განკურნებას ირჩევს, და «ხორცთა დაწვის» მაგიერ «სულთა ღებენას» მოითხოვს. ეს ორი წინადადება ერთის აზრის ორი ნახევარია, და მე-15 და მე-17 სხანები ამ ერთის აზრით აწიან განცხადებულნი და ერთმანეთთან შედუღებულნი, — მის რაღა ადგილი აქვს მათ შორის რაღაც სპარსულ ამბავს, ქართულად ნათარგმანებს? სიუვეარულის გამოცხადების უამს რადროსა პოემის სიდაობაზედ ლაშარავი, და მერე რა ღაშა-

რავი—დაწვრილებითი, დაღებულნი, ბიბლიოგრაფიული, და ამასთანავე ტრანსსიანი (საქმე კვძენ სავსტუმანები) და გასამრველად მითხრენელი (ხემათ სელ-მქნელმათ დამართათ სები)! რაში ეთანსმება ეგ საუბარი გამიჯნურებულ გულსა, რომელსაც «მიჭნდომია ეელთა რენა და წამალი არსითა» აქვს? ჰოემის დასახამზე საუბარი აქ უფრო უდრო და უადგილოა, იმიტომ რომ ამ სავსტუმანზე ჰოეტს უკვე მოსვენებელი აქვს თავის დროზე და შესაფერ ადგილას (გვ. 2):

7. მო, დაეხდეთ ტარიელითვის ცრემლი გვდის შეუშობილი,  
მისებრი მართ დაბადებით ვინცა ყოფილა შობილი;  
დავევ, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულ-ლანხვარ-სობილი,  
აქამდის ამბათ ნათქვამი, აწ. მარგალიტი წყობილი.

ჰოემის დასახამზედ ორჯულ სსენება უნებლიედ იწვევს ჩვენს ყურადღებას და შეკვადრებანებს მე-7 და მე-16 სხასს, სადაც ამასედა არის საუბარი. ბიბლიოგრაფიულის მსრიე ორივე ცნობა ჰოემის დასახამზედ ერთმანეთში ბეკრად არ განირჩევა: «გაგლექსე... აქამდის ამბათ ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი» (მე-7 სხა) და «ესე ამბავი სხარსელი, ქართულად ნათარგმანები... კპოვე და ლექსად გადავთქვი» (მე-16 სხა). ორივე ვარიანტიდან სხასს, რომ ტარიელის ამბავი რუსთაველის წინადა იყო, და მან გაგლექსა ეს ამბავი. განსვავება აქ მოლოდ იმასია, რომ მე-16 სხასში ეს ამბავი სხარსულ ჩამომავლისად არის ნაჩვენები. უეჭველია, რომ ამ უმნიშვნელო განმარტების გულისათვის რუსთაველი, რომელსაც გამეორება არ უყვარს, არ დაუბრუნებოდა თავის ნათქვამს და არ მოასმარებდა მთელ სხასს; მაშასადამე, ცხადია, რომ ორს სხასში ერთი რომელიმე მეტად, სსვისი ჩამატებულია.

მეთსველმა ჰხასა ჰემოდ, რომ 16 სხასს არავითარი კავშირი არა აქვს მის წინამავლსა და შემდეგს სხასსთან, პირიქით, მათის აზრის ლოდიგურ მიმდინარეობას უშლის. მაგრამ ამ კარგან და შემთხვევითს თვისებას მე-16 სხასს თავისთავად დიდი მნიშვნელობა არ ექნებოდა მის სიყაღბის დასამტკიცებლად, — რადგან სხასს უადგილობა ზოგჯერ გადამწერის შეცდომასაც მიეწერება, — თუ სხვა გარემოებანიც არ გვიმოწმებს მის სიყაღბს. შესამჩნევ-



ლია, რა გვარად შეეხება ავტორი მე-16 ხანისა, რუსთველის სახელით, თავისს საგანს: «გზოვე და ლექსად გარდაუქვი, საქმე კქმენ საჭკოშენები». — ავტორსა და პოემის შორის აქ არავითარი სულიერი ერთობა არა ხნანს: შემთხვევით «ჭპოკა» სხვისი და კისიმე გარესენელის ამბავი, თავიდაც მისი გალქსვა, სძლია ამ მხელს საქმეს და ასლა თავი მიაქვს თავის შრომის და თავის «ხელ-მქნელს» ჯილდოდ მიფარულბასა. სთხვოს. ავტორი სწორედ ხელსანსათვით იქცევა, რომელიც თავის ნამუშევარს თითონვე აქებს, მასალაც კარგი მიაგნმარე — «გრანიციდამ» მატანილი, და ასლა თავის ხელფასს ელას! მწიგნობარი ამის მეტს სხვას ვერას იტყოდა, იმიტომ რომ მწიგნობარი პოესიის ხელსანია. ის მხოლოდ გამლექსეულია სხვის ამბავისა და არა შემომქმედი თავისის თხზულებისა.

მწიგნობარის გულგრილობა პოემისათვის მისგან დაწერილს მე-16 ხანსაც დაეტყო, რომელიც ციკ და უგრძობელ შენიშნად გამოვიდა, მშრალ ბიბლიოგრაფიულ სხოლიოდ და რომელსაც თვით თხზულებასთან ცხოკლად ერთობა არა აქვს. სტილი მე-16 ხანისა გაპრტეულბეულია და გაზვიადებული, რისგამოდ აზრი, რომელსაც რუსთაველი გაკრით ისენიებს სხვა აზრის გასამარტულად, აქ წინა-პლანზეა წამოწეული და უშირატესობა-მოსილი. შეადრება ამბისა «ობოლ მარგალიტთან», — თქმცა ბეგრთავან მოწონებული, — ძალ-დატანებულია და უხეირო მიბამეა რუსთველისეულის «მარგალიტის წეობილისა», რომელიც არაბული მეტაფორაა და ჭნიშნავს ლექსს, შაირსა.

სულ სხვაგვარ ურთიერთობას ავტორსა და მის პოემას შორის წარმოადგენს მე-7 ხანა. აქ პოემის დასაბამი სპარსულ ამბავის შემთხვევის «პოენაზედ» კი არ არის დამოკიდებული, არამედ პოემის გმირისადმი ავტორის თანგრძნობიდან წარმოდგება, მათის სულიერის ნათესაობიდან იბადება. რუსთაველი ეფთხის-ტყარსანსამებრ «დაზადებითაა შობილი», მათ ერთი და იგივე ბედი ჭხდათ და ორივენი ერთის გრძნობით არიან განსჭვალულნი, ამიტომაც რუსთაველს «ტარიელისთვის ცრემლი სდის შეუშრობელი». ტარიელის მიჯნურობა მისი სიყვარულის სარკვე, და ამიტომ ვე-



ფხის-ტყაოსნის- ამბავს ზოეტი გულგრილად კერ შეესება, როგორც უცხო ენისას, არამედ ლექსსაც «მისთვის გულ-ღასკარ-სობალი». აქამდის გეფხის-ტყაოსნის ამბავი, ხალხში გავრცელებული, სსო-გადო საკუთრება იყო, ყველას ეკუთნოდა და კერძოდ არავის; რუსთაველმა იცნო ამბავის გმირში თავისი მოყვასი სული, თავისი ბედის მონაწილე, შეიყვარა და შეითვისა ტარეულ, თვითონ მის გულის-თქმის გამოთქმულად გასდა და თავისი სიყვარული ტარეელის პირით გვიამბო; და რადგან ტარეელის მიჯნურობის ამით რუსთაველის სიყვარული გამოისახოდა, ზოეტმა მისცა მას თავისებური, რუსთაველისეული ფორმა და «გეფხის-ტყაოსანი», «აქამდის ამბავთ ნათქვამი», «მარგალიტად წიკობილად» ვარდაიქცა.

აქედან სჩანს, რა მჭიდრო ერთობა ჰსუიეკვს ზოეტის ავტორს და მის გმირს შორის: ზოეტის საგანი თამარის სიყვარულის გამოთქმა, და ამის ღონისძიება—ტარეელის მიჯნურობის მბობა, რადგან ტარეელსა და რუსთაველს ერთი და იგივე გრძნობა აცხოველებს. მათის სულიერის ერთობისაგან დაიბადა თვით ზოეტმა «გეფხის-ტყაოსნის».

რას დასდევს ზოეტი ტარეელის ამბის სადაობას,—სმარსკულია თუ არაბული, ან ნათარგმნია ქართულად თუ არა,—ასლა რა მისის პირით გადაითქვა, მისის სულის შვილი გასდა, მისის გრძნობის სისხლი და ხორცი. რა გალექსა ტარეელის ამბავი, ზოეტმა თავისი წადილი აისრულა—ადიდა და ასასულა თავისი მოყვარე და თავისი მიჯნურობა გამოუცხადა; თავის გრძნობის გამოთქმა არც შრომად და არც «თავის საჭოჭმენებად» მიანინა, და კით სრული მიჯნური ამისთვის თავის მოყვარეს არც მივარეულობას და ატყარა ფასსა სოხოკს.

ამ შედარებიდან, ვგონებ, საკმაოდ სჩანს—რომელი ერთი უფრო შეეფერება ზოეტის ხასიათს და ნიჭიერებას მე-7, თუ მე-16 ხანა და, მასმსადამე, რომელი მათგანი უნდა აღვიაროთ ნამდვილად, რუსთაველისეულად და რომელი უნდა ჩაითვალოს ყაღბად. სოლო, დასასრულ, მე-16 ხანის სიყაღბის დასამტკიცებლად ისიც უნდა დაკუთხოთ, რომ იქ წარმოთქმული ბიბლიოგრაფიული ცნობა,—«ესე

ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები», — აქამდის ვერ გამარტულდა ვერც ერთის ისტორიულის ან ლიტერატურულის მოწმობით და ვერ აჩსად უპოვნიათ არც სპარსული დედანი «გეფსის-ტუასნისა» და არც მისი ქართული თარგმანი პრეზად, თუმცა მაგის მიკუნელი არ ტეკლია.

აღ. ს — შვილი



## ხალხის მანათლებლის შესახებ

ჩვენს მწერლობაში ხშირად გაისმის ლაღადება, სამღურა-  
ვი, ღრტვინვა იმის გამო, რომ ქართველი ხალხი მანათლებას  
დიდად გულ-ცივად ეკიდებაო. ამ მღაღადებელთა სიტყვები  
რომ სრულის წღობით მივიღოთ, ჩვენის გლახებისთანა თაყვა-  
ნის-მცემელი გონების სიბნელისა ქვეყანაზედ მეორე ხალხი  
აღარ აღმოჩნდება. საბუთად იმ გარემოებას ასახელებენ, რომ  
არამც თუ ახალის სკოლების დაარსებაზედ ხელებს ატატუნე-  
ბენო გლახები, დაარსებულების გაუქმებასც გულითა და სუ-  
ლით ნატრობენო. რას მოასწავებს ეს სამწუხარო ამბავი, თუ  
არ უვიცობის სიყვარულს ქართველის ერისასაო? გამარჯვებუ-  
ლის კილოთი კითხულობენ ფიცხელნი ბრალმდებელნი ჩვენის  
ხალხისა.

ერთი ვკითხოთ იმ ვაჟ-ბატონებს: რად და როგორა ხდე-  
ბა, რომ იგივე გლახი, მეტადრე იმერი, რომელიც სკოლის  
დაარსებაზედ სოფლად ხელებს ატატუნებს, ხშირად რამდენიმე  
წლოებით მუქთად ემსახურება ქალაქში რომელსამე აღას მხო-  
ლოდ იმ პირობით, რომ წიგნი ასწავლოს, წერა-კითხვის შე-  
თვისება აღიროს. როგორ ავხსნათ ის მოვლენა, შენიშნუ-  
ლი და აღიარებული წიგნების გამყიდველ სომეხთაგანაც, რომ  
ხშირად მშვიერი ქართველი, ძონძებში გახვეული, შედის მაღა-  
ზიაში, თავის ერთად-ერთს შაურს იღებს ჯიბიდან და ყიდუ-  
ლობს რომელსამე წიგნაკს? ესევე სომხები გულწრფელად აღიარებენ,  
რომ ქართველი მდაბიო ხალხი უფრო მეტად ეტანება  
წიგნს, ვიდრე სომხები, რომელთაც გულგრილობას სწავლი-  
სადმი ვერაფერ ვერ უკეთინებს.

ღიაღ. თუ სამართლის თვლით გავსინჯავთ სავანს, ცხადი შეიქმნება ჩვენთვის, რომ დედამიწის ზურგზედ იქმნება მეორე ხალხი არ არსებობდეს, რომელსაც იმდენი წყურვილი ჰქონდეს სწავლისა, როგორც აქეთ იმერ ქართველებს. გაზვიადებული არ იქმნება ვსთქვათ, რომ ბევრს იმერს წიგნის ცოდნა იმდენად სწყურიან, როგორც ცხელის უდაბნოს მწყურვალს ირემს ცივის წყაროს დაწაფება.

მიუხედავად ამისა, ქართველი გლეხი უარ-ჰყოფს სკოლასა; რომელიც სამართლიანად ითვლება სწავლისა და განათლების უმთავრესს და უძლიერესს წყაროდ. რითი უნდა ავხსნათ ესა? რად აარსებდნენ ოცის წლის წინად ჩვენი გლეხები ღიადი ხალხისით სკოლებსა და რად შეაქციეს ზურგი ახლა?

გლეხი სკოლიდან მოელოდა: „ჩემი შვილი ისწავლის კარვად ქართულს წიგნსა, კარვად შეითვისებს ქართულს წერაკითხვასა, კურსის დასრულების შემდეგ ოჯახში გვიკითხავს თავისუფალს ღროს სახარებასა, საღმრთო წერილსა და სასარგებლო საერო წიგნებსა, შეეძლება დასწეროს თამასუქი, სხვადა-სხვა წერილი, ექმნება ცოდნა ცხოვრებაში გამოსაყენებელი, მართებული სიტყვა-პასუხი ეცოდინება, შეეძლება ეკლესიაში იგალობოს და იკითხოს, გონიერებით, ზრდილობით და მხნეობით იქმნება იმათზედ უკეთესი, ვინც სკოლაში არა ყოფილა“.

ამ ნაყოფს მოელოდა გლეხი სკოლისაგანა და თავის ღარიბი ჯიბით ინახავდა მას. მერმე რა მიიღო, რა მოიმკო? კვილი „სერენკი კოზლიკისა“ და საყველ-პურო რუსული „უარგონი“, რომელიც სკოლის დატოვების შემდეგ რამდენსამე თვეს უქრება თავიდანა ისე, როგორ გაჰქრა შარშანდელი თოვლი. ამასთან ჩვენმა გლეხმა ისიც შეჰნიშნა, რომ სკოლაში ნამყოფი ბავშვები გონებითა და ზნეობით არამც თუ არ აღემატებიან სხვა ბავშვებს, სკოლის გარეშე დარჩენილებს, არამედ იმათზედ უარესნიც არიან. გლეხი როდია თავისი მტერი, რომ ამისთანა სკოლებზედ თავისის ღატაკის ჯიბიდან ფუ-

ლი ჰხარჯოს და თავისი გაქირვებული ცხოვრება უფრო კიდევ გაამწაროს.

და ჩვენ, განათლებულნი ქართველნი, რას ვჩადივართ საქმის გასასწორებლად, წაღმა დასატრიალებლად? ვხმარობთ ყოველს ღონისძიებას, რომ სკოლამ გადაუხვიოს უკუღმართს გზასა, ჩავარდეს ჯეროვანს კალაპოტში და გლესს წადილი აღუსრულოს?

სრულიადაც არა. წინააღმდეგ ამისა, ჩვენ საარაკო სიბრძავით ვცდილობთ, რომ ფაქტიური, უკანონო სენი პრინციპილიურ, კანონიერ სენად გარდავიქციოთ და უკუტრნებული ავადმყოფობანი შევეყაროთ ხალხის განათლებას. აი ამისი ცხელ-ცხელი მაგალითი.

დიდი ხანი არ არის, რაც გაზეთს „ივერიაში“ დაიბეჭდა კორესპონდენცია რაჭიდან, რომელიც უტყუარი საბუთია მისი, თუ რა უვიცობით და წინ-დაუხედაობით ვიქცევით იმისთანა უდიდეს საქმეში, როგორიც ხალხის განათლებაა.

„ჩხლანდელს სასოფლო დასაწყისს სკოლებსაო, ამბობს ავტორი, იმდენი სარგებლობა არ მოაქვს: ამ სასწავლებელში ყმაწვილი, ჯერ ერთი, ბევრს არაფერს იძენს და რასაც სწავლობს, ისიც ორის, ან სამის თვის შემდეგ, რაკი სასწავლებლიდან გამოვა, ავიწყდება და ქართული წერა-კითხვა აღარ ეხერხება. ამის მნახველს გლესს, რასაკვირველია, გული უტყდება სწავლაზედ და აღარ იმეტებს არავითარს წვლილს მის სასარგებლოდ“.

მერე რა ღონისძიება აღმოუჩენია კორესპონდენტს ამ სენის წინააღმდეგ, ამ ქართულის წერა-კითხვის დაფიწყების მოსა-სპობლად? იგივე ღონისძიება, რომელიც იხმარა ჟორჟ-ზანდის საარაკო გრძელმა, რომელიც წვიმისაგან შემინებული აღელვებულს მდინარეში ჩახტა, იმის მაგივრად, რომ მშრალი თავ-შესაფარი მოეჩახა.

არა გჯერათ? მოისმინეთ.

„გლესებს განუშარტეს, განაგრძობს კორესპონდენტი, სწავლის სარგებლობა. გლესები ყველგან რაჭაში დასთანხმდნენ,

მიიღეს კეთილი, რჩევა და განაჩენიც, დაადგინეს; დააარსონ ორ-კლასიანი ნორმალური სასწავლებლები ყოველს საზოგადოებაში სამეურნეო, ანუ სახელოსნო განყოფილებით. ამ სასიამოვნო ამბავმა დაგვარწმუნა, რომ ჩვენი ხალხი არა ყოფილა იმისთანა მდევნელი და მოძულე სწავლა-განათლებისა, როგორც გვეგონა; ნორმალური სასწავლებელი სახელოსნო განყოფილებით უეჭველად დიდს სარგებლობას მოგვცტანს და შეაყვარებს ჩვენს ხალხს სწავლა-განათლებას“.

ამ სახით, ჩვენი ხსნა თურმე ნორმალურს სასწავლებელში ყოფილა. მას შესძლებია გონებით-განავითაროს ჩვენი ხალხი, სწავლა შეაყვაროს და ისეთი კარგი და მტკიცე ქართული წერა-კითხვა შეასწავლოს, რომ სკოლიდან გამოსვლის შემდეგ აღარავინ დაივიწყოს.

ვაი ჩვენი ბრალი, ვაი ჩვენს უვიცობასა!

ნორმალურს სასწავლებელს მხოლოდ სახელი ჰქვია კარგი უმეცართა თვალის ასაბმელად. იმას ეს სახელი იმდენადვე შეჰტყერის, როგორც ქურდს პატიოსნიძე, მძინარეს ფხიზლაძე, ცრუს მართლაძე. ამ სასწავლებელის პროგრამიდან უპირველესად ყოვლისა განდევნილია სრულიად ქართულის წიგნის სწავლება. არც ერთი გაკვეთილი არ არის ნაწილადვე ქართულის ენისათვის არც პირველს წელსა და არც შემდეგს წლებში. ყველა საგნის სწავლები იმავე თავითვე უნდა მიუცილებოდეს სწარმოებდეს სახელმწიფო ენაზედ, თვით საღმრთო სჯულიც კი, ასე გასინჯეთ. ერთის სიტყვით, ეს სასწავლებელი ნამდვილი ანტი-ქართული სკოლაა, სადაც დედა-ენას ბავშვებისას არა აქვს სრულიად ადგილი არც როგორც საგანსა და არც როგორც ღონისძიებას სწავლისას. ამის გამო იქ ქართულის წიგნის შესწავლა ყოველად შეუძლებელია; აგრედვე შეუძლებელია ბავშვების გამართვა ქართულ სიტყვიერებაში.

რაც შეეხება გონების განვითარებასა და ცოდნის შეძენას, განა ეს შესაძლებელია იქ, სადაც მთელი სწავლა მოწყობილია ჯერ შეუსწავლელს ენაზედ და სადაც აუცილებლად სუფევს ტვინის გამაწყალებელი კაქკაქური ზეპირობა (ყენე-

ნე)? ამითი არა თავდება განსაკუთრებული ღირსება ამ სკოლისა. რადგანაც ყველაფერი ქართული აქედან გამოკლებულია, ამიტომ რაღა საჭიროა აქ ქართველი მასწავლებლები... თუ სადმე სამართალი არის, ამისთანა სასწავლებელს უნდა ერქვას არა-ნორმალური, არა-სკოლა.

რადენიმე წლის წინად იმერეთის ერთს დაბაში დააარსეს ორ-კლასიანი ნორმალური სასწავლებელი. სწავლა მაშინვე მოეწყო არა ქართულს, არამედ უცნობ ენაზედ, სჯულის მასწავლებლად იყო სკოლაში დანიშნული ერთი მეტად მხნე და განვითარებული დეკანოზი. ამან სცადა აესრულებინა პროგრამის მოთხოვნილება და საღმრთო სჯული ესწავლებინა აღნიშნულს ენაზედ. მაგრამ მალე დაინახა, რომ სწავლა კი არა, ნამდვილი ჯვარცმა გამოდიოდა, გამოუთქმელს წვალებას და ტანჯვას ითმენდნენ მოწაფენი. საღმრთო სჯულის მნიშვნელობა მთლად იკარგებოდა, სარწმუნოების დანერგვის მაგივრად მოზარდთა გულში მისი გათახსირება, შელახვა იბადებოდა. ადგა და სადაც ჯერ არს მოახსენა: ან ნება მიბოძეთ ქართულად ვასწავლო საღმრთო სჯული, ან იძულებული ვიქნები დავეთხოვო სრულიად სასწავლებელსაო. პროგრამა ნორმალური სკოლისა წინააღმდეგია თქვენის სურვილისაო, იყო პასუხი და დეკანოზი სამუდამოდ გამოეთხოვა ამ სკოლასა. სხვა მასწავლებლები სჯულისა კი არხეინად ჯვარს-აცმენ ამ გვარსავე სასწავლებლებში საღმრთო სჯულსაცა და ბავშვებსაც ჯამაგირის გულისათვის...

ცხინვალიც მოსტყუვდა ამ რამდენისამე წლის წინად და დაიარსა ნორმალური სასწავლებელი. დიდი იმედი ჰქონდა იმისი, როგორც რაჭველს კორესპონდენტსა. მაგრამ პირველსავე ხანში დაინახა, რომ ქართულის წიგნის სწავლებას, რის გულისათვისაც დააარსეს უმეტესად ეს სკოლა, სრულიად აღვილი არა აქვს. დაფაცურდნენ, შეუდგნენ ჩივილს სიტყვით, თუ კალმით, მაგრამ ვერაფერს გახდნენ, ბოლო ვერ მიაღწევს. ჩვენი რა ბრალია, პროგრამა ნებას არ იძლევაო, და ნორმა-

ლოური სკოლა კი ხომ თქვენი სურვილისამებრ დაარსდაო, მიიღეს პასუხად.

მაშასადამე, როდესაც კორესპონდენტი იწუნებს ახლანდელს სასოფლო სკოლებს, რომელშიაც კანონით, პროგრამით დადგენილია ქართულის ენის სწავლება, ქართულის ენის ხმარება, საგნების ახსნის დროსა, საღმრთო სჯულის სწავლება დედა-ენაზედ მთელის კურსის განმავლობაში და ჩვენის ხალხის ხსნას ხედავს ნორმალურს სასწავლებელში, რომელიც უარს ჰყოფს ერთსაც, მეორესაც და მესამესაც და წარმოადგენს ჩრდილოეთიდან გადმოარგულს მცენარეს, განა ის არ ურჩევს ჩვენს ხალხს გრიბულსავეთ მოიქცეს—ნაკლულევენებიანი სკოლები უკულშართ სკოლებზედ გასცვალოს, წვიმისაგან გადასარჩენად აღიდებულს მდინარეს მიეცეს? მეტი უეცობა და სიბრმავე კიდევ იქნება!

## II

სამაგიეროდ, იქნება ნორმალური სკოლები ჩვენს ხალხს სძღენიდნენ რუსულის ენის და რუსულის წიგნის ცოდნას და ამითი ამცირებდნენ იმ დიდ ზარალს, რომელიც მათ მოაქვთ ქართულის წიგნის და შეტყვევების უარყოფით? გავსინჯოთ.

უნდა ვიცოდეთ, რომ რუსული ენა ძლიერ ძნელია თვით ევროპელებისათვისაც. სახელოვანს ინგლისის ისტორიკოსს ბოკოს საოცარი ნიჭი ჰქონდა ენების შესწავლისა. მან თვრამეტი სხვა-და-სხვა ენა ზედ-მიწევნით შეისწავლა სულ ადვილად მოკლე დროში. ბოლოს იგი შეუდგა რუსულს ენასა, ძლიერ მოინდომა გავარჯიშებულიყო, მაგრამ წადილი გაუტრუვედა. ისეთი ძნელი გამოდგა ეს ენა ბოკლისათვისაც კი და იმდენს დროს ითხოვდა, რომ იგი იძულებული იყო ხელი აეღო მასზედ. ბისმარკი პეტერბურგში ელჩად ყოფნის დროს ბევრი ეცადა შეესწავლა რუსული ენა, ცალკე მასწავლებელიც დაიქირავე; მაგრამ საყველ-პურო რუსულის იქით ვერ წავიდა. მეორე ამბავი უფრო კიდევ საგულისხმეიერია. წინა წლებში,



როდესაც რუსეთსა და საფრანგეთს შორის მეგობრობა გაჩაღდა, ფრანგებში გაძლიერდა სურვილი რუსულის ენის შეთვისებისა, მით უმეტეს, რომ ეს საჭირო იყო ვაჭრობის და აღებ-მიცემობის განშირებისთვის რუსეთთანა. ამის გამო საფრანგეთის ბევრს ქალაქში დაარსდა პრაქტიკული კურსები რუსულის ენისა. მრავალი ხალხი მიაწყდა ამ კურსებს და რითი გათავდა საქმე? ცოტა ხნის შემდეგ მთლად დაცალიერდა ეს კურსები და დაიხურა. რად? იმიტომ რომ მოულოდნელმა სიძნელემ ენისამ სრულიად დააფთხო ხალხი. ეს ამბავი აღნიშნული იყო თვით რუსულის სამინისტრო ჟურნალში. („Журналъ Министерства народнаго просвѣщенія“).

თუ ასე ძნელია რუსული ენა ევროპელთათვის, რომელთა ენები ერთის ნათესაობისანი არიან რუსულ ენასთან, რამდენად უფრო ძნელი უნდა იყოს იგი ქართველებისათვის, მეტადრე სოფლის ყმაწვილებისთვის, რომელთა დედა-ენას არავითარი მზგავსება არა აქვს მასთან არც ლექსიკონით და არც საგრამატიკო ფორმებითა. ამ საზოგადო, დედუქტიურს აზრს ემოწმება უტყუარი აზრები ჩვენის ხალხის განათლების ისტორიისა.

ამ ოცდა ათის წლის წინად ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ დააარსა ბევრს სოფლებში სკოლები ოთხის წლის კურსით. ამ სკოლებს ყველაფერი ხელს უწყობდა: ნივთიერი საღსარი ბლომად ჰქონდათ, სახლები მშვენიერი აუშენეს, სპეციალურად მომზადებული მასწავლებლები ჰყავდათ, რომელნიც ჯამაგირად იღებდნენ ორმოც-სამოც თუმანს წელიწადში, ხელმძღვანელნი და რევიზორნი სკოლებისა მხნენი და გამოცდილნი იყვნენ საპედაგოგო საქმეებში და ძლიერი სურვილით გამსჭვალულნი, რომ რუსული ენა და წიგნი დაენერგათ ჩვენს ხალხში ამ სკოლების მეოხებით, მხოლოდ ამ ფორმალურს მიზნს ემსახურებოდნენ ეს სკოლები, ყოველი სხვა დანიშნულება სკოლისა სრულიად მივიწყებული, ათვალწუნებული იყო. ახლა ვიკითხოთ: მიეწივნენ ამ მიზანსა? დანერგეს ჩვენს ხალხში რუსულის ენისა და წიგნის ცოდნა? იმაზედ მე-

ტად ნუ დანერგილა ჩვენში ყოველი ქირი, რავდენადაც დანერგეს ეს უცხო ენა და უცხო წიგნი. დაიარეთ ის სოფლები, სადაც ოცი წელიწადი ჰმოქმედობენ ეს სამაგალითო რუსული სკოლები და თქვენის თვალითა და ყურით დარწმუნდებით, რომ აქ რუსრლის ენის და წიგნის სახსენებელიც კი გაშკრალია და არცერთი კვალი აღარ დარჩენილა სკოლის ხანგრძლივის არსებისა.

თუ საღირექციო სკოლებს ვათხოვებთ ყურადღებასა, აქაც დავინახავთ სასოფლო სკოლის სრულს უძღურებას რუსულის ენის და წიგნის გავრცელებისთვის ჩვენს გლეხობაში.

ამასვე გვასწავებს რუსულის სახალხო სკოლის მაგალითი. ახლა რუსეთში ყველა შეგნებულისაგან აღიარებულია ის ქეშმარიტება, რომ რუსის ბავშვებისთვის რუსულის წიგნის რიგიანად შესასწავლად მიუცილებლად საჭიროა ოთხის წლის კურსი სასოფლო სკოლებში. ხოლო ქართველმა ბავშვებმა უნდა გაიკეთონ არა მარტო რუსული წიგნი, არამედ რუსული ენაც, რომელიც სკოლაში შესვლის დროს სრულიად არ იციან. რომელიმე უცხო ენის შეთვისება ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე ამ ენაზედ წიგნის ცოდნის შეძენა. ეს ყველას შეგნებული აქვს. მაინც და მაინც ორი სიძნელე რომ ერთმანეთს შეეფუარდოთ და თანასწორად ჩაერიცხოთ, გამოვა შემდეგი: რააა ქართველმა ბავშვებმა რიგიანად შეითვისონ სკოლაში რუსული ენა და რუსული წიგნი, მიუცილებლად საჭიროა მოახმარონ ორჯელ მეტი დრო, ვიდრე რუსმა ბავშვებმა, რომელთაც სკოლაში შესვლის დროს თვისი ენა კარგად იციან. ესე იგი უნდა ისწავლონ რვა წელიწადი მაინც, ისწავლონ გამუდმებით, ბეჯითად, და ამასთან ყოველი გარემოება ხელს უნდა უწყობდეს. ხოლო ამისთანა გრძელ-კურსიანი სკოლები ჩვენს სოფლებში ყოველად შეუძლებელია არამც თუ ეხლა, არამედ მახლობელს მომავალშიაც.

იმ ერთ-კლასიან და ორ-კლასიან სასოფლო სკოლებს კი, რომელიც ეხლა არსებობს საქართველოში, შეუძლიანთ კარგი, აზრიანი წერა-კითხვა ასწავლოს ქართულს ენაზედ, თუ მასწავ-

ლებლები სინილისიანად და მხნედ მოეკიდებიან თავის მოვალეობის ასრულებას, და რაც დრო მინიჭებული აქვს ქართულს ენას ამ სკოლების პროგრამით, არ შეამცირებენ, ექვსს გაკვეთილს კვირაში ორ-სამ გაკვეთილად არ გადააქცევენ. ამ შემთხვევაში აქ კურს დასრულებულს ქართველს ბავშვებს შეეძლებათ სასარგებლო წიგნები იკითხონ ქართულს ენაზე და შეაფასონ თავის-თავად ის პირველ-დაწყებითი ცნობები, რომელიც სკოლიდან შეუძენიათ. რაც შეეხება რუსულ ენას, ეს სკოლები შესძინებენ მხოლოდ საყველ-პურო ლაპარაკსა და მისცემენ შეძლებას, რომ რომელიმე მარტივი განცხადება რუსულს ენაზედ გაიგონ და გააგებინონ გლეხებს. რუსულის ენის და წიგნის შეთვისება კი იმდენად, რომ ბავშვებმა შემდეგში თავისუფლად იკითხონ სასარგებლო რუსული წიგნები და საჭირო ცოდნა მოიპოვონ, ყოვლად შეუძლებელია ყოველი სასაფლო სკოლისათვის. და ამ წადილს იგი ვერასოდეს ვერ განიხორციელებს, თუნდა მასწავლებლად ნამდვილი პესტალოცები ჰყავდეს და მოწაფეებად უნიჭიერესი ბავშვები.

რადგანაც ნორმალური სკოლა სრულიად უარპყოფს ქართულს ენას, ქართულს წიგნსა და წერა-კითხვას, ქართულს მეტყველებასა, იგი ამის გამო აცდენილია ერთად-ერთს მისაწვდენს მიზანს, ერთად-ერთს სასარგებლო ნაყოფს, ერთად-ერთს ნამდვილს სიკეთესა, რომლის მოტანაც ჩვენს სოფელში სკოლას შეუძლიან და ამის გამო იგა ხდება ხალხისათვის ყოვლად გამოუსადეგარ დაწესებულებად. ეს კიდევ ცოტაა. ნორმალური სკოლა სხვა სასაფლო სკოლებზედ ნაკლებად ჰნერგავს ქართველის ბავშვის გონებაში თვით იმ საყველ-პურო რუსულს ენას, რომელიც თავიც არის და ბოლოც მისი დანიშნულები-სა და რომელსაც შეწირული აქვს ყოველი სხვა მიზანი სკოლისა...

ეს როგორღა ხდება?

## III

ქართულის წიგნის რიგიანად სწავლება არამც თუ თვითონ არის სიკეთე, და დიდი სიკეთეც, არამედ უკეთესს საშუალებას შეადგენს რუსულს წერა-კითხვაში ბავშვების ადვილად გამართვისათვის. ყმაწვილი, რომელსაც კარგად გაუკვეთნია ქართული წერა-კითხვა, თითონ შეუწყენილადაც შესძლებს რუსული წიგნი ისწავლოს. წინააღმდეგ ამისა, როცა ქართველს ბავშვს გადაახტუნებენ ქართულს წიგნსა და პირ-და-პირ მიაჩეჩებენ ხელში რუსულს ანბანს, იგი დიდ დაბრკოლებას ჰხედავს და ხეირიანად ვერ მოერევა ამ სიბნელეს. მოგვსენებათ, რომ კითხვა-წერა ძლიერ ძნელი პროცესია. ეს იქიდგანა სჩანს, რომ ზოგი მთელს სიცოცხლეში ვერ სწავლობს ვერც რიგიანს კითხვასა და ვერც შნოიანს წერასა დედა-ენაზედაც კი, თუმცა ბევრს ცდილობს. მით უმეტეს უძნელდება ეს პროცესი უცხო ენაზედ იმას, ვინც მოკლებულია ამის ცოდნას თავის ენაზედ.

ამის მზგავსადვე გამართვა ქართულს მეტყველებაში ძლიერ შველის შეთვისებას უცხო ენისას. ბავშვი, რომელიც გავარჯიშებულია ყოველი აზრი გამოსთქვას თავისს დედა-ენაზედ შესაფერის სიტყვებითა და ფრაზებით, რომელსაც მეტყველების ნიჭი გახსნილი, გაღესილი აქვს, ყოველს უცხო ენაზედ ადვილად ეჩვევა თავისი აზრი სწორედ, მკაფიოდ გამოსთქვას. გარნა, თუ იგივე ბავშვი ააცდინეს თავისს ღვიძლს მეტყველებას, ვერასოდეს ვერ შეითვისებს უცხო ენის მარჯვედ ხმარებას. მეტყველი დედა-ენაზედ ადვილად შეიქმნება მეტყველი უცხო ენაზედა. მუხჯი ღვიძლს ენაზედ, მეტ-ნაკლებობით მუნჯი იქმნება სხვა ენაზედაც... ნორმალურს სკოლას კანონად, მიზნად დადებული აქვს მუნჯობა ქართულს ენაზედ. იმიტომ იგი რუსულს ენაზედ ვერას დროს ვერ შეათვისებინებს მოსწავლეებს რიგიანს მეტყველებას.

ყოველის ენის შეთვისება დამოკიდებულია გონების განვითარებასა და სიფხიზლეზედ. ნორმალური სკოლა სწავლას

აწარმოებს ჩვენს ქვეყანაში სრულიად უცნობს, გაუგებარს ენაზედ და ამის გამო არამც თუ არ ეხმარება ბავშვის გონების განვითარებას, განვითარებას, არამედ უხშობს, ძილსა და ბურანში ამყოფებს და ამისთანა მიზინდებული გონებით როგორ უნდა მოერიოს ბავშვი იმისთანა ძნელს ენას, როგორც არის რუსული ენა.

აგრედვე კარგად მოეხსენება ყველასა, რომ ხალისი უპირველესი პირობაა სკოლის წარმატებისა და ყოველი საქმის კეთილად წარმართვისათვის. სადაც ხალისი არ არის, იქ ამათა ყოველი ცდა. ნორმალური სკოლა, როგორც ანტიპედაგოგიური დაწესებულება ჩვენში, სრულიად უკლავს ყოველს ხალისს ბავშვს, რადგანაც ყოველიფერი, რაც ბავშვს უყვარს, უარყოფილია ამ სკოლაში; იგი ღვიძლს დედას როდი ჰგავს, რომელიც ალერსითა და სიყვარულით ექცევა თავისს შვილებსა, არამედ მოგაგონებთ დედინაცვალს, ცივსა და უგულოსა. ჭწავლას ისმენს ბავშვი არა იმ ენაზედ, რომელიც ესმის, არამედ სრულიად უცხოზედ, უცნობზედ. მას ორ-გვარი სიძნელე აწევს კისერზედ—შინაგანი და გარეგანი, აზრი და ენა, და ვერც ერთს ხეირიანად ვერა სძლევს. სკოლა ხდება ბავშვისათვის მძიმე ტვირთად, სატანჯველ რამედ, და ამის გამო იგი სრულიად ჰკარგავს სწავლის ხალისს საზოგადოდ და რუსულის ენისას კერძოდ.

ისიც ყველამ უწყის, რომ თუ ბავშვს სკოლამ გაუხსნა გეგმა სწავლისა, საქმე მოგებულად უნდა ჩაითვალოს. ყმაწვილი, რომელიმაც ცოდნა იგემა, სკოლის შემდეგაც ეძებს ამ ცოდნასა, გახსნილს მადას თავისი გონებისას აკმაყოფილებს ყოველი ღონისძიებით, სულ ახალ-ახალი აზრები სწყურიან; ცდილობს ააყოს აუზი თავისის გონებისა ახალის შინაარსითა. რადგანაც ქართული ლიტერატურა უფრო ღარიბია რუსულზედ, ამიტომ მარტო პირველს ვერ დასჯერდება და მეორეზედ გადავა უთუოდ. მაგრამ განა ნორმალურს სკოლას შეუძლიან გაუღვიძოს ბავშვს მადა სწავლისა, როდესაც აქ ყველაფერი უგემურად არის მოწყობილი; თითქო განზრახ სურს ცოდნის მადა სრულიად დაუკარგოს ბავშვსაო?!

ერთი სიტყვით, როგორც ანტიპედაგოგიური მოგონება, უკულმართი დაწესებულება, ნორმალური სკოლა ჩვენთვის ყოველ მხრივ მაინებელი და მაზარალეებელია, მაზარალეებელია სკოლის საზოგადო სიკეთისათვის და კერძოდ რუსულის ენისთვის.

მაშ რის მაქნისია იგი? რად არის საქართველოში მოვლენილი? რა განზრახვით და აზრით დაბადებულა და არსებობს? ნორმალური სკოლა ჩინებული ხერხია, საუცხოვო ღონისძიება დასამარხავად ქართულის ენისა, ქართულის მეტყველებისა, ქართულის წიგნისა, წერისა, სიმღერა-გალობისა, ქართულის ისტორია-გეოგრაფიისა, ერთი სიტყვით, ყოველი საეროვნო საუნჯისა. აი რა საგანს ემსახურება და მშვენიერადაც ემსახურება ეს სკოლა. ყოველად უძლური სიკეთისათვის, იგი მარჯვე ხერხია ენებისა და ბოროტებისათვის.

და ჩვენ კი, საარაკო სიბრმავეთ, არ გაგონილის უკულმართობით ხელს ვაწვდენთ ამნაირს სკოლას, ვევედრებით დაგვიარსონ იგი, უდიერად ვატყუებთ ხალხსა, ჩვენს რჩევაზედ მონდობილსა და ჩვენზედ ხელით ემარხავთ ჩვენის ერის მომავალსა, ეროვნობასა, არსებობასა. გაგონილა?

როგორც ყოველად უმგზავს, გონჯს ქალსა, დახავსებულს და დაბერებულს, არაფერში გამოსადევს, ასაღებენ, ათხოვებენ დიდის მზითვის მეოხებით, ისე ამ არა-სკოლას ბაზარს უხსნიან ბოლოს წლებში იმისთანა სიმპატიური დაწესებულებით, როგორიც არის სამეურნეო და სახელოსნო განყოფილება. მაგრამ როგორც ყოველად უვარგისს ქალს მზითვეი ვერაფერსა შველის, ისე ამ სკოლას ეს პრაქტიკული დამატებანი ფასს ვერ მოუმატებს. სამეურნეო და სახელოსნო განყოფილებანი მხოლოდ მაშინ მოიტანენ ჯეროვანს ნაყოფს, მაშინ წააყენებენ წინ ხენა-თესვას, მევენახეობას და ბაღოსნობას, აგრედვე დაეხმარებიან სხვა-დასხვა ხელოსნობის გაერცვლებას, როდესაც დაკავშირებულნი იქნებიან პედაგოგიურად მოწყობილსა და ქართულის ნიადაგზედ დაყენებულს სკოლასთანა. მოგეხსენებათ, რომ თუ სალი ვაშლი გვერდით მოუდეს დამპალს ვაშლსა, იგი ზმ თავისს მეზობელს

ვერ გაასაღებს და თვითონაც დაღუპება. ასე მოხდება ამ შემთხვევაშიაც. დამბალი ნორმალური სკოლა უნაყოფოდ ჰქმნის ორსავე ხსენებულს პრაქტიკულს განყოფილებასა.

კიდევ ცოტაოდნად მოგვეტყვიებოდა ჩვენ ეს დიდი ცოდვა, რომ ნორმალური სკოლის გარეშე ხსნა არ იყოს, სხვა გვარი სკოლების დაარსება არ შეიძლებოდეს კანონით. მაგრამ ეს ასე არ არის. კანონს ჩვენის ხალხისათვის დაუდგენია ერთკლასიანი და ორ-კლასიანი სასოფლო სკოლები, რომელთა პროგრამაში ჯეროვანი ადგილი უჭირავს ქართულს ენას როგორც საგანს და როგორც ღონისძიებას სწავლებისას. და ეს პროგრამა რომ სვინიდისიანად და პატიოსნად სრულდებოდეს, კარგს სიკეთეს შესძღვნიდნენ ეს სკოლები ჩვენს ქვეყანას. აკი კიდევცა ჰძღვნიდნენ წინა წლებში, ვიდრე კანონიერს პროგრამას, მთავრობისაგან დადგენილს და დამტკიცებულს არა ჰღალატობდნენ. განა ამ სკოლების ნაყოფი არ არის უმთავრესად აღორძინება ამ ბოლოს წლებში ჩვენის მწიგნობრობისა? ან ამისთანა სკოლების გამრავლებას უნდა ჰქონდეს მიპყრობილი ჩვენი ყურადღება და აგრედვე იმას, რომ პროგრამა, აღიარებული კანონისაგან და გამოცემული სახელმძღვანელოდ მთავრობისაგან, ხორციელდებოდეს, სრულდებოდეს, როგორც რიგია, და ქართულს ენას არ აკლდებოდეს არც მცირეოდენი ნაწილი იმ უფლებებისა, რომელიც მინიჭებული აქვს ამ სკოლების პროგრამითა.

რა დასკვნა გამოდის ნათქვამიდან?

ის დასკვნა, რომ არამცაუ აღარც ერთი ნორმალური სკოლა აღარ უნდა დავაარსოთ ჩვენს ქვეყანაში, არამედ გვმართებს ყოველი ღონისძიება ვიხმართ, რათა დაარსებული ნორმალური სკოლები გადაკეთებულ იქმნას ყოველგან აღმოსავლეთს და დასავლეთს საქართველოში ორ-კლასიან სასოფლო სკოლებად სამეურნეო და სახელოსნო განყოფილების დამატებით.

ნაცნობი



# ზნაობის განვითარება

სქესობრივი მოკალი

Marchez. L'humanité ne vit pas d'une idée  
Elle éteint, chaque soir, celle qui l'a guidée.

Lamartine

ღაწარემ გადააჭარბა. — მოთხრობა ანასტასია ერისთავისა.  
(„მომამე“ 1894 წ. № V).

დარწმუნებული ვარ, ჩვენს საზოგადოებაში ბევრს „განათლებულებსაც“ რომ ჭკითხათ, ადამიანის როგორ მოქმედებას უნდა დაერქვას წინობრივი მოქმედება, — თითქმის ყველამ წესობით: ისეთს, რომელიც მოქმედის სკინიდისის წინააღმდეგი არაა. სხვა გვარ მას-უხს აქ არც კი უნდა ველოდეთ, რადგან ყოველი ჩვენგანი მატარობიდანვე ასეთს აჩრჩუა აღსრდილი.

რაც სკინიდისას წინააღმდეგი არაა, — წინობრივი საქციელია, — აი აჩრდი, რომელიც მუდამ გვესმის საზოგადოებაში, რომელსაც გვასწავლიან და ჩაგვიჩინებენ სასწავლებელში. ასეა კი მასსოგს, რომ ერთი მატრიცემული მასწავლებელი ასე გვისწავნისა შეგირდებს ამ წინობის საგანს: სკინიდისი დაუწყებელი ლთიურტი კანონია, რომელიც ღმერთს ადამიანის გულში ჩაუჩენია. ამ კანონს ვერ ამოშლის იქიდან კერავითარი ძალა, მას ხმას ვერ გაანუშებს ვერც სუსიდელო, ვერც სვეწინა-მუდარება. იგი დარაჟია კანონისა, რომელიც უნდა იქცეოდეს ლთიურ კანონის თანხმად. დაუძინებლად ადევნებს იგი თვალს ადამიანის მოქმედებას, — ბორბრისთვის სდენის და კეთილდისთვის უმეყოფილუის სიტყვებით ასაჩუქრებს. სკინიდი-



სას საფუძველი მსოფლიდ დემოკრატია... ეჭვი არა მაქვს, ამ პატივ-  
ცემულს მასწავლებელს თავის მოსწავლეთათვის კეთილი სურდა და  
მათ სწორე, ტემპარიტს გზაზე დაუენებს იყო მონდომებული,—ის  
ტვიქდაკებდა იმას, რაც დაფორტიკულ ტემპარიტებად მისჩნდა...

ასეთსავე აზრს ჰქადაგებს ვერაც მთელი ოფიციალური მეც-  
ნიერება... მაგალითად, საფრანგეთის ერთი ცნობილი მწერალი  
სწერს სვინიდისზე იმასევე, რაც სრულიად არაფრით არ განირ-  
ჩევა ჩემის მასწავლებლის საღაპარაგვისგან: «რომ ზნეობრივი გა-  
ნონის ავტიორიტეტი არსებობს,—ამბობს ის,—ეს ეჭვს ვარქმეა.  
მე არ ვსაჭიროებ პლატონის, თუნდ არისტოტელის სწავლებას, რომ  
ჩემი თავისუფლება განონს ეჭვიდებარება. ბუნება საგამოდ სმა-მალა  
ჰლადადებს ჩემს აზრებაში და, მიუხედავად ყოველგვარ სისტემისა,  
სრულიად საკებით ვიცი, თუ რომელია ცუდი ფოფა-ქტევა და რა-  
მელი—კარგი. როცა შვილი, რომელსაც ხელები ასისა და შექდილი  
მუშაობა, ჰქლავს თავის მამას შიმშილით,—განა მტირთ სკოლაში  
წასკლა იმის გასაკებად, რომ ასეთი შვილი საღასნაა? უნივერსი-  
ტეტა და აკადემიების უმერნიერესი მეცნიერიც კი უბრალო მწე-  
მსზე წინ არა დგას ამ საგნის შესახებ. შეგდივარ სსსლში, რომე-  
ლიც არაა ჩემი; ვრწმუნდები, რომ არავის არ შეუძლია გამიგოს;  
ვრწმუნდები, რომ ჩემს აქ მოსკლას ვერას დროს ვერავინ გაიგებს;  
ეჭვი არა მაქვს, რომ დაფსჯელად გადაკრები და კჭვიდებ ხელს  
სხვის ქანებას, ნაფოფს სხვისის შრომისას: მაგრამ ეს რისგანაა,  
რომ ვგანკალბ ამ უშიშარს ადგილას? საიდანაა, რომ გულის გამ-  
გმინავი ტვივილი წნდება ჩემში და თავს არ მასებებს? საზოგადო-  
ქბა განუმებული იქნება, მაგრამ ჩემი სვინიდისი ვი—არას დროს.  
ეს არც ჩემი საპატიო ღირსებისგანაა, არც ჩემის დროისა და ქვე-  
ენის და ჩემის აღზრდის მიზეზისგან. ეს იქიდან წარმოსდგება,  
რომ მე ვარ ადამიანი, ანჯავის, ვარდა ლეთისა, არ ჩაუნტვავს ჩემ-  
ში სვინიდისი \*)». — «არსებობს მსოფლიდ ერთი ძველი და შეურ-  
ყვეელი პრინციპი,—განავრძობს ესევე ავტორი,—მსოფლიდ ერთი  
პრინციპი, რომელიც არ არის დამოკიდებული არც სისტემებზე

\*) La Liberté par Jules Simon, Paris 83. 7.

(საფილოსოფიოზედ), არც ცრუ-მოწმუნებებსა და კნებათა ლელ-  
კასე და არც მეტნიერებასუ: ეს არის პრინციპი მოკლეობისა\*)).

საჭირო არ არის, თორემ შეგვიღლია ასეთი ამონაწერები ბლ-  
მად მოკლეობით სისკა მწერლების ნაწერებიდანაც. მაგრამ უეღგან  
ერთისა და იმავეს განსავთ. აქედანაც უგვე ვსედავთ, რომ ზნობრი-  
ვი გრძნობა მიხსეჟლია ბუნებრივი თან-დაყოლილ, გუელში ჩანერ-  
გილ თვისებად აღმიანისა; რომ ზნობრივი პრინციპები, იდეები არ  
იტყვება, ანუ, უიულ სიმონის სიტყვით, «მკვიდრი და შეუწყველია»,  
მათთან შეცვლის და განვითარების განიხებს სელი არა აქას; რომ  
სვინდისი ყოველთვის. შეუცთომელი მსაჯულია აღმიანის მოქმე-  
დებისა.

მასხადამე, 1, თან-დაყოლილობა (врожденность) ზნობრი-  
ვი პრინციპებისა, 2, მათი შეუცვლელობა ანუ განუვითარებლობა\*\*) და 3, სვინდისის მსჯავრის შეუცთომლობა, ჭეშმარიტება, — აი  
ორის სიტყვით საზოგადოებაში და მწერლობაში გავრცელებული  
აზრი ზნობრივს ბუნებასე აღმიანისა. ქვემოდ ვეცდებით გამოკრ-  
კვიით შეძლების დაგვარად და დაგანასვით მეთისველს, თუ რამ-  
დენად მართლია ეს აზრი. ვეცდებით ვუჩვენოთ, რომ ამ უგანს-  
კნელ დროს შესამჩნევად წინ წასულამ და განვითარებამ ანთროპო-  
ლოგიისამ არ გამართლა ასეთი აზრი ძველ მეტნიერთა და ფილო-  
სოფოსთა... ეთნოგრაფიის გამდიდრების წყალობით შესამღებელი  
შეიქნა, რომ ზნობასაც, ამ დაუშრეტელ საკანს ურიცხვ ფილო-  
სოფიურ ტრაქტასებისას, რეალური საფუძველი მისცემოდა და მი-  
სი წარმოდგომის და განვითარების განიხები გაცეხულიყო...

## I

შარშან ჟურნალ «მოამბეში» დაიბეჭდა ქ-ნ ან. ერისთავის მო-  
თხრობა, რომელიც ამ წერილის სათაურშივე აღწინშეთ: «ლან-  
რემ გადაატარა». ჩვენ ამ მოთხრობას შეგვეხებით იმდენად, რამდე-  
ნდაც ვაზოვებთ შიგ მასხალს ჩვენის სავნის გამოსარკვევად. ჩვენს

\*) La Liberté par Jules Simon, Pa, ris 33. 7.

\*\*) იხ. მიკილ. Бокль—История Цивилизации въ Англіи, т. I.

წერილს კრიტიკა არა აქვს სავანად და ამიტომ მკითხველა, იმედია, შენდომასში და ნაკლულულებასში არ ჩამოგვართმევს, რომ აქ ამ მოთხრობის განხილვას ვერ ჭინჯავს.

1-ს ან. ურისთავის მოთხრობა გლეხთა ცხოვრებას შეეხება.  
 გლეხის გოგონს ირინეს და ასაღვანდა გლეხის ზურთა შავარდა-შვილს შეუწყვანდებათ ერთმანერთი მიუხედავად იმისა, რომ ისინი ნათესავეები არიან: ზურთა ირინეს მამის მონათლულია. აქედან წარმოხდებოდა მათი სულელოვნი ტანჯვა, წვალება. თუმცა ეს ტანჯვა, ფსიქოლოგიური კერძობა მოთხრობაში საკმაოდ კარგად ვერ არის დასატული, მაგრამ რა გაეწეობა, რაც არის, იმას უნდა დავეკმაყოფილოდეთ...

«ნათლავისას სშირად დაიარებოდა ზურთა, რომეფსაც უყვარდა ყველა, მეტადრე ირინე. მას ისე უყურებდა, როგორც დასა, მაგრამ ბოლოს ამ გრძობაში იმის შეუმჩნეველად უცნაური მიმართულება მიიღო. ღლითი-ღლე, რაც ხანი მიდიოდა, ამისი გული რაღაც მოუხეხრობას ჭკრძობდა. მთელს პევეანსე ირინესთან მშენიერეს, ლამაზს, ქესკუძის, მიმზიდველს ვერ სედაკენენ ამისი თვალები... როგორც კი დაშორდებოდა მას, გული უწევდა კენესას, წივილს, ზურთას ემიდანებოდა, მოსვენებას არ აძლევდა, სადღაც ეწეოდა; ესეც ყურ-მიჯდებული ხან აქეთ მიდიოდა, ხან იქით, მაგრამ დასამშვიდებელ წამალს მანც ვერ პოულობდა. მოვიდოდა ირინესთან, მაშინ კი გულს მისი ნახვა ესაღმუნებოდა, გამეურნებელ მალამოდ უხდებოდა, აღარა კენესოდა, ინახებოდა. პირველში ვერ გავგო, რასა ნიშნავდა ყველა ეს... ზურთა წავიდა ერთი კვირით ცნინვალში, მაგრამ მალე იგრძნო სიბოძლე, სულმა შეოთვა დაუწეო, სანქაროდ მოშორდა იმ სიშორეს, გამოსწია თავის ფეხების სავანისკენ, რომელიც გულის ფანტქალით, აღტაცებით დაუსგადა».

«— რა მძა მყავს! რა მძა... ისე არ მოვა არსიდანა, რომ არა მომიტანოს-რა, თავს შემოკეკლე, წამლად დაკენაყე!.. ფეხობდა გულში ირინე.»

«— განა სსუებს კი არა ჭყავთ ამისთანა ძმები მერე! მაგრამ ასე გაგიყვით კი არ უყვართ... მე კი მიყვარს, ძლიერ, ძლიერ! იმიტომ რომ ლამაზია, მშენიერია, იმიტომ რომ ჩემი ძმას! დაეი-

ნებით იმეორებდა გულში, თითქოს ამ უკანასკნელ სიტყვებზე ვიღაც უსირდებოდა, ეწინააღმდეგებოდა და ეს კი გაცნასრებით ცდილობდა დაეკურებინა».

ზურია ჰსედავს რა გრძნობაც აღძვრია, ჰგრძნობს მის სიტუბოებს, მაგრამ თან შიშის ზარი იტანს. ცდილობს დააწმენოს თავი, რომ ეს ტყუილია, არ შეიძლება, მაგრამ გრძნობა მაინც «უსირდება, ეწინააღმდეგება».

«აგერა ზურისას სახე წამოუწითლდა, თვალები გაუბრწყინდნენ, გულმა ძალზე დაუწყო ძვრა, რომელიც გამოიწვია ირინეს მავალა თვალებმა. ეს თვალები ისროდნენ ნაპერწკლებს, ნაპერწკლები მწკაკ ისრებად გარდაჭტეულის შიგ გულში უგლიდნენ ზურისას და მოუსვენრად უღიბებდნენ»...

«— ზურია! ჩაფიქრებულნი რათა სარ? სომ არ გენახება, ბუზიკა რომ მომიტანე, ჰა?— დაეკითხა ქალი ღიმილით. ზურია მამა არ გასცა, თვალები მოსუჭა.

«— გენაცვალე, მითხარი...— გაიმეორა ირინემ. უფრო ახლო მივიდა, უფრო მეტად დაასტერა მშენიერი თვალები. ზურიას რაღაც ადგეობა დატყუო, თვალებზე გადაისვა სელი, შესედა ირინეს...

«— იქით, იქით!.. ნუ მისალოვლები, ნუ!... წარმოსთქვა ზურია მართლებულის ხმით.

«— რათა?! განა მიჯვარდება?... მე რა დაგიმხვე?... მე მინდოდა მადლობა მეტქვა, რომ ბუზიკა მომიტანე და შენ კი... ირინემ შესწევიტა ლაპარაკი, როდესაც ნახს, რომ ზურისას იყრმა გადაჭკრა; შემკრთაღმა ქალმა უკან დაიწია... ზურია მამაკრიფა გონება და ბარბანით გამოვიდა კარზე, სიომ შემოჭკრა სახეში, შუბლი გაუტრიალა».

«— ამაზე მეტი უბედურება კიდევ შეიძლება!.. თავის მასლობელს როგორ არ უნდა დაუხსლოვდეს კანი უშიშრად, არსეინად?... ფიქრობდა ზურია. რა ამბავია? არა, არ შეიძლება, მიკნენება, ავთა კარ... დაუმატა მან».

ირინეშიაც ძლიერმა გრძნობამ, არა დამეურმა, როგორც პირველში იყო, არამედ უფრო სსკა «მიმართულების» გრძნობამ, თუმი-

და ვერ გიღვე გამოურჩეველად, იწყო ზრდა, უფრო და უფრო ღრმად ფესვების გაღება...

«იზინეს თავი მიენდო კედლისთვის და ისე უძრავად იყო. ეს ოცნებობდა ზურიაზე. ზურიაში სელი ჰქონდა, დაუშალა ახლო მისკლას. მერე რანაირის ვედრებით შეჭურვებდა იზინეს... უყვარს, ძლიერ, ძლიერ... ზურია სსკებთანაც უნახავს, მაგრამ ამ სახით არა, დებსაც ეალერსება ხალხი, ასე კი არა... იზინე იუფრება აქეთ-იქით. განა იზინეს კი არ უყვარს?... ამის საყვარელი ძმა... დაცა, როცა გათხოვდება, მაშინ ზურიას მეჯვარედ წაიყვანს, კვლევისაში შევლენ, ზურია ბეჭედს შეუცვლის... მერე თან წაჭყვება, იძლეებს, ითამაშებს, სამს დღეს დაჩნება... მერე... აქ იზინეს ოცნებას რაღაც ბურუსი ედება.—მერე დაბრუნდება და... ისიც ცოლს შეირთავს... ამ ფიქრზე გული სწყდება, თითქო ყელში დულილით მოსდის რაღაცა, რაკდენიშე წამი შავი გრძელი წამწამები ენამება ცრემლებით».

იზინე ვერ ურიგდება იმ აზრს, რომ ზურიაში სსკვა ვინმე შეირთოს ცოლად:

«— შენ განაცალე, ჩემო მშვენიერო,—სსკასთვის როგორ გაგიმეტო, როდესაც მიყვარხარ? ჩემი სარ და მეც შენი ვარ სამუდამოდ, ჩემო სიცოცხლე!.. უნებურად გაიმეორეს მისმა ტუჩებმა...»

ზურიაში სცადა, რომ მის გულში დაბადებული გრძნობა, რომლის მოთხოვნების განსორცხელება მას სკულის, ზნეობის და ჩვეულების წინააღმდეგად მახინდა, ისევე თავის გულშივე ჩაეკლა, გარედ არ ამოესედებინა:

«— შორს, შორს!—მანდა ზურია.—შორს, თორე დიდი რისსკა, დიდა უბედურება, სოფლისიგან მოძულება, შეჩვენება მოკვლის!»

ამიტომ გაიქცა გომს სამუშაოდ, რომ, იზინეს დაშორებულს, შესძლებოდა თავისის აზრის შესრულება. მაგრამ ფიქრი ტუფილი გამოდგა,—მან ვერ გაუძლო «გულის კენესას» და ისევე თავის სოფლისკენ გამოეშურა.

«— იზინე, ჩემო ღმერთ, რატომ არ მოკვდი მაშინ, როცა მამა-შენი მნათლავდა? ახლა რა კენა?... ჩემთვის აუტანელი მწუხარე-

ბა იქნება შენი დაშორება, უამისობა კი არ იქნება, — უთხრა. სუ-  
რამი, როცა გული მოიჭკრა აღეწით.

«— რატომ?.. თუ კი გვიყვარს ერთმანეთი?..»

«— მე რე ღმერთი? სჯალსა?»

«— ზურია!.. — შესძახა ირინემ, რომელიც შეკრთა, შეშინდა.

«— გაისისყნე, ირინე, რა შემცოდენი ვართ? ქალმა მიიფარა სა-  
სეზე სელეზა.

აქ ირინემ თავის გათხოვებაზე შეჭფიცა ზურიას და შემდეგ  
დაშორდნენ ერთმანეთს.

მაგრამ ამ დაშორებით კიდევ მეტა სიმწვავე მოემატა ირინეს  
ტანჯვას:

«— ნეტა როგორც თქმა ადვილი, ისე ასრულება გადავიღ-  
ებოდეს. დაგშორდეთ სამუდამოდ? მე რე აიტანს ჩემი გული? — ფიქ-  
რობდა ირინე. — ესაა რა აქ იყვას, გულში ჩაკეკროდი. შორს უნ-  
და იქნეთ? შემცოდენი ვართ?.. რათა?.. ერთმანეთი რა გვიყვარს?..  
ღმერთს რა საქმე აქვს მერე?.. ნათლები რა ვართ?.. ჩვენი რა  
ბრალი? იმეორებდა გულში ირინე.

ამას შემდეგ არ გაუგვია ბევრ ხანს, რომ ირინე მასდა უნე-  
ბურად მათხოვეს მისმა მშობლებმა კაი შემძლებელ ოჯახის მკვილს,  
ჯმუნხანთ მიტროს.

ზურიას დაშორებამ, თავის თავადაც უიმედო სიყვარულის სრუ-  
ლიად იმედის დაკარგვამ, ზურიასთვის დალატმა, ფიცის გატყუებამ,  
თავის უსებურად გათხოვებამ და ისეთს ოჯახში ცხოვრებამ, რომ-  
ელშიც ქმინდანი მოყოლებული დედამთილამდის ყველა სძაგდა და  
ეჭვარებოდა, მოსტყას და მოშალა ირინეს ატებულება. იგი დაკან-  
ძყოფდა, ნერვები აშალა და ოდესღაც «თსუთმეტის წლას ფერ-  
ხორცილთ სასეუ ღამაში ირინე» ისე დამბუნდა, რომ სულ უბრალე  
აღელვება საკმარისი იყო მისთვის, რომ გული წასვლოდა.

ამ მდგომარეობაში იყო ირინე, როცა ზურია, აქამდის სად-  
ღაც გადაკარგული ისე გაშინდა. ესტუმრა ირინეს ისე წინანდერ  
ბუფად შეუერთბილი სიყვარულით.

«— მეტად სუსტი გამოგდქ, — უბნებოდა ის ირინეს, — გულ-  
მა გაიძარჯვა, გონებას ბორკილი დაადო, ღონე გამამიღია... ავი

თავი დაგანებუ, გადავიკარგე, მაგრამ შორიდან თვალს გადავინებდი... მართალია, გითხარი, უნდა დავივიწყოთ ერთმანეთი-მეთქი, მაგრამ ვერ შევძელი... ავი აქნობამდინ თავი ვიმაგრე... თვალთ არ დაგინახე, მაგრამ მანც საშეკელი არ არის... ჩემო საყდარო, შენ უნდა გამითხარო საფლავა, შენ უნდა დამძარსო...

«— ზურია, რად ამბობ მაგასა?.. ღმერთი დავივიწყდა?.. არ გეშინიან?..— წარმოსთქვა შეშინებულმა ირინემ, როდესაც აღელვებული ზურია მიუხსლოვდა მას.

«— ჩემო სიკვდილო, ჩემო სიცოცხლე!— შესძახა ამან, შემიჯნვია ათრთოლებული სელები ქალს, რომელსაც უნდოდა გაბრძოლებს, მაგრამ ვეღარ მოასყრსა, ესეც დაათრო, დონე წაერთო, მოსუჭა თვალეები რამდენსამ წამს და მათი ტუჩები ტბილად შეეწებნენ ერთმანეთს. ბავშვის ტირილმა გამოაფხიზლა შეუვარებულეება, გონსე მოიკვანა. ირინემ გაინთავისყოვლა თავი სატროფოს მელაკეზიბინ.

«— სიკვდილი, ღვთის წყრომსა!..— ჩილაპარაკა მან, მიიფარა სასეზე სელები და აქვითქვითდა. ზურია კარსე გამოკარდა».

მეორე დღეს ზურია და მიტრო, ირინეს ქმარი, ურმით შესის მოსატანად წავიდნენ და აი აქ, ტუეში, ზურია ბუნების სტიქონის მსხვერპლი შეიქნა: მესი დაეცა. მკვდარი ზურია მიტრომ ურემზე დასდო და შინ მოიტანა; აქ ირინე შეეკება, მაგრამ რანახა გამაკებული მკვდარი ზურია, ერთი საშინლად შეჭკივლა და... და ჭკუასე შესცდა..

ეს არის მოკლედ შინაარსი ქნ ან. კრისტავის მოთხრობისა. როგორც ჰსედავს მკითხველი, აქ უბირველეს ყოვლისა ირინე იტანება უმიქლო სიყვარულით, მაგრამ არა ნაკლებ სტანჯუას ის გრძნობს, რომ იგი ცოდვის ჩამდენია, ნათესაობის არ დამინდეკე, ღვთის და სჯულის მკომბელი, სვინდისზე სელ-ადლებული. გათხოვების შემდეგ ანას ემტება ის გარემოება, რომ ირინე შეიქნა ფიცის გამტენი, რადგან ზურიასთვის მიცემული ფიცი ვერ შესრულდა და გათხოვდა. მართალია, სიყვარულით ძლიერებით დამონებულად, რამდენჯერმე იმიერებს: «შემცოდენა ვართ?.. რათა?.. ერთმანეთი რო გვიყვარს?.. ღმერთს რა საქმე აქვს მერე?.. ნათლები



რო ვართ?... ჩვენი რა ბრალისა?...» მაგრამ როცა დაფიქრდება და გონებას ააღაპარაკებს, კერ ჭბედავს ამავე სიტყვების განმეორებას. ტყვილად ვი არ უგებნება ზურია: «მეტად სუსტი გამოვლექ, გუღმა გაიძარჯვას, გონებას ბორკილი დაადო, ღონე გამოძილია...» დიად, აქ «გონებასა» და «გულს» შუა ბრძოლაა, უთანხმოება. გულს ერთი ჭსურს, გონებას—მეორე. პირველი სიამოვნებისკენ იწეკს, მეორე კანონისკენ. პირველს პირადობა ახსოვს, მეორეს რაღაც განუყებუ-ლი მოკლევობა. რატომ ვერ მორიგებულან ეს ორნი ერთად? რად გაუჩნდის თავის სავყარულს ზურია? რას ებძვის ირინე, ვინ არის მტერი? მგვრამ არა,—ის ჭსედავს, რომ მის გულში დაბადებული გრძნობა მისის პირავენების მტერი არაა, იმისი განსორციელება მი-სი პირადი ბედნიერებაა. მამ რაღასთვის ვერ ისრულებს თავის პირადს ბედნიერებას?—არ შეიძლება,—კრძალულია. რისთვის?—ნა-თვისაობისთვის. ვინ აღკრძალა?—სჯულმა. კიდეკ? საღსმა, ჩვეუ-ლებამ, გონებამ, ზნეობა-სკინიღისმა. კერძოდ ვინ უშლის ესლა?— ყველა ერთად, უფრო დასილავებით ვი—ზნეობა...

მასსადაძმე, მოთხრობის დედა-ძრღვს, საფუძველს, რამელ-ზედაც ატებულია მთელი მისი შინაარსი, შეადგენს შემდეგი გარე-მოება: ერთის მხრით სიყვარული, როგორც ორგანიული მოთხრო-ნილება ადამიანისა, და მეორეს მხრით—ზნეობრივი წარმოდგენა, როგორც ამწონ-ამზომი ამ მოთხრობილების სიაკ-კარგისა, თვისუ-ბა-ღირსებისა.

## II

ამგვარად, ირინეს და ზურიას სიყვარულს, მათს პირადს ბე-დნიერებას ხელს უშლის, ებძვის ზნეობრივი გრძნობა, რადგან ისინი ნათესავები არიან. აქ ზნეობის შინაარსი დაშვარებულია ნა-თვისაობაზე: ისინი რომ ნათესავები არა ყოფილიყვნენ, ზურია რომ ნინიკას (ირინეს მამა) მონათლული არა ყოფილიყო, მათი ცსოკ-რება ამ ტანჯვას აშორებული იქნებოდა, რომელიც მოთხრობაშია დასურათებული, რადგან კერავერი დაუშლიდა «კანონიერ» ცოლ-ქმრულის კავშირით შეუღლულიყვნენ.



როგორ წარმოადგას ასეთი ზნეობრივი პრინციპი? ან იქნება არ წარმომდგარა, არამედ ჩანერგილია ჩვენს გულში, როგორ სშირად ამბობენ, არა ბუნებრივის ძალის პირველადი ადამიანის განქინდინება? მაგრამ ურიცხვი ფაქტება, რომლებსაც გააწვდის ეთნოგრაფია, სრულიად წინააღმდეგს გვეუბნება. ეს ფაქტები გვიჩვენებს, რომ არა თუ მარტო ის, რაც ზურას და ირანეს სვინიდისის წინააღმდეგად მაინათ, ოდესმე არ მიხნდა უზნეობად და ცუდ რამედ მთელს კაცობრიობას, არამედ ყველა ჩვენი წარმოდგენისა ცუდისა და კეთილსე, უზნესისა და ზნეობრივის საქციალსე სრულიად უნსო და გაუგებარი იყო მისთვის. ესლანდელს დროში ჩვენი ზნეობრივი გრძნობა ძრწუნდება და აღმოფოთოებაში მოდის, როცა, როგორც იშვიათა დანაშაულობა, გვესმის, რომ მამას თავის ქალთან და მმას თავის დასთან ჭჭინია სქესებრივი დამოკიდებულებაო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ძველად მთელს კაცობრიობაში და ესლაც ბეკრ ველერ ხალხში ასეთი მოკლენა სრულიად ჩვეულებრივი მოკლენა იყო და არის. აი ამის ორიოდუ მაგალითი. სპენსერს თავის «სოციალოლოგიაში» მოჭყავს ამის შესახებ შემდეგი ფაქტება.— გირნი მოკეთისრობსო, — ამბობს ის, — რომ ჩიპუელები არიან სქესებრივს დამოკიდებულებაში ნამდვილს დედებთან და სშირად თავიანთ დებს და ქალიშვილებს ირთავენ ცოლებადო. ესევე უნდა ითქვას კადიაკლების შესახებაც. ველერის სიტყვით, ტესისანერიმის მცხოვრებთა შორის მეუღლეობითი კავშირი დასა და მმას შუა ან და მამასა და ქალიშვილს შორის ესლანდელს დროშიაც კი სრულიად არ წარმოადგენს არა ჩვეულებრივს მოკლენას. გონსალვის და ვაბუას შეეყვები, ადრიკაში, ირთვენ ცოლებად თავიანთ უმიფროს ქალიშვილებს, და დედოფლები კი მიჭყვებიან ცოლებად თავიანთ უმიფროს ვაჟებს. პან-ჩე-ჩეში მმის და დის შეუღლება არ იყო ავკრძალული. კალის მცხოვრებნი «ირთავდნენ თავიანთ მმის-წულებს და სოკიერთი დიდებულები თავიანთ დებსაც». პერუში «ინკებმა დააწესეს კანონი, რომ სამეფოს შემკვიდრეს შეერთო ცოლად ყოველთვის თავისი უმიფროსი და, რომელიც უნდა ყოფილიყო მისი კანონიერი და როგორც მამის, ისე დელის მსრით». სანდვიისი გუნძულთა შეყვების შვილები სშირად უკავშირდებიან თავიანთ დებს ცოლ-ქმრულის კავ-

შირით. დის ცოლად შერთვა სშირი მოკლენა იყო მალაგასკელთა და ეგვიპტეელთა შორისაც. პტალომეები ირთავდნენ თავიანთ დებს, ძმის წულებს და ბიძაშვილებს. ეედანებს შორის გაგრცელებული იყო ჩვეულება უმცროსის დის შერთვისა \*). — ტერტულიანის და კლიმენტ ალექსანდრიელის სიტყვით, სპარსელებს სძარად ჭყავდათ ცოლებად დედები და დები. ამასვე ჰმოწმობს იერონიმეც, რომ მიდიელებს სქესებრივი კავშირი ჰქონდათ თავიანთ დედებთან, ქალიშვილებთან და ძმისწულებთან. კამბიზი, მაგალითად, სპარსელთა მეფე, ქმარი იყო თავისი დეიძლი დისა. არკაქსერქსს ცოლად ჭყავდა ჯერ ერთი თავისი ქალიშვილი და შემდეგ მეორე. პტალომეის გარდმცემით, მცხოვრებთ ინდოეთისა, არიანისა, გდროშიის, პანფიის, მიდიის, ბაბილონის, მესოპოტამიის და ასირეთისა სუკლათი, — რასაკვირველია, კანონიერად, — თავიანთ დედების შერთვა. წმ. იერონიმეს გარდმცემით, მიდიელები, ინდუსება, სპარსნი და კთიოპონი ირთავდნენ ცოლებად დედებს, ბებებს, ქალიშვილებს და შვილის-შვილებს. ასეთივე ჩვეულება იყო გაგრცელებული შოტლანდიელთა და ირლანდიელთა, ფრეგვიელთა და კალატელთა შორის. ქოროწინება ახლო ნათესავებს შუა გაგრცელებული იყო ქანანში, იბინიაში, საცა ღვიძლი დების და ძმისწულების შერთვა სრულიად ჩვეულებრივ მოკლენას შეადგენდა. მაკედონიაში მშობლება სძირად ირთავდნენ თავიანთ შვილებს და სხვ. \*\*) კობრელებშია ნათესავებში ქოროწინება ძალიან გაგრცელებული იყო. სარა და იყო და ამასთან მეუღლეც აბრამისა, საქორი — ქმარი თავის ძმისწულისა, რაჭილა და ღია, აკობის ცოლები, იყენენ შვილები ლეანის, აკობის ბიძისა. მოსეს მამას, აბრამს, ცოლად ჭყავდა თავისი მამიდა. თვითონ მოსემ აღკრძალა შემდეგ ქოროწინება მამიდასა და ძმის შვილს შუა; მასვე აღკრძალა აგრედვე შერთვა დედისა, დედინაცვლისა, დისა, შვილის შვილისა, რძლისა (ესე იგი შვილის ცოლისა), გერისა, სიდედრისა და ცოლის დის (ცოლის სიტყვს-ლეში), მაგრამ კანონად დასდო ძმის ცოლის შერთვა მეორე ძმის

\*) Спенсеръ.—Основанія социологіи, т. II, гл. 673 და შემდ.

\*\*) იხ. ფურნ. „Знамя“ 1876

ან ასლო ნათესავის მიერ, თუ ვარდაცვლილს შემკვიდრე არ დაჩეხებოდა. ესეთს შემთხვევაში ასლო ნათესავს უნდა შეერთო ქვრივი და ასეთი ქორწინებიდან წარმომდგარი შვილები ითულებოდნენ პირველ ქმრის შიამომავლობად.

ეს ორიოდე ფაქტიც, რომლის მსგავსი, რომ საჭირო იყოს, შეგვიძლია ბლომად მოვიყვანოთ, ნათლად გვიჩვენებს, რომ ნათესაობის საფუძველზე ატებული ზნეობრივი გრძნობა არ შეადგენს თან-დაყოლილს თვისებას ადამიანის ბუნებისას. ეს რომ ასე არა ყოფილიყო, დედასთან სქესებრივის კავშირის დატყუარას ისევე ზიზღით უნდა უეუბრებდეს გელური კაცი, როგორც უცქერის ამას ეს-ლანდელი ადამიანი. მაგრამ ეს ასე არ არის. ველურ, განვითარებულ ხალხის წარმოდგენით, სრულიად არაფერი ბიწიერება არ არის, რომ დედა შვილს უკავშირდება, მამა თავის ქალს და მამა — დას. მათის შესყდულებით ეს ისეთივე ჩვეულებრივი, უბრალო მოკვლევას, როგორც ჩვენში ცოლის თუ ქმრის შერთვა. ვიმოკრებთ, ცივილიზაციის ამ ხანში მთელის კაცობრიობისათვის სრულიად უცნოა უკვლას ჩვენს ეხლანდელი წარმოდგენანი არა თუ ნათესაობის შესახებ, არამედ საზოგადოდ სქესებრივ დამოკიდებულების შესახებაც. ის, რაც ჩვენ სამარცხვინოდ, უზნეობად, ვარყვნილებად მიგუჩინია, მათში ასეთ რამედ სრულიად არ ითულება. აკურტრალიაში, მაგალითად, ახალგაზ-და უქმრო ქალი სქესებრივი მოთხოვნილების დამკვიდრების მხრით სრულიად არავითარ ფორმალობით არ არის შეზღუდული და თავისის სხეულის მოხმარება ისე შეუძლია, როგორცა ჰსურს. შეუძლია, როცა და ვისაც უნდა, დაჰყებდეს და საზოგადოების აზრი სრულიად არ გატყუარებს ამისთვის, რადგან აქ არა ჩვეულებრივი არა არის-რა. ახალგაზდა ბიჭები, ვერ კიდევ მთლად ბავშვები, და ათის წლის გოგონები უკვე იწუბენ ერთმანეთში სქესებრივს დამოკიდებულებას. მათს მშობლებს ეს ცუდ საქმედ სრულიად არ მიაჩნიათ და თვითონაც ხშირად აქვთ მათთან ასეთი დამოკიდებულება. დამთ, თუ ვინმე უცხრეული ან მოგზაური მათში მისული, ახალგაზდა ქალები მიდიან ამ მკზავრთან დასაწოლად და დროებით გასა-ტარებლად. ასეთივე ჩვეულებას ვაერცვლებული ახალს კალდონიანში,

ანდამანის გუნძულებზე და სსკ. \*) — ორივე სქესისთვის სიტუტელე სამარცხვინოდ არ ითვლებოდა. ქალები სულ უბრალო მინუსას გამოიხდინენ ტანთსაცმელს და ასეთს გატიტვლებას სრულიად არაკითარის მნიშვნელობას არ აძლევდნენ. ტიტის გუნძულზე ქალები ტიტელდებოდნენ წელიდან მოყოლებული ფესებადის და ეს, მათი შესედელებით, მოლოდ წინდილობას მოასწავებდა, როგორც ჩვენში მისაღმებაა. წყალში ბანაობის დროს სრულიად არ ცდილობდნენ, რომ სსეული დაეფარათ, სშირად გოტებადის წყალში სდებოდნენ ისეა ალაგას, საცა უცხოელნი მრავლად მიდი-მოდიოდნენ. ქრისტიანობის გარტვლებამაც გი ეერ აღმოფხვრა მათში ასეთი უზრუნველობა შესასებ წრდილობიანის მოქმედებისა საზოგადოდ. პოლინეზიელ ქალებსაც, როგორც ბეერ სსკა ქვეენის კელურთ, სირცხვილისა არა გაეკებოდათ-არა. ასაღვზდა ქალები, როგორც უსსუიდლოდ, ისე სსსუიდლით ეძლეოდნენ მამაკაცებს და მათი მშობლები არა თუ უშლიდნენ ამას, — შირიქით, აქვებდნენ გიდეც, რადგან შვილების ასეთის საცტიელით ცოტა თუ ბეერი სარკებლობაცა ქქონდათ... ამ შირიქ დაფარული არა იყო-არა, როგორც დაფარული არა არის-არა შირიქტვთა შორის. თვით სასლშაც გი არ შეიძლებოდა საქმის დაფარვა, რადგან კარებს სასურვების მეტი თითქმის არა გაანდათ-არა და წვერნი ერთის კარვისა ეკელანი ერთად, ერთმანეთის გვერდით წვებოდნენ, სრულიად ტიტველნი... გუგის სიტუტით, მათ არაკითარი წარმოადგენს არ ქქონდათ წრდილობა-სირცხვილზე და თავის მოთხოვნილებას იკმაყოფილებდნენ ეკელას თვალ-წინ, დაფარავად, როგორც ჩვენ გსვამთ და კქამთ სოლმე ჩვენს ნათესავებთან და მეგობრებთან ერთად. როგორც გი გამიხნდებოდა ეეროპელი სომალდი ზღვაში, მამინეე მკვიდრთა ქალები სსდებოდნენ ნაკებში, მიეშურებოდნენ ეეროპელებისაკენ და აღიოდნენ სომალდზე, საცა ჰნებდებოდნენ, ანუ უკედ, ძალად ეძლეოდნენ ჰასაყირებს სულ უბრალო ნივთიერებისთვის: უბრალო შუშის ნატეხი, ან ლურსმანი ან სსკა რამ. ასეთი უმნიშვნელო ნივთი საგმარისი იყო სსსუიდლად... ვინც ნაკში ადგილს ვერ პოულობდნენ,

\*) Letourneau Ch. L' évolution de la morale. Paris 1887, 33. 137.

ცურვით მიდიოდნენ გემთან და ადიოდნენ ზედ სრულიად ტიტეელნი. როცა ევროპელი აფიცრები გადმოდიოდნენ გემიდან სძელეთზე, მოსვენება არა ჰქონდათ ასაღვასა და ქალებსაცან...\*)

III

აი როგორნი იყვნენ ჩვენი წინაპარნი! უსკინიდიარნი, უზნეონი, განა? მაგრამ ეს დასკვნა ბოლომდის შემოინახათ. ვერ საჭირთა გამოკარკით, თუ რა მიზეზებმა გამოიწვია კაცობრიობაში ზნეობრივი მოთხოვნილებანი, როგორ ჩავსახა ადამიანს ზნეობრივი გრძნობა, ერთის სიტყვით, როგორ მოხდა, რომ ჩვენს წინაპარს პოლინეზიელს, მაგალითად, მორალისა არა ესმის-რა და ჩვენ კი, მის შთამომავლობას, სწორედ ამ მორალით მოგვაქვს თავი და ის ადამიანი, რომელიც ზნეობა-დაცემულია, ზნეობით ნაკლებადა განვითარებული, ჩვენს თავლში ჰგარგავს ფასს, პატვისცემისა?

ამის პასუხს საკმაოდ ნათლად გვაძლევს ესლანდელო მეცნიერება. ის გვეუბნება, რომ ადამიანის ზნეობრივის კერძობის განვითარება დამოკიდებული იყო და არის თვით კაცობრიობის საზოგადოებრივ ცხოვრების პრაგრესზე, მის განვითარებაზე. რამდენადაც წინ იწედა საზოგადოებრივი ცხოვრება, იმდენა წინ მიდიოდა მორალური კერძობაც. არ იყო საზოგადოებრივი ცხოვრება, — არ არსებობდა ზნეობაც; დაარსდა საზოგადოება, დაიწყო საზოგადოებრივი ცხოვრება, — წარმოსდგა ზნეობაც, კითარცა ვამომხატველი საზოგადოების წევრთ შორის არსებულ ურთიერთობისა. ცხოვრება ფერს იცვლიდა, წინ მიდიოდა, ძველი იძლებოდა, ახალი შენდებოდა, ამას იან მოსდევდა საზოგადოების წევრთ შორის ურთიერთობის შეცვლა, გადასხვაფერება, ამ ურთიერთობის შეცვლის თანახმად იცვლებოდა ზნეობაც; ძველის ურთიერთობის გამომხატველი პრინციპები თან-და-თან უკან დგებოდა, შემდეგ სულ ჰქვებოდა და ახალს ნიადგზე, ახლის შინაარსის, ახალ ურთიერთობათა გამომხატველი მორალი იბადებოდა...

\*) Letourneau loc. cit. გვ. 142—145.

ამ სახით, წინააღმდეგობა და მისი განვითარება მჭიდროდ დაკავშირებულია საზოგადოებრივ ცხოვრების დასრულებასა და მის პრაქტიკულად. «როცა ორი არსება, — ამბობს ლეტურნო, — რომელიც ბუნებით მინიჭებული აქვთ გრძობა-აწროვნება, თუ მცა მალან განუვითარებელიც იყოს იგი გრძობა-აწროვნება, სცხვრობენ ერთად, ერთმანეთს უკავშირდებიან, თუნდა ღრუბლით, რაიმე სურვილის მისაღწევად, — მორალი, ასეთი თუ ისეთი წინააღმდეგობა უნდა დაიბადოს მათში. აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, რომ თვითუფლებს მათგან დაუმორჩილოს ცოტად თუ ბევრად თავისი პირადი სურვილი თავის ამხანაგის სურვილს. ადამიანთ იმ გროვით, რომელთა წევრნიც ერთმანეთს დაჭზოგაკენ, დაუნძარებიან, მეტი შეძლება ექნებათ გამარჯვონ თავის მოწინააღმდეგეებზე ცხოვრებისთვის ბრძოლაში»<sup>\*</sup>).

საზოგადოებრივობა კი, სოციალური ცხოვრება — გამოიწვიან ბრძოლაში ამხანაგობისათვის: ადამიანები შეაერთა, შეკავთ და ამ შეერთებისათვის შეთანხმებული, მოსდენილი საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმაც განვითარა. აქ დიდი ძალა მიეცა საერთო ინტერესებს, ნაცვლად კერძო, პირადის ინტერესებისა, ანუ უკვდ რომ ესოკვით, კერძო და საერთო ინტერესი შეერთდა, მოისპო მათში წინააღმდეგობა: მიუღლი საზოგადოებისთვის სასარგებლო კერძოდ თვითუფლებს მისი წევრისთვისაც სასარგებლო შეიქნა. ამის გამო ერთის საზოგადოების წევრნი ერთმანეთს მტრულად არ უყურებენ, რადგან ასეთი მტრობა საზარალოა როგორც თვითუფლებს მათგანისათვის, ისე მათთვის საზოგადოებისათვის. პირიქით, ისინი თვით ბუნებამ, საერთო, ინტერესმა ერთმანეთს დაუკავშირა, დაუახლოვა, ერთმანეთს დაუმეგობრა. ამგვარად წარმოადგა და განვითარდა ძველის დროის კომუნისტურის საფუძველზე დამყარებული საზოგადოებრივი ცხოვრება.

რასაკვირველია, სოციალური ცხოვრების ასეთს განვითარებას შესაფერი სქესობრივ ურთიერთობათა ფორმის განვითარებაც უნდა მოჰყოლოდა, და ეს მართლაც ასე მოხდა. ჩვენბური შიგთსკელი შეჩვეულია იმ ფორმას, რომელიც ესლანდელს დროში არსებობს ჩვენ-

<sup>\*</sup>) Letourneau, loc. cit., გვ. 94.



ში: ახალგაზრდა, უმწველი კაცი უკეთეს, აზრდელაუენიეს ახალ-  
 გაზრდა ქალს და, თუ ეს უკანასკნელი თანასამა გაუზდა, ირთავს  
 ცალად. აქ პირიყნება, მამა-კაცი, ირთავს, უკავშირდება მეორე  
 პირიყნებას, დედა-კაცს. მაგრამ შეითხველი, რა თქმა უნდა, მ-  
 ლიან შემდგარი იქნება, თუ ბველის დროის ადამიანთ საზოგადო-  
 დაობაც ამკვანი ფორმა მიაწერა და ითქმას, რომ ახალგაზ-  
 რდა ქალ-ვაჟნი მამიანც ისევე აზრდელაუენითა ირთავდნენ ერთ-  
 მანეთს, როგორც ჩვენშია ესლა. საჭმე იმამია, რომ იმ დროის  
 საზოგადოებაში, რომელსევედ ჩვენ, აქ ლაპარაკი გვაქვს აზრდელაუ-  
 ეობადა პირიყნულად ქორწინებაზე იმირიყნულად ცალქმირულად ვაჟნი-  
 რი არსებულყოფად ღაღაღადიანად, რაგორც ღვიშირებზე, მკელს  
 კომმუნისპირად არსებობდა. ან ჩრის კომმუნისადი ღაღაღადნი პირიყნ-  
 ნებაზე არა რაჟ აქ ვეკლანი ერთს საზოგადოებას შეადგენენ, მკელს  
 რამ ერთი ღაღაღადი კომმუნისადი. ანტიკონსტიტუციონის ღაღაღადნი  
 ბის საზოგადოებიდან გაძროვალეკებას შეუძლებელია, კომმუნისადი თან-  
 ვის კომმუნისაგორ მისცილებება, ღაღადნი იგი მითი ცოცსლობს, მით  
 თი უდგარა სულადი რაჟ უკეთეს კომმუნისადი თანაუყოლი კომმუნისადი  
 თანაუყოფს. რას შეუძლებანი ვეკლანი ერთად უყვლიანყენს. აქ უდას-  
 მიანცს პირიყნება და მორბილებულყოფიან საზოგადოებებს მრან-  
 ცივს. პირველი პასიუური ელემენტია, მეორე — აქტიუური ერთობა.  
 ტონია, მეორე — ყმა ერთი უბრძანებს, მეორე ამ ბრძანებს ასრუ-  
 ლებს. მკელად რომ ერთგვარ კომმუნისტურს წესწილებიანია. ყო-  
 ველი ადამიანი, როგორც მამა-კაცი, ისე დედა-კაცი იკუთხის მკელს  
 საზოგადოებას და არა თავის თავს.

ამიტომ აქ თვითუფს მამა-კაცს აქვს ანონიერი უფლება იქო-  
 ნილს სქესობრივი გავშირი, თვითუფს დედა-კაცთან თავის საზოგადო-  
 დაობისა. უკველი მამა-კაცი de jure ქმარია თვითუფლის დედა-კაცი-  
 სა). ასეთი გავშირს მათ შობის სრულიად პრელუდის ყელს მ-  
 თი ხათესობა, ამის წარმოდგენს მათი ყო არც იგი არსობის  
 დედ-მამის სქესობრივი დასოვილებულია აქვე თავიანთ შვილებთან  
 მშენს დებთან და სხვა ახლო ხათესავებთან.

\*) ეს იმას არ კნიშნავს მაინც, რომ ამ დროს წინუსხდებოდა არც-ღირევე ყოფილიყო.

მაგრამ ასეთს სისხლის შერევას, ახლო ნათესავეებში სქესებრივის გაკვირვებას ცუდი გავლენა უნდა ქქონდეს ადამიანთ ჯან-ღონის განვითარებაზე. ამიტომ ასეთი ამბავი დიდ ხანს ვერ გასტანდა. ბუნებრივის შერევის კანონის ძალით სისხლის შერევა ახლო ნათესავეებს შორის უნდა შეზღუდულიყო, რომ მთელი საზოგადოება არ დასუსტებულიყო და დაზარალებულიყო.

ეს ასეც მოხდა. წარმოსდგა ნათესაობა, რომელიც წინააღმდეგობას უწევდა იმას შორის, რომელიც ერთმანეთისთვის ნათესავეებად ითვლებიან, სქესებრივი კავშირი აღკრძალულია. მხოლოდ არ უნდა დაუვიწყოთ, რომ მაშინდელი ნათესაობრივი ურთიერთობა ბევრით განიხრევა ესლანდელ ჩვენებურ ნათესაობიდან. ჩვენ ვთვლით ნათესაობას როგორც დედის, ისე მამის მხრით. მაშინ კი ასე არ იყო. მაშინ ნათესაობა მხოლოდ დედის მხრით ითვლებოდა და მამა თვისი ნათესავეებითურთ შვილებისთვის ნათესავეად მიჩნეული არ იყო. ამის მიზეზი შემდეგი გარემოება უნდა იყოს: შვილის დედიდან წარმოდგომას ყველასთვის ცხადი, თვალ-საჩინო იყო, — შვილსა და დედას შუა კავშირი უფრო მტკიცე იყო, მაშინ როცა ნამდვილ მამის გამოცნობა ძალიან ძნელი იყო, რადგან ერთს დედაგანთან რამდენსამე მამაკაცს ქქონდა კავშირი ერთსა და იმავე დროს ან მოკლე ხნის განმავლობაში.

ამგვარად ერთის დედიდან წარმომდგარ შთამომავლობის წევრნი ერთმანეთისთვის ნათესავეები შეიქნენ, მათ შორის შეუღლება იკრძალა და ვინც ამ აღკრძალვას გარდასდებოდა, სასტიკად დაიხვებოდა.

ამის გამო თვითოეული ნათესაობა ანუ გვარეულობა (Klan, gens, genos, родъ) განცალკევდა და თან-და-თან განკუთმავებული ცხოვრება დაიწყო. თუ შიგ გვარეულობაში მის წევრთ არ შეუძლიათ ერთმანეთში სქესებრივი კავშირი იქონიონ, სამაგიეროდ მეორე გვარეულობასთან მათ სრული უიფლება აქვთ, აგრეთვე მეორეს პირველთან. ყოველი მამა-კაცი ერთის გვარეულობის ყველა ქალის ქმარია. ეს არა ძალ-დატანებით, არამედ სრულიად თავისუფლად, ძალ-დაუტანებლად, უიფლებით.



ქმრები ცოლების გვარეულობაში არ სცნობდნენ,—+ისინი მეორე გვარეულობას ეკუთვნის, შვილები კი დედის გვარეულობაში რჩებიან. ამიტომ მამის სმირად აქვს სქესობრივი გავშირი თავის ქალთან, შვილის-შვილთან, ძმას—დასთან (მამის მსრით), სიძეს—ცოლის დასთან და სსვ. \*)

მაგრამ პროგრესის მსუფულობა არ ხერდება, თან-და-თან წინ მიისწრაფის. ამ წინ სვლასთან შეკავშირებულია ახალი ფორმების წარმოშობა... ნუ დაივიწყებთ: შეცვლა, გადასხვაიერება, არსებულის მოძველება, მის უარ-ყოფა, მის ნიანდაგზე ახლის დაბადება და განკვათარება,—ეს არსებითი კანონია კაცობრიობის პროგრესიულ მსუფულობისა. ამიტომ ძველის დროის კომუნისტურმა წესწყობილებამ, რომელიც დასაწყისში მეტად პროგრესიული მოგუენა იყო, იწყო მოძველება. თვით ამ წყობილებაში განვითარდა ისეთი მოგუენანა, რომლებმაც მიწა გაუთსარეს სთასანთქმელად. ამ ფორმის დადგუენის საფუძველი იქიდან დაიწყო, რომ სსწარმოკებულ ძალის განვითარების გამო კომუნის წუერთა შორის დაიბადა იდეა საკუთრებისა, ე. ი. ისეთი იდეა, რომელიც კომუნის პრინციპის სრული წინააღმდეგაა \*\*). აქედან ამ წესწყობილებამ თან-და-თან იწყო შლა, შემდეგ სრულიად განჭჭრა და მისი ადგილი მტკიცედ დაიჭირა კერძო საკუთრებამ.

კერძო საკუთრების განვითარებით სრულიად შეიცვალა ძველი დეკორაცია. წინად თუ ადამიანის პიროვნება მიწრდილული იყო, ეს-ლა, სამაგიეროდ, სინათლეში გამოვიდა და თვისი თავი დაინახა... აქ მამა-კაცი ცოლს მსოლოდ თავის სარგებლობისათვის უკავშირდება. ცოლი, როგორც უკელა სსვა კერძო საკუთრება, მამა-კაცს მარტო თავისთვის უნდა და სსვის მოსიარობას არას გზათ არ სთასნმდება. აქედან წარმოსდგა კულურთა შორის ის სსსტიკი კანონები მრუშობის წინააღმდეგ, რომლებსაც ადგიწწრენ მრავალნი მოგზაურნი. თითქმის ყოველთვის აქ მრუშობაში დამნაშავე სიკვდილით ის-

\*\*)Энгельс—„Происхождение семьи, частной собственности и государства.“

\*\*) იხ. მაგალ. Tableau des origines et de l'évolution de la famille et de la propriété par Maxime Kovalevsky, Stockholm 1890, გვ. 54. ამ წიგნის თარგმანი ეხლანან რუსულ ენაზედაც დაიბედა.

ჟებს. მკითხველმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ასეთი სასტიკი დასჯა მემრუშესი თვით მრუშობის უზნეობის შეგნებიდან არ წარმოდგება, — არა, ასეთი წარმოდგენა ჯერ კიდევ სრულიად უცნობა ამ დროის ადამიანისათვის. აი, მაგალითად, ერთი ბოხი მანჯლის (ველურბი) სიტყვები ამ საგნის შესახებ: «ცუდს საქმეს კისრულაბს ის, ვინც მუ ცოლს მართმევს; მუ კი ძლიან კარგს საქმეს კვისრულაბ, როცა სხვას კართმევ ცოლსაო», ამბობდა ის. აქედან ნათლად სჩანს, რომ ცოლის წართმევას და მრუშობას იგი უზნეობის წინააღმდეგად არ სთვლის და, თუ ცუდ რამედ მიაჩნია, როცა ცოლს ართმევენ, ეს იმიტომ, რომ ცოლი მისი საკუთრებაა, იმაზე საკუთრების უფლება აქვს, და როცა ამ საკუთრებას ართმევენ, რასაკვირველია, ეს უფლება ირღვევა. ამგვარად აქ ადიულტრი, მრუშობა ითვლება დანაშაულად, როგორც ქურდობა, საკუთრების წართმევა.

## IV

რასაკვირველია, ყველა ეს სემოდ ნათქვამი შეადგენს გარკვევას ნიადაგს, რომელზედაც უნდა აგებულყოფილ უზნეობრივი კერძობა ადამიანისა და ამ ნიადაგის ცვლა-განვითარების თანახმად ისიც განვითარებულიყო.

რომ გავიგოთ, თუ როგორ სწარმოებს ეს, რომ ადამიანის წარმოდგენანი, იდგები, რომელიც მის შინაგან კერძობას შეადგენს, ამგვარს გარეგანს ნიადაგზე შენდება, ესე იგი ისეთს ნიადაგზე, რომელიც თვით მასში კი არ არსებობს, არამედ მის გარედ, ცხოვრებაში იმყოფება, — საჭიროა ნერვების თვისება მოვიგონოთ. ეს თვისება ის არის, რომ ყოველი საგანი თუ მოვლენა, რომლის ზედგავლენის ქვეშაც იმყოფება ადამიანი, აწარმოებს ამ უჩანასწებელზე შთაბეჭდილებას, რომელიც მის ნერვების მდგომარეობაში შესაფერის ცვლილებას იწვევს და თავის კვალს სტოკებს მათში. საკმაოდია რამდენჯერმე განმეორდეს ერთი და იგივე შთაბეჭდილება, რომ იგი მკვიდრად ჩაჯდეს, ჩაიბეჭდოს ნერვებში. და რადგანაც ყოველი შთაბეჭდილება შესაფერის შედეგს იწვევს ხოლმე, იმიტომ შთაბეჭდილებათა ნერვებში ჩაჭდობის შემდეგ ასეთის შე-

დეგის გამოწვევა თან-და-თან ადვილი და უფრო სწრაფია. «ნერ-  
ვების ტელეფონი—ამბობს ლეტურნო—შეადგენს ისეთს მანქანებს  
(appareils), რომლებიც შთაბეჭდილებანთ იუღინთება. ყოველი მიმ-  
დინარება სამოლეკულა მოძრაობისა, რომელიც მათში გადაის,  
სტოკებს იქ კვალს, ნიშანს. რამდენჯერმე განმეორების შემდეგ ეს  
ნიშნები წესიერად ერთად გროვდება და მკვიდრდება იქა. შემდეგ  
შთამომავლობით ერთიდან მეორეს გარდაცემა\*).

აი ეს გარემოება მიზეზი იმ მოკლეხნისა, რომელსაც შთაბეჭ-  
დილებათა რეფლექტორულს განმეორებას ეძახიან. ავიღოთ მაგალითი.  
«რამდენისამე ხნის წინადა,—ამბობს დოქტორი ჯონსონი,—მე კი-  
ჟეტი ომნიუსში, რომელიც დიდ ხანს ვერ დაიძრა, რადგან ერთი  
ცხენი არას გზით ადგილიდან იქვს არ იცვლიდა. ბუერი ხერხი  
სცადეს, რომ მისი ჯიუტობა დაეძლიათ, მაგრამ არ იქნა და არა.  
ბოლოს მეეტლემ უთხრა კონდუქტორს, ომნიუსის კარი მაგრად  
მოაბრახუნე და დაეტეო (ეს იყო ჩვეულებრივი სიგნალი წასუ-  
ლისა). ჩემდა განსტორებად ცხენი მამინეკ დაიძრა და გაუდგა  
გზას\*». ამის მიზეზს ადვილად მივხვდებით, თუ სახეში მივიღებთ,  
რომ ამ ცხენს საკმაო ხნის განმავლობაში ომნიუსის კარის მო-  
ხურვის შემდეგ ყოველთვის ადგილიდან დაძვრა და გზას გადგომა  
უხდებოდა. ეს გარემოება მის სერებაში მაგრად ხაზსუდება, ასე  
რომ წასვლა, ადგილიდან დაძვრა ომნიუსის კარის მოხურვას მტკი-  
ნელ დაუკავშირდა. ამიტომ იმ დღესაც, როდესაც ეს ამბავი მოჭნდა,  
ომნიუსის კარის მოხურვის ხმის გაგონებამ გამოიწვია ჩვეულებრივი  
შედეგი—დაძვრა ცხენისა და გაუქმება მისის სიჯიუტისი...

ამგვარადვე იბადებოდა და თან-და-თან იზრდებოდა მორალუ-  
რი კერძობა ადამიანისა თანხმად საზოგადოებრივის ცხოვრების  
განვითარებისა. უკვლავიერს არსებულს ადამიანი ეჩვენება, რადგან ჯიღის  
ხნის განმავლობაში ამ არსებულის ერთგვარობას ჰხვდავს. უკვლავი-  
რი, რასაც ცხოვრება წარმოუდგენს, მისთვის ჩვეულებრივია. ამის

\*) Letourneau, loc. cit. 33. 33.

\*) Спенсеръ—Основания психологии, Спб. 1876, т. II, с. 228.  
შეიღ. Letourneau—L'évolution juridique dans les diver-  
ses races humaines, Paris 1891. 33. 8—11, აგრეთვე: Физиологи-  
ческая психология, д—ра Т. Цицена, Спб. 1893, 33. 11.

გამო მის გონებაში ფეხს იდგამს ის აზრი, რომ არსებული მტკიცე და შეურყეველია.

ძველს დროს რამდენსამე მამა-კაცს აქვს სქესუბრივი კავშირი ერთსა და იმავე დედა-კაცთან. ჩვენის წარმოდგენით ეს უზნეობაა, ზარყენილება, მაშინდელ კელურის წარმოდგენით კი უკველმსრით კარგი და პატიოსანი მოქმედებაა. მაშინდელ კელურს არაფერი არ უმტკიცებს, რომ ეს ვითომ ცუდი საქციელი იყოს. თვით ცხოვრების განვითარებამ გამოიწვია ასეთი ფორმა სქესუბრივ ურთიერთობისა. მამასა და ქალიშვილს კანონიერად შეუძლიანთ ერთმანეთ შორის სქესუბრივი შეკვლევა. ესეც სრულიად უბრალო, უცოდველი მოქმედებაა, რადგან შვილი მამის ნათესავი არაა. ესევე შეუძლიათ ბიძას და ძმის წულს, მამულსა და მძალს. ყველა ეს მოკვლენა ნათესაობრივის ურთიერთობით იხსნება. მამა ნათესავად არ ითვლება შვილისა, ბიძა—ძმის-წულისა, მამული—მძლისა. რა არის აქ ცუდი? გვეითხებათ კელური. ის დედა-კაცი ჩემი ნათესავი არაა, გუებნებათ თავის ქალზე მამა, ამიტომ აქ ცუდი არაფერია. სქესუბრივი კავშირი აქვთ დედასა და ქალიშვილს სიძესთან, სიძის ძმასთან, —ესეც კანონიერია, ჩვეულებრივია, რადგან ამათშაიც ნათესაობა არაა. ამ დროის კელურს ეს ჩვეულება მტკიცედ აქვს თავში ჩარჩენილი, რადგან მისი პრაქტიკა დიდი ხნისაა; მისი გონებითი და ზნეობითი წარმოდგენა ამ ჩვეულებასთან დიდი ხანია შეზრდილია, შესინხლ-ხარცებულა და არსებულის წინააღმდეგი ვერც კი წარმოადგენია.

მაგრამ არსებულ სოციალურ ცხოვრების ფორმა ირღვევა, მის ნივთზე ასალი ფორმა ამოდის და ამის თანახმად ადამიანის ზნეობრივს წარმოდგენასაც ძირითადი ცვლილება ჩნდება. რაც გუშინ უზნეობად მიანხნათ, —დღეს ზნეობრივი საქმა, გუშინდელი ზნეობრივი დღეს უზნეობად ითვლება... აი აქ იწყება შებრძოლება ასალ მოთხოვნილებათა და ძველს, თავში ჩაჭედელ წარმოდგენათა. ასალი ცხოვრება თხოვლობს დედა-კაცის დამონაგებს, მის სასარგებლოდ გამოყენებას, გონება-ზნეობა კი მიჩვეულია მის თავისუფლებას, პატივისცემას. ვინ გამიარჯუებს? შედეგი ვიდრით: ცხოვრება. იგი არღვევს ძველს წარმოდგენას, რომელიც მსოფლოდ ძვე-

ლის, უარყოფილის სინამდვილის გამოძახატველია და ესლანდელს არ შეეფერება. ახალი ცხოვრება აწვდის ადამიანს ახალს შინაარსს, რომელიც ამომჩავეებს მის გონება-ზნეობას. ეს ახალი შინაარსიც მჭიდროდ იბეჭდება ადამიანის თავში. ასე რომ შემდეგში მისი გონებრივი და ზნეობრივი წარმოდგენა მხოლოდ ცხოვრებაში არსებულ ურთიერთობის ფოტოგრაფიულ სურათს წარმოადგენს, სწორედ ისე, როგორც წინად ამგვარივე წარმოდგენა მამინ არსებულ, ესლავი გამჭრალ, ურთიერთობის გამოძახატველი იყო...

რასაკვირველია, ასეთი შეცვლა, როგორც ცხოვრებაში, ისე ზნეობაში უნდა, სწრაფად არ სწარმოებს, — უკვე შედგენილი წარმოდგენა უნდა არ იშლება და მის ადგილს სხვა სწრაფად ვერ იტყრს. რომ ძველის მატერიალ ახალი დამკვიდრდეს, საჭიროა ახალი შთაბეჭდილება დიდის ხნის განმავლობაში ჰმოქმედდეს. ადამიანის ნერვებზე, გროვდებოდეს მათში და ერთის შთამომავლობიდან მეორეზე გადადიოდეს. ეს კი ერთსა და ორს დღეში არ შეიძლება მოჰხდეს. დასასრულ კი მაინც ცხოვრების მოთხოვნილება იმარჯვებს და ზნეობის განვითარებას ამ მოთხოვნილების თანხმად მიდის.

როგორცა ვსთქვით, კერძო საკუთრების დამყარებამ გამოიწვია დედა-კაცის დაზღვრება, დაძინებება. რა ამბავია ამ დროს დედა-კაცის გონებაში? წინად შეჩვეული იყო თავისუფლებას, აქ კი ფრთები ეჭმეტება ამ ფოფას. წინად რამდენსამე მამა-კაცთან სცხოვრობდა, სქესობრივ მოთხოვნილებას თავისუფლად იკმაყოფილებდა, აქ კი ერთსა და მეორესაც უშლიან, უკრძალავენ და სხვის ნებაზე ატარებენ. ძნელი, ძალიან ძნელი იყო ჩვეულების მოშლა, მისი გადალახვა, ამიტომ მიუხედავად ასეთის აკრძალვისა, დედა-კაცი ხშირად ძველს ჩვეულებას მიჰყვებოდა და არღვევდა მამა-კაცის ბრძანებას. ამას შედეგად ფოკელთვის მისი სასტიკად დასჯა მოსდევდა, ასე რომ თან-და-თან დედაკაცი იძულებული შეიქნა ბრძანებას დაჰმორჩილებოდა, ჭმრისთვის არ ეღალატა და სქესობრივი კავშირი მარტო მასთან ჰქონოდა. ამგვარად, აუცილებლობამ მიიყვანა იმ მდგომარეობამდე, რომ იძულებული შეიქნა თავისი ძველი ჩვეულებანი ახალ მოთხოვნილებისთვის დაემორჩილებინა. თუ წინად ტი-

ტკლად სიარულს იყო ჩვეული და ასეთს სიტუტელს აწავითარს მისი შექმნისათვის არ აძლევდა, ესლა თავისი სსეული უნდა დაეფარა, სსეა მამა-გატებს ამ სსეულზე უფლებს აღარა ჭქონდათ,— იგი მარტო ქმარს ეკუთვნოდა; ქმარს კი ცოლი მხოლოდ თავისთვის უნდოდა, რადგან ეს უკანასკნელი მის საკუთრებას შეადგენდა. ამიტომ აქ ტანთ ჩატმა და სიტუტელის დაფარვა პირველად სავალდებულოა მარტო ქმარს დედაგატისთვის. თუმცა ეს ტანისამოსი მარტო წელის არე-მარეს შეესება, დანარჩენი სსეული ისევე ძველებურად ტიტუტელია, მაგრამ მანაც წინასდღე სრულს სიტუტელსთან შედარებით ახალი მოკლენაა, ნაბიჯის წინ გადადგმა. გაუთხოვარი ქალები კი ამ მსრბე დიდ ხანს თავისუფალნი არიან და ტანისამოსის ჩატმა მათთვის სრულიად სავალდებულო არაა. ტიტუტლად სიარული მათს უფლებას შეადგენს, რომელსაც ენერგიულად იცავენ. მაგალითად, ახალს კალენდრისაში მისსიონერებმა ჭნახეს, რომ ქმარანი ქალები იფარავდნენ თავიანთ სსეულს ანუ სსეულის ერთ ნაწილს—წელს, სოლო გაუთხოვრები კი სრულიად ტიტუტელს იყენენ. მათმა ქადაგებამ, რომ ამხნაც შემოკლოთ წელის დაფარვა, უქმროების ძლიერი წინააღმდეგობა გამოიწვია. სრული სიტუტლე მათს განსაკუთრებულს უფლებას შეადგენდა და ამიტომ არასი გზით არ სთანსმებოდნენ, რომ მათის თავისუფლებისათვის ქმარისობის ნიშანი, დღი დაესვათ...\*) მჭერამ როცა კი ქმარის ხელში ჩაგარდებოდნენ, მას შემდეგ ესენიც მოკლენი იყენენ თავისი სსეული ცოტად თუ ბევრად დაეფარათ.

საქმის ასეთს გითარებას დიდის ხნის განმავლობაში, ეჭვი არაა, თავისი ბეჭედი უნდა დაესვა ადამიანის გონებრივს წარმოდგენაზე. ეს მართლაც ასე მოხდა. ის გარემოება, რომ დიდი ხნის განმავლობაში დედა-გატე ემოციონებოდა მამა-გატის ბრძანებას, რომ სქესებრივი კავშირი მარტო მასთან ჭქონდა, თავის სსეულს ჭფარავდა და სიტუტელს არ ასენდა, მტკიცედ ჩაიბეჭდა მის თავში და ჩვეულებად გარდაიქცა. აი აქედან წარმოსდგა ის, რასაც ჩვენ ესლა სირცხვილ-წრდილობის გრძობას და მეუღლურს ერთგულებას ვკვასით... ასეთი ზედმოქმედება იქონია ამ გარემოებამ მამა-გატეზედაც, მხოლოდ

\*) Letourneau—L'évolution de la morale, pp. 147.



მისი პირადი ქრევის შესასებ კი არა, არამედ შესასებ მარტო დედა-  
 კაცისა. დიდი ხნის განმავლობაში მამა-კაცი დაეჭვია დედა-კაცის მორ-  
 ხილებს, მის სქესებრივს ერთგულებას და ამის გამო მის გონება-  
 ში განზნა და განმტკიცდა ის წარმოდგენა, რომ მეუღლური ერთ-  
 გულება და საზოგადოდ სქესებრივი თავის დაჭერა უმადლესი მოკა-  
 ლეობაა ქალისა. ამგვარად აქ იმყოფება იმის მიზნად, რომ კვლან-  
 დელს დროში თითქმის მიუტოვებელ ცოდვად ვთვლით ქალისთვის  
 თავის დაუჭერლობას, ქმრისთვის ღალატს, უმანკობის შეგინებას...

V

ერთხელ წარმოდგარი ჩვეულება დრო და ხნის განმავლობა-  
 ში თან-და-თან მკვიდრდება ადამიანის გონებაში, ასე რომ შემდეგ  
 ამ ჩვეულებას ადამიანი შეუგნებლად, დაუფიქრებლად ემორჩილება.  
 ჩვეულებასთან ასეთს შეხრდას, მოქმედებაში მის დაუფიქრებლად  
 დამორჩილებას შედეგად იმ წარმოდგენის დაფუძნება მოჭეკება ხოლ-  
 მე, რომ არსებული მკვიდრი და შეურყეველია, ანუ, სხვა სიტყვით  
 რომ ვსთქვათ, იბადება ის წარმოდგენა, რომ უგელაფერი ისე უნდა  
 იყოს და ისე უნდა სწარმოებდეს, როგორც ნამდვილად არის დღე-  
 საო. რასაკვირველია, ესეთი წარმოდგენა გონებრივად შეგნებულს  
 რასმეს არ წარმოდგენს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ადამიანის გო-  
 ნებაში მანინ არსებობს და, როცა შემთხვევა მოითხოვს, კიდევ გა-  
 მოაშკარავდება. ამგვარად, თუ დიდის ხნის განმავლობაში დედა-კა-  
 ცი მამა-კაცს ემორჩილებოდა და მის ბრძანებას ასრულებდა, თუ იმუ-  
 ლებულ იყო თავის ქმრისთვის არ ეღალატა, თავისი სხეული სხვა  
 მამა-კაცთათვის დაეფარა, შემდეგში უგელა ეს საერთო ჩვეულებად  
 გარდაიქნა და ამასთან წარმოიდგა იმის იდეაც, რომ ეს ჩვეულება  
 განიხიურია, რომ ამ ჩვეულებასზე ატებული მოქმედება სწორედ ისე-  
 თია, როგორც ნამდვილად უნდა იყოსო. ასეთი წარმოდგენა არსე-  
 ბობს არა თუ ერთს ან ორს ადამიანში, არამედ მთელს საზოგა-  
 დლებაში და მეკვიდრეობით გადადის წინაპრებიდან შთამომავლო-  
 ბასზე. როგორც ჰესედავთ, — აქ უგელა შემდგარი გრძნობა მოკალეო-  
 ბისა. თუ არსებული ჩვეულება განიხიურია, თუ იგი საზოგადოდ



გაკრძლებულია, ამიტომ, რა თქმა უნდა, ყველასათვის სავალდებულოა. დედა-კაცისთვის სავალდებულო შეიქნა მეუღლური ერთგულება, სიტიტკლის დაფარვა; მასსადამე, დამკვიდრდა გრძნობა მეუღლურის ერთგულებისა, სირცხვილ-ზრდილობისა...

მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, ძველი ჩვეულება, ძველი წარმოდგენა უნებ არ ჰქრება ადამიანის გონებიდან და ამათ ნაცვლად სწრაფადვე ახალი ჩვეულება არ იბადება. ამიტომ ადამიანს ცხოვრებაში სწირად ისეთი მოქმედება უდგება თვალწინ, რომლის შესრულება ძლიერს ბრძოლას იწვევს. ერთის მხრით მოკვლეობის გრძნობა და მეორეს მხრით ცხოვრების ახალ მოთხოვნილებათა დამორჩილების, მათის აღსრულების სურვილი ეტიდება ერთმანეთს. რასაკვირველია, ასეთის შიშობის შედეგი დამოკიდებულება იმანზე თუ რომელი კერძობა უფრო ძლიერია: მოკვლეობის გრძნობა, თუ მისი მოპირისპირე მოთხოვნილება. თუ ამ უკანასკნელმა გადაატარა და სძლია, მაშინ წარმოსდგება ის, რასაც ჩვენ სეინიდისის მხილებას ვუძახით სოლემე...

ასეთი მოკვლენა კვლურთა ცხოვრებაში შემხნეულია. ლეტურნოს მოჭყავს შემდეგი მაგალითი, რომელიც ერთს აკსტრალიელს შეესება. ვერ უნდა შევნიშნოთ, რომ აკსტრალიელთა რწმენით ყოველის კაცის სიკვდილი ერთს რომელსამე საზოგადოებაში შედეგი იყო მეზობელ საზოგადოების წევრთ მსაკვარობისა. ამიტომ მიცვალებულის ნათესავს უეჭველად უნდა მოეკლა ერთი ვინმე მათგანი და ამნაირად შური უნდა ეძია, თავის მიცვალებულის სისხლი უნდა აელა. იმ აკსტრალიელმა, რომელსაც ეს მაგალითი შეესება, თავისი ცოლის სიკვდილის შემდეგ გამოაცხადა ასეთი სურვილი, ესე იგი რომ მეზობელ მტრებში ერთ-ერთი უნდა მოეკლა და შური ვიძიო. ეკრძალებს ეს დაუშალოს და ცხენში შეგდებას დაემუქრნენ, თუ ასეთს დაშლას არ დაემორჩილებოდა. რამდენსამე ხანს ამ მუქარით შეშინებულმა კვლურმა ითმინა თავისი მოკვლეობის შეუსრულებლობა, მაგრამ ცხადად ეტყობოდა, რომ მის არსებაში საშინელი ბრძოლა და სეინიდისის მხილება იყო. სეინიდისის მხილებანი იქიდან წარმოდგებოდა, რომ არ ასრულებდა მოკვლეობის მოთხოვნილებას და თავის ცოლის სისხლს არ იღებდა. ეტყობოდა,

რომ სვინიდასი საშინლად სტანჯავდა, რადგან, რაც დღე გადიოდა, იმდენი უფრო თან-და-თან ჭკნებოდა და უკითლდებოდა. ბოლოს კერ გაუძლო ასეთს მდგომარეობას: ერთს დღეს საღვაც გაჭჭრა, მაგრამ დაბრუნდა სრულიად მორჩენილი, ჯანმრთელი, — მან შეასრულა თავისი მოვალეობა, შური იძია, მოჭკლა მტერი...

ეს ამბავი იმდენად გასაკვირალი არაა, რამდენადაც ის, რომ სწორედ ასეთის სვინიდასის მხილება ცხოველებშიაღ შეიმჩნეულია!... რომანესი მოგვითხრობს თავის ძაღლის მიერ ჩადენილ ქურდობას, რომელმაც შემდეგ ამ პირუტყვში ცხადად შესამჩნევი სვინიდასის მხილება გამოიწვია. «ამ ძაღლმა, — ამბობს რომანესი, — თავის სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ მოიქმედა ქურდობა. ერთს დღეს, როცა ძაღლიან მშვიერი იყო, ეცა სტოლზე კატლეტს და შეიტანა დიკანს ჭკეშა. თუმცა კუჭქეროდი ამ ამბავს, მაგრამ ისეთი სახე მივიღე, ვითომ არაფერს არა ვხედავ-მეთქი. ძაღლი რამდენსაშე წოთს დარჩა იქ და ეტყობოდა, რომ რეჟასში იყო: შეეჭამა კატლეტი და დაედუმებია შამშილი, თუ მოვალეობას დაჰმორჩილებოდა. ბოლოს მოვალეობის გრძობამ გაიმარჯვა: გამოძვრა დიკნიდან და მოხარული კატლეტი ფესებ-წინ დამიდვა. შემდეგ ისევ შემვრა დიკანს ჭკეშ და იქიდან კერავგარის ძახილით კვლავ გამოვიყვანე. ტყუილად გუხვამდი ალერსით ხელს ზურგზე, — ძაღლი მარიდებდა პირს, რომელზედაც სწორედ სასაცილო შეხანება გამოისატებსოდა. ეს გარემოება უფრო საკვირველია, იმიტომ რომ ეს ძაღლი არას დროს არ ყოფილა ნაცემი, ასე რომ არ შეიძლება ვითვქროთ, ვითომ ამ შემთხვევაში სასკელისა შეჭმინებოდაც. ეს მოქმედება გვიჩვენებს მხოლოდ სვინიდასის განვითარებას იმ ოთხ-ფესში».

დაიღ, სრული ჭკეშმარტებაა, რომ რომანესის ძაღლის მოქმედება სვინიდასის არსებობას გვანიშნებს ამ ცხოველში. ეს წარმოსდგა, უეჭველია, იმგვარად, რაგვარადაც დაიბადა ასეთი გრძნობა ავსტრალიელში. რომანესის ძაღლი გაზრდილი იყო, მემკვიდრეობით გარდაცემული ჭჭინდა ზატრონის ერთგულება, მისის ქანების დაცვა, და ეგულა ეს ხელს უწყობდა, რომ მასში მოვალეობის გრძნობა განვითარებულიყო.

თუ ვეკლას ზემოთ ნათქვამით ვისეღმძღვანელებთ და ისევე ქნან. ერისთავის მოთხრობას მივუბრუნდებით, მისი დედა-აზრი უფრო ნათლად და გარკვევით წარმოგვიდგება. როგორც ვიცით, ამ მოთხრობაში გამოხატულია ბრძოლა სიყვარულის მოკალეობასთან, რომელიც ნათესაობის გრძნობასკა დამყარებული: ზურია მონათლულია ირისეს მამისა. ნათლიობის ნათესაობის დარღვევა, ანუ, მათის სიტყვით, ნათელ-მიწრობის გძობა, უარყოფა მიუტყეპებულ ცოდვად ითვლება მათში: ამ აზრს დიდის ხნიდან შესწდინათ მათი წინაპრნი, ეს აზრი კერძოდ იმათაც შესისხლსორცებული აქვთ, ასე რომ ამგვარი ნათესაობრივის კავშირის შეუღლებლობა, შეუგინებლობა მათთვის საკლებულა. ვეკლას ვადლებულია ამ შესჯდულეობის თანხმად მოიქცეს და თავისი სურვილი საზოგადოდ ამას დაუძორწილოს. სსკა სიტყვებით რომ ვსთქვათ: წარმომდგარია გრძნობა მოკალეობისა, რომელიც სასტიკად თხოულაბს ნათესაობრივის კავშირის შეურყეველობას, მის შეუგინებლობას, ჰატივისცემას.

სიყვარული რომ ისეთ რამეს წარმოადგენდეს, რომლის ჩანერგვა გულში, თუ მისი იქიდან განდგენა, ადამიანის სურვილზე, ნებაზე იყოს დამოკიდებული, ისინი, რა თქმა უნდა, ირინეც და ზურიაც არ განაქანებდნენ ამ გრძნობას თავიანთ გულში. მაგრამ, სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ, ეს ადამიანის ნებაზე არაა დამოკიდებული, ამიტომ ამ გრძნობას არ უთხოვია მათთვის ნების მოცემა, უმართებოდ გაჩნდა და გაიზარდა... მოკალეობის გრძნობამ ამ მოთხოვნილებას ძლიერი ბრძოლა გაუწია, მაგრამ ბოლოს ძლეულ იქმნა, მოთხოვნილებამ გაიმარჯვა და ამ გამარჯვებას სქესებრივი კავშირი ანუ ადიულტერი, მრეშობა მოჭყა შედგა. ამის შემდეგ ზურია უცებ კვდება, ირინე ჭკუასზე იშლება და ამიტომ მათის ზნეობრივის მდგომარეობის შესასებ შემდეგ «ცოდვის» ჩადენისა მოთხოვნიდან არ ვიცით-რა. ავტორს თავის მოთხრობაში დახატულ უმთავრეს გმირთათვის ასეთი ბოლო აურწკვია. აქ შეგვიძლია მხოლოდ ის მოასწება გამოკსთქვათ, რომ მოთხრობას ასეთი ბოლო არ ჭჭონდეს, ზურია და ირინე ამ ამბის შემდეგ რომ კიდევ ცოცხლები დაჩენილიყვნენ,—მათი ყოფა უფრო მეტად გატანული და აუტანელი იქნებოდა, ვინემ აქამდის იყო, რადგან სკინიდანის მხი-

ლებს მთელის თვისის სიძლიერით წარმოუდგებოდა წინ და მოსვენებას აღარ მისცემდა. რომ ეს ასე იქნებოდა, ამის საფუძველად ის გარემოება შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ასეთის «ცოდვის» ჩადენამდინანც საკმაოდ სტანჯავს მათ სკინიდაისი, ამსილებს, რომ ნათესაობა არ დაინდგეს და ერთმანეთი შეიფეარეს. აი რას ამბობს ირინე, როცა წუალში დასაღწრობად ემზადება წასვლას:

«— რიდასთვის ვიუფრები?... რიდასთვის ვცოცხლობ? იქნება იმიტომ, რომ ხალხს ანგელოზად ვეჩვენო? არა, კმარა ამდენი მოტუება... ოს, ოჯახო, ქმარ-შვილო!.. რომ იცოდეთ, რა შემცოდეა თქვენ წინ ირინე, მაშინ უფრო უჯიათად მომეკიდებოდით, ჩამაქვაკებდით!.. რომ არ მიცნობთ! ირინე შემცოდეა და როგორც შემცოდე, დაუტირებლად ჩაკვდება»...

ასეთს სატანჯველშია ირინე მხოლოდ იმისთვის, რომ შეიყვარა ნათესავი, შეიყვარა არა და-ძმურის, არამედ ცოლქმრულის სიყვარულით, თუმცა ეს სიყვარული ჯერ სწულიად «წმინდაა». შეცოდების შემდეგ ამ გარემოებას ისიც უნდა დაჭმეტებოდა, რომ იგი შეიქნა არა თუ მარტო ნათესაობის მემობელი, არამედ მეუღლურის მოკალეობის მემობელიცა, რადგან ქმარს უღალატა და ზურქასთან ცოდეა ჩაიდინა. და ეს კერძობა ზნეობისა, ე. ი. მეუღლურის მოკალეობის გრძობა ირინესი არა ნაკლებ ძლიერი იყო, ვიდრე მოკალეობა ნათესაობის შეუბლაღველობისა.

VI

ამგვარად, როგორც ჰხედავს მკითხველი, ზნეობა არ წარმოდგენს ისეთ რასმეს, რომელიც კითომ ქვეყნის დასაბამიდანვე თანდაყოლილი თვისება იყოს ადამიანისა და რომელთანაც ზრდა-განვითარების კანონებს არაკითარე ხელი არ ჰქმნდეს. პირიქით, გრძობრიობის ცხოვრებაში იყო განვითარების ისეთი ხანა, როცა ადამიანში ზნეობრივი გრძობა სრულიად არ არსებობდა. მხოლოდ საზოგადოებრივობის დაარსებამ, სოციალურ ცხოვრების განვითარებამ გამოიწვია ასეთი გრძობა და მისცა შინაარსად ის რეალური ურთიერთობა, რომელიც თვით ცხოვრებაში არსებობდა.

ამიტომ ყოველს ხანაში კაცობრიობის განვითარებისა და დამიანის; ზნეობრივი წარმოდგენანი ნამდვილ ცხოვრებაში არსებულ ურთიერთობათა გამოქმნატველი უნდა ყოფილიყო. აი მხოლოდ ამასი არსებობდა საბუთი მათის არსებობისა, მათი *raison d'être*, — წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. ისეთს შემთხვევაში, როცა ზნეობრივი წარმოდგენა არ ეთანხმებოდა ცხოვრებაში არსებულ ურთიერთობას, ანუ უკეთ, როცა თავში ჯერ კიდევ დაბუდებული იყო ძველის ზნეობის იდეები, რომლებიც მხოლოდ ძველად არსებულ ურთიერთობას შეეყვებოდა, ახლის ცხოვრების მოთხოვნილების ძალით ისინი მიუცდილებლად უნდა დარღვეულიყვნენ, გამჭრალდიყვნენ, და მათ ადგილას ახალ მოთხოვნილებათა შესაფერი იდეები უნდა წარმომდგარიყვნენ. ეს სო მართლაც ასე მოჰსდა. — თუ პირველად დამიანის სქესობრივს მოთხოვნილებას სრულიად თავისუფლად იკმაყოფილებდა და ამასი არაფერ უზნეობას და სამარცხვინოს არა ჰპოვებდა, შემდეგში პრორგრესის ისეთი პერიოდი დადგა, როცა ასეთი თავისუფლება მკნებელი შეიქმნა, ახლის, ცხოვრების უმაღლესის; და უფრო განვითარებული ფორმის მოთხოვნილებათა წინააღმდეგი დარჩა. ამიტომ აუცილებლად ძველი უნდა დანგრეულიყო და ამის ნაცვლად ახალი გამაგრებულიყო. დედა-კაცი მამა-კაცის საკუთრება გახდა, მისი თავისუფლება ვიწროდ შემოიფარგლა და ზნეობის განვითარებაც ამ გარემოებასთან შეთანხმებით წავიდა. დედა-კაცს დაებადა მეუღლურის ერთგულების მოკალეობა, სირცხვილ-ზრდილობის გრძობა, რომელიც ესლანდელ ჩვენ ქალებში საზოგადოდ ძალიან განვითარებულია. რომელი ახალგაზდა თუნდ მოხუცი ქალი გაიკლის ესლა ქალაქში ფეხ-შიშველი? იშვიათი გლეხის გოგო გამოკა ჯარში წულებ-საუცმელი მანც. ქმრის ერთგულების მოკალეობა, თუ იგი პრაქტიკულად სშირად არა სრულდება, სომ მანც ზნეობრივ მოკალეობადა მიჩნეული? და ეს კი არც ერთი არ იქნებოდა ესლა, რომ ერთ დროს მამა-კაცი დედა-კაცის სრული ბატონი არ გამხდარიყო და ქმრის ცოლი სრულს თავის საკუთრებად არ გაესდა. რომ ეს ასე არ მომხდარიყო, უნდა იფიქროთ, ჩვენი ესლანდელი ქალებიც ისე ტიტულივანები ივლიდნენ, როგორც მათი ტაიტელი და პოლიტიკური დები დადიან დღესაც...

მაშ თუ ეს ასეა, თუ ზნეობა შეურყეველ, რასმეს არ წარმოადგენს, არამედ საზოგადო ცვლა-განვითარების განიხილებას ეჭვქვეშაობს, აქედან ის ლოლიკური დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ სკინდისი არ არის ყოველთვის უტყუარი მსაჯული, გამჩნევი ზნეობრივის თუ უზნეურის მოქმედებისა და ამის გამო სკინდისის მხილება არ შეიძლება ჩავთვალოთ ჭეშმარიტ ნიშნად უზნეო საქციელის ჩადენისა. ხომ ჭნახეთ, როგორ იტანჯება ავსტრალიელი კელური თავისის ზნეობრივის მოკვლეობის შეუსრულებლობისათვის! მოკვლეობა თხრულობდა, რომ წასულიყო და ვინმე მოკვლა მუხობლებში, ამით შური ეძია და მიცვალებულის სული დაეკმაყოფილებია. ემუქრებიან, ნუ იზამ მაგასო, შეშინდება კიდევ, ბევრიც ითმინა, მაგრამ სკინდისი ყურში ჩასძახოდა: უზნეო ხარ, მოკვლეობის მოთხოვნაზე არ შეასრულო. კელური იტანჯება, უნდა დაემოწმებინა, მაგრამ ციხეში ჩავდების შიში ისევე აჩერებს. როგორია მისი სკინდისი? ჭეშმარიტების გზასკად აყენებს? რასაკვირველია, ჩვენის წარმოდგენით უზნეო მოქმედების შესრულებაზედ აქეზებს. კელური ბოლოს კერ უძლებს სატანჯველს, — მიდის და ჰკლავს მტერს. სკინდისი კმაყოფილდება, თვითონ ადამიანი სკინისაგან იკურნება. რა აკმაყოფილებს აქ სკინდისს? კაცის მოკვლა, სისხლის დაღვრა, ესე იგი ისეთი საქმე, რომელიც ჩვენს დროს ზნეობრივად განვითარებულ ადამიანს ურუნხტელს ჰკერის ტანში...

როგორია ირინეს სკინდისი, — ჭეშმარიტების მიჩვენებელი? მგონია, ამის ჰასუხს მკითხველი უკვე მიმხვდარია. როცა ამ საგანს ჩაუკვირდებით, უნებურად წარმოგადგებათ თვალწინ ადამიანის სისუსტე, უძლეურობა, არარობა. სად არის კაცის თავისუფლებითი ძალა, — ეკითხებით თავს, — სად არის ესრედ-წოდებული მისი თავისუფალი ნება, როცა მას უნდა თავის ცხოვრების სასურველად მოწყობა, მაგრამ კერ მოუხერხება, — ის მოწინააღმდეგე მიზნებს,

რომელიც ისტორიას ჩაუხერხია აღმდინში, ვერ უძლევიან. თითქოს  
 ეს მიზეზები ისეთს დიდს ძალას არ უნდა შეადგენდეს, მათი ძლე-  
 ვა ადვილი უნდა იყოს, — ჭეშქრობით, — მაგრამ ბრძოლის შედეგი  
 ცხადად ვარწმუნებთ, რომ ეგ მკრე არ არის... გაგონებთ, რომ  
 აღმდინს ბუნების მეფეს ეძახიან და გერინებათ. მწარედ: კარგი მე-  
 ფეა სწორედ ის მეფე, რომელიც, იმის მაგივრად, რომ სხვისი ბა-  
 ტონი იყოს, თვითონვე უძის უკუასია...

**ფ. შატერშვილი**

დავით აღმაშენებლის ხელისუფლების დროს მან იქნა მთელი საქართველოს  
 ერთიანი მთავრობის საფუძველი. მისი მთავრობის დროს საქართველო  
 ერთიანი სახელმწიფო იყო. მისი მთავრობის დროს საქართველო  
 ერთიანი სახელმწიფო იყო. მისი მთავრობის დროს საქართველო  
 ერთიანი სახელმწიფო იყო.

— 97 —

დავით აღმაშენებლის ხელისუფლების დროს მან იქნა მთელი საქართველოს  
 ერთიანი მთავრობის საფუძველი. მისი მთავრობის დროს საქართველო  
 ერთიანი სახელმწიფო იყო. მისი მთავრობის დროს საქართველო  
 ერთიანი სახელმწიფო იყო. მისი მთავრობის დროს საქართველო  
 ერთიანი სახელმწიფო იყო.

დავით აღმაშენებლის ხელისუფლების დროს მან იქნა მთელი საქართველოს  
 ერთიანი მთავრობის საფუძველი. მისი მთავრობის დროს საქართველო  
 ერთიანი სახელმწიფო იყო. მისი მთავრობის დროს საქართველო  
 ერთიანი სახელმწიფო იყო. მისი მთავრობის დროს საქართველო  
 ერთიანი სახელმწიფო იყო.



## მთიულეთი 1804 წელსა

ისტორიული ამბავი



ცნობებით უხვმა და მაღლიანმა აქტებმა ბევრჯერ უდროვოდოს იცის ღალატი და ხშირად მაშინ დაიდუმებს ხოლმე, როდესაც უფრო საჭიროა მისი ღალადება, როდესაც მკითხველი მომეტებულის ცნობის-მოყვარეობითაა შეპყრობილი. აქტებში სიტყვაც არ არის მოხსენებული, როგორ გადარჩა ბატონიშვილი ფარნაოზი სიკვდილსა, ან დატყვევებას ნოვიცკის ეგერებსა და კონდრაშევის ყაზახების მიერ; ნათქვამია მხოლოდ, რომ უტეხ-ულრანმა ტყემ დაჰმალა ქაბუკი ბატონიშვილი და სხვა არაფერი. ნოვიცკისა და კონდრაშევის ჯარისკაცთა თ. გიორგი ამირეჯიბის წინამძღოლობით ნახევარი მხლებელი გაუწყვიტეს ბატონიშვილებსა საწურბლესთან. ვიღა შერჩა ფარნაოზს, ვინ არ უღალატა, ან შეშინებული ვინ დაბრუნდა შინა, ამისი არა ვიცით-რა აქტების უადგილოდ დუმულის გამო. არაფერი ვიცით აგრედვე, საითა ჰქნა პირი ტყვეობას გადარჩენილმა ბატონიშვილმა, რა გზა ამოიჩია, როგორ წავიდა მთიულეთს, ქვეითი, შეკაზმულის რაშით, როგორც შეეფერებოდა მეფის შვილსა, თუ უბელო ცხენითაც ძლიეს მოასწრო ვასკლოდა მოულოდნელად, მიწის მგელივით თავს წამომდგარ მტერსა. წყვდიადითაა მოცული ბატონიშვილის მოგზაურობაც ქართლ-კახეთზე; არა სჩანს, ვინ შეუწყო ხელი უვნებლად ასულიყო თიანეთს, როგორ გადარჩა ერისთვიან-

თა, რუსის ყარაულებსა და პიკეტებსა. დიდად საინტერესო კია ყოველ ამის ცოდნა და გაგება. რაც ისტორიულ ფაქტების შემწეობით ვერ აღვადგინეთ, მეტი ჯანა არ არის, ის გონების თვალთ უნდა წარმოვიდგინოთ და გავითვალისწინოთ; გონება კი იმას გვეუბნება, რომ ბატონიშვილის უგზო-უკვლოდ ლტოლვა საწურბლიდან ცოტად თუ ბევრად ჰგავს მეფე დავითის შვილის აბესალომის ლტოლვა-გაქცევას. ვის არ ეხსოვება საღმრთო წერილიდან აბესალომის ისტორია? ვის არ წარმოუდგება საკვირველის სინამდვილით საშინელი სურათი ახალგაზდა აბესალომისა, რომელიც თვისის მშვენიერის და გრძელის თმით ჩამოეკონწიალა მუხის ტატზე, ოდეს დამარცხებული მამის ჯარისაგან, თავის მხლებელთა მცირე რიცხვით გარბოდა გადასარჩენად? განსხვავება აქ მხოლოდ ისაა, რომ აბესალომი მამას სამეფო ტახტს ედავებოდა, ფარნაოზი კი უსამართლოდ დაკარგულს ტახტს ეძებდა; ლტოლვილი აბესალომი ფიქრობდა, როგორმე თავი გადაერჩინა მდევრისაგან, ფარნაოზი კი, დევნილი მტრისაგან, მიეშურებოდა. იქ, საცა მოვალეობა მიიწვევდა.

ასეა თუ ისე, ბატონიშვილის ფარნაოზის გზა და კვალი არა სჩანს მთელის ორი კვირის განმავლობაში. 1) თერამეტს იელისს, როგორც ატყობინებს მთავარ-მართებელს თ. ციციშვილს ბორჩალოს თათართა ბოქაულის თანაშემწე პრაპორშჩიკი ქანანოვი, ბატონიშვილი ფარნაოზი მისულა ბორჩალოს, დემურჩასალოს მახლობლად, შაბლუხს. თანა ჰყოლია 600 ლეკი. აქვე ელოდა თუშ-ფშავ-ხევსურთა, ოსებსა და ამ შეერთებულის ჯარით აპირებდა თურმე ყიზილბაშებთან წასვლას. ქანანოვისავე სიტყვით, ვითომც დემურჩალოელ თათრებს საწოვავესა და სასმელ-საჭმელსა სთხოვდა შეკრევილ ჯარისათვის.

პრაპორშჩიკის ქანანოვის რაპორტი სრულიად დასაჯერებელი არ არის და გამოწვეულია ესრედ წოდებულ „მოხელე-

1) იულონი შეიპყრეს 2 იელისსა, ხოლო ფარნაოზი ბორჩალოს მისულა 18-სა.

თა ერთგულობით“. ეს სათაკილო და გასაკიცხი მოქმედება ის სენია, რომ მოხელე, თავის მოვალეობის გარდა, ისეთ საქმესაც ეპოტინებმ, რომლის გაკეთებასაც არაინა სთხოვს. 2) ბოქაულის თანაშემწე იქამდისინ კადნიერდება, რომ პირდაპირ მთავარ-მართებელს რაპორტს უგზავნის ერეენს და ატყობინებს, ლტოლვილი ბატონიშვილი ექვსასის ლეკით ჩემს საბოქაულოში ვნახე და დახეთ ამ პრაპორშიკის სამსახურის ერთგულებას და გამჭრიახობას, ისიც კი შეუტყვია, რას აპირებდა ბატონიშვილი! ფარნაოზის ფიქრი და გონება მთიულეთისაკენ იყო მიქცეული, იქ მოუთმენლად ელოდნენ და ამ დროს ფიქრი და განძრახვა სპარსეთში გასვლისა, საცა უკვე იყო შეზინული ალექსანდრე ბატონიშვილი, მტკნარ სისულელეს და უგონობას ეგვანებოდა, მაგრამ ქანანოვისთანა მოხელეთ ამისი დარდი არა აქვთ; იმათ ის ასულდგმულებს, ეგები როგორმე ჩინი გავიკრათ, რასაკვირველია, შესაფერის ჯამაგირით და გულმკერდი დავიმშვენოთ ჯვარ-მენდლებითა და განსაკუთრებით მაშინდელ ქართველთა მოხელეთათვის სანუკარ სისხლის ჯვართაო. სწორედ ესაა მიზეზი, რომ პრაპორშიკი ქანანოვი იბერება და აზვიადებს საქმეს, გეგონება ძლევა-მოსილი, სახელმწიფოს რწმუნებული მინისტრია, ან დიდის უფლებით აღჭურვილი ელჩი და გაზვიადებულის კილოთი თ. ციციშვილს ატყობინებს, ტყვედა მყავს დაჭერილი რვა ლეკი და მათ სანაცვლოდ მპირდებიან მომგვარონ ხელ-ფეხ შეკრული ფარნაოზი და რას ინებებთ, გავცვალო ლეკები თუ არაო. აქ კი ბედმა უმტყუნა ქანანოვს, რადგან ერთგულებას გადააჭარბა და სისხლის ჯვარის მაგიერ მკაცრი მთავარმართებელისაგან დატუქვისა მოუვიდა. რაღას შეკითხებიო, — სწერდა გაჯავრებული მთავარმართებელი, აიღე და გაუცვალე ლეკები ფარნაოზზე, მხოლოდ ფრთხილად იყავი, არ მოგატყუონ, ლეკები არ დაგ-

2) ამ მცირე ხანში აკადემიკოსი, ნ. დუბროვინის (ავტორი „ამიერ-კავკასიისა“) აღბეჭდილ მისაღებიდან შესახებ დეკაბრისტებისა სჩანს, რომ პოლიციის მოხელენი ხშირად სრულიად უსაბაჰოდ აბეზღებდნენ დეკაბრისტებს, რა არის, მთავრობამ ერთგულობა მოგვიწონოს და რაიმე წყალობა გვიბოძოსო.

ტყუონ ტყუილ უბრალოდაო. ამასთანავე თ. ციციშვილი ანუ გეშებს ქანანოვს, რომ, თუ ძალიან ეცდები, გაირჯები და შეიპყრობ ბატონიშვილსა, დაუჯილდოვებლად არ დაგტოვებ მისთანა შესამჩნევ სამსახურსაო.<sup>9)</sup>

ენკენისთვის ათს ბატონიშვილმა ფარნაოზმა ფეხი შესდგა თელავის მაზრაში; აქედან ლამ-ლამე, ტყე-ტყე, გადავიდა თიანეთსა და შემდეგ აჯანყების ცეცხლით მოდებულ მთიულეთისაკენ გაეშურა. საკმარისი იყო მარტო გამოჩენა ქაბუკის ბატონიშვილისა, რომ ერთგულება კახეთის თავდაზნაურობისა რუსეთის იმპერატორისადმი და მათი უდიდებულესობისათვის მიცემული ფიცი კვამლივით გამქრალიყო. არცაა საკვირველი, რომ კახელობამ ასე ადვილად უღალატა მთავრობას და მიემხრო მეამბოხე ბატონიშვილსა. მოიკიდა თუ არა ფეხი რუსის მთავრობამ საქართველოში, მღველვარება არ შეწყვეტილა კახეთში: ხან ერთ კუთხეს იფეთქებდა ხოლმე უკმაყოფილება რუსეთის მხედრობისადმი, ხან მეორესა. კახელების მოუსვენრობა სწორედ საქმეს უჭირვებდა ჯერ კიდევ მტკიცედ დაუმკვიდრებელ მთავრობას, რომელიც სასტიკ ღონისძიების მიღებას ვერა ჰხედავდა, თუმცა ძალიან იყო მოწადინებული; ვერა ჰხედავდა იმიტომ, რომ ამისთვის არც ღონე შესწევდა და არც საპოლიტიკო მოსაზრება მოითხოვდა. სასტიკს მოქმედებას და მაინცა და მაინც გათამამებით მოქმედებას საჭიროდ არა ჰხედავდნენ და უფრო სიტკბოებითა და დაყვავებით ეპყრობოდნენ კახეთის ურჩ და დაუწყნარებელ თავდაზნაურობას. მომეტებულს სიფრთხილეს იჩენდნენ მთავრობის წარმომადგენელნი ქიზიყში, ამ საქართველოს საკვირველ კუთხეში, სადაც თავდაზნაურობა თითქმის არ იყო, მაგრამ სადაც, როგორც ყაზარდოში, ყველა კეთილშობილსა ჰგავდა მიხვრა-მოხვრით, საქციელით, გამბედაობით, სითამამით და სიტყვის მახვილობით. საქართველოში ყველაზე უწინარეს კახელებმა ააფრიალეს ამბოხების დროშა და რუსებს აეშალნენ

<sup>9)</sup> იხ. АКТЫ Т. II. გვ. 135.

ყველაზე უწინარეს ამათ გაჰბედეს საქვეყნოდ დაეწუნებინათ, ახლად დამკვიდრებული წესი და რიგი და თითქოს მოინდომეს კიდევ ხმლის ტრიალით გაესწორებინათ შეცდომანი საქართველოს ორის უკანასკნელის მეფისა. კახეთში ფარნაოზის მოსვლის დროს ჯერ ორი წელიწადი არც კი იყო გასული უკანასკნელ ამბოხების შემდეგ (1802 წელსა); დიდსა და პატარას ახსოვდა გუშინდელი ამბები და დღესაც ადვილად აიშლებოდნენ, თუ კი შემთხვევა გაჩნდებოდა, ან საჭიროება მოითხვდა, მიო. უმეტეს რომ კახელობას ასეთი ხელის შემშლელი და დამტუქსავი, არავინა ჰყავდა, როგორც ქართლებსა ჰყავდათ. ქართლსავეთ კახეთსაც ბლომად ეხვია თავად-აზნაურობა, მაგრამ ისეთი ძლიერი ფეოდალები, როგორც ქართლის ერისთავნი, ამილახვრიანი, არ მოიპოვებოდნენ და ამისათვისაც აქ აგრე რიგად განსაკუთრებული გავლენა არც ერთს გვარს არ ჰქონია სხვებზე. ქართლში ამბოხებას რუსეთის მომხრე ფეოდალნი იქვე დასაწყისშივე აქრობდნენ, ან ასუსტებდნენ და ანელებდნენ. კახეთში კი, რადგან ერისთვიანთანა ძლიერი გვარეულობა არ იყო, იმიტომ ამ როლს ვერცარავინ იკისრებდა და ამის გამო ყოველნაირი ამბოხება რუსების წინააღმდეგ გაცილებით უფრო ადვილი მოსახერხებელი იყო, ვიდრე ქართლში.<sup>4)</sup>

აი ასეთ მხარეს ეწვია სიცოცხლითა და ენერგიით სავსე ქაბუკი ფარნაოზი და სთხოვა კახელობას, დამეხმარეთ, გვერდში ამომიდექით, რომ მამა-პაპის სამეფო ტახტი დავიბრუნო, საქართველო აღვადგინო და ქვეყნის მტერი დავთრგუნოვო. ფარნაოზის მოწოდებამ სასწაული მოიქმედა; ასე გაშინჯეთ.

<sup>4)</sup> დღემდისინაა ქართლში დარჩენილი შემდეგი თქმულება: ბატონ-ყმობის მოსპობის დროს ერთმა კნეინამა ჰკითხა ქალაქიდან დაბრუნებულ ყმაწვილ-კაცს, რა ამბავია, როგორ გათავდა საქმეო?—როგორა-და ისე, რომ ყმები ჩამოგვართვესო, უბასუხა ყმაწვილმა კაცმა.—განა მამა-მზე (ერისთავი) იქ არ იყოო?—მამა-მზეც იქ იყო და დედა-მზეცაო, მაგრამ გლეხები მაინც ჩამოგვართვესო.—უკაცრავად, —მიუგო თურმე კნეინამ წყენით,—ვიდრე მამა-მზე არ ინებებს, ბუხსაც ვერავინ აგვიფრენს და ყმებსაც ვერ ჩამოგვართმევენო. ეს ანეგლოტის მზგავსი თქმულება მშენიერად ასურათებს ერისთვიანთ ძლიერებასა.

მთავრობას უღალატეს მოხელეებმაც კი. თელავის სამაზრო სასამართლოს ზასედატელმა თ. სვიმონ ქობულაშვილმა და სათემო ბოლიციის გამგეობის ზასედატელმა თ. ლუარსაბ ჯანდიერმა სამსახური მიატოვეს და ტახტის მძიებელ ბატონიშვილს გაჰყენენ უკან მთავრობასთან საბრძოლველად. ქობულაშვილისა და ჯანდიერის საქციელი სწორედ უმაგალითოა და ჩვენა გვეგონია, რომ ამის მზგავსს თვით მსოფლიო ისტორიაში ვერ ვიპოვით. კარის-ქაცოა ინტრიგები, მეფეთა ღალატი ხშირია ყველგან. ამის დასამტკიცებლად საკმარისია გავიხსენოთ მეთვრამეტე საუკუნის ისტორია რუსეთისა პეტრე დიდის სიკვდილის შემდეგ იმპერატორ ალექსანდრე პირველამდე, ან საოცმალოს ხონთქართა და სპარსეთის შაჰთა ისტორია, მაგრამ ბოლიციის მოხელეთა ღალატი სწორედ უმაგალითოა და ამიტომ საკვირველიც. ეტყობა ძლიერი საბუთი ჰქონიათ ქობულაშვილსა და ჯანდიერს, რომ ის მოიქმედეს, რაც არცერთ ბოლიციის „ჩინოვნიკს“ არ მოუქმედნია ქვეყანაზედ.

ქობულაშვილისა და ჯანდიერის უცნაურმა და არა ჩვეულებრივმა საქციელმა დიდ გაჭირვებაში ჩააგდო აღმასრულებელი ჭქსვედიცა საქართველოს უმაღლესის მმართველობისა. ამ მმართველობამ აღარ იცოდა, რა ექნა და იძულებული გაჰხდა დაჰკითხოდა მთავარ-მართველს, გვიბძანე, როგორ მოვიქცეთ, შევწყვიტოთ დროებით თელავის მაზრაში მართლ-მსაჯულების მოქმედების მიმდინარეობა, თუ გაქცეულ მოხელეთა კანდიდატები მოვიწვიოთო. სამწუხაროდ აქტებში არ არის მოხსენებული, როგორ გადასწყვიტა მთავარ-მართველმა თ. ციციშვილმა ეს საგანი, ან ვამოჰგზავნა თუ არა რაიმე პასუხი.<sup>5)</sup>

ჩვეულებრივ, ალავერდობას, 14 ენკენისავეს, დიდ-ძალი მლოცავი შეიკრიბა. უკეთეს ალაგს ვერ იმოგინდნენ ბატონიშვილის ფარნაოზის მეგობრები მოსალაპარაკებლად და გადასაწყვეტად, თუ როგორ მოქცეულიყვნენ და როგორ ემოქმედნათ. მართლაც, წინა ღამეს, 13 ენკენისთვეს, კახეთის თავად-აზნაურობა შეიკრიბა ერთად და თათბირი დაიწყო. ბჭო-

<sup>5)</sup> იხ. АКТЫ, т. II; გვ. 141.

ბის საგანი ერთი იყო, დავებმართ უკვე მთიულეთს ასულს, ფარნაოზსა, თუ არაო. საღამოს ლოცვის შემდეგ კრებაზე მოვიდა წინამძღვარი ალავერდის მონასტრისა არქიმანდრიტი ბესარიონი, გვარად ერისთავი და ცოლის ძმა (ШУРИНЪ) ფარნაოზისა. კრება თითქო არქიმანდრიტის მოსვლას და მის ლოცვა-კუთხევას ელოდა ძნელის საქმის გადაწყვეტაში. ბესარიონის მოსვლა და ერთხმად გადაწყვეტა, ფარნაოზს დავებმართო, ერთი იყო. მეორე დღეს, 14 ენკენისთვის, ვინც კი ბჭობას დაესწრო, ახმეტის გზით გაუდგა მთიულეთს ბატონიშვილთან შესაერთებლად და მთის მემბოხეებთან ერთად საბრძოლველად რუხის მხედრობის წინააღმდეგ. 6)

6) იხ. АКТЫ. Т. II, გვ. 136, 138, 142. ბატონიშვილ ფარნაოზთან ლტოლვილთა სახელი და გვარი პირველად გენერალ-მაიორს თავ. ორბელიანს მიუტანა თავ. დავით ყორჩიბაშევმა თოთხმეტსავე ენკენისთვის. გენერალ ორბელიანს კახეთი ჰქონდა ჩაბარებული და აქ დაბანაკებულ ჯარის უფროსი იყო. გაიგო თუ არა გენერალმა, კახელები ზელანლა აჯანყებას აპირებენო, უბძანა დედოფლის-წყაროზე დაბანაკებულ ერთის ბატალიონით პოდპოლკოვნიკ თ. ერისთავს, თვალყური ადევნე მაღაროში და ნუკრიანში დამართულ ლაზარეთებს, აჯანყებულმა ხალხმა ავად მყოფებს არა ავნოს-რაო.

უმნიშვნელოდ არ მიგვაჩნია სახელისა და გვარის ჩამოთვლა ალავერდობიდან წასულ თავად-აზნაურებისა: არქიმანდრიტი ბესარიონი, ზასედატლები ს. ქობულაშვილი და ლ. ჯანდიერი, დიმიტრი ვახვაშიშვილი, ალექსანდრე გარსევანისძე და ზურაბ ნინიასძე ქავეკავაძენი; გოგია, იოსებ, თამაზი და ევგენი ქობულაშვილები; გრიგოლი, აბელი, დიმიტრი, იოსები და ომან ჩოლაყაშვილები; დიმიტრი, გლახა და ბარამ ყორჩიბაშვილები; ნადეორნი სოვეტნიკი ავალიშვილი \*); სპირიდონი, ომან, გრიგოლ, ბიძინა, ივანე, დიმიტრი, ოტია და სიმონ ჯანდიერები, იასე და იოსებ მაყაშვილები; გრიგოლ ვახვაშიშვილი და გიორგი ავალიშვილი. აზნაურები: ალავერდის სახლთ ხუცესი პაატა სულხანიშვილი, გოგია და ანდრონიკე ანდრონიკაშვილები; დიმიტრი მგალობლიშვილი, ბეჟან ტანიაშვილი, სიმონ ნათლიშვილი და გლახა კოშმანიშვილი, სიღნაღის მაზრიდან გივი ჩერქეზიშვილი, კობტა ანდრონიკაშვილი და გლახა ავალიშვილი.

\*) რუხის მთავრობამ ძველი ქართული ხარისხი—ჩინი თავისებურად შესცვალა და მრავალ ქართველს, რომელთაც რაიმე თანამდებობა ეჭირათ, შესაფერი რუხული ჩინი უბოძა. ამ სახით ბევრი ქართველი სამსახურში არ იყო, მაგრამ ჩინი და ორდენები კი ჰქონდათ. ამ ჯურის ჩინოვანთ ეკუთვნის ნადვარნი სოვეტნიკი ავალიშვილი. АКТЫ, Т. II, გვ. 38—43. აი ორიოდ მაგალითი: თ. ივანე ორბელიანს, სარდალს და ქართლის სახლთხუცეს ებოძა ჩინი გენერალ-მაიორისა და ორდენი ანნასი პირველი ხარისხისა და 2,100 მანეთი პენცია წელიწადში. ამილახვარს და გარის მოურავს თ. ოთარ ამილახვარს იგივე ჩინი და პენცია, მხოლოდ ანნას ჯვარი მეორე ხარისხისა.



ჯერ კაველინი არ დაბრუნებულიყო პეტერბურგიდან, საქართველოს გამგებელმა თ. ვოლკონსკიმ არაფერი იცოდა, როგორ მიიღო ხელმწიფე იმპერატორმა მის მიერ გაგზავნილი საგანგებო მაცოცხლებელი სამწუხარო ამბებით, გული ვერ დაემშვიდებინა და ის კი არა თუ, უფრო გულგასახეთქი ამბები მოუვიდა კახეთიდან. ვოლკონსკის რომ მოსწერეს, ალავერდობას დიდძალი თავად-აზნაურობა შეიკრიბა და გადასწყვიტეს, ვებრძოლოთ რუსის მთავრობასაო, მშვედობის მოყვარე გენერალს წელი მოსწყდა და გონება-დაბნეულმა მიჰმართა ერთადერთ საშუალებას, რომელსაც ასე ხშირად ხმარობდა. გულის მწუხარებით შევიტყე თქვენი ღალატით, სწერს თ. ვოლკონსკი კახეთის თავად-აზნაურობას, და მოვალეობად მიმაჩნია მოგაგონოთ, რომ თქვენ შეჰფიცეთ ერთგულება ხელმწიფე იმპერატორსაო. ფიცის შემდეგ ღალატი გვირგვინოსანის მეფისა უპატიოსნობაა და საკადრისი არ არის ისეთი წოდებისათვის, როგორც თავად-აზნაურობაა. ბოლოს უფრო მორბილებულის კილოთი განაგრძობს თ. ვოლკონსკი და თითქმის ეხვეწება და ემუდარება, ნუ ჰღუპავთ თქვენ ცოლ-შვილსა, დაუბრუნდით სახლ-კარსა, შემატყობინეთ, რამ გაიძულათ მოგექმედებინათ ასეთი დამღუპველი საქციელი და მე, როგორც თქვენი კეთილის მოსურნე და შუამავალი, ვეცდები შეგიმსუბუქოთ სასჯელი დანაშაულისთვისაო. <sup>7)</sup>

როგორც სხვა მრავალი წერილი, დარიგება და მამაშვილური მოწოდება თ. ვოლკონსკისა უნაყოფოდა რჩებოდა, ისევე უნაყოფოდ დარჩა ეს უკანასკნელი მშვიდობიანი წერილიცა. კახელობამ არ შეისმინა საქართველოს გამგებელის სიტყვა, ცოლ-შვილს არ დაუბრუნდა და მთიულეთისკენა ჰქმნა პირი, სადაც ამ დროს ბატონიშვილი ფარნაოზი საკვირველის ენერგიითა ჰმოქმედებდა. მხნეობა ამ ტახტისა და სამეფოს ახალგაზდა მამიებელისა სწორედ დაუჯერებელია. ერთი ალაგიდან მეორეს გადადის, განკარგულებას აძლევს, აქეზებს მებრძოლთ,

<sup>7)</sup> იხ. АРМ, Т. II, 83-136.

დიდებულ და ბედნიერ მომავალსა ჰპირდება; ერთის სიტყვით, ისე იქცევა მიყრუებულ მთაში და ხევ-ხუეებში, როგორც ნამდვილი აგიტატორი და დემაგოგი. ყველას, დიდსა და პატარას, მღვდელსა და ერსა, თავადსა და აზნაურსა, ფარნაოზი წერილებსა სწერს, ტკბილის, სიყვარულით აღსავსე კილოთი ესაუბრება, რომ დროა შევერადეთ და გულ-წრფელად ვიმოქმედოთ სამშობლოს დახსნისათვის მტრისა და მოღალატეს ხელიდანაო. ასე გაშინჯეთ, ბატონიშვილი არა თაკილობს და მდაბიო ხალხსაც გლახემსა და ოსებს ბარათებსა სწერს და ატყობინებს, მე აქა ვარ, თქვენ შორის, და იარაღი აისხით საერთო საქმისათვისაო. მთავარ-მართებელი თ. ციციშვილი ტყვილად კი არა სწერდა ხელმწიფეს, ოდეს ფარნაოზი დასასახლებლად ვაგონებს გაისტუმრა, დიდი საფრთხილე და ყურადღება საჭიროა, თორემ მხნე, მოხერხებული ბატონიშვილი ვაგონებსაც არ დაწყნარდება, არ მოისვენებს და შეიძლება ხათაბალა რამ იქაც აგვატეხოსო<sup>8)</sup>).

ფარნაოზს მიწერ-მოწერა დიდი ჰქონდა და აქტებშიაც ბლომადაა მოყვანილი მისი წერილები და ბარათები. „ირაკლის შვილის ფარნაოზისათვის სიყვარულით მოსაგონებელნო, — სწერს ბატონის შვილი, — ბებრიშვილო, თიგოშვილო, ქერელელნო, გურციანებო, ბიგაანო, ჩიგოანო და შაკინაშვილებო!<sup>9)</sup> სიყვარულით მოგიკითხავთ და თან გაუწყებთ, რომ ღვთისა და დიდებულის შაჰის წყალობით რუსებს მცირეს ხანს სულ ერთიანად ამოვწყვეტათ და სამშობლოს გადანათვისუფლებთ. შეეიტყე, რომ ჰმოქმედებთ მამაცურად და ვაჟკაცურად, მაგრამ უფრო მომეტებული მხნეობაა საჭირო, მზად უნდა იყენეთ, რადგან დახანება აღარ შეიძლება, გაჩნდება თუ არა ჩემი ძმა ალექსანდრე აქა, ყველამ იარაღი უნდა აისხათ და საბრძოლველად გამოხვიდეთ“. ასეთისავე ბარათით მიჰმართა ფარნაოზმა ტერიშვილსა და მიქელაშვილსა და თან შეუთვალა, რომ კახეთიდან 120 თავად-აზნაური მეახლა, თვით სვიმონ მდივანი,

<sup>8)</sup> *ibid.* გვ. 146.

<sup>9)</sup> ვგონებთ ესენი ოსები უნდა იყვნენ.

კალაუტრის მოურავი ომანი, გარსევანის შვილი ალექსანდრე და სხვანი. ამისთანა მოხერხებულ დროს აჯანყებისათვის სხვას ველარ ვიშოენიოთ, სწერს ბატონიშვილი, რადგან, როგორც ფირმანიო მატყობინებს დიდებული შაჰი, რუსები დიდს გაჭირვებაში არიან, შერცხვენილნი და თავ-ლათ დასხმულნიო.

სიყვარულითა და ნდობითაა სავსე ფარნაოზის წერილი, გაგზავნილი ფშავლებთან. ჩემის გონებიდან განუშორებელია და მუდამ ჟამს სიყვარულით მოსაგონებელია ხევის ბერო ხახა, კაკილაშვილო თორლო, ხატულა, მცარია და ლიქურიშვილო, დახანების და დაგვიანების დრო აღარ არის, დადგა ჟამი განთავისუფლებისა, იარალი აისხით და მებაელით, იცოდეთ, რომ საქმე სახუმარო არ გეგონოთ და ამისათვის ქულზე კაცი უნდა გამოხვიდეთ.<sup>10)</sup>

18 ენკენისთვის ბატონიშვილ ფარნაოზს უკვე სტეფანწმინდაში ვხედავთ, მაშასადამე ბატონიშვილი ამ დროს აჯანყებითა და ამბოხებით მოცულ მიწა-წყალის შიგ შუა გულს ალაგას გაჩენილა. აქედან კოშკელებს გამამხნევებელსა და თან მადლობით სავსე წერილს უგზავნის. სიყვარულით მოგიკითხავთ, კოშკელებო, — სწერს ფარნაოზი, გაგულაშვილო ხატა, ბაბათა და საზოგადოდ ყველა კოშკელებს. ჩვენ მოგვხსენდა თქვენი ერთგულობის ამბავი და იცოდეთ, რომ რუსების სახსენებელი გასწყდა და მხოლოდ მცირეოდენი-ლა შეხიზნულან ტფილისსა. სპარსეთიდან ჩვენი ძმა მოდის, აქედან ჩვენ თავს დავესხათ და, ღვთის წყალობით, სულ ამოველეტავთ. სამსახურისთვის დაუჯილდოვებელი არ დარჩებით, მხოლოდ დაგვიანება არ იქნება. ეხლავე, მიიღებთ ბარათს თუ არა, იარალით უნდა აღიქუროთ და საომრად უნდა გაემზადოთ.

მართალია, ბატონიშვილი ფარნაოზი დიდს მხნეობას იჩენდა, არავის ივიწყებდა, ვისაც კი დახმარების და შემწეობის

<sup>10)</sup> იხ. АКТЪ, т. II, გვ. 136—137. უკანასკნელი ალაგი ასეა ნათარგმნი რუსულად: на шапку по одному вы должны пойти. ეჭვი არ არის, რომ ეს თარგმანი ძველი უნდა იყოს. ძველი დასაჯერებელია, რომ ასე უთარგმნოს ეს ადგილი ან დიშ. ბაქრაძეს, ან ნიკ. ბერძნიშვილსა.

აღმოჩენა შეეძლო, ყველას წერილებსა და ბარათებს უგზავნიდა; მართალია თავაურელებს და თრუსოელებს ცალკე შიკრიკებსა და მოციქულებს უგზავნიდა, კავკასიის უღელ-ტეხილზე რუსები არ გამოატაროთ და გაელიტეთო; არ იფიწყებდა აგრედვე აქა-იქა გაბნეულ რუსის მხედრობას და ჰზრუნავდა რაიმე ვნება მიეცა მათთვის და ამიტომ ოტია და ივანე ზანდუკლებსა სთხოვდა, მიუხტით დუშეთში შეხიზნულ ჯარისკაცთ და ამოსწყვიტეთო; დიად, ყველა ეს საფიქრებელი და საზრუნავი იყო, მაგრამ მარტო ეს არ აწუხებდა ფარნაოზსა. ვინ იტყვის, რომ ზემოე დასახელებულ კერძო გავლენიან კაცთა და თემთა დახმარებას მნიშვნელობა არ ექნებოდა გამარჯვებისა და სამეფოს აღდგენისათვის, მაგრამ იყო ერთი ისეთი გარემოება, ურომლისოდაც საქმე ვერ დაგვირგვინდებოდა და ყოველივე ჩაიფუშებოდა. ეს საშიში და საფრთხილო გარემოება, რომელსაც შეეძლო საქმე მოეცარა, იყო ერისთვიანთ უზომო ერთგულება მთავრობისადმი. თუ ერისთვიანი მტრულად მოექცეოდნენ ბატონიშვილსა, ხელს არ შეუწყობდნენ, არა გამოვიდოდა-რა და, დღეს თუ არა, ხვალ მაინც ფარნაოზს იულონის ბედი არ ასცდებოდა. იცოდა ესა ბატონიშვილმა ფარნაოზმა და სცდილობდა, ეგებ როგორმე ერისთვიანთ გული მოვიგოვო და მაშინ, დარწმუნებული იყო, რომ ერისთვიანთ შემწეობით რუსები აქ ველარ იბოვინებდნენ და იქავე წავიდოდნენ, საიდანაც მოვიდნენ.

ბატონიშვილს კარგად ეყურებოდა, რა ძნელი მოსახერხებელი იყო ეს შერიგება-შეერთება, რა დიდი უფსკრული გაჩნდა და რა დიდი გორა აიყუდა ერისთვიანთა და ბაგრატიანთა შორის. დიდი მოხერხება, დიდი ნიჭი იყო საჭირო იმისთვის, ვინც მოინდომებდა საშინელის უფსკრულის ამოვსებას და მერმე ზედ მშვიდობით გასვლას, ან მათ შორის აწვდენილ მთის გადალახვას. ძველად, საქართველოს დამოუკიდებლად არსებობის დროს, გაბუტებული ფეოდალის შერიგება აგრე საქნელო არ იყო; მეფე დაუყვავებდა გაწიწმატებულ ფეოდალს; რაიმე მაღალ ხარისხს დაჰპირდებოდა, აჩუქებდა სოფელს, ან ციხეს,

გაუზზავნიდა მოციქულად დიპლომატიაში დახელოვნებულ კარის-კაცს, ან დაუნათესავდებოდა, მორჩა და გათავდა. ეხლა სულ სხვი იყო. ბაგრატოვანთ ფასი დაჰკარგეს, მათგან რა წყალობის იმედი უნდა ჰქონოდათ ერისთვიანთ? სულ სხვა სურათს წარმოადგენდნენ ახალი ბატონები ქვეყნისა. ჩან-ორდენ-ეპოლეტები ტყვია-წამალსავეთ მოდიოდა, პენცია-ჯამაგირებიც უხვი იყო და, თუ ასიგნაციების სიმრავლით შეიძლება ადამიანმა აზრი შეადგინოს ხაზინის სიმდიდრეზედ, ერისთვიანთ სრული საბუთი ჰქონდათ ფეიქრნათ, რომ რუსების ხაზინა დაუსრულებელი და დაუშრეტელი საღაროა, საიდანაც მხოლოდ სულელი არაფერს ამოიღებს, თორემ ჰკვათა მყოფელი ამას არ მოიქმედებსო. სამშობლო? სამწუხაროდ, როგორც ზემოდაცა ვსთქვით, ამ სიტყვამ დაჰკარგა თავისი დიდი ძალა და მაშასადამე, რა საბუთი გვაქვს ვუსაყვედუროთ ერისთვიანთ, რატომ მის გულისათვის სისხლი არ დასთხიეთ სხვებთან ერთად, როგორც არა ერთ გზობით გარჯილან თქვენი წინაპარნიო?

მეფე ერეკლემ ქსნის ერისთვიანთ სამშობლოს მოღალატობა დასწამა. მოღალატობა, რა გვარისაც უნდა იყვეს, საზიზღარია და დასაგმობი, მაგრამ იმისთანა მოღალატეობა, როგორიც ერეკლემ ქსნის ერისთვიანთ დააბრალა, სწორედ უმაგალითო იყო ჩვენში. ერეკლემ მთელი თავისი ძალ-ღონე, გმირობა, ვაჟკაცობა, იმას მოანდომა, რომ დაეჩაგრა დაღესტანი და, თუ ამას ვერ შესძლებდა, შეეკავებინა მაინც ლეკობა, შიშა და მორჩილებაში ჰყოლოდა. ასეული ლეკები სწორედ საშიშარნი იყვნენ საქართველოს მშვიდობიანობა—ყუდროებისათვის და, აბა, რა თქმა უნდა, ვინც ამ დიდებულ საქმეში ერეკლეს ხელს შეუშლიდა და ლეკობას წააქეზებდა საქართველოს დასარბევად, რაღა თქმა უნდა მეფის მოსისხლე მტერი გახდებოდა. ასეთი მტრობა გაუწიეს ერეკლეს ქსნის ერისთვიანთ, ლეკების წინამძღოლობას ჰკისრულობდნენ, დაღესტნიდან ახალციხეს გადაჰყავდათ და იქიდან კიდევ დაღესტანს. ძლიერი მონარქი ამ გვარ მოღალატეს თავაზიანობას არ მოუყვებოდა, ან დახვრეტდა, ან კიდევ საბუდამოდ განდევნიდა სამშობლოდან, რომ

მათი სინსილაკი გაწყვეტილიყო; დიად ძლიერი მონარქი და თვითმპყრობელი ასე მოიქცეოდა, გარნა თვით სახელოვანი გმირი მეფე შეხუთული იყო შინა, დროსა და ჟამს გადასულ სახელმწიფო წეს-წყობილებით, დროსა და ჟამის შეუფერებელ ფეოდალიზმით და ამისათვის ჩამოხრჩობა-დახვრეტის, ან სამშობლოდან განდევნის მაგიერ, იძულებული იყო შეეკრიბა „ღარბაზი“ და ისე გაესამართლებინა სახელმწიფო მოღალატენი. ერთ-მთავრობისა და თვით-მპყრობელობის გასაძლიერებლად მეფე თეიმურაზმა მოსპო არაგვის ერისთავობა; ირაკლიმ იმის წაბაძვით მოისურვა ბოლო მოეღო ქსნის ერისთავობისთვის, რადგან, როგორც ზემოდ დავინახეთ, ურჩი და თავგასული ფეოდალები მარტო მეფის ურჩობას არა სჯერდებოდნენ და სამშობლოს ღალატსაც კი ჰბედავდნენ.

ჩვენ არ ვიცით, როგორ მოჰხდა საერისთავოს ღირსების აყრა არაგვის ერისთავებისა მეფე თეიმურაზის დროს; ხოლო რაც შეეხება ქსნის ერისთავობის ჩამორთმევას, ფრიად საინტერესო და საგულისხმიერო ამბებს მოგვითხრობს პლატონ იოსელიანი. ამ ისტორიკოსის სიტყვით, სამეფო სასახლეში შეკრებილან მდივან-ბეგნი და მათ შორის ჭაბუა ორბელიანი, ეს სახელოვანი ორატორი-პატრიოტი მეთვრამეტე საუკუნისა და იოსებ თუმანიშვილი. შეკრებილთ მოუსმენიათ „საქმე და ორ-გულე-ბა“, რომელთაც შესწამებდნენ ქსნის ერისთვიანთა, და დაუდგენიათ ასეთი განაჩენი: „სრულიად უკუნითი უკუნისამდე მოეღოთ მათ საერისთავო“. ამ სასტიკისა და უღმობელის განაჩენის სიმტკიცისათვის მოიწვიეს უფრო რიცხვ-მრავალი კრება, მოახსენეს საქმის ვითარება და განაჩენი და ბოლოს დაიწერა ძეგლის წესა, რომელსაც მოეწერა ხელი და დაესვა ბეჭედი მეფისა და სამეფოს სახლისა წევრთა, კათალიკოზისა და რვა მღვდელ-მთავრისა. კირილე მთავარ-ეპისკოპოსმა, მისცა ხმა მიემატოს ძეგლის-წერას ესეცაო: „იყავნ კრული თვით მეფეცა, რომელმანცა გახსნას შეკრულება ესე და ჰსცვალოს განჩინება“. 11)

11) იხ. მეფის გიორგი XIII-ის ცხოვრება, გვ. 94—95.

ასე სასტიკად მოუკლა გული ერისთვიანთ ბაგრატიონთა გვარმა; მოკლული და დამიწებული გული გაუმთელა ხელმწიფე იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა თ. პავლე დიმიტრის ძის წარდგენილობით და, მაშ, რილას იმედი ჰქონდა ჰაბუკ ფირნაოზს და ან როგორ უნდა ეფიქრნა ერისთვიანი უღალატებენ თავიანთ მწყალობლებსა და მომემხრობიან მე, ჯერ ახალგაზდა ყმაწვილსა, სახელმწიფო საქმეებში სრულიად გამოუცდელსა, და რომელსაც ჯერ არ მიგემნია სამსალა ამა საწუთროებისაო? ფარნაოზს იმისი იმედი ჰქონდა, რომ ერისთვიანთ სიძე იყო და, მაშასადამე, პირველად ამან არ შეასრულა მამის სურვილი, გასტენა ძეგლის-წერა და დაუნათესავდა იმით, ვისი სახელიც წყველა-კრულვით მოიხსენია უმაღლესმა სახელმწიფო საბჭომა. <sup>12)</sup>

ნათესაობით დაიმედებულმა ბატონიშვილმა ფარნაოზმა წერილი მისწერა თ. მიხეილ ერისთავს. ფარნაოზი უთვლიდა ერისთავსა, ღმერთმა არ დაადგო ჩვენი მართალი საქმე და შემწეობას არ გვაკლებს. რუსის მხედრობასა ვსჯობნით, აჯანყებულნი მთის ხალხნი ხომ სანაქებო დახმარებას გვიწვევენ. ამ შესავალის შემდეგ ფარნაოზი პირდაპირ ასე განაგრძობს. რიგი ახლა თქვენზეა. ღმერთი და კაცნი ხელს გვიწყობენ და თქვენც მოვალე ხართ დახმარება ამოგვიჩინოთ. თუ დადგეს ჩვენსა და თქვენ შორის უთანხმოება და უსამოყვანება ყოფილა, უნდა დავაწყებინოთ მავსცეთ; დღეს განა დროა წარსულის ანგარიშებს გასწორებასა? უსამოყვანო წარსული განუბიდან უნდა ამოვყვანათ, რადგან დადგა უამო საერთო საყვარულია და ქმურის დახმარებისა. <sup>13)</sup> აღბად ფარნაოზი დარწმუნე-

<sup>12)</sup> ძეგლის წერის წყველა-კრულვას ისე უტყუროდნენ თურმე, რომ ერისთვიანთ არავინ არ უნდა მიჰკარებოდა. ფარნაოზმა მამის სურვილის წინააღმდეგ ცოლად მოიყვანა ანნა, ქალი ყულარაღისის ერისთავისა. ფარნაოზს, ხანში რომ შესულა, უსინათლობა სწვევია. პეტერბურგში, სადაც ბოლოს მისცეს ნება ცხოვრებისა და ტფილისშიაც, საზოგადოება ისე უყურებდა ამ უღრო-უღროდ თვალის დაკლებას, როგორც ღვთის სასჯელს, რადგან მამის ანდერძი გასტენაო. (გაგონილი თ. ი. ნ. კ.).

<sup>13)</sup> იხ. АКТЫ, Т. II, გვერდი 139.



ბული არა ყოფილა, რომ მისი წერილი გასჭრიდა და თავად მიხეილს გულს მოუგებდა და ამის გამო იმავე დღეს, 23 ენკენისთვის, ცალკე წერილსა სწერს კნენინა აბაშიძეს და ეხვეწება, თქვენც ურჩიეთ თ. მიხეილს, შეისმინოს ჩემი თხოვნა, მობძანდეს აქ, ჩემთან, და თავისის თვალთა ჰნახოს ყველაფერი. დაარწმუნეთ აგრედვე, რომ ყოველი მისი სურვილი, რაც უნდა მცირედი და უმნიშვნელო იყოს, ასრულებული იქნება დაუყოვნებლივ. რადგან ფარნაოზს მაინცა და მაინც დიდი იმედი არც ამ წერილისა ჰქონდა, კახელ თავად-აზნაურობას წასჩურჩულა, მიეწერათ მიხეილ ერისთავისათვის საერთო წერილი და ეთხოვათ ბატონიშვილთან ერთად ემოქმედნა საქართველოს სამეფოს აღსადგენად. კახელები ძველებურად იწყობენ წერილსა, სწორედ ისე, როგორც ძველად იყო მიღებული საწინამუშაო წერილები. თქვენი ავადმყოფობის ამბავი შეგვესმა და დიდად შეგწუხდითო, სწერენ კახელები და გულ-მხურვალედ ევედრებიან ღმერთსა, მალე განკურნოს ავადმყოფი თავადი მიხეილი. თუ ჩვენ ამბავს იკითხამთ, გახლავართ ღვთით კარგად, ვიახელით ბატონიშვილ ფარნაოზსა და ამ უმად ვიმყოფებით მთიულეთსა. დაივიწყეთ ძველებური უსიამოვნება და მძულვარება, არ გეკადრებათ ესა; საქართველოში პირველი კაცი ხართ, ტოლი არავინა გყავთ, იკისრეთ ჩვენი მეთაურობა, გაგვიძეხით წინა გამარჯვებისა და სამშობლოს განთავისუფლებისაკენ. <sup>14)</sup> მაგრამ ამასაც არ დასჯერდა ფარნაოზი და არქიმანდრიტ ბესარიონსაც მიაწერინა წერილი. მიუძღვნის რა ლოცვა-კურთხევას, ბესარიონი (ერისთავი) უთვლის, ნუ გაკერპდები, ეახელ ეხლავე, ვიდრე დრო არ წასულა, ბატონიშვილსა, თორემ შემდეგ შეიძლება ისეთივე უბედურება გვეწვიოს, რაც უკვე ბარე ორჯელ იგემა ჩვენმა საგვარეულომია <sup>15)</sup>.

<sup>14)</sup> იხ. АКТЫ, т. II, გვ. 139—140. წერილს აწერენ ხელსა: ანდრონიკაშვილები, ვანაძიანი, ჩოღაყაშვილები, ქავჭავაძიანი, ჯანდიერისშვილები, ყორჩიბაშვილები, ქობულაშვილები, ავალიშვილები და ერთიან საყდრონის აზნაურშვილები. ხელივე უწერია ალექსანდრე ჯარსვეჯანისძეს ქავჭავაძეს, ჩვენს სახელოვან მგოსანს და რუსეთის გამოჩენილ პოეტის გრიბოედოვის სიმამრს.

<sup>15)</sup> *ibid.* 140.

კლდესავით მაგარი და შეუღრკელი ყოფილა პოდპოლკოვნიკი თ. მიხეილ ერისთავი. ამოდენა ხალხის ხვეწნა-მუდარამ ვერ შეარყია მისი ერთგულება რუსეთის მთავრობისადმი, ფიცი ვერ გაატეხინა და აი ეს პასუხი გაუგზავნა ფარნაოზსა: თქვენი ბრძანება მივიღე და ყველაფერი ვსცანი, მამა თქვენი და ძმანი გაგვირისხდნენ, ხოლო თქვენ მუდამ ჩვენი მწყალობელი იყავით და სკდილობდით აღგედგინათ გაწბილებული და შერცხვენილი ჩვენი სახლი; ამისათვის მოვალედა ვსთვლი ჩემს თავს, სრული ჭეშმარიტება მოგახსენოთ და არაფერი დაგიმალოთ. მტკნარი სიცრუე მოუხსენებიათ თქვენთვის, ვითომც მთავარ-მართებელი თ. ციციშვილი გაჭირვებაში იყო ჩავარდნილი ყიზილბაშებისაგან, თ. პავლე დიმიტრის ძე დაბრუნდა უკვე ლაშქრობიდან დიდად გამარჯვებული, მტერს შიშის ზარი დასცა და უკუ აქცია. შერცხვენილი და გაწბილებული ყენი სპარსეთს გაიქცა. გაიქცა აგრედვე ძმა ალექსანდრე. მხლებელნი: ადამ ბებურიშვილი, ვაჩნაძე და იმერელი პაატელა განშორდნენ ბატონიშვილ ალექსანდრეს და ტფილისს დაბრუნდნენ. დაწყნარდა აგრედვე ეული ხალხი და თავ-თავიანთ ბინაზე დაბრუნდა. აღელვების ნიშანი აღარსადა სჩანს—ათავეებს წერილს თ. მიხეილი, — ყველაფერი მიყუჩდა, დასცხრა და სთხოვს ირწმუნე, რომ ყოველივე ამ ბარათში მოხსენებული სრული და ხალასი ჭეშმარიტებააო<sup>16)</sup>.

თ. მიხეილ ერისთავმა პირდაპირ შეუთვალა ტახტის მადიებელ ბატონიშვილ ფარნაოზს, ვერ ვუღალატებ იმპერატორ ალექსანდრესა, შეფვიცე ერდგულება და რა საკადრისია „დიდებულისთვის“ ლალატი მეფისა და ამ უმგზავსისა და უგვანო საქციელით გვარისა და სახელის დამცირებაო. შეიძლება თავ-მიხეილის ხასიათის სიმტკიცემ ბევრი თანამგრძობიცი მოიპოვოს და სთქვან, რა ექნა, შეჰფიცა ერთგულება და სწორედ მოვალე იყო მტკიცედ დაეჭირა ფიცი და ბატონიშვილისთვის უარი შეეთვალა, თუმცა ისიც დასავიწყებელი არ არის, რომ

<sup>16)</sup> ibid. გვ. 139.

თ. მიხეილის წინაპრებმა, ან შეიძლება პირადად თვითონაც ერეკლეს შეჰფიცეს აგრედვე ერდგულება და საჭიროდ კი დაინახეს იმავე დროს დალესტინიდან ლეკები გაესეირნებინათ სათაბაგოს და იქიდან უკან გამოეტარებინათ ეს სამშობლოს დაუძინებელი მტერი, რომელიც სწორედ მაშინ გააღმასდა, გათამამდა და აღვირი წაიხსნა პირიდან, როდესაც საქართველოს საპოლიტიკო სიცოცხლის მაჯის ცემა მოდუნდა და მისუსტდა. თ. მიხეილ ერისთავი, არამც თუ უარზე დადგა, არამც თუ არ შეისმინა ხვეწნა-მუდარა ფარნაოზისა, ნათესავის არქიმანდრიტის ბესარიონისა, კნ. აბაშიძისა და მთლად კახეთის წარჩინებულ გვართა თხოვნა, არამედ კიდევ გაჰბედა და დარიგება მისცა ფარნაოზს, ცოტა არ იყოს, დაცივნის კილოთი. თ. ციციშვილი გამარჯვებული დაბრუნდა, შენი ძმაც გაიქცა ყიზილბაშებთანაო, მისი მხლებლები აქ, ქალაქს ჩამოვიდნენ და სხვანაო. ერთის სიტყვით, თავი დაანებე სისულელეს, დაწყნარდი, უსიამოვნებას ერიდე და ჩემსავით ჩინისა და ორდენების ძებნის გზას შეუდექიო.

ღიად, თავადი მიხეილის სიტყვა-პასუხს შეიძლება ბევრი აღმოუჩნდეს გამამართლებელი, მაგრამ, არა გვეკონია, მოიძებნებოდეს ვინმე, თუნდ მთელ დედამიწის ზურგზედ, ისეთი, რომელსაც შეეძლოს კეთილად მოიხსენიოს საქციელი თ. გიორგი ამილახვრისა. თ. გიორგი, ვფიქრობთ, ნათესავი უნდა ყოფილიყო საქართველოს სამეფო საგვარეულოს ოჯახისა; იულონს ცოლადა ჰყავდა თ. რევაზ ამილახვრის ქალი და, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ძველ საქართველოში ნათესაობა და ნათელ-მირონობა, საეკლესიო კანონის მიუხედავად, ათს, ხშირად მეტს თაობაზედ გადადაოდა, მოსალოდნელი იყო, თ. გიორგი ნათესავიც რომ არ ყოფილიყო თ. რევაზისა, მაინც ბატონიშვილებს ისე მოჰქცეოდა, როგორც ნამდვილ ნათესავებს. ბატონიშვილი იულონი ჯერ ისევ თავისუფალი იყო, ჯერ არ ეგემა სიამოვნება და სიტკბოება ეტაპით მოგზაურობისა ზედა-ველაზედ და ტირიფონის ველ-მინდვრებზედ,<sup>17)</sup> რომ

17) ქართლის გაშლილი ველ-მინდვრებია.

იმანა და ფარნაოზმა საერთოდ წერილი მისწერეს თ. გიორგის ფრიად დიდის მნიშვნელობისა. წერილი ამტკიცებს, რომ ბატონიშვილები დიდად ენდობოდნენ თ. გიორგის, ისე უყურებდნენ როგორც ნათესავს, უფრო მეტს ვიტყვი, როგორც ღვიძლ-ძმას, რომელიც ყოველ ჟამს მზადაა თავი დასდოს მათთვის, არ შეუშინდეს მახვილსა, ტყვიასა, ჭირსა და ბოროტსა, ოღონდ რითიმე ვასიამოვნო, ხელი მოეწეოს და გამარჯვების კარამდე მივიყვანო ჩემნი სისხლნი და ხორცნიო. თუ ბატონიშვილები ასე არ უყურებდნენ თ. გიორგი ამილახვარსა, ვერ მიხვედრილ-ვართ, მაშ როგორ გაჰვინდამდნენ იმ გვარის წერილის მიწერას, რომლის შინაარსიც აგერ აქვე მოგვყავს შემოკლებით. დაწვრილებით შეგვატყობინეო, სწერენ იულონი და ფარნაოზი თ. გიორგის, რას ჰვიქრობენ ქართლები, რა თვლით გვიყურებენ ჩვენ და ჩვენ მიერ დაწყებულ საქმეს, ვინ გამოიწვია ამბოხება არაგვის ხეობაში და ვინაა არაგველების მოთავე, ეხმარებიან თუ არა არაგველებს ხევსურნი და ფშავლები, ომი ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა, თუ ჩანელდა და შეამბოხენი თავ-თავიანთ სახლებში დაიფანტნენ. ნუ დაივიწყებ და შეგვატყობინე, სწერენ ბატონიშვილები, სადაა ამ ჟამად მთავარ-მართველი, რა ალაგებში სდგას რუსის მხედრობა, სადაა ყენი, ან ჩენი ძმა ალექსანდრე; რას აპირობს ქართლი და კახეთი, ან თქვენ რა სამზადისში ხართ, რუსები მცხეთას ზემოდ სად არიან დაბანაკებულნი და რიცხვით რამდენი იქმნებიან. ყოველივე დაწვრილებით ავიწერე და შეგვატყობინეო, რომ იმის მიხედვით მოვიაზროთ და შემდეგ ვიმოქმედოთო, ამბობენ წერილის დასასრულს იულონი და ფარნაოზი <sup>18)</sup>.

ზნობრივ სიფაქიხეს ვილა იტყვის, უბრალო ზრდილობა და თავაზიანობა, რაითაც ასე იყო განთქმული ძველი ქართველი და რაითაც ეხლაც თავი მოგვაქვს ჩვენ, მის შთამომავალს, მოითხოვდა, რომ, თუ თ. გიორგი ამილახვარს დალატო არა ჰნებავდა რუსებისა, აეღო ეს წერილი, დაეფხრიწა,

<sup>18)</sup> იხ. АКТЫ, т. II, გვ. 316—317.

ნაკუწ-ნაკუწად ექცია და ცეცხლში აებრიალებინა, ან, რადგან თიბათვის სიცხეების გამო ცეცხლი არ ენთებოდა, ქარისთვის მიეცა, ან კიდევ მტკვრის ტალღებისთვის გაეტანებინა. არც ერთი, არც მეორე და არც მესამე არ ინება თ. გიორგიმ და 18 თიბათვის თარიღით აღნიშნული წერილი ბატონიშვილებისა, 21 თიბათვეს გორიდან ქ. ტფილისს აფრინა, მაშასადამე, ერთი წუთიც არ გაუჩერებია წერილი სახლში, რადგან ლიხის მთა-გრეხილიდან, სადაც იმყოფებოდნენ იმდროს ბატონიშვილები, გორამდინ ორი-სამი დღე მოუწდებოდა მგზავრი, თუ მაშინდელი მისვლა-მოსვლის ამბავს მივიღებთ მხედველობაში. მარტო წერილის გაგზავნა არ იკმარა თ. გიორგიმ, თავისი საკუთარიც მისწერა საქართველოს გამგებელს თ. ვოლკონსკის. ეს წერილი იმდენად საყურადღებოა, რომ არ შეგვიძლიან სრულად არა ვსთარგმნოთ. ბატონიშვილები მთხოვენ, სწერს თ. გ. ამილახვარი თ. ვოლკონსკის, რომ დახმარება აღმოუჩინო; ამის მაგიერ, კი მე შეუთვალე, იმერეთის სამზღვრიდან ს. ყორნისზე გადმოიარონ და იქიდან ჩამოვიდნენ შიგ შუაგულ ქართლს, ს. ხურვალეთსა. აქ მე და თ. ელიზბარ ერისთავი დაგზავდებით და ადვილად შევიპყრობთ; საჭიროა მხოლოდ თან გვახლდეს რუსის მხედრობა. იმედი მაქვს, ამბობს თ. გიორგი, რომ ღმერთი ხელს მომიმართამს და პირნათლად შევასრულებ ამ მონდობილებას და ბატონიშვილებს შევიპყრობთ. ჩემი იმედი იმიტომა აქვთ ბატონიშვილებსა, რომ მე დაუჯილდოვებელი დავრჩი რუსებისაგან და ამის გულისათვის ჰფიქრობენ, გულ-ნატკენი და დავიწყებული რუსის მთავრობისაგან უფრო ადვილად გავტეხ ფიცსა და ბატონიშვილებს დახმარებას აღმოუჩინ. წერილის დასასრულს თ. ამილახვარი სთხოვს თ. ვოლკონსკისა, ერთი ათი თუმანი კიდევ გამოგვიგზავნე, საჭიროა ყორნისეღ ოსების მოსყიდვა და დასაჩუქრება, რადგან ოსები ფულის გულისათვის ყველაფერს მოიქმედებენ და ბატონიშვილებს ხურვალეთს მოიყვანენ, სადაც მე და ელიზბარი მზად ვიქნებით იმათ მისაღებად<sup>19</sup>).

<sup>19</sup>) *ibid.* გვ. 817.

ასეთის შინაარსისაა ეს შესანიშნავი ისტორიული წერილი, დაბეჭდილი აქტების მეორე ტომის 317 გვერდზედ, პირველის სვეტის თავშივე. ვინც კი ცოტათიც არის იცის ჩვენი წარსული, ვისაც კი თვალის არის გადაუვლებია ჩვენი საგმირო და სარაინდო ისტორიისათვის, ვინც კი მცირედაც არის უწყის, რა ღვაწლი მიუძღვის მაღალ წოდებას სამშობლოსა და რჯულის დაცვის საქმეში, ფიქრადაც ვერ მოიფიქრებდა, რომ მეცხრამეტე საუკუნის—დამდეგს უმაღლესისა და განათლებულის წოდების წევრი ამგვარ სულის სიმდაბლემდის მივიდოდა ჯილდოს გულისთვის. პირდაპირაც ვერ გაუბედია ჯილდოს თხოვნა და მხოლოდ ჰხედავს სიტყვის გადაკვრას. ბევრი ბევრი თ. გიორგისთვის ებოდებინათ სისხლის ჯვარი მესამე, ან მეორე ხარისხისა და მაიორობა, ან, თუ გაქირდა, პოდპოლკოვნიკობა. ამილახვრიანი, სილარიბით გულგატეხილნი არასოდესა ყოფილან, ყმა და მამული ბლომდა ჰქონდათ და, მაშასადამე, მცირედი პენსიონი სახარბიელო ვერ იქმნებოდა; ეტყობა სისხლის ჯვარის უქონლობა მოსვენებას არ აძლევდა თავადსა და ამისათვის იკადრა ასეთი უკადრისი საქციელი.

სისხლის ჯვარმა ისეთი დიდი ალაგი დაიჭირა ჩვენს ისტორიაში ამ საუკუნის დამდეგს, ისე მოიცვა ჭკუა და გონება ჩვენთა თანამემამულეთა მისის შოვნის სურვილმა, ზოგს ისე დაუბნია დავთრები, რომ ამ ჯვარის ამბავმა თვით დიდებულყაენის ყურამდისაც კი მიაღწია. შაჰი განცვიფრებული იყო ამ უცნაურის ამბით და არ იცოდა, რა ეფიქრა, ეს რა ჯაღო და თილისმა მოუგონია ჩემს დაუძინებელ მტერს, გაიჟურ—რუსებს, რომ სულ ერთიან გადაჰპრიეს გურჯისტანის ხალხიო. მთავარმართებელს თ. ციციშვილს თან ახლდა ერევანს თ. იოანე ორბელიანი. სარდალი სპარსელებმა ტყვედ წაიყვანეს და, პლანტონ იოსელიანის სიტყვით, ოდეს ფათალიშაჰმა ჰნახა ესე იოანე და იხილა მისსა გულზედ ვარსკვლავი ანნასი, ბოდებული იმპერატორისაგან, ჰყვედრა მრავალი, მისწვდა თვით ვარსკვლავსა, მოჰგლიჯა იგი, გარდაავდო და უბრძანა: „ამისთვის უღა-

ლატე შენს მეფესა და ქვეყანასაო?«<sup>20</sup>) ვინ იცის, სპარსეთის ყაენი რას მოელოდა და, რა იხილა პატარა ოქროს ვარსკვლავი, განცვიფრდა, ვეღარ მოითმინა და ზემოდ მოყენილი მწარე და გესლიანი სიტყვები უთხრა საქართველოს უპირველეს თავადიშვილსა და გენერალსა, რადგან ძველად სარდლის ხარისხი, თუ ეხლანდელ გენერალ-ლეიტენანტს ვერ უდრის, გენერალ-მაიორობა ხომ უპრიანია ამ ხარისხისთვის და წინ ვერა დაუდგება-რა.<sup>21</sup>)

დიდი იმედები ჰქონდა თ. გიორგი ამილახვარს ჯილდოსი, მაგრამ, როგორც ეტყობა, ღმერთმა არ შეისმინა მისი ვედრება, ხელი არ მოუმართა და არ მისცა საშუალება გაემაწრა ყორნისელ ხოზან ოსების დახმარებით საქართველოს სამეფოს მადიდებელი ბატონიშვილები. მართალია, ბატონიშვილები აპირებდნენ ყორნისზე გადმოვლას, მაგრამ ეს აღარ მოხერხდა, რადგან იულონი იქვე, იმერეთის სამზღვრებზე, შეიპყრეს და ფარნაოზმა, რა გზა აირჩია მთიულეთს ასასვლელად, ეს მხოლოდ ჯერ-ჯერობით მაღალმა ღმერთმა უწყის. ამ სახით ცდამ თ. გიორგი ამილახვარს უნაყოფოლ ჩაუარა და გული ანნას ვარსკვლავით ვერ დაიმშვენა. არც ისაა მოხსენებული აქტებში, უბოძეს რაიმე სამხედრო ჩინი თ. გიორგის, თუ არა.

არ შეგვიძლიან აქვე უყურადღებოდ დავსტოვოთ ის ცილის წამება, რომელიც თ. გიორგი ამილახვარმა დააბრალა ოსობას, ვითომც ფულის გულისათვის ყველაფერს ჩაიდენენო. ყორნისელის ოსებისა რა მოგახსენოთ, იქნება მართლა ზნეობით დაცემულნი იყვნენ, თუმცა მათი მსაჯული აგრე რიგად სარწმუნო არ გახლამთ, მაგრამ საზოგადოდ მაშინდელ ოსობაზე არც ერთ ქართველს საყვედური არ ეთქმის; რაც შეეძლოთ ეხმარებოდნენ მეთამბოხე მთიულეებს და ბატონიშვილებს

<sup>20</sup>) იხ. მეფის გიორგი XIII-ის ცხოვრება, გვ. 323—324.

<sup>21</sup>) იხ. АБТЫ, Т. II, გვ. 39. ასეთია აზრი თ. ციციშვილისა, სარდალს თ. იოანე ამილახვარს ებოძა გენერალ-მაიორობა და პენცია 2,100 მან.; მთავარ-მართებელი ამბობდა, რომ სარდლობა უდრის გენ.-ლეიტენანტობას, მაგრამ გენ.-მაიორის ჩინიც უყოფაო. სარდალს ოთარ ამილახვარსაც გენ.-მაიორობა ებოძა და პენცია დაენიშნა 2,100 მან. წელიწადში.



ხომ მოწიწებითა და საგანგებო სიყვარულით ექცეოდნენ. აქ-  
ტებში ბლომადაა მოყვანილი ამის დასამტკიცებელი საბუთები;  
ჩვენც არა ერთი მაგალითი მოვიყვანეთ ამ წერილებში, აი  
თუნდ ოსის ახმეტა დუდარუკოს ისტორია და ამ აზრის უფრო  
გასამტკიცებლად ერთ საბუთს კიდევ მოვიყვანთ. ერევნის ლა-  
შქრობიდან დაბრუნებულმა თ. ციციშვილმა გაჰგზავნა ლია-  
ხვის ხეობაში თ. მირმანოზ ერისთავი ხალხის დასამშვიდებლად.  
თ. მირმანოზი უქადაგებდა, დაწყნარდით, დამორჩილდით რუ-  
სის მთავრობას, თავსა და ცოლშვილს ნუ იღუბავთ. ამბოხე-  
ბით ვერას გახდებით და თქვენ კი სამუდამოდ ბედს დაჰკარ-  
გავთო. ქვემოთ მოყვანილ წერილიდანაა სჩანს, რომ თ. მირ-  
მანოზ ერისთავს, რათა მისს სიტყვას უფრო ძლიერ ემოქმედ-  
ნა, უთქვამს, ბატონიშვილი ფარნაოზი შეიპყრეს და, აბა, ამის  
შემდეგ რაღას გარგიათ იარაღით ბრძოლა რუსობასთანაო. ამ  
ამბავს გული მოუკლავს ოსებისათვის და აი რა წერილსა სწე-  
რენ ვილაც ბარამი და გედევანი მირმანოზ ერისთავსა: მებო-  
და თქვენ მიერ წერილი, რომელმაც გული და გონება ჩვენი  
განგმირა და იფიქრე ჩემის ხელმწიფის მეფის-ძის ფარნავაზის  
დაქერის ხმა რაგვარი საბავთოს ხმის მოწვენადი არის და ვაი  
სასმენელთა ჩვენთა! მწყალობლობა მეგობრობითი გეძიანათ;  
შენ ნუ მომიკვდები, თუ ფარნავაზ ბატონიშვილი არა მყავს,  
ჩალად მჩანს ყოველი ქვეყანა. თუ ქრისტიანი ვართ, ვერც  
ხმალი, ვერც ცეცხლი, ვერც წყალი და ვერც სხვა რამ გან-  
მაშორებს და განმღრეკს მის სიყვარულზედ და თუ იმისის გუ-  
ლისათვის კიდენ ერთს წელიწადს ხმალს არ ვიქნევთ, რა სი-  
ყვარული არის და, თუ იმის ერდგულებაზედ დაგვბოცს ვინმე,  
ასე მგონია ღვთის მოწყალებით სასუფეველი მზა არს ჩვენ-  
თვის. გეძიანათ, ამის უარესად თქვენს თავს ნუ გააუბედურე-  
ბთო, და ფუ! ჩვენს კაცობასა, რომ, თუ ფარნაოზ მეფის ძე  
გაუბედურდება, ჩვენთვის სიკვდილი სანატრელი არ იყოს! ასე  
მოხსენდეს თქვენს მაღალ-ბრწყინვალებას, ჩვენც ამ ხეობაში  
ერთი ამათთანა მოძმე განლაგართ და გაფიცულნი განლაგართ:  
თუ გარიგება იქნება, ჩვენ და ეს ხეობაც ერთად გაგირიგდე-

ბით. ვიცი მწყალობ, მაგრამ თუ მესვრიან, მეც ვესვრი,—ასე არის ჩვენი საქმე. როკამდის, კუდარომდის, ქურთაულამდის და ჩერქეზამდის<sup>22)</sup> გზა გვაქვს სავალი, არ გვეშინიან ჯარის მოსვლისა: აქ რომ მოვა, ზევით წავალთ. რა ვქნა, ჩემო ხელმწიფე, თუ ფარნაოზ დაიჭირეს,—ალექსანდრე, თეიმურაზ და ლევან ხომ ისევ არიან და, თუ ფარნაოზ ამ განსაცდელს შემთხვევით, ჩვენთვის სიკვდილი სანატრელია. ჩვენ მოგახსენებთ, პირ-აქეთ გარდმოხედოთ, სულ აგრე არ იქნება, შენ ნუ მომიკვდები. ვითხოვთ, არ უგულვებელს გვყოთ და, თუ მართალია, ბატონისშვილის ნაწერი ბარათი გვებოდოს თავისის პატარა ბექდით დაბეჭდილი: წამოღითო, ქალაქს ვიმყოფებით და ჩვენც ყელზედ ხმაღს დავიკიდებთ და ისე შენ ვიახლებით, თუნდა შენ დაგებოცე და თუნდა ციციანოვმა,—ნება თქვენი აღსრულდეს და ამ ხეობასაც შემოირიგებთ, როგორც თქვენი ნება არის. საცა ათასი სული კაცი კაცთან მოკვდება, იქ რომ კაცი განდრკეს, წაწყნდება. ჩვენი მოხსენება ეს არის და სხვას ჩვენს სიტყვას ეს უფროს-უფროსი კაცი მოგახსენებენ.<sup>23)</sup>

ასე თავგამოდებით და სიყვარულით არ შეუძლიან ლაპარაკი იმას, ვინც ათ თუმნად გაჰყიდის თავის ბატონისშვილსა.

ბატონისშვილის ფარნაოზის ენერგიას არა აკლდებოდა-რა, რაც დრო და ჟამი გადიოდა, უფრო მომეტებულ მხნეობას იჩენდა. აზნაური გოგია ნათლისშვილი დღე და ღამ ცხენს ეკრა და ბატონისშვილის ბარათებით ჰყენდა ქართლ-კახეთსა. ფრიად საინტერესოა ამ ბარათების შინაარსი: ზოგ მათგანში ბატონისშვილი ოხუნჯობს, ზოგს არცხვენს და უკიფინებს გაუბედობას. თუ ბარათი თავადებთანაა მიწერილი, აგონებს წარსულ სამსახურს სამეფო გვარისათვის და სთხოვს ეხლაც ისეთსავე ერთგულ სამსახურს და ზოგს კი ჰპირდება მომავალში მრავალ წყალობას: ვიღაც მოურავ ბარნაბე ზოდისშვილსა

<sup>22)</sup> იხ. დედოფრთაფილი აღწერა საქართველოსი ვახუშტისა, გვ. 256, 378 და 442. აქ ნაჩვენებია ქართული ტექსტის კაბადონები და არა ფრანგულისა. როკა, კუდარი და ქურთაული ეხლაც ოსებითა დასახლებული.

<sup>23)</sup> იხ. АКТЫ, т. II, გვ. 145.

სწერს, რუსებს რომ ამოსდგომიხარ გვერდში, ნეტავი კი ვიცოდე, რა სიკეთე გაგიწიეს მაგათა, რით მოგხიბლეს, ან რასა გპირდებიან, რომ ადგილიდან აღარ იძვრი. თუ ღღეს კაცად ითვლებით და ქვეყანაზე რამე ფასი გდევთ, ეს ხომ ჩვენის ოჯახის წყალობით, მაშ, დაუხანებლივ გვიახელ, გვემსახურე და ძველებურად წყალობაც არ მოგაკლდებაო. თითქმის ამასავე სწერს ფარნაოზი ვიღაც ფილიპე დეკანოზიშვილს. განსვენებულ ნეტარ ხსენებულ მამა ჩვენს ერეკლე მეფეს ხომ ძალიან უყვარდი, ეს ხომ შენ კარგად იცი, მაშ, რითი მოგაჯადოვეს რუსებმა, რას დაგპირდნენ ისეთსა, რომ აღარა შორდებით, თუმცა არ ვიცით მიზეზი, —სწერს ფარნაოზი, —რითი მოგხიბლეს გული და აგიბეს თვალი რუსებმა; მაინც, მიიღებ თუ არა ამ ბარაუს გოგიას ხელით, დაუყოვნებლივ გამოსწიე ჩვენთან. სირცხვილი და თავზე ლაფის დასხმა არ არის, რომ შენ ჩვენთან არა ხარ და შენი ნათესავი კი ქიზიყიდან აქ ამოიჭრა და ჩვენთან ერთად ათას გაჭირებას იტანს? —ათავეებს წერილს ბატონიშვილი. გოგიასავე ხელით გაუგზავნა ბარათი ფარნაოზმა მაჩაბლიანთ და ფალავანდიანთ. თქვენი წინაპარნი ჩვენი სახლის ერთგულნი იყვნენ და თქვენც მოვალენი ხართ გვიჩვენოთ ერთგულება, გვემსახუროთ და შემწეობა აღმოგვიჩინოთ. უნდა იცოდეთ, რომ, თუ ჩვენ ბედნიერი ვიქნებით, მაშინ თქვენც ბედნიერი იქნებით, ამისათვის სთხოვს ბატონიშვილი, ოსებს ხელს ნუ უშლით და დახმარება აღმოუჩინეთო. ეს თ. მაჩაბლებთან და ფალავანდისშვილთან მიწერილი ბარათიც ახალი საბუთია იმისი, თუ რა ერთგულებას უჩენდა ბატონიშვილებს ოსობა და რამდენად უსაფუძვლოა ცილის-წამება დაუჯილდოვებელის თ. გიორგი ამილახვრისა მის შესახებ. აქ მოყვანილ წერილში ფარნაოზი სთხოვს მაჩაბლიანთ და ფალავანდიშვილებს, როგორც ოსების მებატონეთ, მფარველობა აღმოუჩინეთო. მიზეზი ასეთის შუამდგომლობისა ცხადია. ფარნაოზსა სურს, რომ მის ერთგულ ოსებს მებატონეებმა შევიწროება არ მიაყენონ და არმც თუ არ შეიავიწროვონ, დახმარებაც აღმოუჩინონ<sup>24</sup>).

<sup>24</sup>) იხ. АРТИ, т. II, გვ. 140, 141. აქ მოყვანილი ბარათების და წერილების ნიმუშები ცხადად ამტკიცებს, რომ ჩვენს ხანგრძლივ ისტორიას ვერ შეუმუშავებიო

მსოფლიო ისტორიაში დიდი მწშენლობა აქვს როგორც ადგილს, მდებარეობას, აგრედვე დროსა და ქაშსა. ხშირად გამარჯვება იმაზედაა დამოკიდებული, რა დროს მოჰკიდე ხელი საქმეს; ვიდრე მოქმედებას დაიწყებდი, შეურჩიე დრო, თუ არა. მცირედ შეცდომას ამ მხრივ ბევრჯელ განძრახული საქმე ჩაუფუშია და ზოგჯერ დიდისხნობით შეუჩერებია ისა, რის ასრულებაც ადვილად მხორხდებოდა, თუ დროზე შეუდგებოდნენ საქმესა. სწორედ ასევე მოუვიდა ბატონიშვილ ფარნაოხსაც. მხნეობა, ანერგია ბეერი გამოიჩინა, საკვირველის გატაცებით მოჰკიდა ხელი სამშობლოს განთავისუფლებას და სამეფოს აღდგენას, თითქმის დაღალვას არა ჰგრძნობდა, ისე გაფაციცებით მოქმედებდა მთელი სექტემბერი, დღე და ღამ არ ეძინა, ერთი ხეობიდან მეორეში გადადიოდა, აქეხებდა ხალხსა, ამხნევებდა, აიმედებდა მომავლის სიტკბოებით, სწერდა ურიცხვ წერილებსა და ბარათებსა სხვა-და-სხვა გავლენიან კაცთა. ერთის სიტყვით, ახალგაზდა ბატონიშვილი არასა ჰზოგავდა თვისის საყვარელის აზრის განსახორციელებლად, მაგრამ წინადვე შეიძლებოდა გამოეცნო ადამიანს, რომ მისი ციებ-ციხელების მზგავსის მოქმედებიდან მთიულეთში არაფერი გამივიდოდა და შეიძლება უფრო უბედურად დაესრულებინა თვისი დღენი, ვიდრე მისმა უფროსმა ძმამ იულონმა, რადგან ფარნაოხმა დრო დაჰკარგა და მაშინ მივიდა მთიულეთს, როცა საქმე სანახევროდ წაგებული იყო და, მოგეხსენებათ, ძნელია წამოქცეული კედლების შეყენება და გამაგრება, თუ საძირკველი გამოთხრილია. მთელი ოთხი თვე, მისი, თიბათვე, მკათათვე და მარიამობისთვე იბრძოლეს მთიულეთმა, ზედ შეალიეს თვისი ძალ-ღონე რუსებსა, ხან აქეთ ეცემოდნენ, ხან იქით, რადგან ერთი საზოგადო სარდალი არა ჰყავდათ, რომ ღონივრად შიგ ქეჩოში ჩაეგლო ხელი საქმისთვის, გაფანტული ძალა შეეკრიბ-

ოფიციალურ, ბიუროკრატულ მიწერ-მოწერის წეს-რივი და ენა. ნუ თუ ბიზანტიამ ამ მხრივ ვერ იმოქმედა საქართველოზე? ბატონიშვილების წერილებს რომ ჰკითხულობ, ასე გგონია, ვისმე უბრალო, უბირი, კაცის წერილია და არა მეფის შვილისა და ისიც ტახტის მამიებელისა, რომელიც ეწინააღმდეგება და ებრძვის ისეთს ძლიერ სახელმწიფოს, როგორც არის რუსეთი.

ნა და ისე ემოქმედნა. ოთხი თვე მთიულეები მოუთმენლად ელოდნენ ბატონიშვილებს, ალექსანდრეს, იულონს და ფარნაოზს; ამოდენა ხანს არც ერთი არ გამოჩნდა, მთიულეები კი ბრძოლით მოიქანცნენ და შემოდგომის პირს ისეთს მხეობას ვეღარ იჩენდნენ როგორც დასაწყისსა. სამთავ ბატონიშვილებს ადვილად შეეძლოთ თავისს დროზე ამოსულიყვნენ მთიულეთს ზაფხულში, სწორედ მაშინ, როცა მთიულეებმა მაიორი მელლა საშინლად დაამარცხეს და იძულებული გაჰხადეს მცხეთისკენ გამოქცეულიყო. მთავარ-მართველის ჯარი სიცხისა და პაპანაქებისაგან ერევანსა და ერზიამინს შუა უწყლოობით იხოცებოდა და გენერალმა თ. ვოლკონსკიმ დავთრები სრულიად დაჰკარგა. ვინ შეუშლიდა ხელს ბატონიშვილს ალექსანდრეს დალესტის გზით ჩამოსულიყო მთიულეთს, ან იულონსა და ფარნაოზს, რომ დუდარუკას წამოჰყოლოდნენ ჩიმისა და დიგორიის გზით პირდაპირ თავაურსა და თრუსოს ჩამოსულიყვნენ და იქიდან ხევსა და მთიულეთსა? არავინა. სამთავემ სწორედ შეუფერებელი და საშიში გზები ამოირჩიეს. ალექსანდრე აპირებდა თრიალეთის გზით ასვლას მთიულეთში, იულონსა და ფარნაოზს კიდევ უსათუოდ ქართლზე ჰსურდათ გამოეგლოთ, იმ ქართლზე, საცა თავისუფლად დანავარდობდნენ მათი მტრები თ. ერისთვიანი, თავ. გიორგი ამილახვარი, იაგორ ამირეჯიბი, ნიკოლოზ მუსხელიაშვილი და სხვანი მათნი მზგავსნი. რუსის მხედრობის ყარაულები და პიკეტები ხომ კიდევ სხვა იყო. ესენი, რა თქმა უნდა, საშინლად აძნელებდნენ მოგზაურობას როგორც ქართლზე, აგრედვე თრიალეთ-ბორჩალოზე და აკი ამიტომაც ფარნაოზს თითქმის სამი თვე მოუწდა, რომ ლიხის მთიდან მთიულეთს ასულიყო. ეს არაფერი. ამ მოგზაურობის დროს ბატონიშვილი იულონი მთავრობამ შეიპყრო და თვითონაც, როგორ გადარჩა დატყვევებას, ან სიკვდილს, ღმერთმა უწყის.

საზოგადოდ, შინაურ ამბოხებას არ შეუძლიან დიდხანს გასტანოს. თოფ-იარაღში ჩამჯდარი მამა-კაცობა თავს ანებებს შინაურ საქმეს, ხვნა თესვა იგი, თუ საქონლის მოვლა. ამ ტკბილ

და მყუდრო საქმისათვის მაშინ სადღა სცალიან, მაგრამ როდემდისინ? ომისთვის მოუშადებელ თემს გაუჭირდება დიდხანს იბრძოლოს, რადგან შიმშილით გაწყვეტა მოელის. უეჭველია ეს საზოგადო მიზეზიც იქონიებდა გავლენას მთიულების ენერგიის შესუსტებაზე, როცა ფარნაოზი ავიდა ანანურსა და სტეფან-წმინდას. ამას გარდა, ზამთარი მთაში იქვე ენკენისთვეში იწყება ხოლმე, ზამთარი იცის მკაცრი და დიდი. ვის არ გაუგონია, რა წყევულია საქართველოს სამხედრო გზა, რომელიც ახლაც თვეობით შეიკვრის ხოლმე. ოქტომბრის რიცხვებში თუშ-ფშავ-ხეცურეთი, თითქმის სწყდება მთელ ქართლ-კახეთსა დიდის თოვლის გამო და მხოლოდ ბილიკვბით და ცალხუცა გზებით რის ვაი-ვაგლახით გადმოდიან ბარში ხორბლის გადასაზიდად, თუ შინ ნაკლულევანება აქვთ. ხშირად ასეთი მისვლა-მოსვლაც გასაჭირია და მთლად გამომწყვდეულები არიან გაზაფხულამდე.

ვინ ამბობს, ყველა აქ მოხსენებული მიზეზი და მოსაზრება ყურადღების ღირსია და არ შეიძლება, ამ გარემოებას ასე თუ ისე, გავლენა არა ჰქონოდა ამბოხების მიმდინარეობაზე, მაგრამ უპირველესი და უმთავრესი მიზეზი, რისთვისაც ვერ შესძლო ბატონიშვილმა ფარნაოზმა აჯანყებულის მთიულების შემწეობით დაებრუნებინა ტახტი, აღედგინა მეფობა და რუსები კავკასიის უღელ ტეხილის იქით გადაეღალა, ის იყო და არის, რომ, როცა ფარნაოზი მთას მივიდა, საქმე უკვე გაფუჭებული იყო და მისი გამოკეთება და გამობრუნება კერძოდ ფარნაოზისთვის შეუძლებელი იყო. თვით ბაბა-ხანიც რომ დახმარებოდა, მაშინაც ძნელად საფიქრებელია, რომ გაეწყო რამე. ენკენისთვეს, როცა ფარნაოზი მთაში გამოჩნდა და შეუდგა ქართლელების გამოფხიზლებას წერილებითა და ბარათების წერით, ან ერთგულ მოსამსახურეთა ჩაგონებით, პეტერბურგში უკვე იკოდნენ დაწვრილებით საქართველოში გაბნეულ მკირე მხედრობის საშინელი გაჭირვება და შევიწროება. ერთი წუთიც არ დაუკარგნიათ: უმაღ მიიღეს არა ჩვეულებრივი ღონისძიებანი. დაწვრილებით ამ ამბავს ქვემოლ მოუთხრობთ მკი-

თხველს, აქვიტყვით მხოლოდ, რომ რუსეთის თვით-მპყრობელმა ყირიმიდან ერთი პოლკი და არტილერია ზღვით გამოისტუმრა საქართველოსკენ, ლინიიდან კიდევ გენერალ გლაზენაჰს ებძანა დაუყოვნებლივ აღადგინე შეწყვეტილი მისვლა-მოსვლა რუსეთსა და საქართველოს შორისო. გლაზენაჰი და ნესვეტაევი ქვეითის ჯარებით და ყაზახთა პოლკებით წამოვიდნენ კავკაზისკენ და მოახლოვდნენ აჯანყებულ მთიულეთსა სექტემბრის უკანასკნელ რიცხებში. ამავე დროს, რაკი მთავარ-მართველმა ერევანი ვერ აიღო, სამჯობინოდ სცნო ერევნის დამორჩილება სამერმისოდ გადაედო, როცა უფრო დრო და ჯარის რაოდენობა ხელს შეუწყობდა და საქართველოსკენ გამოსწია. ამ გვარად მთაში მომწყვდეულ ბატონიშვილს ფარნაოხს და მთიულეთის მემბოხეთ რკინის რკალივით ოთხ-კუთხივ გარს შემოერთყა რუსის მხედრობა. ჩრდილოეთით ორი გენერალი — გლაზენაჰი და ნესვეტაევი, სამხრეთ-აღმოსავლეთით დაბრუნებული თ. ციციშვილი და დასავლეთით ერისთვიანი, რომელთა გასამაგრებლად სამეგრელოდან და იმერეთიდან აჩქარებულის მარშით მოდიოდა ბელევის მუშკეტერის პოლკი და არტილერია.

ამისთანა მდგომარეობაში თვით სახელოვან სარდალსაც ნასწავლ და გაწყობილ მხედრობით გაუქირდებოდა გამაგრება, მტრის გულადად დახვედრა და უვნებლად გადაჩენა და, რასაკვირველია, რომ ბატონიშვილმა, ამ გამოუცდელმა ახალგაზდა კაცმა, ვერა გააწყო-რა, იძლია და ბრძოლის ველი მტერს დაუტოვა. მის სასახელოდ ის ითქმის, რომ ლაჩრობა არ გამოუჩენია, იბრძოლა, ვიდრე ძალა შესწევდა, თავის ნებით მტერს არ დაჰნებდა და შეიპყრეს ლტოლვილი მისისავე თანამემამულეთა შემწეობით სწორედ ისევე, როგორც მისი უფროსი ძმა, ბატონიშვილი იულონი.

ა. ფრანკლა





# რ ძ მ

v\*)

## ქარაქის ღა. მრგმ

### B) კარაქის გაწმენდა, გასუფთავება და დამარაღება.

ღვება უნდა გათავებულად ჩაითვალოს, როცა ერბოს გროვები გაიზდებიან და გახდებიან მუხუდოს ტოლები; მაშასადამე ღვება მაშინ უნდა შეიწყვიტოს, როცა ერბოს წვეთების შეერთება, ერბოს წვეთების გროვება ერთ გვარად და ერთ ხარისხზე არის გაზდილი და გადიდებული. მეტი ღვება საჭირო აღარ არის, რადგანაც ამით გამოსავალს აღარა მიემატება-რა და კარაქის ღირსება კი შემცირდება, ერბო დაიღლება და წებოვანი ხდება, იგლისება.

სადღვებლიდან ამოღებული კარაქი, წვრილ-წვრილ გროვებად იქნება თუ დიდრონად, ბევრ დოს შეიცავს, რომელიც უეჭველად უნდა გამოეცალოს, თუ სასურველია ნაზი და კარგად შესანახის ერბოს მომზადება. მაშ უმთავრესი ყურადღება ამ დოს გამოცლაზე უნდა იყოს მიქცეული, მაგრამ იმ პირობით კი, რომ ერბომ ანუ კარაქმა თავისი სუნნელოვანება და კონსტიტუცია (შედგენილება და აგებულება) არ დაკარგოს. ჩვენში გავრცელებულია საზოგადოდ ის ჩვეულება, რომ ერბოს გროვებს სადღვებელშივე დიდ გუნდებად აქცევენ და შემდეგ ხელით ამოიღებენ; სხვა ადგილებში კი ერბოს დიდ გუ-

\* «მოამბე № X.

ნდებად არ აგროვებენ, არამედ სადღვებელში მოგროვილ წვრილ გროვებს საცერით ან ქაფქირის შემწეობით ხდიან. ამ ორივე ჩვეულებას თავისი ღირსებაცა აქვს და ნაკლულევანებაც: როცა ერბოს წვეთები მაგრდებიან, ერთმანეთს ეწებებიან და პატარ-პატარა გროვებათ იკრიფებიან, მაშინ რასაკვირველია ყოველი გროვა დოთი არის დასველებული, მაშასადამე ყოველ გროვას ცოტა თუ ბევრი დო აცხია და თუ ეს გროვები გუნდებათ არიან გაზდილნი, მაშინ გუნდებშიაც მოსალოდნელია დოს შეყოლება. ამის წინააღმდეგ თუ სადღვებლიდან ერბო ამოღებულია საცერის შემწეობით წვრილ-წვრილ გროვებათ, მაშინ ამ გროვების შუაგულში უფრო ცოტა დო იქნება მოყოლებული; მაგრამ რადგანაც ამ წვრილ გროვებს უფრო დიდი გარეგანი სივრცე აქვთ, ამისათვის მათ გარეშემო უფრო ბევრი დო იქნება, ვინემ იმ შემთხვევაში, როცა ერბო გუნდებად არის მოგროვილი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი, როგორც უკვე ვსთქვით, თუმცა მათ გარეშემო შედარებით უფრო ცოტა დო იქნება, მაგრამ მათ ტანში კი ბლომათ იქნება მოყოლებული. საზოგადოთ ჯერ კარგად გამოკვლეული არ არის, რომელ შემთხვევაში უფრო ბევრი დო ამოჰყვება ერბოს, თუმცა კი ბევრნი იმის აზრისანი არიან, რომ დიდ გუნდებს უფრო ცოტა დო ამოაქვთ.

თუ სადღვებლიდან კარაქი წვრილ გროვებათ არის ამოღებული საცერის ანუ ქაფქირის შემწეობით, მაშინ დოს გამოსაძლეულად ამ ერბოს პირდაპირ წყალით რეცხენ. ამ გზით რასაკვირველია ადვილად მოსცილდება გროვებთან ამოყოლილი დო, რომელიც ამ გროვებს გარს ახვევია, მაგრამ აქ სამწუხარო ის არის, რომ ეხლა დოს ადგილს წყალი დაიქერს და რადგანაც წყალიც თითქმის ისე მიწნებელია ერბოსი, როგორც დო, ამისათვის ამგვარი გარეცხით ერბოს არავითარი სარგებლობა არ მიეცემა. ეს კია საგულისხმებელი, რომ თუ გარეცხის შემდეგ, ეს წყალიც როგორმე გამოეცალა ამ ერბოს, მაშინ ერბო კარგი შესანახი იქნება.

სადღევბლიდან ამოდებულ კარაქს ჩვეულებრივ ორ გვარად შეამუშავებენ ხოლმე: ან ჯერ გარეცხენ და ამის შემდეგ მარილს მისცემენ (დამარილება რასაკვირველია საჭირო არ არის, თუ ერბო ხელდახელ სახმარებელია კარაქადვე) და ან გაურეცხელად აძლევენ მარილს. როგორც ვსთქვით წყალით გარეცხას ის დანიშნულება აქვს, რომ კარაქს დო მოაცილოს და ამით ხელი მოუმართოს ამ კარაქის გამძლეობას. ალექ. მილლერმა მოახდინა ბევრი გამოკვლევა იმის შესატყობად, თუ კარაქს როდის უფრო კარგა ეცლება დო, როცა წყალით თუ უწყლოდ არის შემუშავებული და დარწმუნდა, რომ წყალით გარეცხით უფრო სრულიად სცილდება ხაჭო, ვინემ უწყლოთ შემუშავების დროს. რაც სხვა შერეული სხეულების გამოცლას შეეხება, მაგალითებრ შაქრისას და მარილებისას. მაშინ არავითარი განსხვავება არა სჩანს. თითონ სადღევბი მასალის მდგომარეობაზეა დამოკიდებული კარაქის წყალით გარეცხა; რამდენადაც ნაღები დამყავებული იყო ღღევბის წინედ, რამდენადაც ხაჭო აჭრილი იყო, ერთი სიტყვით რამდენადაც სადღევბი მასალა, რძე ანუ ნაღები, დაძველებული იყო, იმდენად ბევრი ბაქტერიები და ბევრი ხაჭო შეჭყვება მოგროვილ კარაქს და ამის გამო იმდენად უფრო საჭირო იქნება ამ კარაქის გარეცხა ხაჭოსა და ბაქტერიების გამოსაცილელად. რადგანაც ჩვეულებრივ ხაჭოა ბაქტერიების ბუდე, იმ ბაქტერიებისა, რომლებიც ერბოს ამძაღებენ და გამძლეობას უმოკლებენ, ამისათვის ყველასთვის ცხადი უნდა იყოს ამ ხაჭოს გამოცლის მნიშვნელობა. ამასთან ამასაც ნუ დავივიწყებთ, რომ გარეცხის დროს წყალსაც შეუძლიან ამ კარაქს შეურიოს მავნე ნივთიერებანი და თითონ კარაქს არომატიც შეუმცროს. ამისათვის იმ ადგილებში, სადაც ნაზს და გამძლე ერბოს ამზადებენ, როგორც მაგ. შლეზვიგ-ჰოლშტინიაში, დანიაში და შვეციაში, იქ ყველგან კარაქი უწყლოთ არის შემუშავებული. ეს მაგალითი, რასაკვირველია, იმას ამტკიცებს, რომ ამ გზით და მხოლოდ ამ გზით შესაძლებელია კარგი და გამძლე ერბოს მომზადება.

მთელ ზემო ევროპაში და ყველგან, სადაც კი გამძლე და კარგად შესანახავ ერბოს ამზადებენ, იქ ყოველთვის ამ ერბოს ამარილებენ. ერბოს დამარილებას შემდეგი სარგებლობა მოაქვს ანუ შემდეგი მიზანი აქვს.

1) მარილით შემუშავებულ ერბოს და კარგად სცილდება; 2) ერბოს გამძლეობა ემატება და 3) გემოც უკეთდება.

1) რაც შეეხება მარლით დოს ამოცლას, ამ მხრით გამოკლიება ცხადად გვიჩვენებს, რომ თუ კარაქს მარილი შეერთია, მაშინ ეს მარილი გამოწუწუნის ერბოში დარჩენილ დოს და აი როგორ: მარილი იხსნება ერბოს დარჩენილ წყალში, დოში, რომელშიაც აგრედვე გახსნილია ცოტაოდენი ხაჭო და შაქარი; ამგვარად მარილის მიმატებას შეუძლიან ერბოში გაფანტული წვრილმანი დოს წვეთების დიდრონ წვეთებად გადაქცევა, მათი შეერთება და ასე მოგროვილი, დიდრონ წვეთებად გადაქცეული დო შემდეგი შემუშავებით შეიძლება სრულიად გამოეცალოს. მაგრამ რადგანაც ბევრი ნაწილი ხაჭოსი დოში არ არის გახსნილი, ამისთვის მარილი მხოლოდ წყალსა და შაქარს ამცირებს (შრატს) და ხაჭო კი შეუცვლელად რჩება შიგვე, მარილის მიმატებით გამოცლილ მარილ-წყალში ძალიან ცოტაა ხაჭო; როგორც ფლეიშმანი გვარწმუნებს, მილლერის გამოკვლევიდან აღმოჩნდა, რომ ამ მარილ-წყალს შემდეგი შედგენილება აქვს:

წყალი	=	77,31 %
ერბო	=	0,00 —
ხაჭო	=	0,32 —
შაქარი	=	3,31 —
მარილი	=	19,11 —

2) რაც შეეხება ენბოს გამძლეობას, ამ მხრით რასაკვირველია აქ ბევრი ლაპარაკი არ არის საჭირო; ყველამ კარგად იცის, რომ მარილი ერთი ორგანიულთა ნივთიერებათა შემნახველი სხეულია; ის მარილ-წყალი, რომელიც მარილის მიმატებით გროვდება, რასაკვირველია ერბოსაც შერჩება, ერბო

მითი გაიჟღინთება და შეაფერხებს ხაქოს, შაქრის და ერბოს გადაგვარებას; მარილ წყალში ვერ ხეირობენ ერბოს დამაზიანებელი ბაქტერიები და ამის გამო მათი მოქმედება შეფერხდება და ერბოს გამძლეობა მიემატება.

3) რაც შეეხება ენობას გემოს გაუმჯობესებას მარილით შემუშავებით, ეს, რასაკვირველია, საზოგადოდ ვერ ითქმის. ზოგიერთ ქვეყნებში მიჩვეულნი არიან მარილიან ერბოს ხმარებას და მათთვის, რასაკვირველია, ეს მარილი ერბოს გემოსაც მისცემს; ბევრ ადგილებში კი სრულიად მიჩვეულნი არ არიან მარილიან ერბოს გემოს და მათთვის მარილის მოყრა ერბოს გემოს გაფუჭება იქმნება. გერმანიაში, ავსტრიაში და საფრანგეთში უფრო მიჩვეულნი არიან უმარილო ერბოს ჰამას, მაგრამ უმარილო ერბო დიდხნით ვერ შეინახება და ამისათვის მალე უნდა იყოს ნახმარი. თუ ერბო დანიშნულია დიდის ხნით შესანახავად, მაშინ იმას უფრო ბევრი მარილი უნდა მიემატოს, ვინემ იმას, რომელიც ხელად მოსახმარებელია. ერბოს დანიშნულების დაგვარად ჩვეულებრივ მიმატებული მარილის რაოდენობა აღის 2—5<sup>1</sup>/<sub>6</sub>-დინ. ერბოს დასამარილებლად სახმარ მარილს ისეთი ერთგვარი თვისება უნდა ჰქონდეს, ურომლისოდაც ვერ შეასრულებს თავის დანიშნულებას. ყველაზე პირველად ეს მარილი სრულიად წმინდა უნდა იყოს, ესე იგი სხვა, უცხო ნივთიერება არ ერიოს, როგორც მაგნისა და კირის მარილები, ესრეთ წოდებული მწარე მარილები; ფერი თეთრი უნდა ჰქონდეს და ამასთან ჰაერში არ უნდა ნესტიანდებოდეს, არ უნდა სტიროდეს უნდა იყოს. ამასთან არც წმინდად უნდა იყოს დაფქვილი და არც ხეიერი. წმინდად დაფქვილი მარილი, მართალია, კარგად შეერევა ერბოს, მაგრამ ამით დოს წვეთები მაინც ვერა გროვდებიან; ისევ წვრილ-წვრილ წვეთებად რჩებიან ერბოში გაფანტულნი და ამისგამო გადაზელის დროს ვერ ეცლებიან; ხეიერი მარილი კი კარგად ვერ შეეზილება ერბოს და ამისგამო დოს წვეთები შეუხლებელნი რჩებიან, ერთმანეთს არ უერთდებიან და გადაზელის დროსაც არ ეცლებიან ერბოს. მაშასადამე, ორივე შემთხვევაში დო ერბოშივე დარჩება და, რასაკვირველია, ადრე თუ

გვიან წახდენს მის გემოს და შეამცირებს მის ღირსებას.— მიუღერის მოწმობით ერბოს დასამარილებლად მხოლოდ ის მარილია კარგი გამოსადეგი, რომლის მარცვლებსაც  $2_{16}$ — $1_{13}$  მილიმეტრი დიამეტრი აქვს; მაშ წმინდა ბურღულივით უნდა იყოს დაფქვილი.— ერთი ნაწილი პირველად მიცემული მარილისა ისევ გამოეცლება გადაზელის დროს და იმდენად უფრო ბევრი, რამდენადაც ბევრი ღო ან წყალი ერია ერბოს; შემდეგის შემუშავებით, ესე იგი გადაზელით თითქმის  $\frac{1}{4}$ — $\frac{1}{2}$  მარილი გამოეცლება.

ერბოს, რასაკვირველია, მხოლოდ მაშინ ექმნება კარგი ფასი, როცა მისი გემო და სხვა თვისებანი სრულიად ერთგვარნი იქნებიან; ამისთვის საჭიროა, რომ მარილიც ერთ ხარისხზე ჰქონდეს მიცემული. ჯერ უნდა აიწონოს ერბო და ამ წონის დაგვარად მიეცეს აგრედვე აწონილი მარილი; ჩვეულებრივ ერბო უნდა აიწონოს პირველ გადაზელის შემდეგ. მარილმა რომ თავისი მოქმედება გამოიჩინოს, ამისთვის საჭიროა მარილ-შერეული ერბო 12 საათამდინ იყოს შენახული ხელუხლებლად, თუმცა ამ დროს ხანი დამოკიდებულია აგრედვე თვითონ ერბოს მდგომარეობაზე. თუ ჰაერი თბილია, მაშინ მარილი უფრო მალე გაიხსნება ერბოს ღოში; ამისათვის ზაფხულში, როცა თბილია, დამარილებულ ერბოს შემუშავება შეიძლება 3—4 საათის შემდეგ; ზაფხულობით ასე იქცევიან დანიში. თუ ერბოს ბევრი ღო აქვს შერჩენილი, მაშინ ეს უფრო დიდხინით უნდა იყოს გაშვებული მარილშერეული, ვინემ მაშინ, როცა ცოტა ღო ურევია.

**კარაქის შემუშავება.** როგორც უკვე ვსაქვით, სადღევლიდან ამოღებული კარაქი წმიდა არ არის, იმას ღო აქვს შერეული და ერბო უნდა შემუშავდეს ამ დოს გასაცლელად. კარაქის გასაწმენდად და მის გამძლეობის მოსაპოვებლად, ეს კარაქი სამ გზით და სამ რიგად უნდა შემუშავდეს: უნდა გარეცხოს, გაღიზილოს და მარილი მიეცეს; მათ შორის გადაზელას ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ გადაზელაზეა დამოკიდებული არა მარტო ერბოს სტრუქტურა და შედგენი-

ლება, არამედ გარეგანი მისი შეხედულება და გემოც. შეიძლება, რომ ერბოს მომზადების დროს ყველა გარემოებანი შესაფერნი იყვნენ, რძის და ნალების ბუნება და მდგომარეობა მშვენიერი იყო, დღევანდელი ტემპერატურაც შესაფერი და ერბოც კარგი, შედგენილებისა და კარგის გემოის მოგროვდა, მაგრამ, თუ კარგად არ არის გადაზეული, მაშინ ყველა სიკეთე მოშორდება და ცუდი ერბო შეიქმნება. ყველა მსწავლელი იმ აზრისაა და გამოცდილებაც ამას გვიჩვენებს, რომ ერბოს გამძლეობა დამოკიდებულია შერეულ ხაჭოს რაოდენობაზე; რამდენადაც შემცირებული იქნება ერბოში ხაჭოს რაოდენობა, იმდენად დიდის ხნით შეინახება ეს ერბო. თუმცა ეს მართალია, თუმცა ხაჭოს დიდი გავლენა აქვს ერბოს მომავალ ღირსებაზე, მაგრამ ამასთან მარტო ამაზე არ უნდა იყოს დაფუძნებული ჩვენი მსჯელობა; უნდა ყურადღება იმასაც მივუყროს, რომ ამ ერბოს შერჩეს სწორედ იმოდენა წყალი, რომელიც საჭიროა ერბოს ღირსებისათვის. როგორც ბევრი წყალი მავნებელია ერბოს გამძლეობისათვის, ისე უწყლობაც. თუ ერბოში ისე ცოტა წყალი დარჩა, რომ მისი ფორები გავსებული არ არის, მაშინ წყლის ადგილს ჰაერი დაიჭერს, ერბო მშრალი იქნება და მქრქალი; გემოვნების დროს ეს ერბო ენას ეკვრება და იგლისება. პირიქით, თუ კარაქი ბევრ წყალს შეიცავს, მაშინ თუმცა ის უფრო გემრიელია, მაგრამ მალე წახდება. თუ კარაქს სწორედ იმოდენა წყალი ურევია, რამდენიც საჭიროა, მაშინ მოიპოვებს ერთგვარ ელვარებას, რომელსაც ვაჭრები ღაქლათს ეძახიან (lustre); წყლის რაოდენობა ერბოში ჩვეულებრივ სხვა-და-სხვა არის და 7% დაწყებული 33%-დინ აიწევს, თუმცა კი კარგ ერბოში 9—16%-ის მეტ-ნაკლები არ უნდა იყოს.

ჰოლლანდიაში, რომელიც ძველ დროდან გათქმულია თვისის ერბოთი, თითქმის კანონად იყო მიღებული, ცოტად თუ ბევრად, წყლით გაერეცხათ, იმის დაგვარად, შინ იყო სახმარი, თუ შორს გასაგზავნი; გარეცხის შემდეგ ხელით გადახელიდნენ მარილის მიმატებით. გასარეცხად ერბოს ჩასდებდნენ წყლით სავსე ჭურჭელში და ხელით სკვლეტდნენ და თან-



დათან წყალს უცვლიდნენ და გარეცხას მხოლოდ მაშინ შეს-  
წყვეტდნენ, როცა ეს წყალი სრულიად წმიდა რჩებოდა.

ჩვენშიაც აგრეთვე მიღებულია წყალში გარეცხა ერბოსი  
გადაზეღით და იმდენსავე ხანს, ვინემ წყალი აღარას იღებს  
ერბოდან.

ინგლისშიაც რეცხენ ერბოს წყლით, მაგრამ შიგ სადღვე-  
ბელშივე: როცა ერბო მოგროვილია, მაშინ დოს გამოუშვებენ  
სადღვებლიდან და იმოდენსავე წყალს მიუმატებენ და რამდენ-  
სამე ხანს სდღვებენ და ისევ გამოუშვებენ ნარეცხ წყალსაც  
და იმდენჯერ გაიმეორებენ, ვინემ ნარეცხი წყალი სრულიად  
წმინდა არ იქმნება. ასე გარეცხილს ერბოს შემდეგ კარგად  
გადაზეღენ და, თუ საჭიროა, მარილსაც მისცემენ.

ამერიკაში ზოგი იმ აზრისა არის, რომ კარაქი სრულე-  
ბით არ უნდა გაირეცხოს წყლით და ზოგი კი სულ ამის წინააღ-  
მდეგსა ფიქრობს.


თუ კარაქის გარეცხა წყლით სადმე მიღებულია, მაშინ  
წყალი უეჭველად კარგი და წმინდა უნდა იყოს და გარეცხის  
შემდეგ რამდენჯერმე უნდა გადაიზილოს და ბოლოს, თუ საჭი-  
როა, მარილიც მიემატოს და ისევ გადაიზილოს.

საფრანგეთში ჩვეულებად არის მიღებული კარაქის გარეც-  
ხა, თუმცა იქაც ბევრნი არიან, რომლებიც არა რეცხენ და  
კმაყოფილებიან მარტო გადაზეღით. თუ ერბო შინ სახმარე-  
ბელია და საზოგადოდ ხელად სახმარებელი, მაშინ მარილს სრუ-  
ლებით არ აძლევენ. თუ საჭიროა ერბოს წყალით გარეცხა, მა-  
შინ საფრანგეთშიაც ისე სდღვებენ, როგორც ინგლისში, ე. ი.  
ჯერ დოს გამოუშვებენ სადღვებლიდან და ამის მაგივრად წყალს-  
უმატებენ.—თუ ერბოს სხვა ქვეყნებში გასაგზავნი ან დიდის ხნით  
შესანახია, მაშინ საფრანგეთში 6% აძლევენ; ამ უკანასკნელ  
შემთხვევაში მარილს მაშინ უმატებენ, როცა ერბო კარგად  
არის გარეცხილი წყლით; აქ ერბოს ხელით არა ზეღენ, არამედ  
ხის ჩამჩებით ან ქაფქირებით.

ჰოლმტინიაში ერბოს არ რეცხენ წყლით; სადღვებლი-  
დან ამოდების უმაღლეს მარილს აყრიან და რამდენჯერმე კარ-

გად ზელენ; სადღვებლიდან ამოღებულ კარაქს ჯერ გადაიტანენ სარდაფში და, როცა კარგად გაცივდება, მაშინ შეუღვებიან მის გადაზელას.

ერბოს გასარეცხად და დასაზელად ქარხანებში და ოჯახობაში ხმარობენ ერთგვარ ვარცლს, რომლის სურათიც აქ მოგვეყავს (სურ. 43). ეს ვარცლი ხისაა და მისი სიგძე უდრის ერთ ანუ ორ მეტრს, სიგანე 56—75 სანტიმეტრს და სიღრმე 20—30 სანტიმეტრს; ამ ვარცლს ბოლოები კარგა ფართო აქვს, რომ შეიძლებოდეს მთელი გადასაზელი ერბოს მოთავსება.



სურათი 43.

ერბოს გასარეცხი და გადასაზელი ვარცლი.

ერბოს გარეცხის წინედ მუშამ ხელი უნდა დაიბანოს ჯერ თბილი წყალით და მერე ცივით. შემდეგ ამისა ერბოს ხროვას მოჭგლეჯს ერთ გუნდას დაახლოვებით ოთხი-ხუთი გირვანქის წონისას და ვარცლის ძირში გადაზელს ორი ხელით, როგორც ცოქსა ზელენ, ხელები ერთი-ერთმანეთში უნდა იყოს ჩაწყობილი; გადაზელის შემდეგ გუნდას ისევ დაარგვალეებს და შემდეგ ამისა ისევ გადაზელს და ამას გაიმეორებს რამდენჯერმე. ვარცლი ისე სდგას ფეხებზე, რომ ერთი ბოლო ცოცა ამადლებულია და ამის გამო გადაზელით გამონადენი დო მეორე ბოლოში მოიკრიფება და აქედანაც აქ დატანებული მილის შემწეობით ვარცლიდან გამოვა რამე ჭურჭელში ჩასადენად. ასე გადაზელილ ერბოს დასდებენ ვარცლის ამადლებულ ძირეში და მეორე გუნდის გადაზელას შეუღვებიან და იმავე გვა-

რად, ვინემ მთელი ხროვა სრულიად არ გათავდება. ამით პირველი გადაზელა გათავებულია. თუ ერბო უმარილოდ არის შესანახი, ამ ოპერაციას რამდენჯერმე კიდევ გაიმეორებენ და, როცა გადაზელის დროს დო აღარ გამოჩნდება, მაშინ ერბოს შემუშავება გათავებულია. თუ ერბო დიდ ხანს შესანახია, მაშინ პირველ გადაზელის შემდეგ შეუდგებიან დამარილებას. ამას წინედ ერბოს ასწონენ და, როცა მისი წონა შეტყობილია \*), მაშინ მთელ ერბოს გაშლიან ვარცლის ძირში თხლად და, რაც შეიძლება, ერთ-გვარად და ზედ მარილს მოაყრიან ერთგვარის თანასწორობით მთელ მის სივრცეზე \*\*); საჭიროა, რომ მოყრილი მარილი კარგად შეერიოს ერბოს და ამისათვის კარგად ჩასტკეპნიან ხელით ან ხელის თითებით. ამას შემდეგ ერბოს დასჭრიან წვრილ-წვრილ ნაჭრებათ და ერთ ხროვათ მოაგროვებენ ვარცლის ბოლოზე. ამას შემდეგ ისევ გაშლიან ვარცლის ძირში, კარგად დასტკეპნენ, კიდევ დასჭრიან წვრილად და ამას გაიმეორებენ რამდენჯერმე, ჩვეულებრივ ორჯერ ან სამჯერ, რომ მარილი კარგად შეერიოს მთელ ერბოს. ბოლოს წვრილ ნაჭრებად განაწილებულ ერბოს ისევ ვარცლის ბოლოზე მოაგროვებენ ისე რომ ერთი მეორეზე იყოს დაწყობილი. ამის შემდეგ მთელ ერბოს კიდევ გააბტყელებენ ვარცლის ძირში და დასჭრიან ისე, რომ თითო ნაჭერში ოთხი-ხუთი გირვანქა იყოს და თითო ნაჭერს ცალ-ცალკე გადაზელენ და ისევე, როგორც წინედ იყო ნათქვამი; ზელენ იმდონს ხანს, მანამ დო ეცლება. ამის შემდეგ ამ ნაჭრებს ისევ ზედიზედ დააწყობენ ვარცლის პირას და დასველებული ხელით ან კოვზით გარედან შელესვენ და ასე გაუშვებენ 6—10 საათის განმავლობაში. ამის შემდეგ კიდევ შეუდგებიან ხელმეორედ გადაზელას; მოსჭრიან 4—5 გირვანქას და თითო ნაჭერს ცალ-ცალკე გადაზელენ, ვინემ დო ეცლება და გადაზელოდ ნაჭრებს მეორე სუფთა ვარცლში გადააწყობენ; მთელ ერბოს კიდევ შელესენ გარედან

\*) ერბოს წონის ცოდნა იმისთვის არის საჭირო, რომ ამ წონის ვარაუდით აწონილი იყოს მისთვის საჭირო მარილი.

\*\*\*) ხშირად ამ დროს საჭირო მარილს მთლად არ უმატებენ, არამედ  $\frac{1}{4}$  ან  $\frac{1}{2}$ .


და კიდევ შეასვენებენ რამდენსამე ხანს. ამას შემდეგ კიდევ შეუღლებიან მესამე გადაზელას და გადაზელილ გუნდებს ჩააწყობენ სხვა ვარცლში. ამით არა თავდება ეს გადაზელა. ახლა ამ ერბოს ორათ გაჰყოფენ და ერბოს ვარცლის ძირში ძალიან გაათხელებენ, ზედ მოაყრიან დანარჩენ მარილის ნახევარს, რომელსაც ხელით ან თითებით ჩააზელენ. ამაზე მოჰყვენენ მეორე ნახევარ ერბოს და ამასაც იმდენსავე მარილს მოაყრიან და აქაც ჩააზელენ. ახლა ამ ერბოს ერთად დაასორსოლავენ (rouler), რომ ვარცლის ერთ ბოლოში მოგროვდეს. ამას დასჭრიან 4—5 გირვანქა ნაჭრებათ, ყველას გააბტყელებენ და ზედი-ზედ დააწყობენ და კარგად დასტკეპნენ. ამას კიდევ დასჭრიან იმავე ტოლ ნაჭრებად, კიდევ გადაზელენ ყველა ნაჭერს ცალკე და ასე გადაზელილს ჩააწყობენ შესაანახე ჭურჭელში.

როგორც ვხედავთ, საშინლად ძნელია ხელით ერბოს გადაზელა. მართალია, ზოგიერთ ადგილებში, როგორც მაგალ. პოლშტინია, ეს მუშაობა შემოკლებულია; მარილს მარტო ერთხელ და ერთბაშად აყრიან და მაშასადამე გადაზელაც შემოკლებული იქნება, მაგრამ სხვა ქვეყნებში კი, როგორც ჩრდილოეთი გერმანია, დანია, შვეცია და ფინლანდია, ერბოს ისე ამზადებენ, როგორც ზევით იყო მოხსენებული. რაც შეეხება ქვემო გერმანიას, ავსტრიას და შვეიცარიას, იქ ერბოს გადაზელას დიდ ყურადღებას არ აქცევენ; ხან წყალით გადაზელენ, ხან უწყლოთ, უფრო ხელით, ვინემ კოვზით და ყოველთვის უმარილოდ; როგორც წინადაც ვსთქვით, ამ ქვეყნებში დამარილებულ ერბოს არ ეწყობიან.

როგორც ვნახეთ, ერბოს გადაზელა უფრო ხშირათ ხელითა ხდება, რაც, რასაკვირველია, დიდ ღროს და ჯაფასა თხოვლობს; ამას გარდა, ამასთან, სამწუხაროდ, შეკავშირებულია სხვა-და-სხვა უსიამოვნება და დაბრკოლება; პირველი ისა, რომ მუშას დიდი ყურადღება მოეთხოვება სიწმინდის დასაცველად, რაც ყოველთვის ადვილი არ არის. ამას გარდა, ისიც ხშირად მოხდება, რომ მუშას ხელი თბილი და ოფლიანი ჰქონდეს და

ამით ერბოს გემო უხდება და ამასთან თითონ მუშაობაც არ არის სასიამოვნო. ხელით შემუშავებული ერბო, მეტადრე ზაფხულში, რაღაცა ჭუჭყიანი ხდება, გემო და არომატი ეკარგება. ყველა ამ გარემოებამ გამოიწვია ის მოთხოვნა, რომ ხელით გადაზელა როგორმე აცილებული ყოფილიყო. ამისათვის იფიქრეს იმისთანა ერბოს გადასაზელი მანქანა მოეგონათ, რომელსაც ხელით მუშაობის მაგიერობა შესძლებოდა. ეს მანქანები მოიგონეს და ესლა თითქმის ყველგან არიან გავრცელებულნი.

პატარა ოჯახებში ხმარობენ ეგრედ წოდებულ ამერიკის ერბოს გადასაზელ ფიცარს (სურათი 44). ეს ფიცარი ხისა არის




სურათი 44.

ამერიკის ერბოს გადასაზელი ფიცარი.

და შუაგულში ცოტად თუ ბევრად ჩაღარულია. სიღმე 80 სანტიმეტრი აქვს და სიგანე 40 და ნაპირებთან ახლო ნაწიბურები აქვს დაკრული, რომელთა სიმაღლეც უდრის 3 სანტიმეტრს. ფიცარი ერთი ბოლოთი დამაგრებულია მაღალ ორფეხზე და მეორეთი კი დაყრდობილია რამე ჭურჭელზე. ამ ფიცარზე ტრიალებს ჯანდრისხე (rouleett), რომელიც მორგევით გახვრეტილია და შიგ დერძი აქვს გატარებული; ამ დე-

რძე ორივე მხრით დამაგრებულია ორი ღირღიტა და ისე, რომ ჯანდრის ხის და ამ ღირღიტების შორის 1,3 სანტიმეტრი თავისუფალი ადგილი დარჩეს. თითონ ჯანდრის ხე ხშირად გარეშემო დაღარულია. ერბოს გადასაზელად ასე მოიქცევიან: ერბოს დასდებენ ფიცარზე, ღერძის ბოლოებს დაიჭერენ ხელებით და ამ ერბოზე ჯანდრის ხეს ააგორ-ჩააგორებენ, ვინემ დო ეცლება. ამას შემდეგ ერბოს გადმოაბრუნებენ და ისევ ისე მოიქცევიან, როგორც პირველში და ამას გაიმეორებენ იმდენჯერ, ვინემ სრულებით არ გამოეცლება დო.

ერბოს დიდრონი ქარხანებისთვის სარჩევია ეგრედ წოდებული ამერიკელთ სტოლი (სურ. 45), რომელსაც ეხლა სხვა-



სურათი 45.

ამერიკის ერბოს გადასაზელი სტოლი. ეს მანქანა ხელით სამუშაოებელია.

და-სხვა სახისას ამზადებენ და საზოგადო მათში ის არის, რომ ამ მანქანას დიდი და ფართო თეფში\*) აქვს, რომელიც წიფლის ხის-

\*) ტაბაკი.

გან არის გამოჭრილი; ეს თევში რკინის სტოლზე არის დამაგრებული; შუაგულში ცოტა ამალღებულია და კიდევბისკენ კი დაწეული და გარეშემო შემორტყმული აქვს ხისავე ნაწიბური. ეს თევში შეიძლება დატრიალდეს ხრახნილ კბილჩოდერა ბორბლების შემწეობით. მანქანას ორ გვარს აკეთებენ: ან ხელით სამუშავებელს ზ ან ორთქლით; უკანასკნელი, რასაკვირველია, მხოლოდ დიდ ქარხანებში იქნება გამოსადეგი. ამერიკის სტოლი, არა თუ ყველა ერბოს გადასახელ მანქანებს სჯობია, არამედ თვითონაც შესახედად მშვენიერია; აგებულება უბრალო და მარტივი აქვს, გამძლეა და ადვილი სამუშავებელი, ადვილი გასაწმენდი და ადვილი გამოსანიავებელი; ამისთვის, სადაც კი შესაძლებელია მისი მოპოვება, ეს მიუცილებლად საჭიროა. ხელით სამუშავებელ მანქანას გვერდით ტარი აქვს, რომლის დატრიალებითაც როგორც თვითონ თევში ტრიალებს, ისე ამ თევშზე დაწოლილი, გარეშემო დაღარული ცილინდრი. ერბოს გადასახელად ასე მოიქცევიან: ერბოს გაშლიან თევშზე და შეუდგებიან ტარის ტრიალს; ამ ტარის ღერძზე მიმაგრებული კბილჩოდერა ბორბალი დაატრიალებს თევშს და ამ ღერზევე დამაგრებულ დაღარულ ცილინდრს. ცილინდრი მხოლოდ ერთ ადგილას ტრიალებს და თევში კი ამ ცილინდრის ქვეშ. ამისგამო ამ თევშზე გაფენილი ერბო ამ ცილინდრის ქვეშ გაივლის; ამის გამო ერბო იზილება: ცილინდრზე მოთავსებულ ღარების ზურგები ერბოს დააწევიან, ჩაღარავენ და ამდროს და ამით გამოწურულა დო ჩავა ამ თევშის გარეშემო მოწყობილ ღარში და აქედანაც ქვეშ მიდგმულ თასში ჩაესხმება. ამ ტრიალის დროს ცილინდრის ღარები და აზურგებული ადგილები ერბოს ებეჭდება, მაშასადამე ერბოზედაც მრავალი ღარები გაჩნდება, რომელშიაც ნაწიბურისკენ არიან დაქანებულნი და ამისგამო გამოწურულ დოს გზას უადვილებენ. რამდენისამე ხნის ტრიალის შემდეგ, როცა დოს გამოდენა შესწყდება, მუშაობას შესწყვეტენ და ასე დახელილ ერბოს რამდენისამე ნაჭრად გაჭყოფენ და ყოველ ნაჭერს შეასოროლავებენ, შეაგორებენ და ისე, რომ ზემოთი პირი ახლა შუაში მოჰყვეს. ახლა ისევე დააწყობენ თევშზე და



ისევ დაიწყებენ მუშაობას. მაშ ამდროს ერბო სხვა მხრით, ქვედა პირით იქნება ნაზელი. ამ ოპერაციას რამდენჯერმე გაიმეორებენ და ეს დამოკიდებული იქმნება იმაზე, ხელად სახმარია ერბო თუ შესანახავი და აგრეთვე იმაზედაც, რამდენი ღო ურეთია. რამდენადაც კარაქს ბევრი ღო აქვს, იმდენად ბევრჯელ უნდა გადიზილოს.

თუ ერბო დასამარილებელია, მაშინ მარილის მიმატების შემდეგ, როგორც უკვე ვსთქვით, ეს ერბო კარგად ხნით უნდა იყოს შენახული, რომ მარილმა კარგად იმოქმედოს და შეერთოს ღოს წვეთები. ამ მხრით დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ადგილის ჰაერის ტემპერატურას, სადაც ერბოა შენახული. თუ ჰაერი ცივია, მაშინ მარილ-შერეული ერბო უფრო დიდი ხნით უნდა იყოს გაშვებული, რომ ღრო ჰქონდეს მარილის მოქმედებას; თუ ჰაერი ძალიან ცივია, თუ ტემპერატურა ძალიან დაბალია, მაშინ მარილი ვერ იმოქმედებს და ამისგამო შემდეგის გადაზელით ღო მთლად არ გამოეცლება. ამას გარდა, სიცივეში ერბო ძალიან მაგრდება და ესეც დაუშლის გადაზელის შესაფერ ზედმოქმედებას, ასე გაჟაგრებულ და ფხვიერ ერბოდან ვერ გამოიწურება ღო და მარილწყალი. თუ ამას გასწორებას დიდხნის ზელით მოინდომებენ და ბევრჯელ გაატარებენ ერბოს გადასაზელ ცილინდრის ქვეშ, მაშინ ერბო დაილალება, შეხედულობა მქრალი ექნება, გემო გაუფუჭდება და მაინც ღო სრულებით არ გამოეცლება. ამისათვის დამარილებულ ერბოს შესანახავი ადგილი ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ საჭიროების დროს მისი გათბობა შეიძლებოდეს და მისი ტემპერატურა 10—12° მაინც იყოს.—თუ პირ-იქით ამ შესანახ ადგილის ტემპერატურა მაღალია, მაშინ ერბო ძალიან დარბილდება, დაჩვილდება და ამის გამო ძნელი შესამუშავებელი გახდება. რადგანაც თვითონ გადაზელითაც რბილდება ერბო, ამისთვის დიდი ხნით მუშაობასაც შეუძლიან გამოიწვიოს ესევე ნაკლულევანება. თუ ერბო კარგად და საკმაოდ არ არის გადაზელილი, მაშინ ღო მთლად არ გამოეცლება. მაშ როცა თბილა, მაშინ უეჭველად საჭირო იქნება რო-

გორც ადგილისა, ისე შესამუშავებელ ერბოს გაცივება. ამ შემთხვევაში ერბოს სუფთა ტილოში გაახვევენ და ზედ ყინულს დააყრიან და ცოტას ხნით. საცივებელში ჩააწყობენ. ამას შემდეგ, როცა დამარილებული ერბო შეისვენებს 4 — 6 — 10 საათით, მაშინ ამას მეორეთ გადაზელებენ. ამ მეორე გადაზელას დიდი მნიშვნელობა აქვს; ამით ერბოს უნდა გამოეცალოს შერეული დო და ამისგამო გადაზელა იმდენს ხანს უნდა გაგრძელდეს, ვინემ მიზანი შესრულებული იქნება. კიდევ გავიმეორებთ, რომ ამ გადაზელას დიდი სიფრთხილე და ყურადღება უნდა; გადაზელით ერბო არ უნდა დაიღალოს, რადგანაც ამით ის ჰკარგავს სინაზეს, არომატს და გარეგან შეხედულობას. თუ მეორე გადაზელა კარგად არის წაყვანილი, მაშინ შემდეგი გადაზელა არა თუ საჭირო აღარ იქნება, არამედ მავნებელიც. ასე მომზადებულ ერბოს ახლა ჩასდებენ შესანახავ ჭურჭელში.

ერბოს გასაწმენდად და მაშასადამე დოს გამოსაცლელად ზოგიერთანი, როგორც მაგ. ფლვიშანი, ცენტრიფუგების ხმარებას ურჩევენ, მაგრამ სამწუხაროდ, ეს შესაძლებელი არ აღმოჩნდა; გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ცენტრიფუგებით შემუშავებულ ერბოში უფრო ბევრი ხაჭო რჩება, ვინემ გადაზელილში.

თუ გადაზელის შემდეგ ერბო დასამარილებელია, ამ შემთხვევაში ამერიკელები ამ მარილს ასე აძლევენ: ამზადებენ მარილის წუთხს, ასხამენ საღვებელში, შიგვე სდებენ დასამარილებელ ერბოს და რამდენისამე ხნით სდვებენ. თუმცა ბევრნი ჰფიქრობენ, რომ ამნაირად დამარილება კირგიაო, მაგრამ სამწუხაროდ ამაზე ჯერ-ჯერობით გადაწყვეტილი არა ითქმის-რა.

საღვებლიდან ამოღებული კარაქი გადაზელით და შემუშავებით 20%-დინ კლებულობს, ასე რომ 100 გირვანქა კარაქიდან 80 გირვანქა-ლა რჩება; ეს ნაკლი, რასაკვირველია, დას მოშორებისგან არის გამოწვეული, მაშასადამე 20% დო შორდება. საღვებლიდან ამოღებული კარაქი ჩვეულებრივ მარტო 70% ერბოს შეიცავს და დანარჩენი 30% დო არის, ესე იგი ხაჭო, შრატო და შიგ გახსნილი შაქარი და მარილები. მაშ

გადაზღოვის შემდეგ ერბოში კიდევ რჩება 10% შრატის შიგ გახსნილ მარილით.

ჩვენ მოვიხსენიეთ, რომ სამ რიგად სწმენდენ და ასუფთავებენ ერბოს: წყალში გარეცხით, გადაზღოვით და მარილის მოყრით. რასაკვირველია, საინტერესოა ვიცოდეთ, რომელი საშუალება უფრო კარგია კარაქის გასაწმენდად და მის დიდხნით შესანახავად? საჭიროა თუ არა წყალით გარეცხა და ან რამდენჯერ უნდა გადიზილოს და სხვანი?

სხვა-და-სხვა მასალიდან მომზადებული კარაქი ბევრად არ განირჩევა ერთმანეთისაგან, როგორც ამაზე უკვე გვქონდა ლაპარაკი; მხოლოდ დამყავებულ ნაღებიდან მომზადებულ კარაქს ცოტა ვადამეტებული ხაჭო ურევია. ამის მიუხედეველად, სრულიად ცხადი და უქვევაა, რომ ძალიან დამყავებულ ნაღებიდან მომზადებულ კარაქს სულ სხვა თვისება აქვს, ვინემ მტკნარ ნაღებიდან მომზადებულს და რომ პირველი კარაქის თვისება სრულიად ხელს ვერ უწყობს მის გამძლეობას. ამის გამო ამ კარაქს უფრო დიდის ყურადღებით უნდა შემუშავება, უქვეველად უნდა გამოეცალოს ის ორგანული ნივთიერებანი, რომლების გამოისობითაც კარაქი მალე მძალდება. რადგანაც წყალში გარეცხა ძლიერ ამცირებს კარაქში შერეულ ხაჭოს და შაქრის რაოდენობას, ამისათვის სარჩევია წყალით გარეცხა იმ კარაქისა, რომელიც დამყავებულ ნაღებიდან ანუ რძედან არის მომზადებული და იმდენად უფრო ბევრჯელ უნდა გაირეცხოს, რამდენადაც დამყავებული იყო ერბოს მოსამზადებელი მასალა. აგრედვე წყალით გარეცხას ურჩევენ იმ შემთხვევაშიაც, როცა კარაქი მომზადებულია ძალიან სქელ ნაღებიდან, როგორიც გუსანდერის და დევონშირულ საშუალებით მომზადებული ნაღებია. ამის წინააღმდეგ გამოცდილებამ ცხადად დაამტკიცა, რომ მტკნარ და ან ცოტად დამყავებულ ნაღებიდან მომზადებული კარაქი წყალით გარეცხას არ საჭიროებს. ეს კარაქი გაურეცხავადაც კარგად შეინახება, თუ, რასაკვირველია, სხვარიგად იქნება გაწმენდილი, მაგალ. გადაზღოვით.

თუ კარაქის გარეცხა მიუცილებლად საჭიროა, მაშინ გარეცხა უნდა მოხდეს წყალში გადაზელით და რამე მოხერხებულ ჭურჭელში და კოვზის ან ქაფქირის შემწვობით; სარეცხი წყალი, რასაკვირველია, სრულებით კარგი, საღი და წმინდა უნდა იყოს და ამასთან ხშირად უნდა იყოს გამოცვლილი. გარეცხის წინააღმდეგ ის საბუთი მოჰყავთ, რომ ეს უმცირებს და ხან სრულებით ართმევს არომატს და გემოს. ეს საბუთი სრულიად მართალია, თუ ლაპარაკი ხელად სახმარებელ კარაქზეა, მაგრამ თუ კარაქი შესანახად უნდა მომზადდეს და მარილიც მოეყაროს, მაშინ გარეცხა არავითარ ვნებას არ მისცემს, დიდი განსხვავება არ იქნება. გარეცხილ და გაურეცხელ კარაქში. მაშ ერბოს შემუშავება იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ რაც შეიძლება სრულიად გამოეცალოს ის დო, რომლითაც ეს კარაქი დასველებულია; რაც შეეხება იმ დოს, რომლითაც კარაქი გაჟღენთილია, რომელიც ამ კარაქს შავ მოჰყოლია ერბოს წვეთების მოკრეფის დროს, ამ დოს უმეტესი ნაწილი კარაქშივე რჩება და გარეცხა ამ მხრით ვერას უშველის. ფლეიშმანის აზრით კარაქის დიდ ხანს შენახვა ბევრად დამოკიდებულია იმ დოს მდგომარეობაზე, რომლითაც კარაქი გაჟღენთილია სადღვებლიდან ამოღების დროს. თუ ეს დო ძალიან დამჟავებელი არ არის, თუ მისი დამჟავება ერთგვარ ხარისხს არ არის გადაცილებული, მაშინ ეს კარაქი დიდ ხანს შეინახება, თუ რასაკვირველია შემდეგი შემუშავება რაციონალური და რიგიანი იყო. ფლეიშმანისავე აზრით, თუ კარაქი მომზადებულია მტკნარ ნალებიდან, მაშინ ამისთვის არც გარეცხა არის საჭირო და არც დამარილება და პირ-იქით თუ ნალები შედღვებამდინ უკვე დამჟავებულია და ან დაძველებული, მაშინ არც გარეცხა უშველის და არც გადაზელა; ამას იმისთანა დიდის ხნის გამძლეობა მაინც აღარ ექნება, როგორც მტკნარი ნალებიდან მომზადებულ კარაქს.

რაც ერბოს გადაზელას შეეხება, ამისთვის საჭიროა, რომ იგი ერთ ხარისხზე იყოს შემუშავებული; თუ გადაზელა ამ ხარისხს გადასცილდა, მაშინ ველარას მიუმატებს მის შენახუ-

ლობას. რასაკვირველია, ძნელია იმისი თქმა, თუ სადა თავდება ამ ხარისხის მიჯნა და ან სად იწყება; ყველა მუშა თითონ უნდა მიხვდეს თვისის გამოკდილებით; თუ კარაქი კარგა ხნით არ არის გადაზეული, მაშინ შემტკიცებული, მკერივი არ იქნება, არამედ დაფშხალული, ალქატი და დაჩვრეტილი და ამის გამო შიგ ჰაერი ადვილად გაივლის, ჰაერი შეერევა და მაშინ, თუნდა მტკნარ ნაღებიდამაც აყოს მომზადებული, მაინც დიდის ხნით აღარ შეინახება, განსაკუთრებით თუ მარილი საკმაოდ არა აქვს მოყრილი. პირიქით, თუ კარაქი დიდის ხნით არის ნაზელი, მაშინ არც ეს იქნება სასარგებლო, როგორც მისი შეხედულობისთვის, აგრევე მისი გემოსთვის. კარგ და სად ნაღებიდან ანუ რძიდან მომზადებულ კარაქს გარეცხა არა სჭირია და გადაზელით კი სამი-ოთხი გადაზელა ეყოფა: ერთი აწონის და მარილის მოყრის წინეთ; მეორე მარილის მოყრის დროს და მესამე და მეოთხე მარილის მოყრასა შემდეგ. ამასთან ესეც საჭიროა, რომ მარილის მოყრის და მეორე გადაზელას შორის კარგა ხანმა გაიაროს, გადაზელის დროს კარაქი შეგუნდავებული არ უნდა იყოს და არც ნაგორგალები და ნასორსალები. ზელა სწორედ იმდენი უნდა, რომ კარაქში მყოფი დოს წვეთები შეგროვდნენ და გამოეცალნენ; ამაზე მეტი შემუშავება სარგებლობას არას მოუტანს და ვნება კი შეეძლება.

გადაზელის შემდეგ ერბოს ჩასდებენ წინადვე მომზადებულ ქურჭელში, ჩვეულებრივ ბოჩკებში და ამასთან ისე კარგად ჩასტკებნენ ხელით თუ სხვა როგორმე, რომ ჰაერი სრულიად არ შერჩეს და არ გააფუჭოს. რალა თქმა უნდა, რომ ეხლაც მიუცდილებლად საჭიროა სრული სისუფთავე და სიწმინდე ყველა იმ ქურჭლისა, რომელშიაც ერბო შემუშავებულია და შენახული; ქურჭელი გასუფთავებული, გამშრალი და გამოწმენილი უნდა იყოს.

**კარაქის ანუ ერბოს შეუკრანება.** ყველამ კარგად იცის, რომ კარაქს სხვა-და-სხვა დროს და სხვა-და-სხვა გარემოების ზედ-მოქმედებით სხვა და-სხვა ფერი აქვს. კარაქის ფერი გან-

საკუთრებით დამოკიდებულია იმ საკვებაზე, რომლითაც ძროხები იკვებებიან წველის დროს. საზოგადოდ ზაფხულში, როცა ძროხები საძოვრად მინდორში არიან გაშვებულნი და ან ნედლ ბალახსა სჭამენ, ქარაქი ჩვეულებრივ ყვითელია. ზამთარში კი, როცა ბზით და ხმელის თივით იკვებებიან, ქარაქს მკრთალი მოყვითლო ფერი აქვს და ხან სრულიად თეთრია. ფერის ამგვარმა განსხვავებამ გამოიწვია ზამთრის ქარაქის ყვითლად შეფერიანება და ბოლოს თითქმის ჩვეულებად გახდა ქარაქის ყოველთვის შეფერიანება ზაფხულისაა თუ ზამთრისა. ამ ჩვეულებამ რასაკვირველია ბევრი ლაპარაკი და მსჯელობა გამოიწვია იმის შესახებ, აკრძალული უნდა იყოს თუ არა ეს ჩვეულება. ბევრი ქარაქის შეფერიანობის წინააღმდეგნი არიან და ეს ჩვეულება სიყალბეთ მიაჩნი.თ. გერმანიაში ერთ დროს კანონით იყო აკრძალული და ეს სრული სიმართლეც არის. თუ რამე სანოვაგესთვის უცხო სხეულების შერევა სიყალბეთ მიგვაჩნია, ქარაქის შეფერიანებაც ასევე უნდა მიგვაჩნდეს და ეს უფრო იმიტომ, რომ ქარაქის ფერს არაერთარი მნიშვნელობა არა აქვს მის ღირსებისათვის. სანწუხაროდ პრაქტიკა ხშირად ყურს არ უგდებს სიმართლეს და საჭიროებას, არამედ მხოლოდ იმას მისდევს, რაც უფრო სასარგებლოა მოგების მხრით, მაშასადამე, ჯიბის ინტერესი უძღვის წინ. რამდენადაც ერთგვარი ფერის ერბოს მოთხოვნილება იქნება მყიდველის მხრით, რამდენ ხანსაც ყვითელ ფერის ერბოს უფრო დიდი ფასი ექნება, ვინემ თეთრს ან მკრთალ ერბოს, იმდენს ხანს იძულებულნი იქნებიან ერბო შეაფერადონ და მით გასავალი გაუადვილონ; ამას ეერაფრით ვერ შეაფერხებენ. ავსტრიაში, ქვემო გერმანიაში და არც ჩვენში ერბოს შეღება არ არის გავრცელებული; ეს ჩვეულება უფრო იქ არის მიღებული, სადაც გასაყიდ და სხვა ქვეყნებში გასატან ერბოს ამზადებენ, განსაკუთრებით ზემო გერმანიაში, დანიაში, შვეციაში, რუსეთში და ამერიკაში.

ერბოს შესაფერიანებლად უწინ მრავალ ნივთიერებას ხმარობდნენ და მათ შორის ზაფრანასა და ნარგიზსაც, მაგრამ

ეხლა ესენი გავრცელებულნი აღარ არიან; ზაფრანა, თუმცა კარგად ჰღებავს, მაგრამ ძალიან ძლიერ სუნს, უცხო სუნს აძლევს და ამისთვის ადვილი შესატყობია. ეხლა უფრო გავრცელებულია ეგრედ წოდებული როკუ ანუ ორლეანის ყვითელი (rocou ou jaune d'Orleans). ეს საფერავი ამოდებულია ერთგვარის ხის (bifa orleana) ხილიდან; ეს ხე ქვემო ამერიკაში და ინდოეთში ხეირობს. სხვა-და-სხვა გვარად ამზადებენ ამ საფერავს, მაგრამ ჩვენთვის ეს საინტერესო არ არის, მხოლოდ საჭიროა ვიცოდეთ, რომ ეს საფერავი იყიდება ან გამწარალი, ფქვილივით დაფქვილი და ან ჩხინტი, ზეთში გახსნილი. პირველ საფერავით კარაქს ჰღებავენ მის გადაზეღის და დამარილების დროს, მაგრამ ამას ის ნაკლოვანება აქვს, რომ ერთგვარად არ იღებება, აქა იქ უფრო მუქია და ზოგან კი უფრო მქრთალი. ამისგანაჲ უფრო გავრცელებულია ზეთში გახსნილი საფერავი, რომელსაც სადღვებელში აძლევენ დღვების წინედ; რადგანაც ეს საფერავი დოში ცოტად იხსნება, ამისათვის მთელი საფერავი კარაქში გადადის მის მოგროვების დროს და ერთ ფერად და ერთ ძალზე ჰღებავს. სამწუხარო აქ ის არის, რომ ასე მომზადებულ კარაქს შერეული ექნება ცოტაოდენი ზეთიც, თუმცა კი ძალიან მცირედი. ჩვეულებრივ ას კილოგრამ რძეზე უნდა მიემატოს 5 გრამი ზეთში გახსნილი საფერავი, ასე რომ ერთ ლიტრ საფერავით შეიძლება შეიღებოს 15,000—20,000 ლიტრი რძის ერბო ანუ 50 ფუთი.

გერმანიაში ბევრ ქარხნებში ამზადებენ ამ საფერავს და, სადაც სარძევე ჭურჭელს ჰყიდიან, იქ ამ საფერავის შოვნაც შეიძლება.

### გ. ზეტრანაშვილი

(შემდეგი იქნება)



# პროვინციის სსოპრება

ახსაჯეთი

საქართველოში 1887 წ. სელახლა აღდგენილ იქმნა სლსუ-  
მის კუბრქია, და ამ აღდგენილს კუბრქიას საკუთარი კვისკომოსიცი  
დაენიშნა. სამუშაო და გასაკეთებელი ამ კუბრქიაში ბეკრი იყო და  
არის ახლაცა. ქრისტიანობა, მეოთხე საუკუნიდან ისეთის სიძლიე-  
რით გავრცელებული ჩვენთა წინაშართა მიერ, სსვა-და-სსვა ისტო-  
რიულ გარემოებათა მეოხებით აფსაზეთში სუელთმობრძკვი შეიქმნა.  
აფსაზნი, ეს უბეკლესნი მსასურნი და მმოსაზნი ქრისტეს მოძღვრე-  
ბისა, ცსოვრების სსოგადო მიმდინარეობის გარეშე დაჩნენ, თა-  
ვისს კრთმორწმუნე ძმებს—ქართველებს—ჩამოეცალსენ. ოსმალთ თი-  
თქოს კიდერს სცადეს თავიანთი ზედგაკლესა ჭქმორდათ ამ მსარე-  
ზე, თითქოს კიდერს გაძმადანეს ეს ნაწილი საქართველოსიო.

მაგრამ აფსაზნი უფრო კი ორ წყალ შუა დაჩნენ.—დაჭკარ-  
გეს წინაშართა სარწმუნოება; ამავე დროს კელარც მანძმადის სარ-  
წმუნოებამ მოიკიდა მათს შორის ფესი. თუ დღევანდელი აფსაზი  
მანძმადიანად თავისს თავსა რცისს, მსოლოდ ამ სსბუთით, რომ დო-  
რის სოარცს არა სჭამს და ეზიდება ღვისოსა. ამ გარეგნულის წე-  
სის იქით არც მიდის და იმის მეტი არცა სწამს-რს ამ ბუნების  
შეიღას. იგივე მანძმადიანი აფსაზი, მამა-შაშათა ანდერძის გამო, სა-  
სოებით ეზურობა ძველ ეკლესია-ტაძრებთა ნანგრევებსა, რომლები-  
თაც მოაფენილია მთელი მისი ქვეყანა; იმავე მანძმადიან აფსაზსა  
სწამს ძლიერება ჩვენის ეკლესიის ზოგიერთთა წმიდანთა, რომორც  
მაგ. წმ. გიორგისა, მიქელ-გაბრიელისა, ილია წინასწარმეტყველისა  
და ზოგ კიდევ სსვათა.

აი, ამ მსარკეს, ამ სარწმუნოებრივად გადაბიკების გზასვედ მოსიარულე მსარკეს, ეჭირვებოდა დროზე მაშკელებს, გულწრფელი, მამობრივი მატრონობა; აი, ამ მსარკეში უნდოდა დაცემულს სარწმუნოებას თქვსე წამოყენება.

ამ მოკლე ხანში სოხუმის ეპარქიამა ოთხი ძველ-მთავარი გამოიწვალა: ზოგი მათგანი ადრე გარდაიცვალა, ზოგიც, გადმოუვანისათანავე, ისევე სხვაგან გადაიყვანეს. არც ერთს მათგანს არ დასცალებია დასლოკებით გაცნობა აფხაზებისა, ამათის ენისა, ზნისა, ჩვეულებისა... არ დასცალდათ გამოკვლიათ მიწეში დაცემისა ერთს დროს აყვავებულას სარწმუნოებისა აფხაზთა შორას და ამ მიწეშის ასაცალელებად და ქრისტიან სარწმუნოების ოკისს დოსეზე ჩასაყენებლად სათანადო ღონე კლონათ, შესაფერი საშუალება ესმარათ.

ეს ვიან, რომ 19 ათასზე მეტი სოელი აფხაზი, სრულიად მოუმსადებელი ქრისტიან სეფულის სეფასლას მისალებად, სრულიად უკაცი, დასლოკებით მანინც, ამ სარწმუნოების სოელისა და გულისა, მდ. კოდორსა და გუმისტაში მონათლულ იქმნა. 1889 წ. ამ ასლად-გაქრისტიანებულ აფხაზთა ერთ-ერთ სოფელში ვიყავ და შეენიშნე, რომ ასლად მონათლულნი დარწმუნებულნი იყვნენ—თუ მარსკაში ღაბიო და სსნილში—ღორის სორცი ვსტამეკით, ნამდვილი ქრისტიანები ვაქმნებითო...

ამავე დროს ე. ი. სოხუმის ეპარქიის აღდგენასათანავე, ქრისტიან მოძღვრების სეფასლას გავრცელების მოსურველთ იფიქრეს: თავი-და-თავი მიწეში აფხაზეთში ქრისტიანობის დაქვეითებისა—ქართული ენა არისო, რადგან ეგ ქართული ენა მეკიდრთ არ ესმისოთო, სწორედ ის ქართული ენა, რომელათც ჩვენსა წმ. მამისი აფხაზთ ქრისტიან მოძღვრებას უჭადაგებდნენ ბიჭვინტისა, ლისინისა, მაჭკისა, დრანდისა, ფსირცხისა (აწინდელი ასალი-ათონი), ბედიისა, ალორისა და აფხაზეთის სხვა ტაძრებში. ამ სასიით, ათვალისწინებელი იქმნა ქართული ენა აჭარის ეკლესიებში. სარჩლი ვიკულარავინ გაუწია ამ აფხაზეთის მოამბეკსა და ღვაწლ-მოხილისა ენასა.

## II

ზირველად ამ ზემოხსენებულ ათკალისწინების სიმწარე გამოსცადა თვით ქალაქ სოხუმის სასაფლავო ეკლესიამ; სწორედ იმ ეკლესიამ, რომელსაც, თუ სადმე სამართალია, უნდა ასტდენოდა ასეთი რისხვა.

მოკლედ მოგითხრობთ ამ ეკლესიის ისტორიასაცა.

ორმოც-და-ათიანსა და სამოცეანს წლებში ეპისკოპოსად აფხაზეთში ბრძანდებოდა მისი ყოვლად-უსამღვდელოესობა აწინდელი გორის ეპისკოპოსი ალექსანდრე. სამოცეანს წლებში სოხუმში მცხოვრები ქართველები უეკლესოდ იყო დარჩენილი. ყოვლად სამღვდელო ალექსანდრემ მიაზერა თვისი მღვდელ-მთავრული მზრუნველი თვალი თვისთა სულაერ შვილთა ამ უნუგუმო მდგომარეობასა და, მათისავე დახმარებით, აღაშენა აწინდელი სოხუმის სასაფლავო ეკლესია, თან საკუთარი მღვდელიც დაუნიშნა.

მას აქეთია, სსენებულს ეკლესიაში ქართულად იყო წირვა-ლოცვა. 1887 წ. ამ ეკლესიის მღვდელი ტიმ. სახოკია გარდაიცვალა. ამავე წელს განასლებული ეპარქია დაწესდა. სსენებულს ეკლესიას 1889 წლამდე კიდევს ჭუბადა სხვა საკუთარი მღვდელი, და მრევლს დედა-ენასე წირვა-ლოცვა ათასშა ერთხელ მაინც ესმოდა.

1889 წელს კი სასაფლავო ეკლესიის მღვდელი სხვაგან გადაიყვანეს, სოლო ეკლესია, მას დღიდან მოყოლებული, დღემდე გაუქმებულსაკითა დაშთენილი. თუ რადესე ეკლესიის კარები გაიღება, მხოლოდ იმიტომ რომ მრევლისათვის გაუგებარს ენასე სწორონ-ილოცონ. მრევლმა დრტიკნა დაიწყო, უწინგოდა ვრჩებით და მაშინაც კი, როცა, წყალობასაკით, ეკლესიის კარები გაგვეღება, მღვდლისა ჩვენ არ გვესმის და ჩვენი კიდევ—მღვდელსაო.

სოხუმელებმა აქაურის მოქალაქეს აზნაურის პეტრე ივანეს ძე ბარკალაიას მეთაურობით შესწიველეს თვისი გაჭირვება ვისაც ჯერ იყო და მამობრივი სუგუმისცემს სთხოვეს: ადენის სხის ქრისტიანთ უღვდლოდ ნუ დაგვერით, უზიარებლად ნუ ამოგვხდით სულსაო. უწინდებურად, საკუთარი მღვდელი დაგვინიშნეკით,—ჩვენს

მღვდელს; ჩვენისავე სარკით შევინსხვით, სსკას არავის შეგაწესებთო.

კანონიერი მუდარა უნდა. ყოფილიყო ასე გამოთქმული თხოვნა-ვედრება სოხუმელთა, და სსკა უამითათვის თხოვან უნდა ან სრულდებინათ. მაგრამ საქმე სულ სსკანაირად დატრიალდა. სოხუმელთა, ჩვენის აზრით კანონიერი, თხოვან არ იქმნა შეწყნარებულნი, არ მიეტა გზა ამ აჯასა; და, ამ სხვით, ქრისტეს ბრძანება და მისთა მოციქულთა მოქმედებით გაკვლეული გზა სარწმუნოების განკრეულებისა და ღვთის მოსახლისა უყურადღებოდ დარჩა...

სოხუმელები შეძრწუნდნენ და, ბოლოს, იმითი ინუგეშეს თავი: «ეკლესიის განკრეუც შეიძლება კაცმა ღმერთი ადიდოსო»...

დღეს, გარდა ამისა, რომ სსსსიფლას ეკლესიისში სლავურს ენაზეა (ისინი, როგორც ზეითა ვსთქვით, ათასში ერთსელ), თვით წირვა მეტად ადრე დგება და მეტად ადრევე თავდება. მღვდელმა წირვა ამ ეკლესიისში უუგვლად ათის ნახევრამდე უნდა გამოიყვანოს. ამ დრომდე კი ქალაქის დასავლეთ. მხარეს მცხოვრები მრევლი მართლ ეკლესიამდე მისვლას უნდება და როცა მივა, წირვა უკვე გამოსულია და ეკლესიის კარები დაკეტილი. მეტი რა აჯასია, ისევ სოხუმის საკრებულო ტაძარს უნდა მივმართოს მრევლმა, სადაც, ტაძრის აკობიდანვე, ქართულად წირვა-ლოცვა არავისა სმენია.

სოხუმელებს იმედი ჰქონდათ წარსულადგომას ამ საკრებულო ტაძარში სსხარების სიტყვებს მინც გაიგონებდნენ დედაენაზე. წავითსულ იქმნა ტაძარში იმ დღეს სსხარება სლავურსა, ბერძნულსა და ლათინურს ენებზედა, სოლო ქართული არავის მოვგონებია. ღვთის სადიდებლად თავ-მოყრილმა ხალხმა პირველში გამოსვლაც კი დააპირა ეკლესიიდან, ამ ბრწყინვალე დღესასწაულის ხათრი რომ არ შეენასა.— «ენი ამობს, კარგია ბერძნულისა და ლათინურის, ამ კლასიკურის ენების გაგონება; მაგრამ ქართულად, დედაენაზე, სსხარების სიტყვების მოსმენა კი სსჭირა და სსხურველიცაო, ისინი აღდგომასა, ამ დღესასწაულთა დღესასწაულის დღეს, ოდეს ყოველივე მდაბალი გრძნობა, მდაბალი აზრი, მტრობა ადამიანის გულიდან განდევნილი უნდა იყოს, და ოდეს ამ ქართულის მეტი მლოცველთ სსკა ენა არ ესმითო». აი, ამას გაიძნობდა აღდგომის ტაძარში ღვთის სადიდებლად მოზღვაკებული ხალხი.

ამყამად სოსუმში სელას-მოწებით ფუელი ჰგროვდება საკუთარად ქართველებსათვის ეკლესიის აღსაშენებლად. ამ აზრით ფულის მოგროვებას სოსუმელები დიდის აღტაცებით მიეგებნენ, და ფულის მოგროვების საქმე საოცარის სისწრაფითაც მიდის. მოკლეს სნის განმავლობაში ას-არმომც-და-ათი თუმანი მოაქუხეს. ფრიად საუგეშოა ეგ ფაქტი, მაგრამ სსსუგეშოა იმიტომ ვი არა, რომ ერთს წთვეში ას-არმომც-და-ათი თუმანი მოაქუხდა, — არა, უფრო სსსკა გვასარებს, უფრო სსსკა გვიღვიძებს იმედს: ამ საქმეში მონაწილეობა ისეთებმაც ვი მიიღეს, რომელთაც სსსკა დროს, სსსკა საზოგადო საქმეში, ჩხირიც ვი არ გადაუბრუნებიათ.

სრული იმედია, ამ საშვილიშვილო საქმისათვის საჭირო თანხას სოსუმელები ძალეც მოაყრიან თავსა და ამდენის სნის გულისწადილს აისრულებენ, მაგრამ... მაგარიცა და რბილიც ის გასლავთ, რომ ვი თუ ამდენმა ტანჯვამ, თავ-გამოდებამ, ხარჯმა ჩაილუღის წყალი დალიოს... ჩვენი შიში ღმერთმა ვი სუ გამაძრავოს!... იმასდა კინატრით, სოსუმელებმა დაწებულს საქმეს თავი გამოაბან და თავისი გაიტანონ.

### III

ახლა მივმართოთ დაბა-სოფლებსა.

სოსუმში თუ რამ გაჭირდება, მადლობა ღმერთს, ხმის ამომღები მანაც მოიპოვება გინძე. დაბა-სოფლები ვა, როგორც ყველგან, ახესაყოთა სრულებით უნატრონლდაა. სოფელეთ თუ გაჭირდება ადგათ, ამ კარამს გულშივე იკლავენ, კერ მალევე ამ გაჭირებას მიხეზი გამოეუბნონ, წამალი აღმოუჩინონ, ან კისმე შესწივლონ თვისი დაგრძომილი მდგომარეობა და შეკლა-დასმარება სთხოვონ; სმარად, განსაცდელში არიან და ისიც ვი არ ესმასთ, რომ იღუბებიან, — ასე დიდია სიბნელე გონებითი მათს შორის.

ბატენტისა, ფსირცხისა (ახლ-ათონი) და დრანდის ქველისძველ მონასტრებს რუსის ბერ-მონაზნანი დაკვატრონენ, ოსმალეთის ქვეშევრდომნი. ამ ტამბეში ამ უამად ქართველად წირვა-ლოცვის სსსენება აღარც-გია, თითქო არც ქართველი მლოცველები და-

დიოდნენ აქა და ანც ყოფილიყოს ოდესმე აქ წირვა-ლოცვა ქართულად... სიტყვად ანა ჰყოფნით ამ ბერ-მონაზვნებსა, ქართულად წირვა-ლოცვა რა გაუხსენათ. «განა ბუსუქმანულს (ესე იგი ქართულს) ენაზე ღვთის დიდება შეიძლება?»...

ამ ზემოხსენებულს ტაძრებში ქართულს ენაზე წირვა-ლოცვის უარყოფა ისე არ გაგივირდებათ, როცა მაგკანასავე უარყოფას შეამჩნევთ აფსახეთის სსვა მავანდნილს გუთსებში, სადაც კრსაც ქართულის მეტი სსვა ენა არ ესმის და მღვდლას მოქმედებას თითქმის უგანტროლლას; როცა დანახავთ, ჩვენი სისსლი და სოარტი, ჩვენი ხალხის დვიძლი შვილი, ჩვენი სულიერი მამა, რომელსაც მინდობილი აქვს ჩვენი სულიერად განსწავტაკება, გონებით აღმადლება, რომელსაც მინდობილი აქვს განმტკიცება ჩვენი ქრისტეს მოძღვრებრთა, — რაგკარის გულმოდგინეობითა, რაგკარის ერთგულებითა უარ-ჰყოფს ჩვენს დედა-ენას სწორედ იქ, სადაც უმადლესი სსსულიერო მთავრობა ამის წინააღმდეგია; ვამბობთ, როცა ყოველსავე მამს დაინახავთ, დააკვირდებით, — ჯერ თქვენს თვალებსა და ყურებს ან დაუ-ჯერებთ და გაიოცებთ, მერე გული უნდა მოგიკვდესო, თუ კი გუ-ლი იგი, ოდნავაც არი, ჰგროძობს რასმე... ბოლოს გაბოროტებულს, არ გეტოვანებთ, რამე ჰქმნათ, ვის რა უთსრათ...

დ. ოქემირეში, სადაც ქართველობა 95% ია, წირვა-ლოცვა, თუ ყოველთვის არა, უმეტეს შემთხვევაში მანც, მუნებურს კვლე-სიაში სლავურადა. როცა გახეთის საშუალებით ეკ ამბავი გამო-სქვანავდა და თვით იქაურის მღვდლის სასუელიც გამოცხადდა, ეს სულიერი მამა მიიჭრა ვისთანაც ჯერ იყო და შეჰვლდა, — გერ-თგულობდი, სლავურად ვწირავდი და ამისათვის გახეთში გამოი-ლესო. თქვენს მთავრველობას კითხვო. წარმოადგინეთ ამ სულიერ მამის განტვიფრება, როდესაც ამ თვისის ერთგულებით მადლობის მაგიერ... სავგედურნიც დამისახურა: — «ვინ გითსრათ სლავურად სწი-რეკითა?»...

ჩვენ უფრო ის გვაკვირვებს, რომ ასეთის შემთხვევის შემდე-გაც წინანდელი წესი ოქემირეში უცვლელად რჩება. კვლესიის მე-

დავითნემაც ქართული არ იცის. სასოგადოება სწუხს: წირვა-ლოცვა რაღად გვინდა, თუ ვი ვერაფერს გავიგონებთო!..

ოქტომბი უარქვია წირვა-ლოცვის საქმე. მედავითნემი ქართული კითხვა არ იცის, ასე რომ მღვდელი ქართულადაა სწირავს და მედავითნე სლაგურს ენახე ეხმარება.

#### IV

ოხამნირესა და ოქტომბი არიან მანც ისეთნი (ასში ერთი), რომელთაც სლაგურ წირვა-ლოცვისა ესმისთ რამე. მაგრამ რაღასა ბრძანებთ ისეთს სოფლებისას, სადაც სლაგური მარტო იმის თუ ესმის, ვინცა სწირავს?! ასეთი სოფლები გასლავით მთლად სამურწყანოს სოფლები, სადაც უმრავლესობა მღვდლებისა სლაგურადაა სწირავენ. სლაგურად მხოლოდ ის მღვდლები არა სწირავენ, რომელთაც ეს ენა არ უსწავლიათ და იმ დროს უეურთხებიათ, როდესაც ქართულს ენას ჰატევი არა ჰქონია აყრილი.

ას კიდეც რასა ბრძანებთ შემდეგის მაგალითისას?

ძნელად დასაფერებელია, თვით მე არა მჯეროდა, როცა ჰირველად გაგიგევი. მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, სრულს ჭეშმარიტებას მოგასსენებთ, უმეტრანკლებოთ, უფერ-უმარადოდ.

სოფელს გუდავაში (სამურწყანოში) მრეკლი მთლად მეგრელობაა, რომლისათვისაც ქართული ენა უცხო არ არის, არავინ გვიფერებს თორემ. მაგრამ მე ამას იმათ მოგასსენებ, ვისთვისაც ჩემი ნათქვამი კედელზე ცერცვის შეურა არ იქნება. ერთი წელიწადია, ზემოხსენებულს სოფელში მღვდლად ახალგაზდა კაცი, მამა გიორგი საყვია გაუმწესებიათ. თვითონ გვარი ამტკიცებს, რომ მამა საყვია სამეგრელოს შვილია, მამასადამე, კანონით, ქართველის ტომისა. მისისაკე თსოკნით მედავითნეთ ამ სოფელში ვინმე ბაღიშვილი დაუნიშნავთ, ფსიძის ერთ-კლასიან სკოლაში გურს-დამთავრებული, მამასადამე, ქართველის უცოდინარი.

ორივე მღვდელ-დაიკვანი, ეს ერთი წელიწადია, სლაგურად ასრულებენ კელესიანში მღვდელ-მოქმედებასა. მრეკლს, რა თქმა უნდა, არაფერი ესმის, მაგრამ უნებურად ემორჩილება თავისს ბედსა.



თანაც ჭკვირუბს, ე რა დროს შეეესწარიო... მღვდელ-დაიკვანი ამ უცხო ენაზე, ნეტა, რას გველაპარაკებაო?.. ბოლოს, სულაც აიღეს სული ეკლესიაში სიარულზე.

ამ რამდენისამე ხნის წინად მამა გ. საჯავია პირადად გაკიცხნი. ფრიად საინტერესოა ეგ სულიერი მამა, მით უფრო რომ იგი არის ტიპი, საზოგადოდ, აწინდელის მღვდლებისა, რომელნიც იღვწიან აფხაზეთ-სამურვსაყანოში ქრისტიანობის აღსადგენად...

ბეულებრივის მისაღება-მოკითხვის შემდეგ, კვითხვეი მამა საჯავიას.

— გაიგე, გუდავაში მეგრელებს სლაკურად უწირავო და, ნეტა, მართალია ეგ, მამაო?

— ქართული არ იციან, და სლაკურად იმიტომაც ესწირავ.

— მამაო... რასა ბრძანებთ... მეგრელებს, რომელსაც სლაკური სიზმარშიაც კი არ გაუგონია, იმ მეგრელებს, რომელნიც ლაპარაკის დროს ყოველს ხუთს სიტუებაში სამს წმიდა ქართულს სიტუებას ურქეს, — როგორ უნდა გაიგოს სლაკური ქართულზე, მისს დედა-ენაზე, უკეთესად-მეთქი?!

ლაპარაკს შეუყვით და გამოიჩქვა, რომ ქართულად წიკვალ-ლოცვის შესრულება მამა საჯავიას თურმე არც კი სცოდნია...

ორს ნიშნისაგ მოგასსენებთ აჭარის კითარების დასასურათებლად.

ერთმა მღვდელმა, მარ—იამ, სხვის გავლენით და წაქეზებით, განიზრახს მთელი წესი მღვდელ-მოქმედებისა აფხაზეთს ენაზედ უთარგმნა. ერთმა ინტელიგენტაგანმაც მამა მარ—ნიას თითქმის მასწავლი, და, ალბად აფხაზეთის მიმართ გულმტკიანეულობით, აფხაზეთი ანბანიც კი შეადგინა. მაგრამ ორსავე გოლკა დაუდგა... ალბად, მალე დარწმუნდნენ (ესეც კარგი ღვთის წყალობაა...), რომ მათს მოქმედებას ნიდაგი არა ჭკონდა ფესის მოსაკიდებელი.

მამა ბლალაინის სოხუმის ეპარქიისანი მღვდლებთან საქმის ჭბაღლებს რუსულად დაწერილებსა ჭტყანინახ. იმას კი არა ჭკით-

სკოლებს ე დალოცვილი შვიდნი, იცინს თუ არა ეს ენა იმ მღვდლებ-  
მა, რომელთაც რუსულადა სწევენ და რომელთაგანაც რუსულადვე  
ზასუსს თსოულობენ?!



ასლა თვალთ ვადავაკლოთ აფსაზეთ-სამურსაყანო-სკოლებსა.  
ეკლესიებში მისურებულს ქართულს ენასა, რა თქმა უნდა,  
აღარც სკოლებში ექმნება მოსკენება. ვისაც კი შეუძლია და სელი  
მიწვდება, თავზე გაკალს ამტარებენ ამ ენასა. ცინე უფრო კი შიგნიდან  
სტყუდება; იოკადისწუნებენ ქართულს ენასა, თვალში ეკლადა აქვს  
სწორედ ისეთებსა, ვისგანაც ყველასე ნაკლებ მოკვლადით ასეთსა  
სიძულვალსა და ზურგის შებრუნებასა. არა გვჭკამაგობენ, არ თანა-  
გვიგონობენ სკენივე ღვიძლი შვილები, სკენივე სისხლი და სორცი.

აფსაზეთ-სამეგრელო-სამიწისტრო სკოლებში, ეს უკანასკნე-  
ლი რამდენიმე წელიწადია, ბ-ნ ლევიტის უცნაურ სასკლამიღვანელო-  
წვლობით გონებითად დაჩუქებებს ბავშვებისა სისტემატიურად სწარ-  
მოებს, ამ უგულვართოსა და ანტაბუდაგოგიურს მიმართულებასა წინ  
არა ეღობება-რა, ხელის შემძლევი არაინა ჭეკს. სოლო, როგორც  
მოგესვენებთ, ბ-ნ ლევიტის სასკლამიღვანელო სადაცაა, იქ ქართუ-  
ლის ენის ქაჭანება არ არის.

ერთადერთ სამრეკლოსა და კავკასიაში ქრისტიანობის გამა-  
გრძელებელ საზოგადოების» მიერ დარსებულ სკოლებში კიდევ ედ-  
გა სული ქართულს ენასა; დედა-ენასე ხელის მოწერას მაინც სწავ-  
ლობდნენ ბავშვები ამ სკოლებშია. მამა ამბობსი კავკასიიდან შე-  
დეგ აფსაზეთ-სამურსაყანოში «ქრისტ. გამარც. საზოგადოების»  
სკოლების ზედამხედველად დაჭნიშეს მღვდელი კავკასიი. ქართულს  
ენას სწორედ მამა კავკასიის ზედამხედველად დანაშენის შემდეგ  
დაადგა შავი ორშაბათი ამ სკოლებში.

ასლას თანამდებობასე დაიშენისათანავე, ამ სულაერმა მამამ,  
არ ვიცით, რა სწეობრივის ან იურიდიულის უფლებით, თვისს დე-  
კრისად შემდეგი სიტყვები განადა: «დათრეუნა ქართულის ენისა  
სემს საზედამხედველო სკოლებშია». ერთს მხარეს დამკლავებული

მამა კავჳარაძე დადგა, მეორე მხარეს—მთელის სამურზაყანოაღს სკოლები, და დაემუქრა შირველა მეორეთა: «ქართულის სისხსენებელს მოესზობ ყველგანაო!»...

შირველი მსხვერპლი მამა კავჳარაძესი — ოქემის სკოლის მასწავლებელი, ივანე გეგია, შეიქმნა, — გაცი ერთგული თვისის სსქმისა, უოვლად უნგარო, ყველასი სსყვარელი და ყველასგან შატვიტემული. ეს მასწავლებელი თავისის თანამდებობიდან მასწავლე იქმნა გადაყენებული, როგორც კი მამა კავჳარაძე აქეთკენ გახდა. ქართული არ უნდა გასწავლებინა სკოლაშიო, სწორედ იმ სკოლაში, რომლის ზროგინცაში ქართულს ენას შირველი თუ არა, უკანასკნელი ადგილი მაინც უჭირავს.

ამავე დროს სსხა სკოლებშიაც მკაცრი განკარგულება მოასდანა მამა კავჳარაძესი — ქართული არამც-და-არამც არ ასწავლოთო. რაც მამა კავჳარაძის სამღვდიო ქართულის ენისადმა სსქვეყნოდ გამოცხადდა, ჩვენ გემგონა, მამა კავჳარაძე თავისის მოქმედებას დაუგვირდებოდა, სკოლებს ჩაჯვარდებოდა. ის კი არა, უარესის კადნიერებით აშირებს ამ გზით სიარულსა, ჯერ-ჯერობით სსვისგან ზურგმოდვარებული.

## VI

მაგრამ, კიდევ მადლობა უფალსა, რომ ჩვენს სამღვდილოებაში ისეთებიც ურევინა, რომელთაც კავჳარაძისებურის გზისა და მინართულების სიარვარტე იციან და სიგეოეს. შსსაფერის სიკეთითვე გადუხდინა მისის ჯურის ხალხსა...

19—20 ენკენისთვეს, როგორც მოგესსენებათ, ქ. სოხუმიში კრება იყო სოხუმისა და ჩურომნორიის ოლქების ბლადლომინთა. ეს კრება მოწოდებულ იქმნა სოხუმის სსეზარქიო სდმოსწავლო რსვეის მიერ, სსხათა შირის, ასარჩევად სოლქო ზედამხედველებისა სდმრველოა და წერა-კითხვის სკოლათათვის. ჯერ კენჭის ყრით აიჩხიეს კანდიდატები. ამ არჩევნების დროს, სსხათა შორის, მამა კავჳარაძესაც უფარეს კენჭი: ამოუვიდა 7 შავი და 2 თეთრი, გარნა

მისი მონივრდაპირეს, რუსის მღვდელს — ორი შვიი და შვიდი თეთრი. ჩვენებურმა მღვდლებმა სთქვეს თურმე: «დეე, უცხომ გაგვიდოს, ვიდრე ჩვენმა სისხლმა და ხორცმა!» ადვილი მისასკედრია, რა თქმა უნდა, ვინა ჭყავდათ ამოღებულ მიწანში...

...ამა ჩვენარაძე გურულია, სწავლა-განათლება — ტფილისის სასულიერო სემინარიაში აქვს მიღებული...

## VII

ამა გაგვარაძეს მხარს აძლევს და მასთან ერთად ერის ტანანს ეწევა მორე ჩვენზე თანამემამულე, კარსა სჯერა წოდებისა, რამდინრეს ხორმალურ სასწავლებლის ზედამხედველი, ბ-ნი ბორის ხორავა.

ეგ გაგვარაძე არ დასჯერდა მოკრძალებულ რელსა მსწავლებლისას და განიზრახა მეგრელთათვის უფრო დიდი, უფრო თვალსაჩინო სამსახური გაეწია.

ამ ორის თვის წინად სოხუმის საეპარქიო სამოსწავლო რეკამა თვისს ერთ-ერთ სსდომსზე იმის შესახებ იქონია სჯვა-ბასა — ქართული ენა აფსაზეთ-სამურწაფანოს სამრეკლო სკოლებში საჭიროა თუ არა. ამ საგნის გადაწყვეტა მიენდო თვით სოფელელთა და რეკამ ბლადონისთ მოწერილობანი დაუგზავნა: თქვენს საბლადონისრებში მღვდლების საშუალებით სალხს დაკეთისენით — უნდათ თუ არა სკოლებში (სამრეკლოებში) ბავშვებს ქართული ასწავლონო.

ჯერ-ჯერობით ორს-სამს სოფელში მოხდა სოფელელთა კრება ამ საქმის შესახებ და ოქმი ქართულის ენის სასარგებლოდ დაადგინეს. ე. ი. ქართული ენა — ჩვენი დედა-ენა, წირვა-ლოცვა ქართულად უფრო გვესმის, შინაურებაში ქართულის ცოდნა ჩვენთვის უფრო გამოსადეკია და, კარდა ამისა, თვით რუსულის შესწავლა ქართულის ენის საშუალებით უფრო უადვილდება ჩვენს ბავშვებსაო. საზოგადოდ, ყველა ოქმები სოფელელთა ამ ხასიათისაა.

ბატ. ბორის ხორავას ეგ ამბავი რა გაუგია, დატრიალებულა — თუ გამოვიჩენ თავსა, — ახლა. მუდგენია მოხსენება სოხუმის ეპისკოპოსთან და ამტკიცებს, მეგრელთათვის ქართული ენა უფრო ძელი გასაკები და შესათვისებელია, ვიდრე რუსულია(?),

მართა ქართველები თუ იტყვიან, რომ მეგრულსა და ქართველსა განსყოფი არა აქვსთ-რათა, და მებრძოლეს. ეს მოხსენება ბოროტ სორაკამ ჯერ ოჩამჩირელებს უჩვენა და სთხოვა, ამისე სული მოკაწროთ ყველა მეგრელებსა და მიჯართვით, სადაც ჯერ აჩს, — იქნება, ქართული ენა როგორმე მოგვამორონიო... წარმოადგინეთ ბნ სორაკამს სასოწარკვეთილება, რაცა ოჩამჩირეში გოჭი აღჩეს არ დაუჯდა. მანდაურებმა სულ კუდით ქვა ასროლინეს თურმე, — შენის ტყუისა სსვანგან მიანსეო.

ოჩამჩირეში კუდ-ამოკეებულმა ბ. სორაკამ სოფლებს მიმართა, — არიქათ, ვიღუშებით, მეგრელები უნდა გაგვამორონიო და მთავრობას შეეჩივლოთ ჩვენი შავი დღეო. თავისი საკბილო აქ კი უმოკნია, მაგრამ მანინც იმდენი არა, რამდენის იმედი ჰქონდა ბატონის საჩუკასა, — სულ თურმე 14 კაცს მოუწერია ამ უცნაურს «მოხსენებაზე» სული...

აჭა, ბატონებო, რა სურათს წარმოადგენს დღეს აფსანუთ-სამურსაყანოში სამღვდელობა და ქართული ენა!...

გაბრიელ ეპისკოპოსის დეთიურ ქადაგების შემდეგ საღვსო, სწორედ იმ საღვსო, რომელსაც ყველანაშ მეტად ეჭირებოდა მზრონიკობა, — ეკლესიებში არაუინ არიგებს მამა-შვილურად, არაუინ უსსრის ქრისტეს მოძღვრებასა... სოხუმში, რამდენი მაგალითები გიცი, მთელის სუთის წლებით არა ჰზიარებულან.

აი, სადა გეჭირდება ნამდვილი სულეიერი მამანი, აი, სადა ექმნებათ ყველა პატროსსსა და გულმოდგინე მეძაკსა ფართო ასხარეზი მოღვაწეობისა; აი სადა დაჯილდოვდება ასკეტად მათი შრომა, საღვსის საკეთილდღეოდ წარმართული და მისის სიეკარულით გამოწვეული და გულგამთბარი!.. აი ამ მხარეს უნდა მიატონონ ჩვენმა ასაღვასა და მღვდლებმა, სემინარიაში ნასწავლებმა, ვისაც კი ჰსურს მათი შრომა ნაყოფიერი იქმნეს და თვისთა დაჩაგრულთა მოძქეთა გეჭირებების-ტალკვეობა გაუწიონ, ჭირსა და ღზინში მათი ნამდვილი სულეიერი მამანი იყვნენ.

თ. სახოკია

ქ. სოხუმი.

## შინაური მიმოხილვა

არეულობა ებრაელთა წინააღმდეგ. — თ. რაფიელ ერისთავის იუბილეი. — უადგილო კინკლაობა. — „ჩერნომორსკი ვესტნიკი“. — წყალ-დიღობა და მისი ზარალი. — კომიტეტი დახმარე. ბისათვის. — კიდევ ნაფიც მსაჯულთა სამართლის შესახებ ჩვენ-ში. — აზრი «სევერნი ვესტნიკისა».

16 ოქტომბერს ქუთაისში მოხდა არეულობა ებრაელთა წინააღმდეგ. ეს არეულობა გამოუწვევია შემდეგ გარემოებას. 14 ოქტომბერს, საღამოს 9-ს, რამდენიმე სოფლელი მოდენი-ლა მოწამეთის მონასტრიდან თავიანთ სოფელში და რომ გა-უვლიათ ქუთაისში ებრაელთა უბანი, დაუნახავთ, რომ ერთ ადგი-ლას მოგროვილიყვნენ ებრაელები, რომელთა შორის უფრო ბავშვები იყვნენ და რამდენიმე ახალგაზდაც. ესენი შემოჰხვე-ოდნენ ერთ ქუთათურ გონება-შერყეულ ქალს და დასცინო-დნენ. სოფლელები გამოესარჩლნენ ამ ქალს და აქედან და-იწყა ჩხუბი ებრაელთა და ქრისტიანთა შორის. ერთი ამ უკა-ნასკენელთაგანი იყო ახალგაზდა ლუკა კოსტავა, რომელმაც ხანჯალი ამოიღო, მაგრამ ვერ მოიხმარა, რადგან მალე შემო-ეხვივნენ ებრაელები და დაუწყეს ქვებით ცემა. კოსტავა გაი-ქცა და, სხვა გზა რომ აღარ ჰქონდა, რიონში გადავარდა. ებრაელებმა აქაც არ დაანებეს თავი და ქვები დაუშინეს. ქვა აღბად თავში მოხვდა და კოსტავა წყალმა ჩასძირა. მას აქედ კოსტავას გვამი ვეღარ იპოვეს.

ამ უბედურების ამბით შეძრწუნებულმა ხალხმა 16 ოქ-ტომბერს სცემა რამდენსამე ებრაელს. პოლიციამ თავისი ლო-

ნისძიება იხმარა ამ უწყესობის მოსასპობლად, მაგრამ ხალხის ბრბო თან-და-თან მატულობდა და ებრაელების წინააღმდეგ აღელვება ძლიერდებოდა, ისე რომ საჭირო დარჩა ჯარების გამოყვანა, რაც კი იყო ქუთაისის გარნიზონში. ხალხი მიიწევდა ებრაელების უბნისაკენ და ჯარები კი არ უშვებდნენ. ორი დღე ხალხი და ჯარები ასე ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს. არც ერთ მხარეს თოფ-იარაღი არ უხმარია. ხალხი აქა-იქ ქვეს ისროდა და ჯარი თოფის კონდახებით იგერებდა ხალხს. ორს დღეს შემდეგ ხალხი დამშვიდდა, ისე რომ ამ არეულობაში არავინ არ მომკვდარა.

ეს სამწუხარო ამბავი რომ ასე მშვიდობიანად, ასე სასიამოვნოდ გათავდა, ამის მიზეზად უნდა ჩაითვალოს ქუთაისის გუბერნატორი, რომელმაც თავიდანვე დიდი გამჭირახობა გამოიჩინა და მშვიდობის გზას დაადგა: ჯარს ხელი არ გამოაღებინა და ხმალად ჩაგონება იხმარა და ფარად კი — მოთმინება. ხალხის ჩაგონებისა და დამშვიდებისათვის მოიწვია იქაური პატივცემულნი კაცნი ყოველის წოდებისანი.

ამ საშუალებამ გასჭრა და ამისგამო ასეთი არა-ჩვეულებრივი არეულობა გათავდა სრულიად უმსხვერპლოდ.

უეჭველია, ქუთაისის გუბერნატორი დარწმუნებული იყო, რომ ეს არეულობა ქუთაისის ხალხისა არ მოასწავებდა არც ხალხისაგან აღვირის წახსნას და სახელმწიფო კანონების წინააღმდეგ ომის გამოცხადებას და არც იმას, ვითომ ჩვენის სასულიერო მოსწავლეთა ჩაგონებით ჩვენი ხალხი ვერ იგუებს სხვა სჯულისა და ეროვნობის ხალხს და ამის გამო 16 და 17 ოქტომბერს, წინა განზრახვით აღძრული, ლამოდა ებრაელთა განდევნას ქუთაისიდანაო. ამ თვალით შეჭხედავდა ამ ამბავს ან მოხელე, რომელსაც საქმის გაზვიადებით სურს თავისი უფლება გაიდიდოს და ან პუბლიცისტი, რომელსაც უფრო ემარჯვება ასაწერ ამბავს მეტი შავი დალი დაასოს, რომ მერმე უფრო მკერმეტყველებით გაჰკიცხოს.

ჩვენის ფიქრით, შეუძლებელია ქუთაისში მომხდარ ამბავი საგან ის დავასკვნათ, ვითომ ქართველობა გაბოროტებული



იყოს ებრაელთა მიმართ სიძულვილით და მას წინაგანძრახვით, მწერლობის თუ სხვა ვისისამე ჩაგონებით, ჩაედინოს ეს ამბავი. ნუ დავივიწყებთ, რომ ამისთანა ამბავი, როგორც მოხდა ქუთაისში, მოხდება ყოველგან, სადაც კი ბაბო არის, და ყოველთვის, სინამ ბრბოს ექნება თავისებური პსიხოლოგია, რომელიც, ვითარცა სტიქიონი, ამოკმედებს მას უეცრად და მოუფიქრებლად. ამისთანა ამბავი მოჰხდება ქალაქის სხვა-და-სხვა უბანთა შორისაც, რომელთა მცხოვრებნი ხშირად ეკუთვნიან ერას და იმავე ეროვნებას, ერთსა და იმავე სარწმუნოებას, ისე რომ სარწმუნოების და გვარტომობის სხვა-და-სხვაობა შეიძლება არაფერ შუაში არ იყოს. ან რა საფუძვლით შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ქართველობა თავს დაცვა ებრაელებს, ვითარცა მჩაგვრელი დაჩაგრულებს? აქ მხოლოდ აღელვებული ბრბო გამოესარჩლა დაჩაგრულს და უბრალოდ მოკლულს. მართალია, ასეთს გამოსარჩლებას ცუდი შედეგი მოსდევს, იგი წესიერებას ეწინააღმდეგება და, როგორც ყოველი უწყსოება, სამწუხაროა, მაგრამ ის სარჩული კი არ აქვს, რომელიც „ივერიის“ № 246-ის მეთაურმა წერილმა გამოუძებნა.

გასულს თვეში ტფილისშიც მოჰხდა დიდი ყრილობა ქართველობისა. ხოლო ამ ყრილობას სრულებით სხვა ხასიათი ჰქონდა. იგი იყო მშვიდობიანი და სასიამოვნო. ჩვენ ვამბობთ თ. რაფაელ ერისთავის 50 წლის სამწერლო იუბილეის თაობაზე, რომელიც იღვესასწაულა ქართველობამ 22 ოქტომბერს. ეს დღესასწაული არა ჩვეულებრივი ამბავი იყო ქართველობისათვის. თ. რაფაელ ერისთავს პირველსა ხედა წილად ასეთი დღესასწაული. არც ერთს სხვას ქართველს მწერალს არ რგებია ამისთანა პატივისცემა სიცოცხლეშივე. სიხანს, რომ ჩვენმა საზოგადოებამ შეიგნო თავის მწერალთა და მოღვაწეთა მნიშვნელობა და ღირსეულადაც აფასებს მათ. ეს ცხადი ნიშანია საზოგადოების წარმატებისა. ასეთი დაფასება საზოგადოების მხრით არ დარჩება უმნიშვნელოდ მომავალ მოღვაწეთათვის, რადგან პატივისცემა საზოგადოების მხრით ამხნევებს ყოველ მოღვაწეს

და აორკეცებს მის ენერგიას საზოგადოებისავე სამსახურისათვის.

ტფილისის თავად-აზნაურთა თეატრის დარბაზს დიდი ხანია არ უნახავს, თუ კი ოდესმე უნახავს, ასეთი ყრილობა ქართველობისა. აქ იყვნენ თავმოყრილნი წარმომადგენელნი საქართველოს ყოველის კუთხისა, განურჩევლად წოდებისა და ხელობისა. წარმოიდგინეთ, რომ ამ დღესასწაულში მიიღო მონაწილეობა აღრესის წარმოგზავნით ერთის მაზრის გამგეობამაც კი. მიიღეს აგრედვე მონაწილეობა ტფილისის რუსულმა და სომხურმა ჟურნალ-გაზეთობამ, დამსწრე საზოგადოებას ეტყობოდა გულწრფელი სიხარული. მით უფრო დიდ-მნიშვნელოვანი და სასიამოვნო იყო ეს დღესასწაული, რომ მზადება მისთვის თითქმის არა იყო-რა და დღესასწაული მაინც დიადი გამოვიდა. საზოგადოება ხერხით და მზადებით კი არ იყო მოწვეული, არამედ თვითონ მოაწყდა ამ საერთო დღესასწაულს ჩვენის გონებრივის წარმატებისას.

სამწუხაროდ, იმ ფრიად სასიამოვნო შთაბეჭდილებას, რომელსაც გამოიტანდა ყოველი დამსწრე ამ დღესასწაულისა, დიდად აწეო შემდეგმა გარემოებამ. დღესასწაული ჯერ თითქმის არ დასრულებულიყო, ქალაქში ჩამოსული სტუმრები ჯერ არ დაბრუნებულიყვნენ თავიანთ სახლებში და ჩვენს გაზეთებს 22 ოქტომბრის ამბავის აღწერა არ დაემთავრებინათ, რომ დღესასწაულის მეთაურებმა იმავე გაზეთებში კინკლაობა გაჰმართეს იმის თაობაზე, თუ ვის თაოსნობას და შრომას უნდა მიეწეოს ამ დღესასწაულის მოწყობა და სისრულეში მოყვანაო, თითქოს დიდებულ მეგლიშზე მოსამსახურენი გამოსულან და ერთმანეთს აყვედრიან, არა მე უფრო ჯაფა გავწიე სადილის მომზადებისათვის, არა მეო; ეს და ეს მასალა, რომ შემოგვაკლდა, შენ თავი არ შეიწუხე და მეზობელთან არ მიიბრინე მის ხელად მოსატანადო. ამისთანა კინკლაობას მოანდომეს რამდენიმე სტატია გაზეთებში და მით ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცეს, რომ ჩვენში პირადი თავმოყვარეობა არა სდუმს არც საერთო სიხარულისა და არც საერთო მწუხარების ეამსა.

ქართულ მწერლობის დღესასწაულს თანაგრძნობით მიეგებნენ და კეთილად მოიხსენეს იგი, არა თუ კავკასიის რუსულმა გაზეთებმა, არამედ ზოგიერთმა პეტერბურგის გაზეთებმაც. ცუდის თვალით შეხედა მას მხოლოდ ბათუმის რუსულმა გაზეთმა „ჩერნომორსკი ვესტნიკმა“, რომელსაც ჩვენი დღესასწაული არ მოსწონებია და ქვეყანას აუწყა, რომ ქართველებმა 22 ოქტომბერს კომედია ითამაშესო.

ჩვენ საჭიროდ არ მიგვაჩნია პასუხი მიეცეთ ამის თაობაზე ხსენებულ გაზეთს. მხოლოდ რადგან სიტყვამ მოიტანა, მკითხველს უნდა ვაუწყოთ, თუ რა ჯურის გაზეთთან გვაქვს საქმე. ეს ის გაზეთია, რომელმაც პირველ ნომერშივე გამოაცხადა, რომ ჩვენი პროგრამა არისა ერთნაირის თანაგრძნობით და ერთნაირის ყურადღებით მოვეპყრათ კავკასიის ყველა მკვიდრთა, განურჩევლად ეროვნებისაო. მაგრამ პირველსავე ნაბიჯზე უღალატა ამ პროგრამას და ყოველ შემდეგ ნომერში გვიჩვენებს, რომ ჩვენი სიხარული მას აბრაზებს და მწუხარება ამხიარულებს. ცხადია, რომ, თუ გაზეთი თავის პროგრამას ჰღალატობს და არ ასრულებს, რაც კეთილ საქმედ და დიდებულ პრინციპად მიაჩნია, ეს უნდა მივაწეროთ ან პირად ანგარიშებს, ან სხვის გავლენას და ან ორივეს ერთად. ხოლო ის კი უეჭველია, რომ ამისთანა საგზლით გაზეთი დიდ მანძილს ვერ გაივლის...

წრევანდელი წელიწადი მეტად ცუდი იყო მიწის მოსავლისათვის. ზამთარი იყო უწვიმო და უთოვლო, გაზაფხული და ზაფხული მეტად წვიმიანი. ამისთანა ამიდების გამო მოსავალი ძლიერ ცუდი იყო ქართლ-კახეთში ღვინისა და იმერეთში—სიმიდისა. ბუნებამ თითქოს ეს არ აკმარაო ჩვენს ქვეყანას და შემოდგომის ნიაღვრებმა და წყალდიდობამ დიდი ზარალი მოუტანა ქართლს და იმერეთს, განსაკუთრებით კი იმერეთს. ოქტომბრის დასასრულს წყლებმა გააფუქა, როგორც რკინის გზა სხვა-და სხვა ადგილას ტფილის-ფოთ-ბათუმს შუა, ისე სოფლის გზები, დაანგრია სახლები, წაიღო ხიდები, მოი-

ტაცა საქონელი, ჭირახეული და რამდენსამე ადგილას ადამიანიც იმსხვერპლა. ზარალი, გაზეთების სიტყვით, ფრიად დიდია. მაგრამ ასე ვარაუდით დასახელება ზარალისა, რასაკვირველია, საკმაო არ არის. სხვა ქვეყანაში რომ ასეთი უბედურება მომხდარიყო, მეორე დღესვე საზოგადოებას დაწვრილებით ეცოდინებოდა ანგარიში, რომელ ადგილას რა და რამდენის მანეთის ზარალი მოხდა. ჩვენში კი არაფერს უნდა იხილო, არ იბერტყავს ამ საქმისათვის. იქნება კანცელარიებში ჰკრებდნენ ასეთს ცნობებს, მაგრამ როდის შეჰკრებენ, ვინ იცის. შეკრების შემდეგ გამოაქვეყნებენ ამ ცნობებს, თუ არა, ისიც არ ვიცით. საზოგადოება კი მოუთმენლად ელის ნამდვილ ცნობებს ამ საგნის შესახებ. საზოგადოებამ თუ არ იცის რაოდენობა უბედურებისა, ვერც ვერაფერს იფიქრებს დახმარებისას. უეჭველია, რომ თუ უბედურება ისე დიდია, როგორც გაზეთები გვაუწყებენ, საღსარიც დიდი დასჭირდება მისაშველებლად. ამ შემთხვევაში საჭიროა, რომ შესდგეს კომიტეტი რომელიმაც უნდა იზრუნოს დაზარალებულთა საშველად. ეს კომიტეტი მიუცილებლად საჭიროა სოფლებისათვის, რადგან ქალაქებს აქეთ თვითმმართველობის ორგანოები, რომელთაც შეუძლიანთ და ვალადაცა სდევთ იზრუნონ მცხოვრებელთა კეთილ-დღეობისათვის. სოფელი კი უპატრონოდ არის დარჩენილი ამგვარ შემთხვევაში.

რაც შეეხება იმას, თუ ვინ უნდა ამოარჩიოს ეს კომიტეტი, ამის თაობაზე გაზეთებმა უკვე წარმოსთქვეს აზრი, რომ თავდაზნაურობამ უნდა იკისროს ეს საქმეო. ჩვენც ამ აზრისა ვართ და ვფიქრობთ, რომ თავდაზნაურობისაგან ამორჩეულ კომიტეტს უფრო შეეძლება, ვითარცა ოფიციალურს დაწესებულებას, გაუძღვეს ამ საქმეს და შემწეობა გამოსთხოვოს, როგორც მართებლობას, ისე მთელის რუსეთის საზოგადოებას. უეჭველია ერთისა და მეორესიც იმედი უნდა. გვკონდეს ამისთანა გაჭირვების დროს. როცა სახელმწიფოს ერთს კუთხეს საერთო უბედურება ეწვევა, მაშინ, რასაკვირველია, ყოველი კუთხე უნდა მიეშველოს. უამისოდ სახელმწიფო ცხოვრება და სახელმწიფოს სხვა-და-სხვა ნაწილების ურთიერთობა ცარიელი სიტყვა იქნე-

ბოდა. „მოსკოვის უწყებათ“ კიდევაც დაბეჭდეს გულ-მხურვალე სტატია ამის შესახებ და მიჰმართეს რუსეთის საზოგადოებას, შევეწიოთო ჩვენს თანამორწმუნე საქართველოს, რომელიც გაჭირვებაში ჩაყარდა.

ამ შემთხვევაში „მოსკოვის უწყების“ ან მოსკოვის საზოგადოების თანაგრძნობა როდი გეიკვირს. აბა რა გასაკვირველია უბედურების დროს რომ ერთმა ერმა მეორეს თანაგრძნობა გამოუცხადოს და შემწეობა აღმოუჩინოს. ამ რამდენისამე წლის წინად რომ რუსეთში შიშობილობა იყო, შორეული ამერიკელებიც მიეშველნენ რუსეთის ერს. ქართველობამაც თვისი წვლილი მიაწოდა, როგორც კერძო თაოსნობით მოგროვილის ფულით, ისე ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის კასიდან.

საკვირველად და თან ჩვენთვის სამარცხვინოდ მხოლოდის მიგვაჩნია, რომ ჩვენის გაჭირვების ამბავმა მიაღწია მოსკოვს, იქ ხმა ამოიღეს ჩვენდა საშველად და ჩვენ კი ხელი არ გავგინძრევია ამ საქმის მოსაწყობად \*). ნუთუ ვფიქრობთ, რომ საქირო შემწეობას მზა-მზარეულად მოგვაწოდებენ?

თვეზე მეტია, რაც უბედურება გვეწვია. მაშინვე გაისმა საზოგადოებაში ხმა და გამოითქვა სურვილი, რომ თავად-აზნაურობას ეთავა ამ საქმისათვის კომიტეტის დაწესება. თავად-აზნაურობის წარმომადგენლები დღემდისაც ხმას არ იღებენ და ყურს არ იბერტყავენ. საზოგადოებისაგან ამორჩეულ კაცებს არ შეჰშვენისთ საზოგადოების მიერ წარმოთქმულ სურვილს და ბეჭდით სიტყვას ყური წაუყრუონ. თავად-აზნაურობის წარმომადგენლნი მოვალენი არიან, აცნობონ საზოგადოებას, აპირობენ ამ საქმის მოწყობას, თუ, მათას ფიქრით, ეს საქირო არ არის, ან მოუხერხებელია.

ჩვენის ქურნალის აგვისტოს ნომერში ჩვენ ჩამოვადგეთ ლაპარაკი სამოსამართლო წესდების გადასინჯვის გამო მთელ

\*) ეს სტატია დაწერილი იყო, როცა გაზეთებმა გეაცნობეს, რომ მოსკოვში ჩვენდა დასახმარებლად კომიტეტიც შედგარა ქ.ბ. გრაფ. უვაროვის თავმჯდომარეობით.

რუსეთის იმპერიაში და ვთქვით, რომ არავითარი საფუძვლიანი მიზეზი არ არის, ჩვენშიაც არ შემოიღონ ნაფიც მსაჯულთა სამართალი; რომ რუსულ ენის უცოდნირაობა არ უნდა ჩაითვალოს ამ შემთხვევაში დამაბრკოლებელ მიზეზად, რადგან მართლ-მსაჯულება ყოველ შემთხვევაში იმ ენაზე უნდა სწარმოებდეს, რომელსაც მკვიდრნი ლაპარაკობენ.

ესლა ჩვენ სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ იგივე აზრები საერთოდ რუსეთის განაპირა ქვეყნების შესახებ გამოსთქვა ოქტომბრის ნომერში რუსულმა ჟურნალმა „სევერნი ვესტნიკმა“.

ჟურნალი ამტკიცებს, რომ ნაფიცთა სამართალი საუკეთესო სამართალია ყოველის ერისთვის, განათლების რომელ ნაბიჯზედაც უნდა იდგეს იგი ერი. ამიტომ საჭიროა, რომ ეს სამართალი შემოღებულ იქმნას მთელს იმპერიაში ეროვნობის განურჩევლად. მხოლოდ მაშინ დამყარდება სახელმწიფოს ყოველ კუთხეში ერთგვარი წესიერი სამართალი. ასეთის ერთგვარის სამართალის დამყარება იმპერიაში შეუძლებელი იქმნება, თუ მკვიდრთა ენის მიხედვით გადაწყდება, რა სამართალი უნდა იქმნას შემოღებული სახელმწიფოს ამ და ამ კუთხეში.

ამ საქმეში სახელმწიფო ენის უცოდინარობას არავითარი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, რადგან ყოველ ერს თავის ენაზე უნდა მიენიჭოს სამართალი. მართალია, მართებლობისათვის უფრო ადვილი იქნებოდა, რომ მთელ სახელმწიფოში ერთ და იმავე ენაზე სწარმოებდეს მართლ-მსაჯულება, მაგრამ იმ სახელმწიფოთა, რომელთაც სხვა ტომის ერი შემოირთეს, თვით ამ შემოერთების ძალით უარყვეს ეს უფლებათა, ამბობს რუსული ჟურნალი, რადგანაც შემოერთებულ ერს დანაშაულად ხომ არ ჩაეთვლება, რომ ძლიერმა სახელმწიფომ იგი შეიერთაო.

სახელმწიფო ენას მართლ-მსაჯულების საქმეში არავითარი უფლება უპირატესობისა არა აქვსო, ამბობს „სევერნი ვესტნიკი“, რადგან ვერავენ დაგვიმტკიცებს, რომ ეს ენა ღვთისაგან რჩეული იყოს და ამ ენაზე მხოლოდ სამართლის ქმნა შეიძლე-

ბოდეს და უსამართლობისა არაო. განა სახელმწიფო ენაზე არ სწარმოებდა სამართალი „სასამართლო წესდების“ შემოღებამდე, როცა მეფობდა ქრთამი, სვინილისის ლალატი და მრუდი სამართალიო!

მართლ-მსაჯულება პოლიტიკის და საეროვნო მიზნის საშუალებად არ უნდა გავიხადოთ, თორემ „რუსის სამართალი, რომელიც რუსის საქმეს ემსახურება და არა მართლ-მსაჯულებასა, ღირსი არ იქმნება სამართლის სახელისაო“, ამბობს იგივე რუსული ჟურნალი.

შემდეგ ამისა „სევერნი ვესტნიკი“ აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ჩვენი გაზეთები ავსტრიას უკიჟინებენ, სლავიანებს თავიანთ ენაზე სამართალს არ აღიარებენ, და როცა ჩვენში ჩამოვარდება ლაპარაკი იმავე საგნის შესახებ, მაშინ ჩვენი გაზეთები სულ სხვა პრინციპებს აღიარებენ. ის კი ავიწყდებათ ხსენებულ გაზეთებს, რომ ამ უკანასკნელ დროს ავსტრიამ თავისი პოლიტიკა შესცვალა და სლავიანების სკოლებში და სასამართლოებში სამშობლო ენას ადგილი მიეცა, მაგრამ ამით არც სწავლა-განათლებას და არც მართლ-მსაჯულებას არაფერი ვნება არ მოსვლია და სიკეთე კი დიდად დაეტყოო.

როცა სამართალი ხალხისათვის უცხო ენაზე სწარმოებას და მოსამართლესა და ბრალდებულს შუა თარჯიმანი სდგას, მაშინ მოსამართლე თავის განაჩენს დასდებს არა თავის რწმენის კვალობაზე, რადგან ბრალდებულისა არა ესმის-რა, არამედ ფორმალურ დამტკიცებათა თეორიის ძალით, რომელიც მართლ-მსაჯულების მეცნიერებამ დიდი ხანია უარჰყო. ჟურნალს მოჰყავს მალოროსიის ცხორებიდან მრავალი მაგალითი იმისა, თუ თარჯიმანის უვარგისობის გამო სასამართლოს რა საშინელი შეცდომა მოსვლია. ასეთს მაგალითებს ჩვენშიაც ყოველ დღე ვხედავთ.

უცხო ენაზე სამართლის წარმოებას კიდევ ის ნაკლი აქვს, რომ ბრალდებულს და მომჩივან-მოპასუხეს ის მოსამართლე, რომელსაც მათი ენა არ ესმის, მიაჩნია უცხო ვინმედ და ამისთანა მოსამართლეს ხალხი არც ერწმუნება და არც პა-



ტივსა სცემსო. მოსამართლემ რომ ხალხის ნდობა და პატივისცემა დაიმსახუროს, უეჭველად საჭიროაო, ამბობს „სევერნი ვესტნიკი“, რომ მოსამართლე იყოს მკვიდრი შვილი იმ ადგილისა, სადაც მოსამართლეობს, და იცოდეს მკვიდრთა ენა და ზნე-ჩვეულება. რამდენად დაშორებულნი ვართ ჩვენ ამ ჰემარიტებას. ჩვენში განგებ ამ ჰემარიტების წინააღმდეგ მოქმედობენ ხომ მოსამართლეთა განწყობების საქმეში.

### რედაქციამ მიიღო შემდეგი ახალი წიგნები:

1) დემონი. — ჰოკმა მ. ლერმონტოვისა, თარგმნილი მ. გურიელისა, გამოცემა კ. თავართქილაძის და ა. მიქელაიშვილისა № 54. ბათუმი 1895 წ. ფასი ორი შაური,

2) საბოსტნე მცენარეების თესვა-მოყვანა და მოხმარება-შენახვა. — შედგენილი მსწავლულის მებაღის არჩილ დარეჯანაშვილის მიერ, ივანე როსტომაშვილის გამოცემა № 4. ფასი გაუგოსაგუნად ერთი აბაზი, გაგსავით — სუთი შაური.

3) შინაური საქონლისათვის საკვები ბაღახების თესვა-მოყვანა. — 11 სურათით. ივანე როსტომაშვილის გამოცემა № 5. ფასი ხუთი შაური.

4) კედლის კალენდარი 1896 წლისა, — შედგენილი და გამომცემული გრ. ჩარკვიანის მიერ. ტუილისი. ფასი ორი აბაზი.

5) Краткій Обзоръ Бакинскѣй Нефтяной промышленности съ 1-го Января по 1-е Сентября 1895 г. Изданіе Совѣта оъзда нефтепромышленниковъ. Цѣна 1 руб.

რედაქტორი  
ალექსანდრე ჭყონია

გამომცემელი  
ალექსანდრე ჯაბაძარი

# განცხადებანი

წიგნების გამომცემელ

ქართველთა ამხანაგობის გამგეობისაგან

ქართველთა ამხანაგობის გამგეობამ განიხილეს რა ჭბეჭდოს ჰატარს ისტორიული წიგნაკები, უმოწილესადა სთხოვს საქართველოს ისტორიის მცოდნე პირთ დაეხმარონ ამხანაგობას და მოაწოდონ დასასტამბავად მარტივი ენით დაწერილი ეპისოდები საქართველოს ისტორიიდან. სასურველია ყოველი ეპისოდი არ აღემატებოდეს ორ თაბასს, ესე იგი 64 კვერდს. მოწონებულ და დაბეჭდილ ყოველ თაბასში (32 კვ. ფორმ.  $8\frac{1}{2} \times 5$ ) ავტორთ მიეცემა 30 მანეთი.

ამხანაგობა ეცდება ყოველს წიგნაკს დაურთოს კმირთა სურათები, თუ კი მოიწოდება.

ამხანაგობის გამგე ალ. ჯაბაღარი

ამა წლის 25 დეკემბრიდან

# უზასოდ

კედლის ქართული კალენდარი

1896 წლისა

სამსუღვარ გარეთიდან მიღებულ სხვა-და-სხვა

ლამაზ სურათებზე

დაკრული

მიუყემა ყველა იმით, ვინც იყიდის

„ქართველთა ამსახეობის“ ძალაშიაში

(მზაფხვითი მკლმნიანთან)

„ამსახეობის“ მიერ გამოცემულ

წიგნებს არა ნაკლებ 1 მ. 50 კაპ—სას.

ქალაქ-გარედ მცხოვრებთაც გაეგზავნებათ, თუ ფოსტის  
ხარჯს გამოჰგზავნიან.

---

1896

# „მოსამგე“

## თვიური ჟურნალი

(წელიწადი მესამე)

გამოცა ეოველ თვის შირველ რიცხვებში

იმავე ჰროგრამით

ფასი ჟურნალისა გაზგაჰნით:

	1 წლით	6 თვით	3 თვით
რუსეთის და კავკასიის ქალაქებში . . . . .	10 მან.	6 მან.	4 მან.
სახელგარ გარედ . . . . .	13 მან.	7 მან.	5 მან.

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე—4 მან., 1 აპრილამდე—3 მან. და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტუილისში, ჟურნალ «მოსამგე» რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩასე № 13.

წიგნის მადარსებ, რომელნიც იკისრებენ ჟურნალ „მოსამგე“-ზე ხელის-მოწერის მიღებას, შეუძლიანთ აიღონ მთელის წლის შემოსატანიდან. კამისიისა და ფულის გამოგზავნისთვის ათი შაჰა, ხოლო თუ ფულის ნაწილ-ნაწილ შემოიტანენ, არაფერა დაეთმობათ.

შენიშვნა: 1) ჟურნალის თავის დროზე მიღებისათვის რედაქცია პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფული გამოგზავნილ ან შემოტანილ იქნება რედაქციის კანტორაში. 2) ქალაქ გარეშე ხელის-მოწერით ფულის მიღების კვიტანცია გაეგზავნებათ მხოლოდ იმთ, ვინც ჟურნალის ფასთან ერთად წარმოადგენს 7 კაპ. ფოსტის მარკას ყოველ კვიტანციაზე.

ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის ადრესი: *Тифлисъ, Редакція „Моамბე“*.

რედაქციამ მოსახერხებლადა სცნო სოფლის მღედლებს, სოფლის მასწავლებლებს, ხელოსნებს და მოწაფეებს ჟურნალი დაუთმოს რგა მასეთად წელიწადში. ვისაც 8 მანეთის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან პირველში ოთხი მანეთი შემოიტანოს და ორ-ორი მანეთიც მარტში და აგვისტოში.

# „ივერია“

გამოვა 1896 წელსაც

იმავე პროგრამით, როგორც წინაღ.

## ფასი გასეთისა:

12 თვით . . . . .	10 მ. — კ.	6 თვით . . . . .	6 მ. — კ.
11 „ . . . . .	9 „ 50 „	5 „ . . . . .	5 „ 50 „
10 „ . . . . .	8 „ 75 „	4 „ . . . . .	4 „ 75 „
9 „ . . . . .	8 „ — „	3 „ . . . . .	3 „ 50 „
8 „ . . . . .	7 „ 25 „	2 „ . . . . .	2 „ 75 „
7 „ . . . . .	6 „ 50 „	1 „ . . . . .	1 „ 50 „

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე აღრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანეთი; ხოლო თუ ტფილისის გარეშე ხელის მომწერელი ერთის ადგილიდგან მეორეში გადავიდა, უნდა წარმოგზავნოს ორი აბაზი.

## ფასა განცხადებისა:

მეოთხე გვერდზედ თბით ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზედ—16 კაპ.

გაზეთის დაბანება შეიძლება შექმდვის ადრესით:

ტფილისი, „ივერიის“ რედაქციას

ნიკოლოზის ქუჩა, 21

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარ. სასახლის ქუჩ., ბანკის ქარავასლა.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЬ.** Редакция „ИВЕРΙΑ.“

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.

## ОТКРЫТА ПОДПИСКА

на 1896 годъ

НА НОВУЮ ПОЛИТИЧЕСК. ОБЩЕСТВЕН. И ЛИТЕРАТУР. ГАЗЕТУ

# „КАЗБЕКЪ“.

Газета будетъ выходить во Владикавказѣ три раза въ недѣлю по воскресеньямъ, вторникамъ и четвергамъ

ПО СЛѢДУЮЩЕЙ ПРОГРАММѢ:

- 1) Дѣйствія и распоряженія Правительства.
- 2) Статьи по экономическимъ, этнографическимъ, бытовымъ и другимъ вопросамъ, касающимся Кавказа вообще и Терской области по преимуществу.
- 3) Хроника: мѣстныхъ происшествія, извѣстія внутреннія и внѣшнія, съ указаніемъ ихъ источниковъ.
- 4) Корреспонденціи изъ разныхъ мѣстъ и телеграммы.
- 5) Судебная хроника безъ осужденія рѣшеній.
- 6) Фельетонъ, новости изъ области наукъ и искусствъ, повѣсти, рассказы, очерки оригинальные и переводные, статьи популярно-научнаго содержания.
- 7) Смѣсь, справочныя свѣдѣнія и объявленія.

подписная цѣна: съ доставкою во Владикавказѣ на годъ 6 руб., на 6 м. 3 р. 50 к., на 3 м. 2 р. и на 1 м. 75 к., съ пересылкою по почтѣ на годъ 7 р., на 6 м. 4 р., на 3 м. 2 р. 50 к., на 1 м. 1 р.; отдѣльный номеръ 5 коп.

*Подписка и объявленія принимаются у издателя*

**СЕРГЕЯ ИОСИФОВИЧА КАЗАРОВА.**

*Издатель С. Казаровъ.*

*Редакторъ А. Колубейко.*

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1896 ГОДЪ НА

ЕЖЕМЯСЛЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНЫЙ-НАУЧНЫЙ И ПОЛИТИЧЕСКОЙ ЖУРНАЛЬ

# „СЪВЕРНЫЙ ВЪСТНИКЪ“.

(Годъ изданія XI).

Въ 1895 г. въ „Съв. Вѣстн.“ было между проч., напечатано: ХОЗЯИНЪ И РАБОТНИКЪ. Пов. Гр. Л. Н. Толстого.—ИЗБИРАТЕЛЬНАЯ РЕФОРМА ВЪ БЕЛГІИ. В. Спасовича.—СЪ УБИЩЕЙ. Пов. П. Боборыкина.—ПЕРЕПИСКА МОПАССАНА СЪ БАШКИРЦЕВОЙ.—ОТВЕРЖЕННЫЙ. Ром. Д. Мережковского.—НИКОЛАЙ НИКОЛАЕВИЧЪ ГЕ, биограф. очеркъ. В. Стасова.—ЖЕНСКАЯ ЖИЗНЬ. Пов. М. Крестовской.—О ЗНАЧЕНІИ ВОЙНЫ ДЛЯ СОВРЕМЕННАГО ОБЩЕСТВА. Проф. Л. Камаровскаго.—ХОЛЕРА. разск. Кота-Мурлыки.—О СИНДИКАТАХЪ. Проф. А. Исаева.—ЗАКОННЫЯ ЖЕНЫ. Пов. О. Шапиръ.—НѢТЪ БѢДНОСТИ ВЪ РОССИИ. П. Кузнецова.—НЕ ПО ПРАВДѢ. Пов. В. Дмитріевой.—СУДЪ ПРИСЯЖНЫХЪ; ОБЪЕДИНЕНІЕ СУДА И СУДЕБНЫЙ ЯЗЫКЪ. М. Стивала.—ТУРГЕНЕВЪ И ТОЛСТОЙ. Проф. Д. Овсяннико-Куликовского.—СТАРЫЙ И НОВЫЙ ЛАМАРКИЗМЪ. Проф. Н. Холодковского.—ИСПОВѢДЬ. Анна Безантъ.—ОБЫВАТЕЛЬ, РУБЛЬ И БЛАЖЕНСТВО. П. Кузнецова.—НА РОДИНѢ ХРИСТА. В. Корженевскаго.—РАЗЛУКА. Разск. Л. Гуревичъ.—СУДЬБА ИСЛАМА. Проф. А. Трачевскаго.—РЪШИНЪ И ГЕ. А. Волынскаго. МНССЪ МАЙ. Разск. З. Гиппиусъ.—ПО ПОВОДУ ВЫСТАВКИ ОБЪ ИСКУСТВѢ. М. Антокольскаго.—СЕЛЬСКО-ХОЗЯЙСТВЕННЫЙ СОВѢТЪ. М. Стивала.—ГЕРГАРДЪ ГАУПТМАНЪ. Проф. Л. Шепелевича.—ЗАМѢТКИ НЕРВНАГО ЧЕЛОВѢКА. Л. Полонскаго. НАШИ ЗЕМЕЛЬНЫЯ ДѢЛА П. Кузнецова.—ЭВОЛЮЦІОННАЯ ИДЕЯ ВЪ ЕЯ ЕСТЕСТВЕННО-ИСТОРИЧЕСКОМЪ РАЗВИТІИ. Проф. В. Шимковича.—ПЕРЕСЕЛЕНЧЕСКОЕ ДѢЛО СЪ 80-хъ ГОДОВЪ. Проф. А. Исаева.—ТЯЖЕЛЫЕ СНЫ. Ром. Ѳ. Сологуба.—ЗЕМСКІЯ ДѢЛА. М. Петрова. НАЯДА. Разск. А. Чернаго.—ПОЛОЖЕНІЕ ЖЕНЩИНЪ ВЪ СОЕДИНЕННЫХЪ ШТАТАХЪ.—ПАМЯТИ ЯДРИНЦЕВА. Проф. А. Исаева.—ЗАГРАНИЦЕЙ. Воспоминанія А. Верещагина.—ПО ПОВОДУ МОДНЫХЪ РАЗГОВОРОВЪ. П. Кузнецова.—ОСНОВНЫЯ НАЧАЛА СУДЕБНЫХЪ УСТАВОВЪ. В. Устинова. QUO VADIS. Истор. ром. Генриха Сенкевича.—АНГЛІЙСКОЕ ВЛІЯНІЕ ВЪ РОССИИ П. Боборыкина.—РАБОЧІЕ НА СИБИРСКО ЖЕЛѢЗНОЙ ДОРОГѢ. Н. Арсѣева.—РАСКОЛЬ ВЪ РАДИКАЛЬНОЙ ЖУРНАЛИСТКѢ ШЕСТИДЕСЯТЫХЪ ГОДОВЪ И Д. И. ПИСАРЕВЪ. А. Волынскаго.—РЕЛИГІОЗНО-ПОЛИТИЧЕСКІЕ ИДЕАЛЫ ПОЛЬСКАГО ОБЩЕСТВА. М. Урива.—ПЕРЕСМОТРЪ ГОРОДОВОГО ПОЛО-



ЖЕНІЯ. П. Кузнецова.—ВОПРОСЪ ОБЪ ЭЛЬЗАСЪ И ЛОТАРИНГИИ. Проф. Л. Камаровскаго.—КИСТЯКОВСКІЙ КАКЪ КРИМИНАЛИСТЪ. Проф. И. Фойницкаго.—ПРОЗРѢЛА. Пов. П. Боборыкина.—РОМАНИСТЪ-МОРАЛИСТЪ. Проф. Л. Шепелевича.—ЗАПИСКИ А. О. СМІРНОВОЙ. (Смерть Пушкина.—Лермонтовъ.—Листъ.—Глинка.—Живописецъ Ивановъ и пр.).—СТИХИ: Н. Минскаго, Е. Фофанова, Д. Мерзжовскаго, О. Чюминой и др.

## ЕЖЕМѢСЯЧНЫЕ ОТДѢЛЫ ВЪ ЖУРНАЛѢ:

1) ОБЛАСТНОЙ И ЗЕМСКІЙ ОТДѢЛЪ (статьи и замѣтки разныхъ лицъ по вопросамъ областной, земской и городской жизни). 2) ПРОВИНЦИАЛЬНАЯ ПЕЧАТЬ. П. Прозорова. 3) ВНУТРЕННЕЕ ОБОЗРѢНІЕ. 4) КОРРЕСПОНДЕНЦИИ ИЗЪ ЗАГРАНИЦЫ. 5) ТЕАТРЪ 6) ИЗЪ ЖИЗНИ И ЛИТЕРАТУРЫ 7) КРИТИКА И БИБЛИОГРАФІЯ 8) НА ЗАПАДѢ. \*\*\* 9) ЛИТЕРАТУРНЫЕ ЗАМѢТКИ. А. Волынскаго.

ЦѢНА:	Годъ: Полгода Четверть	ЦѢНА: Годъ: полгода: Четверть:
Безъ достав.	12 р.—к. 6 р.—к. 3 р.—к.	Съ пересыл. 13 р. 50 к. 7 р.—к. 3 р. 50 к.
Съ достав.	12 „ 50 „ 6 „ 50 „ 3 „ 50 „	За граи. 15 „ — „ 8 „ — „ 4 „ — „

Въ главн конторѣ допускается разсрочка безъ повышенія годовой цѣны.  
Для учащихся и учащихся льготныя условія.

Новые годовые подписчики „Сѣвернаго Вѣстника“ на 1896 г. получать вмѣстѣ съ № 1 журнала за 1896 г. первый томъ ром. Генрика Сенкевича „*Quo vadis*“ (все напечатанное въ журналѣ въ №№ 5—12 за 1895 г.) въ видѣ бесплатнаго приложенія.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ въ Главн. Конторѣ. *Спб. Троицкая. 9;* въ Московскомъ Отдѣленіи при книжн. маг. Е. Тихомирова, *Бузневскій Мостъ;* въ *Спб.* въ кн. маг. Фену, въ *Москвѣ*, въ конт. Н. Печковской, во всѣхъ кн. маг. Корбасникова, „Новаго Времени“ и др.

Редакторъ-Издательница **Л. Я. Гуревичъ.**

შაბს, მას ჟამსა ოდეს მოგვიდევ კარსა და თქუენისავ ბიძაშვილის ყაფარბეგის მამულს დაგუეაჯენით, ჩუენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ **ახალშენს** ალავერდაშვილი, **თაკუს** ამირაშვილი და **დგაღთას** თეგაძე მათის მამულითა და დედულითა, დღეს რისაც მქონებელნი იყუნენ ყოვლის მათის სამართლიანის საქმით თქუენთჳს სამკვდროდ და სამამულედ გზბოძებია. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩუენსა ერთგულად სამსახურსა შიგან, აწე მოგახსენებთ კარისა ჩუენისა ვეკილ ვეზირნო და სხუანო მოსაქმენო, თქუენცა ასრე გაუთა(ვ)ეთ, რარიგადცა ამა ჩუენგან ნაწყალობევს ფარვანაშია ეწეროს და ნურაოდეს ნუ შეუშლით თჳნიერ თანადგომისა და შეწვევისაგან კიდე. დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე ქჳს **ტაზ**, მაისის **კზ**, კელითა კარისა ჩუენისა მდივან-მწიგნობარისა ოქრუაშვილის შერმაზანისათა. **სვიმონ** (ხელჩართულათ). მეორე გვერდზე სპარსული წარწერა არის.

**115.** ფიცის პირი, 31X14 სანტიმეტრი, დაწერილია ქალაღღზედ ლამაზის რგვალის მხედრულის ხელით. ნიშნებით იხმარება თითოეულის სიტყვის შემდეგ ორ-ორი წერტილი. თავში წიგნი დაზიანებულია, თარიღი არა აქვს, მაგრამ სიგელი უნდა ეკუთვნოდეს ჩვენის აზრით მეფეს სვიმონ მეორეს (1619—1629), რომლის ხელჩართული მოწერა ფიცის პირის ბოლოს ეთანხმება სხვა ამგვარ მის ხელის მოწერას. შესავალი განგებ. გამოვტოვეთ.

**1619—1629...** ესე ფიცი და პირი გიბოძეთ ჩუენ ლთივ გვრგვონანმან მეფეთ-მეფემან, პატრონმა სვიმონ, თქუენ ბართაშვილს გოშტასაბს, თქუენთა შვილთა ყაფარბეგს, თამაზს და იოვანეს ასრე და ამა პირსა ზედა, რომე ვიყუნეთ დღეს და დღეს უკანა თქუენთვის კარგნი და მოპატივენი მართლით სამართლიანითა, რისცა დღეს თქუენის კერძის მამულის მაქონებელნი იყუნეთ, იმისაგან არა დაგამკროთ, და არცა საძალოდ და საავკაცოდ უსამართლოდ არავის დაგანებოთ, და ვინცა თქუენი თავი შემოგვაბეზლოს, გაუკითხავად არა შეგი-

ბეზლოთ, და არცა საჯოს კარი დაგიჭიროთ, და თუ თქვენ ესე <sup>1)</sup> პირი და ფიცი გავვითავოთ, ჩვენცა ესე ასრე გავითავოთ. ამისდ გათავებისად თავდებათ ჭითი და ყოელნი მისნი წმიდანი მოგვიცემია, კორციელნი და უკორცონი, ვისცა ჩუენსა ყმასა სამართლითა მიეწიო, მართლითა სამართლითა გავაგონებინოთ, არცა უსამართლოდ დაგამციროთ. **სვიმონ** (ხელჩართულად).

**116.** სიგელი, 36,5 × 18,5 სანტიმეტრი, დაწერილია ქალაღღზედ რგვალი მხედრულის ხელით, ნიშნებათ იხმარება ზოგჯერ სამსამი წერტილი და ზოგჯერ ორ-ორი.

**1636, მარაამობასთვის 25.** ქ. ნებითა და შეწყევნითა ღვთისათა ჩუენ მეფეთ მეფემან და კელმწიფემან, პატრონმან როსტომ, თანამცხედარმა ჩუენმან დედოფალმა პატრონმან მარიამ ესე უკუნისამდი ჟამთა და ხანთა გასათავებელი სამკუიდრო და საბოლოოვო მტკიცე შეუშლელი და შეუცვალელებლი წიგნი ვიბოძეთ თქუენ ჩუენთა ერთგულთა და მრავალფერად ერთგულად თავდადებით ნამსახურთა ყმათა ბარათა შეიღოს გოშტაშაბიშვილს პაპუნასა, შვილთა და შვილიშვილთა სახლისა მამავალთა თქუენისათა, მას ჟამსა ოდეს მამა თქუენი სამცხეს დილისათვის გავგზავნეთ, წავიდა და ყარამაჰმადაშვილი და ბეერი კაცი სხუა დაიჭირა, თვთან ჩუენს სამსახურზედ შეაკუდა, ჩუენც შეგიწყალეთ და ვიბოძეთ, რისაც მამულის მქონებელი მამაშენი ყოფილიყო მთასა და ანუ ბარსა, უნაკლოლოდ ყოვლის კაცისაგან მოუდევრად და შემოუსარჩლელოდ თქუენთვის გვბოძებია, არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არა შემდგომად სხუათა მეფეთა და მეპატრონეთაგან, აწე უზედაესთა მოგახსენებთ და უქუედაესთა გიბრძანებთ კარისა ჩუენისა ვეკილ ვეზირნო, მდივანნო და სხუანო მოსაქმენო, თქუენცა ასრე გაუთავეთ, რა რიგადაც ამა ჩუენგან ნაწყალობევს სიგელ-

<sup>1)</sup> ეს სიტყვა ვიღასაც წაუშლია და მაგიერ დაუწერია: ისი.

შიგან ეწეროს, ნუროდეს, ნუ შეუშლით თვინიერ თანადგომისა და შეწვევისაგან კიდე. დაიწერა ბძანება და ნიშანი ესე ქჷსა ტკდ, მარიობისთუესა კე, კელითა კარისა ჩუენის სალაროს მუშრების ფირალისათა წიგნი და სიგელი ესე. **რასტომ** (ხელჩართულათ). **მარამ** (ხელჩართულათ). მეორე გვერდზე სპარსული წარწერა არის სპარსულისავე ბეჭედით.

**117.** სიგელი, 29 X 16 სანტიმეტრი, დაწერილია ქალღმრთელ ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებით იხმარება ორ-ორი წერტილი თითოეულის სიტყვის შემდეგ.

**1654...** ქ. ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩუენ მეფეთ-მეფემან კელმწიფემან პატრონმა რასტომ შენ ბარათაშვილის პაპუნასა ყმას აკურჯელს ამბალაშვილს ზურაბასა, ამბალასა, გულასა და შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე, მას ეამსა ოდეს ბარათაშვილს საჩინოს თურქისტანიშვილი ბაგრატი ცუღუბრალოდ დაუბაღათავს და ბედნიერს ყენსაც ენახა, და აკურის თქუენისავე მეზობლის საჩინოსა და თაყინთ საკერძოდამე გარეკელური მამული თურქისტანიშვილის ბაგრატიისათვს ებოძა, და მასუკან ბაგრატიისშვილებს თქუენთვს მოეყიდა ერთი ვენაკი და შეიღის ღლის მიწა და სახლკარი, გარეშემო საბოსტნე და საბძელი, კალო და ნიგუზნარი, მარანი. რაც მოგყილოდეს ყუელთასი მოკითხული ვქენით და რაც ნასყიდობის წიგნში გიწერია, ჩუენც ისრევ გვბოძებია, ამისთვს რომე ნასყიდობა არ მოიშლებოდა, და რაც თქუენ ფასი თურქისტანიშვილებისათვს მიგეცეს, იმათ გიორგის უნდა მისცენ და თქუენთან კელი აღარავისა ჰქონდეს, და ასე დაგვმკვდრებია. აწე გიბძანებთ კარისა ჩუენისა ექელი-ვეზირნო და სხუნანო მოსაქმენო, ნუროდეს ნუ მოუშლით და შეცილებით თვნიერ შეწვევისა და თანადგომისაგან კიდე. დაიწერა ბძანება და ნიშანი ესე ქჷს ტკმ, კელითა კარისა ჩუენისა მღვიან-მწიგნობრის

თუმანიშვილის ბირთველისითა. **რასტამ** (ხელჩართულათ). მეორე გვერდზედ ბეჭედი არის სპარსული წარწერით.

**118.** სიგელი, 48×17 სანტიმეტრი, დაწერილია ტყავზედ რგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება სამ-სამი წერტილი თითოეულის სიტყვის შემდეგ.

**1657.** ქ. ესე წიგნი მოგე მე ხიზანამა შენ ბიძაჩემს მედისა და შენს შვილს გიოსა და ქიტასა და ასრე რომე ერთი ეშმაკის ცთუნებითა შენი შვილი მამულა შემომაკუდა, და მერმე დამიჭირეთ, და სამდივნოთ საქმე გამიკდა, და სიკუდილს მიპირობდეს, და მერმე ნეფესთან რა რომ<sup>1)</sup> სასიკუდროოდ წამაყენეს, ბატონი ქათალიკოზი და ბატონი თბილელი, და სახლთ უხუცესი ყაია, და გოსტაშაბისშვილი პაპუნა, და სულად საქართველოს ეფისკოპოზნი, და კელმწიფის კარის მდივანი, შუა შემოვიდნ და აღარ მომკლეს<sup>2)</sup>, და ჩემი კერძი მამული და დედული მკუდრისთვის სა(ა)ლაზოდ დადუეს. წინ წინ გავისამართლენითა და ამგუარად გავვირიგეს, და მერმე გოსტაშაბიშვილი პაპუნა შუა ჩამოგვიგდეს, ბატონმა<sup>3)</sup> და მისმა ჯარმა და ბატონმა თბილელმან და ქათალიკოზმან<sup>4)</sup> გოსტაშაბიშვილს უბძანეს: „თუ შენ გ(ა)ურიგე, დამხლომი შენ ხარ“, და მერმე დავსხედით და გავიპრჭუნით და სამართალი ვქენით<sup>5)</sup>: ერთი სისხლი და ნახევარი კიდევ დამედო, ამიტომ რომ სახლს ცეცხლი შეუკიდეს<sup>6)</sup> ბიძის ჩემის ჯავრითა<sup>7)</sup>, შიგ მინდოდა დამეწო მედია და მისი ცოლი და შვილი. არიან ამისნი ბრჭენი და მოსამართლენი და გარდამწყუეტენი: საბაშვილი აღდგომელი, მათეშვილი ბერუა, გოსტაშაბისშვილის ყმა<sup>8)</sup> იპარინდო, კახიშვილი მათე და სრულიად

1) დედანში სწერია: რაომ.

2) დედანში სწერია: მომკალეს.

3) დედანში სწერია: ბატონამა.

4) დედანში სწერია: ქათალიკოზიმან.

5) დედანში სწერია: ვაქენით.

6) დედანში სწერია: შეუკიდეს.

7) დედანში სწერია: ჯავართა.

8) დედანში სწერია: ყამ.

ოთარი დაწერა წიგნში და უმცროსი შვილი გერმანოზი არ დაეწერა; ახლა ოსმალოს დროს რომ საქმე გასჭირებოდა, ოთარი სახანბაგოში გადავარდნილიყო და გერმანოზ არ დარჩომილიყო. საქმე რომ გასჭირებოდა, ეს ენაგეთს სამი გლეხი ყორღანას-შვილის ზალიასთვის და მანუჩარასთვის მიეყიდნა, ნასყიდობის წიგნი მიეცათ ამაში. ოთარი ისევ თავის ქვეყანაში მოვიდა, და ყორღანასვილმა და ოთარმა ჩვენს სამართალში ილაპარაკეს, ამათი სამართალი გავშინჯეთ. ყორღანასშვილს გერმანოზის ნასყიდობის წიგნი ქონდა, მერმე არც ოთარი ეწერა, და არც ამ მამულის გასყიდვაში ოთარი ქართლში ყოფილიყო, ოთარმა ბატონის ნაბოძები წიგნი მოგ[ვ]ართვა, იმაში გერმანოზ არ ეწერა; ამათი სამართალი გავშინჯეთ: რადგან ოთარის ჯალაბის ზითვის საქონელი იყო ნაქრთამი და არც წიგნში შთაეწერა, ეს ენაგეთს სამი გლეხი ისევ სამართალით ოთარს დარჩა და მასვე უბოძეთ. ოთარმა ყორღანასშვილებს რაც [არც?] გერმანოზისათვის ფასი მიუცია, ის მისცეს; ან არა და საერთოს გაუყოფარის მამულიდან გერმანოზის კერძი მამული მისცეს და იმითი შეიჯერიოს ამ საქმეზე; სხვა ერთმანერთან ხელი აღარა აქვთ. დაიწერა კათათვის C, ქქს უღზ.

მეფე თე- იმურაზ
--------------------

იოანე მდი- ვანბეგი
-----------------------

**110.** წყალობის წიგნი, 39,5×14 სანტიმეტრი, დაწერილია ქალაქლზედ რგვალი მხედრულის ხელით, ნიშნებათ იხმარება სამსამი წერტილი თითოეულის სიტყვის შემდეგ. შესავალი განგებ გამოვტოვეთ.

**1622...** ესე უთუო და უთუმცა ქამთა გასათავებელი წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ კერკეულიძემ ბატონმა ალათაგი და ჩემა ძმამ ბატონმა ბეჟან, და ჩემა შვლმა პატამა და ნასყიდამა, და შვლთა და მამავალთა სახლის ჩუენის ყოველთავე, შენ ქუბასშვილს ბერუას და შენს ძმისწულს მედიას და ხიზანს, და შვლთა და მამავალთა სახლის თქუენისათა ყოველთავე, ასრე და ამა პირსა ზედა, რომე

ღაუბნიდამა იმერლები გამამეპარა და, ბერუავ, შენ დაგეჭირა, და იმისად ჯილდოდ მოგეცით საღორუღჩიგა შარის ქუეშეთა აღამა-ჩაღმა წარატყმით გამრეკელისშვილის მიწამდინ, ოთხის დღის მიწა, ღელეს იქათა გარდიგარდმო მიწა და ღელეს აქათ შარის პირი მოგართვთ ფეშქაშად. ამა მიწებისათჳნ ერთი კარგი ძროხა და ერთი კრავიანი ცხვარი, და კავათელა შუა იყო და ორი ცხუარი კავთელას. არის ამისი მოწამე და შუადამხდომი კაცთაგან საღორელი კავათელა და კიკელი მამასახლის ინახა, და ვარამსშული ლომიტა და დათუა, და კარაპეტასშული შერგილა, და ერთობილი საღორელი და კიკელნი. მე ყარდანასშვილს ბატას დამიწერია და მოწამეცა ვარა, ქქს ტა. □ †††.

**111.** სიგელი, 34×19,5 სანტიმეტრი, დაწერილია ქაღალდზე რგვალის მხედრულის ხელით. ნიშნებათ ყოველი სიტყვის შემდეგ იმარტება სამ-სამი წერტილი. თავი აკლია და დანარჩენი გახეულია სამ ნაწილად. მეორე გვერდზე სპარსული წარწერაა. სიგელი საზოგადოთ დაზიანებულია.

**1626, მანამობისთვის 16.** ესე წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და გიბოძეთ თქუენ ჩუენსა ერდგულსა [და ერდგულად] ნამსახურსა ყმასა ბარათაშვილს ამილდაბარს, შვილსა შენსა ყაფარ-ბეგს, და შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოკელთავე, მასა ეამს როდეს მოგვდევით და შენის სამკვიდროს აგუჯანეთის წყალობასა დაგვაჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და მოკითხულ ვქენით, და პირველადაც თქუენი მამა-პაპათა ყოფილიყო, და ახლაც სიგელი ვაგიახლეთ, გიბოძეთ თქუენივ ნაქონ აგუდანეთი მისით სამართლიანის სამძღვრითა, მითითა და ბარით, წყალით და წისქვილით, ველითა და ვენახით, სახნავითა და სათიბით. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩუენს ერდგულსა სამსახურსა შიგა. გიბრძანებთ კარისა ჩუენისა ვაქილა ვაზირნო და სხუანო მოსაქმენო, როგორადაც ამა ჩუენსა ნაწყალობევ-



სა ფარვანში ეწეროს, თქუენცა ასრე გაუთავეთ თვნიერ თა ნადგომისა და შეწევნისაგან კიდე. დაიწერა ნიშანი და ბრძანება კელითა კარისა ჩუენისა მუშრიპის ყორღანაშვილის პატ[ა]-სათა, ქკს ტად, მარიამობის თუესა ივ. სვიმონ (ხელჩართულად.)

**112.** წყალობის წიგნი, 31X17,5 სანტიმეტრი, დაწერილია ქალაღღზედ რგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებით იხმარება სამსამი წერტილი თითოეულის სიტყვის შემდეგ.

**1627, თებერვლის 10. ქ.** ნებითა და შეწევნითა ღთისათა ჩუენ მეფემან პატრონმან სვმონ ესე წყალობისა წიგნი გიბოძეთ თქუენ ბარათაშვილს გოსტაშაბს, შენსა ძმასა და შვილთა და მამავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე, მას ჟაშსა ოდეს მოგვდევით კარსა და თქუენისავე სამკვდროს მამულის წყალობასა დაგუეაჯენით, ჩუენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შვიგწყალეთ და გიბოძეთ თქუენი სამკვდრო მამული ყოველგან მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენაკითა, საკნავითა და უკნავითა, ტყითა და სანადიროთა, ქალითა და სათიბითა, საძებრითა და უძებრითა, შენითა და ოკრითა, და ყოველის მისის სამართლიანის საქმითა და სამძღურითა თქვენთვის სამკვდროდ და სამამულედ გვბოძებია ყოველის კაცისაგან მოუდევრად და შემოუსარჩლელად. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შიგან. აწე უხეშთესთა მოგახსენებთ და უქუედესთა გიბრძანებთ კარისა ჩუენისა ვეკილ ვაზირნო და სხუანო მოსაქმენო, ვინგინდავინ იყუნეთ და ანუ ვინგინდავინ იქნებოდეთ, თქუენცა ასრე გაუთავ(ვე)ეთ, რარიგადცა ამა ჩუენგან ნაწყალობევის ფარვანაშია ეწეროს და ნურაოდეს ნუ შეუშლით და შეეცილებით თანადგომისა და შეწევნისაგან კიდე. დაიწერა ბძანება და ნიშანი ესე ქკსა ტაჟ, თებერვალს 10, კელითა კარისა ჩუენისა მდივან-მწიგნობრისა ოქრუასშვილის შერმაზანისათა. სვიმონ (ხელჩართულად.)

**113.** წყალობის წიგნი, 37×19,5 სანტიმეტრი, დაწერილია ქალაღზედ რგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებით იხმარება სამსამი წერტილი.

**1627, თაბათვის 28.** ქ. ნებიტა ლთისათა ჩუენ მეფემან პატრონმა სვმონ ესე წყალობისა წიგნი გიბოძეთ თქუენ ჩუენსა ერთგულსა ყმასა პატრონს ფალაიან-ხოსროს, შენს ძმისწულს ზალს<sup>1)</sup>, მას უამსა ოდეს მოგვიდევით კარსა და აზნაურისშვილის წყალობასა დაგვეაჯენით, ჩუენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, მოკითხული ვქენით და თქუენივე სამკვდრო ყოფილიყო, ჩუენცა შეგიწყალეთ და გიბოძეთ არეშიანთ გარსუაშვილი შერმაზანა და მისი ძმა გრიგოლა მათის მამულითა, თქუენთვის და თქუენთა შეილთათვის სამკვდროდ და სამამულედ გვბოძებია. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შიგან, აწე მოგახსენებთ კარისა ჩუენისა ვეკილ ვეზირნო და სხუნო მოსაქმენო, ვინ გინდა ვინ იყენეთ და ანუ ვინ გინდა ვინ იქნებოდეთ, თქუენცა ასრე გაუთა(ვ)ეთ, რა რიგადცა ამა ჩუენგან ნაწყალობევს ფარვანაშია ეწეროს, და ნურაოდეს ნუ შეუშლით და შეეცილებით თანადგომისა და შეწევისაგან კიდე. დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე ქნუსა ტაე, თიბათვეს კწ, კელითა კარისა ჩუენისა მდივან-მწიგნობრისა ოქრუასშვილის შერმაზანისათა, **სვამიან** (ხელჩართულად).

მეორე გვერდზედ სპარსული წარწერაა და განის აშიაზე სწერია: ქ: ეს ბრძანება ასრე უნდა გათავდეს. აზის ბეჭედი სპარსულის წარწერით.

**114.** წყალობის წიგნი, 26×22 სანტიმეტრი, დაწერილია ქალაღზედ რგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებით იხმარება ორ-ორი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

**1629, მაისის 27.** ქ. ჩუენ მეფემან პატრონმან სვმონ ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ თქუენ იოვანე შვილს გოშთა-

<sup>1)</sup> ეს სამი სიტყვა სტრიქონის ზემოთ სწერია.

გიშალოსთ, მასამც რისხავს თავად ჭთი და ყოველნი მისნი წამინდანი (sic), აჲინ. ++

**124.** ნასყიდობის წიგნი, 21×7 სანტიმეტრი, დაწერილია ქალაღზედ ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება ორ-ორი წერტილი.

**1690, ივნისის 1.** ქ. ნებითა და შეწევნითა მლთისათ ესე ნასყიდობის წიგნი მოგეც მე მოლოდინასშვილმან ქიტისაშვილმან ესტატემა და ჩემან ძმამან ბასილომნი და შვილმან ჩვენმან ბერუამან და მამავალთა სახლისა ჩვენისათა, მოგეცით ესე წიგნი თქვენ დაკარგულასშვილს მახარასა, შვილებს გიორგის და საბას მლდელსა და შოშიტასა, დარჩიასა, კირკიტას ნიგოზი, რაც ჩვენი წილი იყო. ავიღეთ ფასი სრული დაუკლებელი, რითაც <sup>1)</sup> ჩვენი გული შესჯერდებოდა, არის ამის მოწამე თავად ღმერთი და კაცთაგან პატა დათუნასშვილი, იმის განაყოფი (sic) შალვაშვილი ამირანა, მატიაშვილი შავერდა, ჯვრისშვილი ბერუა. დაიწარა ესე წიგნი ივნისსა ერთს, ქრკნსა ტოჭ (პ?) ++

**125.** სითარხნის წიგნი, 44×21,4 სანტიმეტრი, დაწერილია ქალაღზე რგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება ორ-ორი წერტილი, შესავალი და ბოლოს წყველა ჩვენ განვებ გამოვტოვეთ.

**1691, მაისის 25...** ესე მტკიცე და შეუცვალეებელი სითარხნის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ პატასშვილებმან პაპუამ, გუგუნამ, იასემ და დომეტომ, შვილთა და შვილიშვილთა ჩვენთა, შენ ჩვენს ერთგულსა და ერთგულობასა შიგან თავდადებითა <sup>2)</sup> ნამსახურს შიგან ყმას მედიასშვილს ქიტისა, შვილსა შენსა შიოსა და მედიას, შვილისშვი-

<sup>1)</sup> დედანში სწერია: რისაც.

<sup>2)</sup> დედანში სწერია: თავა: დებაბითა.

ლსა შენსა იასეს და ბასილს, და ყოელთა მომავალთა სახლისა შენისათა, ასრე რომე მოგვიდევ კარს და სითარხნის წყალობა გეთხოვეთ, ვისმინეთ აჯა და მოხსენება შენი, გათარხნეთ და გათავისუფლეთ, ასრე რომე მამის ჩვენის მოაღაპეთ დაგაყენეთ და დაგდევით სააღაპოთ ორი მღრდელ<sup>1)</sup>, ორი კოკა ღვინო, ორი კოდი პური, ორი ცხვარი ყოვლის<sup>2)</sup> წლისათვის დახარჯო, ამას გარეთ ჩვენი სათხოვარი არა ნიეთისაგან არა გეთხოვებოდეს რა ქალაქს შეშის მეტი. არის ამისი მოწამე თავად ღმერთი, კაცთაგან ოქროპირისშვილი პაპუნა, მერაბასშვილი ბერუკა, მარაბდელი ბიძინა, შათირი ბეჟუა, ყორღანასშვილი კახაბერი, ფარეჯანასშვილი ანანა. მე<sup>□</sup> ახალდაბელს რომანოზს მღრდელს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა ესე წიგნი მამის ოცდახუთს გასულს, ქქს ტფთ. ვინცა და რამანც ჩვენის სახლის კაცმან ეს წიგნი მოშალოს, ანუ დიდმან, ანუ მცირემან, მასამც რისხავს თავად ღმერთი და ყოველნი მისნი წმინდანი...

**126.** ნასყიდობის წიგნი, 18×17 სანტიმეტრი, დაწერილია ქალაღზე ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება ორ-ორი წერტილი.

**1692, მასის. 7. ქ.** ნუბითა და შეწვევითა მლთისათა ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი ნასყიდობის წიგნი და პირი მოგეცით ჩვენ უსუბეგის შვილმა ავთანდილ და ჩემა ძმამ პატამა თქვენ გერმანოზისშვილს ბერს წინამძღვარს დომენტის ასე და ამა პირსა ზედა, რომე დაგვეკვირა და მოგყიდეთ ერთი არეკალი ტბას ჩვენი სამკვდრო ვენაკი ორლობის პირსა მამის ვენაკამდი და ორლობამდისინ თავის შესავალგასავლითა და სამძღრითა, ყოვლის კაცისაგან მოუდევარი და უცილებელი. ავიდეთ ფასი სრული, რითაც ჩვენი გული შესჯერდებოდა, რომ აღარ დარჩომილა რა შენზედ ერთის იოტის

<sup>1)</sup> ჩვენის აზრით უნდა იყოს: დაგიდევით სააღაპოდ ორს მღრდელს.

<sup>2)</sup> დედანში სწერია: ყოვალის.

ფასი, შენტან ახლა, დღეს და დღეს უკან შენტან არას კაცს კელი არა ქონდეს, ვინცა წამოგედოს და შემოგეცილოს, პირისა და პასუხის გამცემი ჩვენ ვიყოთ. არიან ამისი მოწამენი და დამხდომნი თავად ღმერთი და მერმე ყოველნი მისნი წმინდანნი. კაცთაგან ტბელნი ჯრესშვილი ჯოია, მეძმასშვილი გოდერძა, მღთისის შვილი იოსებ, ხუცისშვილი ტატია, სულერთპირათ ტბელნი. დაიწერა წიგნი ესე მათ შვილსა, ქქს ტბ.

შემდეგ სწორია:

ქ. ესე წიგნი მოგეცით ჩვენ გერმანოზისშვილმა დომენტიმ თქვენ გოსტაშაბისშვილს პაპუნასა, ასე რომე უსუფაშვილისაგან მე ერთი არეკალი ვენაკი ვიყიდე, ზოგი ჩენნი სამკვიდრო იყო, და ჩვენ თქვენ მოგეცით ნასყიდობითა და წიგნიცა და ვენაკიცა, თქვენთან სხვას კელი არა აქვს, ჩენნი ნასყიდი იყო და თქვენ მოგყიდეთ.

**127.** წყალობის წიგნი, 37X18 სანტიმეტრი, დაწერილია ქალაღზედ ნუსხა-მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება ზოგჯერ ორ-ორი წერტილი და ზოგჯერ თითო. თარიღი არა აქვს, მაგრამ პაპუნა გოსტაშაბისშვილი თავის შვილებითურთ, რომელნიც აქ იხსენიებიან, კარგად ცნობილი პირია სხვა მრავალი სიგელ-გუჯრებიდან. პაპუნა პირველად იხსენიება სიგელში 1636 წელს და უკანასკნელად 1703 წელს. ამისთვის ეს ჩენნი წყალობის წიგნიც უნდა ეკთვნოდეს 1836—1703 წლებს.

**1636—1703.** ქ. ესე უკუნისამდე ხანთა და ჟამთა გასათავებელი, მტკიცე და უცვალებელი, სამკვიდრო და საბოლოო წყალობის წიგნი და სიგელი გიბოძეთ ჩვენ გოსტაშაბისშვილმან პაპუნამან, შვილმან ჩემან გოსტაშაბ, ნიკოლოზ და თამაზ, ამილლაბარ, ყაფარ-ბეგ, შვილთა და მომავალთა სახლისა ჩვენისათა მას ჟამს, ოდეს მოგვადგით კარსა შენ ჩენნი მეძველდრე ყმა მოლოდინაშვილი მღრდელი საბა, ძმა შენი გოგილოა, შოშიტა, დარჩია და გოდერძი, და შენის განაყოფის ამოვარდნილის იმარანდოს მამული გვთხოვეთ, და ჩვენ ფასი შე-

მოგვიკვეთეთ, მოვიდა საბა მღრღელი და ფასში კარგი წიგნები დაგვიწერა<sup>1)</sup>, და რაც დარჩა კიდევ ფასი შემოგვიბრუნეთ, რასაც ჩვენი გული შესჯერდებოდა, და გიბოძეთ იმარანდოს მეოთხედი მამული მისის სამართლიანის სამძღრითა, მთითი, ბარითა, შესავლითა და გასავლითა<sup>2)</sup>, ყოვლის მისის მოუღვეარის სამძღრითა გვიბოძებია, გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენს ერთგულათ სამსახურსა შინა, მისის ნაფუძრითა და მინდვრის მიწითა გვიბოძებია. არიან ამისი მოწამენი და დამხდურნი: აბრამ მღრღელი, ბერძნისშვილი ბეჟან, ბერიკა ხუციასშვილი, ამირაშვილი მახარა, გამსახურდი ჩეკურაშვილი მამუკა, სულ ჩვენი მსახურნი და აზნაურისშვილნი დამხდურნი და გარდამწყვეტელნი. მე ნიკოლოზს დამიწერია და მოწამეცა ვარ. ნიკოლოზ (ხელჩართულათ). პაპუნ ბეგ

**128.** საფიცრის წიგნი, 16×18,5 სანტიმეტრი, დაწერილია ქალაღზე ნუსხა-მხედრულის ხელით, ნიშნებათ იხმარება ორ-ორი წერტილი. თარიღი არა აქვს, მაგრამ წინა ნომერში მოყვანილ საბუთის მიხედვით ესეც პაპუნას დროს ეკუთვნის, ესე იგი 1636—1703 წლებს.

**1636—1703.** ქ, ნებითა, შეწვენითა მხთისათა (sic) ესე საფიცრისა წიგნი და პირი<sup>3)</sup> მოგართიეთ ჩვენ გერმანოზის-შვილმა ოთარმა და პატამა თქვენ გოსტაშაბისშვილს პაპუნასა ასრე და ამა პირსა ზედა, რომე დღეის იქით ბატონის ჩვენის უზიანის საქმით მტერზედ მტერნი ვიყვნეთ და მოყვარეზედ მოყვარენი, და რაც მლთისა კაცის კელით კარგი დაგემართოს, იმისი მონატრე ვიყვნეთ. ამისად გასათავებლად და თავდებად თავად ღმერთი მოგვიცემია და მერმე ყოველნი მისნი წმინდანი, ზეცისანი და ქვეყანისანი, კორციელნი და უკორციონი. □ +

<sup>1)</sup> დედანში სწერია: დაგვიწერე.

<sup>2)</sup> დედანში სწერია: გასვლითა.

<sup>3)</sup> დედანში სწერია: პური.

აკურელნი, არიან კიდევ ელფიელნი დაკარგულიშვილი მახარა, ივან იმისი განაყოფი, და სულ ელფელნი, ხიზანს კერძი კაცი იაგულაშვილი ნადირა, სუთანს კერძს მამულ გარეთ ყველა<sup>1)</sup> დავანებე ჩემი კერძი მითთა და ბართთა. არის ამისი მოწამე ინაშვილი გიორგი, ახალდაბელი მლდელი ზოსიმე, ერთობით ბალიანი, საღორელი ორბელა. და ვინცა და არამანც გუარამა კაცმა<sup>2)</sup> ეს მოგიშალოს, თავად პირველადამც ღმერთი ჰრისხავს<sup>3)</sup> და მერე მისნი წმიდანი, და რაც ღმერთს სჯულის სალოცავი გაუჩენია. დამიწერია მე თურმან ბეგის კარის მდივანს გიორგის და მოწამეცა ვარ. დაიწერა წიგნი ესე ქქს ტმე .

სიგლის მეორე გვერდზე ნუსხური მხედრულის ხელით წარწერაა გადასული, ხოლო უკანასკნელი სიტყვები იკითხება: „დაგვინებებია, ნულარ ეცილებით“. ბოლოს აზის დიდი რგვალი ბეჭედი მხედრულის გადასულის წარწერით.

**119.** სიგელი, 32 X 24 სანტიმეტრი, დაწერილია ქალღმერთ ლამაზის რგვალის მხედრულის ხელით. ნიშნებით იხმარება ორ-ორი წერტილი თითოეულის სიტყვის შემდეგ.

1657... ქ. ნებითა და შეწევნითა ღთისა ესე სამკვიდროდ და საბოლოოდ გასათავებელი მტკიცე და უცვალეგელი, და მიზეზ დაუდებელი წიგნი და სიგელი გიბოძეთ ჩვენ ბატონიშვილმან, პატრონმან ეახტანგ, შენ ბარათაშვილს გოსტაშაბის-შვილს პაპუნასა და შვილსა შენსა, ასრე რომე ამას დაგვეკუენით: „რისაც სამკვიდროს მამულის მქონებელნი ყოფილიყუნეთ, არა მოგვეშალოს რაო“. ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ სიგელი და წიგნი ესე, ასრე რომე არა მოგვეშალოთ რა, რისაც სამკვიდროს მამულის მქონებელი ყოფილიყო და იყო მითთა ბარამდი, შენითა და ოკრითა, ვენაკითა და მიწითა და ყოვლის შენის სამკვიდროს

<sup>1)</sup> დედანში სწერია: ყავალა.

<sup>2)</sup> დედანში სწერია: და ვინცა და არამანც გუარამა კაცმა

<sup>3)</sup> დედანში სწერია: თავად პირველადამც ღმერთი ჰრისხავს.



მამულის სამძღვრითა და შესავალ-გასავლითა, სამკუთღრო და საბოლ ო. ყოფილა და არის, და გქონებია, და კემწიფეთათვის ერდგულად და თავდადებით გიმსახურებია, და ჩვენცა სიგლითა ამით დაგვიმტკიცებია შენის მამულის შეუშლელობა და წყალობა, რაგვარათაც ამას წინათ გქონებია და გაქუს, ჩვენცა ისრე გაგვითავებია, და არა მოგეშალოს რა, და ვიზედაც მამულის სასარჩლო საქმე გქონდეს, იმისი სამართალიც დაგმართო. ამისად გასათავებლად თავსმდებად მოგვიცემია ღთო და ყოველი მისი წმიდანი, ზეცისანი და ქვეყანისანი, კორციელნი და უკორცილნი, და ყოველნი წმიდანი. დაიწერა ბძანება და წიგნი ესე ქქსა ტმე. ვახტანგ

**120.** ნასყიდობის წიგნი, 41×19,5 სანტიმეტრი, დაწერილია ქალაქ ლზე ნუსხა-მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება ორ-ორი წერტილი. შესავალი განგებ გამოვტოვეთ.

**1665, გიორგობასთვის 15.ა.** ესე უკუნისამდი ხანთ და ჟამთა გასათავებელი ნასყიდობის წიგნი მოგეცით ჩვენ ბარათაშვილმა თაყამ და ძმამა ჩემა ასლამაზ, და შვილმა ჩემა გიორგიმ, და მამავალთა სახლისა ჩვენისათა, თქვენ გოსტაშაბის-შვილს პაპუნასა და შვილსა თქვენსა გოსტაშაბს და ყაფარბეგს ასრე და ამა პირსა ზედა, რომე მოგყიდეთ ტბის ჩვენი სამკვიდრო ვენაკი მირზიაშვილის ნაქონი, ყოვლის კაცისაგან მოუდევარი და უცილებელი, და ავიღეთ ფასი სრული, რათაც ჩვენი გული შესჯერდებოდა. არის ამისი მოწმე თავად ღმერთი და მერმე ყოველნი მისნი წმინდანი, ზეცისანი და ქვეყანისანი, კორციელნი და უკორცილნი, კაცთაგან დამბღომი და მოწამე გერმანოზისშვილები ოთარი და პატა, ფალავან-ხოსროსშვილები თაყა და დურმიშხან, თამაზისშვილები შიოშ და იასე, საგინაშვილი აფთანდილ, საგინაშვილი იორამ, უსუბეგ, ყარბუდახ, და მე ბატონს მანგლელს დამიწერია და მოწმეც ვარ ამისი. დაიწერა ესე წიგნი და ნიშანი ქქს ტნგ, გიორგობისთვის ნახევარს, გასულს.

**121.** სიგელი, 20×16 სანტიმეტრი, დაწერილია ქალღმერთ რგვალი მხედრულის ხელით, ნიშნებათ იხმარება სამ-სამი წერტილი. სიგელის მარტო მეორე ნახევარია დაცული, რომელიც სქელს ქალღმერთზე დაწერილი. რომელ ბარათაშვილს ეძლევა ეს სიგელი, არა სჩანს. მიმცემი სიგელისა არის მეფე გიორგი XI, ანუ შაჰნავაზ II.

**1676. ოქტომბრის 18..** მოხსენება თქვენი და გიბოძეთ მკვდრად და მოუშლელად ვანქს შაყულაშვილს რაც შენი სამკვდრო ჰქონდეს. ძველითგან შენის მამა-პაპათ სამკვდრო და ნაქონი იყო და ახლაც მკვდრად და მოუშლელად თქუენთვს და თქუენის შვილისათვის გიბოძებია, ვანქს რაც შაყულაშვილს შენი სამკვდრო ჰქონდეს, ესე ესრე გაგითავდეს, არა მოგეშალოს არა ჩვენგან და არა შემდგომად სხვათა მეპატრონეთაგან, გქონდეს და გიბერნიეროს ღმერთმან ჩვენსა ერდგულად სამსახურსა <sup>1)</sup> შინა. აწე გიბძანებთ <sup>2)</sup> კარისა ჩვენისა ვეკილ-ვეზირნო, მდივან-მწიგნობარნო და სხვანო მოსაქმენო, ესე ჩვენგან ბძანება და წყალობა თქუენცა ასრე გაუთავეთ და ნურაოდეს ნუ მოუშლით. ახალ-ქაღჭი და პატარა ცამაღაჲ საკელოდ გვბოძებია, ესეც ასრე გაგითავდეს, არაოდეს არ მოგეშალოს. დაიწერა სიგელი და ბძანება ესე ჩუენი ქუს ცნად, თვესა ოკტომბერსა <sup>3)</sup> ათვრამეტსა, კელითა ქსნის ერისთვის სახლისა ძისა მანგლელ მთავარ-ეპისკოპოზისა ევდემოზისათა. გიორგი (ხელჩართულათ). ლევან (ხელჩართულათ).

**122.** ნასყიდობის წიგნი, 20×16 სანტიმეტრი, დაწერილია ქალღმერთ ნუსხა-მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება ზოჯგერ თითო და ზოჯგერ ორ-ორი წერტილი.

**1690, მაისის 1.** ქ. ნებითა, შეწევნითა მლთისათა ესე ნასყიდობის წიგნი მოგეცი მე მოლოდინსშვილმა შიუკამ და ჩემა შვილმა ბეროამ და იესემ შენ დაკარგულისშვილს მღრდელს

<sup>1)</sup> დედანში სწერია: სამსახურსა.

<sup>2)</sup> დედანში სწერია: იბძანებთ.

<sup>3)</sup> დედანში სწერია: ოქტომბერსა.

საბას და ძმას შენს გიორგის და შოშიტას, და დარჩიას ასრე ამა პირსა ზედან, რომე მოგყიდე კარკაცაშა ჩვენი წილი ნიგოზი, ავიღეთ ფასი, რითაც ჩუენი გული შესჯერდებოდა. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან. არას სულდგმულს აღამიანს თქვენთან კელი და პასუხი არ ქონდეს, თუ ვინმე წამოგედაოსთ, პირის და პასუხის გამცემი ჩვენა ვიყოთ. არის ამისი მოწამე ზალისშვილი ზალა. მე შოშიტას დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა მაისის დამდეგს, ქქს ტოზ (ტოპ?)+

**123.** ნასყიდობის წიგნი, 27×18,5 სანტიმეტრი, დაწერილია ქალაღზე ნუსხა-მხედრულის ხელით. ნიშნებათ უმეტეს შემთხვევაში თითო წერტილია ნახმარი, ხოლო თავში ზოგჯერ სამ-სამი წერტილი.

**1689, მარტის 25.** ქ. ნებიტა, შეწვევითა მლთისითა ესე ნასყიდობის წიგნი მოგეცი მე ქუბასშვილამ ბასილამ და ძმამ ჩემა მლთისიამა, სახლის ჩვენის მომავალმა <sup>1)</sup> შენ ჩემს განაყოფს ქიტას და შვილს შენს შიოშს და მედიას, სახლის თქუენის მომავალს ასრე ამა პირსა ზედა, რომე როდისაც დაგვექარა, ჩვენის ნებაწადილობით და ბატონის ჩვენის ბძანებით მოგყიდეთ <sup>2)</sup>. ჩვენი კერძი წისქვილი მისის ქალით და წყლით და კიდევა ერთის დღის მიწა გვერდსი, ავიღეთ ფასი, გქონდესთ და გიბედნიეროსთ ღმერთმან, გახდა თქუენი სამკუიდრო, გამოსადექი ნასყიდი მამული, ყოვლის კაცისაგან უცილებელი. ავიღეთ ფასი სრული უკლებრივ, რითაც ჩვენი გული შესჯერდებოდა. რამაც კაცმა წამოგედავოსთ, იმათი პირის და პასუხის გამცემი ჩვენა ვიყვნეთ. არის ამისი მოწამე ბატონი ჩუენი ავიდნოზრანი და ბატონი ბაინდურა, და კორღან(ა)შვილი ბაინდურა, კიდეუ და აბლ(ა)შვილი ასლამაზ, და კახისშვილი გიორგი და გოშხასშვილი მამუკა. მე შოშიტას დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. დაიწერა მარტის კე, ქქს ტოზ, რამაც კაცმა ესე მო-

<sup>1)</sup> დედანში სწერია: სხალის ჩვენის მომავალმა.

<sup>2)</sup> დედანში სწერია: მოგაყიდეთ.

**129.** გაცეკოს წიგნი, 31X17,6 სანტიმეტრი, დაწერილია ქაღალდზედ ნუსხა-მხედრულის ხელით. ნიშნებით იხმარება სამ-სამი წერტილი, წიგნი ეკუთვნის უკვე ნაჩვენები მიზეზის გამო პაპუნა გოსტაშაბისშვილის დროს, ესე იგი 1636—1703 წლებს.

**1636—1703.** ქ. ნებითა და შეწევნითა მღთისათა, ცხოველს-მყოფელისა ჯვარისათა, შუამდგომლობითა წმინდისა მღთისშობელისათა, ძლიერებითა სამებისათა, ესე წიგნი მოგეც მე გოსტაშაბისშვილმა თქვენმა სიმამრმა პაპუნმა, შეიღმან ჩემან გოსტაშაბ, ნიკოლოზ, თამაზ და ყაფარბეგ და ამიღლაბარ, თქვენ ფალაენ-ხოსროსშვილსა, ჩემსა სიძესა ღურმიშხანსა, ასე რომე მოძღვრიშვილის წისქვილთან ჩემი ნასყიდი ბაღი და წისქვილი ზემო-ნასკიანაჲსაჲს რუსთავეთ, ბაღი საწყლისპიროთაი, წისქვილი და ბაღი მისის მეწისქვილითა მამუკათი, მისის ცოლ-შვილითა, გაგიცვალე, გქონდეს <sup>1)</sup> და მოცილე კაცი არა გყვანდეს <sup>2)</sup>. ამ ღურმიშხანის წისქვილმა და მოძღვრიშვილის წისქვილმა წყალი სწორედ გაიყონ და რუხსწორეთ იმუშაონ, მაგრამ ღურმიშხანის წისქვილმა მოუკლებლათ უნდა იბრუნოს. არც მე და არც ჩემა სახლის კაცმა და მამეაღლთა სახლისა ჩემისთა უჯეროთა და არცა უმისდათა ამლიეელთა ვერა დაფქონ ღურმიშხანის წისქვილზედა. ამისდა სანაცლოთ მამიცია მე ღურმიშხან(ს) ტბას პაპუნა და სიყმია ტუხიაშვილი მისის მამულითა, სახლკარითა, ვენაკითა ახლანითა და რისცა მიწისა, წყლისა და მამულის მაქონებელია სართად, ზედ კიდევ გეორგიძის ხოდაბუნე გრძქელაში, ანდრას საფიჩხულე ერთს წელიწადსა თაყ(ა)მა ფალან-ხოსროს შვილმა უნდა ჩადგას, ერთს წელიწადს პაპუნამ. უწინ კიდევ გავცვალებთ, ბახუტა ჯაფახისშვილმა შეგვარიგა, და კიდევ რომ პაპუნასთენ საწისქვილო ეწერა, აღარ მოკდა და იმაზედ შევიშალენით. ვინც შეშალა მოინდომოს, შესამშალელო გაი-

<sup>1)</sup> დედანში სწერია; გაქონდეს.

<sup>2)</sup> დედანში სწერია; გაყვანდეს.

ლოს. არის ამისი მოწამე ხოსიტა და ბეჟან ბერძნისშვილი, მე  
როსებს ზაალისშვილს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი□.

**130.** ნასყიდობის წიგნი, 20×13,5 სანტიმეტრი, დაწერილია ქა-  
 ლაღზე რგვალის მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება სამ-სა-  
 მი წერტილი-თარიღი არააქვს, მაგრამ მოხსენება პაპუნა გოს-  
 ტაშაბისშვილისა, და გიორგი მეფისა, რომელიც არის გიორგი  
 მე-XI და მასთან გიორგის შვილის ბაგრატისა, რომელიც გარდა-  
 იცვილა 1692 წლის ახლო-ხანში, საკმაო საბუთია, რომ წიგნი  
 მივაწეროთ 1775—1692 წლებს.

**1675—1692.** ქ. ნებთა და შეწვევითა მსუთისათა მო-  
 გვიდე მე ქაიხოსროშვილმა ქაიხოსრომ, შვილმა ჩემა როსტომ,  
 გუგუნა, შვილთა, მამავალთა<sup>1)</sup> სახლისა ჩემისამა, მოგვიდე თქვენ  
 გოსტაშაბისშვილს პაპუნასა, შვილსა აქვენსა გოსტაშაბს, ნი-  
 კოლოზს, თამაზს, ყაფარბეგს ჭანდარს ორი კვამლი<sup>2)</sup> სუხიტა-  
 შვილები, დღეს რისაც მაქონებელი იყუნენ, წყალითა, წისქვი-  
 ლითა, ვენაკითა, საყანვითა, მიწა-წყალითა, სახლ-კართა, ავი-  
 ლე ფასი სრული, რიათაც ჩვენი გული შეგჯერდებოდა. თუ სა-  
 ქელას საყდარი დაგიხსენ და დაგანებე, ჩემი გლეხები, მევე  
 დამანებე, თუ არა და ქონდეს და გიბედნიეროს ღთმან. ვინც  
 ამაში გამტყუნდეს და პირი და ქართული არ გაგითაოს (გა-  
 თოს?), თავათამც (თავთც?) რისხავს (რისხვს) ღთი და ყოვლი  
 მისნი წმინდანი (წამინდანი), კორციელნი და უკორცონი, კა-  
 ცთაგან ბალორძელი ჩვენი აზნაურიშვილი რევიშვილი ავთან-  
 დილ, ბერუკაშვილი ადამა, ბერძნიშვილი ბეჟან. ვინც ამაში  
 გამტყუნდეს, გიორგის მეფის შემცოდე იყოს (იყს), მისი შვი-  
 ლის ბაგრატის (ბაგრტის) სისხლად მოკითხოს□.

1) დედანში სწერია: შვილთა, მამავალთა.

2) დედანში სწერია: კვამლი.

**131.** ნასყიდობის წიგნი,  $31 \times 22,5$  სანტიმეტრი, დაწერილია სქელ ქალღღებ ნუსხა-მხედრულის ხელით, ნიშნებით იხმარება სამ-სამი წერტილი.

**1701, მაისის 15. ქ.** სახელითა და სახიარისა არსება მღთისა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა, თავდებობითა, მიწოდობითა და შუამდგომლობითა, ესე ფიცი, პირი და ნასყიდობის წიგნი მოგვცით ჩუენ კორხმაზასშვილმა კახაბერმა და ძმამან ჩემან პაპუნამან, და ავთანდილამა და ჩამამავალმა სახლისა ჩემისამა შენ ჩემს ბიძასშვილს ასიტასა და ყმასა შენსა მედიასშვილს შიოს და ბერუას და ქუბას, და შვილს ბასილას, და ქიტრას, და ბერუას და თამაზას, ჩამამავალთა სახლის თქვენისთა ასრე და ამა პირსა ზედან, რომე დამეჭირა და ჩემის დამჭირებისათვის მოგყიდეთ ჩვენი სამკუთდრო მამული აკურის გევზედ, ჯკურას ჩემის ყმის ხიზანას კერძი წისქვილი, და გვერდის მიწის ძამნშვილს ვენახის გარდის, სხუა ხელ შეუალად თქვენთვის მამიცია თავისის გასვლით და შესვლითა, მთითა და ბარით, ველითა და ვენახითა, საძებრითა და უძებრითა, ავიღევით ფასი მთელი და უკლები, ზედ აღარა დარჩა-რა ერთის ზოტის ფასი. ვინცა და რამაც კაცმა შლით ხელი ყოს, მასმც რისხავს თავად ღმერთი და ყოელი მისი წმინდანი ზეცის და ქუეყანისანი, ნუმც ისხნება სული მისი ჯოჯოხეთიდამა, ნურცა ელუსარემს წასლითა და ნურცა ჩოხის ჩაცმითა. არის ამისი მოწამე თავად ღმერთი და ყოელი მისნი წმინდანი, და კაცთავან ჩუენი განაყოფი ბაინდურა, ყორღანა და ნასყიდა, პეტრესშვილი სეხნია და ხატოასშვილი ნაზარა, ტერტერა, აღნიშვილი ნასყიდა და გიორგი, იქივე ჯკურას ამბალაშვილი იასე, კახიშვილი კახუა, და მე ბეჟანისშვილს შერმაზანს დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. დაიწერა მაისის <sup>1</sup>) აჟ, ქვს ცმთ. ამ ნასყიდობის უნდა მიეცეს ასიტას მიწის ღალის ნახევარი და ვენახის კულუხი მთლივა, ამისთვინ რომ ასიტამ ამის ფასად თავი-

<sup>1</sup>) ღედანში სწერია: დიწერა მის.

სი სასახლის ადგილი ენ(ა)გეთს კახაბერს მისცა, და თუ ამისი მოდავე ვინმე გაგიჩნდეს, პირის და პასუხის გამცემი მე კახ(ა)-ბერი და ჩემი ძმები ვიყვნეთ +++.

**132.** ნასყიდობის წიგნი, 43×15,5 სანტიმეტრი, დაწერილია ქალაღზე რგვალე მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება სამ-სამი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

**1703, ქრისტეშობისთვის 1. ქ.** სახელითა სახ[ი]ერის არსება დაუსაბამოსა, დაუსრულებელისა ღთისა, მამისა, ძისა და სულისა წმინდისათა, თავდებობითა, მინდობითა და შეამდგომლობითა, ესე ფიცი, პირი და ნასყიდობის წიგნი, მოგეცით ჩვენ უსუბეგის შვილმან პატამ და ძმამა ჩემა აეთანდილ თქვენ გოშტაშაბიშვილს პაპუნას, შვილთა თქვენსა ამილდამბარს, თამაზს, ყაფარბეგს, ბეენს, გოშტაშაბს, როსტომს, ქაიხოსროს და ბარათას, ასე და ამა პირსა ზედან, რომე დაგვეჭირა ჩვენის დიდის დაჭირებისათვის, მოგყიდეთ ჩვენი მამა პაპათ ნასყიდი სამკვიდრო და უსყიდი ვენახი, ავი[ღე]თ ფასი მთელი და უკლები, ზედ აღარა დარჩა-რა ერთი იოტის ფასი. არის იმისი სამძღვარი ერთი ნაპირი თქვენს სამძღვარი ზეარი, იქით ჩეკურაშვილის ვენახამდი, აქეთ კახიშვილის ვენახამდი თავის გზითა და საწნახლითა, შესავალ გასაველითა, ყოველითურთ უნაკლულოდ მოგვეყიდი. ღმერთმან გამარჯვებაში მოგაკმაროს. ვინცა და რამაც კაცმა ამ ჩვენგან მოსყიდულსა ვენახს შემოგეცილოს, მასამც ედების კეთირი გეზისა, შიშთული იუდისა, ძრწოლა კაენისა, მეხტეხილობა დეოსკორესა, ცოცხლივ დანთქმა დათან და აბირონისა<sup>1)</sup>, ნურათამც ნუ იხსნების სული მისი ჯოჯოხეთისაგან, ნურცა ჩოხათა ჩაცმითა და ნურცა ელუსარემსა წასულითა, ნურცა ათორმეტთა უდაბნოთა შეწირვითა. ხოლო ამისი გამთავებელი აკურთხოს ღთს, ამინ. არის ამის მოწამე ძვირ უხსენებელი ღთი, კაცთაგან რევიშვილი გოდერძი, საჩინოს-

<sup>1)</sup> დედანში ამ საშის სიტყვის მაგიერ სწერია: თანა აბირონისა.



შვილი ფარსადან, გერმანოზიშვილი იასე, ქავთარიშვილი გუგუნა, ყარაბულახიშვილი შიოშ, ჩემი ყმა გაკეჯი ხუცესი, თაკეჯი მამაგულაშვილი ებალა, თქვე[ნ]ი აზნაურშვილი ბერძნიშვი[ლი] ოთარი. მე ყორღანაშვილს მდივანს იარლის დამიწერი[ა] და მოწამეც ვარ. დაიწერა ქრიშტიშობისთვის დამდევს, ქქს ტყა + +.

**133.** გუჯარი, 34X16 სანტიმეტრი, დაწერილია ქალღმერთზე რგვალი მხედრულის ხელით, ნიშნებით იხმარება ორ-ორი წერტილი თითოეულის სიტყვის შემდეგ.

**1705.** ქ. ნებიტა და შეწვენიტა მღვთისათა, მეოხებითა ყოვლად წმინდისა მღთისმშობელისათა და მარადის ქალწულის მარიამისათა, ძლიერებითა და ცხოველს მყოფელისა პატიოსნისა ჯვარისათა, წმინდათა ანგელოზთა და მთავარ-ანგელოზთა მიქელ და გაბრიელისათა და ყოველთა წმინდათა მღთისათა, რომელნიცა სათნო ეყოს უფალსა ჩვენსა იესოს ქრისტესა და სათნო ყოფად არიან, ამითით თავდებობითა შემოგწირეთ ჩვენ აბაშიშვილმა სუფრაჯმა დავით და ძმამან ჩვენმა სუფრაჯმა აბაშ, შვილმან ჩვენმან ნოდარ და მოძაველთა სახლისა ჩვენისათა თქვენ ყოვლად პატიოსანს ხატსა მაცხოვრისასა ქვემო ვარსიმაშვილის ვენაკი, ესიტაშვილს რომ უჭირავს, იმას გარდა ნონიაშვილების ვენაკი საკულუხბოთ, რომე ძველთაგანვე თქვენი ყოფილიყო, ასრე რომე აიწყოდეს, ოთხი პატრონსა და მეხუთე საყდარს მოეკმარებოდეს. ვენაკი კარგა შეინახოს რთვლამდი და რთველში იქ მდგომს კაცს უჩვენოს და, თუ ავით შენახოს, სამართლიანის საქმით გარდაკდევინებდენ. არა მოგეშალოს ჩვენგან და არცა შემდგომთა მეპატრონეთა ჩვენთაგან. შეიწირე შენ საშინელო ხატო მაცხოვრისაო, მცირე ესე შესაწირავი და ნაცვლად გვაგე დღესა მას დიდსა განკითხვისასა. ვინცა და რამანცა კაცმა ეს ჩვენგან შეწირული მოგეშალოს, რისხავსმცა მამა, ჟე და სული წმინდა, ხოლო დამამტკიცებელი ამისი ღმერთმან აკუთხნეს. არის ამისი მოწამე

სვეტის ცხოველის წინამძღვარი გაბაშვილი ბატონი იოსებ; ჩვენი აზნაურშვილი ბლორძელი, სალთხუცესი ზურაბ, კიდევ ჩვენი აზნაურშვილი ლამაზაშვილი პაპუა და ავთანდილ, მსახური ნეგულაშვილი ხოსია, ნინუა სვიმანაშვილი დალაქი, კიდევ ჩვენი მსახური დუწსუკედი რევაზაშვილი გიორგი, იმისი შვილი რევაზა, ანჯრაელი ჩვენი მსახური დონდარაშვილი პაპუა, იქივე ასატურაშვილი ჩვენი მსახური თამაზა, ალიაშვილი ხანვერდი. მე მცხეთის კანდელაკიშვილს ათანასეს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი, ქკსა ტუგ.

მონა მღთისა დავით
----------------------

ბეჭედზე სპარსული წარწერაც არის.

**134.** განჩინების წიგნი,  $39 \times 20,3$  სანტიმეტრს, დაწერილია ქალღმერთზე რგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებით თითოეულის სიტყვის შემდეგ ნახშირია ორ-ორი წერტილი.

**1706, მკათათვის 28.** ქ. ამას წინაღ პირველითვე ზეცით საქართველოს მეფედ განკუთნილისა და აწ სასუფეველსა ცათა შინა სულ ბრწყინვლად მანათობელისა, პაპის ჩვენის, მეფის პატრონის შაჰნავაზის ჟამში, მარნეულელმა გოსტაშაბიშვილს პაპუნას დოღღაგნას ბოლოს მიწებს წამოსცილებოდენ. მეფეს ვახტანგ მდივანბეგი და გიორგი მდივანი გაეგზავნა, პაპუნას წმინდის სამების ხატი ჩამოესვენებინა, თავისი ნათესავნი თან მოჰყოლოდენ და ეფიცნა, მაგრამ ზოგიერთი მიწები მდივანბეგს პაპუნასათვის გაეშვებინა. ახლა კიდემ მარნეულნი იმ დაფიცებულს მიწებს წამოსცილებოდენ. ჩვენ საქართველოს ჯანიშინმან, ბატონიშვილმან პატრონმან ვახტანგ, ამის გასასინჯავად მდივანი გივი უჩინეთ, გაეგზავნეთ, და გაესინჯა. პაპუნას არას ემართლებოდენო, მაგრამე ულაპარაკობისათვის პაპუნასათვის ეკლესიიდან გარდმოსავალს გზასთან ერთი დარგი მიწები კიდემ გაეშვებინებინა, რე მარნეულელთათვის დაენებებინა, სამნები ჩაესხა და გაესამძღვრა; იმ სამნებს და გარიგებას იქით პაპუნას კელი ნუ აქეს, და აქეთ მარნეულელთა ტყუილად მიწებს რომ წამოსცილებოდენ, პაპუნას რუს წყალიც მარნეულელთ

მოენდომათ, მაგრამე მოკითხული ვქენით. რუსთან და წყალთან მარნეულელთ კელი არა აქესთ და ნურც უხსენებენ, რაც საძოვრად ის მიწები არ დაენებებინათ, წყალთან საქმე არა აქესთ-რა. ქქსა ტუდ, მკათათვის კჭ.

მონა და ყმა  
გიორგისა დი-  
ვანბეგი ვრას-  
ტი.

რტოდ ვარ დაეთის  
მგელ ლომად ვით ის  
ვანტანგ ვამტკიცებ  
მეფის ძეობით.



**135.** სითარხნის წიგნი, 26,5×29 სანტიმეტრი, დაწერილია სქელ ქალაღზე რგვალი მხედრულის ხელით, ნიშნებათ იხმარება ყოველი სიტყვის შემდეგ ორ-ორი წერტილი.

**1712.** ნებითა და შეწევნითა მლთისათა ჩვენ საქართველოს მქონებელმან იესიან, დავითიან, სოლომონიანმან, ბატონი-შეილმან, პატრონმან ვახტანგ და თანა მეცხედრემან ჩვენმან, ჩერქეზის ბატონის ასულმან, დედოფალთ-დედოფალმან, პატრონმან რუსუდან, პირშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან ბატონიშვილმან ბატონმან ბაქარ, შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ გაბაშვილს წინამძღვარს იოსებს, მაჟამსა ოდეს კნაკეთს აბულაშვილის საკომლოს სითარხნეს და გვიჯენით, ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოკსენება თქვენი და ასე გავითარხნეთ, რომე არაფერი საჩვენო სათხოვარი და გამოსაღები არა გეთხოვბოდეს რა. აწე გიბძანებ კარისა ჩვენისა გამრიგენო, თქვენცა ასე დაუმტკიცეთ, რა რიგადაც ამ ჩვენსა ნაბოძებსა სიგელსა შინა ეწეროს. დაიწერა ბძანება და ნიშანი ქქსა ქართულსა უ, ქრისტეს აქეთ ჩდაბ, კელითა თუმანიშვილის დავითისითა. გახტანგ (ხელჩართულათ), რუსუდან (ხელჩართულათ).

**136.** პირობის წიგნი, 40×19 სანტიმეტრი, დაწერილია ქალაღზე ნუსხა-მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება ორ-ორი წერტილი.

**1712.** ქ. ესე წიგნი მოგართვით ჩვენ გოსტაშაბ[ის] შეილმა თამაზ, ამილდაბარ და ყაფარბეგ თქვენ [ჩვენ] რძალს მდი.

ვანბეგის ქალს ბატონს გუქას ასრე რომენ, მ[ამა] ჩვენს დას-  
ქირებოდა და იბაშერისათვის ~~დაღოგნას~~ ერთი საკომლო მა-  
მული მიეყიდნა და მოურაობაც იმისთვის მიეცა. ახლა ჩვენის  
ნებით ჩვენ მოგახსენეთ და თქვენის ზითვით დაიხსენით თხუ-  
თმეტ თუმნათ—რომ ფუთხმეტი თუმანი თეთრი მიეცით ამ წე-  
სით, რომენ როგორათაც იბაშერის წიგნში ეწეროს, იმ რი-  
გათ თქვენთვის მოგვიცემია ის ერთი საკომლო მამულიცა და  
მოურაობაცა და რახან თქვენი თუთხმეტი თუმანი მოგცეთ  
სასახლოთ, ის მამული ისრევ სასახლოთ და საერთოთ დავ-  
დვათ, ვინ იცის, თეთრი ვერ მოგცეთ, ის საკომლოცა და მო-  
ურაობაც, რაგვარადაც იბაშერს ქონოდეს, იმ რიგათ თქვენ-  
თვის მოგვირთმევია. არც შენ თეთრის სარგებელი გვთხოო და  
არც ჩვენ მამულის ჭამასა და მოურაობას გეცილოთ. არის  
ამის მოწამე იარალისშვილი იოსებ იოსებ, ციციშვილი ბა-  
დურ ბადურ, ქავთარისშვილი სულხან და სულ ჩვენი მსახურ  
აზნეურშვილნი ამის დამხდურნი და მე ონოფრეს დამიწერია  
და მოწამეცა ვარ, დაიწერა ქქს უ. გოსტაშაბისშვილი  
თამაზ \*).

ვანის არშიაზე სხვა ხელით:

ქ. ამისი გამრიგებელი და მოწამე ჩვენ ბატონი მთავარ  
ეფისკოპოზი ნიკოლოზ

მონა ღთისა  
მთერ ეფისკოპოზ  
ნიკოლოზ

ქ. მე მღვიანი გივი ამისი მოწამე ვარ .

**137.** წყალობის წიგნი, 40×13 სანტიმეტრი, დაწერილია ქაღალდზე  
ნუსხა-მხედრულის ხელით. ნიშნებათ იმარება თითო წერტილი.

**1713, ქრისტეშობისთვის 1.** ქ. სახელითა სახიერისა, არ-  
სება დაუსაბამოსა, დაუსრულებელისა, ძალ განუზომელისა ღთი-  
სა, მამისა, ძისა და წმინდისა სულისა, თავდებობითა, მინდობი-  
თა და შუამდგომლობითა ყოველად უბიწოსა და ბიწ-შეუხებე-  
ლისა დედოფლისა ჩვენისა ღთის-მშობელის, მარადის ქალწუ-

\*) დედანში რგვალი ბეჭედი უზის და არა ოთხ-კუთხი.

ლის მარიამისათა, ჰატიოსნისა და ცხოველს მყოფელის ჯვარის თავდებობითა, წმინდათა და ზეცისა ძალთა ანგელოზთა და მთაყარ ანგელოზთა მიქაელ და გაბრიელისათა, და წმინდისა წინასწარმეტყველის და წინა-მორბედის ნათლის მცემლის იოვანესითა, და იოვანე ქალწულ მახარებელისათა, სხვათა ყოველთა წმინდანთა ღთისათა, თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა ესე მამულის ფიცი, პირი და სიგელი, ჟამთა და ხანთა გასათავებელ[ლი] და შეუტყვალეებელი წიგნი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ გოსტაშაბისშვილის პაპუნასშვილმა თამაზ, ძმისწულმა ჩემან ამილღამბარ, ძმამან ჩემან ყაფარბეგ, სხვათა შვილთა და ძმისწულთა ჩვენთა ბეჟან და გოსტაშაბ, როსტომ, ქაიხოსრომ, ვახუშტიმ, გიორგიმ, თქვენ ჩვენის მამის პაპუნას ნახევარი<sup>1)</sup> ძმას ხოსიტასშვილს ასლანს, შვილსა შენსა იასეს, ქაიხოსროს, და შვილთა და შვილიშვილთა შენტა, მაშინ ოდეს ჩვენ რომე გავიყარენით, ვითაც ჩვენს ოჯახზედ გარჯილნი და ვალდებულნი იყვენით ზე გული გვევალებოდათ, ამიტომ ჩვენგან სარჩო ითხოეთ, ჩვენც ვითაც გემართლებოდით, ამიტომ მოგეცით ჩვენის ბართში გამოყოლილის მამულებიდან აგვჯანეთს სოლომას ნაქონი სახლკარი, შენ რომ სასახლე გიდგს ისი უმამულოდ, იქივ ერთი კომლი გელიტაშვილი გიორგი თავის მამულით და წინა ნაფუზრის ნახევრით, იქივ მახარაშვილი ივანა, იქივ პასუკაშვილი ბერია, ესენი თავის შვილით, მითთ, ბრით, ყოელის მისის სამართლიანის სამძღვრით თქვენთვინ და შვილთა თქვენთათვინ გვიბოძებია უცილებლად და მოუდევრად, ასე რომ ამ მამულით ვისთანც გინდოდეს, რომ მიხვიდე, კელმწიფესთან თუ რასაც კაცთან საყმოთ მახვიდე, ეს მამული თან მოგყვეს, ჩვენგან არ დაგეშლებოდეს, და არცა გიკითხოთ. ამისად გასათავებლად, თავდებად მოგვიცემია თავად ღთი და ყოველნი მისნი წმინდანი ზეცისა და ქვეყანისანი. აწე ვინცა და რამანც კაცმან ან მის მონათესავემან ამისად შლად კელჰყოს, მასმცა რისხავს მამა, ძე და სული წმინდა, და შემცავდების კეთრი გეზისა, შიშვთილი იუდასი, დანთქმა დათან და

1) ამ სიტყვის წინეთ რაღაც გამოტოვებულია ნაშეღწიში.

აბირონისა, ნურათამცა სინანულით ნუ იხსნების სული მისი  
ჯოჯოხეთისაგან. დაიწერა სიგელი ესე კელითა კელმწიფის კა-  
რის მდივან მწიგნობრის თუმანიშვილის გივისითა, ქქს, უა ქრის-  
ტიშობის ა.

გოსტაშაბიშვილი ერასტი \*)

თამაზ

ყაფარ ბეგ

პირველ გვერდის აშიაზე მხედრულ ნუსხურით:

ქ. მე მდივანბევი ერასტი ამის გამრიცე

მონა და ყმა გი-  
ორგისა ღვიან-  
ბეგი ერასტი

**138.** სითარხნის წიგნი, 44,5 X 24 სანტიმეტრი, დაწერილია ქადა-  
ლდზე რგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება ორ-ორი  
წერტილი თითოეულის სიტყვის შემდეგ.

**1715, თაბათვის 10.** ქ. ნებითა და შეწვენიდა მწთისი-  
თა ჩვენ მწთივ აღმატებულმან და მწთივ დამყარებულმან,  
მწთივ ზეციით გვირგვინოსანმან, იესიან, დავითიან, სოლომო-  
ნიან, პანკრატოანმან, მეფეთ მეფემან და თვით კელმწიფემან,  
პატრონმან იესემ, ესე ამიერიით უკუნისამდე ჟამთა და ხანთა  
გასათავებელი სამკვიდროდ და საბოლოოდ გამოსადეგი წყა-  
ლობისა და სითარხნის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გო-  
ბოძეთ თქვენ ჩვენთა ერდგულთა და წესისაებრ ნამსახურს ყმა-  
თა გოსტაშაბიშვილს ამილდამბარს და ძმასა შენსა მეჯინბეთ  
უხუცეს ბეჟანსა, გოსტაშაბს და შვილსა შენსა დავითსა და ვა-  
ხუშტისა, და სახლისა თქვენისა მომავალთა ყოველთავე. მა ჟა-  
მსა ოდეს მოგვიდევით კარსა დარბაზისა ჩვენისასა და თქვე-  
ნის მამულის სითარხნეს დაგვეაჯენით, ვისმინეთ აჯა და მოკ-  
სენება თქვენი და შეგიწყალეთ ნამსახურისა თქვენისა წილ და  
ასე გითარხნეთ და გითავისუფლეთ, რომე მთასა და ბარს თქვენს  
მამულს არაფერი საჩვენო სათხოვარი და გამოსადეგი არა ეთ-  
ხოვბოდეს რა: არა კოდის პური, არა. საკომლო ბზე და ქათა-  
მი, არა საბალახე, შიშლიგი და პირის-თავი, არა სამეჯინბო,

\*) დედანში რგვალი ბეჟედი უზის და არა ოთხ-კუთხი.

არა ნახირის თავი, ერთის სათათროს საურისა ზე ლაშქარ ნადირო-  
ბისგან კიდე. გქონდეს და გიბედნიეროს ლთნ ჩვენს ერდგულად  
სამსახურსა შინა და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და  
არცა სხვათა შემდგომთა მეფეთა და მეპატრონეთაგან. აწე გი-  
ბრძანებთ კარისა ჩვენისა ვაქილ-ვაზირნო და სხვანო წარვლე-  
ნილნო მოსაქმენო, ბრძანება ესე ჩვენი თქვენც ესრეთ დაუ-  
მტკიცეთ და თანადგომისაგან კიდე ნურავინ შეეცილებით და  
მოუშლით. დაიწერა ბძანება და ფარმანი ქქს უგ, მთიბათვის  
ა, კელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობარიშვილის თუმანი-  
შვილის დავითისითა. **აღიყულისან** (ხელჩართულათ).


(მეორე გვერდზე აზის ბეჭედი იესესი. მხედრული წარწერა არ გა-  
ნირჩევა).

**139.** წყალობის წიგნი, 43 X 16,5 სანტიმეტრი, დაწერილია ქალა-  
ღზე ნუსხა-მხედრულის ხელით. ნიშნებით ნახმარია ყოველი სი-  
ტყვის შემდეგ თითო წერტილი.

**1724 ენკენისთვის 22.** ქ. ნებითა და შეწვევითა მღთი-  
სათა, ჩვენ მღთივ აღმატებულმან და მღთივ დამყარებულმან,  
მღთივ ზეცით გვირგვინოსანმან, იესიან, დავითიან, სოლომო-  
ნიან, პანკრატოანმან; საქართველოს ტახტისა და საპატრონოს  
ფლობით მპყრობელ-მქონებელმან, მეფეთ-მეფემან და თვით  
კელმწაფემან, პატრონმან იესემ, და თანამეცხედრემან ჩვენმან,  
კახთა მეფისა ასულმან, დედოფალთ დედოფალმან, პატრონმან  
ელენემ, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან, პატრონ-  
მან თეიმურაზ და დავით, ესე ამიერით უკუნისამდე ჟამთა და  
ხანთა გასათავებელი სამკვიდროდ და საბოლოოდ გამოსადეგი  
სახელს წყალობის წიგნი და ნიშანი შევიწყალეთ და გიბოძეთ  
თქვენ ჩვენსა დიდად ერდგულსა და მრავალგვარად ნამსახურს  
ყმასა გოსტაშაბიშვილს ამილღამბარს და შვილთა და მომავალ-  
თა სახლისა თქვენისათა, მას ჟამსა ოდეს მოგვიდევით კარსა  
დარბაზისა ჩვენისასა და წყალობას გვიავენით, ვისმინეთ მო-  
კსენება თქვენი და გიბოძეთ ჩვენის სახასოს შუღღავრას მო-  
ურავობა, როგორადაც იქიურის მოურავის სარგო და წესი



იყოს, იმგვარად ყოვლის კაცის უცილებლად თქვენთვის და შეილთა თქვენთათვის გვიბოძებია. გქონდეს ჩვენსა ერდგულად სამსახურსა შინა და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა სხვათა მეპატრონეთაგან. აწე გიბძანებთ, კარისა ჩვენისა ვაქილ-ვაზირნო და გამრიგენო, ბძანება ესე ჩვენი თქვენცა ესრეთ დაუმტნიცეთ. დაიწერა ბძანება და ფარმანი ქქს უახ, ენკენისთვის კბ, კელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრის თუ მანიშვილის დავითისათა.



**140.** ნასყიდობის წიგნი, 29,5 X 9,5 სანტიმეტრი, დაწერილია ქალღმერთ ნუსხა-მხედრულის ხელით. ნიშნებათ ზოგჯერ იხმარება თითო წერტილი და ზოგჯერ ორ-ორი. ზოგიერთი სიტყვები წიგნისა გარყვნილათ არის დაწერილი.

**1729, მარტის 1. ქ.** ნებითა და შეწყენითა ღვთისათა ესე ნასყიდობისა წიგნი დაგიწერე და მოგეც მე თქვე[ე]ნმა რძალმან თამარმან, შეილმა ჩემან ზაალ, შენ, ჩემსა მამულსა, ბეჟანის-შვილსა თამაზსა, დავექირა ზ მოგყიდეთ ჩვენის ყმის<sup>1)</sup> მასახულდა-შვილის დათუნასა და ნინუსას სახლი, ვორი მარანი, ბოსალი, ქვევრი, სათონე ორივე ალაგი და რაც იმათი წილი იყოს, თვის სამძღვრებითა, ავიღვით ფასი სრული, [რო]გ[ორ]ც ჩვენი გულლი შაგაჯერდებოდათ. ჩვენი შენზე აღარა დარჩომილა-რა. ვინც ესე მოშალოს, ღმერთმან, ისა მოშალოსა თვისის სახისსაგან, არის ამის მოწამე თავათ ღმერთი და ყოველი მის წმინდანი. ფარმუზის შვილი როსატომა, სამუტასაშვილი გიორგ[გი], მისი შვილი ძულია და გიგლა, გურასაბასაშვილი ძულია, რამაზასა შვილი იასა, ოქროპირ, ზაქარა, ვარდუა, ზურაბა ჯვახსაშვილი, ზურაბა ღურმისხანისაშვილი და ლ[ა]მაზა ყორღნასაშვილი. მე

\*) ეს ბეჭედი დედანში რვეალია და არა ოთხ-კუთხი.

1) დედანში სწერია: დაგატრა მოყადთ ჩვენისა ყმის.

ბრგვისა მამასახლოს დამიწერია. დაიწერა ესე წიგნი მარტის  
5, ქკს უაზ. ++.

ქ. მე თამაზმა საგინასაშვილმა ესა ნასყიდობისა წიგნი  
მაგართ[ვი], მომიყიღია, რაც ამა წიგნში ეწეროსა. ვინცა ამა-  
ში შემოგეცილოსა... არის ამისი მოწამე ჩემი ძმა დათუნა...  
....ჩემი განაყოფი ბაგრატა, იასე, როსტომა.

გვერდის აშიაზე:

მე თამაზსა მამიყიღია, ყაბულიცა მაქვს ამის. სოლაღასა-  
შვილსა დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი.

მონა ღთისა ქაიხოსრო.
-------------------------

**141.** ნასყიდობის წიგნი, 30,5X17,2 სანტიმეტრი, დაწერილია  
ქალღმრთელზე ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება სამ-  
სამი წერტილი. მართლ წერა ტექსტისა ძრიელ გარყვნილია და  
ჩვენ მეტ ნაკლები ასოები გამოუშვით.

**1732, მაისის 21.** ნებითა და შეწყვენითა მღთისათა,  
მამისა, ძისათა, სულისა წმინდითა, უმეტესთ კურთხეულის  
დედოფლისა ჩვენისა, მარადის ქალწულის მარიამის და რანიც  
წმინდანი იხსენებინან, იმათის მინდობითა და შუამდგომ-  
ლობითა, ესე ამიერით უკუნისამდისინ ხანთა და ჟამთა გასათა-  
ეებელი მტკიცე და უცილებელი, მოუღვეარი, ულაპარაკო, ყოვ-  
ლის ჩხუბის და ილისაგან გამოსული, საბოლოოვით გამოსადე-  
გი, ესე ნასყიდობის წიგ[ნი] და სიგელი მოგეც მე თაყაშვილმა  
ქაიხოსრომ და სახლისა ჩემის მამავალმა შენ ზგუდანჯლს მე-  
თიაშვილს ივანს და ძმისწულს შენსა გიორგისა, შვილსა შენსა  
ბერუასა და სახლის შენის მამავალსა, ასე რომე თათრიანობა  
იყო, ქვეყანა ურუმთ ეჭირა, და დამეჭირა, ღონე არა მქონდა,  
ჩემის ნება წადილითა მოგყიდე ჩემი სამკვიდრო მამული ზატა-  
შანს, ასე რომე ორი წილი ჩემს ბიძაშვილს დემეტრეს(მ)იყი-  
და იასე ასლანიშვილისათვის, იმისი მესამედი მე მერგებოდა,  
გამოღმა წისქვილის მესამედი თავისის წყალითა, რუითა, გადა-  
საგდებითა, გასადინარითა, რაც წისქვილის სამართალი არის,

იმ რიგათ მესამედი შენტვის მომიყილია. კიდევ იმას და გარდა იმავე წისქვილისა მკარეს ოთხის დღის მიწა, ერთის დღისა მამულს სავაგარს რომა გავა გზას ქვეით. კიდევ ორის დღისა ნანაყულს გაღმა. კიდევ ერთის დღისა იქვე წისქვილთან გზას ქვეით თავთავისის სამძღროთ სამძღრამდი. ესენი, რაც ამა სიგელში გიწერია შენტვის მაიყილია, გკონდეს და გიბედნიეროს ღმერთმა, ვით სხვის მონასყიდი ესე მოგკმარდეს, შენტც ისრე მოგკმაროს ღმერთმა, ამინ. ავიღეთ ფასი სრული, რითაც ჩემი გული შემიჯერდებოდა, არა დარჩომილა-რა შენხედა არა ერთის იოტის ფასის ოდენი. თუ ვინმე ამაზე წამოგედლოს ვინმე და ლაპარაკი დაგიწყოს რამაც კაცმა, მე პირი და პასუხი მივცე. ვინც და რამანც ძემა ადამისმა ანუ უხესტაესმა, ანუ უქვედაესმა ამა წიგნს კელიშალათ კელი ყოს, მასამც რისხავს დამბადებელი, დაუსრულებელი, ნუმცა იხსნება სული მისი ჯოჯოხეთის გენისაგან. არის ამისი მოწამე თავათ ღმერთი და ყოველი მისი წმინდანი; კაცთაგან ამისი მოწამე გოსტაშაბიშვილი ამილაღბარ, იმისი ბიძაშვილი ქაიხოსრო **ქხსრო** და ფარსადანიშვილი როსტომა კაკელათელი, პაპუაშვილი გიუა და იმავე ქაიხოსროს მსახური ძელოია და კაკელი ხუცესი ბასილა, თემამაშვილი ივანა, და მე ბაგრატ გაბაშვილს დამიწერია, მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა ესე წიგნი მისის კა გასულს, ქსს უკ.

**142.** ნასყიდობის წიგნი, 42 X 22-სანტიმეტრი, დაწერილია ქალაღზე მორგავლო მხედრულის ხელით. ნიშნებად ნახმარია სამ-სამი წერტილი. მართლ-წერა ზოგიერთი სიტყვებისა გარყნილია და ჩვენ შევასწორეთ.

**2732, ღვინაბასთვის 15.** ქ. ნებიტა, შეწვევითა მღთისათა, მამისა, ძისაითა, სულსა წმინდითა და უმეტესთ კურთხეულის დედოფლის ჩვენის მ[არა]დის ქალწულის მარიამისითა, იმათის მინდობითა და შუამდგომლობითა და რანიცა წმინდანი ზეცისანი, წმინდა გიორგი ძლევისა მთავარ მოწამე, იმი-

## ქრონიკა:

XII აროჟინდის ცხოვრება. — აფხაზეთი. — თ. სახოკაასი . 114

XIII შინაური მიმოსილვა. — არეულობა ებრაელთა წინააღმდეგ. — თ. რაფიელ ერისთავის იუბილეი. — უადგილო კინკლაობა. — ჩერნომორსკი ვესტნიკი. — წყალ-დიდება და მისი ზარალი. — კომიტეტი დაზმარებისათვის. — კიდევ ნაფიც მსაჯულთა სამართლის შესახებ ჩვენში. — აზრი «სევერნი ვესტნიკისა». 126

XIV განცხადებანი.

დამატება:

XV საქართველოს სიკვლეანი. 113 — 128



# „მ ო ბ ე მ ბ ე“

636/46

წელიწადი მეორე

გამოდის ყოველ თვის პირველ რიცხვებში

7-10 თაბახი (224-320 გვ.)

## ფასი შურნალისა გაგზავნით:

1 წლით 3 თვით

რუსეთის და კავკასიის ქალაქებში 10 მან. 6 მან. 4 მან.  
სახლდარ-გარედ . . . . . 13 მან. 7 მან. 5 მან.

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: პირველად—4 მან., 1 აპრილამდე—3 მ., და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში. ჟურნალი „მოამბის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, № 13.

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერამ ადრესის გამოცვლისათვის ათი შაური უნდა წარმოადგინოს.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, Редакция „Моамбе“.

ჟურნალში დასაბეჭდი წერილები და სტატიები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელნაწერები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ და ან შესწორებულ იქმნება. ხელნაწერები, რომლებიც არ დაიბეჭდება, პატრონებმა რედაქციაში უნდა მოიკიდონ ერთის თვის განმავლობაში,— მერმე ვეღარ მოსთხოვენ რედაქციას; არავითარ მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელნაწერების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

ხელ-ნაწერები, რომლებზედაც არავითარი პირობა არ იქმნება აღნიშნული, რედაქციისაგან მიღებულ იქმნებიან როგორც უფასონი.

დასაბეჭდად წარმოგზავნილ თარგმანზე აღნიშნული უნდა იყოს უკვეყნლად ყველა ის წყაროები, საიდანაც არის თარგმნილი ხელ-ნაწერი.

რომელ ავტორსაც ან გამომცემელს ჰსურს, რომ ახალი წიგნის შესახებ ჟურნალმა თავისი აზრი წარმოთქვას, მათ ორ-ოლი ეგზემპლარი უნდა გამოგზავნონ რედაქციაში.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირათქმევებს გარდა, პირველ საათიდან სამ საათამდინ ნაშუადღევს.

რედაქცია უმორჩილესადა სთხოვს ყველა ხელის მომწერთ, რომელთაც კი ჟურნალის ნომერი არ მიუვათ, განცხადებასთან ერთად რედაქციას წარმოუგზავნონ აკრედიტო მოწმობა იმ ფოსტის კანტორისა, რომლიდანაც იღებენ ნომრებს, რომ ამ კანტორას ესა და ეს ნომერი არ მიუღია. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელ-მეორედ ნომერი არავის გაეგზავნება.

რედაქტორი  
ალექსანდრე ჭყონია

გამომცემელი  
ალექსანდრე კახაბარი